63/3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

675/3

საზოგადოებრივ მეცნიერებათა

განყოფილების

მოამბე

34

5

1963

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილების

ამბები

*
**

ВЕСТНИК

ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК
АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

5

14

ე 141

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საბიბლიოთეკო განყოფილება

Издательство Академии наук Грузинской ССР
1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოჭორიშვილი (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. ლეონიძე, ქ. ლომთათიძე, ე. ქვათაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ს. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Бердзенишвили Н. А., Бочоришвили А. Т. (главный редактор), *Гугушвили П. Б., Долидзе И. С., Кватадзе Э. Г.* (ответственный секретарь), *Леонидзе Г. Н., Ломтатидзе К. Б., Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В., Церетели С. Б.,*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერების თავისებური მოღვაწეობით ხელოვნების სპეციფიკური შინაარსი ახსნის ცდების

ი. შენგელია

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

ხელოვნების შინაარსი განსხვავდება ცნობიერების ყველა დანარჩენი ფორმის შინაარსისაგან. ესთეტიკურ ლიტერატურაში ხელოვნების თავისებური შინაარსის წარმოშობის ახსნის მრავალი ცდა არსებობს.

ამ წერილის მიზანია ხელოვნების სპეციფიკური შინაარსის ცნობიერების თავისებური მოღვაწეობით ახსნის ზოგიერთი მოსაზრების კრიტიკული განხილვა.

ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში პირველად პლატონმა განასხვავა ერთმანეთისაგან ფილოსოფოსისა (მეცნიერის) და ხელოვანის სულიერი მოღვაწეობა. მართალია, პლატონი ხელოვანის სულიერი მოღვაწეობის დახასიათებიდან იმ აზრამდე მიდის, რომ ხელოვნება საერთოდ საზოგადოებისათვის, გარკვეული აზრით, საზიანოც კია, მაგრამ ამ დახასიათებაში არის ისეთი მომენტი, რომელიც თავისთავად აღებული, სწორი და ანგარიშგასაწევია.

პლატონი ხელოვანის მოღვაწეობას ახასიათებს როგორც არაცნობიერ მოღვაწეობას; პოეტები თავიანთი ქმნილებების შექმნისას საღ გონებაზე არ არიან, ზეშთაგონებას, მუზებს ექვემდებარებიან. მიუხედავად ამისა პოეტური ნიჭის ადამიანებს, შეუძლიათ შექმნან ბევრი რამ დიადი და მნიშვნელოვანი[1].

გონიერი მოღვაწეობა, პლატონის აზრით, ფილოსოფოსის მოღვაწეობაა. პლატონის მოტანილ აზრიდან ხელოვანისა და გონიერი მოღვაწეობის დაპირისპირებაში დადებითი მომენტია ის, რომ ხელოვანის მოღვაწეობა არ არის მეცნიერული მოღვაწეობის იგივეობრივი. ხელოვნების შინაარსი არ იქმნება ისე, როგორც ფილოსოფიის შინაარსი. ხელოვნების შინაარსი გონების მეცნიერული მოღვაწეობისაგან განსხვავებულ მოქმედებას ემყარება. პლატონის შეცდომა აქ იმაშია, რომ მხატვრული ცნობიერება მეცნიერულისაგან განსხვავების გამო მან უგუნურებად გამოაცხადა და მისი თავისებურების ახსნის შესაძლებლობაზე ხელი აიღო.

შემეცნებასა და მხატვრულ მოღვაწეობას შორის პრინციპული განსხვავების არსებობას ადასტურებს კანტის მოძღვრება გენიის შესახებ.

ხელოვნების, მხატვრული ცნობიერების, საფუძველი „მსჯელობის უნარის კრიტიკის“ მიხედვით გენიის არსებობაა. „გენია ესაა ტალანტი (ბუნებრივი ნიჭი), რომელიც წესმდებელია ხელოვნებისათვის“[2].

---

[1] Сочинения Платона, часть IV , Санктпетербург, 1863, стр. 374.

[2] И. Кант, Критика способности суждения, §§. 178.

კანტის აზრით, ხელოვნება ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ წესს, რომლის საფუძველზეც შეიძლება ხელოვანის ესა თუ ის პროდუქტი მხატვრობად იწოდებოდეს. მაგრამ, კაზმული ხელოვნების ცნება, კანტისათვის, გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ხელოვნების რომელიმე ნაწარმოების მშვენიერად მიჩნევა ემყარებოდეს რაიმე წესს, რომელსაც თავის განსაზღვრების საფუძვლად ცნება აქვს, ამიტომ ბუნება, სუბიექტის უნართა მიმართულების გზით, წესმდებელი უნდა იყოს ხელოვნებისათვის. ე. ი. კაზმული ხელოვნება შესაძლებელია მხოლოდ როგორც გენიის პროდუქტი[3].

გენიის კანტისეული დახასიათება გვიჩვენებს, თუ როგორ ჰქონდა კანტს წარმოდგენილი ცნობიერების მოღვაწეობის ის თავისებურება, რომელიც ხელოვნების არსებობის საფუძველია. ხელოვნების შექმნის საფუძველს — გენიას კანტი ოთხი ნიშნით ახასიათებს: 1. გენია ისეთი უნარია, რომელიც ქმნის ყოველგვარი განმსაზღვრელი წესის გარეშე. ამიტომ ორიგინალურობა, მისი პირველი თვისებაა. 2. რადგან ორიგინალური უაზრობაც შეიძლება იყოს, ამიტომ გენიის პროდუქტი ორიგინალურიცაა და სანიმუშოც ერთსა და იმავე დროს; ე. ი. ხელოვნების ნიმუში არ შეიძლება წარმოიშვას როგორც ბაძვა, პირიქით, თვით იგი არის მისაბაძი. 3. გენიის მოღვაწეობის აღწერა და მეცნიერული დახასიათება შეუძლებელია. უფრო მეტიც, თვითონ ხელოვანმაც არ იცის, თუ რანაირად მოქმედებს იგი თავისი ნაწარმოების შექმნისას. შემოქმედის უნარი ბუნებრივი უნარია. 4. ბუნება გენიის საშუალებით კარნახობს წესებს არა მეცნიერებას, არამედ ხელოვნებას[4].

გენიის აღნიშნული ნიშნებიდან კანტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შემოქმედების წესების შეუსწავლელობას, მათი მეცნიერულად გაგების შეუძლებლობას. კანტის აზრით, მეცნიერული აღმოჩენები, მაგალითად, ნიუტონის აღმოჩენა, არ შეიძლება დახასიათდეს როგორც გენიისეული, სწორედ იმიტომ, რომ მისი შესწავლა შეიძლება, ე. ი. იგი წესების მიხედვითი კვლევა და აზროვნების ბუნებრივი მიმდინარეობაა. ამა თუ იმ მეცნიერის რაიმე აღმოჩენის მიმდინარეობა, კანტის აზრით, შეიძლება თვალსაჩინო გავხადოთ, ნათელი გავხადოთ, ე. ი. გავიგოთ აღმოჩენის კანონზომიერება. მაგრამ შეუძლებელია გავიგოთ, თუ როგორ არსებობენ, ან როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს რომელიმე ხელოვანის თავში იდეები. და ეს სწორედ იმიტომ, რომ ცნობიერების ასეთი მოღვაწეობა თვით ხელოვანთათვისაც უცნობია და გაუგებარი[5].

ხელოვანის ცნობიერების მოღვაწეობის კანტისეული დახასიათების შედეგი შეიძლება გაკრიტიკებულ იქნეს. მაგალითად, კანტის დებულება „შეუძლებელია შთაგონებული შემოქმედების დასწავლა“ — არც ისე რადიკალურად განასხვავებს მეცნიერებას და ხელოვნებას, რადგან არც მეცნიერული აღმოჩენების დასწავლაა შესაძლებელი. არც იმაშია კანტი მთლად მართალი, რომ თითქოს ხელოვანის ცნობიერების მოღვაწეობის წესიერების რაღაცნაირი გაგება არ შეიძლებოდეს, თითქოს ხელოვანს არ ესმოდეს რას ქმნიდეს. მართალია, ხელოვანს არ შეუძლია შემოქმედების პროცესი (არც თავისთვის და არც სხვისთვის) გასაგები გახადოს როგორც შემეცნება ე. ი. შემოქმედება დაიყვანოს შემეცნებამდე, მაგრამ როგორც შემოქმედება, ე. ი. როგორც ცნო-

[3] И. Кант, Критика способности суждения, стр. 178.

[4] იქვე, გვ. 173.

[5] იქვე, გვ. 180—181.

ბიერების გარკვეული მოღვაწეობა, იგი მისთვის სავსებით ცნობიერ საგნებია. სწორედ ამიტომაა, რომ ხელოვანს შეუძლია სავსებით შეგნებულად უყუროს თავის ქმნილებას — შეასწოროს, გააუმჯობესოს, სრულყოს იგი. არა მარტო ხელოვანს, არამედ იმასაც, ვინც ხელოვნების პროდუქტს მოიხმარს, უნარი აქვს შეამჩნიოს ხელოვანის სიყალბე — ე. ი. გაიგოს ხელოვნება.

უდიდესი ნაკლი კანტის ესთეტიკის სუბიექტური ბუნებაა. მაგრამ რანაირი ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს კანტის ესთეტიკას, მასში არის ჭეშმარიტების ისეთი მარცვლები, რომლებიც არა მარტო უნდა შეამჩნიოს, არამედ კიდევაც უნდა გამოიყენოს და განავითაროს მარქსისტულმა ესთეტიკამ.

მხატვრული ცნობიერების თავისებურების კვლევაში კანტის დამსახურება ისაა, რომ მან მხატვრული ცნობიერება განასხვავა მეცნიერული ცნობიერებისაგან; აჩვენა, რომ მხატვრული ცნობიერების მოქმედება არ ექვემდებარება მეცნიერული ცნობიერების კანონებს. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, კანტი კონკრეტულად ადარებს მეცნიერისა და ხელოვანის ცნობიერ მოღვაწეობას და მათ შორის პრინციპულ განსხვავებას აღნიშნავს. მაგრამ მხატვრული ცნობიერების კანტისეული დახასიათება უარყოფითი ხასიათისაა. იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, თუ რით განსხვავდება მხატვრული ცნობიერება მეცნიერულისაგან. იგი აჩვენებს მხოლოდ იმას, რომ მხატვრული ცნობიერება არაა მეცნიერულის იგივეობრივი. მხატვრული ცნობიერების დადებითი დახასიათება კანტს არ მოუცია, უფრო მეტიც, მხატვრული ცნობიერების კანონზომიერების მეცნიერული შემეცნება მას საერთოდ შეუძლებლად მიაჩნია.

ამრიგად, პლატონი და კანტი მხატვრული ცნობიერების თავისებურების არსებობის ფაქტს ადასტურებენ, მაგრამ ამ თავისებურების ახსნა ორივეს შეუძლებლად მიაჩნია. ამ შეუძლებლობის დასასაბუთებლად ორივეს თითქმის ერთი და იგივე არგუმენტი აქვს — რადგან მხატვრული ცნობიერება მეცნიერული ცნობიერება არ არის, ამიტომ მისი მეცნიერული დახასიათება არ შეიძლება. მხატვრული ცნობიერების აღნიშნული თავისებურების ფაქტზე პარადოქსობს ბურჟუაზიულ დასავლეთში ფართოდ გავრცელებული შეხედულება ხელოვანის მოღვაწეობის ირაციონალური ხასიათის შესახებ.

მხატვრული ცნობიერების მოღვაწეობის თავისებურების პოზიტიური დახასიათების პირველი ცდები ჯერ კიდევ არისტოტელეს ესთეტიკურ შეხედულებებში გვხვდება. მაგრამ არისტოტელეს ესთეტიკური შეხედულება შინაგანად მთლიანი არ არის და ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არისტოტელეს შეხედულებების გაგება შეუძლებელია ამ წინააღმდეგობის გათვალისწინების გარეშე.

არისტოტელეს ესთეტიკური შეხედულებანი ერთიანი რომ არაა, რომ იგი საპირისპირო დებულებების შემცველია — ეს დიდი ხანია შემჩნეულია ესთეტიკის ისტორიაში. პირველი მოსაზრება, რომელიც ამ შეუსაბამობის მიზეზის ძებნას დაიწყებდა ფილოლოგიური უნდა ყოფილიყო, და არის. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ ასე მსჯელობენ: მართალია, არის არისტოტელეს ესთეტიკურ შეხედულებებში საწინააღმდეგო მომენტები, ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, დაუმთავრებელი აზრები, მაგრამ ყველაფერი ეს არისტოტელეს „პოეტიკის“ ტექსტის დაზიანებით აიხსნება, და მართლაც არისტოტელეს „პოეტიკის“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი ისე შესამჩნევად არის დაზიანებული, რომ მისი დაზიანების ფაქტი არავისთვის საკამათო არაა. მიუხედავად ამისა, კანონზომიერია ასეთი კითხვა: არისტოტელესეულ ტექსტს ჩვენამდე

რომ დაუზიანებლად მოღწია, იქნებოდა მისი ესთეტიკური თეორია შინაგანი წინააღმდეგობისაგან თავისუფალი? ანდა, უფრო რეალურად რომ ვიმსჯელოთ, არისტოტელეს ესთეტიკური თეორიის წინააღმდეგობანი მხოლოდ ჩვენამდე მოღწეული ტექსტით აიხსნება? არაფერი არ უშლის ხელს, რომ შემჩნეულ შეუსაბამობათა მიზეზი სხვა რამეში ვეძებოთ.

არსებობს არისტოტელეს შეხედულებების ამ შემჩნეული წინააღმდეგობის მორიგების, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფილოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ცდა. ასეთ ვითარებაში არისტოტელეს პოეტიკაში გამოყენებულ ცნებათა გაფართოებითა თუ დავიწროებით ცდილობენ თეორიისათვის ერთიანი სახის მიცემას. მაგ. „არისტოტელეს თეორიაში სიტყვა" μίμεsis—ბაძვა, იხმარება ისე ფართო აზრით, რომ სიტყვა „ποiesis" —შექმნის, თანაბარ მნიშვნელოვანი ხდება"[6]. საინტერესოა და უცნაურიც კი, რომ ასეთი მოსაზრების ავტორებს, სხვადასხვა ცნების ერთმანეთთან დამთხვევა შინაგან წინააღმდეგობად, შეუსაბამობად არ მიაჩნიათ.

არისტოტელეს ესთეტიკურ შეხედულებათა შინაგანი წინააღმდეგობის გასაგებად აუცილებელია ავტორის დროინდელი სააზროვნო სიტუაციის გათვალისწინება. არისტოტელეს ესთეტიკა იმ კითხვებზე პასუხია, იმ სიძნელეების დაძლევის ცდაა, რომლებიც ესთეტიკური აზროვნების წინაშე პლატონის ნეგატიურმა ესთეტიკამ დააყენა.

პლატონის მიერ ხელოვნების ე. წ. უარყოფა, ხელოვნების მიმართ პლატონის მიერ გამოთქმულ ორ საყვედურს ემყარება — 1. ხელოვნების მორალურად არასასურველი ზემოქმედება მაყურებელზე და 2. ნამდვილი სინამდვილის შემეცნებაში ხელოვნების გამოუსადეგობა. ჩვენ ამ შემთხვევაში, პლატონის ეს უკანასკნელი საყვედური გვაინტერესებს.

ხელოვნება არის ბაძვა. ხელოვნება ბაძავს ინდივიდუალურ საგნებს. ბაძვის შედეგი უფრო ნაკლებად რეალურია, ვიდრე ბაძვის ობიექტი. ამიტომ ცოდნის თვალსაზრისით ხელოვნების ნიმუში უფრო ბნელ ცოდნას იძლევა, ვიდრე რეალური საგნების უშუალო აღქმა. ხელოვნება, პლატონის მიხედვით, აჩრდილთა აჩრდილია. ცოდნა კი ზოგადის ცოდნა, ნამდვილად არსებულის, იდეების ცოდნაა. ასეთ ცოდნას ფილოსოფია ჰქვია. ცოდნის თვალსაზრისით ხელოვნება და ფილოსოფია დიამეტრალურად საპირისპირონი არიან. საპირისპიროა ხელოვანისა და ფილოსოფოსის მოღვაწეობის პირობაც. ფილოსოფია გონიერი მოღვაწეობაა, — ხელოვნება — თხზვა — ბნედიანების, გათანგულების, ერთი სიტყვით, გონებრივად არაჯანსაღი ადამიანის საქმეა. რადგან პლატონისათვის ხელოვნების ღირებულება ცოდნის მოცემის შესაძლებლობით ფასდება, ამიტომ ხელოვნება პატივისცემას ვერ იმსახურებს. ხელოვნება არ ვარგა, პლატონის აზრით, როგორც შემეცნების საშუალება, ორი მიზეზის გამო: 1. ხელოვნება თვალხილული საგნის ხატია და 2. ხელოვნება ერთეულზე იძლევა წარმოდგენას, მაშინ როცა ნამდვილი ცოდნა ზოგადის ცოდნაა.

არისტოტელეს ესთეტიკური თეორია ამ არგუმენტების უარყოფით იწყება. პლატონის პირველი არგუმენტი „ხელოვნება თვალხილული საგნების ხატია", ნიშნავს, რომ, რადგან თვითონ თვალხილული საგანი მოჩვენებაა, მისი ხატი უარესი მოჩვენება იქნება. ამიტომ ხელოვნება — ცოდნასთან დაშორებაა და არა მიახლოება. პლატონის ამ არგუმენტის უარყოფა ორნაირად შეიძ-

[6] А. С. Ахманов, Аристотель, Поэтика, Москва, 1957, стр. 157.

ლება: ან ა) ხელოვნება არ არის თვალხილული საგნის ხატი, ან თვალხილული საგანი არ არის მოჩვენება. არისტოტელემ უკრიტიკოდ მიიღო პლატონის მცდარი აზრი, რომ ხელოვნება ერთეული, თვალხილული საგნის ხატია, რაც ხელოვნების ფოტოგრაფირებამდე დაყვანას ნიშნავს, მაგრამ პლატონის არგუმენტი მაინც უძლური აღმოჩნდა, რადგან ერთეულის ცოდნა, არისტოტელის აზრით, არის ნამდვილი ცოდნა. იგი არ არის მოჩვენება, რადგან თვალხილული ქვეყანა ნამდვილი ქვეყანაა. არისტოტელე წერს: „რასაც სინამდვილეში უსიამოვნებით შევხედავდით, იმის ძალიან ზუსტად გაკეთებულ სურათს სიამოვნებით ვუცქერით—აი, მაგალითად, უსაძაგლესი ცხოველებისა და მკვდრების სურათებს. ამის მიზეზია ის, რომ სწავლის მიღება ძალიან საამოა არა მხოლოდ ფილოსოფოსისათვის, არამედ აგრეთვე სხვებისათვისაც, ოღონდ სხვები ამას ცოტა დროს ანდომებენ. ამიტომ კაცს უხარია, როდესაც იგი ხედავს სურათებს, ვინაიდან უცქერის რა სურათებს, კაცს უხდება სწავლის შეძენა და დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა არის თითოეული სურათი, მაგალითად, „აი ეს არის ის“[7]. არისტოტელეს მოტანილი აზრიდან შემდეგია საინტერესო: არისტოტელეს პლატონთან ერთად მიაჩნია, რომ ხელოვნება არის ერთეული საგნის ბაძვა, რომ ხელოვნების აუცილებელი შედეგი არის სიამოვნება, ოღონდ არისტოტელე პლატონისაგან განსხვავებით სიამოვნების მიზეზად ცოდნის მიღებას ასახელებს. ე. ი. არისტოტელეს აზრით, ცდებოდა პლატონი, როცა ხელოვნების შემეცნებითს ღირებულებას უარყოფდა. მაგრამ საქმე ჯერ არ მოთავებულა. ხელოვნების თავის უფლებებში აღსადგენად პლატონის მეორე არგუმენტაციაა მოსახსენებელ-გასაკრიტიკებელი. ხელოვნების მიმართ პლატონის მეორე საყვედური იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნებას ხელი არ მიუწვდება ზოგადის შესამეცნებლად. აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, არისტოტელე უკრიტიკოდ იღებს პლატონის მოსაზრებას — ხელოვნების ღირებულების ცოდნის თვალსაზრისით შეფასებას — და პლატონის საწინააღმდეგოდ სურს ხელოვნების ფილოსოფიასთან ნათესაობა დაამტკიცოს. „პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი... ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი, ისტორიკოსს კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული“[8]. მაგრამ არისტოტელეს მიერ აღმოჩენილი ხელოვნების ფილოსოფიურობა — „მხედველობაში ზოგადის ქონება“ — მაინც ვერ იხსნის ხელოვნებას პლატონის საყვედურისაგან, რადგან ის ზოგადი, რაც ხელოვნებას მხედველობაში აქვს, განსხვავდება ფილოსოფიის, ე. ი. ცოდნის ზოგადისაგან. „ზოგადი, რომელიც პოეზიას თავის გმირებისათვის სახელების მიცემის დროსაც კი უკვე მიზნად აქვს, ის არის, რომ წარმოიდგინო, თუ რომელ კაცს როგორი სიტყვა ან ქცევა შეეფერება ალბათობის ან აუცილებლობის კანონის მიხედვით“[9]. ერთი სიტყვით, მოტანილ მაგალითებში, არისტოტელე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხელოვნებას აქვს შემეცნებითი ღირებულება, რათა ამით ხელოვნება იხსნას პლატონის კრიტიკისაგან.

[7] არისტოტელი, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარიები პროფ. ს. დანელიასი, თბილისი, 1944, გვ. 8.

[8] იქვე. გვ. 20.

[9] იქვე, გვ. 21.

მაგრამ, მეორე მხრივ, არისტოტელეს „პოეტიკაში“ არსებობს ისეთი დებულებებიც, რომლებიც საპირისპირო აზრს შეიცავს. ასეთი თვალსაზრისი განსაკუთრებით ძლიერდება თხზულების იმ ნაწილში, სადაც ტრაგედიის რაობისა და მნიშვნელობის საკითხებია განხილული. „როგორც შემთხვევები, ისე სახელებიც... ტრაგედიაში გამოგონილია; მიუხედავად ამისა, იგი ნაკლებად მოსაწონი არ არის. ასე რომ, სრულიადაც არ არის საჭირო, რათა ტრაგედიები მიდევდნენ ძველს გადმოცემებს იმ ამბავის შესახებ, რაზედაც აგებულია ტრაგედია. სასაცილოც კი იქნებოდა ასეთი რამ, ვინაიდან ცნობილიც კი მცირე რიცხვისათვის არის ცნობილი, ხოლო მოსაწონი არის იგი ყველასათვის“[10]. „პოეტიკის“ 25 თავში, სადაც არისტოტელე მისი მოსაზრებების კრიტიკული შენიშვნების გაბათილებას ახდენს, იგი წერს: „ვთქვათ ასახულია ისეთი რამ, რაც შეუძლებელია. ეს შეცდომაა, მაგრამ ხელოვნება მართალია, თუ მისი მიზანი მიღწეულია. მიზანი მიღწეულია ხომ, თუ იგი ამ გზით უფრო შთამბეჭდავად აქცევს ამა თუ იმ ნაწილს“[11]. ძნელიც კია ამ სიტყვების ავტორს რაიმე აღმოაჩნდეს ხელოვნების დასაცავად, როცა ხელოვნებას ცოდნის საპირისპირო მოქმედებაში დასდებენ ბრალს. არისტოტელეს აზრით, ხელოვნებას შეუძლია ასახოს ისე, როგორც არის, ან როგორც ამბობენ, ან როგორც უნდა იყოს და ყველა შემთხვევაში იგი მართალია თუ მიზანი მიღწეულია. მაგრამ რა მიზანი, ან რა ღირებულება აქვს ხელოვნებას, რომელიც თავის მიზანს ხშირად შემეცნების საპირისპირო მოქმედებითაც კი აღწევს? ეს არის ზემოქმედება, რომელიც „განწმენდის“ ცნებით არის ცნობილი.

ჩვენი ამოცანა არ არის, რომ კათარზისის ახალი განმარტება წარმოვადგინოთ, ან არსებულ განმარტებათაგან რომელიმეს უპირატესობა მივანიჭოთ, ჩვენი საქმისათვის იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ კათარზისის ყოველნაირ გაგებაში იგი ყოველთვის შემეცნებითი ღირებულებისაგან განსხვავებული ღირებულებაა. ე. ი. არისტოტელეს ესთეტიკურ ნააზრევში ხელოვნების თრნაირი ღირებულებაა დახასიათებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, როცა არისტოტელე ხელოვნების გნოსეოლოგიურ ღირებულებას ახასიათებს, მაშინ, მისთვის ხელოვანის მოღვაწეობა გაგებულია, როგორც ბაძვა, ხოლო, როცა იგი ხელოვნების ისეთ ღირებულებას ახასიათებს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც შემეცნებითი ღირებულება, ბაძვის ცნება მასთან ადგილს უთმობს „თხზვის“ ცნებას. „საჭიროა პოეტი იყოს უფრო მეტად ამბის შემთხზველი“. და აი ამ დროს იძლევა არისტოტელე სწორედ განსაკუთრებით ღირებულ მოსაზრებებს მხატვრული ცნობიერების მოღვაწეობის დასახასიათებლად. მისი აზრით, მხატვრულ ცნობიერებას არ წარმართავს მხოლოდ არსებული. მას შეუძლია ისეთი რამ გამოსახოს, რაც შეიძლება რეალურად არ არსებობდეს. იგი იგონებს, თხზავს სიტუაციებს და ეს პროცესი ხელოვნებისათვის ნაკლი არაა.

მაგრამ არისტოტელე ვერ იძლევა ამ თავისებური მოღვაწეობის პრინციპს. ე. ი. იგი ვერ აჩვენებს რანაირი თხზვა, სინამდვილის რა მიმართულებით გადამუშავება არის მხატვრული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი. მართალია, ამ მიმართულებით არისტოტელეს აქვს გამოთქმა, რომ ხელოვნება, თუ

---

[10] არისტოტელი, პოეტიკა, გვ. 22.

[11] იქვე, გვ. 55.

იგი მოსაწონია, დარჩება ხელოვნებად, მიუხედავად იმისა, სწორად ასახავს თუ არა სინამდვილეს. მაგრამ რა შემთხვევაში შეგვიძლია გვქონდეს იმედი, რომ მხატვრული ცნობიერების მოღვაწეობის შედეგი მოსაწონი აღმოჩნდება?

მაშასადამე, არისტოტელეს ესთეტიკურ ნააზრევში, პლატონთან შედარებით, ახალი და წინ გადადგმული ნაბიჯი იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნებას შეუძლია სხვანაირად გადაამუშაოს, შეცვალოს არსებული, ვიდრე ამას მეცნიერული ცნობიერება აკეთებს, მაგრამ რაიმე გარკვეული პრინციპი სინამდვილესთან ხელოვნების ამ „თავისუფალი", მეცნიერებისაგან განსხვავებული დამოკიდებულებისა, როგორც ითქვა, არისტოტელეს არ მოუცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, არისტოტელემ ვერ შემოსაზღვრა, ვერ გაარკვია, თუ რანაირი შეიძლება იყოს ხელოვნების შინაარსი.

ხელოვნების შინაარსი აღიქმება ერთეული, კონკრეტული საგნებისა და სიტუაციების სახით, ამა თუ იმ ინდივიდის სულიერი მდგომარეობისა თუ მისწრაფების სახით. ერთი შეხედვით, ხელოვნების შინაარსი თითქმის იგივეა, რაც ყოველდღიურ გამოცდილებაში მოცემული რეალური სინამდვილე. ხელოვნების შინაარსის ეს თავისებურება გახდა სწორედ საფუძველი თვალსაზრისისა, რომლის მიხედვით ხელოვნება ყოველდღიურ გამოცდილებაში მოცემული სინამდვილის რეპროდუქციას წარმოადგენს. მაგრამ საკმარისია ყურადღებით განვიხილოთ ხელოვნების შინაარსი, რომ ნათელი გახდეს ხელოვნების შინაარსის განსხვავება ყოველდღიურ გამოცდილებაში მოცემული სინამდვილისაგან.

ხელოვნებაში არა მარტო გამოტოვებულია მთელი რიგი ნიშანთვისებებისა, რომლებიც რეალურ სინამდვილეში არსებულ საგნებსა და მოვლენებს ახასიათებთ, არამედ ხშირად ისეთი საგნები და სიტუაციებია გამოხატული, რომელთა ბადალი საერთოდ შეუძლებელია რეალურ სინამდვილეში შეგვხვდეს. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა და ხშირად რეალურ სინამდვილესთან შეუსაბამობისა, ხელოვნების შინაარსი მაინც ცხოვრების ფორმით არსებობს. უფრო ზუსტად, ხელოვნების შინაარსი ახალი, სხვა სინამდვილეა. ხელოვნების შინაარსი და რეალური სინამდვილე ფორმით გვანან ერთმანეთს. შინაარსობლივად ისინი განსხვავებულნი არიან. ეს განსხვავება პრინციპულია, ამ სხვაობის გადალახვა შეუძლებელია.

მაგრამ როგორადაც არ უნდა განსხვავდებოდეს ხელოვნების შინაარსი რეალური სინამდვილისაგან, იგი მაინც ამ სინამდვილის გარკვეულად გადამუშავების შედეგად მიიღება. თუ აღმოჩნდება რაიმე პრინციპი, რომლის მიხედვითაც აიხსნება მხატვრული ცნობიერების მიერ რეალური სინამდვილის გარდაქმნის თავისებურება, ეს იქნება სწორედ მხატვრული ცნობიერების მოქმედების კანონი. ჯერჯერობით ნათქვამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ მხატვრული ცნობიერების თავისებურება რეალური სინამდვილის გარდაქმნაში, მის ნიადაგზე ახალი სინამდვილის შექმნაში მდგომარეობს. მაშასადამე, რეალურ სინამდვილის გარკვეული მიმართულებით გარდაქმნის პრინციპის აღმოჩენა და მხატვრული ცნობიერების მოქმედების დახასიათება ერთი და იგივე ამოცანაა,

რეალური-გრძნობადი სინამდვილის ხელოვნების მიერ გარკვეული მიმართულებით გარდაქმნის პრინციპი ნათლად არის გამოკვეთილი ჰეგელის ესთეტიკაში. ხელოვნება, ჰეგელის მიხედვით, აბსოლუტური იდეის განვითარების საფეხურია, მისი ყოფნის ფორმაა. იდეა ხელოვნების საფეხურზე არსებობს

როგორც იდეალი. იდეალი გრძნობადში განხორციელებული იდეაა. ე. ი. ხელოვნება, ჰეგელის გაგებით, გრძნობადში ზოგადის, იდეის მოცემაა. ხელოვნება აბსოლუტური იდეის განვითარების ბუნების შემდგომი საფეხურია. ბუნებასთან შედარებით ხელოვნება იმიტომაა უფრო მაღალი საფეხური, რომ ბუნებაში, როგორც გრძნობადში, არ ჩანს იდეა. ხელოვნებაში სწორედ გრძნობადის და ზეგრძნობადის დაკავშირება ხდება. ხელოვნების ყოველი გრძნობადი იდეით არის გამსჭვალული. მაგრამ ბუნების მაგალითიდან ცნობილია, რომ ყოველი გრძნობადი არ გამოდგება იდეის გამომხატველად. ამიტომ ხელოვნების დანიშნულებაა გამოხატოს არსებული თავის მოვლენაში როგორც ჭეშმარიტი. ჭეშმარიტება ხელოვნებაში არ ნიშნავს არსებულის სწორ რეპროდუქციას, როგორც ეს გაგებული იყო ე. წ. ბუნების ბაძვის თეორიაში. გარეგანი, ე. ი. გრძნობადი, ხელოვნებაში შინაგანით უნდა იყოს განსაზღვრული[12].

რადგან ხელოვნებას ჰარმონიაში მოჰყავს თავის ჭეშმარიტ ცნებასთან ის, რაც არსებობის სხვა ფორმებში დალაქული იყო შემთხვევითი პირობებით, ამიტომ ხელოვნება უკუაგდებს ყოველივეს, რაც ცნებას არ შეესაბამება და ჰქმნის იდეალს ამგვარი განწმენდის საშუალებით[13].

ე. ი. ჰეგელის ესთეტიკაში ხელოვნების სინამდვილის თვალხილულ სინამდვილისაგან განსხვავება, ხელოვნების მიერ რეალური სინამდვილის გარდაქმნა ემყარება პრინციპს — ხელოვნების გრძნობადში უნდა ჩანდეს ზეგრძნობადი — იდეა.

ხელოვნების მიერ რეალური სინამდვილის გარდაქმნის ჰეგელისეულ პრინციპს მრავალი ნაკლი აქვს. ამ პრინციპის უძირითადესი ნაკლი ჰეგელის იდეალისტური მეტაფიზიკიდან გამომდინარეობს, რაც დიდი ხანია დაძლეულია ფილოსოფიური აზრის განვითარების შედეგად. მაგრამ ამ პრინციპს აქვს წმინდა ესთეტიკური ხასიათის ნაკლი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჰეგელი ხელოვნების მიერ რეალური სინამდვილის გარდაქმნას ხელოვნების გნოსეოლოგიური ბუნებით ხსნის. ხელოვნების ამოცანა, ისე როგორც ფილოსოფიის ამოცანა, ჭეშმარიტების წვდომაა. ამიტომ ჰეგელის ხელოვნების თეორიის მიხედვით, თუ ამ თეორიას ლოგიკურ ბოლომდე მივიყვანთ, მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები შეიძლება არსებობდეს, ისე როგორც, მისი აზრით, ერთადერთი ჭეშმარიტი ფილოსოფია — მისი ფილოსოფიაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხელოვნების ჰეგელისეული თეორია ვერ ხსნის განსხვავებულ და ხშირად ურთიერთ გამომრიცხავ შინაარსის მქონე ხელოვნების ნაწარმოებების არსებობის ფაქტს. აქ საქმეს ვერც განვითარების თეორია შველის, რადგან შეუძლებელია სხვადასხვა ხელოვანის შემოქმედება განხილულ იქნეს, როგორც ჭეშმარიტების წვდომის ისტორია.

მაშასადამე, თვალხილულ სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულების ჰეგელისეული პრინციპი, როგორც ასეთი, ხელოვნების შინაარსის ასახსნელად ნაკლოვანი და უვარგისია. ამ პუნქტში ჰეგელის ესთეტიკის მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი ხელოვნების სინამდვილესთან დამოკიდებულების გარკვეული წესის საჭიროებას ცნობს.

მაგრამ ჰეგელის ესთეტიკაში არის ისეთი მომენტი, რომელსაც დადებითი მნიშვნელობა აქვს და შეიძლება ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში ახალ

[12] Гегель, т. XII, стр. 158—159.
[13] იქვე, გვ. 159.

მონაპოვრად მივიჩნიოთ. საქმე ის არის, რომ ჰეგელმა მთელი თავისი ესთეტიკა ხელოვნების ორფენოვნად გაგებაზე ააგო. მისი აზრით, ხელოვნების ფაქტი გრძნობადის და ზეგრძნობადის ერთიანობაა; გრძნობადში უსათუოდ ჩანს იდეა. მართალია, ჰეგელს დეტალურად არ გაურჩევია, თუ რა ბუნებისაა გრძნობადში ზეგრძნობადის ხილვის ეს პროცესი, მისი იდეალისტური კონცეფციისათვის საკმარისი იყო ხელოვნების აღნიშნული ორფენოვანი ფაქტის შემჩნევა, რომ იგი გრძნობადში იდეის გამოვლენის ენაზე თარგმნილიყო. მაგრამ ჰეგელის შემდეგდროინდელ ესთეტიკურ აზროვნებაში სწორედ გრძნობადისა და ზეგრძნობადის ურთიერთობის გარკვევამ დაიკავა უმნიშვნელოვანესი ადგილი.

ხელოვნების სინამდვილესთან ურთიერთობის, მის მიერ რეალური სინამდვილის გარდაქმნის გზით ახალი სინამდვილის შექმნის, ე. ი. ხელოვნების შინაარსის თავისებურების ასახსნელად, საინტერესო თვალსაზრისი აქვს ი. ტენს.

აღნიშნული საკითხის შესახებ ი. ტენის თვალსაზრისი მოკლედ ასეთია: თუ ჩვენ დავაკვირდებით ხელოვნების ფაქტებს — პოეზიის, სკულპტურისა და ფერწერის ნიმუშებს (მუსიკისა და არქიტექტურის განხილვას, მათი ახსნის სიძნელის მომიზეზებით, ტენი ცალკე საკითხად გამოყოფს) დავრწმუნდებით, რომ ყველა ეს ხელოვნება ცოტად თუ ბევრად სინამდვილის ბაძვას წარმოადგენს. ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ სინამდვილის სწორედ ეს მიბაძვა წარმოადგენს ხელოვნების არსებასა და დანიშნულებას და მისი მიზანი სინამდვილის რაც შეიძლება ზუსტ მიბაძვაში მდგომარეობს. მაგალითად, როცა სკულპტურული ნაწარმოები საკმარისად ზუსტი არ არის, ჩვენ ამ უზუსტობის შესახებ მივუთითებთ ხოლმე. ხელოვნების ბაძვითი ხასიათის დასასაბუთებლად ტენს მოჰყავს მთელი რიგი საბუთები, რომლებიც ნათელს ხდიან ხელოვნების ბუნებასთან სიახლოვის არსებობას და ასეთი სიახლოვის საჭიროებას. ასეთი მიმოხილვის შემდეგ ტენი სავსებით კანონიერად სვამს კითხვას — ხელოვნების ნიმუშთა ბუნების მოვლენებთან მსგავსება გვაძლევს თუ არა უფლებას დავასკვნათ, რომ ხელოვნების მიზანი ბუნების სავსებით ზუსტი მიბაძვაა: ასე რომ ყოფილიყო, განაგრძობს ტენი, მაშინ უაღრესად ზუსტ მიბაძვას უნდა მოეცა უაღრესად მშვენიერი ნაწრმოები, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა.

რომ ხელოვნების არსება არ მდგომარეობს სინამდვილის რაც შეიძლება ზუსტ გადმოღებაში, ამის უამრავი საბუთი არსებობს. მათ შორის, ტენის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, დამარწმუნებელი საბუთი ისაა, რომ ბევრ შემთხვევაში ხელოვნება განზრახ არ არის ზუსტი, შეგნებულად შორდება რეალურ სინამდვილეს. მაშასადამე, რომელიმე გამოსახატავად არჩეულ საგანში აუცილებელია მიბაძვა ზოგიერთი ნიშნისადმი და არა ყველაფრისადმი. ტენის აზრით, ის, რაც უსათუოდ უნდა გადმოვიდეს სინამდვილიდან ხელოვნებაში, არის ნაწილთა ურთიერთთანაფარდობა და ურთიერთდამოკიდებულება. ამრიგად, ზოგადად რომ ვთქვათ, ყველაფერი რაც რეალურ არსებაში (в существе) გვაინტერესებს და რაც ხელოვანმა უნდა გადმოიღოს და გადმოგვცეს, არის ამ არსების შინაგანი ან გარეგანი ლოგიკა. ანუ, სხვა სიტყვებით, მისი წყობა, შედგენილობა, ნაწილთა თანაფარდობა[14].

[14] И. Тэн, Чтения об искусстве, стр. 21.

ამით, ტენის აზრით, აღმოჩენილი და ხაზგასმულია ხელოვნების ამაღლებული ბული ხასიათი, რომლის გამო ხელოვნება გაგებულია არა როგორც ხელის საქმე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც გონების მოღვაწეობა. მაგრამ კვლევის შემდგომ საფეხურზე ხელოვნების არც ეს უკანასკნელი განსაზღვრება აღმოჩნდება საკმარისი. ხელოვნების აურაცხელი ფაქტები გვაიძულებენ ვაღიაროთ, რომ გამოჩენილი ხელოვანი დიდია იმდენად, რამდენადაც იგი ცვლის, არღვევს სინამდვილეში არსებულ საგანთა ნაწილების ურთიერთ მიმართებას.

მაგრამ რით ხელმძღვანელობს ხელოვანი, როცა იგი სახეს უცვლის რეალური ბუნების საგნებს, რა მიზანი ამოძრავებს მას? ხელოვანი, როცა საგნის ნაწილებს შორის თანაფარდობას ცვლის, იმ აზრით ხელმძღვანელობს, რომ უფრო ხელშესახებად გადმოგვცეს საგნის არსებითი ხასიათი, ის, რასაც ფილოსოფოსები საგანთა არსებას უწოდებენ. ამიტომაც ფილოსოფოსები ხელოვნების ამოცანას საგანთა არსების გამომჟღავნებაში ხედავენ[15].

მაგრამ ხელოვნების ასეთი ამოცანის გამართლება ორ პირობას მოითხოვს. ა) საგანთა არსება, არსებითი ხასიათი, ტენის ტერმინოლოგიით, გარკვეული მიზეზების გამო არ უნდა ჩანდეს რეალურ საგნებში. ბ) უნდა არსებობდეს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ საერთოდ არსება მოგვეცეს გრძნობადად. პირველი პირობის შესახებ ტენი წერს: არსებითი ხასიათი, რეალურ სინამდვილეში შეიწროებული, დარღვეულია სხვა მიზეზების ჩარევის გამო, ამიტომ იგი მთელი სისრულით არ ჩანს მასში. ადამიანი გრძნობს ამ უკმარობას და მის შესავსებად ხელოვნებას იყენებს. ყველა ამგვარი უკმაროების შესავსებად ბუნება დამხმარედ ხელოვნებას უხმობს. ბუნებამ ვერ შეძლო საკმაო სიმკვეთრით გამოეყო ხასიათი და სწორედ ეს ხარვეზი უნდა გაასწოროს ხელოვნებამ[16].

მოკლედ, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, ტენის თვალსაზრისი ასეთია: მხატვრული ნაწარმოების ამოცანაა, რაც შეიძლება რელიეფურად და ხელშესახებად გადმოგვცეს არსებითი ხასიათი (საგანთა არსება) ან. უკიდურეს შემთხვევაში, ხასიათი, რომელიც ჰარბობს საგანში. ამისათვის კი ხელოვანი უკუაგდებს რეალური საგნის ყველა ნიშანსა თუ თვისებას, რომელიც ჩქმალავს, აბუნდოვნებს ამ ხასიათს; ასწორებს იმ თვისებებს, რომლებიც უკეთ ამჟღავნებენ, ავლენენ არსებას; ასწორებს იმ თვისებებს, რომლებშიც აღნიშნული ხასიათი დამახინჯებულია[17].

მაშასადამე, ტენის აზრით, ხელოვნების დანიშნულებაა გამოხატოს საგნები და მოვლენები ისე, რომ ჩანდეს გამოსახულის არსება. ე. ი. ხელოვნებაში გამოსახული თავისუფალია ისეთი თვისებებისაგან, რომლებიც მან რეალურ გარემოში არსებობის შემთხვევითი პირობებისაგან შეიძინა. მაგრამ რა ღირებულება აქვს ასეთ შემთხვევაში ხელოვნების შინაარსს? — წმინდა გნოსეოლოგიური. და ამიტომაც ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოების ურთიერთისაგან განსასხვავებლად ი. ტენს მხოლოდ მათში გამოხატული არსების (ხასიათის) მნიშვნელობა, ღირებულება რჩება. მისი აზრით, ერთი მხატვრული

---

[15] И. Тэн, Чтения об искусстве, გვ. 23.
[16] იქვე, გვ. 27.
[17] იქვე, გვ. 173.
[18] იქვე, გვ. 148.

ნაწარმოები მეორისაგან განსხვავდება იმით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რამდენად ღრმა და არსებისმიერია მასში გამოხატული ხასიათი. როცა დიდ ლიტერატურულ ქმნილებებს ვკითხულობთ — წერს ტენი — ვხედავთ, რომ ყველა მათგანი რაიმე ღრმა და მარადიულ ხასიათს ამჟღავნებს. გამომჟღავნებული ხასიათის სიღრმესა და მარადიულობაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ ნაწარმოების ღირსება[18]. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სანამ ხელოვანი გამოხატავდეს არსებით ან მნიშვნელოვან ხასიათს უფრო სრულად და ნათლად, ვიდრე იგი ბუნებაში ვლინდება, მას წინასწარ უნდა ჰქონდეს იდეა გამოსახატავი ხასიათის შესახებ, მაშინ ხელოვნების აღნიშნული გნოსეოლოგიური ღირებულება გამათვალსაჩინოებელ ხელსაწყოს ღირებულებამდე დადის. რაც შეეხება ხელოვნების შინარასის ესთეტიკურ ღირებულებას, რომელიც, თუ ერთადერთი არა, მთავარი მაინცაა ხელოვნების შინაარსის ღირებულებათა შორის, მას ი. ტენის ხელოვნების შინაარსის წარმოშობის თეორია აუხსნელს ტოვებს.

თუ ი. ტენის თვალსაზრისს გარკვეულ შეღავათს მივცემთ და მას არ განვიხილავთ როგორც ისეთს, რომლის მიხედვით ხელოვნება მეცნიერული შინაარსის გრძნობადად მოცემის საშუალებაა, (რაც მას პირდაპირ არსად არ უთქვამს), მაშინ გაუგებარია რისთვის ჭირდება ხელოვნებას მოვლენის ისე გამოხატვა, რომ გამოსახულის ყველა თვისება არსებით განსაზღვრული, არსებიდან მომდინარე, არსებისმიერი — თუ ტენის ტერმინოლოგიით ვიტყვით— არსებით მოცული, არსებას დაქვემდებარებული იყოს?

ამრიგად, ტენის ცდა ხელოვნების შინაარსის თავისებურების ახსნისა დადებითია იმდენად, რამდენადაც ანგარიშში აქვს გაწეული ხელოვნების შინაარსის თავისებურებას და ამოცანაც სწორედ ამ თავისებურების ახსნაშია დანახული. მაგრამ ახსნის შედეგი სურვილის საწინააღმდეგო აღმოჩნდა. ხელოვნების შინარასს ი. ტენის თვალსაზრისში აღარ აქვს შინაარსეული თავისებურებანი, მასთან ხელოვნების ამოცანა არსებული შინაარსის ხორცშესხმად, გაგრძნობადებად არის ქცეული. „ამისთვის (არსებითი ხასიათის გამოვლენისათვის — რ. შ.) ხელოვანი ჰქმნის იდეას ხასიათის შესახებ და იდეის მიხედვით გარდაქმნის რეალურ საგანს“[19].

ხელოვნების შინარასის თავისებურების ახსნის ჩვენს მიერ განხილული ცდები, გამოდიან რა ხელოვნების შინარასის თავისებურებიდან და ცდილობენ რა ამ თავისებურების ახსნას, ან არსებითად უარყოფენ ხელოვნების შინაარსეულ განსხვავებას ცნობიერების სხვა შინაარსებისაგან; ხელოვნების შინაარსის თავისებურების ახსნისას ამ შინაარსის წარმოშობის პრინციპად გნოსეოლოგიური ამოცანის მიჩნევის იქით არ მიდიან და მაშასადამე, იმ ფაქტს უარყოფენ, საიდანაც დაიწყეს კვლევა; ან აღიარებენ მხატვრული ცნობიერების თავისებურ მოქმედებას, მაგრამ ამ თავისებურების მეცნიერულ გაგებას შეუძლებლად მიიჩნევენ.

მხატვრული ცნობიერების თავისებურების კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნ. ჰარტმანის თვალსაზრისი, რომელიც როგორც გამოსავალს, მხატვრული და მეცნიერული ცნობიერების განსხვავების ფაქტს ემყარება. იგი მკაცრ საზღვარს ავლებს მხატვრულ და შემეცნებით აქტებს

[19] И. Тэн, Чтения об искусстве, стр, 148.

შორის — უშუალო ჭვრეტასა და აზრის გამაანალიზებელ მუშაობას შორის. მისი აზრით პრინციპული განსხვავებაა ესთეტიკური სიტუაციის დროს ცნობიერების მოღვაწეობასა და შემეცნებას შორის. ამიტომ ჰარტმანი თავის ერთერთ ამოცანას იმ ესთეტიკური თეორიების კრიტიკაში ხედავს, რომლებიც ხელოვნების თავისებურებას გნოსეოლოგიური ამოცანის ასეთ თუ ისეთ გადაწყვეტად გაიზიარებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჰარტმანი კრიტიკულად უყურებს ბაძვის თეორიას, სულერთია როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი გამოთქმული. ესთეტიკაში არაფერზე არ დაობენ ისე ხშირად, როგორც ხელოვნების ბაძვის თაობაზე. პირველად ამ თეორიას განიხილავდნენ, როგორც საგნების, რეალური პირებისა და მათი მისწრაფებების ბაძვას. მოგვიანებით იგი გაიგეს როგორც ბაძვა იდეებისა, რომლის შესაბამისადაც უნდა გაფორმებულიყო საგნები. ორივე შემთხვევაში ხელოვანს უნდა გამოეხატა რაიმე და მის შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად მიუახლოვდებოდა იგი გამოსახატავს, იდეალს. ამნაირად ხელოვანის შემოქმედება მკაცრად შეზღუდული იყო. იმის შესახებ მსჯელობა, რომ ხელოვანს შეუძლია ისეთი რამ გვიჩვენოს, რასაც სამყარო არ ფლობს, აქ გამორიცხულია[21].

სავარაუდებელია, რომ ნ. ჰარტმანი მონახავს ცნობიერების მოღვაწეობის იმ თავისებურებას, რომელიც სახეზეა ესთეტიკური სიტუაციის დროს. ყოველ შემთხვევაში მისი ძირითადი ამოცანა ასეთია.

საყურადღებოა ნ. ჰარტმანის თვალსაზრისი იმ მხრივაც, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გრძნობადისა და ზეგრძნობადი მომენტების ერთიანობას მხატვრულ შინაარსში.

ნ. ჰარტმანის შეხედულებათა სწორი გაგებისა და კრიტიკისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ დავალაგოთ მისი თვალსაზრისი ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. ესთეტიკური აღქმის ახსნას ჰარტმანი საფუძვლად უდებს აღქმის თავისებურებას საერთოდ. ჩვეულებრივი, ყოველდღიური აღქმა ისეთი რამის შემცველია, რაც საერთოდ შეუძლებელია გრძნობადად მოცემული იყოს. მაგალითად, ადამიანის განწყობილება, ოთახის სილამაზე და ასე შემდეგ. ეს ვითარება უკეთესად შეიძლება ასე დახასიათდეს: აღქმა გადის თავის მოცემულის იქეთ, „იჭრება სიღრმეში“, გრძნობადი მასალიდან ცნობიერება გადადის ისეთ შინაარსზე, რომელიც არაა გრძნობადი, მაგრამ ისე რომ ამ ახალ შინაარსს მხოლოდ აღქმულის არსებობის შემთხვევაში შეუძლია არსებობა. აღქმაში ერთდროულად ორი მხარეა: გრძნობადი და არაგრძნობადი. შესაძლებელია, ამბობს ჰარტმანი, აქ საქმე არ გვქონდეს აღქმასთან, მაგრამ თავი დავანებოთ ტერმინებზე დავას და გავიგოთ ფაქტი ისე, როგორც იგი არის. ფაქტი კი, ჰარტმანის აზრით, ორფენოვანი აქტია. აღქმის დროს გრძნობადი მასალის აღქმას ეფუძნება მაღალი რიგის ჭვრეტა, რომელიც გრძნობადში ხედავს, ჭვრეტს არაგრძნობად შინაარსს, ისეთ შინაარსს, რომელიც რეალურად თუ ვიმსჯელებთ, აღქმული არ ყოფილა. ამ ახალ შინაარსზე აღქმიდან პირდაპირ გადავდივართ ყოველგვარი ლოგიკური ოპერაციის გარეშე. აღქმის ამ „თვითგადასვლას“ ჰარტმანი ახასიათებს, როგორც აღქმის ტრანსცენდირებას.

---

[20] Nicolai Hartmann, Ästhetik, Berlin, 1953, გვ. 2.

[21] იქვე, გვ. 38.

აღქმის ტრანსცენდირების თავისებური სახეა აგრეთვე მისი ემოციური ელემენტები. წმინდა საგნობრივი აღქმა გენეტურად ცნობიერების გვიანდელი პროდუქტია. ბავშვისა და პრიმიტიული ცნობიერებისათვის აღქმის ობიექტი დამძიმებულია ეფექტური აქცენტებით. ყოველდღიურ ცხოვრებაში მოზრდილი ადამიანის აღქმაში ამოკვეთილი ან შევიწროებულია აღქმის ემოციური კომპონენტები. მისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ როგორია საგანი თავისთავად. შესაძლებელია აღქმის საგნის ეს გაწმენდა, ზოგ შემთხვევაში, ბოლომდე არ განხორციელდეს, მაგრამ ტენდენცია ასეთი მიმართულებით ყოველთვის სახეზეა.

განსაკუთრებულ ვითარებას აქვს ადგილი ესთეტიკური აღქმის დროს. ესთეტიკურ აღქმაში მნიშვნელოვანი მომენტია აღქმის ემოციური მომენტები. ესთეტიკური აღქმა თითქოს დაბრუნებაა პირველყოფილი ცნობიერებისაკენ. მაგრამ ესთეტიკურ აღქმასა და პირველყოფილ, პრიმიტიულ ცნობიერების აღქმას შორის პრინციპული განსხვავებაა. უკანასკნელი რეალურად, საგნის თვისებად თვლის აღქმის გრძნობად ტონებს. უფრო მეტიც, იგი თვლის, რომ შიში, მუქარა, მისკენ არის მიმართული და თავს საფრთხის ქვეშ გრძნობს.

ესთეტიკური აღქმის დროს აღნიშნულ ვითარებას ადგილი არ აქვს, ეს იმიტომ, რომ იგი საერთოდ არაა რეალობის შემეცნებითი აღქმა. პირველყოფილ აღქმას იგი მხოლოდ იმით გავს, რომ საერთოდ აღიქვამს ისეთ თვისებებს, რომლებიც „გამჭირვალენი“ არიან და ჰქმნიან შესაძლებლობას ხელახლა დავინახოთ და ვიგრძნოთ საგნის უაღრესად მდიდრად შეფერილი მრავალფეროვნება. მაგრამ ესთეტიკური აღქმა, განსხვავებით პირველყოფილისაგან, არ ცვლის ნამდვილ სამყაროს მისით მოპოვებული მრავალფეროვნებით. დაბრუნება პირველყოფილ აღქმასთან არ არის გარემომცველი სამყაროს პრიმიტიულ გაგებასთან დაბრუნება[22]. ასეთი ვითარება შესაძლებელია იმიტომ, რომ ესთეტიკური აღქმა არ არის შემეცნებითი აღქმა. იგი სხვა მიმართულებით იხედება.

ესთეტიკური და ჩვეულებრივი აღქმის საგანი მაშინაც განსხვავებულია, როცა აღქმის ობიექტი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. „რაციონალურობა და ფხიზელი მისწრაფება მიზნისაკენ რადიკალურად ეთიშებიან აღქმის გრძნობად ტონებს გონით ცნობიერებაში. ეს გაწმენდა ხორციელდება სამყაროში ობიექტური ორიენტაციისათვის. სწორედ ეს ორიენტაცია შორდება ესთეტიკურ ცნობიერებას...“[23] ესთეტიკური ცნობიერებით არ აღიქმება საგანთა ობიექტური კავშირი. მასში ხაზგასმულია მხოლოდ საგნის სუბიექტთან მიმართება. სწორედ იმიტომ, რომ ესთეტიკურ აღქმას არ აინტერესებს რეალური, შესაძლებელია სუბიექტურის ობიექტივაცია. მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, ასეთი სუბიექტურობა არ ამახინჯებს რეალურ სინამდვილეს. იგი რეალური სინამდვილის მეცნიერული შემეცნების გვერდით არსებობს და ყოველ სასურველ შემთხვევაში შესაძლებელია დაუბრუნდეს სინამდვილეს. ესთეტიკური და მეცნიერული ცნობიერება თავისუფლად თავსდება ერთიმეორის გვერდით. მაგალითად, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მხიარული ცის, ნაღვლიანი დღის და სხვა ასეთთა შესახებ, ვიცით, რომ ნამდვილად არც

---

[22] Nicolai Hartmann, Ästhetik, გვ. 51.

[23] იქვე.

ცა შეიძლება იყოს მხიარული და არც ნაღვლიანობა მიგვაჩნია დღესასწაულად. სუბიექტურის და ობიექტურის ასეთი არევა პრიმიტიული შემეცნებითი აღქმისათვისაა დამახასიათებელი.

ყველაფერი ეს ჰარტმანს იმიტომ სჭირდება, რომ დაასაბუთოს ესთეტიკური აღქმის ტრანსცენდირება, საკუთარ ფარგლებს გარეთ გასვლა, უშუალო მოცემულის იქით წასვლა.

ნამდვილად ჰარტმანის თვალსაზრისისათვის აღქმის ტრანსცენდირების სხვა მხარეა უფრო მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, ძირითადი. ესთეტიკურ აღქმაში, ისე როგორც აღქმაში საერთოდ, აღიქმება საგნის სხვადასხვა ფენები. ამ ფენების მიმართება ერთის მეორეში გამოვლენა, გამოჩენაა. მაგალითად, ირმის სილაღე და ნახტომის გრაცია. გრაცია ნახტომისა და სილაღე ირმისა, როგორც ასეთი, აღქმის მონაპოვარი არაა, იგი ესთეტიკური ჭვრეტის შედეგია, მაგრამ ისე ახლოსაა აღქმასთან, რომ აღნიშნული მომენტი აღქმულად განიცდება. ესთეტიკური აღქმის საგნის ფენების ეს მიმართება შესაძლებელია დახასიათდეს როგორც „უშუალობა გაშუალებულისა“[24]. გაშუალება ხდება ჩვენი გრძნობადი შთაბეჭდილებების საშუალებით, უშუალობა არის გაშუალებულის გაქნა აღმქმელ ცნობიერებაში. ამნაირად აღმქმელ ცნობიერებისათვის გაშუალებული არსებობს უშუალოდ და „შეიგრძნობა“ როგორც ასეთი.

ესთეტიკური აღქმის საგნის ეს ორი ფენა ემთხვევა ჭვრეტის ორ გვარს ესთეტიკურად აღმქმელ აქტში. ე. ი. შესაბამისად ესთეტიკური აღქმის საგნის ორი ფენისა ესთეტიკური აღქმაც ორ ჭვრეტას ემყარება. რომ უფრო გასაგები გახადოს ესთეტიკურ აღქმაში ორი რიგის ჭვრეტა, ჰარტმანს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: აი, გაზაფხულის სუნთქვით გამოღვიძებულ ტყეში ორი კაცი მიდის. ორივე დუმს, გატაცებულნი თვალწინ გადაშლილ სურათის ხილვით, ერთი ხსენებული სურათის დანახვისას თავისთვის საზღვრავს, თუ რა ეღირებოდა ხის ესა თუ ის მორი. მეორე აღფრთოვანებულია, გული საბუდიდან გადმოვარდნას ლამობს, თვალს ვერ აშორებს დასკდომამდე დაბერილ კვირტებს, ჩვილ სიმწვანესა და შორეულ სილურჯეს. გრძნობადი შთაბეჭდილებანი ერთი და იგივეა. ობიექტი, საიდანაც ისინი წარმოიშვნენ ერთია. მაგრამ საგანი, რომელიც მათი საშუალებით გამოიხატება, მოსეირნეთათვის სრულიად განსხვავებულია. რა განასხვავებს იმ სხვადასხვა საგნებს, რომლებსაც ნამდვილად ხედავს თითოეული მგზავრი? რასაკვირველია — განაგრძობს ჰარტმანი — განსხვავების მიზეზი ხედვის განსხვავებულ გვარში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა საჭიროა საერთოდ გასეირნება რეალურ ლანდშაფტში? ნათელია, რომ ვინც ესთეტიკურად ტკბება, არ შეუძლია უბრალოდ ფანტაზიაში „ჭვრეტდეს“ ლანდშაფტს, სადაც და როდესაც მას მოესურვება. იგი (ესთეტიკური ტკბობა) დაკავშირებულია ლანდშაფტის რეალურ არსებობასთან და აღქმასთან. მაგრამ ისევე, როგორც პრაქტიკულ ცნობიერებას უერთდება რეფლექსია და მასთან ერთად სხვა საგნობრივ კავშირთა სფერო, ესთეტიკურ ცნობიერებასაც უკავშირდება იმავე ნივთებით გამოწვეული სხვა ჭვრეტა და სხვა არსებულის ხილვა. ეს ორმაგი ჭვრეტა თანმიმდევრულად ხორციელდება. პირველი შეგრძნებების საშუალებით მიმართულია რეალურად არსებულისა-

[24] Nicolai Hartmann, Ästhetik, გვ. 55.

კენ, მეორე — რაღაც სხვისაკენ, იმისაკენ, რაც მხოლოდ ესთეტიკურად აღმქმელ სუბიექტისათვის არსებობს. მაგრამ ეს რაღაც სხვა პროეცირდება არა თვითნებურად, არამედ უშუალო და აშკარა კავშირშია გრძნობადად განჭვრეტილთან[25].

ყველაზე მნიშვნელოვანი, ესთეტიკური აღქმის ამ ორი გვარის ჭვრეტის დროს, ჰარტმანისათვის ისაა, რომ მეორე ჭვრეტის შინაარსი, რომელიც პირველითაა გაშუალებული, ყოველთვის პირველთან ერთადაა მოცემული, უშუალოდ დაინახება, გვევლინება როგორც გამოცხადება, ყოველგვარი გააზრებისა და აბსტრაქციის გარეშე. ესთეტიკური აღქმის ტრანსცედირება ამ შემთხვევაში გრძნობადში არაგრძნობადის გამოცხადებაში მდგომარეობს.

მაგრამ ჩვეულებრივ აღქმასა და ესთეტიკურ აღქმას შორის განსხვავება, ჰარტმანისათვის, ჯერ კიდევ საკითხია, რადგან დახასიათებული გამოვლენის მიმართება აღქმაში, აღნიშნული განსხვავებისათვის საკმარისი არაა. პირიქით, ეს ერთი საერთო ძირია ესთეტიკური და ჩვეულებრივი აღქმისათვის. იმისათვის რომ ესთეტიკური აღქმის თავისებურება გავიზიაროთ, საჭიროა სწორედ ესთეტიკურ აღქმაში გამოვლენის მიმართების თავისებურება გავაანალიზოთ. ესთეტიკურ აღქმაში გამოვლენის მიმართება (გრძნობადისა და ზეგრძნობადის კავშირი) მოცემულია როგორც ასეთი. აქ სახეზეა როგორც გრძნობადი, ისე ზეგრძნობადიც. განსხვავებულ ვითარებას აქვს ადგილი ჩვეულებრივი აღქმის დროს. ჩვეულებრივი აღქმისას გრძნობადი მხოლოდ საშუალებაა სხვაში გადასვლისა, იგი საშუალებაა გარკვეული მიზნისა და, როცა მიზანი მიიღწევა, საშუალება დავიწყებას ეძლევა, რადგან ამოცანა არსებულის გაგებაში მდგომარეობს. ესთეტიკურ აღქმაში საშუალება არსებითი ხდება. ხედვა არ შორდება აღქმის გრძნობად სურათს, ჩერდება მასზე, არასოდეს არ ივიწყებს მას და როცა იგი (ხედვა, ჭვრეტა) მოცემული გრძნობადიდან არაგრძნობადს ჭვრეტს — გამოვლენილს თვლის გრძნობადში არსებულად. ის აღიქვამს მას როგორც გრძნობადში შეგრძნობილს, მხოლოდ მისი წყალობით გამხდარს თვალსაჩინო დასანახად.

„ამრიგად, აღქმა ჭვრეტის სულიერი ამაღლების დროს განზე არ რჩება. უმალ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ იგი მასთან ერთად ადის მაღლა. ეს ის თავისებურებაა, რაც არ ახასიათებს ყოველდღიურ აღქმას. ის (ყოველდღიური აღქმა — რ. შ.) ეფუძნება ცდას, მაგრამ შემდეგ მიტოვებული და დავიწყებასაა მიცემული“[26].

ესთეტიკური ჭვრეტის ეს თავისებურებაც, ჰარტმანის მიხედვით, შესაძლებელია და გასაგები ხდება ესთეტიკური ჭვრეტისა და შემეცნების განსხვავებით. ესთეტიკურ ჭვრეტას არც რაიმეს გაგების ამოცანა ამძიმებს და არც რაიმე მიზნის მიღწევა, რაგინდ მაღალი არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. იგი თავისუფლად მიდის იქით, საითაც მიჰყავთ.

მაგრამ რა ამოძრავებს ესთეტიკურ ჭვრეტას? რა მართავს მას? რადგან ესთეტიკური აღქმა ორი ფენისაგან შედგება — გრძნობადი მასალის აღქმა და ზეგრძნობადი შინაარსის ჭვრეტა, ამიტომ ესთეტიკურ აღქმას, როგორც მთლიან აქტს, ორჯერ სჭირდება რეგულატორი, მიმართულების მიმცემი. თუ ჩვე-

[25] Nicolai Hartmann, Ästhetik, გვ. 33.

[26] იქვე, გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ს. მარქსის სახ. სახ. საბჭ. საბიბლიოთეკო
ოფსპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულებრივი აღქმის დროს ყურადღება ექცევა რომელიმე გრძნობად ნიშანს, სხვა დანარჩენი კი ყურადღების გარეშეა დატოვებული, ეს აიხსნება იმით, რომ მას (აღქმას) გარკვეული ამოცანა ევალება — თეორიული ან პრაქტიკული და აღქმაში რომელიმე გრძნობადი მომენტის დარჩენა ან საერთოდ გრძნობადიდან ზეგრძნობადში გადასვლა, სურათოვნების საერთო დავიწყება; ხსენებული ამოცანითაა მოტივირებული, მართული.

ესთეტიკურ აღქმას ასეთი ამოცანა არ აქვს. ჰარტმანის აზრით, ესთეტიკური აღქმა არც პრაქტიკულია და არც თეორიული. ამავე დროს, როგორც ითქვა, ესთეტიკური აღქმის დროს ყოველთვის სახეზეა გრძნობადი მხარე, გაცილებით მდიდარი დეტალების მხრივ, ვიდრე ჩვეულებრივი აღქმის დროს, და ზეგრძნობადი, როგორც გრძნობადი ფენიდან მოვლენილი. ამიტომ საკითხავია, ჯერ ერთი, რა პრინციპით შეირჩევა აღქმის დროს გრძნობადი დეტალები, რომელიც ესთეტიკური აღქმის წინა ფენას წარმოადგენს, და მეორეც, რა პრინციპით მოძრაობს ჭვრეტა, როცა იგი მოცემული გრძნობადიდან სიღრმისეულ ფენებში იჭრება? რაც შეეხება ესთეტიკური აღქმის გრძნობადი მხარის მართვას, სურათის შექმნის პრინციპს, ჰარტმანს აქვს ცდა ასეთი პრინციპის მონახვისა. მას რამდენიმე პრინციპი აქვს წამოყენებული, ხოლო რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება ჰარტმანისათვის პრობლემად რჩება[27].

ჩვენი საკვლევი საკითხის შესახებ ჰარტმანის თვალსაზრისიდან საყურადღებოა: როცა ესთეტიკური ცნობიერება გაგებულია როგორც მეცნიერული ცნობიერებისაგან განსხვავებული, — მაშინ ესთეტიკური ცნობიერების შინაარსის შექმნის თავისებური პრინციპი უნდა იქნეს აღმოჩენილი და ჰარტმანის თვალსაზრისის დადებითი მომენტი ასეთი პრინციპის მონახვის ცდაში მდგომარეობს. მაგრამ ჰარტმანის თვალსაზრისის ერთ-ერთი ნაკლი, ჩვენი აზრით, იმაშიცაა, რომ ესთეტიკურის მისი კონცეფცია ესთეტიკური ცნობიერების მარეგულირებელი პრინციპის აღმოჩენას შეუძლებელს ხდის,

თუ ჰარტმანი ესთეტიკური აღქმის გრძნობადი ფენის არჩევის მოტივის ახსნას ასე თუ ისე ცდილობდა, ესთეტიკური აღქმის მეორე ფენა, მაღალი ჭვრეტა, გრძნობადში ზეგრძნობადის ხილვა, არაფრისაკენ არ არის მიმართული. სხვანაირად თუ ვიტყვით, ეს ხილვა თავისუფალია; ესთეტიკური სიტუაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა აღიქმება გრძნობადის უკანა პლანად, ესთეტიკური სიტუაციისათვის საკმარისია გრძნობადში არაგრძნობადის გამოვლენა, მიუხედავად იმისა, თუ რა გამოვლინდება. მაგრამ ასეთ დასკვნამდე ჰარტმანი გარკვეული გარემოების გამო მივიდა.

---

[27] ეს საერთოდ დამახასიათებელია ჰარტმანის შრომისათვის. იგი ხშირად ტოვებს ზოგიერთ საკითხს გადაუწყვეტელს, ხან ამ საკითხის ჯერჯერობით სათანადოდ შეუსწავლელობის გამო, ხანაც პრინციპულად მისი შეუმეცნებლობის აღიარებით „ესთეტიკა ცოდნის გვარია მეცნიერებად ქცევის აშკარა ტენდენციით“—წერს ჰარტმანი შრომის შესავალში. ხოლო როცა ესთეტიკის ამოცანად მეცნიერების კანონების შეცნობას მიიჩნევს, შემდეგ დებულებას გვთავაზობს: „ესთეტიკა შეეცდება შეიცნოს ისინი გარკვეულ საზღვრებში. ის, თუ რამდენად მოახერხებს იგი იმას, სხვა საკითხია. არ შეიძლება ამ მიმართულებით ძალიან დიდი იმედი გვქონდეს“

როგორც აღნიშნული იყო, ესთეტიკური აღქმა, როგორც ერთიანი აქტი, ორი ფენისაგან შედგება. პირველი ფენა არის აღქმა გრძნობადი სურათისა, რომელიც მოცემულია; აღქმის მეორე ფენა, მაღალი ჭვრეტა, გრძნობადად მოცემულში ისეთის ხილვაა, რაც უშუალოდ მოცემული არ არის. უფრო მეტიც, გრძნობადი აღქმის შემდგომი პროცესის განხორციელება შეუძლებელია სუბიექტის გარკვეული აქტიურობის გარეშე. ჰარტმანი არა ერთხელ იმეორებს, რომ ესთეტიკური აღქმის სიღრმეში შეჭრა და ამ გზით ზეგრძნობადის გამოვლენა არსებობს მხოლოდ ესთეტიკურად აღმქმელისათვის. მაგრამ ჰარტმანის მიხედვით გრძნობადის უკან ზეგრძნობადის დანახვა, მართალია, სუბიექტის გარკვეულ აქტივობას მოითხოვს, მაგრამ სუბიექტზე დამოკიდებული არ არის. ესთეტიკური აღქმის ორი ფენა შეესაბამება ესთეტიკური საგნის ფენებს და მისით არის განსაზღვრული. ესთეტიკური აღქმა რომ განხორციელდეს, ესთეტიკური საგანი უნდა არსებობდეს, რომელსაც ობიექტურად ექნება გარკვეული დაფენება, აღმქმელი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. მაშასადამე, საქმე ეხება იმის გამორკვევას, თუ რა ფენები არსებობს ესთეტიკურ საგანში, როგორ არიან ისინი გათიშულნი, როგორც ფენები და როგორ ერთიანდებიან, როგორც ერთი საგნის ფენები.

ესთეტიკური საგნის ორმაგობა, როგორც ასეთი, ესთეტიკის ისტორიაში ცნობილი აზრია. ასევე ცნობილია პასუხი, თუ რა არის ის სხვა, რაც დგას საგნის აღქმადი მხარის უკან.

ჰარტმანი მოკლედ გადმოგვცემს ესთეტიკის ისტორიაში არსებულ თვალსაზრისებს, რომლებიც ცდილობენ ახსნან, თუ რა არის ის, რაც აღქმული საგნის უკან და მისი საშუალებით განიჭვრიტება. პლატონისათვის აღქმულის უკან არსებული არის იდეა, რომელიც მხოლოდ უმაღლესი ჭვრეტით მიიწვდომება. ზოგადი, ერთეულისაგან განსხვავებით, გაგებულია რაღაც პროტოტიპის მსგავსად, რომელიც წმინდად და სრულყოფილად იდეალურად არსებობს. ასეთ შემთხვევაში, არსებითად, მშვენიერი არის მხოლოდ იდეა, რომელიც მკრთალად ჩანს ნივთიერ ერთეულში და მისი სრული წვდომა მხოლოდ აღქმისაგან სრული განთავისუფლების შემთხვევაში შეიძლება. ამ ტრადიციის მიხედვით, განაგრძობს ჰარტმანი — საქმე მიდის ჭვრეტისა და მისი ემპირიული ობიექტის განცალკევებისაკენ. ესთეტიკურად აღმქმელის ამოცანა, აღნიშნული შესაძლებლობის მიხედვით, გრძნობად მოცემულიდან ინტელიგიბელურ სილამაზემდე ამაღლებაში მდგომარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ავმაღლდეთ წმინდა, გრძნობადით გაუშუალებელ ჭვრეტამდე. მაგრამ საქმის ასეთი ვითარება, ჰარტმანის აზრით, აშკარად ეწინააღმდეგება გრძნობად მომენტს ესთეტიკური აღქმის აქტში. აღქმისა და აღქმის საშუალებით გამოვლენილის ჭვრეტა აქ ახსნილია შემეცნებითი აღქმის თვალსაზრისით, ინტელექტუალისტურად. საქმე ასეა წარმოდგენილი, რომ ესთეტიკური აღქმის დროს საქმე ეხებოდეს არსების შემეცნებას, ჰარტმანის აზრით, მშვენიერების იდეა რომ მართლაც არსებობდეს და აღნიშნული გზით მიიწვდომებოდეს, იგი მაინც იქნება მშვენიერი ესთეტიკური აზრით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ გერმანული იდეალიზმის თვალსაზრისი ჰარტმანს ჩიხიდან გამოსვლად მიაჩნია. გერმანული იდეალიზმის მიხედვით თვითონ იდეა კი არ არის მშვენიერი, არამედ მშვენიერია „იდეის გრძნობადში გამოვლენა“. მშვენიერების, როგორც გრძნობადში იდეის გამოვლენის ფორმულა, ჰეგელის ფორმულაა, მაგრამ ჰარტმანის სამართლიანი შენიშვნით, იგი

თითქმის ყველა იდეალისტის საკუთრებაა. შოპენჰაუერიც აგრეთვე შეგნებულად იცავდა ამ აზრს, როგორც გაუმჯობესებულ პლატონიზმს.

რა სიახლეს ხედავს ჰარტმანი იდეის გრძნობად გამოვლენაში? ეს სიახლე ჰარტმანის მიხედვით შემდეგია: 1. თვითონ იდეა კი არ არის მშვენიერი, არამედ გამოვლენა და ეს თუ გინდ იდეის გამოვლენა იყოს, იდეა მაინც არ არის. 2. მოვლენა გრძნობადია, ამიტომ საგანი როგორც ასეთი, აღქმის საგანია, რომლისაგანაც მაღალი ჭვრეტა არ თავისუფლდება. 3. რადგან თვითონ იდეა არ არის გრძნობადი, მაგრამ რაღაც გრძნობადში ვლინდება, ამიტომ აღქმის საგანი ორმაგი უნდა იყოს. იგი უნდა შედგებოდეს გრძნობად სახისაგან, როგორც მისი წინა პლანისაგან და იდეისაგან, როგორც უკანა პლანისაგან.

„ამით მოხდენილია გადამწყვეტი მობრუნება მშვენიერის პრობლემის კვლევაში. უკვე ლაპარაკი არ არის მშვენიერის მაღალფარდოვანი მეტაფიზიკის შესახებ, არამედ მშვენიერის შედარებით უფრო ნაკლებ პრეტენზიული და გაცილებით ძნელ შესასრულებელი ფენომენოლოგიის შესახებ. იმავდროულად აღმოჩენილია ორმაგი სახე ესთეტიკური საგნისა. მხოლოდ ახლა შეიძლება სერიოზულად დავიწყოთ მისი არსების ანალიზიდან. ამ არსების ძირითადი მარცვალი უკვე დასანახი გახდა: ის მდგომარეობს გამოვლენის მიმართებაში“[28].

მიუხედავად „იდეის გრძნობადად გამოვლენის“ თვალსაზრისის ასეთი დიდი შეფასებისა, ჰარტმანი მასში მაინც მთელ რიგ ნაკლოვანებას ხედავს და ამ ნაკლოვანებათა დაძლევის აუცილებლობას ასაბუთებს. ჯერ ერთი, თუ გრძნობადში გამოვლენილის შესახებ ვიმსჯელებთ, იგი ერთგვაროვანი არაა: გამოვლენილი შეიძლება იყოს რელიგიური იდეები, მორალური იდეები, განწყობილებანი, ხასიათები და ა. შ. მაშასადამე, ესთეტიკური საგნის უკანა პლანად მხოლოდ ჰეგელისებურად გაგებული იდეის მიჩნევა ფაქტიური შეცდომაა. მეორეც, იდეის გრძნობადში გამოვლენის შესაძლებლობა წინასწარ გულისხმობს როგორც პირობას, რომ ბუნება და ადამიანის სამყარო ფორმირებულია იდეალური პროტოტიპების მიხედვით. დასასრულ, აღნიშნულ სააზროვნო სიტუაციაში, მშვენიერის ღირებულება გაგებულია როგორც გამოვლენილი იდეის სრულყოფილობაზე დამოკიდებული და მისით განსაზღვრული.

„მაგრამ სწორედ ეს არის შეცდომა მოცემული თეორიისა: მშვენიერის არსებას წარმოადგენს არა ის, რომ გამოვლენილი არის სრულყოფილება (პირველი სახე, იდეალური ტიპი), არამედ ის, რომ „ის ვლინდება“, სახელდობრ: 1. რომ ის ვლინდება გრძნობადად და 2. რომ იგი გულგრილია რეალურობისა და ირრეალურობის თვალსაზრისით“[29].

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა განსაზღვრავს ესთეტიკური ფენების არსებობას? იმისათვის რომ ესთეტიკური აღქმა ე. ი. მხატვრული ცნობიერება, განასხვავოს მეცნიერული ცნობიერებისაგან, ჰარტმანი, როგორც ვნახეთ, უარყოფს ესთეტიკური ობიექტის უკანა პლანად რაიმე რეალურის (სულ ერთია, ეს უკანასკნელი არსებითი იქნება თუ ფრაარსებითი, მატერიალური თუ იდეალური) არსებობის აუცილებლობას. ესთეტიკურ აღქმას არ აინტერესებს გრძნობადის საშუალებით მოვლენილის რეალური-ირრეალურობის საკითხი.

---

[28] Nicolai Hartmann, Ästhetik, გვ. 76.

[29] იქვე, გვ. 77.

ესთეტიკური აღქმა არსებობს იმისდა მიუხედავად, რეალურად არსებული მოვლენა გვევლინება გრძნობადში თუ მოვლენილს საერთოდ არა აქვს რეალური არსებობა. ესთეტიკური თვალსაზრისით სულ ერთია ცოცხალი ადამიანის სახის აღქმით ვჭვრეტ მე მის სულიერ განწყობილებას, ვთქვათ, მწუხარებას, რომელიც რეალურია, თუ სურათში ან ქანდაკებაში ამოვიკითხავთ იმავე განწყობილებას, სადაც იგი ირრეალურია. მთავარია ასეთ გამოვლენას ჰქონდეს ადგილი, მთავარია ესთეტიკური ობიექტი „გამჭირვალე“ იყოს. მაგრამ რა ჰქმნის ობიექტის ასეთ გამჭირვალებას იმ შემთხვევაში მაინც, როცა გრძნობადის უკან რეალურად არაფერი არ არსებობს? სხვანაირად: რას ემყარება გრძნობადის და ზეგრძნობადის ურთიერთობა ესთეტიკურ ობიექტში?

ესთეტიკური ობიექტის ფენოვანებას ჰარტმანის მიხედვით განსაზღვრავს ობიექტივაციის ფაქტი, ობიექტივაცია, ზოგადად, არის სულიერი შინაარსის ჩართვა საგანში, გრძნობადში. მაგრამ ობიექტივაცია როგორც ფაქტი, ჰარტმანის მიხედვით, ზოგადი მოვლენაა, ხოლო ესთეტიკური ობიექტი, როგორც ფენოვანი, მისი კერძო შემთხვევაა.

„ობიექტივაცია არის არა მარტო ხელოვნების ნაწარმოები, არამედ ყველა სხვა პროდუქტიც, რომელსაც აწარმოებს ადამიანის გონი, საკუთარი გამოგონების ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოებიდან ლიტერატურულ ნაწარმოებამდე“[30].

როგორც ნ. ჰარტმანის გადმოცემული თვალსაზრისიდან ჩანს, მთელი მისი ყურადღება იქითკენაა მიქცეული, რომ ესთეტიკური სიტუაციის დროს ცნობიერების ხასიათი, ე. ი. მხატვრული ცნობიერება განასხვავოს პრაქტიკული და უმთავრესად მეცნიერული ცნობიერებისაგან. საწინააღმდეგო თეორიების კრიტიკისას მისი მთავარი არგუმენტი მხატვრული ცნობიერების არაგნოსეოლოგიური ბუნების ჩვენებაა, მაგრამ დადებითად რით ხასიათდება მხატვრულის ცნობიერება, ამის ჩვენებას ვერც ჰარტმანი ახერხებს. უფრო მეტიც, თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ჰარტმანი საერთოდ უარყოფს მხატვრული ცნობიერების არსებობას, მხატვრული ცნობიერების პროდუქტიულ მოღვაწეობას. ესთეტიკური სიტუაციის არსებობას მისი თეორიის მიხედვით არ სჭირდება ცნობიერების რაიმე შინაარსი. მისი თეორიის მიხედვით ესთეტიკურად ფასდება არა რაიმე რეალური ობიექტი, (ე. ი. ესთეტიკური ემოცია ცნობიერებაში რაიმე არსებულის ასახვის ან გარკვეულად გადამუშავების შედეგად გაჩენილ შინაარსის ბაზაზე კი არ ჩნდება), არამედ ობიექტის თვისება იყოს „გამჭირვალე“. ესთეტიკური ტკბობა სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გრძნობადში ჩანს ისეთი რამ, რაც თავისი ბუნებით არაა ჯრძნობადი, სულ ერთია რა ღირებულების იქნება თავისთავად ეს მოვლენილი, გამოცხადებული შინაარსი. ჰარტმანს არ მოუცია ესთეტიკური სიტუაციის შესაქმნელად ცნობიერების მოღვაწეობის რამე თავისებური გზა. მის მიერ ნაჩვენები გრძნობადიდან არაგრძნობადში გადასვლა, აღქმის ტრანსცენდირება საერთოდ აღქმისათვის არის დამახასიათებელი, ესთეტიკური ობიექტის ფენოვანება ობიექტივაციის საერთო მოვლენის კერძო შემთხვევაა. ამიტომაც ესთეტიკური ცნობიერების თავისებურება, ხელოვნების თავისებური შინაარსი, დაყვანილია გრძნობადში ზეგრძნობადის დანახვამდე. ესთეტიკური ჭვრეტა თავისთავადია

[30] Nicolai Hartmann, Ästhetik, გვ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ აზრით, რომ იგი არ გადის გრძნობადში მოვლენილის ხილვის იქით. ნილვის მხოლოდ ამ პროცესში არსებობს მისთვის ესთეტიკური ტკბობა. არსებითად, ჰარტმანის თეორიის მიხედვით, ესთეტიკური ტკბობა უობიექტო ტკბობაა. ამიტომაც მხატვრული ცნობიერება არავითარი სპეციფიკური გარეშინაარსის შემცველი არაა და ასეთი თეორიის ავტორს არც სჭირდება რაიმე პრინციპი მხატვრული ცნობიერების შინაარსის შესაქმნელად.

მართალია, ნ. ჰარტმანის თვალსაზრისი მხატვრული ცნობიერების ნაწარმოების განოსეულოგიურ ხასიათს უარყოფს, მაგრამ ეს უარყოფა ფორმალიზმის პოზიციებიდან ხდება. მხატვრული ცნობიერების განოსეულოგიური წარმოშობის უარყოფასთან ერთად, საერთოდ, უარყოფილია მხატვრული შინაარსი. ე. ი. უარყოფილია ესთეტიკური ტკბობის ობიექტი. ნ. ჰარტმანისათვის ესთეტიკური ცნობიერებისათვის რაიმე ობიექტის მოცემის ფორმალური პირობაა და არა თვითონ ობიექტი. ამიტომაც ნ. ჰარტმანის თვალსაზრისი ხელოვნების უიდეობის, სოციალური უმიზნობის, ანტიხალხურობის, ესთეტიკური „არისტოკრატიზმის“ დასაბუთების ცდაა. ხელოვნების აქტიური საზოგადოებრივი დანიშნულების უარყოფაა.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული თეორიები, რომლებიც ხელოვნების შინაარსის წარმოშობას ეხებიან, შეიძლება 3 ჯგუფად გაიყოს:

ა) თეორიები, რომელთა მიხედვით არ არსებობს მხატვრული შინაარსის წარმოშობის რაიმე სპეციფიკური ხერხი. მხატვრული შინაარსის ფაქტიური თავისებურების ახსნას ეს თეორიები, ზოგადად თუ ვიტყვით, მეცნიერული შინაარსის გრძნობადებაში ხედავენ, მაგრამ ჯერ ერთი მეცნიერული შინაარსის გაგრძნობადება საერთოდ შეუძლებელია. მეორეც, არ არსებობს რაიმე საბუთი, რომელიც დაგვარწმუნებდა მეცნიერული შინაარსის გრძნობადების აუცილებლობაში.

ბ) თეორიები, რომლებიც მხატვრული შინაარსის არაგნოსეოლოგიურ წარმოშობას აღიარებენ, მაგრამ მხატვრული შინაარსის შექმნის წესის, „მხატვრული ლოგიკის“ გაგების შესაძლებლობას უარყოფენ. ამ თეორიების მიხედვით ცნობიერების მოქმედება უწესრიგო და ირაციონალურია.

გ) ფორმალისტური თეორია, რომელიც საერთოდ უარყოფს რაიმე შინაარსის ესთეტიკურობას, ცნობიერების მხატვრული შინაარსის არსებობას.

აღნიშნული თეორიების კრიტიკული განხილვის საფუძველზე ჩვენ შემდეგ აზრამდე მივედით: ხელოვნების სპეციფიკური შინაარსის წარმოშობის ახსნა ცნობიერების თავისებური მოქმედების გარეშე შეუძლებელია. ხოლო მხატვრული შინაარსის შექმნის წესის შეუცნობადობის აღიარება, გარდა იმისა, რომ თეორიულად გარკვეული აგნოსტიციზმია, ფაქტიურად მცდარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენის ამბების გამოძახილი საქართველოში[1]

ვ. ჯიქია

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა)

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ დადგა რეაქციის პერიოდი, რომელიც ვ. ი. ლენინის მოსწრებული თქმით, ისტორიაში შევიდა, როგორც შავრაზმული კონტრრევოლუციის პარპაშის, ლიბერალურ-ბურჟუაზიული რენეგატობისა და პროლეტართა გულგატეხილობისა და დაქსაქსვის ეპოქა[2].

თვითმპყრობელობას რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობაში ეხმარებოდნენ ადგილობრივი მემამულეები და თავადაზნაურები, რომელთა მოთხოვნითაც მთავრობა გზავნიდა იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში დამსჯელ საექსპედიციო რაზმებს.

ცარიზმს მხარს უჭერდნენ მენშევიკებიც თავიანთი მოღალატური მოქმედებით, როცა გაფიცვების მოწყობისა და არალეგალური მუშაობის წინააღმდეგ გამოვიდნენ და მოითხოვდნენ პროლეტარიატის პარტიის ლიკვიდაციას.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ბოლშევიკებს გამარჯვების რწმენა არ დაუკარგავთ. გააფთრებული პოლიციური დევნის ვითარებაში ისინი არალეგალურ მუშაობაზე იღებდნენ ძირითად გეზს. მათ მიაჩნდათ რევოლუციური მოძრაობის ახალი აზვირთება გარდაუვალად და ამზადებდნენ ხალხთა მასებს მომავალი ბრძოლებისათვის.

რევოლუციონერთა დევნა-შევიწროებასთან ერთად მდგომარეობას ართულებდა აგრეთვე ისიც, რომ ერთმანეთისადმი დიამეტრალურად საწინააღმდეგო დამოკიდებულებას იჩენდნენ ბოლშევიკები და მენშევიკები საქართვე-

---

[1] სტატიაში გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. ამ პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ლენის ოქროს საბადოების მუშების დახვრეტა, რამაც აღაშფოთა რუსეთის იმპერიის, მათ შორის, საქართველოს ხალხთა მასები, რომლებმაც, ისე როგორც 1905 წლის „სისხლიან კვირასთან“ დაკავშირებით, მკაფიოდ გამოავლინეს რუსეთისა და საქართველოს მშრომელთა სოლიდარობის ნათელი სურათი ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს თემა ინტერესს მოკლებული არაა, მით უფრო, როცა რევოლუციური მოძრაობის საკვანძო საკითხები საქართველოში რეაქციისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში სპეციალური კვლევის საგანი დღემდე არ ყოფილა, თუმცა საქართველოს ისტორიის აღნიშნული მონაკვეთი განხილულია შემდეგ ნაშრომში—„საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები“ (1957 წ.); მ. ცერცვაძის—„Революционное движение в Грузии в 1914—1917 гг.,“ ნაწ. I (1958 წ.). ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორია XIX—XX სს.“, ნაწ. II, 1959 წ.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 110.

ლოში მაშინ შექმნილი ვითარებისადმი[3]. თუ ბოლშევიკები, ხელმძღვანელობ-დნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ „...რეაქციის არავითარ, უაღრესად სრულ გამარჯვებასაც კი, კონტრრევოლუციის არავითარ ზომებს არ შეუძლია მოსპოს მეფის თვითმპყრობელობის მტრები, მემამულური და კაპიტალისტური ჩაგვრის მტრები...“[4] ე. ი. მილიონობით მუშები და გლეხები, ამზადებდნენ მშრომელ მასებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მენშევიკ-ლიკვიდატორები კი, პირიქით, უარყოფდნენ რევოლუციური ბრძოლის აღმავლობის ფაქტს და ამით გზა-კვალს უბნევდნენ მშრომელ მასებს. ისინი გაიძახოდნენ ამიერკავკასიის რაღაც „თავისებურებაზე“[5], და აღნიშნავდნენ, რომ ამიერკავკასიის მუშებს რუსეთის მუშათა მოძრაობასთან ერთი გზა არა აქვთო.

მართალია, რეაქციამ გამოიწვია რევოლუციის უკან დახევა, მშრომელთა ბრძოლის დროებით შენელება, მაგრამ 1910 წლის მეორე ნახევრიდან როგორც რუსეთში, ისე საქართველოში იწყება მასების რევოლუციური განწყობილების გამოცოცხლება, რაც სულ მალე ახალი რევოლუციური აღმავლობით შეიცვალა.

ვ. ი. ლენინი, მიუთითებდა რა ახალი რევოლუციური აღმავლობის ხანის დაწყებაზე, 1910 წლის დეკემბერში წერდა, რომ „შავრაზმული რეაქციის სრული ბატონობის ხანა გათავდა, იწყება ახალი აღმავლობის ხანა. პროლეტარიატი, რომელიც უკან იხევდა — თუმცა დროის დიდი შუალედებით — 1905 — 1909 წლებში, ძალღონეს იკრებს და შეტევაზე გადასვლას იწყებს“[6].

საქართველოში 1910 წლის მეორე ნახევრიდან რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლებას უმთავრესად ხელი შეუწყო მრეწველობის შემდგომმა წინსვლამ. ვინაიდან მრეწველობის ზრდა-განვითარებას სრულებით არ მოყოლია მუშათა მდგომარეობის მცირეოდენი გაუმჯობესებაც, პირიქით, წარმოების ინტენსიობამ და სამრეწველო საწარმოების გამსხვილებამ გააუარესა მუშათა ცხოვრების პირობები: ბევრი არაკვალიფიციური მუშა დარჩა უმუშევრად, სამუშაო დღე გრძელდებოდა 12 — 14 საათს და დღიური სამუშაო ხელფასი 60 — 70 კაპ. შეადგენდა. გარდა ამისა, მძარცველური ჯარიმებით მეწარმენი უკანასკნელ გროშს აცლიდნენ მუშებს, ფართოდ იყო გამოყენებული ქალებისა და ბავშვების შრომა; მუშას თავისი ოჯახით უხდებოდა ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრება და არ იყო საექიმო მომსახურება.

ამიტომ 1910 — 1911 წლებში ადგილი ჰქონდა ჩვენში მუშათა საგაფიცვო ბრძოლებს; განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ის თბილისის, ბათუმის, ფოთისა და სხვა საწარმოებში. გაფიცულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ციხეებში ჩაყარეს, ან გადაასახლეს. აღნიშნულ წლებში ბოლშევიკი აგიტატორების გავლენით იწყება მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა გამოსვლებიც, ხდება მემამულეებზე თავდასხმა, მათი სახლკარის გაპარტახება, იყო მემამულეთა მოკვლის რამდენიმე შემთხვევაც. საგრძნობლად დაეცა დისციპლინა ჯარის ნაწილებშიც; რიგითი ჯარისკაცები, ბოლშევიკური პროკლამაციებითა და ფურც-

---

[3] რეაქციის' შედეგად განადგურებული თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ადგილს იკავებს 1911 წლის დასაწყისიდან თბილისის ბოლშევიკთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც მძიმე არალეგალურ პირობებში ენერგიულად შეუდგა ორგანიზაციის აღდგენას.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 443.

[5] ა. კირკვაძე, საქართველოს ისტორია, II, 1959, თბ., გვ. 310.

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 445.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებით გათვითცნობიერებულნი, უკვე ბრმა იარაღს არ წარმოადგენდნენ რევოლუციულად განწყობილ ოფიცერთა ხელში.

მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის გაფართოებას ბიძგი მისცა ლენის სისხლიანმა ამბებმაც. ლენის ოქროს საბადოები ეკუთვნოდა სააქციო საზოგადოებას — „ლენის ოქროს მრეწველობის საზოგადოება“ („ლენზოტო“) სახელწოდებით, რომლის სათავეში იდგნენ მეფის საგვარეულოს ზოგიერთ პირთან ერთად ინგლისელი და რუსი კაპიტალისტები.

საბადოების ადმინისტრაცია სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა მუშებს, რომელთა შრომისა და ცხოვრების პირობები ისედაც აუტანელი იყო[7]. მუშებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1911 წელს შეადგინეს საგაფიცვო კომიტეტები და დაიწყეს მეწარმეთა წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლა.

1912 წლის 4 აპრილს ადმინისტრაციისადმი მუშების მიერ წაყენებულ სამართლიან მოთხოვნებს: 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესების, ხელფასის მომატების, ჯარიმების გაუქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესახებ, მთავრობამ ტყვიით უპასუხა. ამ დღეს ცარიზმის დაქირავებულმა ჯალათებმა მოკლეს 270 და დაჭრეს 250 მუშა, ამ სისხლიანმა ტრაგედიამ ხალხთა ფართო მასების აღშფოთება გამოიწვია, რასაც თავისი პროტესტის ხმა შეუერთეს საქართველოს მშრომელებმაც.

*

* *

ახალი რევოლუციური აღმავლობის ინტერესები უპირველეს ყოვლისა მოითხოვდა მენშევიკების მავნე გავლენისაგან მუშათა კლასის განთავისუფლებას. ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ერთ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ფორმალური გაერთიანებისათვის ბოლოს მოღება, რაც პრაღის ბოლშევიკურმა კონფერენციამ საბოლოოდ გადაწყვიტა 1912 წლის იანვარში. ამის შემდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციები გაფორმდნენ დამოუკიდებელ პარტიად.

პრაღის კონფერენციის შედეგების შესახებ თბილისში ბოლშევიკების არალეგალურ კრებაზე იმავე წლის თებერვალში მოხსენებით გამოვიდა ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის წევრი ს. სპანდარიანი. აღნიშნული კრების მიერ ერთსულოვნად მოწონებულ იქნა პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებანი და ფართოდ გაიშალა მუშაობა არალეგალური ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცებისა და ლეგალური შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. დაიწყო ბოლშევიკური პროპაგანდა უაღრესად კონსპირაციულ პირობებში.

თბილისის სამრეწველო საწარმოების მოწინავე მუშები მოუთმენლად ელოდნენ ყოველი ახალი ბოლშევიკური პროკლამაციისა და საგიტაციო ფურცლის გამოჩენას[8], რომელთა დახმარებით სიმართლეს იგებდნენ არსებული

---

[7] Вендрих, Ленские события, ირკუტსკი, 1956, გვ. 9—10.

[8] ამ დროისათვის სასტიკი რეპრესიების გამო თბილისის ბოლშევიკები უფრო მოკლებულ იყვნენ საჭირო პირობებს აგიტაცია-პროპაგანდის გასაშლელად ვიდრე მენშევიკები. ბოლშევიკებს არ ჰქონდათ საკუთარი გაზეთი, მაგრამ მაინც ახერხებდნენ კონსპირაციულად

წყობილების უკუღმართობის შესახებ. ისინი შეუნელებლივ ადევნებდნენ თვალს ლენის საბადოებში მომხდარ ამბებს.

ერთ-ერთ სააგიტაციო ფურცელში, რომელიც წარმოადგენდა თბილისის მუშების მიმართვას სახელმწიფო სათათბიროსადმი, გამოთქმული იყო გულისწყრომა ლენის უდანაშაულო მუშების დახვრეტის გამო. „ჩვენ, ქ. თბილისის მუშები, ნათქვამი იყო ამ მიმართვაში, გავიგეთ რა იმ უბედურების შესახებ, რაც შეხვდა ჩვენს ამხანაგებს ლენის საბადოებში, ვართ ღრმათ აღშფოთებული ხელისუფლების უხეში თვითნებობით, რომელმაც მუშების სამართლიან მოთხოვნებს ტყვიით უპასუხა. კატეგორიულად მოვითხოვთ საქმის დაუყოვნებლივ გამოძიებას და ამ ბოროტმოქმედების ჩამდენთა გასამართლებას“[9].

თბილისის მუშებმა გადაწყვიტეს, 1 მაისის დღესასწაული აღენიშნათ ლენაზე უიარაღო მუშების დახვრეტის საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობით. წინასწარდათქმული პირობით მუშებს თავი უნდა მოეყარათ კოჯრის გზაზე, და შემდეგ გაევლოთ თბილისის ქუჩებში, მაგრამ ჟანდარმერიამ, გაიგო რა პოლიციის აგენტების დახმარებით ამის შესახებ, მიიღო სათანდო ზომები და აღნიშნული დემონსტრაცია არ შემდგარა. სამაგიეროდ მუშებმა ფარულად მოწყობილ მიტინგზე განიხილეს ლენის ამბები და შეიმუშავეს სათანადო რეზოლუციაც.

საქართველოში ბოლშევიკების გავლენის ზრდაზე და მათი პროკლამაციების ეფექტურ გავრცელებაზე მიგვითითებს წერილი, რომელიც თბილისიდან გაეგზავნა ვ. ი. ლენინს 1912 წლის 19 მაისს, სადაც ნათქვამია მუშების მიერ ფარული კრებების მოწყობისა და პროკლამაციების დიდი რაოდენობით გავრცელების შესახებ. მაგალითად, პირველი მაისისათვის, როგორც ჩანს, გავრცელებულა 5360 ფურცელი ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე[10].

1911 წელს და უფრო მეტად 1912 წლის პირველი ნახევრიდან მუშების აშკარა გამოსვლამ საქართველოს ყველა სამრეწველო საწარმოში მასიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშების საგაფიცვო მოძრაობა თბილისში. თბილისის გუბერნატორი 1912 წლის 11 ივნისის მოხსენებაში აცნობებდა პოლიციის დეპარტამენტს თბილისის თექის ფაბრიკის მუშების 4 მაისის გაფიცვის შესახებ, რომელიც მუშების გამარჯვებით დამთავრებულა[11].

26 მაისს მუშაობა შეწყვიტეს ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშებმა, რომელთა მოთხოვნა იყო: 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ჯარიმების მოსპობა, ხელფასის მომატება და მისი დროულად გაცემა. გაფიცვა გაგრძელდა რამდენიმე დღეს და მეფაბრიკე იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მუშები. მაგრამ სულ მალე ისევ დაიწყო მუშების დაჯარიმება მცირეოდენი დანაშაულისათვის, ხშირი გახდა ხელფასის დაგვიანებით გაცემა. უკმა-

---

დაებეჭდათ პროკლამაციები და ფურცლები, სადაც მიუთითებდნენ რა ლენის ოქროს საბადოების მუშების მხეცურ დახვრეტაზე, მოუწოდებდნენ მასებს არსებული წყობილების წინააღმდეგ. თბილისშივე დაიბეჭდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროკლამაცია—„გაუმარჯოს პირველ მაისს“ და სხვა სააგიტაციო ფურცლები.

[9] საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (საქ. ცსია), ფ. 3-ს, საქ. 553. ფურც. 43; ფ. 7-ს, საქ. 2466, ფურც. 60—61.

[10] М. Церцвадзе, Революционное движение в Грузии в 1914—1917 гг. ნაწ. I, მოსკოვი, 1957, გვ. 78.

[11] საქ. ცსია, ფ. 2-ს საქ. 2345, ფურც. 252—153.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილო მუშებმა იმავე წლის 23 ივნისს კვლავ გაფიცვა გამოაცხადეს, ამჯერადაც რამდენიმე დღის შემდეგ მეფაბრიკემ შესძლო დაპირებით მუშების დაწყნარება და მუშაობის განახლება, მაგრამ შემდეგ მთელი აგვისტოს განმავლობაში ფაბრიკა მუშათა გაფიცვების გამო გაჩერებული იყო[12].

მნიშვნელოვანია ტრამვაის მუშების გაფიცვაც 1912 წლის ივნისში, რომელსაც ხელმძღვანელობდა რსდმპ თბილისის ორგანიზაცია[13]; ტრამვაის მუშებში არალეგალურად ვრცელდებოდა ბოლშევიკური პროკლამაციები და საგიტაციო ფურცლები. გაფიცვა იყო ორგანიზებული. მუშებმა არალეგალურ კრებაზე შეიმუშავეს ტრამვაის ადმინისტრაციისადმი წარსადგენი მოთხოვნილებანი, სადაც ძირითადი იყო 8 საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის მომატება, კონტროლიორების დანიშვნა მუშათა რიგებიდან და არა ადმინისტრაციის არჩევით და სხვ[14].

თბილისის ტრამვაის მუშები ხშირად ფარულად იკრიბებოდნენ ნაძალადევში (ახლა ლენინის რაიონი თბილისში), სადაც ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებზე და იხილავდნენ ადმინისტრაციისადმი წარსადგენ მოთხოვნილებებს. ერთ-ერთ ასეთ კრებაზე ნაძალადევის ბაღში 1912 წლის 24 აგვისტოს თბილისის ტრამვაის მუშებმა გადაწყვიტეს, მასიურად გაეშალათ ფარული აგიტაცია სხვა საწარმოების მუშების მოსამხრობად[15].

იმავე წლის აგვისტოს ბოლოს მლაშე ტბის ახლო მოწვეულ იქნა თბილისის ტრამვაისა და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების[16] მუშათა გაერთიანებული კრება, სადაც მიღებულ იქნა ერთსულოვანი გადაწყვეტილება საგაფიცვო მოძრაობის ფართოდ გაშლის შესახებ[17].

1 ოქტომბერს ტრამვაის ერთ-ერთი კონტროლიორის სახლში თათბირის დროს მუშებმა დაადგინეს დაემყარებინათ კავშირი ქუთაისის საწარმოების მუშებთან[18].

ოქტომბრის დასაწყისში გაიფიცნენ ბ. ნ. საფარიანცისა და ა. ო. ტერსააკიანის მზატანსაცმლის მაღაზიის სამკერვალო სახელოსნოს მუშები, 19 ოქტომბერს გაფიცვა დამთავრდა მუშათა გამარჯვებით[19].

---

[12] საქ. ცსია, ფ. 2-ს, საქ. 2345. ფურც. 152—153.

[13] თბილისის ბოლშევიკების „ხელმძღვანელი ჯგუფი“ 1912 წლის პირველ ნახევარში გადაკეთდა ხელმძღვანელ ორგანიზაციად და ასრულებდა ბოლშევიკების თბილისის კომიტეტის როლს, რომლის მდივანი იყო ე. სტასოვა. ბოლშევიკების აღნიშნულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციამ დაიწყო პარტიული უჯრედების შექმნა თბილისის საწარმოებში.

[14] საქ. ცსია. ფ. 7-ს. საქ. 2632. ფურც. 31.

[15] იქვე, ფ. 4-ს, საქ. 58, ფურც. 48.

[16] ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მოწინავე მუშების საგრძნობი ნაწილი რსდმპ თბილისის ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ივნისის დასაწყისში მოახერხა ხელში ჩაეგდო ზოგი მათგანი და ადმინისტრაციული წესით 5 წლით გადაასახლა ამიერკავკასიის ფარგლებიდან (იხ. საქ. ცსია, ფ. 2-ს, საქ. 2562, ფურც. 1—100).

[17] საქ. ცსია, ფ. 4-ს, საქ. 58, ფურც. 32.

[18] იქვე, ფურც. 49—50.

[19] იქვე, ფ. 2-ს, საქ. 2382, ფურც. 43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას იპყრობს ჭიათურის მარგანეცის მუშების ბრძოლა მეწარმეების წინააღმდეგ 1912 წელს[20].

ქუთაისის გუბერნატორის 1912 წლის ივლისის მოხსენებიდან კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიისადმი და პოლიციის დეპარტამენტისადმი[21] ირკვევა, რომ 1912 წლის მაისში დარკვეთის მარგანეცის ავგუსტ მიულსის ქარხნის მუშებმა (ეკუთვნოდა საფრანგეთის სააქციო საზოგადოებას) ერთბაშად მოსთხოვეს ქარხნის ადმინისტრაციას ხელფასის მომატება 20 კაპ. რაოდენობით დღეში: როცა ქარხნის დირექტორმა ინჟინერმა ტობურიემ ეს მოთხოვნა უარყო, მუშებმა უარი განაცხადეს სამუშაოდ გამოსვლაზე და მართლაც მალე ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა[22].

ამ დროს მუშათა გაფიცვას ბოლშევიკები ჩაუდგნენ სათავეში[23] და მას ორგანიზებული ხასიათი მისცეს. გაფიცულმა მუშებმა მოითხოვეს 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მუშებისათვის აბანოს მოწყობა, თავაზიანი მოპყრობა, მუშების დღიურ ხელფასად 1 მან. და 20 კაპ. დაწესება.

ადმინისტრაცია დაჰპირდა მუშებს აღნიშნულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რის შემდეგ გაფიცვაც შეწყდა და ქარხანამ განაახლა მუშაობა, მაგრამ გამოირკვა, რომ ადმინისტრაციას არ სურდა 12 საათიანი სამუშაო დღე შეემცირებინა და სამუშაო დღეზე 80 კაპ. მეტი მიეცა მუშებისათვის. მას უნდოდა მხოლოდ დრო მოეგო მოლაპარაკების გაჭიანურებით და ხელისუფლებისაგან დახმარების მიღების შემდეგ ძალა ეხმარა, რამაც მუშები უფრო აღაშფოთა[24].

ჭიათურაში რსდმპ მიერ შექმნილ იყო საგაფიცვო ბიურო 7 კაცის შემადგენლობით, რომელიც აწარმოებდა ფართო აგიტაციას მუშებს შორის[25].

საგაფიცვო ბიუროს მითითებით დარკვეთის მარგანეცის მრეწველობის ქარხნის მუშებმა 1912 წლის 6 ივნისს გაფიცვა გამოაცხადეს. ახლა მუშებმა (ხელს აწერდა 126 მუშა) გადასცეს ადმინისტრაციას მოთხოვნა — ხელფასის გადიდების, სამუშაო დღის შემცირების, მუშათა და მათი ოჯახების სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, შრომისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების და სხვ. შესახებ. გაფიცვა დამთავრდა ივლისის დამდეგს, როცა მუშათა მოთხოვნილება ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ იქნა[26].

---

[20] გ. არუთინოვი თავის სადოქტორო დისერტაციაში — „მუშათა მოძრაობა ამიერკავკასიაში ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში (1910—1914 წწ.)" განიხილავს ჭიათურის მუშათა 1913 წლის ზაფხულის გაფიცვებს (იხ. ავტორეფერატი, გვ. 35, ბაქო. 1960 წ.) და ყურადღებას ამბობს ჭიათურის მარგანეცის მუშათა 1912 წლის ბრძოლაზე მეწარმეთა წინააღმდეგ, მაშინ როცა ამ ბრძოლამ ბიძგი მისცა 1913 წლის ამბებს ჭიათურის რაიონში და განსაკუთრებით აგრეთვე, ჩვენი აზრით, რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გაშლაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც.

[21] საქ. ცსია, ფ. 2-ს, საქ. 2345, ფურც. 156.

[22] საქ. ცსია, ფ. 6-ს, საქ. 166, ფურც. 417—419

[23] კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი მიუთითებდა ამ დროისათვის ძლიერი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების არსებობაზე ქუთაისში, ჭიათურაში, ბათუმში, სოხუმში, სამტრედიასა და ფოთში (იხ. საქ. ცსია, ფ. 13-ს, ან 27, საქ. 5117, ფურც. 40—46).

[24] საქ. ცსია, ფ. 6-ს, საქ. 166, ფურც. 539.

[25] საქ. ცსია, ფ. 6-ს, საქ. 166, ფურც. 539—540.

[26] საქ. ცსია, ფ. 3-ს, საქ. 605², ფურც. 3—9.

მუშების, ერთი შეხედვით ამ ეკონომიური ხასიათის, მოთხოვნებში პოლიტიკური მიზანი იყო ჩაქსოვილი. ეს მდგომარეობა არ გამოპარვია მხედველობიდან ყანდარმერიას, როცა მისი ერთ-ერთი მოხელე ქუთაისიდან მეფისნაცვალს ატყობინებდა ჭიათურის მაღაროების, კერძოდ, დარკვეთის ავგუსტ მიულსის მარგანეცის ქარხნის მუშათა გაფიცვების შესახებ. იგი წერდა: „დარკვეთში მიულსის მარგანეცის საწმენდმა ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა გაფიცვებისა გამო (გაფიცულია 100-მდე მუშა); გარეგნულად გაფიცვა ატარებს ეკონომიურ ხასიათს, მაგრამ სინამდვილეში გაფიცვა წმინდა პოლიტიკური შინაარსისაა (ხაზგასმა ჩემია — ვ. ჯ.) და ამასთან პირველი ცდაა მუშათა მომავალი გაფიცვების დასაწყისისა ჭიათურის რაიონში... ჩემი შეხედულებით, — ნათქვამია მიმართვაში, — ამ გაფიცვაში იფარება პოლიტიკური სარჩული, ვინაიდან ამ საკითხით (ე. ი. გაფიცვების მოწყობით — ვ. ჯ.) უფრო მეტად, ვიდრე მუშათა კლასი, დაინტერესებულია პოლიტიკურად „არაკეთილსაიმედო“ პირები“[27], რომ გაფიცვების მოწყობის აზრი პირველად წარმოიშვა ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციაში[28] და სხვ.

ლენის მუშათა დახვრეტას პროტესტით შეხვდნენ ბათუმის ნობელის ქარხნის მუშები. მას თავიანთი ხმა შეურთეს ბათუმის სხვა სამრეწველო საწარმოების მუშებმაც.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში გაერთიანებული იყვნენ ბათუმის დეპოს, როტშილდისა და ხაჩატუროვის ქარხნების მუშები. ამ ორგანიზაციის სათავეში იდგა კომიტეტი ხუთი კაცის შემადგენლობით[29], რომელიც ხელმძღვანელობდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობას.

1912 წლის 4 ივნისს გაფიცვა გამოაცხადეს ნავსადგურის მტვირთავმა მუშებმა: მათ მოითხოვეს ხელფასის მომატება და ჯარიმების გაუქმება. გაფიცვა არაორგანიზებულობის გამო დამარცხდა.

მნიშვნელოვანია კავკასიის სპილენძის მრეწველობის საზოგადოების ძანსულის (აჭარა) საბადოების მუშების მღელვარება. 1912 წლის 5 აგვისტოს ძანსულის საბადოების მმართველ ამერიკელ ნილანდას მოკვლის მიზნით თავს დაესხა ამ საბადოს ყოფილი მუშა მარგალიტაძე. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავის 12 აგვისტოს მოხსენებაში არწმუნებდა მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებულ განყოფილებას ამ ინციდენტის კერძო ხასიათის შესახებ, რომ იგი მუშების საერთო განწყობილებას არ გამოხატავსო[30], მაგრამ ადმინისტრაციით მუშების უკმაყოფილება იზრდებოდა: აგვისტოს ბოლოსათვის მუშებმა განიზრახეს საბადოს საძულველი მოხელის ინგლისელი კუკის მოშორება და თავს დაესხნენ მას[31].

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი 1912 წლის ოქტომბრის მოხსენებაში კი უკვე მიუთითებდა ძანსულის საბადოებში მუშათა მღელვარების

---

[27] საქ. ცსია, ფ. 6-ს. საქ. 161, ფურც. 418; ფ. 3-ს, საქ. 605[2], ფურც. 40.

[28] საქ. ცსია, ფ. 6-ს, საქ. 166, ფურც. 539. ჭიათურის მარგანეცის მუშების გაფიცვამ ახალი ძალით იფეთქა 1913 წ. გაზაფხულზე. მას ხელმძღვანელობდა საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც ხშირად უშვებდა მოწოდებებს (იხ. საქ. ცსია, ფ. 3-ს, საქ. 605, ფურც. 21—22, 40—246).

[29] საქ. ცსია, ფ. 13-ს, ან 27, საქ. 5117, ფურც. 35.

[30] საქ. ცსია, ფ. 13-ს, ან 27, საქ. 2380, ფურც. 1—2,

[31] იქვე, ფურცელი 3.

მიზეზებზე, სადაც გარკვეული როლი „ლენის ამბებსაც“ შეასრულებდა. ადმინისტრაციის წინააღმდეგ მუშების გამოსვლის მთავარ მიზეზებად ასახელებდა — ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებს, სამედიცინო მომსახურების უქონლობას, ქარხნის დუქნებში პროდუქტებზე ფასების თვითნებურად აწევას და სხვ[32].

მანსულ-მურღულის საბადოების მუშების მღელვარება დამთავრდა ადმინისტრაციის მოხელეებთან და პოლიციის რაზმთან შეტაკებით. ამ გამოსვლამ დააშინა ადმინისტრაცია და მუშების წინაშე დათმობაზე წავიდა: მოხსნა ინგლისელი თარჯიმანი კუკი, რომელიც უხეშად ეპყრობოდა მუშებს, გარდა ამისა, შეიქმნა კომისია მუშების მონაწილეობით, რომელიც კონტროლს უწევდა სავაჭრო დაწესებულებათა მუშაობას და ზრუნავდა მუშების საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე[33].

1912 წლის ივნისში ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მოაწყო არალეგალური კრება IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით ბათუმის ოლქში პარტიული მუშაობის საკითხის განსახილველად, მაგრამ პოლიციამ მიაგნო ამ კრებას და დააპატიმრა მისი მონაწილენი[34]. თუმცა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა არალეგალური მუშაობა. გარდა ამისა, ბათუმელი ბოლშევიკები არსებული წყობილების წინააღმდეგ მოხერხებულად იყენებდნენ ე. წ. საავადმყოფო სალაროებს, სახალხო უნივერსიტეტს, საღამოს კურსებს, კლუბებს და სხვა ლეგალურ საშუალებებსაც[35].

ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ისე, როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, საქართველოს მუშები ენერგიულად მხარს უჭერდნენ რუსეთის მუშათა კლასს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე, მაგალითად, თბილისის ტრამვაის მუშებმა თავიანთი დანაზოგიდან დაიწყეს ფულის შეგროვება პეტერბურგის გაფიცული მუშების დასახმარებლად. შეგროვილი ფული შემდეგ გადაგზავნილ იქნა პუტილოვის ქარხნის ზეინკალთა კავშირის სახელზე[36].

ბოლშევიკური პრესის საშუალებით (გაზ. „ზვეზდა“, „პრავდა“ და სხვ.) საქართველოს მუშები სისტემატურად ამყარებდნენ კავშირს რუსეთის პროლეტარიატთან. ბოლშევიკური გაზეთი „ზვეზდა“ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მუშების პოლიტიკური გათვითცნობიერების საქმეში. მუშებს უყვარდათ სიმართლის მთქმელი და მათი ინტერესების დამცველი გაზეთი, ამიტომ დიდი მოთხოვნილება იყო მასზე. გაზ. „ზვეზდა“, რომელიც გამოდიოდა კვირაში პირველად 1-ჯერ, შემდეგ 2 — 3-ჯერ, სავსებით ვერ აკმაყოფილებდა მუშების მზარდ მოთხოვნილებებს. გაზეთმა „ზვეზდა“-მ ბოლშევიკური იდეების ფართო პროპაგანდასთან ერთად ნიადაგი მოუმზადა გაზ. „პრავდის“ გამო-

---

[32] საქ. ცსია, ფ. 13-ს, ანაწ. 27, საქ. 2380, ფურც. 3—4.

[33] ჰ. ც ქ ვ ი ტ ა რ ი ა. აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, 1960, გვ. 325—326.

[34] საქ. ცსია, ფ. 27, საქ. 2057, ფურც. 10—11, 20—23.

[35] ბათუმის სამრეწველო საწარმოებში მუშათა რევოლუციური მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში.

[36] საქ. ცსია, ფ. 4-ს, საქ. 58, ფურც. 102—103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემასაც, რომელმაც ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების დაუღალავი შრომით გამოსვლა დაიწყეს 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს ახალი სტილით).

თბილისის მუშებს ჰქონდათ სისტემატური მიმოწერა გაზ. „პრავდის“ რედაქციასთან და უწევდნენ მას ეკონომიურ დახმარებას, მაგალითად, თბილისის ელექტროტექნიკური მუშების ჯგუფმა გაზეთის რედაქციას გაუგზავნა 4 მან. და 75 კაპ., ხოლო კომპ. „ზინგერ“-ის მუშებმა შეაგროვეს თავიანთი დანაზოგი 21 მან. და 20 კაპ. რაოდენობით და 1912 წლის 10 აგვისტოს გადაგზავნეს იმავე მისამართით[37].

ბოლშევიკები ფართოდ იყენებდნენ არალეგალური ლიტერატურის გასავრცელებლად მთავრობის მიერ ნებადართულ ბიბლიოთეკებსაც. მაგალითად, თბილისში არსებობდა ე. წ. „იაფფასიანი ბიბლიოთეკა“, სადაც ლეგალური წიგნების გვერდით დიდი რაოდენობით ინახებოდა აკრძალული ლიტერატურა. ჟანდარმერიის აგენტებმა მაისის ბოლო რიცხვებში მიაგნეს ბიბლიოთეკის ზოგიერთ თანამშრომელთა ფარულ საქმიანობას აკრძალული წიგნების გავრცელების საქმეში და დააპატიმრეს. ოხრანკის აგენტებმა ჩხრეკის დროს ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს ლენინის ბროშურა „სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1906 წელს; მოსკოვის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით ეს ბროშურა აკრძალულ იქნა, ხოლო იმავე პალატამ 1907 წლის დეკემბერში მიიღო სპეციალური დადგენილება ამ ბროშურის განადგურების შესახებ[38]. აქვე იქნა ნაპოვნი ვ. ი. ლენინის მოხსენება რსდმპ გაერთიანებული ყრილობის შესახებ, რომელიც 1906 წელს გამოიცა მოსკოვში. ამ ბროშურის შესახებ ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო 1912 წლის 6 ნოემბერს აცნობებდა თბილისის ჟანდარმერიას, რომ პეტერბურგის სასამართლო პალატამ ვ. ი. ლენინის მოხსენების გავრცელება არსებული წყობილებისათვის საზიანოდ მიიჩნია და აკრძალა[39].

რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესია თანდათან უფრო გაძლიერდა. ჯერ კიდევ 1912 წლის 18 მარტს ჟანდარმერიამ დააპატიმრა ს. სპანდარიანი ბაქოში, ხოლო 8 მაისს გაათავისუფლეს ციხიდან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმ პირობით, რომ თბილისიდან (ის აირჩია საცხოვრებლად, ვ. ჯ.) არ გასულიყო. მაგრამ დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ს. სპანდარიანი, რომელიც მიემგზავრებოდა რსდმპ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად, კვლავ დააპატიმრეს ბაქოში და გადასცეს თბილისის ჟანდარმერიას, რომელმაც იგი მოათავსა მეტეხის ციხეში[40] და 6 ივნისს შეუდგა საქმის ძიებას[41].

---

[37] Журн. „Красный архив“ № 4 (77), 1936 г., стр. 22, 45.

[38] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 2440, ფურც. 225—227.

[39] საქ. ცსია, ფ. 2-ს, საქ. 2781, ფურც. 23—25, ვ. ი. ლენინის აღნიშნული ბროშურა განადგურებულ იქნა პეტერბურგის სასამართლო პალატის სპეციალური დადგენილებით (იხ. საც. ცსია, ფ. 2-ს, საქ. 2781, ფურც. 23—24).

[40] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 24—25, ფურც. 2—5, 26—29.

[41] იგივე, ფ. 2-ს, საქ. 2714, ფურც. 46; არ მიგვაჩნია სწორად, როცა ვ. ესაიაშვილი თავის წიგნში — „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები“ (1959 წ.), ეყარება რა ჟანდარმერიის მიმოწერას, უთითებს პატიმრობიდან ს. სპანდარიანის მალე განთავისუფლებაზე, თითქოს იმიტომ, რომ ჟანდარმერისა არ სურდა მისი დაკავებით გაეფრთხილებინა სხვა ბოლშევიკი ხელძღვანელები და გაძნელებულიყო მათი დაპატიმრება (გვ. 209).

1912 წლის 27 აპრილს პოლიციამ გაანადგურა რსდმპ გურიის კომიტეტის, მაგრამ გადარჩენილი წევრები განაგრძობდნენ არალეგალურ მუშაობას[42].

იმავე წლის აპრილში სტრაჟნიკებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ რსდმპ ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელებიც[43].

მაისის დასაწყისში ბაქოში სხვებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა სტეფანე შაუმიანი, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის სპეციალური განკარგულებით ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს 5 წლით[44].

12 ივნისს ჟანდარმერია თავს დაესხა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთ კრებას თბილისში და დააპატიმრა მისი მონაწილენი. იმავე წლის 21 ივლისს თბილისში პოლიციამ აღმოაჩინა ბოლშევიკების არალეგალური სტამბა და დაარბია ის[45], ხოლო ივნისში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო მოუღეს ბათუმის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. მაგრამ მიუხედავად რეპრესიებისა, ბოლშევიკებს მთავრობის საწინააღმდეგო არალეგალური მუშაობა არ შეუწყვეტიათ.

მენშევიკ ლიკვიდატორების გამცემლური საქმიანობა ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ყველაზე მეტად გამოვლინდა იმით, რომ ისინი ცდილობდნენ მუშათა გაფიცვებისათვის პოლიტიკური შინაარსი წაერთმიათ. მენშევიკები მოუწოდებდნენ მუშებს მეწარმეებთან შეთანხმებისა და „ზომიერ“ მოთხოვნილებათა წარდგენისაკენ. მაგრამ მუშების შეგნებული ნაწილი, მიყვებოდა რა ბოლშევიკებს, აშკარად უჭერდა მხარს საგაფიცვო მოძრაობას. ბოლშევიკ პროპაგანდისტთა გავლენით მუშების სტიქიური გამოსვლები მინიმუმამდე დავიდა.

ბოლშევიკები ცდილობდნენ არალეგალური მუშაობის გვერდით ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის სამხილებლად, როგორც აღვნიშნეთ, გამოეყენებინათ ლეგალური მუშაობის ყველა შესაძლებლობა და მათ შორის სათათბიროს ტრიბუნაც. მათ IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით, წამოაყენეს რა თავიანთი საარჩევნო პლატფორმა, დაიწყეს ფართო საგიტაციო მუშაობა. ამასთან მოახერხეს საგიტაციო ფურცლების — „რსდმპ საარჩევნო პლატფორმა“ და „პარტიისათვის“ დიდი რაოდენობით დაბეჭდვა-გავრცელება.

მენშევიკებმა შესთავაზეს ბოლშევიკებს საქართველოში საარჩევნო კამპანიის დროს ერთად გამოსვლა, რასაც უკანასკნელნი დაეთანხმნენ იმ პირობით, თუ ისინი მიიღებდნენ ბოლშევიკურ პლატფორმას. მენშევიკები პირდაპირ პასუხს არ იძლეოდნენ, მაგრამ ბოლოს დათანხმდნენ. ბოლშევიკებმა განიზრახეს თავიანთი კანდიდატურის წამოყენება, მაგრამ ამას ხელი შეუშალა სასტიკმა რეპრესიებმა მათ წინააღმდეგ.

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, როგორც ცნობილია, საქართველოდან ორი მენშევიკი (კ. ჩხეიძე, ა. ჩხენკელი) და ერთი სოციალ-დემოკრატი (ვ. გელოვანი) გავიდა, ხოლო რუსეთის მუშათა კურიიდან არჩეული 9 დეპუტატიდან 6 იყო ბოლშევიკი — ეს ნათლად მოწმობდა მშრომელ მასებში ბოლშევიკური პარტიის გავლენის მნიშვნელოვან ზრდას.

---

[42] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 2470, ფურც. 1.

[43] იგივე, ფ. 3-ს, საქ. 541, ფურც. 35—36.

[44] იგივე, ფ. 2-ს, საქ. 2525, ფურც. 1—7.

[45] იგივე, ფ. 22-ს, საქ. 526, ფურც. 1—18, საქ. 530, ფურც. 1—17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაფართოებას თან მოჰყვა გლეხთა გამოსვლებიც საქართველოში. გლეხობა თანდათან ღატაკდებოდა, სოციალური და ეროვნული ჩაგვრა მათში რევოლუციური სულისკვეთების გაძლიერებას იწვევდა.

გარდა ამისა, 1912 წლის დასაწყისიდან მთავრობამ დაიწყო რუსეთიდან კოლონისტების გადმოყვანა საქართველოში, რამაც უფრო შეავიწროვა გლეხობა. მართალია, კოლონისტების დასახლება ხდებოდა ე. წ. „თავისუფალ მიწაზე“, მაგრამ ხშირად მათ გლეხების მიერ დაკავებულ მიწებსაც ურიგებდნენ; მაგალითად, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სოფ. მაწიმის (ლაგოდეხის ახლო) გლეხები. აღნიშნულ სოფელში ხელისუფლებამ დააპირა გლეხების აყრა და შიდარუსეთიდან გადმოსული კოლონისტების დასახლება. მაგრამ პირველ ხანებში გლეხთა აჯანყების შიშით ვერ გაბედა განზრახვის სისრულეში მოყვანა და ეზოშივე გლეხებს ჩაუსახლეს კოლონისტები, რომლებმაც სახლები აიშენეს. ხოლო შემდეგ მთავრობის განკარგულებით ამ სოფლის მკვიდრნი აყარეს მამაპაპეული საცხოვრებელი ადგილებიდან და დაასახლეს სრულიად შიშველ, ნაკლებად ნაყოფიერ მიწაზე[46].

მიუხედავად ბატონყმური ურთიერთობის გადავარდნისა, მემამულე-თავადაზნაურები თვითნებურად პარპაშობდნენ სოფლებში. ისინი აბუჩად იგდებდნენ გლეხებს, ხშირად ჩაფრების დახმარებით თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ მათ სახლ-კარს, ერეკებოდნენ პირუტყვს, თავიანთი სურვილისამებრ ადიდებდნენ საიჯარო ქირას და სხვ.

თვით „სახალხო გაზეთიც“, რომელიც საქართველოს სოც. ფედერალისტთა პარტიის ოფიციოზს წარმოადგენდა და იცავდა მემამულეთა ინტერესებს, აღიარებდა თავადთა თვითნებობას, რამაც ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ასე, მაგალითად, სოფ. კნოლევში (გორის მაზრა) რევოლვერებითა და ხანჯლებით შეიარაღებული თავადები ფალავანდიშვილები თავს დაესხნენ გლეხების — ძმები მაისურაძეების ოჯახს. მათ გამორეკეს წასაყვანად 18 სული პირუტყვი და, როცა მაისურაძეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მძიმედ დაჭრეს ისინი[47].

„სახალხო გაზეთი“ 1912 წლის 6 აპრილის წერილით „ქიზიყის ჭირვარამი“, იუწყებოდა ქიზიყის სამი სოფლის (ტიბაანი, ჯუგაანისა და საქობოს) გლეხთა ღატაკური ცხოვრების შესახებ[48].

გლეხობამ მემამულეთა თვითნებობას ამკარა წინააღმდეგობა გაუწია, იგი მწარედ გრძნობდა არსებული წყობილების უსამართლობას და ინტერესით უსმენდა ბოლშევიკ პროპაგანდისტებს, რომელთა საქმიანობა 1912 წლის გაზაფხულისათვის განსაკუთრებით გაცხოველდა, გარდა ამისა, გლეხობაში რევოლუციური სულისკვეთება შეჰქონდათ რეაქციის დროს სამრეწველო საწარმოებიდან დათხოვნილ და სოფლებში გადასახლებულ მუშებსაც. ვრცელდებოდა ბოლშევიკური პროკლამაციები, რომლებიც უხსნიდნენ მშრომელ

---

[46] გაზ. „სახლხო გაზეთი“, 1912 წ. 6 აპრილი, № 567.

[47] იქვე, 5 აპრილი, № 566.

[48] იქვე, 6 აპრილი, № 567.

გლეხებს მათი ღატაკური ცხოვრების მიზეზებს და მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1912 წლის ივლისში ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის რაიონში აგიტატორებმა გაავრცელეს რსდმპ გურიის კომიტეტის მიერ გამოცემული პროკლამაცია სათაურით „დროა გამოღვიძებისა“, რომელიც იწყებოდა სიტყვებით „დროა გამოღვიძებისა და ბოლო მოეღოს მონობას...“

პროკლამაცია მიუთითებდა სუფსის მემამულეთა თვითნებობაზე, გლეხების მიმართ ძალადობაზე და მოითხოვდა მშრომელთა შეკავშირებას მჩაგვრელებთან ბრძოლაში[49].

აგიტაციამ გლეხთა შორის თანდათან ფართო ხასიათი მიიღო, სიღნაღის მაზრის ბაკურციხის თემში აგიტატორები აშკარად ამხედრებდნენ გლეხობას მემამულეების წინააღმდეგ[50]: ამავე მაზრის სოფ. ანაგის გლეხობაში თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აგიტაციამ გლეხთა ერთსულოვანი მხარდაჭერა პოვა[51], რაც გამოიხატა მიწების დატაცებასა და გადასახადთა გადაუხდელობაში. ბოლშევიკებმა გაშალეს მუშაობა თელავის მაზრაში. მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილება 1912 წლის აპრილში მიუთითებდა თბილისის გუბერნატორს თელავის მაზრაში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის გაძლიერების შესახებ[52].

გორის მაზრის სოფ. შინდისში მცხოვრები გლეხები ხშირად იკრიბებოდნენ და ისმენდნენ ბოლშევიკი აგიტატორების მიერ მთავრობის საწინააღმდეგოდ წარმოთქმულ სიტყვებს.

ბოლშევიკი აგიტატორები ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას. 1912 წლის 26 სექტემბერს ქ. სიღნაღში წიგნებით მოვაჭრეს დაპატიმრების დროს აღმოუჩინეს არალეგალური ლიტერატურის დიდი საწყობი, სადაც 2500-ზე მეტი სხვადასხვა წიგნი და ბროშურა იყო რუსულ და ქართულ ენებზე, მათ შორის ვ. ი. ლენინის ბროშურა „ღარიბ გლეხობისადმი“[53].

ზუგდიდის მაზრის სოფ. ჯგალის მცხოვრებ ერთ-ერთ ბოლშევიკ აგიტატორს მ. კვარაცხელიას თბილისში ბინაზე აღმოაჩნდა დიდძალი არალეგალური ლიტერატურა, მათ შორის იყო კ. მარქსის — „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848—1850 წწ“. „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერი“. „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალი“, ფ. ენგელსის — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, „გლეხთა ომი გერმანიაში“, „ლუდვიგ ფეიერბახი“ და გ. პლეხანოვის ზოგიერთი ნაშრომიც[54].

ზოგჯერ თვით გლეხებიც ეხმარებოდნენ აგიტატორებს არალეგალური ლიტერატურის შენახვა-გავრცელების საქმეში. ასე, მაგალითად, გორის მაზრაში ერთ-ერთ გლეხს ოჯახში აღმოაჩნდა საკმაო რაოდენობით აკრძალული ლიტერატურა, მათ შორის რევოლუციური შინაარსის ორი ლექსი ხელნაწერის სახით[55].

---

[49] საქ. ცსია. ფ. 27-ს, საქ. 2058, ფურც. 3—4.
[50] იქვე, ფ. 9-ს, საქ. 229, ფურც. 174.
[51] იქვე, ფ. 7-ს, საქ. 2618, ფურც. 1—14.
[52] იქვე, ფ. 2-ს, საქ. 2468, ფურც. 2.
[53] იქვე, ფ. 7-ს, საქ. 2511, ფურც. 1-13, ფ. 22-ს. საქ. 2714, ფურც. 76.
[54] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 2422, ფურც. 10, 31—48.
[55] იქვე, ფ. 2-ს, საქ. 2714, ფურც. 28.

ქ. გორში ჩხრეკის დროს 1912 წლის ნოემბერში ჟანდარმერიამ ხელში ჩაიგდო ბოლშევიკური პროკლამაციების მთელი შეკვრა, რსდმპ II ყრილობაზე მიღებული პროგრამა (რამდენიმე ცალი) და სხვა არალეგალური ლიტერატურა[56].

საქართველოს გლეხობა აქტიურად გამოეხმაურა 1912 წლის მუშათა საპირველმაისო გაფიცვებსა და დემონსტრაციებს და არსებული წყობილების საწინააღმდეგო მოძრაობა მთელ სოფლებს მოედო. გლეხობამ დაიწყო მემამულეთა მიწების დატაცება და დამუშავება. ადგილი ჰქონდა მემამულეთა წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებსაც.

1912 წლის გაზაფხულზე სენაკის მაზრაში 50 შეიარაღებული გლეხი თავს დაესხა თავად წულუკიძის კარმიდამოს და დაეპატრონა მიწას.

იმავე დროს შორაპნის და ოზურგეთის მაზრებში მთავრობის შეიარაღებულ ძალებს მოუხდათ შეტაკება ტყეში „ყაჩაღებთან“, რომელიც ძირითადად არსებული რეჟიმით უკმაყოფილო გაქცეული გლეხებისაგან შედგებოდა[57]. ოზურგეთის მაზრაში შეტაკების დროს მოკლეს სამი გაქცეული გლეხი და ორი დააპატიმრეს, ხოლო შორაპნის მაზრაში მოკლულ იქნა ორი[58].

თბილისის გუბერნატორის 1912 წლის 8 მაისის მოხსენებიდან მეფისნაცვლისადმი ირკვევა, რომ თბილისის, სიღნაღის, თელავის, გორის და დუშეთის მაზრებში არსებული წყობილებით მოსახლეობის უკმაყოფილება იმდენად საგრძნობი იყო, რომ საჭირო გახდა რეპრესიების გაძლიერება რევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ. გუბერნატორი ხაზს უსვამდა წინააღმდეგობის გამწვავებას მემამულეებსა და გლეხებს შორის და სთხოვდა მეფისნაცვალს „საზოგადოებრივი უშიშროების“ დაცვის მიზნით აღნიშნულ მაზრებში „გაძლიერებული დაცვის მდგომარეობის“ გახანგრძლივებას[59].

საშიში მდგომარეობა შეიქმნა ქუთაისის გუბერნიაშიც, ამიტომ ქუთაისის გუბერნატორმა იმავე წლის 9 მაისს სპეციალური მოხსენებით მიმართა მეფისნაცვალს, სადაც მიუთითებდა რევოლუციური მოძრაობის დიდ აღმავლობაზე მის გუბერნიაში და განსაკუთრებით ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკისა და შორაპნის მაზრებში[60].

სოხუმის ოკრუგში მთავრობის საწინააღმდეგოდ გლეხთა გამოსვლებმა, აიძულეს ოკრუგის უფროსი 1912 წლის 12 მაისს თხოვნით მიემართა კავკასიის მეფისნაცვლისათვის „სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების“ დამრღვევთა წინააღმდეგ რადიკალური ზომების მისაღებად ნებართვის მიცემის შესახებ[61], ხოლო ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მოითხოვა ბათუმისა და კინტრიშის უბანში „გაძლიერებული დაცვის“ შენარჩუნება[62]. მეფისნაცვალმა განკარგულება გასცა აღნიშნულ მხარეებში „გაძლიერებული დაცვის“ ვადის გაგრძელების შესახებ ერთი წლით, ე. ი. 1913 წლის სექტემბრამდე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს

---

[56] იქვე, ფ. 22-ს, საქ. 531, ფურც. 1—7.

[57] გლეხობა არსებული წყობილების წინააღმდეგ ფართოდ იყენებდა ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც ყაჩაღობა და ფირალობა (გურიაში) ეწოდებოდა.

[58] საქ. ცსია, ფ. 2-ს, საქ. 2345, ფურც. 123.

[59] იგივე, ფ. 2-ს, საქ. 2781, ფურც. 23—25.

[60] იქვე, ფურც. 28—29.

[61] საქ. ცსია, ფონდი 2-ს, საქ. 2781, ფურც. 47.

[62] იქვე, ფურც. 34.

მიანიჭა „საგანგებო უფლებები“, ამასთან ამიერკავკასიის მთელ [illegible] გამოაცხადა „სამხედრო მდგომარეობა“[63].

გლეხთა ბრძოლა იმავე წლის მეორე ნახევარში უფრო გამწვავდა და შეიარაღებული შეტაკების ხასიათი მიიღო. მაგალითად, 1912 წლის ოქტომბერში მანგლისში მემამულეებსა და გლეხებს შორის შეტაკების დროს დაიჭრა 10-მდე კაცი[64], გორის მაზრის სოფ. ზემოხვედურში გლეხებმა მოკლეს თავადი ციციშვილი, იმავე წლის 20 აგვისტოს მოკლეს ყოფილი ბოქაული ვ. ქუმსიევი (ქუმსიაშვილი), რომელიც სოფ. გრემის გლეხებისაგან აგროვებდა მიწით სარგებლობის საფასურს[65].

1912 წლის 22 დეკემბერს, ე. ი. 31 წლით გვიან, ვიდრე რუსეთში, გამოცემულ იქნა კანონი საქართველოში დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხთა რევოლუციური მოძრაობით შეშინებულმა ცარიზმმა მხოლოდ ფორმალურად გააუქმა ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში, დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი, რადგანაც ამ კანონის გამოსვლის შემდეგაც არ გადაწყვეტილა გლეხების სასარგებლოდ ტყეების, საძოვრებისა და წყლის საკითხი, ე. წ. „ჩამონაჭრებიც“ მემამულეებს შერჩათ, ხოლო გლეხთა ერთი კატეგორია — ხიზნები, ისევ ბატონყმურ მდგომარეობაში დარჩა.

მენშევიკები ცდილობდნენ რევოლუციური ბრძოლიდან გლეხების ჩამოშორებას. მათი მცდარი პოზიცია გლეხთა მოძრაობის საკითხში მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი უარყოფდნენ აგრარული მოძრაობის კლასობრივ ხასიათს, არ მიაჩნდათ ღარიბი გლეხობა პროლეტარიატის ნამდვილ მოკავშირედ რევოლუციაში და თვლიდნენ გლეხთა გამოსვლების გამომწვევ მიზეზად მოუსავლიანობას. მართალია, მოუსავლიანობა იყო ერთ-ერთი მიზეზი მასობრივი შიმშილიანობისა, მაგრამ ეს არ ყოფილა საქართველოში აგრარული მოძრაობის მთავარი მიზეზი. ძირითადი იყო მშრომელი გლეხობის სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, რამაც საქართველოს სინამდვილეში უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. მენშევიკები ურჩევდნენ გლეხებს მემამულეთა თვითნებობის შემთხვევაში მიემართათ ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც როგორც ცნობილია, არასდროს არ იცავდნენ გლეხთა ინტერესებს და ეხმარებოდნენ მეფის მთავრობის ერთგულ მემამულე-თავადაზნაურებს.

*
* *

ახალმა რევოლუციურმა აღმავლობამ მოიყვანა მოძრაობაში საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობაც. ისინი დიდი ინტერესით დაეწაფნენ სააგიტაციო ფურცლებს, პროკლამაციებსა და სხვა არალეგალურ ლიტერატურას.

უპირველეს ყოვლისა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებმა აღიმაღლეს ხმა სასწავლებლებში გამეფებული სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1912 წლის 22 თებერვალს სემინარიის პირველი, მეორე და მესამე კურსის სტუდენტები, გამოვიდნენ რა ადმინისტრაციის წინააღმდეგ, მეცადინეობა მიატოვეს და მიუხედავად პოლიციელთა ჩარევისა, მოითხოვეს ქართუ-

---

[63] იქვე, ფურც. 48—49.

[64] საქ. კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, გვ. 271.

[65] გაზ. „პრავდა“ 1912 წ. 2 ოქტომბერი, № 101.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ენის სწავლების გაუმჯობესება, თავაზიანი მოპყრობა, სანიტარული პირობების დაცვა, დათხოვნილი 17 სტუდენტის დაბრუნება და სემინარიის ხელმძღვანელობის შეცვლა[66].

სემინარიაში „უწესრიგობის“ ჩასაქრობად გამოძახებულმა პოლიციის რაზმმა დააპატიმრა 22 მოსწავლე, რომლებიც პედაგოგიურმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით გარიცხა[67], აგრეთვე დაითხოვეს სემინარიიდან და გაასახლეს თბილისიდან ის სტუდენტები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ „არეულობაში“, მაგრამ თანაუგრძნობდნენ მას. გარდა ამისა, თბილისის პოლიციმეისტერის განკარგულებით სემინარიაში ცხოვრება აეკრძალა ე. წ. „საეჭვო“ სტუდენტებს და დაწესდა სემინარიის შენობაში ყველა შემსვლელზე სასტიკი კონტროლი[68].

მიუხედავად რეპრესიებისა, სტუდენტთა რევოლუციური განწყობილების ზრდა არ შენელებულა. სემინარიის რექტორის სახელზე გაგზავნილ ერთერთ ანონიმური წერილიდან, რომელიც პოლიციამ ჩაიგდო ხელში, ირკვევა, რომ სტუდენტები ცდილობდნენ უფრო დიდი მასშტაბით ახალი „არეულობის“ მოწყობას, მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელებულა[69].

თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლენი არ ჩამორჩნენ თავიანთ სემინარიელ ამხანაგებს. გიმნაზიის მოსწავლეებში გავრცელებული არალეგალური ლიტერატურა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ადმინისტრაციისათვის. მართლაც, ეჭვმიტანილ მოსწავლეთა ჩხრეკის დროს ჟანდარმთა სამმართველოს მოხელეებს ხელში ჩაუვარდათ ფრ. ენგელსის ნაშრომი — „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, კ. მარქსის „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერი“, „1871 წლის პარიზის კომუნის ისტორია“, ვ .ი. ლენინის (ილინის) „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და სხვ. რამდენიმე მოსწავლე დააპატიმრეს და დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ აღნიშნული გიმნაზიის მოწინავე მოსწავლეები არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდნენ თბილისის სხვა სასწავლებლების მოსწავლე-ახალგაზრდობაშიც[70].

ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელიც რსდმპ მოსწავლეთა ორგანიზაციის წევრი იყო, დაპატიმრების დროს აღმოაჩნდა პროკლამაცია „მოსწავლეთა ხმა“, რომელიც ეხებოდა ლენის ოქროს საბადოების უდანაშაულო მუშების მხეცურ დახვრეტას. პროკლამაციაში ხაზგასმით ნათქვამი იყო ხალხთა მასების გამოღვიძების შესახებ. იგი მოუწოდებდა ქ. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობას ღრმა თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ლენაზე დაღუპული მუშების ოჯახებისათვის. პროკლამაცია თავდებოდა სიტყვებით: „ამხანაგო მოსწავლეებო! ჩვენც გავუწოდოთ დახმარების ხელი ჩვენს ძმებს — მუშებს. კიდევ ერთი საზიზღარი და მხეცური თავისი სიმკაცრით, ფაქტი იქნა ჩაწერილი (ლაპარაკია ლენის მუშათა დახვრეტაზე—ვ. ჯ.) ცეცხლოვანი ასოებით მუშათა მოძრაობის ისტორიაში. გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობას“[71].

---

[66] საქ. ცსია, ფ. 7-ა, საქ. 241, ფურც. 65—68.
[67] იქვე, ფ. 2-ს, საქ. 2345, ფურც. 57,; ფ. 3-ს, საქ. 515,ფურც.167.
[68] იქვე, ფ. 7-ს, საქ. 2417, ფურც. 61—62.
[69] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 2417, ფურც. 66.
[70] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 2478, ფურც. 1—18.
[71] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 2478, ფურც. 28.

ამავე გიმნაზიის მეორე დაპატიმრებულ მოსწავლეს ჩხრეკის დროს ხელნაწერი ლექსი სათაურით „За дело“, რომელიც როგორც ჩანს, საკმაოდ ვრცელი იყო და პროკლამაციის როლს ასრულებდა. იგი ხელნაწერის სახით სწრაფად ვრცელდებოდა მოსწავლეთა შორის[72].

რევოლუციური განწყობილება იზრდებოდა ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის და საქართველოს სხვა ქალაქების მოსწავლე ახალგაზრდობაში. ყურადღებას იპყრობს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში მოსწავლეთა შორის გავრცელებული პროკლამაცია, სადაც გამოთქმული იყო მოსწავლეთა გულისწყრომა სასწავლებლებში გამეფებული სასტიკი რეჟიმის გამო[73].

სოხუმსა და მის ოკრუგში არსებული წყობილების საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდამ ფართო გამოხმაურება პოვა ახალგაზრდობაში. რევოლუციურ პროპაგანდაში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ მოსწავლეები, რომელთა დიდი ნაწილი დათხოვნილი იყო სასწავლებლიდან „უწესრიგობის“ გამო.

ყოფილ მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა 1912 წლის 1 მაისს სოხუმში მოაწყო იუდილევიჩისა და ოსადჩენკოს სახელოსნოების მუშების გაფიცვა, ისინი მონაწილეობდნენ აგრეთვე ე. წ. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა მიტინგის გამართვაში (მაისის პირველი რიცხვები), სადაც აგიტატორები გამოდიოდნენ არსებული წყობილების საწინააღმდეგო სიტყვებით[74].

მეფის თვითმპყრობელობის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში და, კერძოდ საქართველოში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოსწავლე ახალგაზრდობაში „უწესრიგობის“ ლიკვიდაციის საქმეს და მცირეოდენ რევოლუციურ გამოვლინებას ძირშივე აჭრობდა, სასწავლებლებიდან მოსწავლეთა გარიცხვა და დაპატიმრება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. თვით სასწავლებლებში იეზუიტური რეჟიმი დამყარდა, რაც აუტანელი იყო ახალგაზრდობისათვის.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის 1912 წლის დოკუმენტურ მასალებში დასახელებულია საქართველოს სასწავლებლებში სასტიკი რეჟიმის გამო მოსწავლეთა თვითმკვლელობის მრავალი ფაქტი.

* *
*

მუშათა გაფიცვებმა და გლეხთა მოძრაობამ ზეგავლენა მოახდინეს ცარიზმის უკანასკნელ დასაყრდენზე—არმიასა და ფლოტზე, სადაც ჯარისკაცებისა და მატროსების რევოლუციური განწყობილება დღითიდღე ღრმავდებოდა.

მართალია, არმიასა და ფლოტში მძლავრად იყვნენ წარმოდგენილი წვრილბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი შემთანხმებლური საქმიანობით ჩამოეშორებინათ ჯარისკაცები და მატროსები ახალი რევოლუციური აღმავლობისაგან, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ ბოლშევიკების გავლენის ზრდის გამო.

1912 წლის 11 ივლისს პოლიციის დეპარტამენტი თავის ცირკულიარული წერილით სრულიად საიდუმლოდ აცნობებდა კავკასიის ოხრანკის აგენტებს რევოლუციური მუშაობის გამოცოცხლების შესახებ შავი ზღვის ფლოტში, იტ-

---

[72] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 2478, ფურც. 21—22.
[73] საქ. ცსია, ფ. 7-ს, საქ. 11643, ფურც. 31—32.
[71] საქ. ცსია, ფ. 2-ს, საქ. 2781, ფურც. 30—35.

ყობინებოდა რა შავი ზღვის მატროსებში ფარული ორგანიზაციების არსებობის შესახებ, პოლიციის დეპარტამენტი წინადადებას იძლეოდა მიეღოთ ენერგიული ზომები ფლოტში რევოლუციური პროპაგანდის სალიკვიდაციოდ[75]. მართლაც, კავკასიის ორხანკის წლიური ანგარიშიდან ჩანს, რომ 1912 წლის განმავლობაში შავი ზღვის ფლოტში ორჯერ ჰქონდა ადგილი მატროსების აჯანყებას, მაგრამ ორივე დამარცხებულა[76].

ჭუთაისის ჟანდარმთა სამმართველო 1912 წლის 22 ოქტომბერს წერდა კავკასიის დაცვის გაბყოფილებას ბათუმის ნავსადგურში რეიდზე მდგარ სამხედრო კრეისერ „გრიდენზე“ მომხდარი მატროსების აჯანყების შესახებ, რომლებსაც სექტემბერში დაუხოცავთ საძულველი მეთაურები და გემი გაუყვანიათ ღია ზღვაში გაურკვეველი მიმართულებით[77].

აჯანყებული მატროსები ხშირად კავშირს ამყარებდნენ ნავსადგურების მუშებთანაც. გრძნობდა რა ასეთი კავშირის შექმნის საშიშროებას, განსაკუთრებით ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, ცარიზმმა შავი ზღვის ფლოტში სასტიკი ტერორი დაამყარა, მატროსებს აეკრძალათ თავიანთი გემების დატოვება და ნაპირზე გადმოსვლა.

სევასტოპოლში ჯერ კიდევ ივლისის ბოლოს იფეთქა მატროსების აჯანყებამ, რის გამოც იქ 1 აგვისტოსათვის სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა, ხოლო აჯანყების მონაწილე 150 მეზღვაური დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს[78].

სევასტოპოლში შექმნილმა მდგომარეობამ დააფიქრა მეფის მთავრობა, რომელმაც იქ არსებული მდგომარეობის გამოსარკვევად გაგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზოლოტარიოვი და საზღვაო შტაბის უფროსი ადმირალი კნიაზცევი. გარდა ამისა, შავი ზღვის გემებიდან, როგორც „არასაიმედონი“, რევოლუციურად განწყობილი 300 მატროსი გადაიყვანეს სახმელეთო არმიაში ჯარისკაცებად[79].

შავი ზღვის ფლოტის 25 მატროსს მიუსაჯეს 8 წლით კატორღა და მოათავსეს რუსეთის შიდა გუბერნიების საპყრობილეებში[80].

მატროსები დიდ მუშაობას ეწეოდნენ არალეგალური ლიტერატურისა და იარაღის გატანა-გავრცელებაში შავი ზღვით კავკასიასა და რუსეთში[81].

იზრდებოდა რევოლუციური სულისკვეთება საქართველოში დისლოცირებული ჯარის ნაწილებში. ხშირი იყო შემთხვევა, როცა რიგითი ჯარისკაცები არ ასრულებდნენ მეთაურის განკარგულებებს.

რევოლუციურმა აგიტაციამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1912 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე. ამას ხელი შეუწყო სააგიტაციო ფურცლებისა და პროკლამაციების გავრცელებამ. ქ. ბათუმში ერთ-ერთი მესანგრე ასეულის რიგითი ჯარისკაცები აწარმოებდნენ პროპაგანდას „არსებული უსამარ-

---

[75] საქ. ცსია, ფ. 3-ს, საქ. 408, ფურც. 96.
[76] იქვე, ფურც. 99.
[77] საქ. ცსია, ფ. 3-ს, საქ. 408, ფურც. 101—162.
[78] იქვე, ფურც. 192.
[79] გაზ. „სახალხო გაზეთი“ 1912 წ. 19 აგვისტო, № 678.
[80] საქ. ცსია, ფ. 3-ს, საქ. 408, ფურც. 30.
[81] იქვე, ფ. 10-ს, საქ. 242, ფურც. 30.

თლო წყობილების“ დამხობის შესახებ და მოითხოვდნენ დემოკრატიული წყობილების დამყარებას და სხვ.

საჭიროა აღინიშნოს ის, რომ მეფის არმიასა და ფლოტში, უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, ამ პერიოდისათვის ფართო გავლენა ჰქონდა წვრილბურჟუაზიულ პარტიებს და, კერძოდ ესერებს, ჯარისკაცებისა და მატროსების საგრძნობი ნაწილი მიჰყვებოდა აგრეთვე მენშევიკებს. გარდა ამისა, რეაქციამ სასტიკი დარტყმა მიაყენა ბოლშევიკურად განწყობილ ჯარის ნაწილებს — ყველაფერმა ამან რამდენადმე შეასუსტა რევოლუციური სულისკვეთება არმიასა და ფლოტში, რომელიც იყო ცარიზმის ერთგული დასაყრდენი რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ მკაცრი იატაკქვეშეთის პირობებში ბოლშევიკებმა აქაც მოახერხეს მოძრაობაში მოეყვანათ ჯარისკაცები და მატროსები, რასაც ხელი შეუწყო მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის ახალმა აღმავლობამაც.

ამრიგად, რეაქციის სისხლიანმა თარეშმა ვეღარ შესძლო რევოლუციური სულიკვეთების ჩახშობა მშრომელ ხალხში. მათი თავგანწირული ბრძოლა ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით პოლიტიკური უფლებების მოპოვებისა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ახალი რევოლუციური აღმავლობით აღინიშნა, რაც წარმოადგენს თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ჩაგრულ ხალხთა ფართო მასების ბრძოლის სახელოვანი ისტორიის ნათელ ფურცელს.

საერთო მტრის წინაღამდეგ რუსეთის პროლეტარიატის მხარდამხარ გამოვიდნენ საქართველოს მშრომელები, რომლებიც სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ქვეშ იტანჯებოდნენ. მათ, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, თანაგრძნობის ხელი გაუწოდეს ლენაზე დაღუპულ თანამოძმეებსაც, რაც გამოხატეს არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო მთელი რიგი გაფიცვებითა და აჯანყებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „თბილისის მოამბის“ ისტორიისათვის[1] (1873—1882 წწ.)

ლ. ჩიქოვანი

(წარმოადგინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა)

საქართველოს იმ მოწინავე გამოცემებს შორის, რომლებმაც გასული საუკუნის 70-იან წლებში უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენში დემოკრატიული მსოფლმხედველობის შემუშავებისა და გავრცელების მხრივ[2], გაზეთ „თბილისის მოამბეს“ («Тифлисский Вестник»),[3] საპატიო ადგილი უჭირავს. გაზეთი გამოდიოდა თბილისში 1873—1882 წლებში. სულ გამოვიდა 1596 ნომერი. ეს იყო პირველი პროგრესული რუსული გამოცემა საქართველოში.

მართალია, მანამდეც იყო არა ერთი ცდა არაოფიციალური რუსული გაზეთის დაარსებისა საქართველოში ,მაგრამ ამ გაზეთებს, [მაგალითად, «Литературный Листок» („ლიტერატურული ფურცელი“) 1864 წლისა, «Кавказское Эхо» („კავკასიის ექო“) 1869—1870 წლებისა, «Еженедельный Листок» („ყოველკვირეული ფურცელი“) 1872 წლისა თავის დამატებითურთ, „Ежедневный Справочный Листок“ („ყოველდღიურ ცნობათა ფურცელი“), «Кавказская Старина» („კავკასიის სიძველენი“) 1872—1873 წწ. და სხვას] არავითარი სერიოზული ნიშანკვალი არ დაუტოვებიათ ჩვენი საზოგადოების შემდგომ განვითარებაში[4].

სულ სხვა იყო „თბილისის მოამბის“ მნიშვნელობა და როლი საქართველოსა და მთელს კავკასიაში გამათავისუფლებელი იდეების ქადაგებისა და გავრცელების მხრივ. თავის წინამორბედებთან (იგულისხმება ზემოჩამოთვლილი

---

[1] ამ სტატიაში, რომელიც წარმოადგენს გაზეთ „თბილისის მოამბის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსისადმი მიძღვნილი გამოკვლევის პირველ თავს, ავტორი მიზნად ისახავს გადმოსცეს საქართველოს პირველი რუსული დემოკრატიული გაზეთის ისტორია და თავად სავალი; ამიტომ იგი თავს იკავებს ამჯერად გაზეთის სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების შეფასებისაგან, რაც მომდევნო თავებში აქვს ნავარაუდევი.

[2] იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, გაზეთი „დროება“ (1866—1885 წწ.), ჟურნალი „კრებული“ (1871—1873 წწ.), „სასოფლო გაზეთი“ (1868—1870 წწ.), „ივერია“ (1877—1906 წწ.), გაზეთი „Обзор“ („მიმოხილვა“) 1878—1882 წწ. და სხვა მერმინდელი გამოცემაც.

[3] რამდენადაც გასული საუკუნის ქართველი მოღვაწენი ამ გაზეთს უწოდებდნენ „თბილისის მოამბეს“ (იხ. გაზეთ „დროების“ კომპლექტები 1873, 1874 და მომდევნო წლებისა) და იშვიათად იხსენიებდნენ მას, როგორც „Тифлисский Вестник-ს“, ამიტომ ჩვენც ვამჯობინეთ ასევე ვუწოდოთ გაზეთს „თბილისის მოამბე“, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდათ მის თანამედროვეთ.

[4] ზემოხსენებული გამოცემების შესახებ იხ. „Библиография русской периодики Грузии, „часть первая, 1828—1920 гг., Тбилиси, 1942. საქართველოს წიგნის პალატის გამოცემა“, შეადგინა მ. ვ. ზერცალოვმა, გვ. 11-21.

არაოფიციალური რუსული გამოცემები) შედარებით იგი ყველაზე ცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და თუ მათი მოღვაწეობის ხანა ერთს ან დიდი-დიდი ორ წელიწადს მოითვლიდა ხოლმე, „თბილისის მოამბემ“ რვა წელიწადი იარსება. ამ ხნის განმავლობაში მან არა ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემა წამოაყენა და თავის შეხედულებისამებრ გადაწყვიტა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ იმ დროს კერძო, არაოფიციალური გაზეთის გამოცემა მეტად ძნელი და რთული საქმე იყო ჩვენში. გარდა მკაცრი ცენზურული პირობებისა[5], თვით პერიოდული ორგანოს გამოცემა პრაქტიკულად დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ეს საქმე უდიდეს ფულად სახსრებს საჭიროებდა. ჩვენში იმხანად ბანკიც კი არ არსებობდა[6] და გაზეთის რედაქტორ-გამომცემლები ფულების ძებნისათვის ბევრ დროსა და ენერგიას ჰკარგავდნენ[7], ბოლოს, ისინი ფულს მაინც ადგილობრივ

---

[5] უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად ე. წ. „რეფორმების ხანისა“, რომელსაც, მაროლაკ, დაემთხვა ჩვენში პერიოდულ გამოცემათა დაარსებისა და აღმავლობის ეპოქა, საქართველოში, ისევე როგორც მთელს კავკასიაში, არ გავრცელებულა ის ცენზურული შეღავათები, რითაც სარგებლობდა ცენტრალური (პეტერბურგისა და მოსკოვის) პრესა: იქაური გაზეთები და ჟურნალები გათავისუფლებული იყვნენ წინასწარი ცენზურისაგან. გაზეთის გამოსვლის შემდეგ გარგებდა ხოლმე საცენზურო კომიტეტი (ან ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო) ამა თუ იმ ნომრის შინაარსს და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას ზომების მიღება „დამნაშავე“ ორგანოს წინააღმდეგ (გაფრთხილება მიეცა, შეეჩერებინა რამდენიმე ხნით მისი გამოცემა და გადაეხდევინებინა ჯარიმა და ა. შ.), სულ სხვა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში), სადაც შენარჩუნებულ იქნა ე. წ. წინასწარი ცენზურა; გაზეთის ხელმძღვანელები იძულებული იყვნენ ანაბეჭდები გაეგზავნათ საცენზურო კომიტეტში წინასწარი შემოწმებისათვის. თქმა არ უნდა, რომ ამის გამო ჩვენებური გაზეთების შინაარსი ხშირად გამოფიტული, ავტორები იძულებული არიან მიკიბულ-მოკიბულად, მინიშნებებით ილაპარაკონ მათთვის საინტერესო საგნებსა და მოვლენებზე, რაც გარკვეულ დაღს სტოვებდა სტატიებზე, ნირს უკარგავდა მათ და ხშირად მკითხველისათვის გაუგებარს ხდიდა ავტორის პირვანდელ ჩანაფიქრს. მხოლოდ მთავრობის ოფიციოზმა —გაზეთმა „Кавказ“ მიიღო 1876 წელს ეს თავისუფლება წინასწარი ცენზურისაგან. ამით ადგილობრივი ხელისუფალნი, უწინარეს ყოველისა მეფისნაცვალი, იმედოვნებდნენ როგორმე გამოეცოცხლებინათ თავიანთი გაზეთი და მკითხველი შეეძინათ მისთვის; მაგრამ ამ „გაზაბეგმაც“ ვერ უშველა „კანონიერი“ მმართველობის ორგანოს და მხოლოდ საბაბი გაუჩინა მის მეტოქეებს [იხ. მაგალითისათვის, ნ. ნიკოლაძის წერილები 1876 წლის „თბილისის მოამბეში“ №№ 137, 142, 143 вольноотнущенный („გაზაბეგბული“) გაზეთის გამო] თავდასხმისა და გესლიანი დაცინვებისათვის.

[6] ცნობილია, რომ თბილისის სათავადაზნაურო ბანკი მაშინ ჯერ კიდევ შექმნის სტადიაში იმყოფებოდა, ხოლო თბილისის კომერციული ბანკი (მდიდარ თბილისელ ვაჭართა საკრედიტო დაწესებულება, მართალია, იმავე 1872 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც საფუძველი ეყრებოდა გაზეთ „თბილისის მოამბეს“, მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს ბანკი თვითონაც არ იყო წელში მომაგრებული, ხოლო, მეორე მხრივ, მის ხელმძღვანელებს მაშინ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ ხელი გაემართათ და სახსრები გაეღოთ ისეთ სათუო წამოწყებისათვის, როგორიც იმდროინდელი კერძო გაზეთები იყო.

[7] მაგალითად, ს. მესხი ერთ თავის კერძო წერილში წერდა, რომ გაზეთის გამოცემა ეს ისეთი საქმეაო, რომელსაც გასავალი ბლომათ აქვს, შემოსავალი კი ცოტაო. მეორეგან იგი გულისტკივილით აღიარებდა, რომ შრომაც ბევრი აქვს და წვალებაც, მაგრამ ეს სრულიადაც არ აშინებს მას. ერთი საგანი, რომელიც დამაფიქრებს ხოლმე ხშირად, — წერდა ხელმოკლეობით შეწუხებული რედაქტორი, — ეს მატერიალური საშუალებების ნაკლებობაა... ასეთივე ჩივილი ისმის მესხის იმ წერილშიც, სადაც ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მომავლიდან საქმეები გაუმჯობესდება და „ფულების ძებნისათვის სირბილისაგან განთავისუფლებული ვიქნებიო“ (იხ. ს. მ ე ს ხ ი, „წერილები“, ი. ბ ო ც ვ ა ძ ი ს რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, სოხუმი, 1950, გვ. 177, 203—203, 210—214).

მევახშეებისაგან (მამასისხლად) შოულობდნენ და ვალებში ეფლობოდნენ. სანიშნავია ამასთანავე, რომ ამ დროს გაზეთის გამოცემა დიდ ხარჯს მოითხოვდა, შემოსავალი კი უმნიშვნელო ჰქონდა, რადგან ხელისმომწერლები ნისიად გაზეთის მიღებას ამჯობინებდნენ ფულის ნაღდად გადახდას. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ ხელისმომწერნი გაზეთის ფასის გარკვეულ ნაწილს გადაიხდიდნენ, მთელი წლის განმავლობაში გაზეთს იღებდნენ ხოლმე, მაგრამ საბოლოო ანგარიშის გასწორებას ვეღარ ახერხებდნენ.

ბეჭდვითი ორგანოს წარმართვა მოითხოვდა რედაქტორისაგან დიდ გამოცდილებას, მოჭნილობას, ოპერატიულობას, ღრმა ცოდნასა და გამჭრიახობას. გარდა ამისა, თვით რედაქტორს უნდა ეზრუნა ქაღალდზე, შრიფტზე, მუშის ხელფასზე, ებრძოლა ცენზურასთან (ამის შესახებ ცალკე საგანგებოდ გვექნება საუბარი), მორიგებოდა სტამბის მეპატრონეებს და სხვა ათასი „წვრილმანი“ საკითხი მოეგვარებინა. ყოველივე ამას არა ერთი გამოცდილი ჟურნალისტი ჩაუგდია საგონებელში, არამცთუ ახალბედა, საგაზეთო საქმეში ჩაუხედავი, ახალგაზრდა ოფიცერი (გაზეთის დაარსების დროს იგი 26 წლის იყო) თავადი კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ბებუთოვი, რომლისთვისაც „თბილისის მოამბის“ გამოცემა მწერლობაში გადადგმულ პირველ ნაბიჯს, მის, ასე ვთქვათ, ლიტერატურულ დებიუტს წარმოადგენდა.

კოტე (საზოგადოებაში მას ასე ეძახდნენ) ბებუთოვი დაიბადა თბილისში 1847 წელს[8], წარმოშობით იგი სომეხი იყო, მაგრამ იცოდა ქართული ენა. მიუხედავად თავისი სამხედრო განათლებისა, კ. ბებუთოვი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს იმდროინდელ რუსულსა და ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოძრაობას და თავისი დროის მოწინავე მწერლობის მიერ დასახული საზოგადოებრივი იდეალებით იყო გატაცებული.

ადვილი შესაძლებელია, რომ კოტე ბებუთოვი, მიუხედავად საგაზეთო საქმისადმი თავისი დიდი სიყვარულისა და თავდადებისა (რომელიც მან შემდეგში გამოიჩინა), პირველად ვერც კი გაბედავდა ეოცნება საკუთარი გაზეთის დაარსებაზე, რომ დაახლოებული არ ყოფილიყო იმდროინდელ მოწინავე თბილისელ ლიტერატორთა და ჟურნალისტთა წრესთან. იგი პირადად იცნობდა და მეგობრობდა ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, დ. ერისთავს, გ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს და სხვებსაც. გაზეთის გამოცემა—ეს ისეთი ძნელი საქმე იყო, რომ მარტო კოტე ბებუთოვი ვერ იკისრებდა ამ ტვირთის ზიდვას, მას რომ გამოცდილი და საგაზეთო საქმეში გამობრძმედილი მეგობრები არ ამოსდგომოდნენ მხარში. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა დავასახელოთ ნ. ნიკოლაძე.

---

[8] გარდაიცვალა 1907 წ. ბერლინის მახლობლად (ეიდკუნენთან) მომხდარი რკინიგზის კატასტროფის დროს. კ. ბებუთოვმა „პროვინციული“ გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის მძიმე და ეკლიანი გზა განვლო. მის დროს „თბილისის მოამბე“ გახდა საყვარელი ორგანო მკითხველისათვის არა მარტო თბილისსა და საქართველოში, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელს კავკასიაშიც, მაგრამ „ჟამთა სიავემ“ და სხვადასხვა ამბებმა (რომელთა განხილვა, ვფიქრობთ, ნაკლებად საჭირო იქნება ამ სტატიაში) იძულებული გახადა იგი, რომ მიეტოვებინა გაზეთიც, თვით თბილისიც და ერთხანს პეტერბურგში ეცხოვრა. შემდეგ იგი დაბრუნდა, მეგობართა რჩევით, სამშობლოში, კვლავ ჩაება თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კერძოდ, ქალაქის თვითმმართველობის ორგანოების საარჩევნო ბრძოლებში, კენჭი იყარა ქალაქის თავის თანამდებობაზე, მაგრამ მარცხი განიცადა... ამ ხანაში კ. ბებუთოვი კვლავ მონაწილეობდა ადგილობრივ პრესაში, მაგრამ ამჯერად როგორც თანამშრომელი: საგამომცემლო საქმიანობამ სავსებით გაანიავა მისი ქონება და ყოვლად უსახსროდ დასტოვა იგი.

ცნობილია, რომ ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო ზრუნვა (1870 წლის ზაფხულში) საკუთარი გაზეთის „ობზორის“ დაარსებაზე[9]. მაგრამ იმხანად ადგილობრივმა ხელისუფლებმა უარით უპასუხეს გაზეთის გამოცემაზე, რადგან გაუხსენეს ნ. ნიკოლაძეს ძველი „ცოდვები“ — მისი საზღვარგარეთული მოღვაწეობა, მიმართული მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

ნ. ნიკოლაძეს, რომელსაც კარგად ესმოდა გაზეთის საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა, სულაც არ აუღია ხელი თავის განზრახვაზე. ამიტომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ საკუთარი გაზეთის დაარსების იდეა კ. ბებუთოვმა სწორედ ნ. ნიკოლაძესთან, დ. ერისთავთან და სხვა ახლო მეგობრებთან ერთად შეიმუშავა. ამ ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო გვიმყარებს და გვიმტკიცებს თანამედროვეთა გადმოცემები: მთელმა თბილისმა იცოდა თურმე, რომ კ. ბებუთოვის მომავალ გაზეთში ნ. ნიკოლაძე ითანამშრომლებდა. ამით გაზეთმა ბევრი ახალგაზრდა მიიზიდა თავისკენ, მაგალითად, დავით ერისთავი[11].

აქედან ცხადია, რომ ნ. ნიკოლაძე, რომელიც აშკარად ვერ გამოვიდოდა პერიოდული ორგანოს რედაქტორ-გამომცემლის როლში[12], როგორც მთავრობისათვის არასასურველი პიროვნება, კოტე ბებუთოვის გაზეთში თანამშრომლობას უნდა დასჯერებოდა.

ერთი შეხედვით შეიძლება საკვირველადაც გვეჩვენოს, თუ რატომ სურდა ნ. ნიკოლაძეს, რომელიც თერგდალეულთა ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელთაგანი და მათი ორგანოს—გაზეთ „დროების“ დიდი მოამაგე იყო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ეროვნულ-გამათავისუფლებელ საქმეს შესწირა და თავდადებით იბრძოდა მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ,—სწორედ რუსული გაზეთის დაარსება ჩვენში?

საქმე ის იყო, რომ ნ. ნიკოლაძეს და საერთოდ თერგდალეულებს, კარგად ესმოდათ, რომ მარტო ისინი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერას გახდებოდნენ და რომ საჭირო იყო მთელი კავკასიის მოწინავე ძალთა მობილიზება და დარაზმვა. ეს აზრი აშკარად აქვს გამოთქმული სერგეი მესხს თავის ერთ-ერთ კერძო წერილში, სადაც იგი ამბობს, რომ „ახალგაზრდა თაობის საბოლოო მიზნისა და განზრახვის შესრულებას ერთობ ბევრი შრომა, ბედნიერი გარემოება და შემთხვევა, ბევრი მსხვერპლი დასჭირდება — არათუ მარტო ჩვენის მხრით, **მთელი კავკასიის მხრითაც**“ო (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ.)[13].

ნიკოლაძის აზრითაც საქართველოში მოქმედ მოწინავე ინტელიგენციას და განსაკუთრებით თბილისში თავმოყრილ მრავალეროვან რევოლუციურად განწყობილ კავკასიელ ახალგაზრდობას თავისი ხმა უნდა გაეგონებინა მებრძო-

---

[9] იხ. ნ. ნიკოლაძის ე. წ. „ავტობიოგრაფია“, ანუ წერილი ვ. ა. ბაქრაძისადმი, გამოქვეყნებული გ. მეგრელიშვილის წიგნში: **„Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX в. и начала XX в.“** Тб., 1961, ტ. I, ნაწილი I, გვ. 180.

[10] იხ. ამის შესახებ ა. იოვიძის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები, „საისტორიო მოამბე“, თბილისი, 1945, № 1, გვ. 47—48.

[11] „დავით ერისთავი“ (სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები), ზ. ჭიჭინაძის რედაქციით. თბ., 1892, გვ. 22.

[12] ამით აიხსნება, მაგალითად, ის გარემოება, რომ ჟურნალ „კრებულის“ ნომინალურ რედაქტორად გ. წერეთელი იყო და არა მისი ფაქტიური დამაარსებელი და ნამდვილი ხელმძღვანელი — ნ. ნიკოლაძე. იხ. ნ. ნიკოლაძის, „ავტობიოგრაფია“, იქვე, გვ. 180.

[13] ს. მ ე ს ხ ი ს ზემოხსენებული „წერილები“, გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, მიუხედავად რუსეთისათვის და ლიტერატურული კავშირი მაინც (თუ არა) დაემყარებინა მასთან. ამიტომ მიაჩნდა ნიკოლაძეს აუცილებლად თბილისში ამ იდეების გამომხატველი არა მარტო ქართული („დროება“, „კრებული“), არამედ აგრეთვე რუსული, სომხური[14] და „თათრული“[15] გაზეთების დაარსება, რომელთაც კავკასიის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეალები, რუსი საზოგადოებისათვის უნდა გაეცნო და, მეორე მხრივ, იგივე იდეები სომეხთა და აზერბაიჯანელთა საზოგადოებაში შეეტანათ.

ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ სურდა ნ. ნიკოლაძეს ჩვენში რუსული გაზეთის დაარსება. ამ მიზეზს კიდევ ის მოსაზრებაც ერთვოდა თან, რომ საჭირო იყო ადგილობრივ რუსულ (ოფიციალურ თუ არაოფიციალურ) ორგანოებს, რომლებიც იმ დროს გამოდიოდა საქართველოსა და კავკასიაში და ანტიხალხური — მონარქისტული თუ დიდმპყრობელური — იდეების გავრცელებას ცდილობდა, დაპირისპირებოდა პროგრესული ორგანო ამ გაზეთების რეაქციული პროპაგანდის ასალაგმავად. ამ პირობებში უნდა მომხდარიყო, ჩვენი აზრით, ნ. ნიკოლაძისა და კოტე ბებუთოვის შეთანხმება ახალი არაოფიციალური რუსული გაზეთის გამოცემის შესახებ.

ასე იყო თუ ისე, საკუთარი გაზეთის დაარსების იდეით აღფრთოვანებულმა კოტე ბებუთოვმა 1872 წლის 7 აგვისტოს თხოვნა შეიტანა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი ახალი ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთის „თბილისის მოამბის“ დაარსების შესახებ[16]. ამ დოკუმენტს მან თან დაურთო საბუთი სამხედრო სამსახურიდან თავისი გადადგომის შესახებ და მომავალი გაზეთის პროგრამა შემდგარი ცხრა მუხლისაგან; აქვე იყო განცხადებაც იმის შესახებ, რომ გაზეთის ყველა განყოფილების გამგეობას თავის თავზე იღებს რედაქტორ-გამომცემელიო. გარდა ამისა განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ გაზეთი გამოვა სამჯერ[17] კვირაში: სამშაბათს, ხუთშაბათს, და შაბათს (150 №№ რაოდენობით წლიურად) და დაიბეჭდება მელიქოვისა და К°-ს სტამბაშიო. გაზეთის წლიური ფასი ნავარაუდევი იყო შემდეგნაირად: შინ მიუტანლად 9 მანეთი, ქალაქის ხელმომწერთათვის შინ მიტანით 10 მანეთი, ქალაქგარეთ გადაგზავნით 10 მან. 50 კაპ.

ბებუთოვის საბუთებს საცენზურო კომიტეტმა თავის მხრივ 1872 წლის 21 აგვისტოს დაურთო შუამდგომლობა მთავარი სამმართველოს უფროსისად-

---

14 მხედველობაში გვაქვს ნ. ნიკოლაძისაგან არწრუნისადმი 1872 წ. მიცემული რჩევა „მშაკის“ დაარსების შესახებ. მაგრამ არწრუნის გაზეთი ვერ აღმოჩნდა საკმარისად მებრძოლი ხასიათისა, ვერ გაამართლა ნიკოლაძის იმედები. ეს გაზეთი წმინდა ლიბერალურ-ბურჟუაზიული სულისკვეთებისა გამოდგა. ნიკოლაძე მას დროდადრო აკრიტიკებდა ხოლმე, ბოლოს კი 1878 წ. მისმა გაზეთმა „ობზორმა“ სულაც მიწასთან გაასწორა და დაჰგმო „მშაკი“ სწორედ ლიბერალური ტენდენციების გამო. ალბათ, ამ სომხურ გაზეთსაც გულისხმობდა დავით ერისთავი სხვა ადგილობრივ გაზეთებთან ერთად, როდესაც თავის დროზე „თბილისის მოამბის“ ერთ-ერთ ნომერში (იხ. 1873 წ. № 95) ნ. ნიკოლაძის შესახებ ლექსად წერდა: **„Всю нашу гласность, все газеты за мягкий тон он осуждал.“**

15 **ეგულისხმება ნ. ნიკოლაძის მოლაპარაკება მამედ შახტახტინსკისთან** აზერბაიჯანული პროგრესული გაზეთის დაარსების შესახებ. მაგრამ იმხანად ეს განზრახვა არ განხორციელებულა.

16 ცსსა. ფ. 416, აღწ. 3, საქმე 589, ფ. 1.

17 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო თბილისის პირველი საზოგადოებრივი გამოცემა, რომელიც კვირაში სამჯერ უნდა გამოსულიყო. ცნობილია, რომ იმ დროს „დროებაც“ ერთხელ **გამოდიოდა კვირაში და „მშაკიც“.** მხოლოდ მთავრობის ოფიციოზი გაზეთი **„Кавказ“-ი,** რომელიც მთავრობის სუბსიდიებით არსებობდა, კვირაში სამჯერ გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი, რომელშიც კომიტეტი ადასტურებდა, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რათა კ. ბებუთოვს უფლება მიეცეს გაზეთის დაარსებისათვისო. მაგრამ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნდა, რომ პროგრამის მეორე განყოფილების მასალები სამშობლოსა და უცხოეთში მომხდარი ამბების შესახებ ამოკრეფილი ყოფილიყო ოფიციალური გაზეთებიდან „Правительственный Вестник“ და „Journal de St. Petersbourg“[18].

საცენზურო კომიტეტის ეს განზრახვა არაფრად ეჭაშნიკა „თბილისის მოამბის“ მომავალ მესვეურებს. გაჩაღდა მისვლა-მოსვლა მთავარ სამმართველოში და გამოყენებულ იქნა მომავალი რედაქტორ-გამომცემლის კოტე ბებუთოვის შეუბღალავი რეპუტაცია მთავრობის თვალში, მისი დიდი გავლენა და ნაცნობობა ადგილობრივ ხელისუფალთა წრეებში. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ, ვიდრე ეს დოკუმენტი მთავარი სამმართველოს უფროსს (ბარონ ნიკოლაის) გადაეცემოდა, კანცელარიის მმართველმა ნ. პრიბილმა[19] ერთი მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა საცენზურო კომიტეტის ამ მოხსენებაში: კანცელარიის მმართველის აზრით, რაკი გაზეთი დაქვემდებარებულია წინასწარ ცენზურას, რაღა საჭიროა, რომ იგი შევზღუდოთ და დავავალოთ მაინცა და მაინც ოფიციალური გაზეთებიდან ამოკრიფოს ცნობები და მასალები. ამასთანავე არც სათანადო კანონი არსებობსო. «...Обращаясь... к мнению Цензурного Комитета,—სწერს თავის მოხსენებაში კანცელარიის გამგე—об обязании издателя заимствовать политические сведения из официальных газет, Канцелария не считает удобным подчинить издателя этому условию по неимению в виду закона который обязывал бы издателей периодических сочинений извлекать политические сведения непременно из официальных органов, (ხაზი ჩვენია, ლ. ჩ.) равно и потому, что предполагаемая князем Бебутовым к изданию газета подлежит предварительной цензуре, от которой и будет зависеть воздерживать издателя от помещения таких политических взглядов, которые не соответствуют духу местной газеты».[20]

ეს კორექტივი მთავარი სამმართველოს უფროსისადმი თავის მოხსენებაში კანცელარიის მმართველმა 1872 წლის 1 სექტემბერს შეიტანა, მალე სათანადო განკარგულებაც მიღებულ იქნა და კ. ბებუთოვს ნება დართეს გამოეცა გაზეთი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახალბედა რედაქტორი პრაქტიკულად სულაც არ იყო მზად საიმისოდ, რომ ერთ თვეში („თბილისის მოამბე“ 1872 წ. 1 ოქტომბერს უნდა გამოსულიყო) თავისი გაზეთი გამოეშვა. მართლაც, პირველი ნომერი ახალი თბილისური გაზეთისა მხოლოდ სამი თვის შემდეგ 1873 წლის 2 იანვარს (სამშაბათ დღეს) გამოვიდა.

დიდი დახმარება რედაქტორ-გამომცემელს პირველი ნომრის გამოშვებაში გაუწია დავით ერისთავმა, რომელიც ამ გაზეთის უანგარო მოამაგე და ერთგული მოღვაწე იყო დღიდან მისი დაარსებისა. წლების განმავლობაში დ. ერისთავი თავდადებით იღწვოდა გაზეთის საკეთილდღეოდ და თავს ევლებოდა მას. დ.

---

[18] ცსსა, ფ. 480, აღწ. 1, საქმე 107, ფ. 2; ან იქვე ფ. 416, აღწ. 3, საქმე 589, ფ. I და II.

[19] როგორც მასალებიდან ირკვევა, ეს ნ. პრიბილი, მართალია, მეფის მოხელე იყო, მაგრამ ამავე დროს გამოირჩეოდა თავისი ფრიად მოლიბერალო შეხედულებით. იგი არაერთხელ დახმარებია გაჭირვებაში ჩვენს გაზეთებს „თბილისის მოამბესა“ და „დროებას“.

[20] ცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქმე 589, ფ. 3 (მეორე გვერდითურთ).

ერისთავის ფელეტონები, რომლებიც ასახავდნენ იმდროინდელი თბილისის ყოფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას, დღესაც სიამოვნებით იკითხება და მკითხველის გულწრფელ სიცილს იწვევს. ამასთან დ. ერისთავს ერთნაირად გულთან ახლოს მიჰქონდა გაზეთის, როგორც ლიტერატურული, ისე სამეურნეო თუ ადმინისტრაციული საკითხების ბედ-იღბალი. ამიტომაც იყო, რომ შემდეგში, როდესაც მოხდა „თბილისის მოამბის“ რეორგანიზაცია, სწორედ დ. ერისთავი დაინიშნა მის პირველ ადმინისტრატორად.

„თბილისის მოამბის“ პირველი ნომერი თავიდან ბოლომდე ორი კაცისაგან არის შედგენილი. თუ მოწინავე კ. ბებუთოვმა დაწერა, სამაგიეროდ პირველი ფელეტონი, მიძღვნილი იმდროისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხის — თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსებისადმი — დავით ერისთავის კალამს ეკუთვნის.

თავის პროგრამულ სტატიაში კ. ბებუთოვმა, უწინარეს ყოვლისა, განმარტა, თუ რა იქნება რედაქტორისა და მის თანამშრომელთა მთავარი საზრუნავი საგანი. ჩვენი მიზანი ის იქნება, რომ მივცეთ გაზეთს „ადგილობრივი ცხოვრების და მის ინტერესთა გამომხატველი ორგანოს ხასიათიო“.

ავტორი აკრიტიკებს ცენტრალურ გაზეთებს, რომლებიც, მისი აზრით, არ იცნობენ განაპირა მხარეების ცხოვრებასა და მის ინტერესებს სწორედ იმიტომ, რომ აქამდე არც კი არსებობდა ადგილობრივი (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) გაზეთებიო[21], სადაც ასახული იქნებოდა ამ განაპირა მხარეების ჭეშმარიტი ცხოვრება და მისი გადაუდებელი მოთხოვნები. ცენტრალური გაზეთები იმ ძველი და მცდარი შეხედულებით სარგებლობენ, თითქოს განაპირა მხარეების ცხოვრება იმდენად დამყაყებული და ერთფეროვანია, რომ იქაურ გაზეთებს არაფერი აქვთ დასაწერი-ო. მართალია, ამბობს რედაქტორი, ჩვენში ბევრი რამ აუცილებლად უნდა შეიცვალოს (აქ კ. ბებუთოვი ლიბერალურ ილუზიებს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მთავრობა თავის რეფორმებს ჩვენს მხარეზეც გაავრცელებს, რადგან თვითონაც, კ. ბებუთოვის აზრით, დაინტერესებულია ქვეყნის წინსვლით), მაგრამ არსებული ვითარებაც საჭიროებს დაკვირვებასა და გულდასმით შესწავლასო; სწორედ ამ ცხოვრების ყველა მოვლენის ეს გულდასმით დაკვირვება და ზედმიწევნით შესწავლა უნდა იყოს, ახალგაზრდა რედაქტორის აზრით, ადგილობრივი გაზეთის მოწოდება და მთავარი საზრუნავი საგანი.

შემდეგ კ. ბებუთოვი მოითხოვს ადგილობრივი გაზეთებისათვის იმ უფლების მინიჭებას, რომ მათ აშკარად და საჯაროდ იმსჯელონ არჩევით დაწესებულებათა საქმიანობაზე. მისი აზრით, რუსეთში ამგვარ დაწესებულებათა მოღვაწეობას არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს და არც ექნება, ვიდრე არ არსებობს საჯაროობაო, ანუ, ვიდრე პრესა თავის ფურცლებზე აშკარად არ იმსჯელებს საზოგადოებრივ ორგანოთა პრაქტიკულ მოღვაწეობაზე.

მაშასადამე, ბებუთოვი მოითხოვდა საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებას დეპუტატთა მოღვაწეობაზე და ამ კონტროლის ქმედითი მნიშვნელობის გადიდებას პრესის საშუალებით.

გარდა ამისა, ბებუთოვმა წამოაყენა აგრეთვე ის მოთხოვნა, რომ სასამართლო დაწესებულებათა საქმეებშიც, მისი აზრით, ნამდვილ სახალხო სასამართლოს არ უნდა ეშინოდეს საჯაროობისა და იმანაც პრესის საშუალებით უნდა გამოამზეუროს თავისი საქმიანობა.

[21] ამ სიტყვებით კოტე ბებუთოვმა გაზეთ „Кавказ“-ს გადაუჭირა მათრახი.

დაბოლოს, კ. ბებუთოვმა თავის პირველსავე სტატიაში წამოაყენა ადგილობრივი დაწესებულებების, სასამართლო საქმეების გამომზეურების, მათდამი საჯაროობის დაწესების მოთხოვნა. იგი იმედს გამოთქვამდა, რომ სულ მალე კავკასიაშიც გატარდება სასამართლო და საქალაქო რეფორმები.

თავის სტატიას ბებუთოვი ასე ამთავრებდა: „თუ გავითვალისწინებთ იმ შეღავათებს, რომლებიც ბოძებული აქვს მთელს სამამულო პრესას და ჩვენს სურვილებს, რომ ვემსახუროთ ადგილობრივი ცხოვრების ინტერესებს, ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი წამოწყება უპასუხებს უკვე არსებულ მოთხოვნილებას“.

ამავე პირველი ნომრის ფურცლებს, როგორც უკვე ვთქვით, ამშვენებს მ. ზადეკაშვილის (დავით ერისთავის) შესანიშნავი ფელეტონი „სიზმარი ახალი წლის წინაღამეს“.

ახლა გავარკვიოთ, თუ როგორ შეხვდა იმდროინდელი საზოგადოებრიობა ახალი გაზეთის გამოსვლას?

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელ თბილისურ პერიოდულ გამოცემათაგან მხოლოდ „დროება“ გამოეხმაურა მცირე რეცენზიით „თბილისის მოამბის“ გამოჩენას ლიტერატურულ ჰორიზონტზე. არც „მშაკსა“ და „არც „კავკაზს“ საჭიროდ არ ჩაუთვლიათ გაერჩიათ თავიანთი ლიტერატურული თანამოძმის პირველი ნომერი. „დროებამაც“ მეტად ძუნწად აღნიშნა ახალი გაზეთის გამოსვლის ფაქტი და ამკარად დაიწუნა (?) მისი პირველი ნომერი. ამასთან თერგდალეულთა ორგანომ განაცხადა, რომ თუ შემდეგი ნომრებიც ამ პირველის მსგავსნი იქნებიან, მაშინ „ჩვენი აზრი ამ გაზეთის სასარგებლოდ არ იქნებაო“[22].

ვფიქრობთ, რომ „დროება“ აჩქარდა ამ თავის წინასწარ შეფასებაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ სპეციალისტებს (იმდროინდელ თბილისელ ჟურნალისტებს) საერთოდ ეს გაზეთი უდღეურ წამოწყებად მიაჩნდათ. არავის სწამდა და სჯეროდა ის, რომ წერაში გამოუცდელი ყოფილი ოფიცერი წარმატებით გაუძღვებოდა ლიტერატურულ-პოლიტიკურ ორგანოს. მათი აზრით, კ. ბებუთოვს არც ლიტერატურული ნიჭი გააჩნდა და არც მუშაობის უნარი. თანამედროვენი ხმამაღლა, რედაქტორის გასაგონად უქადდნენ „თბილისის მოამბეს“ მოახლოებულ აღსასრულს, წინასწარმეტყველურად ამტკიცებდნენ, რომ კ. ბებუთოვი მალე იძულებული გახდება თავისი გაზეთი სხვას დაუთმოს, რადგან იგი უკვე „სულს ღაფავს“ და დღე-დღეზე მოელის სიკვდილსო“[23]. კ. ლორთქიფანიძე და ლ. მიქელაძე აშკარად წერდნენ „დროებაში“ —„ვინ ყოფილი ოფიცერი, და ვინ ლიტერატურული ორგანოს რედაქტორი“? გაზეთის გამოცემა სულაც არ არის შენი საქმე და არც უნდა მოგეკიდნა მისთვის ხელიო. ამაზე კოტე ბებუთოვი გესლიანად შენიშნავდა, დიახაც არასოდეს მეგონა და არც ახლა მგონია, თითქოს გაზეთის რედაქტორობა და გამომცემლობა მემკვიდრეობით გადადიოდეს თაობიდან თაობაზეო[24]. მიუხედავად მოწინააღმდეგეთა ყიჟინისა და აშკარა შემოტევებისა, კ. ბებუთოვი მტკიცედ აცხადებდა: „Все слухи о прекращении издания «Тифлисского Вестника» и о переходе его под другую редакцию лишены всякого основания“.[25]

---

[22] გაზეთი „დროება“, № 1, 1873 წ. 9 იანვარი, გვ. 2.

[23] იხ. ს. მესხის დასახელებული „წერილები“, გვ. 160, 167.

[24] იხ. „თბ. მოამბე“, 1874 წ № 101—102.

[25] იქვე, 1874 წ. № 190.

გაზეთმა „Кавказ“-მაც საჭიროდ სცნო 1874 წლის ბოლო ნომერსა და 1875 წლის დასაწყისში შეეფასებინა ბებუთოვის გაზეთის ორი წლის მოღვაწეობა ლიტერატურულ სარბიელზე. ამ მხრივ მანაც გაზეთის უსუსურობის და მისი რედაქტორის „ზარმაცობისა“ და „უნიათობის“ არასანუგეშო სურათი წარმოგვიდგინა[26]. „კავკაზის“ პუბლიცისტის აზრით „თბილისის მოამბის“ რედაქტორი ფუქსავატი ახალგაზრდაა, რომელსაც გარდა თეატრებისა და მსახიობ ქალებთან დროსტარებისა არაფერი აინტერესებს. ამის დასადასტურებლად სტატიის ავტორს ის ფაქტი მოჰყავს, რომ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა გაზეთის გამოცემის შესახებ და პირველი ნომრის გამოშვებამდე, ე. ი. მთელი 3 თუ 4 თვის განმავლობაში, როდესაც რედაქტორს დროცა ჰქონდა საამისო და მოცალეობაც, ბებუთოვს ჭკუაში არ დაუჯდა ერთი რომელიმე სერიოზული საკითხის დასაბეჭდად მომზადებაო.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ზემოდასახელებულ პირთა აზრი კოტე ბებუთოვსა და მის გაზეთზე ნაჩქარევად არის შემუშავებული.

კოტე ბებუთოვი არც ზარმაცი ყოფილა და არც უნიჭო. „თბილისის მოამბის“ ანტაგონისტი, გაზეთი „ობზორი“, დიდი ქებითა და მოწონებით ახასიათებს თავის ლიტერატურული მეტოქის რედაქტორს. არ შეიძლება არ მოვიყვანოთ „ობზორის“ შეხედულება, რომელიც 1880 წ. გამოქვეყნდა „თბილისის მოამბის“ დახურვასთან დაკავშირებით და თავისებურ ლიტერატურულ ნეკროლოგს წარმოადგენდა.

„ობზორის“ პუბლიცისტის აზრით კოტე ბებუთოვისთვის ლიტერატურა და ჟურნალისტიკა სრულებითაც არ იყო უცხო რამ ხილი. იგი აღზრდილი იყო ჟურ. „ისკრის“ და „რუსკოე სლოვოს“ ტრადიციებსა და პრინციპებზე და იცნობდა აგრეთვე „სოვრემენიკს“ (ამით „ობზორის“ პუბლიცისტი გადაკვრით მიახვედრებდა მკითხველს, რომ ბებუთოვი იცნობდა და კითხულობდა ჩერნიშევსკისა და პისარევის თხზულებებს და იმდროინდელი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჭიდილის კურსში იყო). სხვათა შორის „ობზორს“ „თბილისის მოამბის“ რედაქტორის ნაკლოვანებად ის მიაჩნდა, რომ მან არ იცოდა უცხო ენები და ამდენად მისთვის ხელმიუწვდომელი იყო უცხოური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებიო (შესაძლოა, რომ „ობზორი“ გულისხმობდა კ. მარქსსა და მის ახალ მოძღვრებას).

შემდეგ „ობზორის“ პუბლიცისტი ეხება კ. ბებუთოვის ლიტერატურულ მოღვაწეობას და ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ, მართალია, ახალგაზრდა რედაქტორმა თავისი ლიტერატურული საქმიანობა უშუალოდ „თბილისის მოამბის“ გამოცემით დაიწყო, მაგრამ სულ მალე დაამტკიცა, რომ მას თითქმის ყველა ის ღირსება გააჩნდა, რაც აუცილებელია ბეჭდვითი ორგანოს გამომცემლის და რედაქტორისათვის. სახელდობრ, ბებუთოვს ახასიათებდა მახვილგონიერად ნასროლი რეპლიკა, შრომაში სიმარჯვე, ხოლო თავდასხმაში გაბედულებაო“[27].

მიუხედავად რედაქტორ-გამომცემელის ასეთი შესანიშნავი პირადი თვისებებისა, აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ პირველხანად (სახელდობრ, პირველი სამი წლის მანძილზე 1873—1875 წლებში) „თბილისის მოამბე“, მართლაც, ვერ იქნა და ვერ გახდა საზოგადოებისათვის ტონისმიმცემ ორგანოდ, ვერ ამაღლ-

[26] Кавказ, 1874, № 149 და 1875, № 2 „Местная литература“.
[27] გაზეთი „ობზორი“, № 489, 1880 წ., მოწინავე.

და ისეთ დონემდე, რომ მთელი იმდროინდელი თბილისის საზოგადოების სხვა მპყრობელი გამხდარიყო. ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება თვით მისი რედაქტორის გამოუცდელობით და იმ დიდი მატერიალური სიძნელეებით, რომლებიც მას წინ ეღობებოდა; გაზეთს კი ძალიან უჭირდა. მართალია, ხელისმომწერთა რიცხვი განუხრელად იზრდებოდა (თუ თავდაპირველად „თბ. მოამბეს“ ხელს აწერდა მარტოოდენ 75 კაცი — სულ რედაქტორის ნაცნობ-მეგობრები, სულ მალე გაზეთის ტირაჟმა 250—300 ეგზემპლარს მიაღწია, ერთხანს კი 400 ცალსაც შეადგენდა)[28], მაგრამ, ვიმეორებთ, ხელისმომწერთა ესა თუ ის რაოდენობა სულაც არ ნიშნავდა ამ რიცხვის შესატყვისად შემოსულ ფულს გაზეთის რედაქციის სალაროში. უფულობა გაზეთის ლიტერატურულ ხარისხზე, მის ღირსებაზეც მოქმედებდა: „თბ. მოამბის“ რედაქციას საშუალება არ ჰქონდა ჰონორარი მიეცა თავისი თანამშრომლებისათვის და ამიტომ მას ამ დროს (იგულისხმება გაზეთის არსებობის პირველი ხანა 1873 წლიდან 1875 წლამდე) არც ჰყავდა მუდმივი თანამშრომლები. სერგეი მესხი ზემოხსენებულ წერილში წერდა, რომ ბებუთოვს „თანამშრომელი არავინა ჰყავს და თვითონაც არ იცის საქმის წაყვანა. მას ახლა ერთი ოცნება აქვს: ნიკოლაძე ჩამოვაო[29], გაზეთს იმას მივაჩეჩებ ხელშიო და მე სადმე წავალ, თავს დავანებებო“[30]. მეორეგანაც აშკარად წერს ს. მესხი, თუ ვისი იმედით სულდგმულობდა მთელი იმ ხნის განმავლობაში კ. ბებუთოვი: „ბებუთოვის „Тифлисский Вестник“ დიდის გაჭირებით და ჭაპანწყვეტით მიდის,—სწერდა იგი ეკ. მელიქიშვილს საზღვარგარეთ — ან დღეს მოელის სიკვდილს და ან ხვალ. ნიკოლაძის იმედი აქვს, იმას მოელის, თორემ ამდენ ხანსაც მიიცვლებოდაო“[31].

საოცარია კ. ბებუთოვის მოთმინება და სიმტკიცე, მისი რწმენა გაზეთის უკეთესი მომავლისა, როდესაც იგი, ყელთამდე ვალებში ჩაფლული, წერს ნ. ნიკოლაძეს უცხოეთში: «...Я решился держатся, пишите, пишите, пишите»[32]

---

[28] ეს არცთუ მცირე მაჩვენებელი იყო იმ დროისათვის: გაზეთ „დროების“ ხელმომწერთა რიცხვი 70-იანი წლების პირველ ნახევარში არ აღემატებოდა 500—600 კაცს (იხ. ს. მ ე ს ხ ი, დასახელებული „წერილები“, გვ. 99) მკვლევარ ნ. ტაბიძის ცნობით 80-იანი წლების დასაწყისში ისეთ პოპულარულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც კი, როგორიც იყო გაზეთი „შრომა“ (400—450), „ივერია“ (460), ჟურნალი „იმედი“ (600), „დროება“ (700) საშუალოდ 500 ხელისმომწერი ჰყავდათ.

[29] საქმე ის იყო, რომ ნ. ნიკოლაძემ, რომელიც ძლიერ იყო დაკავებული ლიტერატურული („დროება“—„კრებული“ და საზღვარგარეთული „დროშა“) თუ სამეურნეო (მოლაპარაკება უცხოელ ფინანსისტებთან ტყიბულის ქვანახშირის ექსპლოატაციის შესახებ, რის გამოც მას არაერთგზის მოუხდა საზღვარგარეთ გამგზავრება და იქ დიღხანს დარჩენა) საქმეებით, ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია პირველ წელიწადს „თბილისის მოამბეს“. მხოლოდ გაზეთის გამოსვლიდან რვა თვის შემდეგ მან გამოსცა „თბ. მოამბის“ ორი ნომერი (№№ 80 და 81) და წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ნომერში მოათავსა თავისი სტატიები უაღრესად საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. ამ სტატიებმა მთელი თბილისი აალაპარაკეს (იხ. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს წერილები ს. მ ე ს ხ ი ს ა დ მ ი „მნათობი“, 1959 წ. № 11, გვ. 180). ამიტომ იყო რომ კ. ბებუთოვი მოთმინებით ელოდა ნიკოლაძისაგან სამეურნეო საქმეების დასრულებას, მის საბოლოოდ შინ დაბრუნებას და „თბ. მოამბისათვის“ მოცლას.

[30] ს. მ ე ს ხ ი, დასახ. „წერილები“, გვ. 160.

[31] იქვე, გვ. 167.

[32] ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 14/3, 1874 წ. 19/VII, კ. მარჭნის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

მეორეგან იგი ატყობინებს იმავე ადრესატს: «Дела идут плохо. Дефицит и остервенение пензуры...»[33] „თბილისის მოამბის“ რედაქტორის ამ მძიმე ნივთიერი მდგომარეობის შესახებ ყველამ იცოდა: მისმა მტერმაც და მოყვარემაც. ვიღაცას ცენტრალურ პრესაშიც კი (გაზეთი „გოლოსი“) გამოუცხადებია კ. ბებუთოვის ყელთამდე ვალებში ჩაფლობის ამბავი. თვითონ რედაქტორი ნ. ნიკოლაძისადმი საზღვარგარეთ გაგზავნილ თავის ერთ კერძო წერილში წერდა: „Не знаю кто это удружил мне опубликованием суммы моих долгов: я боюсь, как бы это мне не закрыло доступ в банки. Якшайся тогда с разными Лашневичами и К°“[34].

ასეთი მძიმე ნივთიერი პირობების გამო, გასაკვირი არ არის, რომ გაზეთი ხშირად გამოდიოდა სხვადასხვა ფორმატით და ხარვეზებით, ხანდახან მთელი კვირითაც კი ჩაჩუმდებოდა ხოლმე და მკითხველი ხშირად აწყდებოდა ხოლმე გაზეთის ფურცლებზე ასეთ განცხადებას: „მომდევნო ნომერი ერთ კვირაში გამოვაო“[35].

მიუხედავად ამისა, გაზეთი მაინც განაგრძობდა არსებობას. პირველ პერიოდში „თბ. მოამბის“ მონაწილეთა შორის ვხედავთ, გარდა კ. ბებუთოვისა (მისი ფსევდონიმებია: Зритель, ***) და დ. ერისთავისა („Наследственный поэт“, Atheneum, Дон-Эн და სხვ.), ნ. არღუთინსკის (მისი ფსევდონომია N) ვაჩნაძეს (კახეთიდან გზავნიდა კორესპონდენციებს), პოეტ კ. ტრესკოვსკის, სტალინსკის („მარკიზ დე კრეკი“), ნიკიტენკოს (N. Cassé ბაქოდან გზავნიდა კორესპონდენციებს), ა. ერიწოვს (ზემომოყვანილი სალანძღავი წერილის ავტორი გაზეთ „კავკაზში“), კვიატკოვსკის (მისი ფსევდონომია „Z“), პეტრე ჟუკოვს („Проснувшаяся жаба“), გ. ყიფიანს („X“). დრო და დრო, ა. წერეთელი ათავსებდა ხოლმე აქ წერილებს ბარონ კვაკენბერგის სახელით[36] და მრავალ სხვას.

მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა ის შეღავათი, რომელიც გავრცელდა გაზეთის პროგრამის მეორე მუხლზე ნ. პრიბილის ხელშეწყობითა და დახმარებით. ყოველ შემთხვევაში, „თბ. მოამბეს“ შედარებით უფრო ფართოდ შეეძლო გაეშუქებინა სამშობლოსა თუ უცხოეთში მომხდარი ამბები, ვიდრე სხვა რომელიმე ჩვენებურ გამოცემას და ამ მხრივ იგი არ იყო იძულებული მარტოოდენ მთავრობის ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი სიბრძნითა და შეხედულებებით ეხელმძღვანელა. ეს მცირეოდენი შეღავათი როდი იყო[37]. ამიტომ არის, რომ

---

[33] ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 14/2, 1874 წ. 6/VI, კ. მარქსის სახელ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბ-კა.

[34] ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 13/16, 1876 წ., 29 მარტი, იქვე.

[35] „თბ. მოამბე“ 1873 წ. № 86, 1874 წ., № 83 და მრავალი სხვ.

[36] ეს ჩანს ნ. ნიკოლაძისადმი მიწერილი კ. ბებუთოვის ზემომოყვანილი წერილების ანალიზიდან და აგრეთვე თ. მაჭავარიანის გამოკვლევიდან ამის თაობაზე (შრომა ჯერ-ჯერობით გამოუქვეყნებელია).

[37] გავიხსენოთ, რომ ამ მხრივ ქართული გაზეთი „დროება“ იმ ხანებში ძლიერ იყო შეზღუდული. მისი რედაქცია თავდადებით იბრძოდა „დროებისათვის“ ამ შეღავათის მოსაპოვებლად. 1874 წლის ოქტომბერში, გაზეთ „დროების“ არსებობის მერვე წელს, სერგეი მესხი ოცნებობდა იმაზე, რომ როგორმე ნებართვა მიეღო, უწინარეს ყოვლისა, გაზეთის კვირაში სამჯერ გამოცემაზე და მეორეც, — დამოუკიდებელი თვალსაზრისის გატარებაზე საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების გაშუქებისას. მის ერთ კერძო წერილში ვკითხულობთ: „გუშინ დილას მე და სტეფანემ (მელიქიშვილმა — ლ. ჩ.) თხოვნა მივიტანეთ მუხრანსკისთან როგორც იყო და ვსთხოვეთ სამჯერ გაზეთის გამოცემის და პოლიტიკური პროგრამის შეცვლის ნება. სამჯერ გამოცემის თაობაზე, როგორც პრიბილმაც გვითხრა, არავითარი დაბრკოლება არ იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთში დრო და დრო გვხვდება საინტერესო წერილები როგორც რუსეთიდან (უმთავრესად პეტერბურგიდან), ისევე უცხოეთიდან, რომლებიც თბილისელ მკითხველებს იქაურ ამბებზე ესაუბრებიან და გარკვეული სიახლე და ლაზათი შეაქვთ ამ, ცოტა არ იყოს, ერთფეროვან გამოცემაში.

ასეთ კორესპონდენტებად გვევლინებიან პეტერბურგში ვინმე „პეტერბურგსკი ლიუბიტელი“ — პეტრე ალექსის ძე ოპოჩინინი (შემდეგში გაზეთის აქტიური თანამშრომელი და თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც იმ ხანებში პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, გაზეთში მოღვაწეობის თავის მეორე პერიოდში იგი წერდა „Это не Я“-ს ფსევდონიმით. ეს ოპოჩინინი თბილისის გარნიზონის უფროსის—ალექსი პეტრეს ძე ოპოჩინინის შვილი იყო, დედით (ნინო ორბელიანი) კი იგი ქართველ თავადაზნაურობას ეკუთვნოდა.

გერმანიიდან საინტერესო წერილებს გზავნიდა 1874 წ. ვინმე გიორგი აკიმოვი. ეს წერილები „თბ. მოამბეში“ იბეჭდებოდა რუბრიკით „Письма из Германии“ ხელს აწერდა Г. А. საფრანგეთში გაზეთის კორესპონდენტები იყვნენ პავლე იზმაილოვი („Письма из Парижа“) და ნ. ნიკოლაძე. 1874 წლიდან დაწყებული ნ. ნიკოლაძე ჩვენებურ ადგილობრივ გამოცემებიდან მარტო ამ გაზეთში გზავნიდა თავის კორესპონდენციებს («Парижские письма») NN-ის ხელმოწერით) და ფელეტონებს («Письма с того света» პ. ბოტინის ფსევდონიმით), რადგან იგი ამ დროს „დროების» რედაქციაზე მწყრალად იყო[38] და რამდენიმე ხნის განმავლობაში (სრული ორი წელიწადი) ერთი სტრიქონიც არ დაუბეჭდავს ამ გაზეთში.

ჩვენ ვერ შევუდგებით აქ ნ. ნიკოლაძის ზემოთ აღნიშნული წერილებისა და ფელეტონში მოთავსებული სტატიების განხილვას. მათ გამოქვეყნებას ის მოჰყვა შედეგად, რომ, ერთი მხრივ, მათ მტრად გადაჰკიდეს გაზეთს საცენზურო კომიტეტი, ხოლო, მეორე მხრივ, გაუჩინეს მას მკითხველი და ამით სიცოცხლე შეუნარჩუნეს ამ სულთმობრძავ ორგანოს. ამიტომ იყო, რომ კ. ბებუთოვმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი საოცარი მოთმინება გამოიჩინა და, მიუხედავად გაზეთის დიდი ნივთიერი გაჭირვებისა, თითქმის სამ წელიწადს ელოდა ნიკო ნიკოლაძის დაბრუნებას სამშობლოში.

ასევე ხშირად გზავნიდა უცხოეთიდან კარგსა და საინტერესო სტატიებს „თბილისის მოამბეში“ გიორგი თუმანიშვილი, ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ ბირთველის-ძის ვაჟი, შემდეგში თვითონაც თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი, გაზეთ „Новое Обозрение»-ს რედაქტორი. გ. თუმანიშვილის წერილებზე კ. ბებუთოვი სწერდა ნ. ნიკოლაძეს ერთ-ერთ თავის ბარათში: „Глубоко благодарен Туманову за письма. Они читаются здесь на расхват. На днях напишу ему особо“. შემდეგ იგი ეკი-

---

ბა, მაგრამ პოლიტიკური პროგრამის თაობაზე კი, როგორც ჩანს, იმდენ უფლებას არ მოგვცემენ, რამდენიც ჩვენ ვთხოვეთ. მგონია, მარტო იმის ნება მოგვცენ, რომ რუსულ გაზეთებიდან პოლიტიკური ცნობების გამოკრეფის ნება გექნებათო და საკუთარი პოლიტიკური სტატიებისა და კორესპონდენციების ბეჭდვის ნებას კი გავიჭირვებენ, ვნახოთ“. ს მ ე ს ხ ი, დასახელებული „წერილები“, გვ. 162.

[38] იხ. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძის წერილი დ. მიქელაძისადმი 1874 წ. 21 ივლისს, მოყვანილი პროფ. დ. გამეზარდაშვილის წინასიტყვაობაში ნ. ნიკოლაძის თხზულებათა I ტომისაღმი, თბ., 1962, გვ. 51—52.

თხებოდა ამ წერილში ნ. ნიკოლაძეს, რატომ არაფერს წერს გაზეთში ივანე მესხიო და სთხოვდა უცხოეთში მყოფ ქართველთა მისამართს[39].

1875 წლის ზაფხულში „თბილისის მოამბის“ ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მობრუნება გაზეთის ისტორიაში ნ. ნიკოლაძის სახელთან იყო დაკავშირებული. იგი სწორედ ამ დროს საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში და გაზეთს სათავეში ჩაუდგა, თუმცა, რასაკვირველია, არაოფიციალურად. ნ. ნიკოლაძის წინადადებით მოხდა სრული რეორგანიზაცია „თბილისის მოამბის“ გამოცემისა. ნ. ნიკოლაძის პროექტით 1876 წლის 1 იანვრიდან ეს გაზეთი ყოველდღიურ გამოცემად იქცა (და ეს იმ დროს, როდესაც ოფიციალური „კავკაზიც“ კი, როგორც უკვე ვთქვით, კვირაში მხოლოდ სამჯერ გამოდიოდა); მისი მუდმივი თანამშრომლები გახდნენ მ. ანტონოვიჩი (ჩერნიშევსკის თანამებრძოლი), რომელიც გაზეთს პეტერბურგის დეპეშებს აწვდიდა და კრიტიკულ მიმოხილვებს ათავსებდა მის ფურცლებზე მიმდინარე ლიტერატურულ საკითხებზე, ა. წერეთელი, მ. მამაცევი ანუ მ. მამაცაშვილი (მ. გ. მ.)—იმდროინდელი ქართული ეკონომიური აზრის შესანიშნავი წარმომადგენელი, პ. ჟუკოვი, ძმები ა. და ნ. კუზმინები, პ. იზმაილოვი და მრ. სხვ. ანტონოვიჩის მიერ გამოგზავნილ პეტერბურგის დეპეშებს „თბილისის მოამბე“ უფრო ადრე ბეჭდავდა, ვიდრე ამ ამბებს თბილისში თვით პეტერბურგის გაზეთები ჩამოიტანდნენ. ნიკოლაძის წყალობით გაზეთმა უშუალო კავშირი დაამყარა აგრეთვე საფრანგეთის ცნობილ ჰავასის სააგენტოსთან. ეს დიდ უპირატესობას ანიჭებდა—„თბილისის მოამბეს“ ახალი პოლიტიკური ამბების გაშუქებაში ყველა ადგილობრივ გაზეთთან შედარებით. საქმე ის იყო, რომ პეტერბურგის საერთაშორისო სააგენტო (რომლის დეპეშებითაც სარგებლობდა, მაგალითად, გაზეთი „კავკაზი“) უშუალოდ კი არ იყო დაკავშირებული ჰავასის სააგენტოსთან, არამედ ბერლინის (ვოლფის) სააგენტოს მეშვეობით, ხოლო ეს უკანასკნელი კი გადასცემდა პეტერბურგის სააგენტოს თავის დეპეშათა მხოლოდ ნაწილს[40]. ამიტომ „თბ. მოამბის“ პოლიტიკური ინფორმაცია უფრო სრულიც იყო, უფრო სწრაფიც და, რა თქმა უნდა, რომ უფრო საინტერესოც, ვიდრე სხვა ჩვენებური გამოცემისა. ამრიგად, „თბ. მოამბის“ მნიშვნელობა მკითხველი საზოგადოების თვალში უჩვეულოდ გაიზარდა. მაგრამ მთავარი საიდუმლოება მისი ღირსების ჭრდისა მაინც ის იყო, რომ მკვეთრად შეიცვალა გაზეთი თავისი შინაარსის მხრივაც. ადგილობრივი ცხოვრების ყველა მხარის ღრმა და ფართო გაშუქებით, ადგილობრივ საჭიროებათა (სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური მხარეების) შესახებ აშკარა და პირუთვნელი მსჯელობა — აი ის მიზეზები, რომელთა წყალობითაც „თბ. მოამბე“ მთელი კავკასიისათვის საყვარელ გაზეთად იქცა.

---

[39] იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 14/2, 1874 წ. 6/VI, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი პარალელი: იმ დროს, როდესაც კ. ბებუთოვი უცხოეთში კორესპონდენტებს დაეძებდა თავისი გაზეთისათვის, ერთადერთი ქართული გაზეთის „დროების“ რედაქტორი ს. მესხი იძულებული იყო მიეწერა თავისი საცოლისათვის (ქეკე მელიქიშვილისათვის) უცხოეთში, „გადაეცი ბესარიონ ჯაფარიძეს (უცხოეთში მოსწავლე ერთ-ერთი ქართველი სტუდენტთაგანი—ლ. ჩ.) ჯერჯერობით, ახალ წლამდე პოლიტიკური კორესპონდენციები არ გამომიგზავნოს, თორემ ხომ იცი ნებას არ მაძლევენ“-ო. იხ. ს. მესხის ზემოდასახელებული „წერილები“, გვ. 161.

[40] იხ. ამის შესახებ „თბილისის მოამბე“, № 143, 1876 წ., 28 ივნისი.

მაგრამ ყველა ამ შორსმიმავალი გეგმის განხორციელებას ფული ესაჭიროებოდა. გაზეთი და მისი მფლობელი კი, როგორც ვიცით, ვალებში იყო ჩაფლული. გადაწყდა, ფულს დასესხებოდნენ მდიდარ ფინანსისტებს, ხოლო იმისათვის, რომ კაბალური პროცენტები არ ეძლიათ თბილისის პლუტოკრატიის წარმომადგენელთათვის, შეადგინეს კომპანია და ისინიც შიგ შეიყვანეს, როგორც აქციონერები. ამჯერად თბილისის კომერციული ბანკის მესვეურებს აღარ აშინებდა სესხად გაცემული ფულის ბედი.

ამის თაობაზე ს. მესხი წერდა ეკ. მელიქიშვილს 1875 წ. 3 დეკემბერს: „თბილისის მოამბის“ რედაქციამ, რომ თავისი გაზეთის მომავალი წლიდან გაბოსაცემად (ყოველ დღე უბდა გამოვიდეს) აქ მდიდარ სომხებისაგან კამპანია შეადგინა, ამას გაიგებდიო“[41].

გაზეთმა ამხანაგობისგან სესხად მიიღო 10 ათ. მანეთი. აქედან მან 3 ათასი მანეთი მოანდომა რედაქტორის, კ. ბებუთოვის, გადაუდებელი ვალების დაფარვას, ხოლო დანარჩენი 5 ათ. მანეთი საქმის ახალი წესით წაყვანას. ეს ნასესხები თანხა ფრიად უმნიშვნელო იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ გაზეთის რედაქციამ არ მოისურვა დიდად დავალიანებული ყოფილიყო თავისი კრედიტორებისაგან, რათა დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა. ამიტომ არჩია მან მცირე თანხით დაკმაყოფილებულიყო დასაწყისში, ხოლო შემდეგ საკუთარი შემოსავლით გაესტუმრებინა ვალი და გაეფართოვებინა საქმე. ეტყობა, ახალი რედაქცია იმედოვნებდა, რომ გაზეთი შეძლებდა მკითხველთა დაინტერესებას, მათს მოზიდვას, თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, უმოკლეს ხანში მევალეების გასტუმრებას და მათს თავიდან მოშორებას. ამიტომ ვერ ეცადნენ, ულუფად, „თბილისის მოამბის“ მესვეურები საკუთარი სტამბის მოწყობას.

„თბილისის მოამბის“ ფინანსური საქმეების ხელმძღვანელობა საგანგებო ადმინისტრატორს დაეკისრა. ამ თანამდებობას გაზეთში პირველად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასრულებდა დავით ერისთავი (1879 წლის ჩათვლით), ხოლო 1880 წლიდან — ფიდოევი. ადმინისტრატორს ევალებოდა გაზეთის მთელი სამეურნეო საქმეები, როგორც ფინანსურ საკითხებზე ზრუნვა და მათი მოგვარება, ისე სტამბასთან გარიგება, ქაღალდის შოვნა, ავტორებთან ურთიერთობა, ჰონორარების გაცემა და ა. შ.

რაკი „თბ. მოამბე“ ყოველდღიურ გაზეთად იქცა, ცხადია, უნდა გაზრდილიყო მისი ფასიც. გაზეთის ამ ახალი ადმინისტრაციის დამტკიცება და ახალი ფასების შემოღება ერთბაშად ვერ მოხერხდა და გაჭიანურდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მთელი საქმეები ინახება ჩვენს საისტორიო არქივში[42].

ბოლოს, გაზეთის ყოველდღიურად გამოცემის საკითხი როგორც იქნა მოგვარდა. რედაქციამ 1875 წლის მიწურულს (11 დეკემბერს) შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „1876 წელს გაზეთ „თბილისის მოამბის“ გამოცემის შესახებ“.

---

[41] იხ. ს. მ ე ს ხ ი, დასახელებული „წერილები“, გვ. 204.

[42] იხ. ცსსა, ფ. 480, აღწ. 1, საქმე 201, ფ. ფ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, ანდა იქვე, აღწ. I, საქმე 236, ფ. 1.

მასალებიდან ირკვევა, რომ ამ საქმეშიც რედაქციას მთავარი სამმართველოს კანცელარიის უფროსი ნ. პრიბილი დაეხმარა კვლავ, თორემ მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობის შემსრულებელმა თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ თავდაპირველად უარი განაცხადა ეცნო დ. ერისთავი გაზეთის ადმინისტრატორად. ზემოაღნიშნულ საქმეებში ინახება ნ. პრიბილის პირადი წერილი მთავარი სამმართველოს დროებითი უფროსისადმი ამ საკითხის გამო (იხ. ცსსა, ფ. 480, აღწ. I, საქმე 201, ფ. 9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ განცხადებაში რედაქცია სახავს თავისი მომავალი მოღვაწეობის გეგმას და აღნიშნავს, რომ მომავალი 1876 წლიდან „თბილისის მოამბე“ გამოვა ყოველდღე, გარდა დღესასწაულის მომდევნო დღეებისა და ორშაბათისა, რომ გაზეთის მიმართულება ისევ ისეთი რჩება, როგორიც მას წინათ ჰქონდა, ხოლო თანამშრომლებადაც გაზეთის აწინდელი მუშაკები იქნებიანო.

რედაქციის მთელი გულისყური კვლავინდებურად იქითკენ არის მიპყრობილი, რომ „თბილისის მოამბე“ სერიოზულ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ორგანოდ იქცეს. ამასთან გაზეთს ორმაგი მიზანი აქვს. უწინარეს ყოვლისა, ის, ოომ გააცნოს ჩვენს მხარეს რუსეთის და ევროპის გონებრივი და პოლიტიკური ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, გააცნოს რუსეთის საზოგადოებას ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარებაო.

შემდეგ განცხადებაში აშკარად არის ნათქვამი, რომ რედაქცია ამ თავის საქმიანობაში სულაც არ იქნება მიუკერძებელი მსაჯული მოვლენებისა. პირიქით, მას განზრახული აქვს ძალღონე არ დაიშუროს საიმისოდ, რათა არა მარტო ამხილოს არსებული ნაკლოვანებანი ჩვენი ცხოვრებისა, არამედ დაანახოს და გააცნოს მკითხველ საზოგადოებას, თუ საითკენ, რა საზოგადოებრივი წყობისაკენ მიისწრაფის გაზეთი თავისი იდეალების განხორციელებისას. ჩვენ ვეცდებით გავაცნოთ მკითხველს ის საზოგადოებრივი წყობილება და ცხოვრების ის კანონები, საითკენაც მივილტვითო.

შემდეგ რედაქცია განიხილავს რუსეთის ცენტრალური პრესის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ბოლო ხანებში რუსულ ჟურნალისტიკასა და ლიტერატურაში დამკვიდრდა, მისი აზრით, ფაქტების უბრალო აღნუსხვის პრაქტიკა, რომ იგი აღარ ეხება საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელიაო. ჩვენ ვეცდებით, პირიქით, ფაქტიური მხარის შეუბღალავად განვავითაროთ ჩვენს ორგანოში ლიტერატურული და კრიტიკული განყოფილება, რათა ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი მკითხველისათვის, უწინარეს ყოვლისა და რაც შეიძლება მეტი რაოდენობით, საზოგადოებრივი საკითხებიო.

შემდეგ რედაქცია ეხება გაზეთის გამოცემის ტექნიკურ მხარეს და აღუთქვამს მკითხველებს გაზეთის რეგულარულად გამოცემას ყოველდღე, დილდილობით. უმოკლეს ხანში რედაქციას შესაძლებლობა ექნება გამოცვალოს შრიფტი და გაზეთი დაიბეჭდება ელზევირის სტილითო[43].

გარდა ამისა, განახლებული გაზეთის პირველ ნომერში რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა საგანგებო განცხადებით გამოსულიყო იმის გამო, რომ „თბ. მოამბეს“ არ შეუცვლია თავისი მიმართულება, ასე ვთქვათ, სული არ მიუყიდნია ეშმაკისათვის. აქციონერთა საზოგადოება მხოლოდ სამეურნეო საქმეებს ეხება და არა თვით ლიტერატურულ მხარეს, ამიტომ ჩვენს მიმართულებაზე

როგორც ჩანს, პრიბილის შუამავლობამ გასჭრა, გაზეთის სათაურის ქვემოთ 1876 წლის 1 იანვრიდან 1879 წლის მიწურულამდე (დეკემბრის მეორე ნახევარი) უცვლელად ეწერა „Администратор кн. Д. Г. Эристов“, ხოლო რაც შეეხება გაზეთის წლიურ ფასს, აქ ასეთი რამ არის შესამჩნევი: 1876 წ. 1 იანვრიდან 15-მდე წლიურ ფასად აღნიშნულია 16 მანეთი, ხოლო ამ თარიღის შემდეგ მთელ 1875 წლის განმავლობაში წერია 15 მანეთი; უთუოდ,

[43] სხვათა შორის, ახალი შრიფტის მიღება მ. ვოლფის (ასოთჩამომსხმელი) ფირმისაგან უგზოობის გამო, ცოტა შეფერხდა (ამის შესახებ რამდენიმე წერილი იყო „თბ. მოამბეში“ 1876 წ. №№18, 19, 34), მაგრამ ბოლოს, ესეც მოგვარდა.

იგი ვერ იმოქმედებსო[44]. ეტყობა, ამის განცხადება და კიდევ ერთხელ გავრცელებული ხმებისათვის, „თბ. მოამბე“ მდიდარ კომერსანტთა აზრის გამომხატველ ორგანოდ იქცა და საკუთარ გეზზე ხელი აიღოო. მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ საბოლოოდ რედაქციის ეს კეთილი სურვილები მაინც ვერ განხორციელდა და, ადრე თუ გვიან, გაზეთი მაინც აჰყვა თავის დამფინანსებელთა გულისხმას, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახლა კი გავარკვიოთ საკითხი, თუ სად იბეჭდებოდა „თბილისის მოამბე“ საერთოდ, და რეორგანიზაციის შემდეგ, კერძოდ?

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თავდაპირველად გაზეთი უნდა დაბეჭდილიყო და, მართლაც იბეჭდებოდა სტეფანე მელიქიშვილისა და K°-ს[45] სტამბაში, მაგრამ, ეტყობა, ანაზღაურების საკითხში ვერ მორიგდნენ სტამბის მეპატრონეები და რედაქტორ-გამომცემელი. ამათ სტამბაში დაიბეჭდა 1873 წელს გაზეთის მხოლოდ 14 ნომერი, და უკვე 1873 წლის თებერვალში იგი ახალ (მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს) სტამბაში გადაიტანეს. ამის მიზეზი მხოლოდ მატერიალური უსახსრობაა და სხვა არაფერი, მაგრამ ამ უბრალო ფაქტმა ძლიერ შეაშფოთა ადგილობრივი მთავრობის მოხელენი. მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს კანცელარიის გამგე საყვედურით სავსე ბარათს გზავნის საცენზურო კომიტეტში, რატომ და რა საფუძვლით გამოიცვალა რედაქციამ სტამბაო[46].

ეს პირველი შემთხვევა იყო სტამბის გამოცვლისა, მაგრამ სულ მალე გაზეთი უაღრესი ნივთიერი გასაჭირის გამო სტამბიდან სტამბაში გადადის და ვერსად პოულობს მუდმივ ნავსაყუდელს. ერთხანს იგი ჩანცევისა და K°-ს სტამბაში იბეჭდებოდა, მაგრამ შემდეგშიც მატერიალური ბაზის მოუგვარებლობა ძლიერ აფერხებდა გაზეთის ნორმალურ მუშაობას.

რეორგანიზაციის შემდეგაც „თბილისის მოამბე“ კვლავ ივ. ჩანცევისა და K°-ის სტამბაში გამოდიოდა და არაერთი უსიამოვნება მიაყენა ჩანცევს იმ მხრივ, რომ გადაჰკიდა მას საცენზურო კომიტეტი,

აღსანიშნავია, რომ ჩანცევის სტამბას ძლიერ გაუჭირდა ყოველდღიური გაზეთის ბეჭდვა. გაზეთი პირველად შეცდომებით იყო სავსე. ამის თაობაზე რედაქციამ გამოაქვეყნა არა ერთი სტატია, სადაც ბოდიშს იხდიდა მკითხველის წინაშე, ეს ჩვენი დაუდევრობა არ გეგონოთ, არ გვყავს კვალიფიციური ასოთამწყობები, იძულებული ვართ სხვა სტამბებს ვთხოვოთ მუშებიო[47] და ა. შ.

რედაქცია გამოთქვამდა იმედს, რომ მოკლე ხანში გამოვასწორებთ მდგომარეობასო, მაგრამ სწორედ რამდენიმე დღის შემდეგ იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მუშახელის მხრივ გაზეთი კვლავ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. საქმე ის იყო, რომ თბილისელი ასოთამწყობები ამხედრებულან ასეთი უჩვეულო (სამუშაო დღე 22 საათს გრძელდებოდა) მუშაობის წინააღმდეგ და.. გაფიცულან. საფიქრებელია, რომ ეს პირველი გაფიცვა იყო ჩვენებური სტამბის მუშებისა. აი, რას წერს ამის თაობაზე გაზეთი ერთი კვირის შემდეგ:

---

[44] იხ. „თბ. მოამბე“, 1876 წ. № 1.

[45] ერთ-ერთი კომპანიონი ვახტანგ თულაშვილი იყო—თერგდალეულთა მიმდინარეობის მონაწილე. ქართული წიგნებისა და გაზეთების გამომცემელი.

[46] ცსსა, ფ. 480, აღ. 1, საქმე 107, ფ. 9.

[47] „თბ. მოამბე“, 1876 წ. № 6.

„... С типографской стороны положение нашей газеты поистине ужасное. Типография Чанцева и К° и до сих пор не могла добыть себе наборщиков и ей, по-видимому, предстоит выписать их из Москвы. Наличный состав наборщиков в Тифлисе, желая воспользоваться затруднительным положением типографии, успел составить нечто вроде забастовки и мы принуждены призанимать у прочих типографий по одному или по два наборщика. Таким образом, мы маемся с $4^1/_2$ наборщиками, каким-то чудом успевающими в 22 часа работы набирать ежедневную газету“[48].

როგორც ჩანს, რედაქცია აქტიურად ჩარეულა სტამბის პატრონისა და მუშების ურთიერთობაში და უშუალოდ თავის თავზე აუღია მუშების ანაზღაურების საქმე. ამაზე გადაკვრით ნათქვამია კ. ბებუთოვის წერილში ნ. ნიკოლაძისადმი, რომელშიც რედაქტორი ეკითხება ნ. ნიკოლაძეს—რა ხელფასი მივცეთ ასოთამწყობებს ერთი თაბახის აწყობაში, რა მივცეთ მბეჭდავებსო და ა. შ. (ეს წერილი ქვემოთ გვაქვს განხილული).

უნდა ვაღიაროთ, რომ მატერიალური ბაზა დარჩა და დარჩა ასეთ მოუგვარებელ მდგომარეობაში „თბ. მოამბის“ მთელი არსებობის პერიოდში. უფრო გვიანაც, სახელდობრ, 1878 წელს გაზეთის კორექტორი თავის წერილში, რომელიც „თბ. მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, აღნიშნავდა იმ სავალალო ფაქტს, რომ ყოველდღიურ გაზეთს მხოლოდ ხუთი ასოთამწყობი ჰყავს და მათ შორის სამი მოწაფეაო. კორექტორიც მხოლოდ ერთი კაცი ჰყოლიათ[49].

ასეთი იყო ჩანცევის სტამბის არასახარბიელო მდგომარეობა და ასეთ მძიმე საგამომცემლო პირობებში გამოდიოდა პირველი რუსული დემოკრატიული გაზეთი საქართველოში, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდას ჩვენი ქვეყნის საზოვადოებრივი წინსვლის საქმეში.

ზემოთ დავინახეთ, რომ გაზეთის გამოცემის საქმე ავად თუ კარგად ჩადგა კალაპოტში, რედაქციამ თითქოს გადალახა ყველა მთავარი დაბრკოლება და გაზეთიც ერთი წლის განმავლობაში თითქმის შეუფერხებლივ გამოდიოდა, მაგრამ მოულოდნელად სტამბის მეპატრონე ი. ჩანცევი გაკოტრდა და მისი სტამბა ვიღაც მიხელსონის ხელში გადავიდა. ახალმა მეპატრონემ, რა თქმა უნდა, ძველი ხელშეკრულება თავისთვის სავალდებულოდ არ სცნო და ახალი პირობები წაუყენა რედაქტორ-გამომცემელს. მანაც უმალვე ამის შესახებ აცნობა ქუთაისში ნ. ნიკოლაძეს, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა. ბებუთოვი ატყობინებდა ნ. ნიკოლაძეს, ი. ჩანცევი გაკოტრდა, მისი სტამბა ახალი მეპატრონის ხელში გადავიდა, ხოლო ეს უკანასკნელი არ სცნობს ჩვენს ხელშეკრულებასო. ბებუთოვი სასწრაფოდ რჩევა-დარიგებას სთხოვდა ნ. ნიკოლაძეს, როგორ მოვიქცე, სხვა სტამბაში გადავიდე, თუ მივიღოთ ახალი მეპატრონის ახალი პირობები, რომლებიც ჩვენთვის ძალიან მძიმეა, სახელდობრ, მესტამბე მიხელსონი 2000 ეგზემპლარის დაბეჭდვაში 24 მან. გვთხოვსო. დასასრულს რედაქტორი

[48] „თბ. მოამბე“, 1876 წ. № 11.

[49] იხ. „თბ. მოამბე“, 1878 წ., № 20.

სთხოვს თავისი გაზეთის წამყვან მუშაკს, თუ შეგიძლია ჩამოდი, თავს ვერიდებით თმევ ამ ახალ დაბრკოლებასო[50].

როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძეს თანხმობა განუცხადებია გაზეთის გადატანაზე სტ. მელიქიშვილის სტამბაში. აქ გაზეთი კარგა ხანს იბეჭდებოდა, თუმცა შემდეგში აქედანაც მოუხდა მას წასვლა და ერთხანს იგი ისევ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სტამბას დაუბრუნდა.

კ. ბებუთოვის ზემოხსენებული წერილი ნ. ნიკოლაძისადმი საინტერესოა აგრეთვე იმითაც, რომ აქედან ჩანს, თუ როგორ გაზრდილა ერთი წლის განმავლობაში გაზეთის ტირაჟი 300—400 ცალიდან 2.000 ცალამდე. მეორე მხრივ კი, წერილი მოწმობს, რომ მიუხედავად შემოსავლისა, გაზეთი მაინც შევიწროებულ ეკონომიურ პირობებში ყოფილა და ერთ თაბახში 24 მანეთის გადახდა მეტად გასჭირვებია.

* * *

ახლა გავარკვიოთ ის, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაზე ნ. ნიკოლაძის საბოლოო გადასვლამ „თბილისის მოამბეში"?

სერგეი მესხი საყოველთაოდ აცხადებდა, ნ. ნიკოლაძე „თბილისის მოამბეში" იმიტომ გადავიდა, რომ მთელი ქვეყნისათვის ეჩვენებინა, რუსულად წერა მეხერხებაო[51].

არც აკაკი წერეთელმა მოუწონა ნ. ნიკოლაძეს პირველხანად ეს ნაბიჯი. ჯერ კიდევ 1873 წელს, როდესაც ნ. ნიკოლაძემ „დროებაში" № 45, სტატია დაბეჭდა „მშვიდობით, მშვიდობით", აკაკი წერეთელი ერთ კერძო წერილში წერდა მას:

„ნიკო... იმდენად გაფასებ, რომ არ მინდა რამე დაგიმალო და რაც კია ჩემს გულში შენ შესახებ, გეტყვი: იმ ათი წლის წინათ ტკბილის გულის ძგერით ვუყურებდი ყოველს შენს მოქმედებას. მართალია, მაშინდელი შენი მოქმედება ბევრი ძალიან ბავშვური იყო, მაგრამ უმისობაც არ შეიძლებოდა, რადგანაც ის იყო ხარკი ყმაწვილობისა, რომელიც ხანში შესვლისას და დადარბაისლების შემდეგ თავისთავად ქერწლივით უნდა გაგცვენოდა. დღეს კი სულ სხვაგვარად უნდა ავხსნა შენი მოქმედება. მე ვფიქრობ, რომ შენი მაღალი ნიჭი, შენი სწავლა და შენი ცხოვრებაში დახედნილობა საზოგადოდ, თუ შენ მანგრე იქნი, ფეხს წაამტვრევინებს იმ საქმეს, რომელსაც ახალი თაობა უნდა მისდევდეს ჩვენში და ეს იქნება შენი თავმოყვარეობის ბრალი... შენ, არ ვიცი კი რა ანგარიშით, ყოველთვის სცდილობ შენში ის ბუნებისაგან მონიჭებული გრძნობა, ის

---

[50] ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 14/6, 1877 წ. 9/II, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

[51] აი რას წერს იგი ერთ თავის წერილში: ნ. ნიკოლაძეს უნდა თავი გამოიჩინოს და აჩვენოს ქვეყანას, რომ რუსულადაც შემიძლია სტატიების წერაო! სადამდე მიდის ამ კაცის ბავშვური თავმოყვარეობა" (ს. მესხი, დასახელებული „წერილები", გვ. 72).

ნ. ნიკოლაძემ რომ ს. მესხის ზემოაღნიშნული აზრის საწინააღმდეგოდ, პატივმოყვარეობის გამო კი არა, სწორედ იმისათვის დაიწყო მუშაობა „თბილისის მოამბეში", რომ რუსულ ენაზე ეწერა „ამ ცხოვრების ბრუნვა, დარდი, წამალი, სახსარი" (იხ. ნ. ნიკოლაძე, „ჩემს პოლიტიკაზე", გვ. 4—5), ეს ხომ მისმა შემდგომმა მოღვაწეობამ და ამ გაზეთის ავტორიტეტისა და პოპულარობის არაჩვეულებრივმა ზრდამ დაამტკიცა.

გრძნობა, ურომლისოდაც არაფერი კეთილი საქმე არ გვირგვინდება, მოკრძალებული და უნაყოფოდ ანუ უკეთ ვთქვათ ცრუნამყოფის მოტანაში მოიხრჩო...

დარწმუნდი სანამ მე ჩვენი ქვეყანა მიყვარს, ე. ი. სანამ პირში სული მიდგია, ჩემს გულში შენგვარ კაცებს ყოველთვის ეჭირებათ წმინდა ადგილი და დღესაც ის მიზეზია, რომ მე მსურს მოგაგონო შენი გული და ჩაგახედო შიგ“[52].

აკაკი

19-ს დეკემბერს 1879 წელსა

ამრიგად, აკაკისაც ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობა „თბ. მოამბეში“ „უნამყოფო“, ან უფრო სწორად „ცრუნამყოფის“ მომტან საქმედ მიაჩნდა.

დიმიტრი დადიანი, შემდეგში გაზეთ „შრომის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ფაქტიური რედაქტორი, სწერდა ნ. ნიკოლაძეს: „...კაცო, რა თავს იგდებ, რომ ასე გადაკიდებულხარ «Тифлисский Вестник»-ს ვითომ რა არის? სირცხვილია, ღმერთმა იცოდეს. როცა შენგან საჭიროა მუშაობა, შენ მაშინ ღალატობ შენს სამშობლოს; ამას კი არ მოველოდი შენგან. ხომ კარგად იცი, რომ რაც უფრო უკეთ წავა „თბ. მოამბის“ საქმე შენ უფრო უარესად სამარეს უთხრი საკუთარ ლიტერატურას და ამასთან სამშობლოსაც. კაცო, კმარა ამდენი სისულელე და ყმაწვილობა. მე მაინცდამაინც ვერ გეტყვი, რომ „დროებაში“ იმუშავე მეთქი, საქმე სხვანაირადაც მოხერხდება. თუ გული გულობს, ქადა, ორი ხელით იჭმებაო, ხომ გაგიგონია...[53].

შენი დიმიტრი დადიანი“

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ნიკოლაძის გადმოსვლამ „თბ. მოამბეში“ საგრძნობლად გამოაცოცხლა გაზეთი ჯერ კიდევ 1875 წლის შემოდგომაზე, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ გაზეთის აშკარა გადახალისება არამცთუ შეუმჩნეველი არ დარჩენილა მკითხველი საზოგადოებისათვის, არამედ იგი მთელი ინტერესით დაეწაფა განახლებულ „თბილისის მოამბეს“. ამას მოწმობს გაზეთის ტირაჟის უჩვეულო ზრდა. მან ერთ წელიწადში მიაღწია იმდროინდელი საქართველოს პრესისათვის არნახულ ციფრს—2.000 ეგზემპლარს, ხოლო როდესაც დაიწყო რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომი, და გაზეთის სამხედრო კორესპონდენტად ფრონტზე გაემგზავრა ნ. ნიკოლაძე, მისმა სამხედრო დღიურებმა დაიპყრეს არა მარტო საქართველოს და კავკასიის პრესა და მკითხველი საზოგადოება, არამედ აგრეთვე მთელი რუსეთისა, რადგან პირველწყაროდ ცენტრალური გაზეთები „თბილისის მოამბის“ სპეციალური კორესპონდენტის დეპეშებს და სამხედრო წერილებს იყენებდნენ.

ამხანად გაზეთის მნიშვნელობა და საზოგადოების სიყვარული მისადმი იმდენად გაიზარდა, რომ მკითხველთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდა „საღამოს დამატებათა“ გამოცემა. „თბ. მოამბის“ რედაქციამ გაითვალისწინა საზოგადოების ეს გაზრდილი ინტერესი გაზეთისადმი და, მართლაც, იწყო ქალაქის ხელისმომწერლებისათვის დამატებითი ფურცლის გამო-

---

[52] ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 13/360, 1873 წ, 19/XII, კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

[53] ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 14/201, [1875 წ.]. კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

ცემა. ის ახალი მასალა, რაც შუადღის დეპეშებს მოჰქონდათ თან და-ხილვის „დამატებაში“ იბეჭდებოდა, მეორე დღეს ავსებდა ხოლმე დილის ნომრის ტექსტს. ეს ფურცელი გამოდიოდა ყოველდღე, ორშაბათისა და უქმეების მომდევნო დღეების გამოუკლებლივ. იგი უფასოდ ურიგდებოდა ქალაქელ ხელისმომწერთ საღამოს 6 და 8 საათს შორის. გარდა ამისა, „დამატებანი“ ცალობითაც იყიდებოდა (ორ კაპიკად), აღსანიშნავია. რომ ამ დროს „თბ. მოამბის“ ტირაჟმა (თავის „დამატებითურთ“) 300 ეგზემპლარს (იმდროისათვის წარმოუდგენელი ციფრია) გადააჭარბა.

ერთი შეხედვით იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ომი[54] გახდა მიზეზი მკითხველი საზოგადოების ასეთი გაცხოველებული ინტერესისა ჩვენი გაზეთისადმი რა თქმა უნდა, ომს, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხები გარკვეულ გამათავისუფლებელ იმედებს უკავშირებდნენ (თურქეთის პოლიტიკურ უღელ ქვეშ მგმინავი ქართველი და სომეხი ხალხების გამოხსნა), არ შეეძლო არ აღეძრა დიდი ინტერესი მთელს იმდროინდელ საზოგადოებაში, მაგრამ მარტო ომი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო გაზეთისადმი ამ საყოველთაო ინტერესისა და სიმპათიების გამომწვევი. განა ომი არ გრძელდებოდა 1878 წელსაც, როდესაც აშკარად შესამჩნევი ხდება საზოგადოების ინტერესის მკვეთრი შენელება „თბილისის მოამბისადმი“? და, მართლაც, მისი ტირაჟი ხომ 1878 წელს საგრძნობლად დაეცა (ამ წელს იგი 1800 ეგზემპლარად გამოვიდა).

აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს. საქმე ის არის, რომ 1878 წ. თბილისში ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით გამოსვლა იწყო ახალმა დემოკრატიულმა გაზეთმა „ობზორმა („მიმოხილვა“), რომელმაც „თბილისის მოამბეს“ წაართვა მკითხველი. „თბ. მოამბემ“ ვერ გაუწია მას კონკურენცია[55].

დავუბრუნდეთ „თბილისის მოამბის“ ტრიუმფის ხანას. ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ ვრცლად მოვიყვანოთ აქ აკაკი წერეთლისა და დ. ერისთავის გამოუქვეყნებელი წერილები ნ. ნიკოლაძისადმი, რომელშიც აღბეჭდილია გაზეთის პოპულარობის ეს არაჩვეულებრივი ზრდა:

„ძმაო ნიკო! — წერს აკაკი 1875 წ.

„დიდი ხანია ველოდი შენს ცხოვრებაში იმ პერიოდს, რომელსაც უნდა ჰკუთვნოდა ჩემი სავსე გრძნობა და სრული იმედი!... მადლობა ღმერთს, ამისრულდა ნატვრა და დღეს დადგა ის ნატრული ჩემგან პერიოდი შენის ცხოვრებისა. აწ მეც გამოვითხოვ შენგან იმ წერილს, ე. ი. ჰაზრს, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ მოგწერე გულცეცხლმოკიდებულმა. ოჰ, რა გულითა ვნატრულობდი მაშინ, რომ შენ მოგსვლოდა მასთან რაიმე კრიზისი ცხოვრებაში, რომელსაც ღრმად ჩაეფიქრებინე. მართლა იყო რამე კრიზისი, თუ ისე თავისთავად გამოგიდარა, არ ვიცი, მაგრამ აღტაცებული კი ვარ სიხარულით, შენი აწმყოს გამო.

აგერ ათი წელიწადია უსიამოთა და უგულოდ ვკითხულობ ხოლმე რუსულ გაზეთებს, მაგრამ ახლა კი შენმა სტატიებმა ძველებურად ამიძგერეს გული და გამაგონეს ის ნეტარი დრო, როდესაც „თანამედროვედ ჩუხჩუხებდა კატკოვის

---

[54] იგულისხმება 1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი.

[55] სხვათა შორის, ერთ დროს „თბილისის მოამბის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი მეტად საეჭვოც კი გამხდარა. საქმე იქამდე მისულა, რომ ნ. ნიკოლაძეს შემოუთავაზებია „თბ. მოამბის“ მესვეურებისათვის, გავაერთიანოთ ჩვენი ორი გაზეთი და დავაარსოთ ახალი გაზეთი „თბილისის მოამბე და მიმოხილვაო“, მაგრამ „თბილისის მოამბის“ რედაქციამ არ მიიღო ნ. ნიკოლაძის წინადადება. იხ. „თბ. მოამბე“, 1879, № 11, ფელეტონი.

პოლიტიკური ხერხი (მაგრამ კარგის მხრით), ანტონოვიჩის ფილოსოფიური ცოფ ჟრუანტელის მომგვრელი კვერი და ბელინსკის შემაფუცხუნებელი გრძნობა, სამივე ერთად ჩერნიშევსკისაგან მიერონცხებულად იხატებიან შენს სტატიებში!! ხუმრობა არ გეგონოს! მე მაშინაც არა ვხუმრობ, როცა ვხუმრობ, არა თუ ახლა, როდესაც გული თავთან შეთანხმებით მთელს ბუნებას მიმსჭვალავს და სიცილს ცხრა მთას იქით მიკარგავს... მწერ რა შთაბეჭდილებას ახდენს ჩემი სტატიები ახალგაზრდობაზე და განა არ იყო, რომ მაგგვარ სტატიების ყოველი სიტყვა მოყვარეს ვარდად ხვდება და მტერს კი ეკლად ესობა?... დიახ, ვერ დავფიცავ ზოგიერთებს არ ეპრიანებათ... განა არ იცნობ იმ თაგვებს, რომელნიც გადიან ხვრელში, საწუწვარზედ შეძვრებიან, მაგრამ კატების ეშინიათ და ჯერ რჩევა აქვთ, თუ ეყვანი როდის ან როგორ შევაბათო?“[56].

როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძეს აკაკი „თბილისის მოამბეში“ მუდმივ თანამშრომლად მიუპატიჟნია. ამაზე აკაკი თავის წერილში, რომელიც დათარიღებულია 1875 წლის 28 ოქტომბრით, წერს:

„ჩემი შრომა რას გამოადგება „ტფილისის უწყებას“ (წაიკითხე „თბილისის მოამბე“—ლ. ჩ.), თორემ რასაკვირველია თანახმა ვარ!...“[57]

მეორეგან იგი ამავე საგანზე თავმდაბლობით უპასუხებს: „რაც შეეხება „ტფ. მოამბეში“ თანამშრომლობას, ჭეშმარიტად ერთხელ გეტყვი, რომ შენ სტატიებთან ჩემი ნაჯღაბნის ამოსკუპება მრცხვენიან. შთამომავლობით პოეტი[58] ხომ არა ვარ, რომ ვერ შევატყო ჩემს თავს, მაგრამ ხანდახან თუ მოვახერხე ხოლმე, არ დაგაკლებთ აჭია-ბაჭიაურს“[59].

„თბილისის მოამბე“ რომ ამ ხანებში (1876—1877 წწ.) მკითხველის საყვარელი გაზეთი იყო, ეს ჩანს არა მარტო მისი ხელისმომწერთა რაოდენობიდან, არამედ იმ უამრავი წერილებიდანაც, რომელშიც ფართო საზოგადოება თავის მადლობას გამოსთქვამდა მის მიმართ.

დავით მიქელაძე კულაშიდან წერს ნ. ნიკოლაძეს: „ძმაო ნიკო! გაზეთი აღარ მომდის „Тифлисский Вестник“ და გთხოვთ გამომიგზავნოთ სამტრედიას 25 ივნისიდან დაწყებული. ფულს, მოახსენე ბატონ „დელეხტორს“ (იგულისხმება გაზეთის ადმინისტრატორი დავით ერისთავი —ლ. ჩ.), გაახლებ... შენი ერთგული დ. მიქელაძე“[60].

ხშირად მკითხველი რჩევა-დარიგებასაც აძლევდა რედაქციას, ჩიოდა და საყვედურობდა იმის გამო, რომ არ მოსდის გაზეთი, რომელიც გზაში იკარგებად, ანდა ხელისმომწერლამდე უკვე დაფლეთილი აღწევს ხოლმე, რადგან წინასწარ, ფოსტალიონის წყალობით, მრავალი მკითხველის ხელში გამოივლისო და ა. შ.

---

58 ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 13/361, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

57 ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 13/364. იქვე.

58 „შთამომავლობითი პოეტი“—დავით ერისთავის ფსევდონიმია.

59 ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 13—364, იქვე.

60 ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 13/137; იქვე.

ასეთივე საყვედური ისმის ვინმე ა. წულუკიძის წერილში რედაქტორისადმი. ავტორი წერს, რომ მას არ მოსდის „თბ. მოამბე“ დაბა ხოწში, იხ. „თბ. მოამბე“ 1877 წ., № 285, გვ. 3.

ასე, მაგალითად, გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია წერილი, რიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ ერთმა ობოლმა ყმაწვილმა კაცმა დიდის გაჭირვებითა და დამჭანცველი შრომით მოუყარა თავი 6 მან. 50 კაპ. და გამოიწერა „თბ. მოამბე“, მაგრამ გაზეთი დაგვიანებით მოსდისო[61].

მეორე ავტორი დაბა შუშიდან იუწყება, რომ მას დაგვიანებით (6—9 დღის შემდეგ) მოსდის გაზეთი: «Единственный у нас источник, из которого извлекаем кое-какие сведения о политике—это «Тифлисский Вестник» и «Кавказ», но газеты эти в Шуше получаются так поздно (на 6—9 день, после выхода их в Тифлисе), что всякая новость доходит до нас тогда-когда она уже сгнила[62]».

ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ წერილს. იგი შეიცავს რჩევას, თუ რა დაბეჭდოს გაზეთმა ქართულ-რუსული ენების სწავლების მეთოდზე. წერილი ხელმოუწერელია, მაგრამ უდავოა, რომ ეკუთვნის გ. წერეთელს. მოგვყავს წერილი თავიდან ბოლომდე:

„В редакцию „Тифлисского Вестника“, Николаю Яковлевичу Николадзе, в Тифлисе.

ნიკო, ამ დღეებში წავიკითხე „ტფილისის ვესტნიკში“, რომ თქვენ გინდათ პედაგოგიის ნაწილს და იმის საქმეს შეეხოთ. მე მგონია მეორე თავს „ჩვენი ცხოვრების ყვავილიდან“, რომ მასალათ ისარგებლებდე, კარგ სურათს დახატავ და ამასთანავე დააფიქრებ მთავრობას, რომ პირველ-მესამე კლასამდის სასწავლო საგნებს ქართულ-რუსულად რომ ასწავლიდნენ, ბევრად გაადვილდება პედაგოგიის საქმე, ესე იგი ადგილობრივ ენებზე და რუსულად“[63].

ამ წერილიდან, გარდა იმ უშუალო საგნისა, რომელსაც ეხება ავტორი, ისიც ჩანს, რომ ამ უკანასკნელს საჭიროდ არ მიაჩნია დააწეროს ბარათზე რედაქციის ზუსტი მისამართი, ალბათ, იმიტომ, რომ გაზეთი ფრიად პოპულარულია[64].

ასე მოხდა ქართველი საზოგადოების მობრუნება „თბილისის მოამბისა“ და ნ. ნიკოლაძისადმი (იგი ჯერ კიდევ ამ გაზეთში იყო). სწორედ ნ. ნიკოლაძის დიდი ნიჭის მეოხებით და მისი თავდადებული შრომის წყალობით „თბ. მოამბე“ ქართული სინამდვილის უტყუარ სარკედ იქცა.

იმ ხანებში გაზეთს იწერდნენ არა მარტო კავკასიის სამეფისნაცვლოს ისეთ შორეულ კუთხეებში, როგორიც არის ტემირხანშურა და ნოვოროსიისკი, დაღესტნის ოლქი და სტავროპოლის გუბერნია, არამედ რუსეთის შიდა გუბერნიებში, პეტერბურგსა და მოსკოვში, იმიერკასპიის მხარეს — კრასნოვოდსკში; აგრეთვე ყაზანსა და სამარაში, ირკუტსკსა და რიგაში. გაზეთი უცხოეთშიც გადიოდა: თურქეთში (იგდირი, არტაანი), ირანში (თავრიზი, თეირანი), ევროპის რიგ სახელმწიფოში, მაგალითად, საფრანგეთში (პარიზი), იტალიაში (ნიცა, პო), გერმანიაში (ლაიპციგი), ავსტრიაში (დრეზდენი), ინგლისში (ლონდონი) და ამერიკაშიც კი (ნიუ-იორკი), ამის შესახებ თვით „თბილისის მოამბემ“ საინტერესო

---

[61] „თბ. მოამბე“ 1877, № 50.

[62] იქვე, 1878, № 86.

[63] იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 13/315, 1876 წ., კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

[64] გაზეთის რედაქცია მოთავსებული იყო ერთ დროს გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე, სახლი № 6, სხვა დროს ერევნის (ამჟამად ლენინის) მოედანზე, ზუბალოვის სახლი № 3, და შემდეგ ველიამინოვის, (ამჟამად შ. დადიანის) ქუჩაზე, სახლი № 8.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკური ცნობები გამოაქვეყნა, როგორც 1876, ისე 1877 წლის მეწუთნაში[65].

გაზეთის პოპულარობაზე მეტყველებს მისი ტირაჟი, ის რომ, „თბ. მოამბე“ 3000 ეგზემპლარად გამოდიოდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იმდროისათვის ზღაპრული, საარაკო ციფრია. აი, რას წერს ამის თაობაზე დ. ერისთავი ნ. ნიკოლაძეს ფრონტზე:

„Дмаа Ника !.... аӡ ахали беври ар арис ра имис мети, ром твои письма читаются в засос... Пиши побольше. №, в которых помещаются твои письма мы печатаем в количестве 3000 экземпляров“.[66]

Твой Д. Эристов.

კ. ბებუთოვი წერს ნ. ნიკოლაძეს ფრონტზე: «Ваши письма были, положительно, событием дня. Вы же знаете, что по этой части я не Вы и не способен уверять, что весь город учит письма наизуст. Но в данном случае действительно нечто весьма похожее на это. Улицы, сад, клуб—все говорили о них... Ваши письма примирили с „Тиф. Вестником“, кажется, и двор, так, на-днях, подписалась лично великая княгиня... Итак, для примирения с «Тифлисским Вестником“ надо было рассориться с Турцией»[67].

ამიტომ, ვფიქრობთ, არ იქნება უადგილო, თუ მოვიყვანთ გაზეთ „Обзор“-ის სრულიად სამართლიან შეფასებას „თბილისის მოამბის“ მოღვაწეობისას ამ პერიოდში. „Обзор“ -ი წერს, როგორც კი რედაქციამ მოახდინა „თბილისის მოამბის“ რეორგანიზაცია, გაზეთი უმალვე გამოცოცხლდაო; ხოლო „...оживлению газеты соответствовало немедленное же возбуждение к ней интереса в местной публике. Газетою вдруг стали интересоваться, ея мнениями начали дорожить, ея отзывами принялись руководствоваться. Читать «Тифлисский Вестник» стало модным, необходимым занятием.

Местное общество помнит с каким блеском велся за это время «Тифлисский Вестник» и какое огромное значение приобрел он в крае в в течении немногих месяцев его обновленного существования...

...Наша публика просто души в нем не чаяла. Не мало серьезных вопросов общественной жизни поставлено было тогда на очередь, не мало даже разрешено сообразно со стремлением Вестника. Доводы, убеждения, сарказмы газеты делали свое дело и даром не пропадали...»[68].

ახლა გავარკვიოთ, თუ რით აიხსნება „თბილისის მოამბის“ ასეთი უმაგალითო წარმატება, რაზე სწერდა და ესაუბრებოდა თავის მკითხველებს ეს გაზეთი?

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ გაზეთი აშკარად იდგა მთავრობის საწინააღმდეგო პოზიციებზე და მტკიცედ იცავდა საქართველოს ინტერესებს რუსეთის მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ. შემდეგ, იგი ნამდვილად ასახავდა

---

[65] იხ. „თბილისის მოამბე“, 1876 წ., № 292, გვ. 4 და აგრეთვე „თბილისის მოამბე“, 1877 წ. № 287.

[66] ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 14/140, 1877 წ., 13 მაისი. კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

[67] ნ. ნიკოლაძის არქივი, წერილი № 14/9, 1877 წ. 19/IV, იქვე.

[68] გაზეთი „ობზორი“ № 430, 1880 წ., 7/III, ტფილისი, 6 მარტი, 1880.

ადგილობრივ ცხოვრებას, მის ეკონომიურ, სოციალურ თუ კულტურულ საჭიროებათა გადახალისების შემდეგ განსაკუთრებით, გაზეთმა შესძლო ფართოდ დაეყენებინა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცია ისეთი საჭირბოროტო პრობლემები, რომელზეც დამოკიდებული იყო საქართველოს შემდგომი პროგრესისა და წინსვლის ბედი. ეს იყო მიწათმფლობელობის, გლეხთა მდგომარეობის, გლეხთა აჯანყებების, საბანკო და სასამართლო რეფორმის საკითხები; სახალხო განათლების, ქართული თეატრის, ქართული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების საკითხები; გაზეთმა წამოაყენა და გაარკვია ერობისა და ქალაქთა თვითმმართველობის მნიშვნელობა კავკასიისათვის და მრავალი სხვა. ამ მხრივ, იგი ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების ნამდვილ სარკეს წარმოადგენს და აწინდელი მკვლევრისათვის უდავოდ პირველწყაროდ გამოდგება.

მაგრამ გაზეთის ეს ბრწყინვალე მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. „თბილისის მოამბის“ დიდების მზე მალე ჩაესვენა. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ დროთა განმავლობაში გამოაშკარავდა და გაღრმავდა მის წამყვან მუშაკთა იდეური მრწამსის სხვადასხვაობა. განსაკუთრებით გამომჟღავნდა უთანხმოება ქვეყნის შემდგომი ეკონომიური განვითარების (ეს იყო ძირითადი) და, კერძოდ, ბანკის საკითხების გარშემო.

საქმე ის იყო, რომ ბებუთოვს არ ესმოდა ნ. ნიკოლაძის გულისტკივილი სათავადაზნაურო მიწების უცხოტომელთა ხელში მოსალოდნელი გადასვლის გამო. რაკი თავადაზნაურობა ადრე თუ გვიან მაინც დაჰკარგავდა თავის მამულს, კ. ბებუთოვის აზრით, სულ ერთი იყო ეს მიწები ქართველ გლეხს ჩაუვარდებოდა ხელში, თუ გადამთიელს. ამიტომ ეგონა კ. ბებუთოვს, რომ ნ. ნიკოლაძე პირადი მოსაზრებების გამო იწუნებდა ბ. ღოღობერიძის პროექტს ბანკის წესდებისას.

ასე გაევლო ბზარი ამ ორი მეგობრის ურთიერთობას, რომელიც სულ მალე კიდევ უფრო გაღრმავდა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ სწორედ ამ დროს, როდესაც ასეთი უთანხმოება ჩამოვარდა გაზეთის წამყვან მუშაკსა და მის რედაქტორ-გამომცემელს შორის, კ. ბებუთოვის აწეწილ-დაწეწილმა ფინანსურმა მდგომარეობამ (მან, მართლაც, გაზეთს შეალია მთელი თავისი ავლადიდება, მამასისხლის ფასად აიღო სესხი მევახშეებისაგან და ახლა მარტოოდენ სარგებლის გადახდას ვეღარ აუდიოდა, არამცთუ თავნისას) აიძულა იგი ჯერ რაღაც უმნიშვნელო დათმობებზე წასულიყო კომერციული ბანკის მესვეურთა წინაშე, მაგრამ სულ მალე ბებუთოვი მათი შეხედულებების გამტარებელიც კი გახდა. ამ ნიადაგზე კიდევ უფრო დიდი განხეთქილება ჩამოვარდა ნ. ნიკოლაძესა და კ. ბებუთოვს შორის. აი, რას წერს ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე: «Он не сумел устоять... Он сделался тросточкой в руках франтов (იგულისხმება თბილისელი ფინანსისტები კომერციული ბანკიდან), которым решительно все равно, каковы будут судьбы края. Он забыл, что назначение писателя...это руководить молодыми силами своего общества, а не в том, чтобы искать себе опору в упрочившихся слоях плутократии... И он начал делать этой плутократии... уступку за уступкою, одну нелепее другой,—и из публициста, обязанного гнуть других по требованиям своего образа мыслей и своего направления он сделалея игрушкой в руках г, г. Гамбарова, Иоанисиани, Тамамшева и К°, которые сами по себе не имели ника-

кого права влиять на литературу. Как представителям капитала, им крайне приятно было играт роль в печати, чтобы за то более прочно сделалась их роль в среде банковых избирателей»[69].

ნ. ნიკოლაძე ვერ შეურიგდა გაზეთის ასეთ მლიქვნელურ პოზიციებზე გადასვლას და ადრინდელი მიმართულების უარყოფას. ამასთან იგი ჯერ კიდევ ვერ სთმობდა გაზეთს და იმედოვნებდა, რომ კ. ბებუთოვი „გონს მოვა“ და საბოლოოდ არ უარყოფს თავის წარსულ იდეალებსო. ამიტომ არჩია ნ. ნიკოლაძემ დროებით გასცლოდა იქაურობას. იგი ფრონტზე გაემგზავრა: «Мое достоинство писателя—წერს ნ. ნიკოლაძე იმავე სტატიაში—Уже не позволяло мне прикрывать своим участием эти сделки... И я ушел, дав себе слово отречься навсегда от литературной деятельности. Кстати, настала война. Любопытство манило меня. С „Тифлисским Вестником“ не все еще связи были порваны, впереди виднелся дым сражений.,. Я поехал в качестве простого военного корреспондента, махнув рукою на нашу общественную жизнь...»[70]

უშუალო საბაბი ნ. ნიკოლაძის გაზეთიდან წასვლისა კი იყო ის, რომ ნიკოლაძის ფრონტზე ყოფნის დროს კ. ბებუთოვმა დაბეჭდა გაზეთის ფურცლებზე არაობიექტური, ნ. ნიკოლაძის აზრით, სტატია ა. ერიწოვისა „Участие армян в завоеваниях русских на Кавказе». ნიკოლაძემ ამ სტატიის (იგი რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა) წაკითხვისას, გამაფრთხილებელი წერილები გაუგზავნა კ. ბებუთოვს, ბოლოს ისიც განუცხადა, რომ, თუ არ შეწყვეტთ მის ბეჭდვას, მე თავს ვანებებ თქვენს გაზეთსო. ამაზე ბებუთოვმა უპასუხა, თურმე: „რას აყოლილხარ აკაკისა და სხვასაო..., მართალია, ძალიან სასარგებლო ხარ გაზეთისათვისო, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ გაზეთიც ძალიან სასარგებლოა შენთვისო. ამ... ჭრთამს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მაშინვე ვუპასუხე „ოტსტავკის“ შეტანით“[71].

---

[69] იხ. გაზეთი „ობზორი“, 1878, წ., 31/XII, № 349.

[70] იქვე.

[71] ამრიგად, ერთ-ერთი მიზეზი ნიკოლაძისაგან გაზეთის დატოვებისა იყო ინტერნაციონალური პრინციპის მივიწყება კოტე ბებუთოვისაგან. საქმე ის არის, რომ ვიდრე, ნ. ნიკოლაძე კ. ბებუთოვის გაზეთში თანამშრომლობას გადაწყვეტდა, მას წინასწარ შეუთანხმებია თავისი და ბებუთოვის შეხედულებანი. მაშინ ორივეს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს მათი აზრები სავსებით ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. მოლაპარაკების ერთ-ერთი მუხლი ეროვნულ საკითხსაც ეხებოდა, თურმე. აი, რას ამბობს ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე: „1873 წელს ჩვენ პირობა დავდევით ერთად გვეშრომა საერთო კავკასიური დროშის ქვეშ და არამც და არამც საერთო უღელი არ გაგვეწია ერთი მხრივ, ან ქართველების, ან რუსების, ან სომხების მხრივო“ (იხ. ნ. ნიკოლაძის წერილი ი. მეუნარგიასადმი წიგნში: ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1954 წ., ტ. I, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, გვ. 379, ავრეთვე „ობზორი“ № 349, 1878 წ. 31/XII).

გაზეთი უნდა შორს ყოფილიყო რაიმე ეროვნული მიკერძოებისაგან და მაღლა სჭეროდა თითოეული ერის თავისუფალი კულტურული და ეკონომიური განვითარების დროშა. რედაქციამ, თავის დამფინანსებელთა გულის მოსაგებად, ამ პრინციპს უღალატა. ნ. ნიკოლაძე კი ამას არ შეურიგდა და ვერც შეურიგდებოდა.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძის ამ გამაფრთხილებელ წერილებს კ. ბებუთოვმა, რომელიც უკვე კომერციული ბანკის პატრონთა გავლენის ქვეშ მოექცა, არავითარი ანგარიში არ გაუწია. ნ. ნიკოლაძემ გაზეთიდან თავისი განთავისუფლება მოითხოვა. რედაქციამ არც ამას ათხოვა ყური, მაშინ გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა განცხადება, რომ მან დიდი ხანია ყოველგვარი ლიტერატურული კავშირი გაწყვიტა გაზეთ „თბ. მოამბესთან“ და პასუხს არ აგებს მისი მიმართულებისა თუ შინაარსისათვის[72].

ნ. ნიკოლაძემ დატოვა გაზეთი, რომლის დიდი გულშემატკივარი და მოამაგე იყო ერთ ხანს.

ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ნ .ნიკოლაძის გამოსვლას „ობზორის“ ფურცლებზე იმის ახსნა-განმარტებით, თუ რა მიზეზებმა აიძულეს იგი დაეტოვებინა „თბ. მოამბე“, არ მოჰყოლია არავითარი შეპასუხება არც თვით კ. ბებუთოვის (მართალია, იგი იმხანად პეტერბურგში იმყოფებოდა, მაგრამ ყველაფრის კურსში იყო, რაც თბილისში ხდებოდა) და არც მისი მეგობრების მხრივ, რომლებიც სხვა შემთხვევაში სიტყვასაც კი არ შეარჩენდნენ ნ. ნიკოლაძეს და მის „ობზორს“.

როგორც ჩანს, ისინი მოერიდნენ იმ მამხილებელ ფაქტებს, რომლებიც ხელთ ჰქონდა ნ. ნიკოლაძეს. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ სტატიაში წერდა:

«Надеюсь от меня никто не потребует фактов, подтверждающих эти мои слова (იგულისხმება ნ. ნიკოლაძისაგან წამოყენებული ბრალდება, რომ კ. ბებუთოვმა თავის პრინციპებზე ხელი აიღო თბილისელი ბანკირების საამებლადო), и я прошу у заинтересованных сторон не вынуждать меня приводить имеющися у меня факты... Но дело в том, что симпатическая личность кн. Бебутова не устояла против искушения и он пал от этой гангрены».[73]

არ გასულა ერთი წელიც კი ნიკოლაძისაგან გაზეთის მიტოვების შემდეგ, რომ კ. ბებუთოვმა თავი დაანება თავის ლიტერატურულ პირმშოს. იგი პეტერბურგს გაემგზავრა, ვითომდა თავისი აწეწილ-დაწეწილი მატერიალური მდგომარეობის მოსაგვარებლად. ჩვენი ფიქრით, აქ სხვა მიზეზებიც მოქმედებდნენ: კ. ბებუთოვი თვითონაც გრძნობდა, რომ მან ორჭოფი, მერყევი პოზიცია დაიკავა თავისი მევალეების წინაშე, ვერ გამოიჩინა სიმტკიცე მათთან ბრძოლაში და ისე ქანაობდა, როგორც ლერწამი ქარში. კ. ბებუთოვი ბუნებით პატიოსანი კაცი იყო და ეს ღალატი თავისი წარსული იდეალებისადმი მისთვისაც მეტად სამძიმო შეიქნა. ამიტომ არჩია მან, უთუოდ, სულ მიეტოვებინა გაზეთი. ამ აზრს ნ. ნიკოლაძის ზემოთ მოყვანილი სტატია ადასტურებს. სწორედ მანდ აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, რომ მართალია, კ. ბებუთოვს სურდა ჩვენგან შემუშავებული პროგრამის ზუსტად შესრულება, მაგრამ ბრძოლაში წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო, სიმტკიცე არ ეყო და ამიტომ დაეცაო: «Я не скажу, что кн. Бебутов не хотел выполнять программы. Нет! он и до сих пор, должно быть, убежден в ее необходимости. Но ему пришлось волею-неволею нарушить ее. Он недостаточно силен был, чтобы устоять против течения[74].

[72] იხ. გაზეთი „კავკაზი“, 1877 წ. 8/VII, № 136.

[73] იხ. გაზეთი „ობზორი“, 1878 წ. 31/XII, № 349

[74] იხ. გაზეთი „ობზორი“, 1878 წ. 31/XII, № 349.

ასე მიატოვეს გაზეთი მისმა დამაარსებლებმა და მესვეურებმა. „თბილისის მოამბის“ რედაქცია დროებით გადავიდა დ. ერისთავის ხელში. რომელიც მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა მის რედაქტორად. ფაქტიურად კი მას განაგებდნენ პ. იზმაილოვი და პ. ა. ოპოჩინინი. სხვათა შორის, არც დ. ერისთავს სურდა გაზეთში დარჩენა. ამიტომ კ. ბებუთოვმა თხოვნა შეიტანა საცენზურო კომიტეტში პ. იზმაილოვი გახდეს გაზეთის რედაქტორიო, მაგრამ ეს ზემდგომმა ორგანოებმა არ შეიწყნარეს. საქმე ის არის, რომ პ. იზმაილოვი უცხოეთში ყოფნის დროს აგრეთვე შემჩნეული იყო მთავრობის საწინააღმდეგო ლიტერატურულ საქმიანობაში (ნუ დავივიწყებთ, რომ იგი დ. მიქელაძესთან ერთად ნ. ნიკოლაძის ერთ-ერთი თანამებრძოლი იყო პარიზში გაზეთ „დროშის“ გამოცემისას). ამ „ურედაქტორობის“ ჟამს „თბილისის მოამბემ“ კინაღამ სული განუტევა და სულაც დაიხურა, მაგრამ იგი იხსნა დ. ერისთავმა, რომელმაც, ბოლოს, თანხმობა ვანაცხადა რედაქტორობაზე. გაზეთის ადმინისტრაციული საქმეები ფიდოევმა იკისრა. ასე ბოგინობდა „თბილისის მოამბე“ 1880 წლამდე, როდესაც მას საბოლოოდ ჩამოშორდა დავით ერისთავი. მან საერთო ენა ვერ გამონახა გაზეთის რედაქციის დანარჩენ წევრებთან და მის ახალ მესვეურებთან. 1880 წ. გაზეთის რედაქტორი გახდა გ. ჩიქოვანი[75].

1880 წლის 5 მარტს „თბილისის მოამბემ“ შესწყვიტა არსებობა. ოფიციალურად ამის მიზეზად გამოცხადებულ იქნა ის, რომ მისმა დამაარსებლებმა ვერ აირჩიეს გაზეთის ადმინისტრატორიო (არავინ იკისრა, როგორც ჩანს, იმისი აწეწილ-დაწეწილი საქმეების წარმართვა), მაგრამ ძირითადი მიზეზი მაინც ის იყო, რომ მკითხველებმაც არაჩვეულებრივი გულგრილობა გამოამჟღავნეს ადრე მათთვის საყვარელი გაზეთის მიმართ და არ იჩენდნენ დაინტერესებას მისი არსებობის გახანგრძლივებისათვის.

მომდევნო 1881-სა და 1882 წელს გამოვიდა „თბ. მოამბის“ თითო-თითო ნომერი, იმ იმედით, რომ გაზეთს თავისი არსებობის უფლება მაინც შეენარჩუნებინა, მაგრამ მისი გადარჩენა და მკვდრეთით აღდგენა უკვე აღარავის შეეძლო.

---

[75] იგი იყო თერგდალეულთა მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, გაზეთ „დროების“ და ჟურნალ „კრებულის“ აქტიური თანამშრომელი.

ИЗ ИСТОРИИ БОРЬБЫ ГРУЗИНСКОГО НАРОДА ПРОТИВ КОЛОНИАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ ЦАРИЗМА

ДУМБАДЗЕ М. К.

(Представлено инст. истории им. И. А. Джавахишвили АН Груз. ССР)

В 1801 году, в результате присоединения Грузии к России, грузинский народ, избавившись от угрозы порабощения со стороны отсталых государств Востока—Турции и Ирана, теснее сблизился с великим русским народом, имевшим огромные революционные перспективы. Своей реакционной внешней и внутренней политикой царизм всячески противодействовал укреплению дружбы между народами, вызывая одинаковую ненависть, как в русском так и в нерусских народах, томившихся под гнетом самодержавия.

Грузинский народ приобщился к той передовой культуре великорусского народа, о которой В. И. Ленин писал: «Есть две национальные культуры в каждой национальной культуре. Есть великорусская культура Пуришкевичей, Гучковых и Струве, но есть также великорусская культура, характеризуемая именами Чернышевского и Плеханова» (В. И. Ленин, соч. 4 изд., т. 20. стр. 16).

Совместно с русским народом грузинский народ развернул борьбу против социального и национального гнета.

Присоединение Грузии к России, несмотря на колониальную политику царизма, имело прогрессивные последствия в дальнейшей истории грузинского народа.

* * *

В конце XVIII в. Восточная Грузия переживала глубокий социально-экономический и политический кризис. Опустошительное нашествие иранских полчищ в 1795 году и непрерывные набеги хищнических банд как с северо-востока, со стороны горских владельцев, так и с юго-запада, со стороны Турции, нанесли сокрушительный удар феодально-крепостническому хозяйству Грузии.

Государственный Совет Российской империи на заседании своем 8-го августа 1801 г., решая вопрос присоединения Грузии, фактически признал, что одной из причин упадка этой страны явилось невыполнение условий трактата 1783 г.

«Простая протекция, — читаем в протоколе этого Совета, — какую с 1783 г. давала Россия Грузии, вовлекла сию несчастную землю в бездну зол, которыми она приведена в совершенное изнеможение, и продолжение оной на тех же основаниях немедленно ввергнет ее в совершенную погибель»[1].

Население Восточно-Грузинского царства, начиная с 80-х годов XVIII века по 1801—1804 гг., сократилось с 350 тыс. до 200 тыс. чело-

---

[1] Архив Государственного Совета, т. 3, СБП, 1878 г., стр. 1197.

век[2]. Производители материальных благ почти были лишены возможности мирного труда. Крестьяне боялись выйти на обработку отдаленных участков земли и трудились лишь поблизости своих жилищ, чтобы в случае нападения охотившихся на людей хищников можно было бы укрыться[3]. Довольно большие участки плодородных полей оставались незаселенными.

Крестьяне были не в силах удовлетворить возросшие требования феодалов и казны. Крестьянское хозяйство, так же как и барщинное, в основном было самодовлеющим, слабо связанным с рынком. Мелкие производители зачастую теряли интерес к расширению производственной деятельности[4].

Олабевшее государство в должной мере не могло обеспечить защиту купеческой собственности и мелких товаропроизводителей в городах. 77% всего населения Тбилиси составляли крепостные, лишенные личной свободы. По сравнению с 70—80 гг. XVIII в. в начале XIX в. количество торговцев и ремесленников в том же городе было сокращено на 18%[5]. Не было прочной экономической связи между отдельными районами политически раздробленной страны. По неполным данным доход Картлийско-Кахетинского государства в 80-х годах XVIII в. составлял 700 тыс. руб., а в конце века еле достигал до 500 тысяч руб.[6] Все это обусловливало военно-политическую слабость царства и говорило об отсутствии в недрах феодального хозяйства благоприятных условий для развития новых производственных отношений. Перспективы дальнейшего прогресса Грузии в конце XVIII в. резко ограничились.

Для выхода из создавшегося кризиса в первую очередь надо было добиться необходимого мира и спокойствия, но внутреннее и внешне-политическое положение царства было настолько осложнено, что не предвещало ничего утешительного.

Небольшая Грузия, к тому же раздробленная на мелкие политические единицы, в конце XVIII века оказалась в орбите международных противоречий. За обладание Кавказом в это время боролись Россия, Турция и Иран. Причем, в отношении Восточного Закавказья, и, в частности, Восточной Грузии, главным соперником России выступал Иран, который в 1795 году попытался разорвать Русско-грузинский Союз. В означенном соперничестве не малую роль играли Англия и Франция, для которых Кавказ представлял собой важный плацдарм в деле установления господства на рынках Передней Азии.

В этой сложной международной обстановке христианская Россия, в отличие от своих политических противников — Англии и Франции, выступала в роли «освободительницы» грузинского, азербайджанского и армянского народов. Россия вела войны против вековых угнетателей Грузии—Турции и Ирана, поддерживала освободительную борьбу закавказских народов, тогда как Англия и Франция использовывали Турцию и Иран в деле утверждения своих влияний в Передней Азии.

Российское феодальное государство, в свою очередь, ставило перед собой захватнические цели, «а не защиту малых народов от турецкой

---

[2] См. подымные описи Восточной Грузии начала XIX в. ЦГИА ,Груз. ССР, ф. 254; АКАК (Акты собр. Кавк. Арх. ком.), т. I, стр. 426.

[3] Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа, СПБ, 1869, т. II, стр. 510.

[4] АКАК, т. I, стр. 185.

[5] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, стр. 141, 160.

[6] ЦГАДА, Москва, ф. 17, д. № 192, л. 30. По данным 1801 г. один лишь денежный доход составлял 90 тыс. руб. (АКАК. т. I. стр. 197).

и иранской агрессий»[7]; царизм «с самого начала стремился превратить Восточную Грузию в обычную губернию Российской империи»[8]; но его борьба против Ирана и Турции за установление господства в Закавказье вызывала большие симпатии у местных народов, видевших «в России свою избавительницу от ненавистного иноземного, а нередко и иноверного ига»[9].

В конце XVIII в. международное положение на Ближнем Востоке принимало благоприятную для России обстановку. Египетская экспедиция Наполеона привела к русско-турецкому союзу против Франции (1799 г.). Дальнейшие события показали, что вплоть до 1806 г.; связанная с договором Турция тяжело переживала почти ежегодный успех России в Закавказье, где главным соперником России оставался Иран.

Смерть Ираклия II и воцарение больного Георгия XII на восточногрузинском престоле ознаменовались дальнейшим обострением внутриполитической ситуации. Царский двор был охвачен борьбой за престолонаследие между двумя партиями царевичей — старшей (от Ираклия) и младшей (от Георгия) линии. Георгий нарушил обещание, данное братам о том, что наследником будет признан не Давид Георгиевич, а Юлон Ираклиевич. По просьбе царя император Павел 18 апреля 1799 г., возобновив трактат 1783 г., утвердил его на престоле, а наследником признал Давида Георгиевича[10].

В среде грузинских феодалов, кроме двух враждовавших партий царевичей Юлона и Давида, отстаивающих русско-грузинские отношения в рамках покровительственного трактата 1783 г., существовала еще одна малочисленная партия, которая стояла за полное присоединение к России[11]. Определенная часть феодалов, так же немногочисленная, была против ограничения суверенных прав Грузии и думала, что путем объединения страны и дипломатического маневрирования во внешней политике можно было сохранить независимость Грузии.

Установление господства царизма в Грузии поддерживало купечество[12], добивавшееся обеспечения высоких барышей в спекулятивной торговле как местными, так и, главным образом, русскими и иностранными товарами.

Стонавшее под тяжелым ярмом крепостничества и разоренное от иностранных вторжений и хищнических набегов горцев, грузинское крестьянство мечтало о мирной жизни и ограничении произвола феодалов. Доведенные до отчаяния, трудящиеся вначале равнодушно смотрели на политическую судьбу Картлийско-Кахетинского царства, предвидеть которую они не могли.

В ноябре 1799 г. в Грузию вступили предусмотренные трактатом русские вспомогательные войска под командованием ген. Лазарева. С войсками прибыл и русский министр при дворе Георгия XII — Ковалепский. К столетней годовщине этого события великий Грузинский писатель И. Чавчавадзе писал: «Радость охватила всех, начиная от царского двора до последней хижины; эта была радость ожидаемого опасе-

---

[7] А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., Москва, 1960, стр. 17.

[8] Г. В. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX века 1950, Тбилиси, стр. 52.

[9] А. В. Фадеев, там же, стр. 17.

[10] АКАК, т. II, стр. 1147, № 24.

[11] И. А. Джавахишвили, Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке, СПб., 1906, стр. 10.

[12] там же.

ния и утешения. Давно уж Грузия не переживала такого блистательного дня»[13]..

Приход русских войск и известие о том, что наследником утвержден Давид Георгиевич, вызвало большое смятение не только в лагере партии Юлона Ираклиевича, но и в Иране, который усердно домогался восстановить свои утраченные права на Восточную Грузию. Положение Грузии теперь стало «в высшей степени напряженным и опасным». День за днем росла угроза со стороны Ирана[14].

Царское Российское правительство и, вслед за ним, великодержавная историография всячески старалась прикрыть захватническую политику и найти «благовидные» мотивы для расширения и без того обширной империи.

«Любой захват территории, — писал Ф. Энгельс, — любое насилие, любое угнетение царизм осуществлял не иначе, как под предлогом просвещения, либерализма, освобождения народов»[15].

Самодержавная дипломатия искусно использовала создавшуюся обстановку в Грузии в конце XVIII в. Настойчивые просьбы последнего царя Восточной Грузии Георгия XII-го об оказании ему военной и материальной помощи, с целью защиты своей страны от внешних врагов и сохранения царства в составе Российской империи, были умышленно квалифицированы, как добровольный отказ от своих прав и самоуправления Грузии. Весьма характерен в этом отношении рескрипт императора Павла ген. Кноррингу, от 15-го ноября 1800 г. (АКАК, т. 1, стр. 177—178).

12 лет спустя после смерти Георгия, по указанию Александра первого, главнокомандующий в Грузии ген. Маркиз Паулуччи установил на его могиле медную плиту с надписью, в которой говорится, что «царь Георгий... из любви к благу своих поданных, желая навсегда обеспечить их благосостояние, в 1799 году уступил Грузию Российской Империи».

Царь Георгий, идя по стопам морально-христианской политики, действительно проявил чрезмерную доверчивость в отношении русского императора и своими «Просительными пунктами» не только способствовал реализации планов самодержавия, но и дал основание окружающим его деятелям и некоторым анналистам последующей эпохи, так же как и первым историкам-марксистам 20-30-х годов текущего столетия, обвинять его в предательстве интересов грузинского царства.

Даже такой вдумчивый историк, как монархист Платон Иоселиани, лишенный возможности в условиях царской цензуры открыто высказать свои соображения, дает явно противоречивые взгляды в оценке политики Георгия. Этот историк, хорошо знавший эпоху присоединения Грузии к России, оправдывая Георгия, в то же время противопоставляет ему Соломона Леонидзе, последовательного защитника независимости Грузии, добавляя при этом, что последний являлся самым умным человеком того времени[16].

Замысел Георгия о чрезмерном ограничении суверенных прав был известен лишь узкому кругу приближенных. Не был в курсе даже наследник Давид, который лишь за 4—5 дней до смерти отца ознакомил-

---

13 И. Чавчавадзе, Соч., т. II, 1941, стр. 498, на груз. языке.

14 О. П. Маркова, Восстание в Кахети 1812 г., Москва, 1951, стр. 19.

15 К. Маркс и Ф. Энгельс, Сочин. изд. II, т. XXII, стр. 24; см. также т. XIII, ч. I, изд. I ,192, т. IX, изд. I, 439.

16 П. Иоселиани, Жизнь Георгия тринадцатого, изд. А. Гацерелия, на груз. яз., Тбилиси, 1936, стр. 92—93, 113, 128, 230.

ся с черновиком одного секретного письма на имя императора. В этом письмом Георгий просил выделить ему годовое жалованье и деревни в России, а сводным братьям своим (сынам Ираклия) — пенсии «здесь или в России». Давид, прочитавший это, вызвал к себе секретаря Туманова и спросил — «известен ли он о сей бумаге, но как при писании оной царь привел Туманова к присяге, что б никому не объявлять, то сей отвечал, что он не знает; он (Давид, М. Д.) на сие сказал: «Батюшка нас зарезал!»[17].

Некоторые из приближенных советовали царю Георгию изменить политику и не допустить установления господства самодержавия в Грузии, зачитывая ему из Библии слова пророка Исаии—«Народ мой! вожди твои вводят тебя в заблуждение...»[18].

Георгий, как передает историк П. Иоселиани, находил, что предложенные им условия покровительства и помощи со стороны России, несмотря на всю тяжесть ее господства, будут иметь благоприятные последствия для Грузии[19].

Слабовольный Георгий почти не принимал меры самозащиты и не смог предвидеть грядущей угрозы власти Багратионов.

Несомненно, такая, в некоторой степени близорукая, политика Георгия явилась одной из причин обострения борьбы между претендентами на царский престол. Борьба между двумя партиями царевичей— старшей (от Ираклия) и младшей (от Георгия) линий — разгоралась и усугублялась не только из-за царского престола, но и в целях изменения курса внешней политики во имя предотвращения угрозы существованию государственной власти в Грузии.

Резко осуждал политику Георгия Имеретинский царь Соломон, зорко наблюдавший за событиями в Восточной Грузии. 4 августа 1801 г., в письме на имя императора Александра, Соломон отмечал: «Известно В. В. двору, что дом царства Грузинского есть мой дом, коего упадок через скрытное предательство царя Георгия и горьчайшую скорбь членов онаго я поставляю собственным несчастьем». «Георгий забыл духовное завещание отца своего и пренебрег кровью предков своих, пролитую за царство, которое предал без ведома братьев и детей своих и всего народа»[20].

Передовые русские ученые и писатели, вскрывая захватническую политику самодержавия и сочувствуя народам, находившимся под гнетом империи, тоже подозревали царя Георгия в измене интересам своего народа. Характерны в этом отношении замечания крупнейшего советского историка Покровского, считавшего, что великий Лермонтов, прочитавший надгробную надпись на могиле Георгия и написавший в своем «Мцыри» — «такой-то царь в такой-то год предал России свой народ» — не случайно подобрал здесь двусмысленное слово «предал» и хотел подчеркнуть предательство царя[21].

Критическое изучение имеющихся в нашем распоряжении материалов, и, в частности, «Просительные пункты», идущие в 1799—1800 годах от имени царя Георгия к своим послам в Петербурге, а через них к русскому правительству, не дают основания обвинять его в измене интересам своей страны.

---

[17] Донесение ген. Лазарева Кнорринту, от 2.I.1801 г. (АКАК т. I, стр. 189).

[18] Книга пророка Исаии, гл. III, 12.

[19] П. Иоселиани, указ. книга, стр. 154.

[20] АКАК, т. I ,стр. 559, № 706.

[21] Труды первой всесоюзной конференции историков-марксистов, т. I, Москва, 1930 г., стр. 439—494.

7 сентября 1799 г. Георгий поручил своим послам «вполне предоставить» царство императору, «чтобы с этих пор царство Картлосианов считалось принадлежащим державе Российской с теми правами, которыми пользуются находившиеся в России другие области». Здесь же Георгий требовал от Павла первого письменного обещания «не прекращать в доме моем царского звания, а допустить царствовать наследственно, как это было при предках моих»[22].

Почти тоже самое повторял царь в ноте от 24 июля 1800 г., с той только разницей, что он, признавая себя царем и вассалом русского императора, требовал годового жалования и 30 тыс. душ крестьян в России[23]. В этой же ноте царь просил увеличить количество войск и гарантировать себе и своему потомству «первенствующую власть» в Грузии[24]. Сомнение вызывает лишь вводная часть этой последней ноты, где говорится, что Георгий, еще будучи наследником Ираклия, «имел в мыслях в тайне», «передать царство свое великому монарху (Российскому) в полную зависимость и подданство». Но — говорится далее, — явно обнаружить свои намерения он решился лишь после смерти своего отца Ираклия второго, и, что главное, после того, как император его утвердил на царском престоле.

Георгий на каждом шагу подчеркивает свою готовность во всем действовать согласно с желаниями императора, стремясь заинтересовать его Грузией. При этом Георгий добивался лишь военно-материальной помощи, с целью отражения внешних врагов, завоевания мира и сохранения царского престола за своим потомством. Следует здесь же вспомнить, что Георгий в 1799 г., боясь нападения со стороны Ирана и повторения ужасов 1795 г., настойчиво требовал, через своего посла Г. Чавчавадзе, от покровителя выслать войска и деньги для защиты Грузии. В случае отказа, Чавчавадзе угрожал разрывом союза с Россией[25]. Весьма характерно и то, что Георгий хотел даже на правах царя-вассала Российского императора сохранить традиционное влияние на Ганджинское и Ереванское ханства[26].

Акад. Н. Дубровин, критически изучивший ноты Георгия, заключал: «Не трудно видеть, что Георгий желал и надеялся выхлопотать себе все преимущества царя и, вместе с тем, пользоваться русским войском и русскими деньгами»[27].

Находящийся в то время при дворе Георгия командующий русскими войсками ген. Лазарев, излагая обстоятельства во время кончины Георгия XII, невольно подтверждает верность Георгия интересам своего царского дома и трактату 1783 г. Перед смертью царь послал двух своих приближенных — духовных отцов к Лазареву, которые объявили ему следующее: «царь... приказывает тотчас по его кончине возвести царевича (Давида, М. Д.) на престол»[28]. Лазарев писал, что он не мог этому поверить, так как сам слышал от царя об «уступке» Грузии русскому императору.

---

22 Грамоты и др. док., под ред. А. Цагарели, т. II, вып. II, стр. 287.

23 Заметим, что и прежде грузинские цари-вассалы Ирана имели жалованье от шаха и деревни в Иране.

24 Грамоты, там же, стр. 292—294.

25 О. П. Маркова, Присоединение Грузии к России (журн. «Историк-марксист», 1940 г., № 3, стр. 73).

26 Просит. пункты, апробированные Павлом I, от 19.XI.1800 г. (АКАК, т. I, стр. 180).

27 Н. Дубровин, Ист. войны и влад. русских на Кавк., т. III, стр. 335.

28 Донесение Лазарева Кнорринту, от 2 января 1801 г. (АКАК, т. I, стр. 189).

Как видно, генерал не понимал, что имел ввиду царь, когда говорил об «уступке». В нотах Георгия «уступка» означала частичный отказ от независимости ради сохранения царской власти, мира и самоуправления. Ген. Лазарев, который уже имел приказ от Павла, в случае смерти Георгия никого не возводить на царский престол, стремился скомпрометировать не только наследного царевича, но и самого Георгия. Лишь этим можно объяснить то, что Лазарев свое недоверие в отношении заявления духовных отцов пытался объяснить необоснованными догадками. Он даже не проявил желания лично убедиться в достоверности царского приказа и спросить об этом самого Георгия. Требование Георгия о признании Россией Давида царем являлось вполне логичным и характерным для его взаимоотношений с Россией. Н. Дубровин умышленно искажает донесение Лазарева от 2.I.1801 г. (см. его «Георгий XII», 1897 г., стр. 170—71).

В опубликованных великодержавными историками документах не трудно разглядеть лицемерную политику царизма, стремившегося использовать самого Георгия в целях безболезненного присоединения Грузии.

Еще при жизни Георгия, 18 декабря 1800 г., в Петербурге был разработан манифест Павла о присоединении Грузии к России. А грузинские послы — Авалишвили и Палавандишвили уже несли в Грузию утвержденные Павлом последние «Просительные пункты» Георгия (составленные на основании ноты от 24 июня 1800 г.), гарантирующие сохранение ограниченной автономии. Наряду с этим командующему русскими войсками на Кавказской линии ген. Кнорррингу послали текст манифеста. Еще раньше он имел секретное поручение от Павла, чтобы в случае смерти Георгия без соизволения императора не допускать на царский престол его преемника[29]. Переводом дополнительных войск через Кавказский хребет намечалась оккупация Грузии. Прежде чем осуществить это задание, ген. Кнорринг должен был дождаться не только получения формального согласия Георгия и «грузинского народа» (в понимании господствующих классов) «о желании быть в подданстве» императора, но и самой смерти царя. Таким образом, правительство Павла намеревалось, обманув Георгия и феодалов, нарушить все обещания и, добившись всеми правдами и неправдами согласия о «подданстве», которое, кстати, в Тбилиси мыслилось, как ограниченная автономия, упразднить царскую власть в Грузии. Но расчеты петербургских дипломатов на этот раз не оправдались. 28 декабря 1800 г. Георгий умер, не дождавшись возвращения своих послов. Ген. Кнорринг, конечно, не мог уже иметь ни утвержденных царем «Просительных пунктов» о подданстве, отредактированных в Петербурге, ни согласия феодалов. Дела в Грузии еще более осложнились.

В создавшейся обстановке ген. Кнорринг, предвидев опасные последствия, решил дождаться более благоприятной обстановки. 5-го января 1801 г. он писал Павлу: «Не осмелюсь публиковать его (манифест, М. Д.) теперь, ведая, что оное конца своего сообразно предположениям не восприняло и народ грузинский не предварен о решительном соизволении В. И. В. принять их под законы империи Всероссийской; а, кроме того, явно из обстоятельств, что о намерении покойного царя никто из братьев его, даже сам сын его царевич Давид не ведали». Далее, Кнорринг указывал на одну из главных причин, заставивших его воздержаться — в зимнее время невозможно было перевести войска

---

[29] АКАК, т. I, стр. 177—178. Рескрипт от 15 ноября 1800 г.

через Дарьяльское ущелье «для занятия Грузии», а потому надо было дождаться весны[30].

Так писал Кнорринг императору, но ген. Лазарев уже успел в Тбилиси, в день кончины царя, приняв предварительные меры, выразившиеся «в сборе караулов», и, собрав князей, объявил им о «высочайшем желании». Правда, в своем докладе он не раскрывал подробностей этого «желания», но из слов царского генерала видно было, что он говорил о «подданстве», и что скоро последует указ императора о решении судьбы Грузии. Лазарев говорил на русском языке. Его доверенное лицо делал переводы на грузинский язык, но тут вмешался Соломон Леонидзе, заявивший, что Лазарев «поздравляет царевича царем». Генерал этого не говорил и строго сказал ему «в переводы не вмешиваться»[31]. Впоследствии Леонидзе был арестован, но ему удалось освободиться и бежать в Мегрелию, откуда он перешел на службу к Соломону второму — царю Имеретии[32].

8-го января 1801 г. вернулись из Петербурга послы, которые на основании «Просительных пунктов» от 24 июня 1800 г. объявили Давида наследником и правителем Грузии. Давид, в свою очередь, в январе же отправил послов обратно в Россию для получения утвердительной грамоты и признания его царем Восточной Грузии. К тому времени правительство Павла уже стало осуществлять первые мероприятия для полной ликвидации власти Багратионов.

Продиктованный создавшейся тогда наиболее трудной и критической обстановкой политический курс деятелей картлийско-кахетинского царства — присоединиться к России лишь на условиях сначала трактата 1783 г., а потом с сохранением ограниченной автономии — заканчивался крахом.

Феодально-прогрессивные силы и после смерти Георгия не теряли надежды, что могут отстоять автономию. Но царская Россия уже изменила свою политику в отношении Грузии. В начале XIX в. она отказалась «от политики создания в Закавказье вассальных государств», которую проводила в предыдущие десятилетия и перешла «к политике прямой аннексии закавказских территорий, к непосредственному включению Закавказья в состав Российской империи»[33].

Лишь с точки зрения собственных политико-экономических целей смотрел царизм на Грузию. Грузия должна была превратиться в опорную базу для завоевания Ближнего Востока. О внешней политике царизма на Востоке В. И. Ленин писал:

«И к завоеванию Константинополя, и к завоеванию все большей части Азии царизм стремится веками, систематически проводя свою соответствующую политику и используя для этого всяческие противоречия и столкновения между великими державами»[34].

Несмотря на всяческие старания царизму не удалось безболезненно решить дело завладения Грузией и прикрыть захватнический характер своей политики. Конечно, он был недоволен тем, что тогда же, в 1800—1802 годах, выявилась сущность его политики. Поэтому, неудивительно, что самодержавие все время, а в особенности в эпоху первой рус-

---

[30] АКАК, т. I, стр. 192.

[31] Там же, стр. 189. Рапорт 2 января 1801 г.

[32] АКАК, т. I, стр. 244, № 232.

[33] А. Р. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия. Ереван, 1958 г., стр. XXI.

[34] В. И. Ленин, Сочин., т. 19, изд. III-е, стр. 281.

ской революции, преследовало тех историков, которые разоблачали захватническую внешнюю политику государства Романовых.

«Еще более вредным направлением, — писал главноначальствующий гражданской частью на Кавказе в 1903 г., — отличаются некоторые издания, вышедшие в минувшем году, с разрешения столичной цензуры, ко времени празднования столетия присоединения Грузии к России. Особенное внимание обращают на себя книги авторов: Авалова— «Присоединение Грузии к России» и М. Хелтуплишвили — «Вступление Грузии в состав Российской империи». В этих сочинениях, быстро разошедшихся, авторы рассматривают означенный исторический факт, как акт насилия и даже обмана со стороны России. Факт быстрого распространения этих книг, преимущественно между грузинами, свидетельствует, что тенденция названных авторов совпадает с настроением некоторых грузинских кругов...»*. Царский сотрап здесь, очевидно, имел в виду грузинских революционных социал-демократов, которые решительно выступили против празднования 100-летнего юбилея акта 1801 года**.

18 января 1801 г., в Петербурге и Москве был опубликован манифест Павла (написанный 18.XII, при жизни грузинского царя), которым Грузия объявлялась губернией России. Манифест в Тбилиси стал известным лишь 16—17 февраля 1801 г. Рескриптом Павла I от 20 января 1801 г. «все без исключения лица грузинского царского дома» приглашались в Петербург[35], куда в сопровождении войск, отправили и царские регалии похороненного во Мцхета 20 февраля Георгия XII-го[36].

6 марта 1801 г. была разработана структура нового управления Восточной Грузии, а 11-го марта сенат уже вынес решение, которым генерал-губернатором Грузии назначался Кнорринг, а губернатором по гражданским делам — воспитанный в России генерал Орбелиани. Однако, убийство Павла 11 марта 1801 г. помешало довести до конца присоединение страны.

Новый император Александр счел нужным изыскать «оправдательные мотивы» для присоединения Грузии к России и во имя успокоения иностранных дипломатов, вопрос поставил предметом обсуждения Государственного совета[37]. 19 апреля 1801 года ген. Кнорингу поручалось «выяснить» — могло ли Картлийско-Кахетинское царство существовать независимо. При этом он должен был «руководствоваться человеколюбивыми принципами», что страну присоединяют «не из-за интересов России», а лишь для «мира и безопасности грузинского народа». «Не скроем мы также от вас, что достоинство империи, безопасность наших границ, виды Порты Оттоманской, покушения и порывы горских народов, все уважения собственных России польз от давних времен заставляли правительство помышлять о сем происшествии и желать его события. **Измеряя существо его единственными нашими выгодами, мы не можем не признать всей их силы**»[38]. Заявляя об этом, император не мог не быть искренним к своему генералу.

Ген. Кнорринг хорошо понял императора. 24 мая 1801 г. он, уже в качестве фактического главнокомандующего в Грузии, приехал из Моз-

---

* ЦГИА Груз. ССР, ф. 39, секр. арх. 224, л. 94.

** См. письмо Л. Кецховели в газ. «Брдзола» 1-го сентября 1901 г., а также передовую статью журн. «Квали», за 1901 г., № 38 (на груз. яз.).

[35] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказье, т. 3, стр. 359.

[36] АКАК, т. I, стр. 194. № 154.

[37] Архив Государственного Совета, т. III, СПБ, 1878, стр. 1189—1247.

[38] АКАК, т. I, стр. 419.

дока в Тбилиси. Кнорринг, конечно, начал не с изучения положения в стране, так как не это являлось главной целью его приезда, а с отстранения царевича Давида от управления и замены его ген. Лазаревым. Были сделаны первые шаги на пути ликвидации грузинского управления.

В результате 22-х-дневных «исследований» Кнорринга, был оформлен манифест императора Александра I, от 12 сентября 1801 года, в силу которого Восточная Грузия окончательно лишилась автономных прав[39].

Манифест Александра вырабатывался строго секретно и не удивительно, что грузинские послы узнали о нем лишь после оглашения его в Петербурге. В ноте на имя вице-канцлера А. Б. Куракина послы Г. Чавчавадзе, Г. Авалишвили и Е. Палавандишвили выражали протест против такого обмана. Они писали:

«Ныне мы видим, что принятие Грузии обнародовано, манифест об этом составлен и утвержден, нам же ни о чем ни от кого не было дано знать, ни о принятии Грузии, ни о составлении манифеста, пока все это не было заключено... Мы этим, — не извольте гневаться, — обижены, а сверх того, мы себя считаем несчастными, ибо Вам лучше других были известны наши донесения, ведение дела и старания, — между тем, благодаря подобному присоединению (Грузии) в обоих царствах мы оказались лишенными уважения и доверия»[40].

Царское правительство умышленно медлило с обнародованием манифеста в Грузии. Оно придерживалось до поры до времени выжидательной политики, создавая иллюзию о сохранении царства. В этом обнадеживал народ сам ген. Кнорринг. В таких условиях постепенно завершалась оккупация Грузии и введение самодержавного управления. Несмотря на это послы в Петербурге еще не теряли надежды на изменение обстоятельств.

Нотой от 27 января 1802 г. на имя императора грузинские послы потребовали отозвать русских чиновников из Грузии и главнокомандующим там утвердить кого-нибудь из грузин. 6-го февраля эту просьбу рассмотрел Государственный Совет, который послам отказал и объявил, что с упразднением царской власти в Грузии они лишаются полномочных прав[41].

Манифест и положение о введении в Грузии нового управления был обнародован в Тбилиси лишь спустя 7 месяцев, 12 апреля 1802 г., в связи с созданием более благоприятных для царизма обстоятельств. Грузинским феодалам, созванным в Кафедральный Сионский собор, был зачитан манифест императора. Очевидцы в своих письмах на имя Гарсевана Чавчавадзе так описывали это событие:

«В страстную неделю великого поста, в среду, приехал сюда, в Тбилиси, генерал Кнорринг со своими чиновниками и в день великой субботы вызвал здешних князей и вельмож, чтобы объявить им волю великого государя. Поэтому явились те, кто мог явиться. Как только собрались у назначенного места, он сразу же окружил их всеми вооруженными войсками, приготовленными к штурму. И объявил (генерал), чтобы они поклялись на верность новому закону и штату управления. Когда народ увидел, что Кнорринг и его сообщники хотят силой заставить их поклясться, тогда некоторые из них выбежали, а некоторые остались и поклялись. Что же они могли сделать, когда были окружены войском и против них применили силу!

---

39 АКАК, т. I, стр. 425—431, 432, № 547 (текст манифеста).

40 Грамоты, под ред. Цагарели, т. II, вып. II, 301.

41 Архив Государственного Совета, т. III, СПб, 1878, стр. 1212—1213.

Когда об этом узнали царицы (Дария — супруга Ираклия и Мария — супруга Георгия, М. Д.), вызвали к себе приехавшего из России главного (начальника) и сказали ему: Ты сначала убедил нас, обещая, что у нас будет свой собственный царь, говорил, что постараешься и, по твоему ходатайству, государь соизволит утвердить царя из нашей семьи, а теперь действуешь против данного тобой обещания?!»[42]. В ответ на это «главный» всю вину в ликвидации царской власти переложил на тайного советника Лашкарева и грузинских послов. Лашкарев, этот обрусевший грузин, видный дипломат самодержавия, в свою очередь осуждал Кнорринга. Лашкарев писал Куракину, что он также как и грузинские послы, неповинен в решении дел Грузии, что Кнорринг действовал в Тбилиси нетактично, применив силу и т. д.

Манифест Александра первого вызвал большой протест в Грузии. На это ген. Кнорринг ответил репрессиями. Были арестованы влиятельные князья Мачабели, Амиреджиби, кизикцы и др. Недовольные феодалы, сообщая об этом Г. Чавчавадзе, требовали от него подать жалобу императору и принять соответствующие меры. В противном случае, писали они, «сами как-нибудь постараются решить свою судьбу»[43].

Оскорбленный и обманутый Г. Чавчавадзе писал из Петербурга своим знакомым князьям и родственникам: «Царство уничтожили, да и в подданные нас не приняли. Никакой род (по Дубровину — «народ», М. Д.) так не унижен, как Грузия!» Гарсеван требовал от «грузинского общества» продлить ему срок полномочия, напоминая, что грузины могут «не принять повелений, отсюда к вам привезенных», что необходимо потребовать собственного царя и быть под покровительством»[44].

Все это говорило за то, что в Грузии с самого начала (т. е. с 1802 г.) зарождалось освободительное движение, которое в последствии не раз ставило под угрозу господство царизма в этой стране. Не случайно, что главнокомандующий в Грузии ген. Цицианов, уже с 1803 г., сменивший Кнорринга, стал называть грузин — «народом, мятежами внешними и внутренними обуреваемым».

Ликвидация автономных прав и учреждение чуждого для грузин режима не соответствовали интересам ни большинства феодалов, ни народа. Даже царский историк акад. Н. Дубровин, оценивая означенные события, заключал: «Таким образом, желание послов (грузинских М. Д.) и народа осталось неисполненным»[45]. Здесь же заметим, что в отличие от других царских историков, Н. Дубровин под «народом» подразумевал не только высшие классы, но и широкие слои населения[46].

Утверждение господства царизма в Восточной Грузии коренным образом изменило политическую ситуацию на Кавказе. Царская империя последовательно продвигалась к Ближнему Востоку, угрожая существовавшим там государствам. Охваченные страхом царства и княжества по-разному реагировали на это событие. Одни из них готовились к борь-

---

[42] ЦГИА Ленинград, ф. Канц. МВД по упр. Грузией, 1802 г., д. 12, л. 196. Перевод с грузинского.

[43] Там же, л. 196.

[44] АКАК, т. II, стр. 304; Дубровин, Ист. войны и влад., т. III, стр. 432. Дубровин, приводя цитату, пропускает наиболее интересный момент — «не принять...» и т. д.

[45] Н. Дубровин, указ. соч., т. 3, стр. 432.

[46] Там же, стр. 498.

[47] М. Думбадзе. Западная Грузия в первой половине XIX в. (присоединение к России и социально-экономическое развитие). Автореферат докторской диссертации, Тбилиси, 1957, стр. 13.

бе, другие же получением русского покровительства рассчитывали сохранить свое существование и предлагали свои услуги царизму, в надежде использовать его помощь для расширения своих владений»[47].

Перед царизмом уже стояла неотложная задача захвата Западной Грузии.

На рубеже XVIII — XIX вв. в Западной Грузии разгоралась внутрифеодальная борьба. Имеретинский царь Соломон II боролся за политическое объединение раздробленной на царства-княжества страны. Он не признавал независимости владетельных князей-мтаваров, так же, как и власти турецкого султана, который еще формально сохранял свое политическое господство над Западной Грузией.

Во взаимоотношениях с Россией Соломон II отстаивал условия трактата 1783 года. В акте 1801 года он видел угрозу существованию Имеретинского царства и с этих пор стал одним из главарей той борьбы, которая ставила своей целью реставрацию власти Багратионов в Восточной Грузии[48].

Осложнения в Европе, малочисленность войск на Кавказе, разгоревшаяся борьба за восстановление царского престола в Восточной Грузии и надвигавшаяся война с Ираном вынуждали царизм осторожно подходить к делам Западной Грузии. Царизм на этом этапе и не мог упразднить существовавшие там «государства». Он удовлетворялся лишь получением выгодных военностратегических позиций на случай войны с Турцией и, ограничив власть имеретинского царя и мтаваров, вынужден был мириться с их автономией. Кроме того, надо было своевременно воспользоваться союзными отношениями с Турцией, — до тех пор, пока наполеоновской Франции удалось бы окончательно расколоть и без того день за днем ослабевавший русско-турецкий союз, а Иран смог бы закрыть доступ к Каспийскому морю.

В декабре 1803 г. царское правительство оформило покровительственный трактат с владетельным князем Мегрелии Григорием Дадиани, которого спасло это от угрозы лишения власти и противопоставило его имеретинскому царю Соломону II. Вскоре после этого, в апреле 1804 г., главнокомандующий Грузии ген. Цицианов вынудил Соломона, под угрозой завоевания Имерети, подписать условия покровительственного трактата, продиктованного царизмом. В октябре-декабре того же года у впадения р. Хоби в Черное море был высажен один полк русских войск.

Политика бессильного царя Имерети Соломона, противоречившая целям огромной империи, с самого начала же была обречена на неудачу. Борясь за сохранение независимости, он возлагал свои надежды на грядущую войну между Россией и Турцией. Он клялся в своей верности как России, так и Турции, а на самом деле оставался верным лишь своим интересам. Представитель министерства иностранных дел Турции Реджеб-Эфендий признавал, что турецкое правительство всегда сомнительно относилось к Соломону[49].

В обстановке русско-иранской и русско-турецкой войн положение в Западной Грузии обострилось до крайних пределов. Оккупация страны русскими войсками вызвала усиление эксплуатации широких слоев населения. Недовольство проявляло и дворянство, которое, учитывая пример Восточной Грузии, предвидело ограничение своих политических прав, связанных с существовавшей тавадской (сеньоральной) системой. Положение еще более обострилось тогда, когда русское правительство

---

[48] ЦГИА Грузинской ССР, ф. 2, оп. I, д. № 38, л. 2; АКАК, т. I, стр. 558, №706.

[49] АКАК, т. I, стр. 500.

обманным путем арестовало Соломона и начало внедрять свой режим в Имерети.

В такой сложной обстановке в Имерети вспыхнуло восстание во главе которого встал царь Соломон, бежавший 11 мая 1810 г. из заточения. Ценой больших жертв восстание было подавлено. Соломон бежал в Турцию. В Имерети было введено русское управление.

Вне сферы непосредственного русского управления оставались владетельные княжества Мегрелии, Гурии, Абхазии и Сванетии. Гурия и Абхазия были подчинены русской власти в 1810 г. с сохранением ограниченной автономии, а Сванетия — 1833 г. С целью сохранения своего существования владетельные князья стали слугами царизма и оказывали ему поддержку в осуществлении завоевательно-колониальной политики. Однако, сохранение царизмом княжеских автономий было временным явлением.

Расширение своих владений в Закавказье царизм проводил под видом «возвращения Грузии» земель, потерянных в результате турецко-иранской агрессии[50]. Такая маска долгое время прикрывала завоевательную политику самодержавия; но стремление России к завоеванию захваченных Турцией грузинских областей объективно отвечало и интересам грузинских патриотов. Грузины принимали участие во внешних войнах России и боролись за воссоединение искони исторических территорий Грузии. В 1810 г. русские войска изгнали турок из г. Сухуми, в 1828 г. освободили г. Поти и Ахалцихскую область, а в 1830 г. была окончательно присоединена Восточная Кахети (Саингило). Довольно длительный процесс присоединения Грузии к России в основном завершился. К этому времени царизм успел также включить в пределы своей империи большую часть Армении и Аезрбайджана.

Владея Грузией, самодержавие утвердилось между Черным и Каспийским морями. Страна с большими природными богатствами и многоотраслевым сельским хозяйством открывала широкие перспективы слабой, но год за годом растущей русской буржуазии, которая получила выгодный для себя рынок сбыта. Наряду с этим, приобретение Грузии имело огромное военно-политическое значение. Царская Российская империя овладела весьма выгодными стратегическими позициями для осуществления своих захватнических целей в Передней Азии.

Таким образом, грузинский народ оказался под тяжелым колониальным игом царской России, которую, по выражению В. И. Ленина, «справедливо называли» «тюрьмой народов»[51]. «Потеря государственой жизни и установление иностранного режима являлись фактами большой неудачи, пережитой в общественно-политической истории Грузии. Грузинский народ никогда не мирился с этим явлением и непрестанно продолжал борьбу до тех пор пока, в результате Великой Октябрьской революции, не приобрел свободу и независимость»[52]. Несмотря на это, присоединение к России в тех исторических условиях имело для Грузии объективно положительные последствия.

Среди соперничавших вокруг Кавказа государств Россия, близкая к Грузии по религии, культуре и социально-экономической жизни, была сравнительно передовой страной, находившейся на ступени разложения крепостничества и развития в его недрах капиталистических от-

---

[50] АКАК, т. II, стр. 7—10. Рескрипт Александра I ген. Цицианову, от 26/IX-1802 г.

[51] В. И. Ленин. Соч., т. XVIII, изд. III, стр. 80.

[52] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, М. Думбадзе и др. История Грузии, кн. I, 1958, Тбилиси, стр. 387, на груз. языке.

ношений. В отличие от Ирана и Турции, насаждавших в покоренных странах средневековую отсталость, централизованная Россия была способна ликвидировать феодальную раздробленность и создать необходимые предпосылки для социально-экономического прогресса.

Россия постепенно изгнала Турцию из значительной части исторических территорий Грузии, ликвидировала широко практикуемую турецкими захватчиками торговлю пленными, положила конец хищническим вторжениям горцев, внутрифеодальным войнам и окончательно объединила страну под своим господством.

Социально-экономический прогресс Грузии прежде всего был объективным процессом, протекавшим независимо от воли царизма. Сравнительно развитая Россия оказала существенное влияние на весь ход внутренней жизни. Создание сравнительно мирных условий для трудовой деятельности, особенно с 30-х годов XIX в. включение Грузии в арбиту всероссийского рынка и сферу влияния европейского капиталлизма, также как и ряд мероприятий, имевших целью упорядочение крепостнических отношений на окраинах империи, подрывали основы феодально-крепостнического строя в Грузии и толкали страну к будущим социально-экономическим преобразованиям.

В результате присоединения к России грузинский народ связался с имеющим большие революционные перспективы русским народом и его передовой культурой. С этого времени передовые грузины и лучшие сыны России постепенно объединялись в борьбе как против внешних, так и внутренних врагов — царизма и крепостничества.

* * *

Царское самодержавие одним ударом подорвало старое грузинское управление, вместо которого учредило свой военно-бюрократический режим. Новое управление, так же как и юридическая иерархия, были устроены на военных началах[53]. Это и было понятно, так как главнейшей целью царизма на Кавказе в первых десятилетиях XIX в. были завоевание и руссификация страны[54]. В управлении помощниками русских чиновников были поставлены представители грузинского дворянства. Этим путем правительство думало установить связь с местными феодалами. Но такое участие в правлении вовсе не устраивало феодалов, которые раньше пользовались политическими прерогативами.

С учреждением русского управления разрушались основы существовавшей в Грузии тавадской (сеньоральной) системы. Сатавадо (сеньория) представляла собой политико-административную организацию на местах, с аппаратом принуждения, во главе которого стоял тавад-князь, являвшийся одновременно и предводителем феодального войска. Теперь же тавады (крупные феодалы) теряли политические привилегии, потомственные должности при царском дворе и в уделах, превращаясь в обычных помещиков. Русское централизованное правительство, ограничив участие местных феодалов в политико-административной жизни, брало на себя лишь заботу о защите их социальных прав. Поэтому большая часть крупных феодалов была недовольна новыми порядками и боролась за восстановление власти грузинского царя.

Основным пороком нового управления было то, что оно вытесняло из политической жизни грузинский язык и пренебрегало нравами и обы-

[53] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX изд. I, стр. 397.

[54] Там же, т. XVI, ч. II, стр. 26.

чаями грузинского народа. Чуждый для широких слоев населения режим осуществлял национальное угнетение. Таким образом, народ оказался под двойным гнетом — социальным и колониальным — и его положение ухудшалось.

В период упразднения власти грузинского царя русские военные чиновники, с целью привлечения на свою сторону крестьянства, старались в некоторой степени разжечь классовые противоречия. В 1799 — 1802 гг., они благосклонно относились к крестьянам, а иногда и подстрекали их на неповиновение помещикам[55]. Распространялись слухи об отмене крепостничества[56], и о том, что император Павел уже освободил народ от повинностей[57]. На трудящихся большое влияние имело и то, что русские войска с успехом отражали нападения хищнических банд горских феодалов и защищали их во время полевых работ.

Но положение изменилось с тех пор, когда новый режим уже проявил все свои отрицательные стороны и положение крестьян заметно ухудшилось. Поэтому крестьяне, иногда даже в союзе с феодалами, начали бороться против колониального гнета. Их борьба не прекращалась на протяжении всего первого двадцатилетия XIX века.

Царское правительство стало и впредь продолжать свой курс ограничения крупных феодалов и их превращения в простых помещиков, лишенных политических прав. С целью разобщения внешнего единства феодалов и крестьянства в борьбе против нового режима, царизм способствовал обострению противоречий внутри враждебных классов. Царизм присваивал себе все большее количество земли и крестьян и в известном смысле стал противопоставлять себя местным феодалам в качестве помещика. Росли размеры и число казенных имений[58] .С 20-ых годов правительство, с целью увеличения казенной собственности, специальным указом от 28 февраля 1824 года стало поощрять крестьян к отысканию вольности. Напуганные феодалы надежды спасения возлагали на правительство. Царизм, в свою очередь, уже открывал доступ местным феодалам на военную и гражданскую службу. Из бывших грузинских вельмож создавалась теперь служилая аристократия, всецело зависящая от самодержавия.

С целью утверждения своего господства царизм использовал идеологическую политику, осуществляя свои захватнические стремления под маской защиты христианского мира; покровительствуя христианской церкви на Кавказе, он разжигал религиозную ненависть между народами различного вероисповедания. Главным поводом для присоединения Абхазии и Восточной Кахетии царизм выдвинул лозунг защиты православных от притеснений со стороны магометан.

В 1814 г. царизм восстановил прекратившую свое существование в конце XVIII века «Осетинскую духовную комиссию» с целью насаждения христианства в Осетии и упрочения своего господства. С 1814 г. по 1820 г. было окрещено свыше 36 тыс. осетин и других горцев[59].

Царизм часто применял политику натравливания одних племен и народов на других. Такая политика, которая более рельефно проявля-

[55] ЦГИАЛ, указанное дело, л. 233—234, Дубровин, История войны и влад., т. III, стр. 460.

[56] О. П. Маркова, Присоединение Грузии к России, «Историк-марксист», 1940 г., № 3, стр. 89.

[57] Н. Дубровин ,там же, стр. 381.

[58] О казенно-фискальной политике царизма в Грузии см. Монографию И. Г. Антелава «Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века», Сухуми, 1955.

[59] З. Н. Ванеев. Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке. Сталинир, 1956, стр. 173, 174.

лась в эпоху первой русской революции, имела место и в первой трети XIX века, как на примере Южной Осетии, так и Западной Грузии. Главнокомандующий Грузии ген. Тормасов так объяснял смысл сохранения автономных владений Западной Грузии: «Разделяя весь этот край, довольно обширный, на 4 владения, ...легче может быть содержим в должном повиновении тем числом войск, какое теперь там находится, тем более, что силу одного владельца можно будет противуполагать другому в неизбежных случаях»[60]. Последующие события подтвердили, что такая политика осуществлялась довольно часто[61].

Одной из важных сторон царской колониальной политики была колонизация —заселение окраин надежными, с точки зрения самодержавия, элементами. В первом двадцатилетии XIX века в Грузии и частично в Азербайджане появились немецкие колонии. После окончания русско-турецкой войны 1828—1829 гг. в Грузию были переселены из пределов Турции свыше 6.000 семейств армян и греков христианского вероисповедания[62].

Колонизация страны ставила целью и руссификацию колоний. В этом направлении действовало не только русское управление, но и система просвещения. Сразу же были упразднены старые грузинские школы и обучение стало вестить на русском языке.

В первой трети XIX века царизм, ввиду своей отсталости, еще не был готов к тому, чтобы по существу приступить к экономической эксплуатации своей колонии.

В 1827 году министр финансов Канкрин признавал, что до сих пор не было предпринято никаких серьезных шагов для превращения закавказской колонии «в богатый доходный источник»[63]. Стремления к экономическому освоению Закавказья выразились лишь в некоторых проектах и предложениях. Превращение Грузии в настоящую колонию царизма произошло лишь во второй половине XIX в.

Колониально-политический режим, установленный царизмом в Грузии, вызвал большое недовольство и протест различных слоев населения.

С первых же годов XIX века в Восточной Грузии началась борьба за восстановление власти грузинского царя. В первую очередь выступили крупные феодалы, устроившие в июле 1802 г, заговор против нового правительства.

Собравшиеся в кахетинском селении Кельменнучури 69 князей обратились с просьбой к русскому правительству о восстановлении трактата 1783 г. и признании царем Грузии Юлона Ираклиевича. К князьям примкнула и некоторая часть крестьянства. Однако, вследствие измены, князья не смогли организовать вооруженное выступление. Большинство заговорщиков было арестовано, остальные бежали в Иран, который

---

60 АКАК, т. IV, стр. 437.

61 М. Думбадзе, Западная Грузия в первой половине XIX века (на грузинском языке). 1957 г., Тбилиси, стр. 156—284.

62 О колонизаторской политике царизма см. монографию П. В. Гугушвили «Экономическое развитие Грузии и Закавказья в XIX—XX веках», т. I, 1949 (на грузинском языке), стр. 451—747.

63 Обозрение российских владений за Кавказом, ч. I, стр. 12. О колониально-экономической политике царизма в этот период см. исследования О. П. Макаровой — «Финансово-экономическое обследование Грузии в первой трети XIX в.». «Историч. записки», т. 30, 1949; М. К. Рожковой, «Из истории экономической политики российского царизма в Закавказье (первая половина XIX века), «Исторические записки», т. 18, 1946.

покровительствовал боровшимся против Российского господства элементам.

В августе 1802 г. царь Имерети Соломон и находящиеся при нем бежавшие из Картли царевичи готовили вооруженное выступление, но русское командование своевременно приняло меры, и это выступление не состоялось[64].

В 1803—1804 гг. недовольство, порожденное новым режимом, стало всеобщим. Оккупационные войска, расквартированные в деревнях Грузии, тяжелым бременем легли на народ. Бесчинства и произвол военных и гражданских чиновников дошли до крайних пределов. У населения безвозмездно и силой отобрали продовольствие для войск, требовали рабочий скот, оскорбляли семейства, похищали женщин и девушек и насиловали их[65].

Народ не понимал язык правления и суда. В то время, когда даже в городах трудно было найти переводчика, знающего русский язык, от истцов требовали устного изложения своих жалоб. Грузинское законодательство лишь формально сохраняло свою силу при рассмотрении гражданских дел, но предпочтение и в этом давалось русским законам. На этой почве происходило смешение различных законов, порождавшее большие злоупотребления[66].

Особенно невыносимое положение создалось у горцев, живших вдоль Военно-грузинской дороги. При замкнутом натуральном хозяйстве горцы не могли удовлетворить требования военных чиновников о снабжении войск провиантом, доставлении транспорта, систематическом ремонте дороги, платеже денег вместо старой натуральной повинности и др. «Когда население не в состоянии было уплатить требуемой суммы, русские чиновники заставляли их взять серебро из церквей»[67]. Казаки и стражники издевались над населением; впрягали в арбу женщин и понукали их нагайками везти нагруженный воз; были неоднократные случаи изнасилования женщин[68].

Свободолюбивые горцы не могли долго терпеть таких обид и в 1804 году, когда правительство вздумало собрать у них ополченцев в помощь русским войскам в войне против Ирана, они восстали.

В мае 1804 г. в нагорной Картли началась кровопролитная борьба между повстанцами и русскими войсками. Осложнившимся положением не преминули воспользоваться феодалы и царевичи, стремившиеся восстановить грузинский царский престол, и присоединились к повстанцам. В это время русские войска, ведущие военные действие под Ереваном, оказались в опасном положении. Связь с Россией по Военно-грузинской дороге была прервана, надвигалась опасность всестороннего окружения русских войск. Восстание находило сочувствие и поддержку и в низменных районах Грузии. Главнокомандующий Грузии Цицианов вынужден был снять осаду Еревана и двинуться со своими силами против повстанцев. Горцы потерпели жестокое поражение.

Восстание крестьян нагорной Картли было первым массовым вооруженным выступлением в Грузии против самодержавного режима

---

[64] А. Г. Пирцхалайшвили, Имеретия и Гурия в период 1804—1840 гг. «Материалы по истории Грузии и Кавказа», 1941, вып. I, стр. 36—37.

[65] АКАК, т. I, стр. 412, 461.

[66] АКАК, т. IV, стр. 22.

[67] И. А. Джавахишвили. Указанная работа, стр. 12—13.

[68] АКАК, т .II, стр. 311.

царской России. В ликвидации этого режима и восстановлении национального самоуправления уже одинаково были заинтересованы как высшие, так и низшие слои общества. Поэтому это восстание носило народно-освободительный характер.

Начиная с первых же годов XIX века национальный и социальный гнет грузинского народа становился все более и более невыносимым. Число царских войск в Грузии из года в год возрастало. С 1804 года началась война с Ираном, а с 1806 г. с Турцией. Маленькая Грузия в этих многолетних войнах являлась базой и непосредственным тылом русской армии. На грузинский народ в основном легло тяжелое бремя снабжения 12-тысячной армии продовольствием, траспортом, жильем и др. И без того расшатанная экономика маленькой страны не могла удовлетворять возросшие требования правительства. Кроме того, грузины и с оружием в руках участвовали во внешних войнах России.

В результате многолетних войин и внутренних волнений страна была обессилена и истощена. К этому прибавилось еще стихийное бедствие. Рано наступившие морозы уничтожили почти весь урожай и в 1810 — 1812 годах в стране свирепствовал голод. В охваченной голодом стране распространялась чума, после которой началось наводнение. Погибло около трети населения всей Западной Грузии, а в Восточной Грузии до начала 1812 года умерло от чумы свыше четырех тысяч человек. Хлеб очень вздорожал, причем его почти не было в продаже. В таких условиях военные власти стали требовать с голодавших крестьян продовольственные налоги. Крестьяне жаловались.

Военная экзекуция в домах крестьян для насильственного сбора хлеба была ответом на жалобы крестьян[69].

Восставшие в 1812 году крестьяне так описывали причины их возмущения:

«Мы долго терпели! Ныне же, когда господь послал нам этот ужасный голод, когда мы сами едим коренья и травы, от нас насильственно требуют провианта и фуража! Нас выгнали из собственных домов. Рылись в сундуках и ямах наших, открывали наши запасы вина и, напившись, спьяна, осквернили остальное, бросая туда нечистоты. Наконец, на глазах наших стали обижать жен и дочерей. Неужели и после такого семейного срама дорога нам жизнь!»[70].

Дух мятежа охватывал и феодалов, которые мечтали о восстановлении утраченных своих привиллегий. Разоренное крестьянство также стало предпочитать старые порядки, когда оно не так было стеснено и не испытывало национального гнета. Назревало массовое восстание. Восстание в Кахети началось 31 января 1812 года в селении Ахмета. Крестьяне изгнали воинский отряд, прибывший для сбора провианта. В феврале восстание охватило уже всю Кахети и перекинулось в горную область Картли. Развернулись кровопролитные бои, были значительные жертвы. Только лишь в одном сражении у сел. Бодбисхеви погибло 200 человек.

В момент кульминационного развития восстания царское правительство постаралось расколоть внешне единый фронт феодалов и кре-

---

69 И. А. Джавахишвили, Указанная работа, стр. 18—19.

70 А. Чавчавадзе, Краткий исторический очерк Грузии, «Кавказский сборник», Тифлис, 1902, т. XXIII, стр. 18.

стьянства. Временным восстановлением старых чиновничьих прав феодалов их большинство примкнуло к царизму. Это объяснялось общностью их классовых интересов с царизмом и проявлением антифеодальных тенденций в борьбе трудящихся.

Войска царской России жестоко подавили кахетинское восстание и вслед за ним отразили выступление царевича Александра Ираклиевича, который с помощью Ирана добивался восстановить престол Багратионов.

После победоносного окончания Отечественной войны 1812 г. и войн с Турцией и Ираном положение царизма в Грузии в значительной степени укрепилось. Это сопутствовалось дальнейшим обострением колониальной политики и упрочением бюрократического режима в Западной Грузии, где, в частности в Имерети, еще в некоторой степени сохранились старые правопорядки.

Еще в 1811 году царизм лишил грузинскую церковь самоуправления. Грузинская церковь была подчинена Российскому синоду и поставлена на службу царизму. В восточной Грузии расподалась церковно-феодальная организация, где духовенство, являясь феодальным собственником населеных имений, содержалось за счет повинностей крепостного крестьянства. Теперь церковное имущество переходило в собственность казны, а служителям церкви определялось жалованье. Такие же изменения собирались провести и в Западной Грузии в 1819 году.

Намеченная реформа значительно ограничивала церковных феодалов, которые должны были превратиться в простых чиновников царизма; многим из них, ввиду укрупнения церковых епархий, не доставались даже места в новой бюрократической организации. К ним сочувственно относились и светские феодалы, недовольные ликвидацией власти царя Имерети.

Реформа предвещала также значительное ухудшение положения крестьянства. В условиях безраздельного господства натурального хозяйства в Имерети предусматривалась замена натуральной повинности денежной, объем которой по сравнению со старыми налогами, рос почти вдвое. Кроме того, подвергались обложению и те крестьяне, которые раньше были освобождены от налогов[71].

Господствующие и порабощенные классы в начале движения выступили совместно против нового режима, но по мере развития борьбы и проявления антифеодальных тенденций крестьянства, как это имело место и в предыдущих востаниях, помещики переходили на сторону царизма.

Восстание, начавшееся в июне 1819 года в Имерети, затянулось и перекинулось в Гурию, где имели место кровопролитные сражения. В 1820 г. повстанцы убили правителя Имерети полковника Пузыревского.

Царские войска с беспримерной жестокостью подавили восстание. «Бунтующие селения, — писал Ермолов, — были разорены и сожжены, сады и виноградники вырублены до корня. Через многие годы не придут изменники в первобытное состояние»[72].

Колониальный гнет, установленный русским царизмом в Грузии, вызывал сильный протест общественных классов не только в центральных районах Грузии, но и на окраинах — в Абхазии, Южной Осетии.

---

[71] Н. Б. Махарадзе, Востание в Имеретии 1819—1820 гг. «Материалы по истории Грузии и Кавказа», 1942, вып. III.

[72] Там же, стр. 113.

В Абхазии и после 1810 года сохранялась напряженная обстановка. Турция не мирилась с петерей Сухуми и через своих сообщников вела там подрывную работу. Оккупация Абхазии царскими войсками вызвала недовольство широких кругов населения. Поддержка христианских элементов и притеснение магометанства, уже давно пустившего свои корни в стране, еще более обостряло положение. Военные чиновники, называвшие местных жителей «дикими зверями» и «невеждами», оскорблявшие и принижавшие народ, заслужили ненависть населения. Росло влияние туркофилов и внутренняя борьба не утихала. Царизм часто направлял туда карательные военные экспедиции, натравливал на Абхазию владетельного мегрельского князя Дадиани.

Главнокомандующий Ермолов в 1824 году писал Дадиани, чтобы он, собрав сколько возможно воинов, направился «в мятежную Абхазию, действуя в оной огнем и мечем» и «мстить на народе, покушающем себя нередко на оскорбления вашему владению»[73].

В 20-х годах XIX века в Абхазии проливалась кровь во имя упрочения там господства царизма и окончательного искоренения турецкого влияния[74].

Царская социально-колониальная политика способствовала разжиганию классовой борьбы в Южной Осетии, в особенности в районе Ксанского ущелья. Еще при Ираклие II-м, в связи с упразднением Ксанского эриставства, крестьяне, живущие в этом ущелье, были перечислены в разряд царских и сохраняли сравнительно облегченное положение, но с 1803 г. русское правительство возвратило верным эриставам свои имения, что положило начало острой освободительной борьбе осетинского крестьянства. Против эриставов выступали также азнауры (дворяне), добивавшиеся освобождения из под личной зависимости князей.

Стремления царизма к созданию надежной опоры в Осетии, как уже было отмечено выше, привели к восстановлению «Осетинской Духовной комиссии» в 1814 году, во главе которой оказались азнауры — противники эриставов. Решающим условием успеха миссионерской деятельности они выдвигали перечисление эриставских имений в казенное ведомство. На этой почве в Осетии начинаются антикрепостнические выступления, которые одновременно были направлены и против царского колониального режима.

На протяжении почти всей первой половины XIX века в Южной Осетии и в районах внутренней Картли борьба крестьянства не прекращалась. В 1817—1824, 1826—1830 годах царские войска с отрядами феодалов Эристави жестоко расправлялись с восставшими крестьянами, разоряя и сжигая села Южной Осетии[75].

Антиколониальные и антифеодальные выступления в Грузии, впервой трети XIX века вынуждали царизм считаться с вековыми традициями народов, ослабляли самодержавие и расшатывали основы крепостничества. В своих основных чертах эта борьба имела освободительный характер и смыкалась с социально-политическими движениями великого русского народа, боровшегося против царизма и крепостничества.

---

[73] АКАК, т. VI, ч. I, стр. 635.

[74] Там же, стр. 635—636.

[75] З. Н. Ванеев, Указанная монография, стр. 170—207.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში

არჩილ ბარამიძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წ/კ გ. ჩიტაიამ)

ანტიკური ხანის ერთ-ერთი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების — კოლხეთის შესახებ, ძალზე დიდი მასალაა დაცული ბერძნულ-რომაულ ისტორიოგრაფიაში. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ანტიკური ხანის ლიტერატურაში არსებულ ლეგენდათა უმეტესობა სწორედ კოლხეთს უკავშირდება. კოლხეთი — ესაა დაუშრეტელი თემა ანტიკური ხანის მწერლობისა. მართალია, კოლხეთი ბერძნულ ისტორიოგრაფიაში ლეგენდათა ბურუსშია მოქცეული, მაგრამ ბერძენთა ხშირი მოგზაურობის დროს პონტოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ, ეს ლეგენდური საბურველი თანდათანობით იხსნება და ცნობები კოლხეთზე სულ უფრო სანდო ხასიათს ღებულობს.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუახანებიდან დაწყებული (ფრიქსესა და სეზოსტრისის ლაშქრობანი) ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე ანტიკურ მწერლობაში არ დარჩენილა არც ერთი მწერალი (თუნდაც მეორეხარისხოვანი), რომელსაც რაიმე ცნობა თუ ამბავი არ ჰქონდეს შემონახული კოლხეთის უძველეს ისტორიაზე.

ამგვარმა ვითარებამ XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში შექმნა დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა კოლხეთის შესახებ. ამრიგად, აღნიშნული ხანის დასავლეთ ევროპული, რუსული და ქართული ისტორიოგრაფიის ხელთაა მრავალრიცხოვანი მასალა კოლხეთის ქვეყნისა და მისი მოსახლეობის წარსულზე. ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფიის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს ამ მასალათა საფუძვლიანი შესწავლა.

მაგრამ, თუ დასავლეთ ამიერკავკასიის ამ მსხვილი პოლიტიკური ერთეულის გარშემო ანტიკური ხანის მწერლობას დიდი მასალა აქვს დაგროვილი, ეგევე არ ითქმის ქართულ ნარატიულ წყაროთა შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წყაროები დასავლეთ საქართველოზე საერთოდ, ხოლო კოლხეთზე კერძოდ, ძალზე მცირე ოდენობისაა იბერია — ქართლთან შედარებით, რაც არ იძლევა საშუალებას მარტოოდენ მის მონაცემთა საფუძველზე კოლხეთის ფრიად საინტერესო ისტორიის აღდგენისას.

ბუნებრივად იბადება კითხვა — რით უნდა აიხსნას ქართულ წყაროთა ამგვარი სიმცირე დასავლეთ საქართველოზე? რატომ არ აისახა ლიხთ-იმერეთის ესოდენ საინტერესო ისტორია ქართულ საისტორიო მწერლობაში? ჩვენი აზრით, ამის პასუხი გეოგრაფიულ ფაქტორში უნდა ვეძებოთ, კერძოდ „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა აღმოსავლურ-ქართული წარმოშობით რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც თავიანთი მხარის, ამ შემთხვევაში, ქართლ-კახეთის ისტორიის შესწავლა უფრო აინტერესებდათ, ვიდრე დასავლეთ საქართველოსი. ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის ავტორი ლეონტი მროველი გაცილებით უფრო მეტ ცნობებს გადმოგვცემს აღმოსავლურ-ქართველ ტომთა შესახებ, ვიდრე დასავლურ-ქართველ ტომებზე. ასე, მაგალითად, ლეონტი თავის თხზულებაში („ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“[1]) თითქმის არ ასახელებს დასავლეთ საქართველოს ისეთ მსხვილ ეთნიკურ ერთეულს, როგორიც იყო სვანეთი[2], მაშინ, როდესაც ანტიკური ხანის წყაროებში სვანეთის საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ამ გარემოებამ მეტწილად განსაზღვრა აგრეთვე XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მიმართულებაც, კერძოდ, კოლხეთის ისტორიის შესწავლისადმი შედარებით ნაკლები ყურადღების გამახვილება. კოლხეთი კი თავისი პოლიტიკური თუ კულტურული მდგომარეობით ანტიკურ ხანაში ფრიად დაწინაურებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. XIX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი გეოგრაფოსი კარლ რიტერი (1779 — 1859) დიდ შეფასებას აძლევს კოლხეთის კულტურას და თვლის, რომ „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდიდება სრულიადაც არ მიეწერება მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე, ხმარებაში ყოფილა კოლხეთის ვაჭარ-მოგზაურთა შორის“[3].

ამგვარი დასკვნა ემყარება ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის ბერძენი მწერლის აპოლონიოს როდესელის ცნობას კოლხეთში გეოგრაფიული ხასიათის რუკების (კირბების) არსებობის შესახებ. გეოგრაფიული რუკების არსებობის ფაქტი თავისთავად აყენებს საკითხს კოლხეთში დამწერლობის (თუნდაც ბერძნულის) არსებობისას. სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა (ბათუმი, გონიო, ქობულეთი, ფოთი, ვანი) ჯერჯერობით არ მოგვცა კოლხური დამწერლობის რაიმე ნიშნები. მაგრამ კოლხურ მონეტებზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერები, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებენ, რომ ანტიკური ხანის კოლხეთის მონათმფლობელურ სახელმწიფოში დამწერლობა ბერძნული უნდა ყოფილიყო.

*

* *

კოლხეთის ისტორიული გეოგრაფია კერძოდ, ხოლო საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხი საზოგადოდ, ჩვენი ქართული საბჭოური ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო პრობლემათაგანია. ისტორიულ გეოგრაფიას საქართველოში სულ ცოტა ორი საუკუნის ისტორია აქვს და მისი აღმოცენება დაკავშირებულია ვახუშტი ბაგრატიონის სახელთან.

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955 წ. ამ წყაროს შემდგომი მითითებისას ვიხმართ შემოკლებით: „ქართლის ცხოვრება“,

[2] ქართლის ცხოვრება, გვ. 24, სტრ. 4—5; გვ. 27, სტრ. 10.

[3] Карл Риттер, История землеведения, СПб., 1864, გვ. 52. შდრ. ალექსანდრე ჭყონია, ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომათია საქართველოს ისტორიისათვის, ტფილისი, 1890, გვ. 124.

ბუნებრივად იბადება კითხვა — რატომ მაინცდამაინც XVIII საუკუნეში წარმოიშვა ისტორიული გეოგრაფია საქართველოში და არა გაცილებით ადრე, ვთქვათ XI საუკუნეში, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი — ლეონტი მროველი? მართალია, ქართული ნარატიული წყაროები შეიცავენ მრავალ გეოგრაფიულ მასალას, მაგრამ ეს უკანასკნელი იგივე ლეონტის მოღვაწეობის დროს არ იყო ისტორიულ-გეოგრაფიული, არამედ მროველი ეპისკოპოსის შემოქმედებაში ჩვენ საქმე გვაქვს უბრალო გეოგრაფიულ მასალასთან. ლეონტი მროველი ასახელებს და აღწერს რა ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტს ჩვეულებრივად. არცერთ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად აღადგინოს წარსულის გეოგრაფია. მას არ აინტერესებს იმ მიზეზის დადგენა, თუ რა ნიშნებით განსხვავდება წარსულის გეოგრაფია მისი თანადროული გეოგრაფიისაგან. ჩვენი დროის ისტორიკოსისათვის კი გეოგრაფიული მასალა, დაცული ლეონტის მატიანეში ძალზე ძვირფას წყაროს წარმოადგენს და გვეხმარება გარდასული ტერიტორიის, ან აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქვეყნის“[4] აღდგენაში.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული გეოგრაფიული მასალა ჩვენი თანამედროვეობისათვის იქცა უკვე ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროდ, თუმცა იმჟამად იგი მხოლოდ გეოგრაფიულ მასალას შეადგენდა. ხოლო რაც შეეხება ვახუშტის, მისი შრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ მნიშვნელობა ისაა, რომ მასში გააზრებულია და აღწერილია „ქვეყნის“ მოცულობისა და ცვალებადობის მიზეზი საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში. სწორედ ეს ძირითადი ნიშანი ასხვავებს ვახუშტის მის წინამორბედ ისტორიკოსებისაგან და იგივე ხდის მას ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებლად საქართველოში.

კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

(პეტერბურგის სკოლა)

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პეტერბურგის ქართველ ისტორიკოსთა შემოქმედება კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის დარგში **ძირითადად განისაზღვრებოდა** ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ კომპილაციით, შევსებით თუ შემოკლებით. ვახუშტის ნაშრომის გარდა, აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიებისათვის გამოყენებული იყო აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის წყაროც. ვახუშტის ნაშრომი ქართულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში ერთადერთი გამოკვლევაა, რომელსაც თანატოლი წინაპარი არ მოეპოვება და რომელიც კვებავდა როგორც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის, ისე განსაკუთრებით XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიას ისტორიული გეოგრაფიის ხაზით. ამიტომ საკვირველიც არაფერი უნდა იყოს იმაში, რომ აღნიშნული პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია

[4] ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 18—19.

ვახუშტის „გეოგრაფიას“ უკრიტიკოდ ღებულობდა. ვახუშტის ნაშრომის კრიტიკული ათვისება ახასიათებს უფრო მეტად პეტერბურგის ბაგრატიონთა ისტორიულ-ლიტერატურული წრის წარმომადგენელთ, რომელთაგან აღსანიშნავი არიან: დავითი, ვახტანგი და, ნაწილობრივ, თეიმურაზი. მათი **დიდი დამსახურების მიუხედავად ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე** ეს ავტორები ფეოდალურ-თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები არიან. მართალია, მათ ნაშრომებს, განსაკუთრებით კი თეიმურაზისას, ბევრი რამ ახლოებს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიასთან (წყაროთა მითითება, სოციალური საკითხები), მაგრამ ძირითადად, რა თქმა უნდა, ბატონიშვილები დარჩნენ ფეოდალურ-თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებად ქართულ სინამდვილეში.

ამ სკოლის ერთ-ერთ ნიჭიერ წარმომადგენელს დავით ბატონიშვილს ეგროსი მიაჩნია ეთნარქად, რომელმაც თავისი საკუთარი სახელი მისცა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ ტომს მეგრელებისას. მაშასადამე, ავტორის აზრით, არა ხალხის საკუთარი სახელი — მეგრელი აძლევს საფუძველს მემატიანეს შემდგომში ეგროსის ეპონიმად აღიარებისათვის, არამედ პირიქით, ლეგენდარული ეთნარქი — ეგროსი მეგრელი ტომის დამაარსებლად გვევლინება[5]. აქ დ. ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის ავტორის დონეს ვერ სცილდება. მისი ეს აზრი ორიგინალური წარმოშობისა არაა; იგი გატარებული აქვს ვახუშტის[6], რომელიც თავის მხრივ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს ემყარება. მაგრამ საგულისხმო ჩვენთვის შემდეგია: დავითის მოსაზრებით «владения Егроса составляли вся Колхида, половина Одыша и Алан, где начинается хребет Кавказа, и простиралось до реки Вардан, которую ныне, как я думаю, называют Кубанью. Егрос, дабы твердые положить начала владения своего, нужным почел подражать своим братьям и им построен город Егрис, называемый ныне Зубдит»[7].

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიის ქართულ რედაქციაში, ე. წ. „ნარკვევში“, დავითი ქალაქ ეგროსს ოდიშს უწოდებს (გვ. 3ზ). მაშასადამე, ქართულ და რუსულ ტექსტთა შორის გარკვეულ სხვაობასთან გვაქვს საქმე, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსულ რედაქციაში გატარებული აზრი (ეგრისი — ზუგდიდი) ავტორს უფრო სარწმუნოდ მიუჩნევია, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მოგვიანებით არის გამოცემული (1805 წ.). მაშასადამე, თუ ჩვენ მივიღებთ ეგრისის გაიგივებას ზუგდიდთან, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ გვიანფეოდალური ზუგდიდი, როგორც ოდიშის მთავართა ადგილსამყოფელი, დავითს უხსოვარი დროიდან გამოჰყავს და ამით ამ ქალაქის სიძველის დადასტურებას ახდენს. ქალაქის სახელწოდებამ მეტამორფოზი განიცადა — ეგრისი შეიცვალა ზუგდიდით. საკვირველია, რომ დავითი ზუგდიდის ეგრისთან გაიგივების საქმეში არ ემყარება „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუ-

---

[5] დ. ბატონიშვილი, „ნარკვევი“, თბილისი, 1800 წ. შდრ. Краткая история о Грузии, СПб., 1805.

[6] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით, თბილისი, 1904, გვ. 255, 294. შემდგომში გვერდები მითითებული იქნება ამ გამოცემის მიხედვით.

[7] Царевичь грузинский Давид. Краткая история о Грузии СПб., 1805, გვ. 15.

შტის „გეოგრაფიის“ ცნობას, რომლებშიც, განსაკუთრებით კი ბერძნულ-ლათინურ ტექსტებში, აშკარად ხაზგასმულია ეგრისის იდენტურობა ბედიასთან. ლეონტი მროველი პირდაპირ წერს, რომ „ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია“[8].

ასეთსავე ცნობას გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილიც. „...ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა არს ეგრი, სადაც მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი... ამის შემდგომად უწოდეს ბედია“ (გვ. 304-305).

ეს ცნობები სავსებით უეჭველს ხდიან, რომ უძველესი ქალაქი ეგრისი, თუ ის. მართლაც რეალურად არსებობდა, ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაიგივებულია ბედიასთან (სამურზაყანოშია) და ამიტომ არავითარი საფუძველი არ არსებობს მისი დაკავშირებისა ზუგდიდთან, როგორც ეს თავის დროზე გაუაზრებია დავით ბაგრატიონს.

რაც შეეხება ქალაქ ეგრისის გაიგივებას ოდიშთან, უნდა ითქვას, რომ საკუთრივ ტერმინი ოდიში პირველად იხსენიება თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში[9] (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი), რაც თავისთავად გამორიცხავს ამ სახელწოდების ძველთაგან წარმოშობას.

დავით ბატონიშვილის ზემოთ მოტანილი ტექსტიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე ეგროსის სამფლობელოს გავრცელების საკითხი. დავითის სიტყვით, მასში შედიოდა მთელი კოლხეთი, ოდიშის ნახევარი და ალანეთი ყუბანამდე. როგორც ვხედავთ, ეგრისის ქვეყნის დავითისეული ლოკალიზაცია ძირითადად სწორია და ჩანს, ვახუშტის ცნობას ემყარება[10], მაგრამ გაუგებრობას იწვევს დავით ბატონიშვილის მოსაზრება, თითქოს ეგრისში შედიოდა ოდიშის მხოლოდ ნახევარი. ავტორის ეს ცნობა არავითარ წყაროს არ ემყარება და მისი ფანტაზიის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს. საფიქრებელია, რომ დავითი ეგრისის ქვეყანაში ოდიშის ტერიტორიის მხოლოდ ნაწილის შესვლის ცნობით პოლიტიკურ ფაქტორს გულისხმობდა. ალბათ, მისი აზრით, რაც გვიანფეოდალური ოდიშის პოლიტიკური ვითარებიდან გამოსულად უნდა მივიჩნიოთ, ოდიშის ქვეყნის ნაწილი პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ამდენად ეგრისისაგან თავისუფალი ყოფილა. აქ, მაშასადამე, ერთმანეთშია არეული მონათმფლობელური და გვიანფეოდალური ხანის ეგრის-ოდიშის ტერიტორიული ურთიერთობის საკითხი.

ცნობილია, რომ ისტორიული გეოგრაფიის კვლევის საგანს ამა თუ იმ ტერიტორიის ლოკალიზაცია კი არ შეადგენს მხოლოდ, არამედ ამ მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი საკითხთაგანია ქვეყნის ეკონომიური ვითარების შესწავლა[11]. თუ ამ კუთხით შევხედავთ დ. ბატონიშვილის თხზულებას, დავინახავთ, რომ მასში სწორედ ეკონომიკას საკმაო ადგილი აქვს დათმო-

---

[8] ქართლის ცხოვრება, გვ. 15. სტრ. 14—15. უნდა შევნიშნოთ რომ, „ქართლის ცხოვრების“ რუმიანცევისეულ და მარიამისეულ ნუსხათა აშიებზე ეგრისი გაიგივებულია ოდიშთან. „ქ. ც.-ბა“ გვ. 5, შენ. 4.

[9] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941, გვ. 79, სტრ. 14.

[10] ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 294—295.

[11] В. Яцунский, Предмет и задачи исторической географии. „Историк марксист“, № 5, 1941, გვ. 21, 23, მისივე, Историческая география, Москва, გვ. 9—10. 1955, ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 11, 16, 18.

ბილი. სამწუხაროდ, დავითის მიერ მოტანილი მასალა არაა დიფერენცირებული, ე. ი. მის ნაშრომში არაა აღნიშნული სოფლის მეურნეობის იმ კულტურათა ტერიტორიული დაყოფა, რაც ახასიათებს და ამასთან განასხვავებს აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთისაგან. «Грузия изобилует хлебом,—აღნიშნავს დავითი,—там родится ячмень, овес, просо, кукуруза, лен, сорочинское пшено, хлопчатая бумага, шелк и конопли; там довольно виноградных садов и других плодоносных дерев, но невезде. Есть там серебряные руды; находят золото, олово, медь и железо; там находятся разные каменья, как-то: сердолик, кошачий глаз, яшма, восточный хрусталь, яхонт, порфир, мрамор, лазурь, черный янтарь и кремень. В Грузии находят купорос, слабительныя соли, Арпигмен, каменный уголь и квасцы. Сия земля изобильна дикими зверями, птицами, рыбами и скотоводством" (გვ. 9—10).

დავითის მიერ აქ ჩამოთვლილ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და აგრეთვე საქართველოს წიაღში არსებულ ლითონთა და ძვირფას ქვათა სახელწოდებებს, ვახუშტის „გეოგრაფია" უდევს საფუძვლად. მართლაც, ვახუშტის თხზულებაზე ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ სრულ იგივეობაში დავით ბატონიშვილის ცნობებსა და ვახუშტის მონაცემებს შორის. მაგრამ მსგავსებათა გარდა საკმარისი განსხვავებაც შეიმჩნევა. ასე, მაგალითად, იასპსა (яшма) და შაბს (квасцы) ვახუშტი სრულიად არ იცნობს, მაშინ, როდესაც დავითს ჩანს, სხვა ცნობა გააჩნდა მის შესახებ. იასპი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, წყალტუბოს რაიონში და აგრეთვე ქვემო და ზემო რაჭაში[12]. ვახუშტისათვის უცნობია აგრეთვე ქვანახშირის საბადოთა არსებობა დასავლეთ საქართველოში და გიშერის (черный янтарь) წარმოება[13]. მიუხედავად ამისა, მათ მონაცემთა შორის ძირითადად აშკარა მსგავსება არსებობს, რაც მიუთითებს დავითის მიერ ვახუშტის ცნობათა სესხებაზე.

დავით ბატონიშვილის თხზულებაში დამოწმებული დასავლეთ საქართველოს მარცვლეული კულტურებისა (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ფეტვი) და ლითონთა (ოქრო, ვერცხლი, რკინა, კალა, სპილენძი) არსებობა დადასტურებას პოულობს XVI — XIX საუკუნეთა ისტორიული დოკუმენტებისა და გეოლოგიური მონაცემების ნიადაგზე. ეს გარემოება მიუთითებს დავით ბაგრატიონის მიერ საქართველოს ტერიტორიის შინაგანი რესურსების საკმაო ცოდნაზე, რისი გათვალისწინება მას, ვითარცა სამეფო ტახტის მემკვიდრეს, ევალებოდა კიდეც.

სატომო სახელწოდებათაგან დავითის ყურადღებას იქცევს მხოლოდ ტერმინი კოლხეთი, რომელიც მას ადგილობრივ, ე. ი. ქართულ ნიადაგზე გაჩენილად მიაჩნია. მისი სიტყვით: «Калхида на грузинском языке значит девичий или женский мост, в таком понятии, что будто в стране той

---

[12] Природные ресурсы Грузинской ССР, т. II, Москва, 1959, გვ. 184.

[13] კ. ანთაძე, ზემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის „შრომები", ტ. XI, 1959, გვ. 79—108, მისივე, ქვემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის „შრომები", ტ. XIII, 1960, გვ. 63—90; მისივე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, ვახუტის სახ. გეოგრაფ. ინსტ. „შრომები", ტ. XV, 1960, გვ. 53—80.

выдумала прежде всех мост Ергосова жена, после чего имя сие неизменно греками и Калхида названа Колхидою» (გვ. 15, შენ.)

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ პრიმიტიული ეტიმოლოგიის კრიტიკას, არც იმის უარყოფას შევუდგებით, თითქოს ლეგენდარული ეგროსის ცოლთან კავშირში იყოს კოლხეთის სახელის წარმოშობა. ეს, რაღა თქმა უნდა, ზღაპარია, ალბათ ავტორის მიერ შეთხზული. (სხვათა შორის, დავითის ეს შემცდარი მოსაზრება თავის დროზე უარყო და გააკრიტიკა აკად. მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიის“ მთარგმნელმა სიმონ ღოღობერიძემ). ამ წინადადებაში ჩვენს ყურადღებას იქცევს საკუთრივ ტერმინ კოლხეთის ადგილობრივი წარმომავლობის საკითხი. ცხადია, თუ რა მიზეზის გამო მიაჩნდა დავით ბატონიშვილს კოლხეთი ქართული წარმოშობის სახელად. მაგრამ თავისთავად საგულისხმოა საკითხის ამგვარი დასმა. მაშასადამე, ავტორის აზრით, ეს სახელი ადგილობრივია, ქართულია, რაც შემდეგში არასწორი გააზრების ნიადაგზე ბერძნებმა იგი „კოლხიდად“ აქციეს.

ნიშანდობლივია, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილსაც ტერმინი „კოლხეთი“ ქართულ ნიადაგზე გაჩენილად მიაჩნდა. მისი აზრით: „კოლხების სახელის კვალი თვით გეოგრაფიულ სახელწოდებაშივე ემჩნევა კოლხის-სახელი სატომო სახელების ბოლოსართს ხი-ს შეიცავს, რომლის ჩამოცილების შემდგომ გვრჩება **კოლ.** ცნობილია, რომ საქართველოში არსებობდა და ახლაც არსებობს თემი, რომელსაც **კოლა** ეწოდებოდა და ეწოდება ახლაც. ჰეკატაიოსსაც აქვს **კოლას მთები** („კოლიკა ორე“) დასახელებული. ტომიც იყო, რომელსაც **კოლაელებს** („კოლაჲ“) უწოდებენ და რომელნიც სწორედ კოლაში ბინადრობდა... უფრო ბუნებრივია გვეფიქრა, რომ **კოლხთა და კოლას სახელები ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული**“[14].

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ აკად. ი. ჯავახიშვილის აზრითაც, „კოლხეთი“ ადგილობრივი ქართული სახელია. სწორედ ამის დამტკიცება დაუსახავს მიზნად დავით ბატონიშვილს. მართალია, მან ამ საკითხში არასწორი მეთოდი მოიმარჯვა, მაგრამ დავითის ვარაუდი თეორიულად გამართლებულია.

დავით ბაგრატიონთან ერთად პეტერბურგში ცხოვრობდა და საისტორიო ასპარეზზე მოღვაწეობდა ვახტანგ ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ვაჟიშვილი, მეტსახელად ალმასხანი). მისი ნაშრომი «Обозрение истории грузинскаго народа».[15] ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ცნობილ თხზულებას წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ ხსენებული წიგნი არც იმსახურებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას, თუმცა ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ანგარიშგასაწევია.

კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის ვახტანგ ბატონიშვილის ნაშრომის ცალკეულ ადგილებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს. აქაა საუბარი ფარნავაზის დროის კოლხეთზე, რომელსაც ვახტანგი სამეგრელოს ეძახის, ხოლო ჭუჯის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი იყო «Владетель горских народов» (გვ. 6). აქ თითქოს გაზიარებულია დავით ბატონიშვილის მოსაზრება, რომ „ეგროსი ხალხია მცხოვრები კავკასიის მთებში“ (გვ. 33). მაშასადამე, ვახტან-

---

[14] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950 გვ. 12; ამავე აზრისაა გ. მელიქიშვილიც; იხ. მისი ურარტუ, თბილისი, 1951, გვ. 142: მისივე, Наири-Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 63.

[15] Грузинский царевичь Вахтанг, Обозрение истории грузинскаго народа, Санкт—Петербург, 1814, გვ. 1—83.

გის მსჯელობაში, საინტერესოა სამეგრელოსა და ქუჯის სამფლობელოთა დაპირისპირება. წარმოდგენილი სურათიდან ისე ჩანს, თითქოს სამეგრელო და ერისთავ ქუჯის სამფლობელო ერთი ქვეყანა კი არაა, არამედ ორი ჩამოყალიბებული ტერიტორიული ერთეულია. სამეგრელოსაგან განსხვავებით, ვახტანგი იბერიას (რა ტერმინსაც იგი არ ხმარობს) საქართველოს ეძახის. ჩვენი აზრით, აქ ვახტანგზე გავლენა მოუხდენია ისევ დავით ბატონიშვილის კონცეფციას, რომელიც იბერიას ზოგადი მნიშვნელობით საქართველოს უწოდებდა.

ვახტანგის ნაშრომში ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საკითხი ქართული ლაშქრის აღჭურვილობის შესახებ. ეს პრობლემა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი არსებითი და ამასთან სავსებით დაუმუშავებელი საკითხთაგანია. აკად. ნ. ბერძენიშვილი გულისტკივილით შენიშნავდა ერთ-ერთ წერილში, რომ ქართული ლაშქრის აღჭურვილობა შეუსწავლელ პრობლემას წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაშიო[16]. აქედან გამომდინარე ყოველგვარი ცდა ქართული სამხედრო ხელოვნების ცალკეულ მხარეთა შესწავლისა ჩვენი ისტორიოგრაფიის საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ვახტანგ ბატონიშვილის ცნობები მონათმფლობელური ხანის საქართველოს სამხედრო აღჭურვილობის შესახებ. ვახტანგი წერს: «Парнаваз образовал также и воинский распорядок. Он разделил Грузию на четыре военные округа, в коих набираемые не сменныя войска, составлявшия в течении целых веков около 70 тысячь человек, равно как и другия земския ополчения, делаемыя в чрезвычайных обстоятельствах разделялись на... отряды... Оборонительныя оружия их обыкновенно были: панцырь, нагрудник набедерник и щит; а наступательныя: копье, палица, мечь, дротик, кинжал и стрелы. Таковыя несменныя войска существовали до разделения Грузии на разныя царства, после чего невозможно уже было содержать воинов на жалованье» (გვ. 8—9).

აქ წარმოდგენილი ფაქტიური ვითარება გააზრებას საჭიროებს. მაშასადამე, ფარნავაზის დროს უთვალავი ოდენობის მეომარი არსებულა, რომელიც შეიარაღებული იყო რკინის იარაღით. ყოველ შემთხვევაში, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი იარაღი რკინისა უნდა ყოფილიყო. ფარნავაზი ქართულ მხედრობას აძლევდა რკინის იარაღს მტრების დასათრგუნავად, რადგან ჯარის ბრძოლისუნარიანობა დიდად იყო დამოკიდებული მის შეიარაღებაზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა ქართული ლაშქარი გარეშე მტერთა მოგერიებას, თუ ის უკეთესად იქნებოდა აღჭურვილი. მრავალრიცხოვანი მხედრობისათვის იარაღის დამზადება დიდძალ რკინას მოითხოვდა, რისი არსებობა, საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების საშუალებით, საკმაოდ არის დადასტურებული. საზღვარგარეთიდან შემოზიდული რკინა, რა თქმა უნდა, ქვეყნის საჭიროებას ამ მხრივ ვერ დააკმაყოფილებდა[17]. ამიტომ მთავარ წყაროდ ადგილობრივი მადანი რჩებოდა, რომლის მოპოვება ძირითადად ქვემო ქართლსა და ზემო რაჭაში ხდებოდა.

---

[16] ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 11.

[17] იქვე.

ასე გვესახება ჩვენ ვახტანგის ცნობები ფარნავაზის დროის საქართველოს ლაშქრის აღჭურვილობაზე. თუ ჩვენი მსჯელობა, გამომდინარე ვახტანგ ბატონიშვილის მონაცემებიდან, სწორია, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ პიროვნებასთან, რომელიც კარგად აფასებდა რკინის ეკონომიურ მნიშვნელობას ქვეყნის წარმატებაში.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ საკმაოდ საინტერესო ცნობები შემოგვინახა თეიმურაზ ბაგრატიონმა. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის „ისტორია ივერიისა“-ში[18] დაცული ცნობები კოლხეთის გეოგრაფიაზე უფრო მრავალფეროვანი და სრულია, ვიდრე მისი უფროსი ძმისა და ბიძის ნაშრომებში. თუ დავითისა და ვახტანგის თხზულებებში ისტორიული გეოგრაფიის საკითხები შემთხვევით ხასიათს ატარებს და მათში საქართველოს ისტორიის ზოგადი სურათია წარმოდგენილი, თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომი ფრიად ვრცელი ნაწარმოებია, რომელშიც ცალკე ქვეთავებია მიძღვნილი საქართველოს სამეფო-სამთავროთა ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებისადმი. მართალია, თეიმურაზის თხზულება მეფე მირიანის მოღვაწეობის აღწერით სრულდება და, მაშასადამე, საქართველოს სამეფო-სამთავროთა ისტორიის საკითხები განხილვის საგნად ვერ იქცეოდნენ, მაგრამ მასში ისტორიულად არსებული ქვეყნების ძველი პერიოდია გარჩეული. კერძოდ, კოლხეთი წარმოდგენილია, როგორც ერთიანი „სახელმწიფო თვით-სამპყრობელო“ (გვ. 25) და ამავე დროს გეოგრაფიული თვალსაზრისით დაყოფილი: იმერეთად, აფხაზეთად, სამეგრელოდ, გურიად, სვანეთად, ალანიად და ჯიქეთად (გვ. 24 — 25). აქვე მოკლედ მოთხრობილია ამ ტერიტორიაზე არსებული სამეფო-სამთავროთა გეოგრაფიის, ეთნიკური შედგენილობისა და პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე.

უწინარეს ყოვლისა, თეიმურაზის ყურადღებას იქცევს კოლხეთისა და მასში შემავალი ქვეყნების ლოკალიზაციის საკითხი. გამომდინარე ლეონტი მროველის კონცეფციიდან — თარგამოსიანთა ერთიანი წარმოშობის თეორიიდან, თეიმურაზი ეგროსს კოლხეთის ეთნარქ-ეპონიმად თვლის. ამას, ეგროსს, მისი სიტყვით, ქართლოსმა „განუჩინა... ქვეყანანი ზღვის ყურისა (რომელ არს კოლხიდა, იმერეთი, აფხაზეთი და სხვანი გარემონი მათ ქვეყანათა) საზღვრებითა ამით აღმოსავლეთით ლიხის მთაჲ, დასავლეთით შავ ზღვადმდე (ესე არს პონტო კოლხიდისა ზღვადმდე) და მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა, სადა იგი წარსწვდების წვერი კავკასიისა მთისა ზღვასა, სამხრით მთადმდე ღადოსა. ხოლო ჩრდილოეთ კავკასიამდე. ამან უკ უჴ ეგროს აღაშენა ქალაქ იეგრი ანუ ეგრისი სახელსა ზედა თვისსა და დაემკვიდრა მუნ სახლეულებით თვისითურთ“ (გვ. 30).

კოლხეთის ლოკალიზაციის ეს სქემა თეიმურაზ ბატონიშვილს აღებული აქვს ლეონტი მროველისა[19] და ვახუშტისაგან[20]. იგი ამ ორი ავტორის მონაცემებს ერთმანეთს უდარებს და ამის შედეგად თავის აზრს იმუშავებს, რაც თავისთავად ლაპარაკობს ავტორისათვის დამახასიათებელი რიგიანი მეთოდის

---

[18] თეიმურაზი, ისტორია დაწყებითგან ივრიის, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, სანკტპეტერბურღი, 1848, გვ. 1—298.

[19] ქართლის ცხოვრება, გვ. 5, სტრ. 12—15.

[20] ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 256—257.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობაზე. ამასთან თეიმურაზი, როგორც ჩანს, თავს იკავებს ლეონტი ბრწყინვალის ცნობის გაზიარებისაგან, რომ ქალაქი ეგრისი იგივე ბედია.

ამრიგად, აღწერს რა კოლხეთის ტერიტორიას, თეიმურაზი ამის შემდეგ გადადის მასში შემავალ ქვეყანათა ადგილმდებარეობისა და ისტორიულ ცნობათა გადმოცემაზე. მანამდე კი, იგი დავით ბატონიშვილის მიბაძვით, თუმცაღა წყაროს მიუთითებლად, იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ კოლხეთი ადგილობრივი სახელია და რომ იგი ქალხიდად იყო გააზრებული. თეიმურაზი წერს: „ქვეყანა კოლხიდისა უძველესთავე დროთა სახელოვნებდა სიძველეთა თვისითა, ცნობილი გარეშეთაცა ერთა მიერ კოლხიდა სახელისდება (დ). გულისმსიტყველობენ, რომელ იყოს ქალ-ხიდა, ესე იგი ხიდისა ძლით რომლისამე დიდებულისა ქალისა ვისიმე მიერ ქმნულისა წოდებად ქვეყანისა მის. ხოლო მეორე სახელი ქვეყნისა მის არს მეგრელია, ვინაჲდგან ეგროს ძმაჲ ქართლოსისა იყო პირველი ნათესავთ—მთავარი მათი. ჭალაკი კოლხიდა შორის ქვეყანისა მის იყო მცირედი და გარე-მოზღუდვილი წყალთა მიერ, რომელიცა თქმაობისა მიერ მეთოლოღიურისა შეწირულ იყო მარსისა, რომელსა შინაცა იცვებოდა ოქროს მატყლოვანი იგი ცხოვარი. კოლხიდა ჭალაკისა მის სახელი სრულიად ქვეყანისა მის კერძოთა სწოდებაეს, რომელიცა არს ქვემოჲსა ივერიისა, გინა საქართველოჲსა ნაწილი“ (გვ. 21).

მაშასადამე, თეიმურაზმა გაიზიარა ტერმინ კოლხეთის დავითისეული ეტიმოლოგია, თუმცა უფრო თავდაჭერილად აღნიშნა ამ სახელწოდების გამჩენის ვინაობა. თუ დავითს მიაჩნდა, რომ ეგროსის მეუღლის შემოქმედებასთან იყო დაკავშირებული „კოლხეთი“ ტერმინის გაჩენა, თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ ეგროსის ცოლი „ქართლის ცხოვრებაში“ არ იხსენიება[21]. ამიტომ მან უფრო ფრთხილად აღნიშნა ვინმე „დიდებული ქალის“ დამსახურება ამ საქმეში. ჩვენს მიერ მოტანილ ამონაწერში საინტერესოა თეიმურაზის სხვა ცნობაც. თეიმურაზ ბატონიშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველია, რომელმაც დასვა საკითხი ტერმინ „კოლხეთის“ ვიწრო გაგების შესახებ. მას მიაჩნია, რომ „ჭალაკი კოლხიდა შორის ქვეყანისა მის იყო მცირედი და გარემოზღუდვილი წყალთა მიერ“; სადაც ინახებოდა ოქროს საწმისიო. სწორედ ამ პატარა ტერიტორიას ეწოდებოდა კოლხიდა, ხოლო რაც შეეხება ჭალაკს, იგი, ცხადია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კუნძულს აღნიშნავს[22]. მაშასადამე, თეიმურაზის მიერ გააზრებული „კოლხიდა-ქალხიდა“ უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია, ვიდრე დავითისეული ეტიმოლოგია, თუმცა ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალზე შორს ვართ ამგვარი ახსნის გაზიარებისაგან. საკითხი ეხება თეიმურაზის კვლევა-ძიების კრიტიკულ მეთოდს, რაც გასდევს მას კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის სხვა საკითხებზე მსჯელობისას.

თეიმურაზ ბაგრატიონი ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც აღნიშნავს ანტიკური ხანის მდინარე ფასისის გაიგივებას რიონთან (გვ. 19). საინტერესოა აგრეთვე კოლხეთისა და აფხაზეთის პოლი-

---

[21] საფიქრებელია, რომ დავითი „ქართლის ცხოვრებაში“ ქართლოსის ცოლის მოხსენების ანალოგიით ვარაუდობდა ეგროსის ცოლის საქმიანობასაც ამავე წყაროში. ქართლოსის ცოლი იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ ერთხელ. იხ. „ქართლის ცხოვრება“, გვ. 8, სტრ. 19.

[22] ძველქართულ ტექსტებში “ჭალაკი“ ხშირად კუნძულის მნიშვნელობით გვხვდება ასეა იგი ნახმარი თ. ბაგრატიონთანაც, მაგრამ არის ხოლმე ისეთი შემთხვევაც, როდესაც „ჭალაკი“ „ჭალის“ აღმნიშვნელადაც იხმარება. ამის თაობაზე იხ. ს. ყაუხჩიშვილთან, ქართლის ცხოვრება, გვ. 049.

ტიკური საზღვრის აღნიშვნა. მისი გადმოცემით: „სამზღვარი ზედა კოლხეთისა და აფხაზიისასა ბიჭვინტას“ (გვ. 84) იყო. ამრიგად, აქ პირველად მხსნარია ტერმინი ზედა კოლხეთი, რაც თავისთავად გვავარაუდებინებს ქვედა კოლხეთის არსებობასაც. აქედანვე გამომდინარეობს ორიგინალური დასკვნა კოლხეთისა და აფხაზეთის ქვეყანათა საზღვრის შესახებ, რომლის მსგავსი არც ლეონტი მროველთან და არც ვახუშტისთან ჩვენ არ მოგვეპოვება. მხოლოდ ჯუანშერთან არის ერთგან აღნიშნული, რომ „საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურაჲსა შუა“[23]. ეგრის-წყალი, თეიმურაზის აზრით, მდინარე ენგურია (გვ. 23), ხოლო კლისურაში, ალბათ, კელასური იგულისხმება. ეგრისის წყლის ენგურთან გაიგივების პრიორიტეტიც (თუმცა მიუღებელი) თეიმურაზ ბაგრატიონის დამსახურებას შეადგენს. ჩვენი აზრით, ეგრის — ენგურის ეს იგივეობა, გეოგრაფიულ სიახლოვის გარდა, ემყარება ბგერით მსგავსებასაც, რაც თეიმურაზის ენათმეცნიერულ გონებამახვილობაზე მიუთითებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიკური წყაროების თანახმად, მდინარე ენგურს ხობოსი ეწოდებოდა.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობებში კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის ხაზით, ყველაზე მეტი მასალა აფხაზეთზე მოდის. სამწუხაროდ, ამის მიზეზი ჩვენთვის უცნობია, ავტორი მის შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა შესაძლოა დავუშვათ სამუშაო ჰიპოთეზა, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროთა თაობაზე ჩვენს ავტორს დავიწყებია ცნობების წარმოდგენა. ყოველ შემთხვევაში თეიმურაზი ერთგან შენიშნავს (დასავლეთ საქართველოზე) „აქა მიზეზითა მოკლედ შემეცნებისათვის აღვსწერეთ ესრეთ; ხოლო ადგილსა თვისსა დაიწერების ვრცლად და თვითოეულად“-ო (გვ. 25). სამწუხაროდ, თეიმურაზმა თავისი დაპირება არ შეასრულა. „აფხაზეთი არს — ამბობს თეიმურაზი — სამეფო ერთი ივერიის ქვეყანისა ქვემოსა შინა ივერიასა, რომელსაცა ეგრისი სახელსძევს და მდინარესაცა მისსა ეწოდების ეგრისის მდინარე ანუ ენგური. ეგრისი სახელსძევს აფხაზეთსა ეგროს ქართლოსის ძმის გამო, რომელი იყო ნათესავთ-მთავარი აფხაზთა და მეგრელთა; ხოლო აფხაზ ანუ აფხაზოს ნათესავთმთავარ ექმნა საკუთრად აფხაზთა ერსა, ვინაიდგან აფხაზ იყო გმირი ვინმე შვილის შვილთაგან ეგროსისთა, რომელიცა ნათესავთ-მთავარ ექმნა და ერსა მას და სახელითა მისითა იწოდნეს აფხაზნი. აფხაზისა შთამომავლობა ერთი სახლი, ვითარცა თავადნი მამასახლისობისაგან შეიქმნეს თავ-ერისა, რომელიცა შემდგომად მრავლისა წლისა შეწევნითა ბერძენთათა, ოდესმე აქვნდათ მთავრობა, ესე იგი მმართველობა აფხაზთა ერისა. ხოლო ამა მმართებელთა ფომილიისა ბერძენნი უწოდებდეს აბაზას ძეთა და აფხაზეთსა სახელს დებდეს აბაზიად; მაგრამ ესე არა იყო ჭეშმარიტი სახელისდებაჲ მათი, ნათესავთ — მთავრისა მათისა იყო სახელი აფხაზ და ერისა აფხაზნი, ხოლო ქვეყანისა მათისა აფხაზეთი. ესე არს ჭეშმარიტი სახელისდება მათი, რომელნიცა ვიდრე აქამომდე სახელ სდევსთ“ (გვ. 23).

თეიმურაზის ცნობებში ბევრი რამ არის საგულისხმო და საყურადღებო. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ტერმინი „ქვემო ივერია“, რომელიც დაპირისპირებულია „ზემო ივერიასთან“ ანუ აღმოსავლეთ საქართველოსთან და გულისხმობს ლიხთ-იმერეთს. აქედანვე გამომდინარეობს, რომ თეიმურა-

[23] ქართლის ცხოვრება, გვ. 203, სტრ. 20—21.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ზისათვის ტერმინი „ივერია“ გეოგრაფიული მცენებაა, რომელშიც იგულისხმება არა მარტო ლიხთ-ამერეთი, არამედ ლიხთ-იმერეთიც.

მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის ამ ამონაწერში ყველაზე მეტად ნიშანდობლივია ეთნონიმიკური ტერმინის „აფხაზის“ წარმოშობა. გამომდინარე ვახუშტის ცნობიდან (გვ. 30), იგი შენიშნავს, რომ ეს ტერმინი აფხაზის ანუ აფხაზოსის სახელიდან მომდინარეობს, რომელიც ეგროსის შვილისშვილი ყოფილა და იგი „ნათესავთმთავარ (ეთნარქი, ა. ბ.) ექმნა საკუთრად აფხაზთა ერსა“. თეიმურაზის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჩვენი ავტორი აფხაზებს ქართველთა მონათესავე ხალხად თვლის. მართალია, ტერიტორიულად და პოლიტიკურად შემავალთ ეგრისში, მაგრამ ეთნიკურად დამოუკიდებელ, მონათესავე ხალხად აღიარებს მათ. თეიმურაზ ბაგრატიონის ეს დასკვნა სადღეისოდაც მართებულია და მისი პრიორიტეტი აქ უდავოა.

ვახუშტი — თეიმურაზის ეს ცნობა დიდად განსხვავდება ლეონტი მროველის კონცეფციისაგან, რომლის მიხედვით, მთელი დასავლეთი საქართველო გაერთიანებულია ერთი ეპონიმის — ეგროსის სახელის ქვეშ. მაშასადამე, ლეონტისთან „ეგროსი“ ფართო, ზოგადი მცნების აღმნიშვნელი სახელია, რომელშიც გაერთიანებულია და გაიგივებულია, როგორც საკუთრივ ქართველი, ისე მათი მონათესავე ხალხი. ხოლო, რაც შეეხება ვახუშტი — თეიმურაზის კონცეფციას, მათთან ტერმინი ეგროსი ორი მნიშვნელობით იხმარება: როგორც ზოგადი, ერთობლივი სახელწოდება და კერძო, ვიწრო მნიშვნელობით ნახმარი სახელი, რომელშიც შედიან თანამედროვე დაყოფით: მეგრელები, სვანები, იმერლები, გურულები, რაჭა-ლეჩხუმელები.

გარდა ამისა, თეიმურაზი იქვე აყენებს საკითხს, რომ დასავლეთ საქართველოში არსებული სახელი — აფხაზი შუასაუკუნეების ბერძნებმა გაიაზრეს „აბაზად“ და აბაზიად“, რაც თავისთავად ცხადია, ისტორიულად სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს მით უფრო საკვირველია, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი საკმაოდ რიგიანად იცნობდა ანტიკური ხანის საისტორიო მწერლობას და მას უნდა სცოდნოდა საკუთრივ აფხაზი ტომების: აფშილებისა და აბაზგების არსებობა, რომლისაგანაც წარმოიშვა ტერმინი „აბაზა“ და რომელიც კრებითი, ზოგადი შინაარსის ტერმინი იყო XIX საუკუნემდე მცხოვრებ როგორც ჩერქეზ-ადიღეველთა, ისე აფხაზთა ტომებისა. (მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. „მოამბე“, № 2, 1960, გვ. 157). ამასთან არა ქართული სახელი „აფხაზი“ დაედო საფუძვლად ისტორიულ „აფხაზეთს“, არამედ ამ ხალხის ეთნიკურმა ტერმინმა „აფსუამ“ გზა გაიკვლია მეზობელ ხალხებში ტერმინ „აფხაზის“ სხვადასხვა ვარიაციათა გაჩენისათვის.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, XIX საუკუნის პირველი ნახევრის პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილთა ნაშრომებში კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები არ იყო გამოყოფილი ცალკე საისტორიო დისციპლინად. ამასთან ისიც, რაც საერთოდ აღინიშნა ამ ქვეყნის გარშემო, ძირითადად ვახუშტის შრომიდან მომდინარეობს და ახალი, ე. ი. დიდი გეოგრაფოსისაგან განსხვავებული მასალები მაინც მცირეა. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ხანის მწერლობაში დასმული მთელი რიგი საკითხებისა თავისი შინაარსით გეოგრაფიული ხასიათისა იყო, რაც ჩვენ სრულ უფლებას გვაძ-

ლევს ვილაპარაკოთ ამ ხანაში ისტორიულ-გეოგრაფიულ შეხედულებათა სახვის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში. აქაა წარმოდგენილი ლოკალიზაციის, ტოპონიმიკის, სატომო სახელწოდებათა და ეკონომიკის საკითხების დასმა, რომელთაც მართალია, სრული ზედმიწევნილობისა და სიზუსტის პრეტენზია არ აქვთ, მაგრამ საგულისხმოა ცდა ამ პრობლემათა თავისებური გადაწყვეტისა. იმჟამინდელი ჩვენი ისტორიკოსები: დავითი, ვახტანგი, თეიმურაზი, ძირითადად, „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის შრომებზე იყვნენ აღზრდილნი და ამიტომ მათ თხზულებებს ჩვენ ვერ წავუყენებთ ტრადიციული სქემის შეცვლის მოთხოვნილებას. ცხადია, ქართველ ისტორიკოსთა ამგვარი არჩევანი სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი იყო — ვახუშტი ხომ ისტორიული გეოგრაფიის მწვერვალსა და ფუძემდებელს წარმოადგენდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მნიშვნელობა მათი ნაშრომებისა ისიცაა, რომ ამ ავტორთა გეოგრაფიული მასალები ჩვენი დროისათვის უკვე ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროდ იქცნენ. მაშასადამე, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ უკვე XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული გეოგრაფიის აზროვნების განვითარების შესახებ საქართველოში, რაც ამასთან ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს უთუოდ.

კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში

აღებული ხანის კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიისა თუ სხვა საკითხთა დამუშავება პეტერბურგთან პარალელურად წარმოებდა აგრეთვე საქართველოშიც. აქ უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ნიკო დადიანი (1780-92 — 1834), რომელიც პროფ. შ. მესხიას და აკად. ს. ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით, ერთადერთი ქართველი ისტორიკოსია დასავლეთ საქართველოდან[24]. ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრება“[25] საქართველოს ისტორიის შემოკლებულ მიმოხილვას წარმოადგენს დაწყებულს უძველესი ხანებიდან ვიდრე XIX საუკუნის 20-იან წლებამდე. ეს თხზულება, თავისი შინაარსით, როგორც გაარკვია დოც. შ. ბურჯანაძემ[26], სასწავლო სახელმძღვანელო იყო არაოფიციალურ (სამეგრელოში) სკოლაში.

ნ. დადიანის თხზულება არსებითად ვახუშტის ნაშრომისა და დავით ბატონიშვილის „ნარკუევის“ კომპილაციას წარმოადგენს, თუმცა ავტორი არსად არ მიუთითებს გამოყენებულ წყაროთა შესახებ. ერთგვარ გამონაკლისს შეადგენს ვახუშტის ნაშრომის მოხსენიება უავტოროდ[27]. „ქართველთ ცხოვრება“ სამი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან პირველში წარმოდგენილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1469 წლამდე, მეორეში 1469 წლიდან 1749 წლამდე. ხოლო მესამე, უკანასკნელ ნაწილში, მოთხრობილია

---

[24] შ. მესხია, ისტორიკოსი ნიკო დადიანი, გაზეთი „მებრძოლი“, № 27, 1941, გვ. 3 გიორგი შერვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რედაქციით და ნარკვევით, სოხუმი, 1946, გვ. 37.

[25] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1962.

[26] იქვე, გვ. 5,25.

[27] იქვე, გვ. 141, სტრ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1749 წლიდან 1823 წლამდე. სწორედ, ეს მესამე ნაწილი ავტორს შედგენილი აქვს ვახუშტის თხზულებისაგან დამოუკიდებლად და ორიგინალურ ნაწარმოებად ითვლება.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მეორე წიგნის VII — XIV თავები, სადაც მოცემულია საქართველოს კუთხეების გეოგრაფიული აღწერა და სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური თავგადასავალი. აღსანიშნავია, რომ ნ. დადიანის ამ თავებს ეტყობა ვახუშტის გეოგრაფიის იმ ცნობებით გატაცება, რომლებშიც საუბარია ციხე-სიმაგრეთა და ეკლესია-მონასტერთა შესახებ. ხოლო სხვა დანარჩენი კი, როგორც მაგალითად, ხალხის სამეურნეო და კულტურულ-სამშენებლო საქმიანობა ჩვენ ავტორს არ იზიდავს, ამიტომაც მისი თხრობის საგანს არ შეადგენს.

ნ. დადიანი, ვახუშტისა და თეიმურაზის მსგავსად[28], ლიხთ-იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს კუთხეების აღწერით შემოფარგლავს. აქაა წარმოდგენილი იმერეთის, ოდიშის, აფხაზეთის, ჯიქეთის, სვანეთის, ალანეთისა და გურიის ქვეყანათა მოკლე აღწერილობა ვახუშტის მიხედვით. ცალკეულ მხარეთა დახასიათებისას აღნიშნულია ამ ტერიტორიაზე გამავალ მდინარეთა სახელწოდებებიც, ხაზი ესმება აგრეთვე ეთნონიმიკურ და ტოპონიმიკურ სახელებსაც.

ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში გაურკვეველი იყო მდინარე ეგრისის გაიგივების საკითხი დასავლეთ საქართველოს რომელიმე მდინარესთან. სამწუხაროდ, არც ლეონტი მროველისა და არც ვახუშტის მონაცემებიდან არ ჩანს, თუ რომელი მდინარე იგულისხმება მასში. ვახუშტის განმარტებით, ეგრისის წყალი შავ ზღვას ერთვის ილორთან (გვ. 304). თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, ეგრისის მდინარე თანამედროვე ენგურია; ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილის რუკაზე მისი შესართავი ილორიდან აღმოსავლეთით არის გადმოტანილი გუდავასთან, უკეთ მის დასავლეთით.

ამრიგად, ეგრის წყლის ლოკალიზაციის საკითხი დიდ სიძნელესა და სირთულეს ქმნის. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ნ. დადიანის ცნობა, რომ „ეგრისის მდინარე ეწოდების ღალიძგას“[29]. ჩვენი ავტორის ეს მოსაზრება მე სწორად მიმაჩნია[30]. საქმე ისაა, რომ ვახუშტი, არ აღნიშნავს რა მდინარე ეგრისის ახალ სახელწოდებას, მიუთითებს, რომ ეს მდინარე შეერთვის შავ ზღვას ილორთან. ხოლო ილორთან ახლოს, მის დასავლეთით, როგორც ცნობილია, მართლაც, მიედინება ღალიძგა. ეს გარემოება ჩვენ გვარწმუნებს ნ. დადიანთან ერთად იმაში, რომ დამტკიცებულად მივიღოთ ეგრისის წყლის გაიგივება ღალიძგასთან.

ეთნონიმიკურ სახელწოდებათაგან ნ. დადიანი შედარებით ვრცლად ჩერდება ეგრისსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. გამომდინარე იმ

---

[28] ჩვენი ავტორი თეიმურაზ ბატონაშვილის ნაშრომს არ იცნობდა, რადგან მისი თხზულება გაცილებით ადრე იყო დაწერილი (1819 წლის 20 ივლისს, იხ. ქართველთ ცხოვრება, გვ. 26), ვიდრე პეტერბურგელი ისტორიკოსისა, რომელმაც თავისი ნაშრომი დაასრულა 1843 წლის 22 მაისს (იხ. თეიმურაზი, გვ. 298).

[29] ნიკო დადიანი, გვ. 153, სტრ. 35.

[30] შეადარე: პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 128 და 2 შენ. З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI—XVII в. в), Сухуми, 1959, გვ. 224.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი ფაქტიდან, რომ ოდიში სამეგრელოა, რა სახელიც მას დაერქვა სის გამო, ნ. დადიანი ამ სახელის შემდგომ განვითარებას იძლევა. წყაროთა შეჯერების საფუძველზე (ლ. მროველი, ვახუშტი) მას მიაჩნია, რომ ქალაქ ეგრისის შედარებით ახალი სახელია ბედია, რაც დაკავშირებულია ერისთავ ქუჯისთან. ნ. დადიანის აზრით, ქალაქ ბედიას ეს სახელი ეწოდა იმის გამო, რომ „ქუჯიმ ჰპოვა ბედი მუნ“[32]. მართალია, ბედიის ამგვარი გაგება ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ემსგავსება, ვიდრე ამ სახელწოდების სწორ გაშუქებას, მაგრამ ანგარიშგასაწევია უთუოდ ის გარემოება, რომ ნ. დადიანს აინტერესებდა გეოგრაფიულ სახელთა ახსნა.

სამწუხაროდ, კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის სხვა საკითხები ნ. დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ტოპონიმიკურ სახელწოდებათა შესახებ იმგვარ ცნობების გადმოცემას, როგორიც ეს ვახუშტის „გეოგრაფიაში“ გვხვდება. მაშასადამე, ნ. დადიანის თხზულებაში დაცული კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები ერთი-ორის გამოკლებით, ორიგინალური წარმოშობისა არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ იგი შესანიშნავი მცოდნე იყო ლიხთ-იმერეთის ტერიტორიისა. ამიტომ ნ. დადიანი იძულებული გამხდარა თითქმის ყველაფერში ვახუშტისათვის მიემართა, რასაც იგი თავისი კაპიტალური თხზულების თხრობის მთელ მანძილზე პირნათლად ასრულებდა.

ნ. დადიანისა და სხვა ქართველი ისტორიკოსების მოღვაწეობის ხანა — ესაა ქართული ისტორიოგრაფიის გარიჟრაჟი. ჩვენი ავტორი და ბატონიშვილები, რომელთა მოღვაწეობის შესახებ აქ ვილაპარაკეთ, **ძირითადად იწყებენ საქართველოს ისტორიის საშენი მასალისათვის ნიადაგის მზადებას** და პირველ რიგში ვახუშტი ბაგრატიონის მდიდარი მემკვიდრეობის მეცნიერულ ათვისებას. იმჟამად, ისტორიული მეცნიერება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არ არსებობდა. საქართველოს ისტორიაში მომუშავეთა შორის არავინ არ იყო განათლებითა და სპეციალობით ისტორიკოსი. ისინი ყველანი ისტორიის მოყვარულნი იყვნენ. თუ თეიმურაზ ბატონიშვილი ჩვენ საფუძვლიან მწიგნობრად და მკვლევრად მიგვაჩნია საქართველოს ისტორიისა, ეს გარემოება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ისტორიული მეცნიერება მაღალ დონეზე იდგა.

ჩვენი მიმოხილვიდან ნათელი გახდა, რომ კონკრეტულად აღებული საკითხი — კოლხეთის ისტორიული გეოგრაფია ქართულ ისტორიოგრაფიაში სუსტად იყო შესწავლილი. თითქმის არ შეიმჩნევა ცდა ვახუშტის ტრადიციული სქემის შეცვლისა. ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული საქართველოს კუთხეების გეოგრაფიული აღწერილობა ძალზე ვრცელია და მოიცავს ქართველი ხალხის მთელ სამეურნეო და კულტურულ-სამშენებლო საქმიანობას, მაშინ, როდესაც აღნიშნული ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში მარტოოდენ გეოგრაფიული საზღვრების, მთა-მდინარეებისა და საკულტო ნაგებობათა აღწერასთან გვაქვს საქმე.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ამ დროიდან საქართველოს ისტორიის პრობლემათა და მიზნების წრე საგრძნობლად ფართოვდება: წყაროთა სფეროში

---

[31] ბატონიშვილი ვახუშტი გვ. 294.

[32] ნიკო დადიანი, გვ. 153, სტრ. 26.

თანდათან გზას იკვლევს ანტიკური (ბერძნულ-რომაული) ხანის მწერლობის ცნობები საქართველოს შესახებ, იზრდება დაინტერესება ძველაღმოსავლური, კერძოდ, „ბიბლიური“ ცნობების შესწავლისადმი ქართველ ტომთა (მეშეხი, თაბალი) წარსულზე და სხვა.

ჩვენი აზრით, ქართული ისტორიოგრაფიის ასეთი წარმატება სამმა გარემოებამ განაპირობა: უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში სააზიო საზოგადოების დაარსებამ (1822) ბიძგი მისცა ქართველოლოგიის ჩამოყალიბებას ევროპაში, მეორე, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში მ. ბროსეს (1837) სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებამ და მესამე, ქართველ ნიჭიერ ისტორიკოსთა პლეადამ პ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის, ს. ბარათაშვილის სახით. ისინი აქტიურად შეუდგნენ საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლას. გამოჩენილი ისტორიკოსის პ. იოსელიანის მოღვაწეობა, სამწუხაროდ, ძალზე სუსტად არის გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. პ. იოსელიანი ვახუშტის შემდეგ პირველი ქართველი ისტორიკოსია, რომლის მოღვაწეობა პირდაპირ და უშუალოდ არის დაკავშირებული ისტორიულ გეოგრაფიასთან. ჩვენი ავტორი თითქმის ყველა თავის ნაშრომს „აღწერას“ ეძახის, ხოლო ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ისტორიული გეოგრაფიის საგანს შეადგენს. ჩვენი აზრით, პლატონ იოსელიანი უფრო ისტორიული გეოგრაფიის მკვლევარია, ვიდრე ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის სპეციალისტი. მისი „ისტორიებრი და ღეოღრაფიული აღწერა ძველისა საქართველოჲსა“ ამ დებულების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. პ. იოსელიანის მდიდარ შემოქმედებაში პირველ ადგილზე თავს იჩენს ხოლმე ისტორიული გეოგრაფიის ესა თუ ის საკითხი. მართალია, ვახუშტისგან განსხვავებით, იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს სამეურნეო ხასიათის ცნობებს, მაგრამ მისი ნაშრომები საქართველოს ქალაქთა აღმოცენება-წარმოშობის შესახებ ძალზე საყურადღებო მნიშვნელობის გამოკვლევებია ამ თვალსაზრისით. ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ პ. იოსელიანის შეხედულებანი ქართულ ქალაქთა აღმოცენება-განვითარების თაობაზე ემყარება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ „ქალაქთა თეორიის“ სქემას, რაზეც მიუთითა პროფ. შ. მესხიამ თავის ნაშრომში (Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тбилиси, 1959, გვ. 5).

პ. იოსელიანი საქართველოს ქალაქთა წარმოშობის მიზეზს ზოგჯერ ამ ტერიტორიის ეკონომიკის თავისებურების გათვალისწინებით ხსნის. ასეა წარმოდგენილი, მაგალითად, ქალაქ დუშეთის აღმოცენება, მაგრამ მეურნეობისა და ეკონომიური ცხოვრების განვითარების გზით ქალაქთა აღმოცენება არაა დამახასიათებელი პ. იოსელიანისათვის და იგი ერთგვარი გამონაკლისია ამ საერთო წესიდან. „Города, образовавшиеся сами из себя, вследствие свободного сосредоточения промышленности или развития торговли, были но как редкия исключения. Их население большей частью состояло из иноплеменников: армян, греков и евреев»[33].

მაშასადამე, ქართულ ქალაქთა წარმოშობაში, ავტორის აზრით, უპირატესად გარეშე ეთნიკურ ძალას ჰქონია წამყვანი მნიშვნელობა.

---

[33] Платон Иоселиани, Города, существовавщие и существующие в Грузии. Тифлис, 1850, გვ. 81.

ცხადია, ქართულ ქალაქთა წარმოშობის ამგვარი გზა არც ეროვნული წყაროთა მონაცემებს ემყარება და არც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არის გამართლებული. ჩვენი აზრით, ვაჭართა კლასი (ამასთან გარეშე ეთნიკური ელემენტი) კი არ ქმნის ქალაქს, როგორც სავაჭრო ორგანიზაციის ცენტრს, არამედ პირიქით, ქალაქის არსებობა, აღმოცენებული სოციალ-ეკონომიურ პირობათა საფუძველზე, ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას. როგორც ჩანს, არც პ. იოსელიანი იზიარებდა ბოლომდე ამ გაუმართლებელ თეორიას ქალაქთა წარმოშობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ხსნის მისივე ცნობა, რომ «Города в Грузии возникли преимущественно на главных реках края и на их главных притоках»[34], რომელთაგან «первое место принадлежит Куру (мтквари), главной из всех рек За-Кавказья, долина которой вмещала в себе основное ядро народности и гражданственности картвелей или грузинов, в следствие чего и называлось по преимуществу Картли или Карталиния» (გვ. 76). ამასთან პ. იოსელიანი იმ გარემოებასაც აქცევს ყურადღებას, რომ «происхождение городов грузинских первоначально было чисто воинственное, вынуждаемое необходимостью самосохранения. Все древнейшие города, основание которых приписывается Картлосу и его ближайшим потомкам, были не что иное, как горныя крепости, под сенью которых охотно водворялось и удобно множилось население» (გვ. 79).

ამ თეორიული მსჯელობის შემდეგ პ. იოსელიანი გადადის კონკრეტულ გზებზე საქართველოს ქალაქთა წარმოშობის შესახებ. რაც შეეხება, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს უძველეს ქალაქთა აღმოცენების საკითხს, ჩვენი ავტორის შეხედულება მასზე შემდგომში მდგომარეობს. დასავლეთ საქართველოს სანაპირო ქალაქთა წარმოშობას მიაწერს ბერძენთა კოლონიზაციის ფაქტს, თუმცა კონკრეტული მსჯელობის დროს ავტორი აღნიშნავს ამა თუ იმ ქალაქის ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებასაც. ასეა, მაგალითად, წარმოდგენილი ანაკოფიის (ნიკოფსია), ბათუმის, ბედიის, გონიოს, ზუფუს (ლიხნე), ჭობულეთის, ქუთაისის (ქიტაია), ოზურგეთის, ონის, რიზას, უჩინარის (პეტრა), ფოთის, ხობჩის, ხონის, ციხე-გოჯის, ცხომისის, ჩიხორის, ჩხარის, შორაპნის აღმოცენება[35]. ამ ქალაქებს უპირისპირდება ვარდციხე (როდოპოლისი) და დიოსკურია, რომლებიც ეკონომიურად დაწინაურებული იყვნენ ბერძენთა საკოლონიზაციო ვაჭრობის გამო[36]. სამწუხაროდ, პ. იოსელიანი თავის ნაშრომის ბოლოს ხელმეორედ უბრუნდება კოლხეთის ტერიტორიაზე გაშენებულ ქალაქთა წარმოშობის საკითხს და სავსებით მცდარ დასკვნამდე მიდის «Два особые бассейна рек изливающихся самостоятельно в Черное море, являются не меньше запечатленными развитием туземной гражданственности: это бассейн Чороха (классическаго Акампсиса) и бассейн Риона (классическаго фазиса). Первый, начинающийся в соседстве истоков Кура, представляет последний предел распространения стихии картлосианской во вну-

---

[34] Платон Иоселиани, Города..., 76.

[35] იქვე, გვ. 12—14, 31—32, 34—35, 41, 47—48, 50, 51—52, 59—58, 60, 61—62, 68, 68—69, 70, 70—71, 72, 73, 74, 74—76.

[36] იქვე, გვ. 38—39, 44—45.

тренную глубину Азии. В последнем, который одним из главных своих притоков, известным под именем Квирилы, прикасается к середине дуги, описываемой Куром в Грузии, стихия картлосианская имела главный проводник свой к Черному морю, где, в лице греков, издревле сюда проникших, вступила в первыя сношения с Европою. Как там, так и здесь, в последствии существовало особое царство Имеретинское, к которому причислялись Мингрелия и Гурия. Замечательно, что туземная гражданственность картвелей никогда не укоренялась прочно на берегу моря, всегда оттеснялась от него иноплеменными колониями. Это, без сомнения, было главною причиною, что она, в течение стольких веков, не могла достигнуть живого органического развития. Уединяясь в самой-себе, она умела только громоздить стены и укрепления вокруг своих горных гнезд, которыя успевали изветшать и разрушиться, не начиная жить. Где наиболее приметна была жизнь, там очевидно чуждое влияние, проникавшее сюда частично насильственно, посредством завоеваний, что преимущественно имело место в верховье Кура и в бассейнах Чороха и Кции, частию-же с мирными торговыми караванами, поднимавшимися с моря, по Риону и Квириле, до средняго—Кура» (გვ. 78—79).

პ. იოსელიანის ამ ვრცელი ამონაწერიდან ჩანს, რომ იგი უარყოფდა შავიზღვისპირეთის ქალაქებში ქართული ეთნიკური ელემენტის არსებობას. მას მიაჩნდა, რომ დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომები გარეშე დამპყრობი ძალის მოწოლის გამო ადიოდნენ მთებში და იქ იწყებდნენ ცხოვრებას, რაც მათ საზოგადოებრივ განვითარებაზე შემაფერხებელ გავლენას ახდენდა. თუ სადმე შეიმჩნეოდა სიცოცხლის კვალი, ეს უცხო გავლენის შედეგი იყო, რომელიც აქ მოდიოდა დაპყრობის გზით, ანდა მშვიდობიანი სავაჭრო ურთიერთობის მეოხებით[37].

ცხადია, პ. იოსელიანის მსჯელობას განსაზღვრავენ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიოგრაფიის მიღწევები, რომლის თანახმად, ბერძნული კოლონიზაცია განიხილებოდა როგორც ცალმხრივი პროცესი, მარტოოდენ საბერძნეთის ისტორიის თვალსაზრისით და არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ადგილობრივი მოსახლეობის როლს ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. შავიზღვისპირეთის ხალხთა ეკონომიკა და კულტურა სტატიკურად განიხილებოდა, მათი გარკვეული წარმატება მიეწერებოდა მხოლოდ ბერძენთა მოსვლის ფაქტს. სწორედ ეს ცალმხრივი იდეალისტური თვალსაზრისი ახასიათებს პ. იოსელიანის შეხედულებასაც კოლხეთის ტომთა შესახებ. მართლაც, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს, მაშინ გასაკვირი არაფერი იქნება მასში, რომ პ. იოსელიანის მოსაზრებებს ნიადაგი მოეძებნოს დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნული საკითხის შესწავლის მდგომარეობა სადღეისოდ სავსებით სხვაგვარია. მართალია, კოლხეთის სანაპიროზე ბერძნული ახალშენების დაარსებამ (ფასისი, დიოსკურია, პიტიუნტი, გვიენოსი) ხელი შეუწყო იქ ქალაქთა წარმოქმნის საქმეს, მაგრამ ბერძნულმა ელემენტმა კოლხეთში ვერ

---

[37] სავსებით საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამდა პ. იოსელიანი 1844 წელს გამოქვეყნებულ წერილში, სადაც იგი უარყოფდა ქართველთა შორის ვაჭრობის არსებობას. იხ. Платон Иоселиани, Различные наименования грузинов, ЖМВД, 1844 წ. № VI, გვ. 141—142.

მოახერხა გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება, როგორც ეს გა...ანს ეგონა. კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების დაარსებაში წამყვანი ადგილი ადგილობრივ დასავლურ-ქართულ მოსახლეობას ეჭირა, რომელიც ბერძენთა მოსვლამდე სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების მაღალ დონეზე იდგა[38].

ამრიგად, ვ. იოსელიანმა სწორად შეაფასა რა ბერძენ კოლონისტთა მოსვლის მნიშვნელობა კოლხეთის ქალაქთა აღმოცენების საკითხში, მან ამასთან კატეგორიულად უარყო დასავლურ-ქართულ ტომთა ეკონომიური როლი ამ ქალაქთა წარმოშობის საქმეში. მან ხელაღებით უგულვებელყო ქართველ ტომთა არსებობა შავიზღვისპირეთის სანაპიროზე, რომლებიც მისი აზრით: «никогда не укоренялась прочно на берегу моря, всегда оттеснялась от него иноплеменными колониями».

პ. იოსელიანის ეს დაკვირვება არ ემყარება რამდენადმე მყარ საფუძველს და იგი ძირშივე მცდარია. ჩვეულებრივად, ბერძენთა ახალშენები კოლხეთის სანაპიროზე არსდებოდა ადგილობრივ ეკონომიურ ცენტრებთან (სახელოსნო-სამეწათმოქმედო დაბებთან), რომლებიც სავაჭრო გზებთან იყო დაკავშირებული[39].

პ. იოსელიანმა, როგორც აღინიშნა, სპეციალური მონოგრაფია უძღვნა ისტორიული გეოგრაფიის საკითხს—«Историческое и географическое описание древней Грузии», რომელიც მან გადაუგზავნა პეტერბურგში აკად. მ. ბროსეს და რომელიც ამ უკანასკნელს უნდა გამოეცა აკადემიის ხაზით. სამწუხაროდ, პ. იოსელიანის თხოვნით მ. ბროსემ აღნიშნული ნაშრომი არ გამოაქვეყნა, რადგან ჩვენ ავტორს ამ ნაშრომის ახალი შევსება-შესწორება განუზრახავს. ამჟამად ჩვენ არ ვიცით ამ ხელნაწერის შემდგომი ბედი, დაუბრუნა თუ არა მ. ბროსემ მას ეს გამოკვლევა, თუმცაღა ერთი ეგზემპლარი ამ ნაშრომისა ახლაც დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების აღმოსავლურ ხელნაწერთა სექტორში. ხელნაწერი, შესავლის გარდა, სამი ისტორიულ-გეოგრაფიული თავისაგან შედგება. ესენია: კოლხეთი, იბერია და ალბანეთი. თითოეული თავი რამდენიმე ქვეთავად არის დაყოფილი, რომელთაგან აღსანიშნავია მდინარეების, ქალაქების და საქართველოს სამეფო-სამთავროთა მოკლე აღწერილობა. რაც შეეხება საკუთრივ კოლხეთს, პ. იოსელიანის ხელნაწერში ამ თავს, დანარჩენ თავებთან შედარებით, მეტი ადგილი აქვს დათმობილი.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის შესახებ არსებული ყველა ანტიკური ხანის წყარო ავტორის მიერ მოტანილია ორიგინალიდან, რაც მიუთითებს, ერთი მხრივ, ავტორის ბერძნული და ლათინური ენების ცოდნაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ხანის მწერალთა ცნობების გამოყენებაზე. პ. იოსელიანი ჰომეროსზე მითითებით ჰეროდოტეს ცნობიდან გამომდინარე უარყოფს ეგვიპ-

---

[38] А. А. Иессен, Греческая колонизация Северного Причерноморья, Ленинград, 1947, გვ. 7, 89.

[39] მ. ინაძე, ანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების განვითარების ხასიათის საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", ტ. XXIII, №6, 1959, გვ. 769—770.

ტელთა და კოლხთა ნათესაობას: «еще у Гомера упоминаются колхидяне и... об этом ни у него, ни у других писателей ему современных нет никакого указания»[40].

ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ პ. იოსელიანი ცდება, როდესაც ჰომეროსის პოემებში კოლხთა მოხსენიებაზე მიუთითებს, მაგრამ იგი სავსებით მართალია, „ილიადაში“ დამოწმებულ ალიბეს ქვეყანას და ალიძონებს რომ ქართველ ტომად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ იგი თავის სხვა წერილში ამ თეორიას უარყოფს ენობრივი მასალების მიხედვით. «Впрочем,—აღნიშნავს პლატონი—язык их (ე. ი. კოლხებისა, ა. ბ.), довольно сходный в корнях слов с грузинским, заставляет думать, что они одного происхождения» (იხ. Платон Иоселиани, Исторический взгляд на состояние древней Грузии, ЖМНП, ნაწ. XXXVII, 1843, გვ. 131, შენ. 2).

თავისი მცდარი ცნობიდან გამომდინარე, თითქოს ჰომეროსი იცნობდა კოლხებს, პ. იოსელიანი მის ლოკალიზაციას იძლევა. ნიშანდობლივია, რომ კოლხეთის ადგილმდებარეობის ჩვენებისას პ. იოსელიანი ანტიკური ხანის წყაროებით სარგებლობს და მათი ურთიერთ-შეჯერების საფუძველზე იძლევა ლიხთ-იმერეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრას. ამგვარი მეთოდი კოლხეთის ტერიტორიის მოხაზვისა ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ პირველი შემთხვევაა და იგი პ. იოსელიანის სახელს უკავშირდება. თუ პ. იოსელიანამდე კოლხეთის ისტორიული გეოგრაფია ძირითადად „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის მონაცემებს ემყარებოდა, ამიერიდან დღის წესრიგში ჩადგა ახალი, სავსებით სანდო წყარო, ანტიკური ხანის მწერალთა თხზულებების სახით, ამ ქვეყნის ლოკალიზაციის შესახებ.

ბუნებრივად იბადება კითხვა — ანტიკური ხანის რომელი წყაროები იყო ცნობილი ავტორისათვის? პასუხს ამ კითხვაზე თვით პ. იოსელიანი იძლევა: „Диодор Сицилийский замечает, что египтяне дали начало этому народу у Понта, но когда? об этом умалчивает. По описанию Страбона Колхида прилежит после гениохов к горам Кавказским и мосхийским, граничит с Иверией частию Армении с Каппадокией и с понтом евксинским. По словам Плиния с народами гениохийскими сопредельна Понтийское царство Колхида, касающаяся с одной стороны хребта гор кавказских, с другой евксинскаго понта и меотиды; с третьей каспийскаго или иркан-скаго моря. Река Офис служила границею Колхидского царства от Тианы Каппадокийскаго города и всего царства. По Страбону она начинается от Трапезунта. По Птоломею от истока реки Коракса начинается земля колхов“ (გვ. 25—26).

კოლხეთის ქვეყნის ადგილმდებარეობისა და გავრცელების იოსელიანისეული სქემა, ძირითადად, სწორ წარმოდგენას ჰქმნის. წყაროთა შემოწმებამ ჩვენთვის ცხადი გახადა, რომ პ. იოსელიანის სახით ჩვენ საქმე გვაქვს პირუთვნელ და ობიექტურ მკვლევართან, რომელიც ზოგჯერ უმნიშვნელო ხასიათის შეცდომებს უშვებს. ასეთია, მაგალითად, დიოდორე სიცილიელისათვის იმის მიწერა, რაც სინამდვილეში ჰეროდოტესა და, განსაკუთრებით, სტრაბონს

[40] Платон Иоселиани. Историческое и географическое описание древней Грузии, Июня 25-го дня 1838-го года, г. Тифлис, გვ. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუთვნის: „ეგვიპტელებმა მისცეს დასაწყისი ამ (კოლხებს, ა. ბ.) ხალხს. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზე ჩანს და მიუთითებს ავტორის მიერ წყაროთა სწორ გამოყენებაზე.

საგულისხმოა, რომ პ. იოსელიანი აქვე ჩამოთვლის კოლხეთში მოსახლე ტომებსაც, რაც ეთნიკური გეოგრაფიისათვის ესოდენ საჭიროა. ამ ტომებს შეადგენენ: «Еалы (Ealae) манталы, меланхлены, ескректецы (ecrncticae), колицы (Colicae), кораксы (corax), саны или чаны, вани, аррекхи, епископиты, дондарионы, исседоны, гениохи, лазы, керкеты (cerceti), мосхи, торпеты, агры, тореаты, пессы, ахи или цихи» (გვ. 26).

არ ვიცავთ რა ტომთა თანმიმდევრობით ჩამოთვლის იმ რიგს, როგორც ეს ჩვენ ავტორთან არის დაცული, უნდა შევნიშნოთ, რომ მის მიერ დასახელებული ოთხი ტომი „«еалы«, «манталы«, »вани« და „пессы«, წყაროებში არ გვხვდება. „еалы"-ს მაგიერ არის »эгиалы»,—თუმცა ხალხი კი არა, არამედ ადგილი პაფლაგონიაში"[41] და მაშასადამე, არავითარი კავშირი კოლხეთში მცხოვრებ ტომთან მას არ აქვს. თუ „манталы" კორექტურული შეცდომაა „манралы"-სა, რომელიც ანტიკურ წყაროებში მხოლოდ პტოლემაიოსთან იხსენიება[42], მაშინ პ. იოსელიანის მოსაზრება სწორია, რომ ისინი კოლხეთში მოსახლე ტომია. „Вани"-სა და «пессы"-ს შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით.[43] რაც შეეხება მელანხლენებს, ისინი სკვითური ტომია, რუსეთში მცხოვრები. მართალია, аррекхи, епагериты, дандарианы, исседоны, торпеты, агры და тореаты, ე. ი. დასახელებული 7 ტომი ანტიკურ წყაროებში ხშირად იხსენიებიან, მაგრამ მათ არც ტერიტორიულად აქვთ რაიმე საერთო კოლხეთთან და არც ეთნიკურად ენათესავებიან ისინი დასავლურ-ქართული წარმოშობის ხალხს.

ცხადია, სხვა საკითხია დანარჩენი 8 ტომის (ეკრეკტეცების, კოლების, სანების ანუ ჭანების, ჰენიოხების, ლაზების, კერკეტების, მოსხების, აქების ანუ ზიხების) ეთნიკური და გეოგრაფიული კავშირი კოლხეთთან. აქედან თუ გამოვრიცხავთ კერკეტებსა და ზიქებს, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიური ანუ ჩერქეზულ-ადიღეული წარმოშობის ხალხია, მაშინ დაგვრჩება მხოლოდ 6 ტომი, რომელთა ეთნიკური ვინაობა და გეოგრაფიული მდებარეობა უშუალო კავშირშია კოლხეთთან.

ამრიგად, აქ ჩამოთვლილი 21 სატომო სახელწოდებიდან მხოლოდ 6 ეთნონიმიკური სახელი უკავშირდება ქართულ სამყაროს, 2 ტომი ქართველთა მონათესავე და ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მოსახლე ჩანს ვახუშტის მიხედვით[44], ხოლო დანარჩენ 12 ეთნოსს არა თუ ეთნიკური ნიშნებით, არამედ გეოგრაფიულიდაც კოლხეთთან საერთო არაფერი აქვთ.

---

[41] ВДИ, № 1, 1848, გვ. 303. ამ ადგილს იხსენიებს ლუკიანე სამოსატელი.

[42] ВДИ, № 2, 1948 წ., გვ. 251. შდრ. ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32, თბილისი, 1955, გვ. 45, 57.

[43] შესაძლოა ვინმემ იფიქროს, თითქოს ავტორს ვანის სახელწოდების ქვეშ დასავლეთ საქართველოს დაბა ვანი ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ ჩვენ ეს გარემოება გამორიცხულად მიგვაჩნია, რადგან პ. იოსელიანის „Города"-ში აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტი არც კი იხსენიება.

[44] ბატონიშვილი ვახუშტი. გვ. 314. პ. იოსელიანს ჯიქეთი არიანეს ლაზიკად მიაჩნია იხ. Платон Иоселиани, Описание города Душета... გვ. 3.

პ. იოსელიანს, მისი წინარე ხანის ქართველ ისტორიკოსთა მსგავსად, ეხება ტერესებს ეთნონიმიკური ტერმინის „კოლხეთის“ გაჩენისა და სადაურობის საკითხი, თუმცა ამთავითვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ მისი მოსაზრება ამ მხრივ არაფრით არ გამოირჩევა სხვათაგან (დავით-თეიმურაზის კონცეფციისაგან) და ამდენად მისაღები არაა. ამ საკითხს იგი თავის ორ ნაშრომში იხილავს, კერძოდ, ზემოაღნიშნულ „Описание“-ში და «Различныя наименования грузинов“. პირველში ავტორი იმ აზრს ავითარებს, რომ »этимологическое производство названия Колхида из грузинскаго слова ხალხი халхи, означающаго народ, толпу народа произвольно. Название это я полагаю, произошло от птицы фазан, с котораго аргонавты в первый раз познакомили Грецию и Европу. Ибо грузинский ხოხობი хохоби (фазан) очень близко к слову Колхи в устах греков“ (გვ. 28, შენ. 1).

სამწუხაროდ, პ. იოსელიანი არ მიუთითებს იმ ავტორს, რომელსაც ეჩვენებოდა „ხალხისაგან“ ეთნონიმიკური ტერმინის „კოლხის“ წარმოება. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია გამოჩენილი ფრანგი გეოგრაფოსი ვივიენ სენ-მარტენი (1802—1897), რომელსაც აქვს გამოთქმული ეს მოსაზრება და რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიაც. სწორედ მას აქვს აღნიშნული, რომ ტერმინი „კოლხეთი“ არსებითი სახელის „ხალხ“-ისაგან“ არის წარმოშობილი (იხ. ალექსანდრე ჭყონია, ისტორიული ნარკვევი ანუ ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის უძველეს დროდამ ბაგრატიონთა გამეფებამდე, ტფილისი, 1890, გვ. 128). ვ. სენ-მარტენის ამ მოსაზრებას ქართველი ისტორიკოსი უპირისპირებს „ხოხობს“, რომელმაც, მისი აზრით, მისცა დასაბამი ტერმინ „კოლხეთს“. ცხადია, როგორც ხალხისაგან, ისე ხოხობისაგან ნაწარმოები ეტიმოლოგია „კოლხეთისა“ ძალზე გულუბრყვილო და არაფრის მთქმელია. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ისტორიკოსმა თავის საყურადღებო წერილში „Различныя наименования грузинов“ ხელახლა აღძრა ეს საკითხი და „კოლხეთის« სახელწოდების წარმოშობის ახალი ვარიანტი შემოგვთავაზა. ამიერიდან, მისი აზრით, „კოლხეთის“ საფუძველი არის სახელი „ქალაქისა“. იგი წერს: Наименование «Колхида», означавшее у греков страну одишцев, лазов, мингрельцев и частию имеретинцов, могло произойти или от слова «халхи», означающаго по-грузински „народ“, или от «хохоби«, названия птицы «фазана», Так действительно и объясняют его некоторые. Впрочем, едва-ли не справедливее находить этимологическое начало этому имени в грузинском слове «калаки», которое означает „город“. Название „калаки“ принимается доныне у грузин в той же силе, в какой употреблялиеь Πολις у афинян, Urbs у всемирных римлян, Истамбул у новейщих греков и турок: оно означает в Грузии по-преимуществу «Город Тифлис» (Тбилис-калаки). Гортанная Грузинская буква «кан» два раза повторяющаяся в слове «калаки» отличная от греческаго «к» часто переменялась в устах греков на Х; а эта последняя в устах грузинов большею частию принимала гортанный звук «кан»; например, в словах: хартия—карта; Архиерей—Аркиери; хроникон—короникон; хламинда—кламинда; корив—хореб; и т. п.“.[45]

[45] Платон Иоселиани, Различныя наименования грузинов. Журнал министерства внутренних дел., 1844 წ., № VI, გვ. 135.

ეთნონიმიკური „კოლხეთის“ ტერმინ „ქალაქიდან“ წარმოშობილი ლიანისეული ეტიმოლოგია, რომელიც მანამდე გამოთქმული აქვს ფრედერიკ დიუბუა დე-მონპერეს (იხ. მისი Vogage ... ტ. III, პარიზი, 1839 წ., გვ. 60—61), ისევე გულუბრყვილოა, როგორც ამავე ავტორის ადრინდელი შეხედულება. მაშასადამე, ავტორის აზრით, სიტყვა „ქალაქს“ დასაბამი უნდა დაედო „კოლხეთისათვის“, რომელიც ბერძნებისათვის ნიშნავდა ოდიშელთა, ლაზთა და მეგრელთა ქვეყანას. ამ თვალსაზრისის დასამტკიცებლად მას მოჰყავს შემდეგი საბუთი: ქართული ასო „ქანი“, რომელიც ორჯერ მეორდება სიტყვაში „ქალაქი“, ბერძნულ გამოთქმაში ხშირად ჟღერდა, როგორც X, თავის მხრივ კი ბერძნული X — ქართულში იცვლებოდა ხორხისმიერი ბგერა „ქანით“. მაგალითად, ხრონიკონი — ქრონიკონი, ხლამინდა, — ქლამინდა და სხვ. ამ აზრით, „ქალაქის“ ფონეტიკური სახეცვლილებების შემდეგ უნდა მიგვეღო kolxoi კი არა, როგორც ეს ბერძნებმა გაიაზრეს, არამედ ქალ-ქი, ქოლ-ქი“—კოლხიდა, რაც, ცხადია, აბსოლუტური გაუგებრობაა. ხოლო, რაც შეეხება საკუთრივ ტერმინ „ქალაქის“ ეტიმოლოგიას, იგი „გარშემორტყმულს“ „შემოღობილს“ აღნიშნავდა[46]. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული სიტყვა ასურული თუ სირიული ძირისა უნდა იყოს[47]. ჩვენ ნიშანდობლივად მიგვაჩნია ტერმინ „ქალაქის“ სემიტური (ასურული) წარმომავლობა, რაკი ძველ ასურულში (ასურულ-ბაბილონური) დამოწმებულია სიტყვა „ kalakku “, რაც გალავანს აღნიშნავს (Muss-Arnolt. Assyrisch-englisch-deutschen Handwörtenbuch. band I, Berlin, 1905, 385). სამწუხაროდ, აკად. ი. ჯავახიშვილმა თავისი ძველი შეხედულება ახალ ნაშრომში არ გაიზიარა და ადრე სწორად მიღებული მოსაზრება კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა. ასევე იქცევა პროფ. შ. მესხიაც, რომელიც ივ. ჯავახიშვილის აზრს იმეორებს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა ქართველი ისტორიკოსის აზრით, ვინც კი შეხებია „კოლხეთი“ ტერმინის ეტიმოლოგიის საკითხს, უნებლიედ მისულა მოსაზრებამდე მისი ადგილობრივი წარმოშობის შესახებ. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ამ სახელწოდების ახსნის ეს გზა, სწორი არ იყო. თუმცა ისტორიული თვალსაზრისით მისაღებად მიგვაჩნია „კოლხი“ სახელის ადგილობრივ ქართულ ნიადაგზე ახსნის ცდა[48].

საერთოდ, ვაჯამებთ რა პ. იოსელიანის კონცეფციის განხილვას კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის ხაზით, უნდა აღვნიშნოთ ის დიდი განსხვავება, რითაც იგი გამოირჩევა მისი წინარე ხანის ისტორიკოსთაგან. ესაა პირველ რიგ-

---

[46] И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, ტ. 1, С.—Петербург, 1905, გვ. 40.

[47] იქვე,—ქალაქის ეტიმოლოგიაზე გარდა აღნიშნულისა იხილე: Н. Марр, Батум, Ардаган, Карс—исторический узел межнациональных отношений Кавказа, Петроград 1922, გვ. 19—20, მ ი ს ი ვ ე. Ани, Книжная история города и раскопки на месте городища. Ленинград—Москва, 1934, გვ. X, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1 მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში თბილისი, 1946, გვ. 32—33; Ш. А. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., Тбилиси 1959, გვ. 23—24.

[48] შდრ. ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათუმი, 1959, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში პირველწყაროთა და ლიტერატურის გამოყენების საკითხი. ჩვენი ავტორი უკვე აღარ მისდევს ვახუშტის ტრადიციულ სქემას კოლხეთის შესახებ. მის ნაწარმოებებში თავს იყრის ბერძნულ-რომაული ხანის ისტორიკოს-გეოგრაფოსთა წყაროების გამოყენება ორიგინალიდან და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზეა მიღებული ესა თუ ის დასკვნა (თუნდაც მცდარი). ამასთან პ. იოსელიანი არ იფარგლება მარტოოდენ კოლხეთის ცალკეულ პუნქტთა ლოკალიზაციით, მისი კვლევა-ძიების სფეროში შედის ეკონომიური გეოგრაფიის საკითხები, როგორც მაგალითად, დასავლეთ-საქართველოს ქალაქთა წარმოშობა-განვითარება, მათი ურთიერთობა ბერძნულ კოლონიებთან და სხვ. მართალია, პ. იოსელიანის შეხედულებებში გაზიარებულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ევროპელ ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა თვალსაზრისი, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში მათ იდეათა ბრმა მიბაძვით არ კმაყოფილდება. ეს გარემოება კი თავისთავად მიუთითებს პ. იოსელიანის მაღალ ნიჭსა და რაც მთავარია იმაზე, რომ იგი მისი თანადროული ისტორიოგრაფიის სიმაღლეზე იდგა. ესა და ჩვენს მიერ სხვაგან აღნიშნული ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ პ. იოსელიანი არაა ფეოდალურ-თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი საქართველოში, არამედ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დამწყებთაგანია ჩვენს სინამდვილეში.

ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ КОЛХИДЫ В ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА

А. А. БАРАМИДЗЕ

Резюме

В работе привлечены и критически рассмотрены все материалы грузинских историков первой половины XIX века (Давид, Вахтанг, Теймураз Багратиони, Нико Дадиани, Платон Иоселиани), относительно Колхиды заключается и в том, что привлекаемые им материалы в наши ка исторической географии Грузии Вахушти Багратиони (XVIII в.), мы однако, отмечаем и определенную разницу отличающую их от Вахушти: изучение этнонимики Колхиды, вопрос происхождения грузинских т. е. западно-грузинских городов и т. д.

Значение трудов грузинских историков по исторической географии Колхиды заключается и в том, что привлекаемые им материалы в наши дни стали уже историко-географическим источником. Это обстоятельство дает основание нам судить об уровне, на котором стояли грузинские историки в то время в изучении исторической географии в целом.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1878 წლის ქიზიყის გლეხთა აჯანყების საკითხისათვის

ილ. ავაზაშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა)

1878 წლის 17—18 ივნისს დაიწყო ქიზიყის 8 სოფლის გლეხთა გამოსვლა, რომელიც ადგილობრივ ხასიათს ატარებდა და გამოწვეული იყო გლეხთა მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობებით, განსაკუთრებით კი იმ მდგომარეობით, რომელიც აღმოცენდა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

იმ დროს, როდესაც საქართველოს წამყვან მხარეებში დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება, კახეთის მდგომარეობა ამ მხრივ თავისებური იყო: იგი დაშორებული იყო ახლად გაყვანილ რკინიგზას, აგრეთვე მოუწესრიგებელი იყო საფოსტო გზებიც. მთელ კახეთსა და ქიზიყში არ იყო არც ერთი მოზრდილი წარმოება. არსებული სახელოსნოები ისე მცირედნი იყვნენ, რომ ბევრ მათგანს, უეჭველად, ოჯახური ხასიათი ჰქონდა, ე. ი. წარმოება მიჰყავდათ ოჯახის წევრთა შრომით. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას არყის გამომხდელ საწარმოთა შესახებ, რადგანაც თითოეული ასეთი „საწარმოს“ ნაწარმი თავისი ღირებულებით არ აღემატებოდა 250 მანეთს. ცხადია, რომ არსებითად აქ იგულისხმება არა ნამდვილი წარმოება, არამედ ოჯახებში დადგმული არყის გამომხდელი ხელსაწყოები. სხვა საწარმოებში, მათი ნაწარმის მცირე ღირებულების მიხედვით, დაქირავებული მუშა-ხელი მეტად მცირე უნდა ყოფილიყო. ამგვარად, როგორც ქიზიყი, ისე საერთოდ კახეთი წარმოადგენდა წმინდა აგრარულ კუთხეს, სადაც ბატონობდნენ ჩარჩ-ვაჭრები და კულაკები, რომლებიც ღარიბი მოსახლეობის მოტყუებისა და ექსპლოატაციის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ეს განსაკუთრებით სიღნაღის მაზრაში აღინიშნებოდა.

1877 წლის 18 აპრილს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რასაც ქართველი ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ის გლეხობა, რომელიც დიდად აღშფოთებული იყო 1878 წელს კახეთ-ქიზიყის აჯანყების წინა წელს მილიციელთა გაწვევის დროს მომხდარი მრავალი ბოროტმოქმედებით, გაიძახოდა: თუ საჭირო იქნება, ჩვენ ყველანი გავალთ ომშიო (იგულისხმებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ).

ომის დაწყებისთანავე, 1877 წლის 19 აპრილს, კახეთის თავად-აზნაურობამ და გლეხობამ თავი მოიყარა სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხეში, სადაც 24 აპრილს გამოიტნეს თავადაზნაურობის ბაირაღი და ხალხის დასწრებით პარაკლისი გადაიხადეს. სიტყვა წარმოთქვა ბლაღოჩინმა მღვდელმა სამსონ კოპაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „დღეს რუსეთს ებრძვის ის მტერი, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც სწოვდა საქართველოს სისხლსა. ეს ის მტერია, რომელიც სთესავდა ღვარძლს შვილსა და მამის შუა, ძმებსა და მეზობლებს შუა, მეფეთა და ყმათა შუა... ეს ის მტერია, რომლის ხელში დღესაც კვნესის ძველი ერუშეთი, აჭარა თავისი ქართველებით". თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილსაც თავის სიტყვაში უთქვამს: ჩვენ დღეს გავდივართ ოსმალეთთან საომრად. ჩვენი ძმები „ქართველები დღესაც იმათ ხელში, იმათი კირთების ქვეშ იმყოფებიან. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქართველი კაცი მათი დახსნისათვის თავს შესწირავს და არ დაიშურებს თავის სისხლის დანთხევას"[1].

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ამიერკავკასიაში ბრძოლის მთელი სიმძიმე საქართველოს დაატყდა თავს, რადგან ოსმალეთი საქართველოს მოსაზღვრე იყო. ქართველები გამოჰყავდათ რუსეთის მოქმედი არმიის დასახმარებლად. კერძოდ, კახეთ-ქიზიყის გლეხობას დავალებული ჰქონდა, გაემაგრებინა დაღესტნის საზღვარი, რომელსაც ხშირად არღვევდნენ ლეკები კახეთის მოსახლეობის აწიოკებისა და მათი ქონების გატაცების მიზნით.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს აჯანყდა ჩეჩნეთისა და დაღესტნის მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსეთის ჯარმა ჩააქრო ეს აჯანყება, რასაც მოჰყვა ლეკების დიდი სათარეშო რაზმების გადმოსვლა კახეთ-ქიზიყზე. 1877 წლის ზაფხულში ლეკებმა (განსაკუთრებით დიდოელებმა) რამდენიმე თავდასხმა მოაწყეს კახეთზე (სოფ. ენისელზე, საბუეზე და სხვ.). ამავე წლის სექტემბერში ლეკები თავს დაესხნენ ქიზიყსაც, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას. ხალხის უმრავლესობა გაიხიზნა. მათ მიატოვეს სახლ-კარი, საქონელი და ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ.

კახეთზე ლეკების თავდასხმების მიზეზი შემდეგი იყო: დაღესტანი მთიანი, მწირი მხარეა. ლეკებს არ მოსდიოდათ საკმაო ჰირნახული. მართალია, მათში ერთგვარად განვითარებული იყო ხელოსნობა, მაგალითად, განთქმული იყო ლეკური ნაბდები, ლეკური იარაღი (ხმალ-ხანჯალი და სხვ.), მაგრამ, რადგანაც საერთოდ ა/კავკასიის ქვეყნების ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო მოსახლეობის მყიდველობითი უნარი ყველგან ძალზე დაქვეითებული იყო, ხელოსნობა მწირ დაღესტანში გარეთ გასატანი ნაწარმის დასამზადებლად ვერ პოულობდა გასაქანს.

კახეთის დაბლობი კი მდიდარი იყო როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების, აგრეთვე მეცხოველეობის მხრივაც. ამავე დროს იგი ახლო იყო დაღესტანთან. ზეპირ გადმოცემათა თანახმად, ლეკები ღამით ჩამოდიოდნენ, იცდიდნენ სოფლის ახლო ტყეებში და როცა დილით მამაკაცები მინდვრად სამუშაოზე გადიოდნენ, დაეცემოდნენ სოფლებს, არბევდნენ მოსახლეობის სახლ-კარს, იტაცებდნენ ქონებას, მიჰყავდათ შინაური პირუტყვი — ძროხა, ცხვარი, ცხენი და სხვა... ხშირი იყო შემთხვევები ადამიანთა მოტაცებისაც. ლეკების თარეში კახეთზე ძველთაგანვე აღინიშნებოდა, ასე იყო ძველად და ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში და ნაწილობრივ შემდეგაც.

1830 წლიდან რუსეთის ჯარის დასახმარებლად კახეთში დაწესდა ქართული მხედრობა, სახელწოდებით — ქართული ქვეითი მილიცია. რუსულა-

[1] გაზეთი „ივერია", 1877 წ., № 11, გვ. 3.

დაც მას „ჯარი“ (Джар) ეწოდებოდა. ის შესდგებოდა 500 კაცისაგან. მისი ულის უფროსები (სოტნიკები) და ურიადნიკები იყვნენ თავადები და აზნაურები. მილიციელად გაწვეულს შეეძლო თავის მაგივრად დაექირავებინა სხვა კაცი („ბადალი“) და თვითონ კი განთავისუფლებულიყო.

მილიციაში და საყარაულოდ ბადლებად მიდიოდნენ, რასაკვირველია, ღარიბი გლეხები, საერთოდ კი მილიციის გაწვევა იწვევდა მუშა-ხელის ნაკლებობას, რადგან მილიციას ლეკების საწინააღმდეგო ხაზზე ყოფნა უხდებოდა უმთავრესად გაზაფხულ-შემოდგომაზე, ე. ი. სწორედ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხანაში. მუშა-ხელი სცდებოდა სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე უფრო საჭირო დროს და ეს გარემოება ძალზე აუარესებდა გლეხების მდგომარეობას.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მანამდე, სანამ რუსის ჯარი ქართველების მონაწილეობით ებრძოდა დაღისტნისა და ჩეჩნეთის იმამ-შამილს. შამილის შეპყრობისა და რუსეთის მიერ დაღესტნისა და ჩეჩნეთის დამორჩილების შემდეგ კახეთიდან მილიციის გაყვანის საჭიროება უკვე აღარ იყო; კახეთს იცავდა რუსის ჯარი, დაყენებული დედოფლის წყაროსა (ეხლანდელ წითელწყაროსა) და ყვარელში.

ამ დროს, 1877 წ. დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი. მალე რუსეთის წინააღმდეგ ამოძრავდა დაღესტნისა და ჩეჩნეთის მოსახლეობის თვალსაჩინო ნაწილი. საჭირო იყო კახეთის დაცვის ძალზე გაძლიერება და ამ მიზნით კახეთიდან არსებული წესის მიხედვით კვლავ გაწვეულ იქნა მილიცია, რომელიც დაემორჩილა ე. წ. ალაზნის ჯარების უფროსს გენ. თავ. იოსებ ორბელიანს (იგულისხმება რუსეთის რეგულარული ჯარი). კვლავ დაიწყო მილიციელების ან მათი ბადლების გაყვანის დროს ქრთამების აღება, როგორც სოფლის მოხელეების, ისე მილიციის უფროსებად დანიშნულ პირთა მიერ (მილიციაში უფროსებად და ოფიცრებად ქართველ თავადაზნაურთ ნიშნავდნენ). მათს ბოროტმოქმედებას მოთმინებიდან გამოჰყავდა ხალხი. მაშინდელი ქართული პრესა სავსეა კორესპონდენციებით, რომელშიც აღწერილია მილიციის გაწვევის გამო ხალხის მეტად მძიმე მდგომარეობა. ასე, მაგალითად, „დროების“ 1878 წლის 14 იანვრის ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ქიზიყიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „ლეკები, რომ ჩვენ დაგვესივნენ, ხომ მილიცია გაგზავნეს ალაზნისაკენ; ის მილიცია აქამდისინ იქა დგას; ყველა მილიციონერს ეძლევა სახელმწიფო ფული 15 მანეთი, ეს არის იმისი ხარჯიცა, შენახვაც, ჩაცმაც და დახურვაც. თურმე ზოგიერთმა ახლად დანიშნულმა კამანდირებმა ინებეს აქაც მოხერხება და საკუთარი ჯიბეების გატენა; თითო მილიციონერს ურიგებდნენ თვეში სამ მანეთს, იმასაც ისე ხან 30 კაპ., ხან 15-ს, ხან 20-ს და სხვ. უკლებდნენ და სრულად 3 მანეთსაც არ აძლევდნენ“[2].::

სიღნაღიდან 1878 წლის 30 მაისს გამოგზავნილ წერილში, რომელიც „დროების“ იმავე წლის 3 ივნისის ნომერში დაიბეჭდა, ლაპარაკია იმაზე, თუ მევახშეები მილიციასა და ქვეყნის დაცვის საქმეს როგორ გაურბოდნენ ფულის გადახდითა და ქრთამით, და გაჭირვებაში მყოფ გლეხებს სულს აცლიდ-

---

[2] გაზ. „დროება“, 1878, № 9.

ნენ. იქვე ვკითხულობთ, რომ „ბრძანება მოვიდა, სამილიციოდ ხალხსა ყრიდენ, ამორჩევა უნდა წილის ყრით მოხდეს: წილის ყრასაც თავისი გაიძვერა სორო აქვს...

აქამდისაც უეზდი მონა იყო თავისი უმეცრებისა და გაბერილი მედუქნისა და მევექსილისა — ეხლაც მისი უჯამაგირო მოჯამაგირეა ვენახში და სახნავ-სათესში. ხომ მოგეხსენებათ მევექსილის სინდისი, მისი სინდისიანი გლეხკაცთან ნათლიაობა, სანამ საცოდავს ჰქონდა რამე, მისი ღალა და მოსავალი წვრილ-წვრილად წუწნა: ცხვრიდან (გლეხი) ყველს იღებდა, მაშინვე მევექსილე ნათლია წაიღებდა; მატყლის ფულს აიღებდა, ისევ ის მევექსილე — ნათლია ჯიბეში ბეჯითად ჩაითვლიდა; ვენახში ღვინოს დააყენებდა, პირველად მევექსილე ნათლია მიითვრებოდა...

წურბელა ნათლიამ წუწნა, წუწნა, რომ სულ გამოწუწნა, ასე, რომ გლეხს ღალა არაფერი რჩებოდა, მაშინ ნათლია „შინაურულად, ემე ნათლიაობა გაუწია“: აიღო და ცხვარიც ჩამოართვა, ვენახიც ტორგით გაუყიდა და სახლიც საჩარდახეთ ვენახში ჩაიტანა. გლეხი, ნათლიამ ტიტველი გაუშვა. ამას უხარია, ფუფუნებს — ოხერი ცხოვრება ვის არ გაუხარდება: ფეხშიშველა მეწვრილმანემ, რომელიც მარტო გამხმარ პურზე და ყველზე თავს იხრჩობდა, გლეხის — ნათლისმამისაგან სახლიც გაიკეთა, კარგი ცხენიც დაიბა, ვერცხლის ჭამარი შემოირტყა, რუსული ქუდიც დაიხურა... ერთი სიტყვით, გამდიდრდა, აივსო, გაძღა...

„გლეხი კი ნაცარივით გაჭრა, აღარც სახლი აქვს თავი შეაფაროს, აღარც სამუშაო პირუტყვი ყავს, აღარც რა ზედ აცვია და ნახევარზე მშიერი გდია. დღეს — დღედღეურად, როგორც არის, მიათრევს თავის სიცოცხლეს; ჯერ არავის არ აწუხებს. სახელმწიფო ხარჯს კი ცოტა არა ვეღარ აძლევს; ვერც ჩაფარი და ვერც გზირი სახელმწიფო ფულს ვერ ართმევენ — მარტო ძვლები შერჩენია კაცს, რას წაართმევს“[3].

1877 — 1878 წლებში კახეთში ლეკიანობის წინააღმდეგ ინიშნებოდნენ ცალკე პირნი უხელფასოდ (თავადი ან აზნაური უნდა ყოფილიყო), რომელთა მოვალეობას შეადგენდა ლეკების დაცემის დროს ხალხის შეკრება და დახვედრა, ღამე გზების შეკვრა, ყარაულობა, მდევრად გასვლა და სხვ., ასეთ სასოფლო უფროსებს („სელსკი ნაჩალნიკებს“) ჩააბარეს ოც-ოცი სოფელი. დიდი სოფლებიდან მათ გამოიყვანეს ორი ცხენოსანი და ორი ქვეითი. პატარა სოფლებიდან კი — ერთი ცხენოსანი და ერთი ქვეითი. ეს უფროსები ხალხს ტყავს აძრობდნენ. თუ ვინმეს გაუშვებდნენ სახლში, მას ჭირა უნდა ეხადა. ასე, რომ ეს უფასო უფროსები, როგორც მაშინ წერდნენ, მძიმე ტვირთად დააწვნენ ღარიბ გლეხობას.

ომიანობის დროს და, განსაკუთრებით, სამხედრო საქმესთან დაკავშირებით ამ უფროსებს ემორჩილებოდნენ ნაცვალი, გზირი და სოფლის სხვა მოხელეები. ამ წელსაც, როგორც შარშან, წერდა „ივერია“, ლეკთა არეულობის გამო დაუწესებიათ სასოფლო უფროსები, მთავრობის მიერ გამოყოფილ „სელსკი ნაჩალნიკების“ მოვალეობას შეადგენდა ძველებურადვე საჭირო შემთხვევაში შეკრებილი ხალხით დახვედროდნენ მტერს (ლეკებს). სასოფლო უფროსებმა (სელსკი ნაჩალნიკებმა) ეს ამბავი გამოიყენეს პირადი გამდიდრების მიზნით. მათ დიდი ძალი ხალხი გააცდინეს სოფლის მეურნეობიდან და

[3] გაზეთი „დროება“, 1878. № 107, გვ. 3.

დაიწყეს მათი ამუშავება თავიანთ გუთხებსა და ვენახებში. ერთ დროს ეს ქვითილი საქმე დღეს „სელსკი ნაჩალნიკებმა“ ხალხის საბოროტოდ გამოიყენეს. ხალხი უამისოდაც ილაჯ-გაწყვეტილია ახლა ამ სოფლის უფროსების ბრძანებებით იტანჯებოდა. ეს კეთილად განზრახული საქმე, რომ ხალხის ჭირად გამხდარა, ამისი მიზეზი ის იყო, რომ კახეთის მმართველთ რიგიანად არ მოუწყვიათ საქმე, უწინ სარგებლობა მოჰქონდა ცოტად თუ ბევრად, ახლა კი მათ სამტროდ გადაქცეულა, შეუშლიათ მისი აზრი, მისი მარტივი მოწყობილება და „სელსკი ნაჩალნიკების“ კერძად გაუხდიათ ღარიბი გლეხობა.

„მარტო ერთი სახელი“ სელსკი ნაჩალნიკისა“ არ იხსნის კახეთს შიშისაგან. თუ ისე დარჩება, როგორც დღეს არის, გლეხს ურჩევნია ერთხელ წახდეს ლეკისაგან, ვიდრე ბევრჯერ „სელსკი ნაჩალნიკისაგან“[4].

საერთოდ, მილიციაში გაწვევის გამო ბოროტმოქმედებას ისე ხშირად ჰქონდა ადგილი, რომ მაშინდელი ქართული პრესა სავსეა გლეხთა ამ მძიმე მდგომარეობის ამსახველი წერილებით, გაზ. „ივერია“ 1877 წ. №19 წერდა შემდეგს: „ნეტავი როდის ეღირსება ჩვენს ბეჩავს გლეხობას გაგება იმისთანა საქმეებსა, როგორიც ის, რომ სად დაიწყება ან სად გათავდება მათზე (გლეხებზედ) უფლება ისეთის ხალხისა, როგორიც მამასახლისებისა, გზირებისა, ჩაფრებისა და სხვ“.

კორესპონდენტი ეხება თელავის მაზრის ერთი სოფლის მამასახლისის მოქმედებას და წერს: „თელავის მაზრის ერთ სოფელში იმისთანა ხვთის რისხვა მამასახლისი არის თურმე, რომ როდესაც ჯარის შესაკრეფად ხალხსა თხოულობს მთავრობა, ეს „კეთილსინდისიანი“ მამასახლისი ჰგზავნის მომეტებულ ნაწილად იმ კაცებს, რომლების ჯავრიც სჭირს“.

სახელმწიფო მოხელეების მიერ გადასახადების აკრეფის დროს მიღებული იყო ხალხის დაბეგვრა, ე. ი. თუ გლეხს საშუალება არა ჰქონდა გადასახადი ფულად გადაეხადა, მაშინ გირაოდ ოჯახიდან ნივთებს გაიტანდნენ. ასეთ დროს გადასახადის ამკრეფნი. არაფერს ერიდებოდნენ; ამის შესახებ 1877 წ. № 35-ში გაზ: „ივერია“-ში ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენს გლეხებში ყოველს სასჯელზე უფრო გავრცელებული რბევა არის. ეს რბევა იმაში მდგომარეობს, რომ მერბეულები მივლენ დამნაშავეს სახლში და წაართმევენ ან ფულს, ან პურსა და, თუ დამნაშავეს არა აქვს, ან ერთი და ან არც მეორე, მაშინ გაიტანენ გირაოდ ან ქვაბს, ან თოფს, ერთი სიტყვით რაც კი მოხვდებათ, არაფერს დაერიდებიან. ბევრი საცოდავობა მოხდება ხოლმე ამის თაობაზე: ბევრს ქვრივს და ღარიბს ატირებენ ხოლმე მერბეულები, როდესაც ესენი შეცვივდებიან სახლში და ურწყავენ სამიოდე ლიტრა პურს იმ ორიოდე კოდი პურისგან, რომელიც შეადგენდა იმის წლის სარჩოსა. ბევრგან შეცვივიან ხოლმე ლეკებივითა და, სხვას რომ ვერას ნახავენ, გამოიტანენ უკანასკნელს ქვაბს და მით მოაკლებენ უბედურს ამ საჭირო ნივთსა, — წაიღებენ ან ქვაბსა და ან თოფსა ან სახნის-საკვეთელსა და სხვა.

საქმე ის არის, რომ ამისთანა საცოდავობით წართმეული ისე იკარგება, რომ გული აემღვრევა კაცსა, რომ დაფიქრდეს ამაზე, რომ დაარბევენ სულ ყველას, ვინც ჰყავდათ სარბეველი, წამოიღებენ ნარბევსა და პურსა და გაჰყიდიან ნახევარ ფასად და ნივთეულებს დაუგირავებენ მედუქნეებს. გამორჩომილის ფულით იყიდიან ღვინო-არაყსა. დათვრებიან კარგათა და დაანებებენ თავსა. რაც შეეხება დაგირავებულ ნივთებსა, ისინი იქმნებიან დუქანში

[4] გაზეთი „ივერია“, 1878, № 16, გვ. 1—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიოდე კვირას და თუ პატრონი არ მიჰხედავს ამ ხნის განმავლობაში, ცეცხლავში უკრავს მედუქნე თავს გასასყიდათა. ვინ იცის, რამდენი ცხენის საპალნე მარტო თოფი და ქვაბი წასულა ამგვარად ახმეტიდან თელავში გასასყიდათა"[5].

აღნიშნული ცნობებიდან ცხადად ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო გლეხობა. კახეთში 1877—1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ. გლეხებისათვის კანონი და სამართალი არ არსებობდა. მექრთამეობა და სამოქალაქო თუ სამხედრო მოხელეების მხრივ აშკარად ჩადენილი ბოროტმოქმედება, გლეხების დარბევა და სხვ. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ხალხში ეს უსამართლობა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ ძლიერი პოლიციური რეჟიმის გამო გლეხობა ვერ ახერხებდა თავისი უკმაყოფილების გამომჟღავნებას.

გლეხების გამოსვლა ქიზიყში 1878 წ. წარმოადგენდა მათში ამ ღრმად დაბუდებული უკმაყოფილების ერთ აშკარა გამომჟღავნებას.

გლეხთა ეს მასობრივი გამოსვლა კახეთ-ქიზიყში არის ადგილობრივი ხასიათის ეპიზოდური მოვლენა, რომელიც ფრიად დამახასიათებელია კახეთში შექმნილი მდგომარეობისათვის.

ხსენებული გამოსვლა იყო ხანმოკლე, სახელდობრ, 1878 წლის 17 — 18 ივნისს, მაგრამ ამ ორმა დღემ ცხადყო, თუ რა ტკივილები აწუხებდა მაშინდელი მმართველობის დუხჭირ პირობებში მყოფ საქართველოს ერთი კუთხის კახეთ-ქიზიყის გლეხობას. ამ კონკრეტულ მაგალითზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქართველი გლეხობისათვის ბატონყმობის გადავარდნის ახლო ხანაში და რა იყო, კერძოდ, კახეთ-ქიზიყში ამ მძიმე მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები.

რუსეთ-ოსმალეთის ომის პირობებში საჭირო შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობის ძალთა უაღრესად დაჭიმვა ა/კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს თავდაცვის უზრუნველსაყოფად. მდგომარეობას ართულებდა ერთი მხრივ, ოსმალეთის საწინააღმდეგო სამხედრო ფრონტი, მეორე მხრივ, დაღესტანში 1877 წელს მომხდარი აჯანყება. ეს აჯანყება რუსეთის სამხედრო უწყებისა და მმართველობისათვის კავკასიაში არც მთლად მოულოდნელი იყო, მაგრამ არც ამისი სერიოზული შიში ჰქონდათ, რის გამო თვით აჯანყების დაწყებას სამხედრო და სამოქალაქო უწყება მოუმზადებელი შეხვდა.

ამ ხანაში სიღნაღის მაზრის მოსახლეობა აღშფოთებული იყო იმ ამბით, რომ რამდენიმე დღის წინ მმართველობამ ორასზე მეტი გლეხი თავიანთი ურმებით გაიწვია მოქმედი არმიის დასახმარებლად.

თვით მოძრაობა კი დაიწყო შემდეგნაირად: 1878 წლის მაისის ბოლოს სიღნაღის მაზრის სოფლებში: ქვემო და ზემო მაჩხაანში, ანაგაში, ვაქირში, კარდანახში, ბოდბისხევში, მაშნაარში, საქობოში და სხვ. გამოცხადებული იყო მილიციელთა გაწვევა. სახელდობრ, ჯერ უნდა მომხდარიყო ურმების შეკრება მოქმედი ჯარის საჭიროებისათვის, ხოლო ამის შემდეგ დაიწყებოდა მილიციელების გამოყვანა ახალი „კენჭისყრის" წესით, რომელიც დანიშნული იყო იმავე წლის 5 ივნისისათვის. სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებისათვის მთავრობის ბრძანებით მილიციელების გაყვანა ახალი არ იყო. კენჭისყრას კი ისინი ვერ ურძგდებოდნენ, რადგან მანამდე მილიციაში მეომრები კენჭის-

[5] გაზეთი „ივერია", 1877, № 35.

ყრით არასდროს გაუყვანიათ. ამ წელს კი ახალი შემადგენლობის გაყვანა მთავრობას სურდა კენჭისყრის წესით. ხალხში ტენდენციური ხმები ვრცელდებოდა — მმართველობას ახლა გლეხები მილიციის სახელით „სალდათებად“ მიყავსო. ეს კი ნიშნავდა საყოველთაო სამხედრო ბეგარასა და ამას ხალხი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. რუსეთში 1874 წლის 1 იანვარს შემოღებულ იქნა საყოველთაო პირადი სამხედრო ბეგარა. მანამდე არსებული წესი „რეკრუტების“ შეკრებისა ეხებოდა მხოლოდ ეგრეთ წოდებულ ბეგრის გადამხდელ წოდებებს — გლეხებს და წვრილ მოქალაქეებს (მეშჩანებსა და ხელოსნებს). ვაჭრები იხდიდნენ ცალკე ფულად გადასახადს, ხოლო თავად-აზნაურნი სავსებით თავისუფალნი იყვნენ სარეკრუტო მოვალეობისაგან. რუსეთში ახლად შემოღებული საყოველთაო სამხედრო ბეგარა კი ეხებოდა 21 წლის ასაკის, მამრობითი სქესის ყველა პირს, განურჩევლად წოდებისა. აღარ შეიძლებოდა სამხედრო ბეგრის მაგივრად ფულის გადახდა და არც გაწვეული რეკრუტის შეცვლა მისი ბადალით. გაწვეულთა კონტიგენტი წინდაწინვე ყოველწლიურად განსაზღვრული იყო, ხოლო რადგანაც გაწვეულთა რაოდენობა ყოველთვის სჭარბობდა ჯარში წასაყვანთა კონტიგენტს, ამიტომ შემოღებული იყო კენჭისყრა. სამხედრო ვადა სახმელეთო ჯარში დაწესებული იყო 6 წელიწადი. ჯარს ყოველგვარი ამუნიცია, რასაკვირველია, სახელმწიფოსგან ჰქონდა. ჯარისკაცების შენახვაც წარმოებდა სახელმწიფოს ხარჯზე. ასეთი იყო სამხედრო ბეგრის ახალი წესი რუსეთში.

საქართველოში კი საყოველთაო სამხედრო ბეგარა შემოვიდა უფრო გვიან, სახელდობრ, 1888 წლიდან. მთავრობა ერიდებოდა ამის შემოღებას საქართველოში, რადგანაც სამსახურის 6 წლის ვადა შიშის ზარს ჰგვრიდა მოსახლეობას. მმართველობას ეშინოდა, რომ ხალხისათვის საძულველ საყოველთაო სამხედრო ბეგარას აჯანყება არ გამოეწვია.

როგორც კახეთ-ქიზიყის ამბებიდან ჩანს, ქართველმა გლეხობამ უკვე იცოდა რუსეთში შემოღებული სამხედრო ბეგრის წესები; სახელდობრ, რომ ეს ბეგარა დაკავშირებული იყო წვევამდელთა კენჭისყრასთან და ჯარში გაწვეულთათვის სახელმწიფო ხარჯზე ამუნიციის მიცემასთან. ქიზიყში ახალი შემსუბუქებული წესით მილიციის გაწვევა გულისხმობდა ამ ორ მომენტს, სახელდობრ: აქ წარმოდგენელი იყო კენჭისყრაც და დაპირებაც, რომ ამიერიდან მილიციელებს ამუნიცია მიეცემა სახელმწიფოს მიერ. ეს სავსებით საკმარისი იყო გაწამებული გლეხობისათვის, რომელიც ჩინოვნიკებისაგან ყოველგვარ უბედურებას მოელოდა, რომ გავრცელებულიყო ხმა სალდათობის შემოღების შესახებ.

კვირას 17 ივნისს ხალხი შეიკრიბა სოფ. ზემო მაჩხაანში. ზეპირი გადმოცემით, კახეთსა და ქიზიყში მაშინ თოფ-იარაღი ნაკლებად იყო. ამიტომ ეს ხალხი შეიარაღებული იყო წალდებით, კომბლებით, ჯოხებით და ძირითადად ხანჯლებით. ხალხი გარშემოერტყა ზემო მაჩხაანის სოფლის მამასახლისს დავით ბოსტოღანაშვილს და მოსთხოვა მილიციაში გაწვეულთა სია. ხალხში ხმები დადიოდა, რომ მილიციელებად გაწვევის ორგანიზატორები მამასახლისები არიან, ამიტომ გლეხები ამბობდნენ — ეს საქმე მამასახლისებს აქვე უნდა მოვასპობინოთო. ამის გამო იყო, რომ ხალხი ზემო მაჩხაანის მამასახლისს არ უჯერებდა, გასაწვევთა სიის თეთრი პირი ჩემთან არ არისო. მამასახლისი ვერ გაუმაგრდა შეკრებილთა შეტევას და მისცა მათ სიის შავი პირი, რომლის

თეთრი პირი წარდგენილი იყო სამაზრო სამმართველოში; მაშინ ხალხმა უყვი-
რა: კენჭით არ აგარჩევინებთ მილიციონერებსო.

მამასახლის ბოსტოღანაშვილის ამბავი შეატყობინეს სიღნაღის მაზრის უფროსს და მან მაშინვე გაგზავნა შეკრებილ გლეხთა დასამშვიდებლად და დასაშლელად სიღნაღის ქალაქის ბოქაულის თანაშემწე ჯანიევი, რომელმაც წასვლისას თან გაიყოლა ჩაფარი სოლომონ ბეჟანიშვილი. ჯანიევმა დანიშნულ ადგილზე მისვლისას ხალხს დარიგება და დამშვიდება დაუწყო. მისმა დარიგებამ ბევრზე თითქოს დამამშვიდებლად იმოქმედა, მაგრამ ზოგი ისევ გაჰყვიროდა—„არ მოგცემთ მილიციელებს სალდათებათ“-ო[6]. ჯანიევი ხედავდა, რომ აღელვებული ხალხი მას ცემასაც კი უპირებდა (ზეპირგადმოცემა ბაკურციხიდან). მაშინ მან უბრძანა ჩაფარს სოლომონ ბეჟანიშვილს დაეჭირა ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ყველაზე მეტს ყვიროდა და მაზრის სამმართველოში წაეყვანა. ამის დანახვაზე ხალხი ეცა ჩაფარს, წაართვა მას დაჭერილი კაცი, ხოლო თვით ჩაფარი წააქცია და მაგრადაც სცემა. ჯანიევი მიხვდა, რომ მალე ჯერი მასზედაც მიდგებოდა და ხალხს მოეფერა, ამასთან გააფრთხილა, რომ თუ ხალხი მისი, როგორც თანამდებობის პირის ცემას დააპირებდა, მთელი ალაზნის ჯარს შეუსევდნენ და დაარბევდნენ. ხალხი როგორც იყო დაწყნარდა. ჯანიევი შეპირდა ხალხს, რომ ამ ამბავს მაზრის უფროსამდე არ მიიტანდა. ზოგიერთი გაიძახოდა: თუ ჩვენ შვილებს ჯარში წაიყვანენ, ჩვენ ლეკებს ვეღარ გავუმკლავდებით, ერთიანად ამოგვხოცავენ და მთელი კახეთი ამოვარდებაო.

ამ ამბის შემდეგ ამავე დღეს საღამოთი მაზრის უფროსთან სიღნაღში გამოცხადდა ბოდბისხევის მამასახლისი გიორგი მჭედლიშვილი და მოახსენა, რომ ბოდბისხევში მივიდა ორმოცამდე საქობოელი გლეხი, რომელთაც მამასახლისს მოსთხოვეს მილიციელების კენჭისყრით გაყვანის წინააღმდეგ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. მეორე დღეს დილით გლეხები უნდა შეგროვილიყვნენ ანაგის ხეობაში და შეერთებული ძალით წინააღმდეგობა გაეწიათ ყველა იმათთვის, ვინც ასეთი წესით მათ გაყვანას მოინდომებდა. სიღნაღის მაზრის უფროსი გრაფი ტიზენჰაუზენი, ამ ამბავმა ძალიან შეაფიქრიანა. მან არ იცოდა ქართული ენა, არ იცნობდა ხალხის ზნე-ჩვეულებას და ამიტომ ვერც ახერხებდა აბობოქრებულ გლეხებთან საერთო ენის გამონახვას. ამიტომ მან საჭიროდ ჩათვალა დაკავშირებოდა ალაზნის დაბლობის ჯარების უფროსს გენერალ-მაიორ თავ. იოსებ ორბელიანს და ეთხოვა მისთვის რამდენიმე ასეული კაზაკი ამბოხებული ხალხის დასაწყნარებლად. მას უნდოდა თვითონ ენახა გენერალი ორბელიანი, რომელიც ამ დროს სტუმრად იყო ბაკურციხეში თავად რევაზ ვაჩნაძის სახლში, და ყველაფერი დაწვრილებით მოეხსენებინა მისთვის.

სიღნაღიდან ბაკურციხემდე ათი კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა სოფლები: ანაგა, ვაქირი და კარდანახი. ტიზენჰაუზენმა წინასწარ მოისურვა გზის დაზვერვა, რომ ამ გზაზე ხალხისაგან რამე უსიამოვნება არ შეხვედროდა, ამ მიზნით დილას ადრე გაგზავნა ჩაფარი გიორგი მათეშვილი. ჩაფარმა დაბრუნებისას მოახსენა მაზრის უფროსს— ხალხი წინააღმდეგობას არ აპირებს და მხოლოდ ითხოვს წილის ყრა არ იყოსო. ამ ცნობების მიღების შემდეგ ტიზენჰაუზენი დილის შვიდ საათზე წავიდა სოფ. ბაკურციხისაკენ ანაგაზე გავ-

---

[6] გაზეთი „ივერია“, 1878, № 46, გვ 3.

ლით. მაზრის უფროსს წასვლისას თან ახლდნენ თავ. ლევან ანდრონიკაშვილი (თარჯიმანი) და ჩაფარი ბასიკო ბოსტოღანაშვილი. ანაგის ხეობაში მაზრის უფროსს დახვდა ანაგელი, ვაჭირელი, მაშნაარელი და საქობოელი ხუთასამდე გლეხი. ტიზენჰაუზენმა დაუწყო ხალხს დამშვიდება — სალდათებად არავინ არ გაგიყვანთ, თქვენ გიწვევთ მხოლოდ იმავე დრუჟინებში, სადაც ბევრს თქვენგანს და თქვენს მამებს უმსახურიათ, ხოლო წილის ყრა თქვენივე სარგებლობისათვის არის დადგენილი, რათა მამასახლისების ბოროტმოქმედებას ასცდეთო. ხალხი ამ ამბის გაგონებაზე თითქოს დამშვიდდა, ზოგმა ქუდიც კი მოიხადა და „ურას“ იძახოდა. მაგრამ დედაკაცების ყვირილმა ხალხი ისევ ააღელვა. „არ შეიძლება, არ მოგცემთ სალდათებსო“, ყვიროდნენ ქალებიც და კაცებიც. ერთი ვაჭირელი გლეხი სვიმონიშვილი გეგენა, როგორც შემდეგ ლევან ანდრონიკაშვილი, ჩაფარი ბასიკო ბოსტოღანაშვილი და ანაგის მამასახლისი სოსანა მჭედლიშვილი ადასტურებდნენ, ყველაზე მეტად აგულიანებდა ხალხს და ისე გაბედვით უახლოვდებოდა მაზრის უფროსს, რომ მამასახლისი შას უკან სწვდა, რათა ტიზენჰაუზენისათვის არ ეცემა. მაშინ ტიზენჰაუზენის ნაცვლად ხალხი მივარდა მამასახლის მჭედლიშვილს, ააძრო მას მისი თანამდებობის აღმნიშვნელი ყელზე ჩამოკიდებული ჯაჭვი და ცემა დაუწყო. ტიზენჰაუზენმა ისარგებლა ამით, ჩაჯდა „ტროიკაში“ და გასწია. ხალხი დაედევნა ჯოხებით და ქვის სროლა დაუწყო, მაგრამ ტიზენჰაუზენმა გაასწრო და ჩავიდა ბაკურციხეში, სადაც პირდაპირ გაემართა თავად რევაზ ვაჩნაძის სახლში.

წინადღეს, ე. ი. 17 ივნისს ბაკურციხეში აღენიშნათ ეგრეთ წოდებული „გომართობა“, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტრადიციული დღესასწაული იყო. ამ დღეს ხსენებულ სოფელში უამრავი ხალხი იყრიდა თავს მეზობელი სოფლებიდანაც. აი, სწორედ ამის გამო თავად რევაზ ვაჩნაძეს. ბაკურციხეში სტუმრად სწვეოდნენ ეგრეთ წოდებული ლეკების საკორდონო ხაზის უფროსი, ზემოთ ხსენებული, გენერალი იოსებ ორბელიანი, პოლკოვნიკი კოლაკუცკი, ინჟინერი ლუკნიცკი, მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეები ხოსროევი და დრაგომირეცკი, თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის თანაშემწე გუდიმ ლევკოვიჩი და გენერალ ორბელიანის ადიუტანტი პორუჩიკი კურილო. ზოგი მათგანი, მათ შორის თვით გენერალი ორბელიანი, იწვა, როდესაც ხალხი თავ. რევაზ ვაჩნაძის სახლს მიადგა. გადაწყვიტეს თუქურმიშაში (ახლანდელ წითელწყაროში) გაეგზავნათ ორბელიანის მოთხოვნა იქიდან კაზაკების გამოგზავნის შესახებ. მართლაც, გენერალმა ორბელიანმა შეადგინა დეპეშა, რომლითაც თავისი ჯარის ბანაკიდან იბარებდა 100 კაზაკს. ეს დეპეშა მან გაატანა ვაჩნაძის მზარეულს ლეონტი ქადანიძეს სიღნაღში წასაღებად. ხალხმა რომ შეიტყო ორბელიანი კაზაკებს იბარებსო, ქადანიძეს დეპეშა წაართვა და დახია. გლეხები კიდევ უფრო აღელდნენ და ვაჩნაძის სახლისაკენ წამოვიდნენ, აივანზე გამოსულმა თავ. რევაზ ვაჩნაძემ, თავ. ილია აბხაზმა, მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ ხოსროევმა და სხვებმა, ხალხს წინადადება მისცეს დაშლილიყვნენ, მაგრამ ხალხი აღელვებული ყვიროდა: „მოგვეცით ნაჩალნიკი მაზრისა, ჯანიევი, თომაშვილი, იასეშვილი (თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილი — მაზრის მარშალი) და სხვანი; ვითომ ჩვენ არ ვიცით, რომ კომისიაში ეს პირნი არიან დანიშნულები, ჩვენ გვყვლეფენ, გვცარცვავენ ისინი, მოგვეცით სიები. წილის ყრით არ მოგცემთ მილიციონერებს“. ვაჩნაძის სახლი აჯანყებულებით იყო გარშემორტყმული და შიგ

მყოფნი ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ამ მდგომარეობისათვის. ხალხის ფიქრი რომ ასრულებულიყო, მაშინ გამოვიდა თვით გენერალი ორბელიანი, რომელმაც ხალხს დასამშვიდებლად მიმართა რჩევითა და დარიგებით. ეს გადაწყვეტილება, ამბობდა ის, არის მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნება და თუ არ მოგწონთ, არზა წარმოადგინეთ და მის უმაღლესობას მოვახსენებო. ხალხი მაინც გაიძახოდა: „ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვემსახურებით ხელმწიფეს, ყველგან წავალთ, სადაც წაგვიყვანენ, მაგრამ წილის ყრით მილიციონერების არჩევა კი არ გვინდა, ჩვენ ვიმსახურებთ, როგორც ჩვენი მამები მსახურობდნენ“-ო. ქალები ხელში იყვანდნენ თავიანთი პატარა ბავშვებს და გაიძახოდნენ: „სად არის სამართალი, ამდენის მოთმენა აღარ შეიძლება, ერთხელ გაჩენილები, ერთხელ უნდა დავიხოცოთო, ესენიც (პატარა ბავშვებიც) კი არიან ჩაწერილნი, მაგრამ ესენი აბა რა სალდათები იქნებიანო; ცოცხალი თავით მილიციას სალდათებს არ მივცემთო“.

გენერალმა როგორც იყო, ხალხის ნაწილი დაიყოლია; ვიღაცამ კიდეც თქვა — კარგი, წავიდეთ, მაგრამ დედაკაცებმა ყვირილი ატეხეს. როგორც იოსებ რევაზის-ძე ვაჩნაძის ნათქვამიდან ჩანს, ქალები მიუბრუნდნენ ხალხს და დაუყვირეს: „თქვენ რა კაცები ხართ, მოიხადეთ თქვენი ქუდები და მოგვეცით ჩვენ, დედაკაცებს“-ო. ამ სიტყვებზე ხალხი კიდევ აღელდა და ცემა დაუწყო ყველა იმათ, ვინც სახლში წასვლას ურჩევდა. საერთოდ, ამ ამბოხებაში დიდი როლი შეასრულეს ქალებმა, რომლებიც მამაკაცებს არ ჩამოუვარდებოდნენ. დრაგომირეცკის სიტყვით, სამი თუ ოთხი დედაკაცი მოვარდა კომბლებით, რაღაცას ლაპარაკობდნენ, ტანისამოსსაც იგლეჯდნენ და ფანჯრებს ქვებს ესროდნენ. ბოლოს ერთმა დედაკაცმა ნიშანი მისცა და ხალხი შევარდა იმ ოთახში, სადაც მაზრის უფროსი ტიზენჰაუზენი იმყოფებოდა. ხალხმა მოითხოვა გაწვეულთა სიები; როდესაც ტიზენჰაუზენმა უპასუხა, სიები არა მაქვსო, დაუწყეს მას ცემა. ამასთან მოხვდა იმათაც, ვინც მას ექომაგებოდა, მაგალითად, თავად ანდრონიკაშვილს (თარჯიმანს), ჩაფარ ბასიკო ბოსტოღანაშვილს, თავად სოსიკო ვაჩნაძეს და ორბელიანის მსახურს მიროშნიკოვს. ტიზენჰაუზენმა სცადა ხალხის მოტყუება: ეს საქმე ჩემ ხელთ არის, შემიძლია სულ მოვსპო, თქვენისავე ხელით ქაღალდს გავგზავნი მაზრის სამმართველოში, იქ ჩემი თანაშემწეა და ჩემი წერილის თანახმად ნამდვილ სიებს ის დაგიბრუნებთო. ხალხი ამის შემდეგ თითქოს დამშვიდდა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი, რისთვისაც იბრძოდა, უკვე მიიღო და შეეძლო დამშვიდებულიყო. ტიზენჰაუზენს მოუტანეს ქაღალდი, მაგრამ მან წერა რომ დაიწყო. ერთმა დედაკაცმა დაიძახა — გვატყუილებს, უნდა გაგვეპაროსო. მაშინ ხალხი მისცვივდა ტიზენჰაუზენს, გამოგლიჯეს ხელიდან ქაღალდი და უთხრეს: ეს კი არ გვინდა, თვით სიები მოგვეციო. იქვე გენ. ორბელიანის პორტფელს დაუწყეს სინჯვა და სიები რომ ვერ ნახეს, ტიზენჰაუზენი აივანზე გაათრიეს და გარეთ, ხალხში ჩაიყვანეს. ჩასვეს პოვოზკაში და წაიყვანეს სიღნაღში. ხალხის ნაწილი ტიზენჰაუზენს გაჰყვა. ნაწილი კი იქვე თავად ვაჩნაძის სახლთან დარჩა და ძებნა დაუწყო მაზრის მარშალს იასეშვილს (ანდრონიკაშვილს), მაგრამ ამაოდ. ერთი მათგანი წამოდგა წინ და გენ. ორბელიანს მიაძახა: „აი ეს არის ჩვენი დამლუპველი“-ო[7] და დაჰკრა ჯოხი. მისი წაბაძვით გენერალს სხვებმაც დაუწყეს ცემა.

[7] გაზეთი „დროება“, 1879, № 10, გ. წერეთლის სტატია.

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვითაც, ხალხი აღშფოთებული იყო სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლ თავად ზაქარია ანდრონიკაშვილზე (იასეშვილზე), რომელსაც უპირებდნენ ცემას, მაგრამ ვიღაცამ ამ იასეშვილის მაგივრად მიუთითა ჯარის უფროსზე გენ. სოსიკო ორბელიანზე და დაიყვირა: აი, იასეშვილი ეს არის; მას განგებ გადაუცვამს რუსული მუნდირიო. ამ სიტყვების შემდეგ დაუწყეს ცემა ორბელიანს: „დაჰკარით მაგას. სულ ეგ და მაგის მოგვარეა ჩვენი უსამართლობის მიზეზი, წამოიძახა ერთმა გამეხებულმა დედაკაცმა“[8].

გენერალს ხალხიდან გამოექომაგა ვიღაც პირი, რომელმაც ხანჯალი ამოიღო და ყველანი მოაშორა მას. გენერალს ხელი მოჰკიდეს და საშინლად ნაცემი საწოლზე წამოაწვინეს. ერთი ქალი მისდგომოდა მას და უყვიროდა: „ძროხა რომ დამეკრგა, შენთან მოვედი საჩივლელად, შენ კი მითხარი ეს ჩემი საქმე არ არისო, აი ახლა კი ახად მოგდის“[9]. მეორე ქალს უთქვამს: „შენ დიდ ჯამაგირს იღებ და დოინჯ შემოყრილი დასეირნობ, ჩვენ კი ოფლში გაწურულნი ვმუშაობთო“[10].

საბრალდებო ოქმში ნაჩვენებია, თითქოს თ. რევაზ ვაჩნაძის სახლზე ხალხის დაცემის დროს უფროსებს არა ჰქონდათ აჯანყებული ხალხის მოგერიების საშუალება, რადგან შეიარაღებული ძალა არა ჰყავდათ. საბრალდებო ოქმში ფაქტიური გარემოების ასეთი შერბილება იმით აიხსნება, რომ თავ. გენერალ ორბელიანის ცემა და მისთვის ფეხის მოტეხა უხერხული იყო მმართველობის პრესტიჟისათვის. გარდა ამისა, მაშინდელი წესით ნაცემი ოფიცერი, მით უმეტეს გენერალი, სამსახურში ვეღარ დარჩებოდა. ამიტომაც საგამომძიებლო ორგანოებმა და სამხედრო პროკურატურამ ამჯობინეს ჩაეჩქმალათ ეს ამბავი. სინამდვილეში კი ვაჩნაძის სახლში გენერალს ახლდა შეიარაღებული რაზმი, მაგრამ თვითონ გენერალმა ორბელიანმა ჯარს არ მისცა იარაღის ხმარების ნება. გენერალი ცდილობდა დაემშვიდებინა ხალხიც და ჯარიც, რომ ხალხსა და ჯარს შორის სისხლისღვრა არ მომხდარიყო.

თბილისის სასამართლო პალატის მომრიგებელი მოსამართლის მოადგილემ ხოსროევმა დაუწყო ხალხს განმარტება, რომ ისინი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედების გამო მკაცრად დაისჯებოდნენ. გლეხები ამის საპასუხოდ აცხადებდნენ: „ჩვენ გვაქვს თავები, ხელმწიფეს კი დანა; გაუშვი, რომ მან აქვე მოგვჭრას თავი, მხოლოდ ჩვენ კი ნუ ვნახავთ ჩვენი მოსავლის გაფუჭებას“-ო. როცა გაშმაგებული ხალხი მიუვარდა გენერალ ორბელიანს და დაუწყო ცემა, შეშინებული ხოსროევი გაიპარა და ტყეს შეაფარა თავი.

ამავე დროს დაიწყო თავად რევაზ ვაჩნაძის სახლ-კარის დარბევა.

მოზღვავებული ხალხი არ დაკმაყოფილდა ამით და რომელ სოფლებშიც კი წავიდა, ყველგან დაერია მამასახლისებისა და ზოგან მღვდლების ბინებს. მაგალითად ბაკურციხიდან წასული გლეხები კარდანახში დაეცნენ ადგილობრივი მამასახლისის გიორგი სამადაშვილის სახლს, საღაც დაამტვრიეს მინები, სახლს ჭერი გადახადეს და კრამიტის ნაწილი დაამტვრიეს. ასევე მოიქცნენ ანაგის მამასახლისის სოსანა მჭედლიშვილის მიმართაც. მასაც სულ ჩაუმტვრი-

---

[8] გაზეთი „დროება“ 1879, № 10, გვ. 1—2—3, გ. წერეთლის სტატია.

[9] იქვე.

[10] იქვე.

ეს მინები და სახურავზე კრამიტის დიდი ნაწილი, ამავე დროს დაეცნენ სა-
დრო მჭედლიშვილის დუქანს, დაამტვრიეს ჭურჭელი და დაუღვარეს ღვინო და არაყი. მედუქნე ჭრელაშვილის სიტყვით, მას იმიტომ დაესხნენ, რომ სოფლის მამასახლისის თხოვნით დაწერა წვევამდელთა სიები. კახეთ-ქიზიყის აჯანყებული გლეხები თავადებსა და მამასახლისებზე თავდასხმის დროს იტაცებდნენ იარაღს და იარაღდებოდნენ.

გამოსვლაში მონაწილეთ მთავრობა შემდეგ სასტიკად გაუსწორდა. ოფიციალური გამოძიებით, გამოსვლაში მთავარი მოქმედი პირნი იყვნენ: სოფ. ანაგიდან: დიმიტრი გიორგის-ძე კუდაშვილი, 29 წლის, თომა სიმონის-ძე მირიანაშვილი, 25 წლის, გეგენა გიორგის-ძე ალსანიშვილი, 28 წლის, ილია სიმონის-ძე მირიანაშვილი, 24 წლის, ილია დავითის-ძე მჭედლიშვილი, 24 წლის, ილია ზაქარიას-ძე ნალბანდიშვილი, 32 წლის და სოსია სიმონის-ძე მექუდიშვილი, 25 წლის; სოფ. ვაქირიდან: იასე ზაქარიას-ძე ნარეკლიშვილი, 27 წლის, გეგენა დავითის-ძე სვიმონიშვილი, 27 წლის, გაბრო მიხეილის-ძე კობახიძე, 22 წლის, ნოდარ ზაქარიას-ძე ხაშიაშვილი, 30 წლის, ილია სოლომონის-ძე კვირიკაშვილი, 23 წლის, მელანია იობის-ასული ხელაშვილი, 30 წლის, ფეფე ლაზარიას-ასული დავითაშვილი, 50 წლის; სოფ. კარდანახიდან: საბედა აბრამის-ასული გულხადარაშვილი, 55 წლის, გიორგი თევდორეს-ძე შიოშვილი, 28 წლის, დათიკო გლახოს-ძე მართაშვილი, ზაზიკო გიორგის-ძე გოგებაშვილი, 26 წლის; სოფ. მაჩხაანიდან: ჯანდიერ ნინიას-ძე სიფრაშვილი, 33 წლის, და სოფელ საქობოდან — ივანე ლონგინოზის-ძე ბაკაშვილი. გამომძიებელთა მიერ დაკითხული მოწმეებიდან უმრავლესობამ, დაახლოებით 49 მოწმემ, ამათ დაადო ხელი, როგორც ყველაზე მეტად „დამნაშავეთ“.

რადგან ქიზიყელების გამოსვლა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მოხდა, დიდი მთავრის ბრძანებით, ეს საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცა. სასამართლომ დამნაშავედ სცნო 9 კაცი და 2 ქალი, მათ მიესაჯათ ყველა უფლების ჩამორთმევა და თხუთმეტი წლით კატორღაში გაგზავნა. ამასთანავე სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა მეფის ნაცვლის წინაშე, რათა ხსენებულ პირთ სასჯელი შემსუბუქებოდათ ციმბირში გადასახლებით. მეფის ნაცვალმა თავის მხრივ შესაძლებლად დაინახა შუამდგომლობა აღეძრა იმპერატორის წინაშე მისჯილთა სრული პატიების შესახებ.

მეფის ნაცვლის შუამდგომლობა პეტერბურგში დააკმაყოფილეს (იანვარი, 1879 წ.), რის შემდეგ ყველა ამ საქმეზე დაპატიმრებული გაათავისუფლეს.

სასამართლოში მიცემულნი ამ საქმიდან გამოვიდნენ მორალურად ამაღლებულნი და განმტკიცებულნი. ქიზიყის გლეხების გამოსვლა, როგორც სტიქიური, დამარცხდა; დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ხალხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. მეორეც ის, რომ ხალხს ეგონა, ყველაფერი დამოკიდებული იყო მამასახლისებსა და მაზრის უფროსებზე და მათ წინააღმდეგ მიმართა თავისი რისხვა.

აღსანიშნავია ამ აჯანყებაში გენერალ ორბელიანის დიდი სულგრძელობა და ჰუმანურობა; მის იშვიათ ტაქტსა და თავდაჭერილობას უნდა მიეწეროს, რომ ამ გამოსვლის დროს მან სამხედრო ძალას არ მიმართა, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებმა მას ფეხი მოსტეხეს და სიკვდილის პირას მიიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმ. საქართველოში

ბ. აკოფაშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა)

გლეხობა XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში ერთფეროვან მასას არ წარმოადგენს და გარკვეული სიჭრელით ხასიათდება, როგორც ეკონომიური, ისე სოციალური მდგომარეობის მხრივ. გლეხთა სოციალურ-ეკონომიური კატეგორიების საკითხს აქ არ ვეხებით, ამის შესახებ სხვაგან გვქონდა მსჯელობა[1]. ამჯერად ჩვენი მიზანია სათანადო მასალების საფუძველზე შეძლებისდაგვარად ვუჩვენოთ გლეხთა ეკონომიური დიფერენციაციის დონე XVIII ს. მეორე ნახევრის აღმ. საქართველოში. გამოკვლევებში, რომლებიც XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისადმია მიძღვნილი, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის, გლეხობის მიწებით უზრუნველყოფის საკითხი შედარებით უკეთაა გაშუქებული და საკმაო ფართო მასალითაა ილუსტრირებული[2].

XVIII ს. მეორე ნახევრის აღმ. საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის ამსახველი სპეციალური გამოკვლევა არ მოგვეპოვება. ქართლის სათავადოების გამოკვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომებში[3] საგლეხო გადასახადებისა და გლეხობისა და თავადების ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი დახასიათებაა მოცემული. ზოგადი ხასიათის დებულებები გვაქვს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში. იქ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში სხვადასხვა სახელმწიფო ღონისძიებანი და მემამულეთა სწრაფვა თავიანთი მეურნეობის უკეთ მოწყობისათვის საგლეხო გამოსაღებისა და საბატონო სამსახურის დამძიმებას იწვევდა, მწვავდებოდა გლეხთა ექსპლოატაცია[4]. ეს გარემოება, ცხადია, თავის მკვეთრ კვალს დაამჩნევდა გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობას. ე. ხოშტარიას წერილში „გლეხობის სოციალური

---

[1] გ. აკოფაშვილი, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII ს. აღმ. საქართველოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, 1961.

[2] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Восточной Грузии в первой, половине XIX в (Дореформенный период), Сухуми, 1955, 206—256; ე. ორჯონიკიძე მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში. მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1960, ნაკვ. 33, გვ. 217—232; А. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений дореформенной Восточной Грузии, Москва, 1958 და სხვ.

[3] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955 გვ. 216—236; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 117—134.

[4] საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), 1958, გვ. 366.

მდგომარეობის საკითხისთვის XVII—XVIII სს. ქართლში"[5] ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხებიდან მოკლედ მიმოხილულია გლეხის საკომლო მამულის შინაარსი და ოდენობა.

* * *

წინამდებარე წერილი, რომლის მიზანია განიხილოს გლეხობის მიწებით უზრუნველყოფისა და ეკონომიური დიფერენციაციის საკითხი XVIII ს. მეორე ნახევრის აღმ. საქართველოში, ძირითადად XVIII ს. მეორე ნახევრის მასალებს ეყრდნობა. ესაა უპირატესად ამა თუ იმ მებატონის ყმა-გლეხთა ნუსხები, შედგენილი უმთავრესად გადასახადის ვალდებული მოსახლეობის აღნუსხვის მიზნით. ასეთ ნუსხებში, ჩვეულებრივ, არის ხოლმე მითითება ამა თუ იმ გლეხის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მითითებულია შედარებით მაღალ სოციალურ-ეკონომიურ საფეხურზე მდგომი გლეხები (მსახური, აზატი ანუ თარხანი), ასევე დაბალი ეკონომიური შესაძლებლობის მქონე გლეხები (ბოგანო, შეუძლებელი, უმამულო). ეს მითითებანი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვაჩინოთ ამ ორ სხვადასხვა ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ გლეხთა რიცხობრივი შეფარდება, რაც გლეხთა ეკონომიური დიფერენციაციის საინტერესო სურათს გვაძლევს. ასეთივე ხასიათის მასალას შეიცავენ სათავადო სახლების გაყრის დროს შედგენილი ყმა-მამულის ნუსხები და წილის ბარათები. დიდძალ, მაგრამ შემთხვევითსა და ფრაგმენტალური ხასიათის მასალას იძლევიან სხვა სახის დოკუმენტებიც—ნასყიდობის წიგნები, თამასუქები, ბატონ-ყმობის წიგნები; წყალობის წიგნები, სასამართლო განაჩენები და სხვა.

ამას გარდა, შესაძლებლად მივიჩნიეთ XIX ს. პირველი ათეული წლების მასალების გამოყენება XVIII ს. მეორე ნახევრის გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის დასახასიათებლად, რამდენადაც არსებითი ხასიათის ცვლილებები XIX ს. პირველი ერთი-ორი ათეული წლის მანძილზე გლეხობის მდგომარეობაში არ შეიმჩნევა. XIX ს. დამდეგს რუსეთის ხელისუფლების თაოსნობით შემდგარი სტატისტიკური მასალები, თუ სხვა სახის დოკუმენტები, XIX საუკუნის წინარე ხანის, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის, მდგომარეობასაც ასახავენ.

* * *

საგლეხო მამული ანუ საკომლო შედგებოდა გლეხის სახლ-კარის, გარკვეული რაოდენობის სახნავი მიწების, ბაღ-ვენახების და სამეურნეო სათავსოებისაგან. გარდა ამისა, საგლეხო მამულს უფლება ჰქონდა სოფლის წისქვილზე, საძოვრებზე, სარწყავ წყალსა, ტყეზე და სამარხზე სასაფლაოში[6]. საკომლო გარკვეული ოდენობის მამულია. ცნობილია, რომ ეს ოდენობა სხვადასხვა იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამა თუ იმ კუთხის ბუნებრივ პირობებზე, მიწის თვისებებზე იყო დამოკიდებული. XIX საუკუნის ერთი ცნობით საკომლო 30 დღიურამდე მიწას შეიცავდა[7]. ჩვენს ხელთ არსებული ერთი საბუთი მიუთითებს, რომ კახეთში 30 დღიური სახნავი მიწა „ვარგი და უვარგი", 8 დღის სავენახე, 2 დღიური საბაღჩე, 2 დღიური სასახლე მიწები ერთ სრულ საკომლოს ქმნიდა[8]. ასე თუ ისე, საკომლო ისეთი ოდენობის მიწაა, რომლის შე-

---

5 მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 217—232.

6 ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

7 შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში.

8 ხელნ. ინსტ., ფ. Hd, № 8371.

მოსავალიც გლეხის ერთი საშუალო ოჯახის გამოსაკვებად და საცხოვრებლად იქნებოდა საკმარისი. ერთ საკომლოზე ორი ან მეტი საგლეხო ოჯახის ცხოვრება ამ ოჯახის მიწით არასაკმაო უზრუნველყოფას მოასწავებდა. ასე რომ, ჩვეულებრივ, გლეხს ერთი საკომლო მამული უნდა სჭეროდა. ფავლენიშვილთა ყმა-მამულის წილის წიგნში აღნიშნულია: „მიდადას-შვილი ხუთი სული თავის სრულის საკომლოთი“[9]. თავისთავად ეს გამოთქმა, სრული საკომლო, მოასწავებს იმას, რომ საკომლო არასრულიც შეიძლებოდა ყოფილიყო. და მართლაც, სინამდვილეში ძალიან ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც გლეხის ოჯახს არასრული საკომლო, საკომლოს ნახევარი, ანდა იმაზე ნაკლები ეჭირა.

ზურაბ თარხნიშვილის წილის ბარათში აღნიშნულია, რომ მას წილად ერგო ერთი კომლი გლეხი „ნახევრის მამულითა, ერთის ხატის ვენახითა“[10].

მანვე მიყიდა დავით მიმბაშს თავისი ყმა „ოთიაშვილი პეტრე თავის ნახევარ მამულით“[11].

იოანე მდივანის ყმების ნუსხაში ჩამოთვლილია:

„ქ. ჟამიერასშვილი თავის მამულით.

ქ. თულას-შვილი ნახევარ მამულით

ქ. ზაზუნას-შვილი ნახევარ მამულით“ და სხვ.[12].

ზოგჯერ გლეხს ამაზე ნაკლებიც, მესამედი მამული უჭირავს. ყმა-მამულის ერთ ნუსხაში დასახელებულია: „ენაგეთს, გასაყოფი ზილფიაშვილი თავისის მესამედის მა(მუ)ლითა“[13].

არაიშვიათია, როდესაც გლეხს მამულის მეოთხედი უჭირავს. პაპუნა ფავლენიშვილის ყმა-მამულის ნუსხაში შედის—„ყამაზაშვილის მეოთხედი მამული, რამაზა და ხოხონა, დღეს, რისაც მამულის მჭონებელი იყოს“[14].

გიორგი ბატონიშვილმა თავის აზნაურს გოგია ფიცხელაურს უბოძა ორი საკომლო: „არდისს ყანაბეგაშვილისა და გაჩაშვილის მამული ერთი საკვამლო, აქავ არდისს გავადინაშვილის მამული ერთის ხარისა და აშატურას დათუნაშვილის ჯიბილას მამული ერთის ძროხისა, რომ შეიქმნა სულ ორი საკვამლო“[15]. მაშასადამე, ორი საკომლო შემდგარა ოთხი კომლი გლეხის მიერ ნაჭერი მამულისაგან.

როსტომ ერისთავმა თავის აზნაურს იოსებ თულაშვილს უბოძა თავისი სახასო „მთელი საკომლო ტერტერაშვილის ბასილის ნაჭონი მამული ღთისისი, ტერტერა დარჩიასი, ჩაჩხასი და მეოთხე განაყოფისა, რისაც მჭონებელი ყოფილიყვნენ ეკლესიითა, სასახლის ალაგითა, ქვევრ-მარნითა, ნაფუძვრითა, მინდვრის მიწითა, წისქვილებითა, სახნავითა, უხნავითა, მთითა, ბარითა, რისაც ეს ოთხნი განაყოფნი სახლებულან და რისაც მამულის მჭონენი ყოფილან და დღესაც არიან, რომელნიმე აქ არიან, რომელნიმე სხვის სოფელში იმყოფებიან, ეს ოთხნივ კომლნი ტერტერაშვილები შენთვის გვიბოძებია თავთავის მამულითა, რისაც მჭონებელნი არიან ყველაყა შენთვის გვიბოძებია“[16]. მაშასადამე, აქ ერთ

---

[9] იქვე, ფ. Qd № 2781.

[10] იქვე, ფ. Hd № 12031.

[11] იქვე, ფ. Hd № 2899.

[12] იქვე, ფ. Hd № 1867

[13] იქვე, ფ. Hd № 6422.

[14] საქ. ც. არქ. ფ. 1448 № 53.

[15] იქვე, ფ. 1448 № 124.

[16] იქვე, ფ. 1450, დავთ. № 30, საბ. № 224.

მთელ საკომლო მამულზე 4 გლეხის ოჯახი სახლობს, განაყოფები. ცხადია, მამული არ ყოფნით და ამიტომაა, ალბათ, რომ ზოგი „სხვის სოფელში იმყოფებიან“, ალბათ ხიზნებად.

საკმაოდ მრავლად არიან უმამულო გლეხებიც. ასეთები სათავადო სახლის გაყრის დროს შედგენილ ყმა-მამულის გაყოფის წიგნებში ხშირად გვხვდებიან: რევაზ თარხნიშვილს წილის ბარათით ერგო „იერემასშვილი გოგია უმამულოდ ნაცარას-შვილის შიოს ფარდად“[17]. მასვე ერგო „კაკოს-შვილი ანდუყაფარ უმამულო გოგლიას ფარდათ“[18].

ამილახვართა ყმა-მამულის გაყოფის 1756 წლის წიგნში აღნიშნულია, თუ რომელი ყმა უმამულოა, რომელი მეკომურია[19], ასევე ამილახვრიშვილების გოგია მიმბაშისა და დავითის ყმა-მამულის გაყოფის 1770 წლის წიგნში: „ქ. ჭალას გოდერძი უმამულო ერგო გოგიას... ქ. ცხინვალს პაპუნიკა ერგო გოგიას... ქ. წორბს ქერეჭაშვილი ობოლი და მამული“ და სხვ.[20].

გედევანიშვილების გაყრილობის წიგნში ნათქვამია: „რაც კაცი ჰყუანდათ მამულიანი თუ უმამულო, ყველა დავაწერინეთ“-ო[21].

ნახუცრიშვილთა ყმა-მამულის ნუსხაშია: „სესიკაშვილის მამული ნახევარ საკომლო, დარჩიაშვილის მამული ნახევარ საკომლო, მამუკაშვილი ნასყიდი უმამულო,.... იამზაშვილი ხაბაზი ბოგანო“ და სხვ.[22]. საინტერესოა გლეხის ასეთი მოხსენიება: აზნაურ ქაიხოსრო ჩიკოიძის წილის წიგნში ჩამოთვლილია მისი წილხვდომილი გლეხები. ესენია: „ტყიურეთს ლაშქარაშვილი თავის მამულით, უმამულო ქულიასშვილი წარბიასშვილის მამულითა, ჩორჩოტაძე თავის მამულითა“ და სხვ.[23].

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქულიასშვილი უმამულოს სახელით არის მოხსენიებული, თუმცა მას უჭირავს წარბიასშვილის მამული და ამ მამულიანად ერგო წილში ქაიხოსრო ჩიკოიძეს. მაშასადამე, უმამულო გლეხი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი უსათუოდ მოწყვეტილია საწარმოო საშუალებებს და არ ეწევა საკუთარ მეურნეობას. უმამულო გლეხთა უმრავლესობა საკუთარ მეურნეობას ეწევა. ისინი მიმართავენ მიწების საღალედ აღებას. მოცემულ ხანაში მებატონეებს მიწების საკმაოდ მოზრდილი ფონდი აქვთ, რომელსაც ნაწილ-ნაწილ გასცემენ თავიანთ ან სხვა მებატონეთა ყმებზე მოსახნავად, რისთვისაც მიწის ამღები მიწის მესაკუთრეს მოსავლის გარკვეულ ნაწილს აძლევს ღალის სახით. სათუმანიშვილო ყმების ერთ-ერთ ნუსხაში ჩამოთვლილი არიან ყმა-გლეხები და ბოლოს აღნიშნულია: „ესენი უმამულოთ დაეწერნენ. მწერალთ მამული კითხეს და ხალხმა უთხრა, ჩვენ მამული არა გვაქვსო. ზოგი დღისას მოვხნამთ, ზოგნი სამისას და ზოგნიც ხუთისას და ბატონს ღალას ვაძლევთო და ზოგნიც ფეიქრათ დაეწერნენ ასე“[24]. XIX ს. დასაწყისს შედგენილ კამერალურ აღწერილობებში ხშირია გლეხები, რომელთაც მიწები არა აქვთ. ასეთი გლეხების შესახებ ნათქვამია იქვე— „пашут землю за галлу“

---

17 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, 6 6354.
18 იქვე, ფ. Hd, № 7259.
19 იქვე, ფ. Hd, № 1491.
20 საქ. ც. არქ. ფ. 1448, № 2972.
21 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, 6 10561.
22 იქვე, ფ. Qd, 2171.
23 საქ. ც. არქ., ფ. 1450, დავთ. № 28, საბ. № 227
24 ხელნ. ინსტ., ფ. Hd, № 10239.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი გლეხები, რომელნიც სხვის მიწებს ხნავენ საღალედ XVIII საუკუნის ორე ნახევრის საბუთებში მრავლად გვხვდებიან.

ღატაკი და უმიწაწყლო გლეხების გვერდით არსებობენ შეძლებული და მდიდარი გლეხებიც. არაიშვიათია ისეთი გლეხები, რომლებიც სისტემატურად ეწევიან მიწების შესყიდვას, ყიდულობენ თაობიდან თაობაში. ასეთი გლეხია, მაგალითად, ხაშარაძე. ამ საგლეხო სახლის შესყიდვებს შეგვიძლია თვალი გადავავლოთ XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული. ამ დროს ხაშარაძე შერმაზან თავის ძმასთან იოთამთან ერთად განუწყვეტლივ ყიდულობს მიწებს: 1680 წელს მან იყიდა 2 დღის სახნავი მიწა[25], 1681 წელს 1 დღიური სახნავი[26], 1682 წელს ყიდულობს მიწას და კიდევ კალოსაბძელს[27], 1664 წელს 3 დღის მიწას[28], 1687 წელს სარწყავის მიწას „მისის მოუწყვეტელის სარწყავის რუთა, სახნავი დღენახევრის ზომის დღიურისა“ თავისივე ბაგის გვერდით[29], აგრეთვე, ამავე წელს, თავისი ვენახის ბოლოს ყიდულობს ძირის სახნავ მიწას 2 დღიურის ზომისა[30], ყიდულობს აგრეთვე დღენახევრის სახნავ მიწას გძელაში (ეს უთარიღო საბუთია)[31]. 1710 წელს შერმაზან ხაშარაძე, ჩანს, აღარაა ცოცხალი და მისი ძმა იოთამი აგრძელებს ყიდვას. იგი 1710 წ. თავის ძმისწულებთან ერთად ყიდულობს თითო დღის მიწის ორ ნაკვეთს[32], 1724 წელს უკვე იოთამის ძმისშვილი გიორგი შერმაზანის ძე ხაშარაძე განაგრძობს ამავე საქმიანობას. ამ წელს ის ყიდულობს 1 დღის მიწას[33], 1727 წელს ორ წილს ჯომარდურ მიწას[34], კიდევ ამავე წელს 1 დღის მიწას[35] ერთისაგან და 1 დღის მიწას მეორისაგან[36] და ერთნახევარი დღის მიწას მესამისაგან[37]. მასვე სხვადასხვა დროს აქვს ნაყიდი ერთი დღის მიწა ღვინიაშვილისაგან[38], ფხაკაძისაგან მისი კერძო მესამედი მიწა[39], ბოლიასშვილისაგან ერთნახევარი დღისა[40], ელიაშვილისაგან ერთნახევარი დღის მიწა და საწისქვილო[41], ვაროშასშვილისაგან კიდევ ერთნახევარი დღის მიწა[42] და სხვა. ხაშარაძე საციციანოს გლეხი ჩანს.

ჰართალია, სყიდვის ობიექტები მეტად მცირეა ზომით, თითო ნასყიდობა დღენახევრის, ორ დღიურ მიწას არ აღემატება, მაგრამ მათ სისტემატური ხასიათი აქვთ და ჩანს, რომ ამ გლეხის მეურნეობა ურყევ კეთილდღეობას განიცდის თაობათა მანძილზე. სამწუხაროდ სხვა, უფრო კონკრეტული მასალები

---

25 საქ. ც. არქ. ფ. 1448, № 8770.
26 იქვე, № 8772.
27 იქვე, № 8779.
28 იქვე, № 8753.
29 იქვე, ფ. 1449, № 996.
30 იქვე, ფ. 1448, № 8765.
31 იქვე, № 8766.
32 იქვე, ფ. 1448, № 8777.
33 იქვე, № 8764.
34 იქვე, № 8773.
35 იქვე, № 8768.
36 იქვე, № 8778.
37 იქვე, ფ. 1449, № 997.
38 იქვე, ფ. 1448, № 8781.
39 იქვე, № 8780.
40 იქვე, № 8776.
41 იქვე, № 8774.
42 იქვე, № 8771.

ამ გლეხების მეურნეობის შესახებ არ შეგვხვედრია და არც ის ჩანს, თუ რა მდგომარეობაში იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვენთვის საინტერესო ხანაში.

კიდევ ერთი ასეთივე მაგალითი. წოდორელი გლეხი მღვდელი შიო მარკოზაშვილი, XVIII ს. მთელი პირველი ნახევრის მანძილზე სისტემატურად იძენს მიწებს. 1710 წელს შიო მღვდელი ყიდულობს ნაფუძარს[43], 1712 წელს უღალო მიწას კოდაზე[44], 1717 წ. მიწას თავის ვენახის ახლოს[45], 1718 წ. ნახევარი დღის მიწას რუს პირს[46]; ოთხ ადლ მიწას რუსთან და თავის საბძლის კართან[47], ბოსტანს[48], 1719 წ. მიწას ახოებში[49], დემეტრე გოგინაშვილისაგან ვარდის წყაროს უღალო მიწას[50], 1720 წ. ერთი დღის მიწას თავის ვენახთან[51], 1724 წ. ნახევარი დღის მიწას უღალოთ[52], აღდგომელა მირზაშვილისაგან კიდევ ვარდის წყაროს მიწას, აგრეთვე უღალოს[53], 1 დღის მიწას თელადგვერდს[54], 1727 წ. 2 დღის მიწას[55], ნახევარი დღის მიწას თავისი მიწისა და ვენახის გვერდით[56], 1729 წ. ნაფუძარს კალოს პირს[57], 1732 წ. მიწას საწისქვილოს ხევზედ ნაზვარს[58], კიდევ მიწას[59], ბორბალას ერთი დღის მიწას[60], 1733 წ. საწისქვილო მიწას ვენახის ხევზედ[61] და კიდევ XVIII ს. 30-იანი წლების დასასრულამდე სხვადასხვა დროს ლისს ნავენახრობს საწნახლით, ქვევრით უღალოდ და უკულუხოდ[62], ნაფუძარს თავის ვენახის კართან[63], მიწას[64], ნაფუძარს[65], გარიყულას მიწას[66], საგლეხო მამულს[67], მიწას თავის წისქვილის პირს უღალოთ[68], 1 დღის მიწას[69]. შემდგომი ბედი ამ შეძლებული გლეხისა, რომლის მამული, როგორც ამას ნასყიდობის წიგნები მოწმობენ, ძირითადად ნასყიდი მიწებისაგან შედგება, სამწუხაროდ,

---

[43] იქვე, № 8769.
[44] ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 9037 რივ.
[45] იქვე, ფ. Sd, № 100.
[46] იქვე, ფ. Sd, № 102.
[47] იქვე, ფ. Sd, № 4093.
[48] იქვე, ფ. Sd, № 93.
[49] იქვე, ფ. Sd, № 103.
[50] იქვე, ფ. Sd, № 814.
[51] იქვე. ფ. Sd, № 104.
[52] იქვე. ფ. Sd. № 115.
[53] იქვე, ფ. Sd. № 118.
[54] იქვე, ფ. Sd, № 119.
[55] იქვე, ფ. Sd, № 125.
[56] იქვე, ფ. Sd, № 120.
[57] იქვე, ფ. Sd, № 121.
[58] იქვე, ფ. Qd, № 9037 რივ.
[59] იქვე, ფ. Sd, № 253.
[60] იქვე, ფ. Sd, № 245.
[61] იქვე, ფ. Sd, № 250.
[62] იქვე, ფ. Ad, № 1007.
[63] იქვე. ფ. Sd, № 251.
[64] იქვე, ფ. Sd, № 257.
[65] იქვე, ფ. Qd, № 9037 რივ.
[66] იქვე, ფ. Sd, № 247.
[67] იქვე, ფ. Sd, № 246.
[68] იქვე, ფ. Sd, № 231.
[69] იქვე, ფ. Sd, № 98

ჩვენთვის ცნობილი არ არის გარდა იმისა, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის მასალების მიხედვით იგი თუმანიშვილთა ყმა-გლეხია[70].

შეძლებული გლეხის ერთი მაგალითი ვლინდება მდივან ბეგ იასე ამილახვრის სასამართლო განაჩენის მიხედვით. ეს საბუთი შეეხება ნიქოზის საეპისკოპოსო ეკლესიის მამულების გამოძიებას. ნიქოზელ ეპისკოპოსს დავითს „ეკლესიის მამულების განბნევის საჩივარი“ მოეხსენებინა მეფისათვის და მეფესაც ამ მამულების გამოძიება ებრძანა. აღმოჩნდა, რომ ეს მამულები „ერთს ახალ სახასოს მჭედლიძეებს თამაზას, ბასილას, გრიგოლას, დემეტრეს, მღუთიასა და ზაქარიას“ შეესყიდათ. მჭედლიძეებს ნასყიდობის სიგელები მოატანინეს და ვერც ერთ სიგელში, როგორც მოსამართლენი აღნიშნავენ, „ხლათი ვერა ვნახეთ რაო“ „და ჰ(ეშმარი)ტი ალალ ახი მონასყიდენიც ყოფილიყუნენ ჩვენის მიწთომის გაშინჯვით“-ო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვინაიდან მიწები საბოლოო ჯამში ეკლესიისა იყო, მჭედლიძეს ეკლესიის გადასახადი უნდა დასდებოდა, დალა-კულუხი. მჭედლიძე, მართალია, აცხადებდა, რომ „კულუხი და ბარა ჩემთვის დიდი სიხარულიაო“, მაგრამ, საქმის შემდგომი ვითარება საფუძველს გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ ამ სიხარულის გულწრფელობაში. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეკლესიის მიმართ ვალდებულებები გლეხს სულაც არ აწყობს და მან არჩია ნაწილი თავისი ნასყიდი მამულებისა ეკლესიას დაუბრუნოს უსასყიდლოდ, რათა ამ გზით თავი დააღწიოს ეკლესიის ვალდებულებებს. „ამაზე, ნათქვამია სამართლის წიგნში, მისმა ღირსებამ გამორჩევით, რაც ენებებოდა მამულები გამოირჩია, ესენი წმინდას ეკლესიას დაუდეო. მჭედლიძე ამაზე დიდათაც შეწუხდა, მაგრამ, რადგანაც მისმა ღირსებამაც ინება, აღარც ჩვენ მოვეშვენით და მივართმევინეთ წმინდს მღუთაებისათვის ეს მამულები, რომელიც ამის ქვემო დაიწერებიან თვითეულად: გვარამაძის მოსყიდული ვენახი მჭედლიძემ მიართვა თავის ვენახის გვერდზე პ(ირვე)ლი, მეორე—კვიწინიძის მოსყიდული ვენახი, მესამე—ნაზურევს აქეთ შარამდინ, მეოთხე—კვაღინიძის ნავენახარი თავისის ქვევრითა და მარნითა, მეხუთე—ანიაშვილისეული წისქვილი. ესენი ყველა თავიანთ ნასყიდობის სიგელით წმინდას მხუთაებას მისი ღირსებამაც ნიქოზელს მიართვეს მჭედლიძეებმა და მისმა ღირსებამაც ამათ ბარასა და კულუხზე ხელი აიღო“[71]. იმ მამულების ნუსხა, რომელიც მჭედლიძემ ეკლესიას დაუბრუნა, საკმაოდ სოლიდურია—3 ვენახი, 1 ნავენახარი ქვევრითა და მარნით, 1 წისქვილი. ამ დაბრუნებულს გარდა მჭედლიძეს ამაზე მეტი, უნდა ვიფიქროთ, სხვა ნასყიდობაც ექნებოდა.

არიან გლეხები, რომლებიც 100 დღიურამდე მიწას ფლობენ. ასე მაგალითად 100 დღიურზე მეტის მფლობელად აცხადებს თავს გლეხი დავალიძე. მართალია, მისი მამულის ხელში ჩაგდებას ცდილობენ თარხნიშვილები, მაგრამ სამართლის გზით ეს გლეხი ახერხებს დაამტკიცოს, რომ სადავო მამული მისი საკუთრებაა, რომ მეფე კონსტანტინეს წყალობის წიგნით „მისთვის კავთისხევში ასის დღის მიწა თავისის ხოდაბუნებიდამ უბოძებიავო და ახაშემი ზვარი და ზვართ კარის ნაფუზრის ნახევარიო“. სამართალმა გამოჰყო მოხელეები, რომლე-

---

[70] შიო მღვდლის ნასყიდობის წიგნები თუმანიშვილებს შეტანილი აქვთ თავიანთი საგვარეულო საბუთების პირების დავთარში (ხელნ. ინსტ., ფ. Qd, № 9037) ასეთი სათაურით: „ჩვენის ყმის ხუციშვილის წოდორეთს ნასყიდობის სიგლები“. გარდა ამისა, თუმანიშვილების წოდორეთს მსახლობელ ყმათა ერთ ნუსხაში (XVIII ს. დასასრული) იხსენიება ხუცესი შიო თავის მამულით და ნასყიდობით. ეს ხუცესი შიო, ვფიქრობთ, შიო მღვდლის შვილიშვილია.

[71] ხელნ. ინსტ., ფ. Qd № 6909.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც ადგილზე, კავთისხევს მოვიდნენ. დავალიძის მოდავე ბეცია თარხნიშვილი დავალიძის ბატონი დათუა თარხნიშვილი და თითონ დავალიძე ერთად შეჰყარეს. დავალიძემ მეფე კონსტანტინეს წყალობის წიგნი მოიტანა და იქ აღნიშნული მიწები ყველა სათითაოდ გაარჩიეს და დავალიძეს მისი კუთვნილი მიწები დაანებეს[72].

ზურაბ თუმანიშვილის ყმები მარღიშვილი ივანე და ბერი ორნი ძმანი არიან უცოლშვილონი. როგორც ერთ არზაში სხვათა შორის აღნიშნავენ, მათ წელიწადში 300—400 კოდი პური მოსდით[73]. 400 კოდი 1000 ფუთს უდრის. პურის ღალა სათუმანიშვილოში, ჩვეულებრივ, მოსავლის მეექვსედს შეადგენდა. გადასახადის ეს რაოდენობა რომ გამოვაკლოთ, მარღიშვილებს წელიწადში 830 ფუთი რჩებათ, რაც დღეში 2 ფუთზე მეტს შეადგენს. ორი ფუთი ორი კაცის დღიურ საზრდოდ, რა თქმა უნდა, მეტის მეტია. აშკარაა, რომ მათ მოსავლის დიდი ნაწილი გასასყიდათ გააქვთ, რითაც ისტუმრებენ სხვა ხარჯებს და, უეჭველია, შემოსავლის გარკვეული ნაწილი ყოველწლიურ მოგებას აძლევს.

გლეხთა შორის დიფერენციაციის არსებობას მრავალი საბუთი მიუთითებს. სოფლად არსებობენ დაწინაურებული, უფროსი ყმები, ე. ი. ყმა-გლეხთა ზედაფენა. იოვანე თაქთაქიშვილთან ახლად მოსული ყმა ბატონყმობის წიგნში ასეთ გამოთქმას ხმარობს: „...თქვენ ჩვენზე უღირსი წყალობა მიიღევით, თქვენის სოფლის უფროსის ყმის სახლში ჩაგვაყენეთ...“ როგორც საბუთის შემდგომი ტექსტიდან ჩანს, ეს „სოფლის უფროსი ყმა“ მსახურია[74]. ზედა ფენას მოსდევენ საშუალო გლეხები. სოლომონ ციციშვილს ყმა-მამულის გაყოფის დროს წილად ერგო „საშუალო გლეხი“[75]. უკანასკნელ, მესამე საფეხურზე დგას „მდაბალი“ გლეხი. ესენი, ჩვეულებრივ, ბოგანო გლეხებია. სასამართლო განაჩენით ჯანასლან ჩერქეზიშვილის დედას სარჩოდ მიეცა „ავთანდილის ყმებიდამ ერთი თავისი მსახური თოროზაშვილი და მეორე ერთი კომლი საშუალო გლეხი“. იქვე, უფრო ქვევით, ნათქვამია—„ამ ორს კომლს გარდა ერთი ბოგანო მდაბალი კაციც უნდა მიეცეს ავთანდილის წილობის საყმოდამ“[76]. ამრიგად, გლეხობა ამ სამ ძირითად ფენად იყოფა—„უფროსი“, „საშუალო“ და „მდაბალი“.

გლეხთა მამულებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა XVIII ს. დამლევს ანდა XIX ს. დამდეგს შედგენილი ერთი და იგივე ხელით დაწერილი ორი ნუსხა[77]. აქ 60-მდე გლეხია აღნუსხული და მოცემულია ცნობა, თუ საკომლო მამულის რა ნაწილს ფლობს თითოეული გლეხი. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მთელი საკომლო უკავია სულ რამდენიმე გლეხს. 60 გლეხიდან მხოლოდ 5-ს აქვს მთელი საკომლო. გლეხთა მოზრდილი ნაწილი (21 კომლი) ნახევარ საკომლოზე მოსახლეობას, უფრო მეტს კი (დაახლოებით 30 კომლს) ნახევარ საკომლოზე ნაკლები, საკომლოს მესამედი, ზოგჯერ მეცხრედი უჭირავს ანდა სრულიად უმამულოცაა.

ნუსხა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასალას იძლევა ბოგანოს ეკონომიური მდგომარეობის დასახასიათებლად. ისეთი გლეხი, რომელიც სრულიად

---

[72] ხელნ. ინსტ., ფ. Hd № 7704.
[73] ხელნ. ინსტ., ფ. Hd, № 8427.
[74] „ ფ. Sd, № 14252.
[75] საქ. ც. არქ., ფ. № 1450, დავთ. № 42, საბ. № 305.
[76] იქვე, დავთ. № 33, საბ. № 254.
[77] ხელნ. ინსტ., ფ Sd, № 4950 და 4330, დასახლებული გეოგრაფიული პუნქტების (გარეჯვარი, რეხა) მიხედვით ეს ნუსხები თუმანიშვილების გლეხების ნუსხა უნდა იყოს.

უმამულოდ არის ნაჩვენები, ნუსხაში ბოგანოდ იწოდება. ასეთია: „ბოგანო ძამელაშვილი“, „ასაფაშვილი ბოგანო“, „ამისი განაყოფი ბოგანო“, „ბოგანო შოშიტა“, „ბოგანო ხუცესი“, მაგრამ ბოგანო ეწოდება ისეთ გლეხსაც, რომელსაც მცირე მამული აქვს და მათ შორის ისეთსაც, რომელსაც ვაზიანი ადგილი უჭირავს, ბაგა აქვს. ასეთია—„ძამუკაშვილი ბოგანო. ერთი ბაგა აქვს“, ანდა—„მეგრელი—ბოგანო, ნასყიდი ბ დღისა“, „იასონაშვილი ბოგანო ნასყიდზედ, 3 დღისა“. ამ უკანასკნელ ბოგანო გლეხს, როგორც ვხედავთ, 6 დღიური ნასყიდი მიწა აქვს. ნუსხაში კი არიან ისეთი გლეხებიც, რომელთაც ამაზე მცირე ზომის მამული, მაგალითად, 4 დღის ნასყიდი მიწა უჭირავთ, მაგრამ ბოგანოდ არ იწოდებიან. და ეს იმიტომ, რომ ბოგანო არა მხოლოდ ეკონომიური კატეგორიაა, არამედ სოციალურიც. გლეხი, რომელიც თაობიდან თაობაში მოკლებულია მამულს, ანდა უაღრესი მცირემიწიანობით გამოირჩევა, იმდენად, რომ თავის საგადასახადო ვალდებულებებს სრული შესაძლებლობით ვერ ასრულებს, ბოგანო შეერქმა. ზოგიერთ საბუთში ბოგანო გლეხი, როგორც უმამულო, მამულის მქონე გლეხს უპირისპირდება სრულიად გარკვევით. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ წილის ბარათში ნათქვამია: „ერგო რევაზ მოურავს და მის ძმებს საუფროსოში რვას ბოგანოში და ოთხს მამულიანს კაცში მჭედლიძე იასე მამულით ნასყიდით და უსყიდით“[78].

ზემოთ მოტანილ ნუსხაში ნახსენებია მეტად დამახასიათებელი ეკონომიური ტერმინი—საბოგანო, ე. ი. მამული, რომელზე მოსახლე გლეხსაც ბოგანო ეწოდება, ან უფრო სწორედ, ისეთი ზომის მამული, რომელიც ბოგანოს უკავია ჩვეულებრივ. საინტერესოა, რომ ნუსხაში მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საბოგანოზე მოსახლე გლეხი ბოგანოდ არ არის ნახსენები. ეს ამაგრებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს ბოგანოს სოციალურ-ეკონომიური შინაარსის შესახებ. საბოგანოზე მოსახლე გლეხს ნუსხისა („მამასახლისის საბოგანოზედ დათუნა“) ბოგანო იმიტომ არ ეწოდება, რომ იგი არ არის ამ საბოგანოს მფლობელი თაობიდან თაობამდე, მას მხოლოდ სხვისი საბოგანო უჭირავს. ეს მისი დროებითი მდგომარეობაა, ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარდამავალ საფეხურზე დგას.

საბოგანო, როგორც ასეთი, ტერმინი სხვა საბუთებშიც არაიშვიათად გვხვდება ხოლმე. თუმანიშვილთა ყმა-მამულის გაყოფის წიგნში, მაგალითად, აღნიშნულია, რომ ერთ გლეხს აკლდა სახნავი მიწა და მას დაუმატეს „ფიფინას და ჭუტიკას-შვილების“ საბოგანო და ამით 12 დღის მიწა შეუსრულეს, როგორც ეს სხვათა წილის ყმა-გლეხს ქონდა[79].

ტერმინი „საბოგანო“ დ ზოგიერთი სხვა მონაცემები შესაძლებლობას იძლევა ერთი ვარაუდის გამოთქმისა. მართალია, აღებულ ხანაში, ბოგანო უკვე მკვიდრი გლეხია[80], იგი ისევეა მიმაგრებული თავის მიწაზე და ბატონზე, როგორც სხვა მკვიდრი გლეხები, მაგრამ თავისი წარმოშობით, როგორც ცნობილია, ბოგანო მოსულ გლეხს აღნიშნავს. ასეთია იგი ისტორიულად. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, რომ მის ამგვარ წარმოშობასთან დაკავშირებული ზოგიერთი თვისება გარდმონაშთის სახით ამ დროსაც არის ჯერ კიდევ ძალაში. შესაძლოა, მაგალითად, რომ ბოგანო სოფლის საერთო საკუთრებაში (როგორიცაა, მაგალი-

[78] იქვე, ფ. Hd, № 8620.

[79] ხელნაწ., ინსტ., ფ. Hd, № 4425.

[80] გ. აკოფაშვილი, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII—XVIII სს. აღმ. საქართველოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 35, 1961.

თად, საერთო საძოვრები, ტყე და სხვ.) სხვა მკვიდრ გლეხებთან თანასწორად უფლებებით არ სარგებლობდეს[31]. ასეთი ვარაუდის დამადასტურებელი რაიმე პირდაპირი საბუთი აღებული ხანის მასალებში ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ, მაგრამ ზოგიერთი არაპირდაპირი მითითება კი ამგვარი დაშვების შესაძლებლობას თითქოს იძლევა. ასე, მაგალითად, ტერმინი „საბოგანო“ შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ეს არის ისეთი მამული რომლის მფლობელი სხვა სასოფლო საკუთრებაში არ მონაწილეობს.

გარკვეულ წარმოდგენას გლეხის ქონებრივ შეძლებაზე იძლევიან გლეხთა გაყრილობისა ანდა შეყრილობის წიგნები. აი, ერთი მაგალითი: ამილახვრიანთ ყმები ღვთისიაშვილები იყრებიან და იყოფენ მამულს, რომელიც შეიცავს შემდეგს: „ბატონის ზვრის თავში მიწა დღიური სამი“, „ქარუმიძის ზვრის ბოლოს მიწა დღიური ოთხი“, „იმავე მიწის ბოლოს კარზე მოკვრით დღიური ხუთი“. ეს 12 დღიური მიწა შუა გაიყვეს ფარსადან და ხოსია ღვთისიაშვილებმა. გარდა ამისა, ხოსიას ერგო: 2 დღიური ნასყიდი მიწა პაპიასშვილისაგან მოსყიდული, შავნადირასშვილის ვენახთან ნასყიდი მიწა 1 დღიური. ამავე რაოდენობის ნასყიდი მიწები ერგო ფარსადანსაც. შუა გაიყვეს კიდევ რუებს შუა მიწა 6 დღიური, კიდევ სხვადასხვა ადგილას: ნავენახობი 2 1/2 დღისა, 2 ვენახი თავის მარნით, ნამარნალი, 1 დღის ნასყიდი მიწა მარნით, კიდევ ერთი ვენახი. გარდა ამისა, ფარსადანს კიდევ ჰქონია საკუთარი მიწები, „რომელშიაც ხოსიას და იმის ჩამომავლობას წილი არა აქვს და საკუთრივ ფარსადანასია“. ესენია: „ლეხურას პირზე ნავენახობი მამულაშვილისაგან მოსყიდული“, „ჭალიასშვილისაგან მოსყიდული ნავენახობი“, „ამავ ჭალიასაგან მოსყიდული მიწა დღიური ერთი“, „ავბეწოშვილისაგან მოსყიდული ნავენახობი თავისის მარნით“, „გზირიშვილისაგან მოსყიდული მიწა დღიური ორი“, „ბატონის ზვრის თავს იქითკენ მიწა დღიური ცხრისა“. მაშასადამე, ფარსადანას კიდევ ჰქონია 12 დღიური მიწა და კიდევ 3 ნავენახობი[82]. ამრიგად, ფარსადან ღვთისიაშვილი გაყრის შემდეგ დაახლოებით 26 დღიური მიწის, 3 ნავენახობისა და ერთი თუ ორი ვენახის მფლობელია. ჩვენი მასალების მიხედვით ეს, ცხადია, შეძლებული საგლეხო კომლის მამულია.

ხელთ გვაქვს ოღლანას და მისი შვილების ფოცხვერისა და ელიოზის პაპუნასთან შეყრილობის წიგნი. ეს ორი გლეხი ძმათ შეყრილან და თავიანთი ქონება გაუერთებიათ. ესაა: ცხენი, იარაღი, პური, ღვინო და მიწები. პაპუნას შემოუტანია: 12 კოდი პური (ეს მომხდარა შიმშილობის წელიწადს), 3 დღის ყანა, 5 საპალნე ქვევრი ღვინით სავსე, 15 მარჩილი თეთრი, 4 სული ცხვარი და 1 ჯარი, 3 ჩარექი მატყლი, ჩარექნახევარი ბანბა[83].

საინტერესოა ერთი ცნობა XVIII ს. საქართველოში მდიდარი გლეხების არსებობის შესახებ. მართალია, ეს ცნობა ზეპირგადმოცემას ემყარება და უეჭველია, რამდენადმე გადაჭარბებული უნდა იყოს, მაგრამ არსებითად იმდროინდელ ვითარებას მიახლოებით მაინც გამოხატავს. ცნობა დაცული აქვს ალ. ორბელიანს წერილში „უწინდელი დროს ბატონ-ყმობა საქართველოში“. ალ. ორბელიანს მოთხრობილი აქვს ერთი შემთხვევა სოფ. ბილნისს მცხოვრები მდი-

---

[81] ბოგანოს ამ თვისებებზე ყურადღება მიგვაქცევინა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა.

[82] ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd. № 9471.

[83] იქვე, ფ. Ad, № 372.

დარი გლეხის, ყაფლანიშვილების ყმის აკულაშვილის ცხოვრებიდან. ეს-ამბავი ღახვედრია სოფელ ბოლნისზე მიმავალ მეფე თეიმურაზ II-ს თავისი ჯარით და შინ მიუწვევია. აკულაშვილს მრავალრიცხოვანი გაუყრელი ოჯახი ჰყოლია, მისი სახლი მრვალი დარბაზისაგან ყოფილა შემდგარი „სულ მშვენიერი ორხუებით და ქეჩებით მოფენილი". აქ მოუთავსებია აკულაშვილს მეფე თავისი ამალით, ხოლო ჯარი კი სოფელში გაუნაწილებია თავის ხარჯზე. 3 დღე და ღამე შეუნახავს მას მეფე თავისი ჯარით. სადილ-ვახშმათ სუფრა სულ სხვადასხვა ცერცხლის სასმისებით იყო მოფენილი. ღამე ყველასათვის სათითაოდ ქვეშაგები გაუშლია აკულაშვილს თავისი „სახლეულობის საქვეშაგებოდან, ზოგი ზარიანი ფარჩისა და ზოგი ყალანჭრისა. ხავერდის დორებს და ხავერდის მუთაქებს ხომ ანგარიში არა ქონია, ავდენი ყოფილა". როდესაც მეფე თავისი ჯარით შინისაკენ დაადგა „მოხუცებულს აკულაშვილს დაუძახნია თავის სახლეულობისათვის— რაც მარნებში ქვევრებია, ეხლავ დახადეთ, მეფე გავაცილოთო. დახვევიან ქალი, კაცი, ბევრი მოჯამაგირეები და ორღობეში მიუშვიათ ღვინო, სადაც მეფე მიბძანებულა ჯარით. ღვინო ნიაღვარსავით წასულა და ჯარისათვის ჩაუვლია შუაში. მეფე დამდგარა, უკითხავს, რა ამბავია, რომ შიგ მივდივართ ამ ღვინოშიო? ყაფლანიანთ მოუხსენებიათ—შენი ჭირმე. აკულაშვილი ღვინით გაცილებსო". ავტორი ბოლოს ასეთ ცნობასაც იძლევა: „ამ აკულაშვილს ჰქონია ვაჭრობა: ოსმალოში, სპარსეთში და მთელს საქართველოში. გარდა ამისა, იმის ჩვიდმეტს გუთანს უხნავს ჯილღზედ და იმისი მოსავალი უმკია. დიდი მდიდარი ყოფილა და დიახ პურ-მარილიანი". და ბოლოს დასძენს: „სამუხრანოში ერთი მუხრანის ბატონის კაცის სიმდიდრე გამიგონია და ურიგო არ იქნება, იმათმა ბატონებმა მოგვითხრან იმ კაცის სიმდიდრე, ვინ იცის, რამდენი ამგვარი მდიდრები იქნებოდნენ საქართველოში, რომელთაც სახელი დაკარგულია სრულიად".[84].

ამ მონათხრობში საინტერესოა ცნობა მოჯამაგირეების შესახებ, ამ გლეხს რომ ჰყოლია. ასეთი გლეხების არსებობა, რომელნიც მოჯამაგირეებს ქირაობენ და თავიანთი გლეხებიც კი ჰყავთ, სხვა მასალებითაც დასტურდება[85].

გვხვდებიან გლეხები, რომელთაც საკუთარი ძალები არც კი ყოფნით მიწების დასამუშავებლად და თავიანთ მიწის ნაკვეთებს სხვებზე გასცემენ საღალედ[86], გვხვდებიან გლეხები, რომელნიც სისტემატურად აძლევენ ფულს სესხად[87].

ი. ანთელავას თავის წიგნში „Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX в. საინტერესო ცნობები აქვს თავმოყრილი სახელმწიფო გლეხთა მიწებით უზრუნველყოფის შესახებ XIX ს. პირველი ათწლეულების საქართველოში. შეჯამებულია ცნობები XIX ს. დამდეგს რუსეთის ხელისუფლების მიერ შედგენილი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობებისა და გამოტანილია დასკვნა, რომ სახელმწიფო გლეხები რეფორმამდელი ხანის საქართველოში, XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე მიწების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ავტორის დასკვნით, მიწების ეს ნაკლებობა თანდათან კიდევ უფრო მწვავდება საერო და საეკლესიო ფეოდალთა მხრიდან საგ-

---

[84] ალ. ორბელიანი, უწინდელი დროს ბატონყმობა საქართველოში.

[85] ხელნ. ინსტ., ფ. Hd, № 14239; ფ. Ad, № 2131, საქ. ც. არქ., ფ. 1450, დავთ. № 26, საბ. № 66; ფ. 1440, № 751.

[86] ხელნ. ინსტ., ფ. Hd, №№ 2114, 5219 და სხვ.

[87] მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, ნ. II, საბ. № 251 და სხვ.

ლეხო მიწებზე, ე. ი. სახელმწიფო მიწებზე მიძალების გაძლიერებასთან ერთად, რაც სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებასთან არის დაკავშირებული. ნაშრომში მოტანილია და განხილული, როგორც XIX საუკუნის 20—30-იანი და 30—50-იანი წლების მასალები, ისე XIX საუკუნის დასაწყისის. პირველი ათეული წლების მასალებიც. ეს უკანასკნელი ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა, რამდენადაც მეტად ახლოსაა ჩვენთვის საინტერესო ხანასთან და თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გლეხთა მიწების უზრუნველყოფის დასახასიათებლადაც. დასახელებულ ნაშრომში მოტანილია ცნობები, რომელსაც 1803 წელს შედგენილი ქართული სახელმწიფო სახლის ყმა-მამულის აღწერილობები შეიცავენ. ამ აღწერილობათა მიხედვით, ერთი საგლეხო კომლის მფლობელობაში მყოფი მიწის რაოდენობა საშუალოდ ორ დესიატინას (დესიატინა=ნახევარ დღიურს) ძალიან იშვიათად აღემატება, ხოლო ჩვეულებრივ ორ დესიატინასაც ვერც აღწევს. ამავე ნაშრომში მოტანილია აგრეთვე 1811 წ. შედგენილი აღწერილობა, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს სახელმწიფო გლეხთა მიწისმფობელობის დასახასიათებლად, ეს ცნობებიც გლეხთა მცირემიწიანობაზე მეტყველებენ. საშუალოდ საგლეხო კომლი 1—2 დესიატინას ფლობს (გამონაკლისს შეადგენს კახეთის ზოგიერთი სოფელი, სადაც ზოგჯერ თითო კომლზე 7—10 დესიატინა მოდის)[88].

ეს სტატისტიკური მასალები, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული დასახელებულ ნაშრომში, იძლევიან მხოლოდ საშუალო ციფრების გამოყვანის საშუალებას, რაც ჩქმალავს ცალკეულ საგლეხო კომლებს შორის არსებულ მიწის არათანაბარი განაწილების, ქონებრივი უთანასწორობის ფაქტებს. ხოლო თუ რა შორს იყო წასული გლეხობაში ქონებრივი დიფერენციაცია, ეს სხვა ხასიათის მასალებით და ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობით ნათლად დგინდება[89].

გლეხთა მცირემიწიანობის სურათს იძლევა XIX ს. დამდეგის ქართლის ერთ-ერთი მსხვილი სააზნაურო სახლის ფურცელაძეების ყმა-გლეხთა ნუსხის[90] საფუძველზე ჩვენს მიერ შედგენილი ცხრილები:

ამ ცხრილში* მოცემულია ცნობები 33 კომლი გლეხის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. გლეხთა უმრავლესობა მცირე რაოდენობის სახნავ მიწებს ფლობს. ერთი დღიურიდან 5 დღიურამდე მიწა 15 გლეხს აქვს, ე. ი. მთელი აქ აღწერილი გლეხების თითქმის ნახევარს, 10 კომლი 6-დან 10 დღიურამდე მიწის პატრონია და მხოლოდ 8 კომლია ასეთი, რომელსაც 10 დღიურზე მეტი მიწა აქვს. თუ რამდენად დიდია ეკონომიური დიფერენციაცია გლეხებს შორის, ჩანს იქიდან, რომ ამ ცხრილში აღწერილ გლეხებს შორის არის ისეთი კომლიც, რომელიც ოთხი სულისაგან შედგება და აქვს მხოლოდ ერთი დღიური სახნავი მიწა, ვენახი არ გააჩნია; არის ისეთი კომლიც, რომელშიც ორი სულია და ფლობს ერთ სამკვიდრო და ორ ნასყიდ ვენახს, ორ დღიურ სამკვიდრო და 1 1/2 დღიურს ნასყიდ სახნავ მიწას. ყველაზე დიდი სახნავი მიწა 20 დღიურიანია. ასეთი აქვს მხოლოდ ერთ კომლს, მაგრამ ეს კომლი 16 სულისაგან შედგება.

დაახლოებით იმავე ხანებშია შედგენილი იმავე მებატონის ყმა-გლეხთა მეორე ნუსხაც. ქვემოთ მოგვყავს ამ ნუსხიდან ამოკრებილი ცნობები:

---

[88] ირ. ანთელავა, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

[89] იქვე, გვ 209.

[90] ხელნ. ინსტ., ფ. Sd, № 2138; საქ. ც. არქ. ფ. 1448, № 9743.

* იხ. გვ. 136.

	სულთა რაოდენობა კომლში	ვენახი (სამკვიდრო)	ვენახი (ნასყიდი)	სახნავი მიწა დღიური (სამკვიდრო)	სახნავი მიწა დღიური (ნასყიდი)
ტეტია მახარაშვილი	4	2		3	
საბაშვილი სიმონა	8	2		10	
გიორგიშვილი ღთისია	6	1		8	1/2
„ პეტრე ძმით	6	1		10	1
აბრამაშვილი	3	1		5	
გაბრიელ გიორგიშვილი	5	1		41/2	
ბერი ქურთიშვილი	5	2		3	
მეცხვარიშვილი ბაირამა ძმებით	5	2		11	
პავლია გიორგიშვილის მამული სოსანა		1		5	
რევაზაშვილი	2	1		15	
აღდგომლიშვილი	4	1		4	
მარიამიძე	4	1		9	
შიო გლახაშვილი	6	1		1	7
სეხნია ელიაშვილი ძმებით	10	2		5	
გლახა გორგიშვილი	9	1	2	2	101/2
ბერი „	5	2		7	
სოსიკა „	2	1		9	
კაცია	1			5	
სვიანაშვილი სტეფანი	4	1		5	
კიდევ სვიანაშვილი	3	1		2	
დათუნა ელიაშვილი	1	1		3	
გოგია ქურთისშვილი	2	1	2	2	14/12
ანდრია ბაიაძე	4	1		2	
ივანე „	2	2		6	
გოგია გორგიშვილი	16	2		20	
გლახა „	5	2		11	
მაისურაძე	3	კვ.		4	
ნინიკი	5	1		6	
გიორგი ქებაძე	4	2		10	
ჯიალიძე გიგოლა	4			1	
ბერიკაშვილი	1	1			
ჩხიკვაძე	3	1		9	
	2	1		14	

ამ ცხრილის* მიხედვით გლეხთა მცირემიწიანობა უფრო მწვავედ იგრძნობა. აღწერილი 28 კომლიდან დიდი უმეტესობა 1-დან 5 დღიურამდე მიწის მფლობელია. ასეთთა რიცხვი 17-ია. 7 კომლი 6-დან 10 დღიურამდე სახნავ მიწას ფლობს და მხოლოდ 4 კომლია ისეთი, რომელსაც 11, 12, 14 და 17 დღიური მიწა აქვს. გარდა ამისა, თითქმის ყველას აქვს სხვადასხვა ზომის (1/2 დღიურიდან 2 დღიურამდე) ვენახი. განსაკუთრებით დაბალი ეკონომიური შესაძლებლობისაა კომლი, რომელშიც 11 სულია, ხოლო მიწა აქვს 1 დღიური და ერთი ვენახი 1 დღიურის ზომისა. ყველაზე „შეძლებულია“ კომლი, რომელშიც 10 სულია და ფლობს 17 დღიურ სახნავ მიწას და 1/2 დღიურიან ვენახს.

კამერალურ აღწერილობათა ცნობები XIX საუკუნის დამდეგისა გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის კიდევ უფრო მკვეთრ სურათს იძლევა. ასე მაგალითად, თელავის მაზრის კამერალურ აღწერილობაში გვხვდებიან ერთი მხრივ ისეთი გლეხები, რომელნიც 200 და უფრო მეტ დესიატინა სახნავ მიწებს ფლობენ ბაღ-ვენახების გარდა, მეორე მხრივ, არამცირეა გლეხები, რომელთაც არ გააჩნიათ არც სახნავი მიწა და არც ვენახი[91].

* იხ. გვ. 137.

[91] ე. ორჯონიკიძე, მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33. 1960, გვ. 217—232.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხის სახელი და გვარი	სულთა რაოდენობა		სახნავი მიწა (დღიურში)	ვენახი (დღიურებში)
	მამრ.	მდედრ.		
თამაზა ბლიაძე	9	5	41/2	1/2
გაბრო ბლიაძე	6	3	4	1/2
გლახა მარიამიძე	6	5	6	1 1/2
ნინიკა მარიამიძე	4	4	6	1 1/2
სოსე ლაზარეშვილი	4	2	5	1/2
ნინიკა სვანაშვილი	1	—	3	1/2
გაბრო გორგიშვილი	9	5	11	1
მოსე ბაიაძე	7	8	9	1
ნინიკა მაისურაძე	3	2	3	1/2
სოსანა კაპანაძე	2	2	14	1/2
გიორგი ქურთიშვილი	7	5	31/2	1 1/2
პავლე „	1	—	2	1
გლახა გორგიშელი	5	1	3	1/2
იაკობ „	2	3	3	1/2
გიორგი „	1	3	9	1
თამაზა მახარაშვილი	5	2	8	1
სოლომონ მახარაშვილი	8	3	9 1/2	1 1/2
ნინიკა აბრამიშვილი	3	4	6 1/2	1
ტეტია მახარაშვილი	3	2	4	1
ბაირამა მეცხვარიშვილი	9	9	12	4
ნინიკა „				
ტეტე „				
ტეტე რევაზაშვილი	1	2	3 1/2	1
დავითა	5	2	1 1/2	1
სოსე ქებაძე	5	6	1	1
შიო გლახაშვილი	4	4	5	1/2
ტეტო „	4	6	6	1
ტეტე ელიაშვილი	5	5	17	1 1/2
ანდრია ბაიაძე	3	3	5	1
ანდრია გლახაშვილი	3	4	4	1

უფრო ადრინდელი ხანის, XVIII ს. მეორე ნახევრის მასალებიც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აგრეთვე გლეხთა მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის სურათს იძლევიან. მცირე მიწიანსა და სრულიად უმამულო გლეხების გვერდით არსებობენ გლეხები, რომელთაც 100 დღიური (ანუ 200 დესიატინა) სახნავი მიწები აქვთ.

საინტერესოა შევადაროთ გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მათ მდგომარეობასთან უფრო ადრინდელ ხანაში. ამის ერთგვარ შესაძლებლობას იძლევა თუმანიშვილების ყმა-გლეხთა შესახებ არსებული მასალები. XVIII საუკუნის დასაწყისში (1717—19 წლებში) ხდება თუმანიშვილთა საგვარეულოს მორიგი გაყრა. იყრება ამ საგვარეულოს ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული ოჯახი, რომელიც XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დასაწყისში სამეფო კარის საკმაოდ ცნობილი მოხელის მდივან-მწიგნობრის გივი თუმანიშვილისა და მისი ბიძაშვილებისაგან შედგება. გაყრის დროს დაიწერა მათი ყმა-მამულის სრული ნუსხა, რომელმაც წილის ბარათების სახით მოაღწია ჩვენამდე. 1717—1719 წლებში შედგენილი ამ წილის ბარათების მიხედვით ყმა-გლეხთა უმრავლესობა თავიანთი მამულიანად არის განწილული. ასე მაგალითად, გივი თუმანიშვილს წილად ხვდა სხვადასხვა სოფელში 33 კომლი გლეხი ამათგან მამულიანია 32, უმამულო მხოლოდ ერთია. მის ბიძაშვილს მანუჩარს

თავის ძმისშვილებით ერგო 28 კომლი. ამათგან მამულიანი 25 და უმამულო 3 კომლი. ქარმიშს ერგო 28 კომლი—22 მამულიანი და 6 უმამულო, ქიშვარდ თუმანიშვილს ერგო 23 ყმა-გლეხი, აქედან 5 ყმა უმამულოა. მართალია, ნუსხაში არაფერია ნათქვამი თუ რა მოცულობის მამულები აქვთ მამულიანად წილში ჩავარდნილ ყმა-გლეხთ, მაგრამ მამულიან გლეხთა რიცხობრივი შეფარდება უმამულო გლეხებთან გარკვეული ინტერესის ღირსია, მით უმეტეს, რომ შესაძლებლობა გვაქვს ეს ცნობები შევუდაროთ მამულიან და უმამულო გლეხთა რიცხობრივ შეფარდებას უფრო გვიანდელ ხანაში, XVIII ს. მეორე ნახევარში. ასე მაგალითად, ციციშვილების, ზაქარიასა და დიმიტრი ნაზარის ყმათა ნუსხაში დასახელებულია 26 კომლი გლეხი თვალთუბანს, რუისს და ქარელში მოსახლე. ამათგან 19 უმამულოა, 4 ხიზანია და მხოლოდ 3 კომლია „მემკვიდრე“, ანუ, ამ შემთხვევაში, საკომლო მამულის მფლობელი მკვიდრი ყმა-გლეხი. ამავე ნუსხას ახლავს ციციშვილთა აზნაურების ყმა-გლეხთა ნუსხაც. ამ ყმა-გლეხთაგან უმამულო 6-ია, „მემკვიდრე“—ორი[92]. ყმათა ერთ-ერთ ნუსხაში (ქართლიდან) 58 კომლი ყმა- გლეხია აღწერილი, ამათგან 23 ბოგანოა[93]. ჯავახიშვილების, მზეჭაბუკისა და მისი ძმების სოფ. ხოველს მსახლობელ ყმა-გლეხთა ნუსხა 44 კომლ გლეხს შეიცავს. ამათგან უმამულოა 19, ბოგანოა 6, 13 ხიზანი და მხოლოდ 6-ია მეკომლე[94].

საინტერესოა გივი თუმანიშვილის ყმების ერთი პატარა ნუსხა, რომელსაც გამომცემელი 1700—1719 წლებით ათარიღებს[95]. ამ ნუსხაში მოცემულია ამა თუ იმ ყმა-გლეხის მამულის მოცულობა. სულ 19 კომლი გლეხია აღნუსხული. ამათგან ორია ბოგანო, რომელთაგან ერთს მხოლოდ და მხოლოდ 2 კვალი ვენახი აქვს, მეორეს კი მხოლოდ 3 დღიური მიწა. დანარჩენ 17 კომლს ყველას აქვს ვენახი და სახნავი მიწები, ზოგჯერ სათივე მიწებიც, სახნავი მიწა მხოლოდ ერთს აქვს 7 დღიური და ორს 9 დღიური, დანარჩენებს ყველას 10 დღიური ანდა ამაზე მეტი აქვთ. ორ კომლს ოც დღიურზე მეტიც აქვს—1-ს 21 დღიური, მეორეს 32 დღიური. ამ ნუსხის მიხედვით გივი თუმანიშვილის ყმები სახნავი მიწებით საკმაოდ უზრუნველყოფილი ჩანან. ხელთ გვაქვს ასეთივე ხასიათის კიდევ ერთი ნუსხა თუმანიანთ ყმებისა[96]. ეს ნუსხაც უთარიღოა, მაგრამ იქ დასახელებული გვარების მიხედვით დიდად არ უნდა იყოს დაცილებული ზემოხსენებულს. ამ ნუსხაში 9 კომლი ყმა-გლეხის მიწებია ჩამოთვლილი. ყველას აქვს რამდენიმე დღიური ვენახი. გარდა ამისა, ყველა ფლობს საკმაო რაოდენობის სახნავ მიწებს. 12 დღიურზე ნაკლები არც ერთს არა აქვს. არის 4 კომლი, რომელნიც 20 დღიურზე მეტ სახნავ მიწას ფლობენ—ერთი კომლი 24 დღისას, ორი —27-27 დღიურისას, ერთიც 30 დღიურის სახნავს. ამრიგად, ეს ნუსხაც თუმანიანთ ყმების მიწებით უზრუნველყოფილობაზე მეტყველებს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ XVIII ს. მეორე ნახევარში? სამწუხაროდ, ასეთი ხასიათის ნუსხა, სადაც ჩამოთვლილი იქნებოდა გლეხის მიწების რაოდენობა, ამ ხანის სათუმანიშვილო საბუთებში ჯერჯერობით არ შეგვხვედრია. მაგრამ ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობის საშუალებით შესაძლებლობა გვაქვს სათუმანიშვილო გლეხთა

---

[92] საქ. ც. არქ. ფ. 1449, № 868.
[93] იქვე, ფ. 1448, № 763.
[94] ხელნ. ინსტ., ფ. Sd № 8029.
[95] დოკ... წ. 1, № 153.
[96] ხელნ. ინსტ., ფ. Hd, № 14226.

სახნავი მიწებით უზრუნველყოფის დადგენა მიახლოებით. იმისათვის, რომ გლეხისათვის შეეწერათ გადასახადი ღალის სახით, თუმანიშვილები ყოველწლიურად ახდენდნენ დეტალურ აღწუსხვას იმისა, თუ რა მოცულობის მოსავალი „უდგია“ გლეხს მოცემულ წელს (გადასახადის ოდენობა ხომ მოსავლის ოდენობაზე იყო დამოკიდებული). აი, ერთ-ერთი ასეთი ნუსხა. იგი 1781 წელსაა შედგენილი:

„დ ჭ. დარჩიას-შვილისა ხარაზას-შვილის მიწაში გორაკასთან ყანა ურემი
გ ჭ. კიდევ თორტიზის გზაზედ გარდიგარდმო ყანა ურემი
იგ ჭ. ნასყიდს მიწაში სამეული
გ ჭ. ჩარუხას-შვილს იასეს ყანა ურემი
დ ჭ. კიდევ იასეს აქვს ტეტას-შვილის ნავენახობში აქვს ურემი
ბ ჭ. კიდევ იასეს აქვს ხარაზას-შვილის მიწებში ქერი ურემი
ა ჭ. ლელ(უ)ას-შვილს აქვს ყანა ურემი
ოე ჭ. ბაშინჯაღელს ქერი სამეული
ვ ჭ. აბდულანთ ხოდაბუნში ციხის თავის ჯალაბისა ადომელასი ყანა ურემი
ბ ჭ. აბდულანთ ხოდაბუნაში ბერდიკელს აქვს ქერი ურემი“[97].

ამ ნუსხაში, ამრიგად, თუმანიანთ 6 ყმა-გლეხის მოსავალია აღწერილი: დარჩიაშვილის, იასე ჩარუხაშვილის, ლელუაშვილის, ბაშინჯაღელის, ადომელასი და ბერდიკელის. მანუჩარ თუმანიშვილის ეს ყმა-გლეხები სხვა ნუსხებითაც კარგად არიან ცნობილი. ნუსხის თანახმად პირველი ამათგანის, დარჩიაშვილის მოსავალი უდრის 7 ურემს (4 ურემი ერთგან და 3 ურემი მეორე ალაგას) და 14 სამეულს. გვაქვს ცნობა, რომ ორი სამეული (ესაა პურის თავთავების გადაბმული ძნა. გაულეწავი პურის საზომ ერთეულად იგი ხშირად იხმარება XVIII საუკუნის ქართლში) უდრის 7 ლიტრას[98]. მაშასადამე, 14 სამეული ესაა 49 ლიტრა, ანუ, დაახლოებით, 5 კოდი (კოდში 10 ლიტრაა). თუ რამდენ კოდს უდრიდა 1 ურემი, ამის შესახებ ცნობას იძლევა დასტურლამალი. დასტურლამალის ცნობით 1 ურემი 8 კოდს უდრის[99].

გამოდგება თუ არა XVIII ს. დასაწყისის ეს ცნობა XVIII ს. მეორე ნახევრისათვის, ანდა ამ საუკუნის დასასრულისათვის, ამის შემოწმების საშუალებას იძლევა თუმანიშვილების ღალის ნუსხები. 1804 წლის ხელთუბნის ღალის ნუსხაში, მაგალითად, ნათქვამია:

„გ ჭ. ზაქარასი ყანა ურემი გ, ამისი ღალა ნიკოლოზს კოდი დ.“[100]. მაშ. ზაქარას მოსავალი უდრის 3 ურემს. ნიკოლოზ თუმანიშვილს აქედან ღალის სახით ერგება 4 კოდი. როგორც ცნობილია, სათუმანიშვილოში ღალას იღებდნენ მოსავლის მეექვსედს, ესე იგი, ზაქარას მოსავალია 4 კოდი × 6, ანუ 24 კოდი. მაშასადამე, 3 ურემი ესაა 24 კოდი, ანუ 1 ურემი=8 კოდს. ამ დასკვნის შემოწმება სხვა მაგალითებითაც შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმაოა.

ახლა, 1791 წლის ნუსხას რომ დავუბრუნდეთ, გამოდის, რომ დარჩიაშვილს მიუღია მოსავალი 64 კოდი (4 ურემი ერთ ადგილას, ანუ 22 კოდი, 3 ურემი მეორეგან, ანუ 24 კოდი და 14 სამეული ანუ 5 კოდი მესამე ადგილას. 22+24

---

[97] ხელნ. ინსტ., ფ. Qd, № 7844.

[98] იქვე, ფ, Sd, № 1806.

[99] დასტურლამალი მეფის ვახტანგ VI-ისა პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1886, გვ. 23. („... ურემს უნდა გამოვიდეს 8 (კოდი)“).

[100] მასალები საქ. ეკ. ისტ., წ. III, № 267.

+5=61-ს). ასეთივე ანგარიშით იასე ჩარუხაშვილს 56 კოდი პური მოუკიდა 2 ურემი ქერი. სხვებს ამათზე უფრო ნაკლები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთ დღიურ სახნავ მიწაზე საშუალოდ 20—25 კოდი პური მოდიოდა[101], გამოდის, რომ დარჩიაშვილს 3 დღიური მიწა აქვს მოხნული, სხვებს კი ამაზე უფრო ნაკლები. ამიტომ სრულიადაც არ არის საკვირველი ამავე ნუსხის ბოლო სიტყვები, როგორც ჩანს, ხელთუბნის მამასახლისისათვის ბატონისადმი მიმართული: „ღალების დაწერა გებძანათ, დავწერე, რომ ეს მამიხსენებია და ვერავის გამოვართვი, არავინ მამცა. ნება თქვენი არის". ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე ხელთუბნის მამასახლისი დავით თუთუნაშვილი სწერდა მანუჩარ თუმანიშვილს: „ახალდაბელებისთვის თქვენის ყმებისთვის პური გითხოვნიათ. მოგებსენებათ, სამი-ოთხი წელიწადია ჩვენი ჯარისგანა და ლეკმაც აიჩემა, ხლებიან. არცარა მოსავალი მოსვლიათ... ახლაც ხომა აიყარნენ და სოფლებში ხიზნათ არიან. შემომეხვეწენ, ყაზარა და პეტროზა ჩამოვლენ, შემოგეხვეწებიან. თუ თქვენი ნება იყოს, შებრალება აღირსე, თუ არა, ბრძანება თქვენი აღსრულდეს. მარტის ია, ქკ'ს უოთ. იშოვნიან რასმე, მუდამ იმსახურებთ, თქვენი ყმანი არიან"[102]. ესაა დაწერილი 1791 წლის 11 მარტს, ხოლო იმავე წლის 27 ოქტომბერს მანუჩარ თუმანიშვილი უგზავნის თავის ყმას ამირან ჩარუხაშვილს ერცელ ნუსხას, სადაც ზუსტადაა ჩამოთვლილი, რომელმა ყმამ რამდენი კოდი პური უნდა გადაიხადოს და ამ გადასახადის აკრეფას ავალებს ამირან ჩარუხაშვილს. თანაც დასძენს, რომ „ბაღის ჯურის გამორთმევა არ იქნება, ყველას კაი პური უნდა გამოართო. თუ ან ჰაგათ გა[ა]ლაპარაკებ და მალე კაი პური არ მოგცეს, მერე ერთი ორათ გამოვართმევ"-ო[103]. სხვათა შორის, გადამხდელთა ამ სიაში პეტრუზაც ისხენიება და ყაზარაც, რომლებიც, როგორც იწერებოდა მამასახლისი, უნდა ხლებოდნენ ბატონს და გადასახადის პატიება ეთხოვათ. ასე რომ თუმცა-ღა ძლიერ უჭირთ ყმა-გლეხთ გადასახადების გაღება, მაგრამ მათი ბატონი მათთვის შეღავათების მიცემას არ ფიქრობს და პირიქით, უსათუოდ კარგი ხარისხის პურს თხოულობს, ხოლო ურჩობის შემთხვევაში გაორკეცებული რაოდენობით გადახდევინებას იმუქრება. არ ვიცით, როგორ ასრულებდა ის მუქარას, მაგრამ მასალები კი გვიჩვენებენ, რომ იმის აკრეფასაც ვერ ახერხებს ბატონი, რაც შეწერილი აქვთ ნუსხით გლეხებს. ამ ნუსხას 1791 წლის 27 ოქტომბრის ტექსტისაგან განსხვავებული კალმით და მელნით მიწერილი აქვს ამა თუ იმ გლეხის გადასახდელის გასწვრივ—„მოუცია". ნუსხაში 19 გლეხია: აქედან 10-ს უზის „მოუცია", ხოლო 9-ს —არა. 1795 წლის ნუსხაში ცალ-ცალკე დაწერილი ის, რაც გამოურთმევიათ გლეხებისათვის და ის, „ვისაც რაც აკლია, რომ არ მოუცია". ამ ნუსხის მიხედვით, გლეხებისათვის გამოურთმევიათ 60 კოდი პური და 120 1/2 კოდი ქერი, ხოლო აუღებელი დარჩენილა 59 1/2 კოდი პური და 38 1/2 კოდი ქერი[104]. ასე რომ შეწერილი პურის მთელი რაოდენობის თითქმის ნახევარი აუღებელი დარჩა. მსგავსი მაგალითების მოტანა სხვაც ბევრი შეიძლებოდა, საიდანაც ჩანს, რომ ყმა-გლეხი ვერ აუდის მასზე შეწერილ გადასახადებს. მემამულის მხრიდან მისი ექსპლოატაცია საკმაოდ მძიმე ჩანს. თუ ამას დავუმატებთ არახელსაყრელ საგარეო ვითარებას, ხშირ ომებს, ლეკიანობას

---

[101] დასტურლამალი გვ. 23

[102] ხელნ. ინსტ., ფ. Sd, № 3532.

[103] იქვე, ფ. Sd. № 4963.

[104] ხელნ. ინსტ. ფ. Qd. № 7632.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფეოდალურ ურთიერთ თავდასხმებს, რომელიც ძირს უთხრიდა უშუალო მწარმოებლის სამეურნეო კეთილდღეობას, აშკარა გახდება გლეხის წვრილი, პარცელარული მეურნეობის არამყარი ხასიათი.

ყოველივე ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: XVIII ს. მეორე ნახევარში გლეხთა ფენაში მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია არის შესამჩნევი. წყაროები არჩევენ „უფროს“, „საშუალ“ და „მდაბალ“ გლეხებს. ჰდიდარი გლეხების გვერდით მრავლად არიან მცირემიწიანი და სრულიად უმიწაწყლო გლეხები. გლეხების ერთი ნაწილი სხვისი მამულების საღალედ დამუშავებით ირჩენს თავს და არიან ისეთი გლეხებიც, რომლებიც თვითონ გასცემენ მიწებს დასამუშავებლად, ანდა მოჯამაგირეებს ამუშავებენ თავიანთ მამულებში. გლეხობის ძირითადი მასა მცირემიწიანობით ხასიათდება. XVIII ს. მეორე ნახევარში შესამჩნევია გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერება, რაც გლეხობის შიგნით ეკონომიური დიფერენციაციის შემდგომ გაღრმავებას იძლევა შედეგად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი თბილისის ისტორიიდან

(ისნის საკითხისათვის)

ო. ცქიტიშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

ადრეული შუა საუკუნეების, V — X სს., თბილისის ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯეროვანი სისრულით ვერ არის შესწავლილი და იგი დღესაც, შეიძლება ითქვას, „ბურუსითაა მოცული“[1]. ამის მიზეზია, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, არსებული ქართული წერილობითი და არქეოლოგიური მასალის სიმცირე. ეჭვი არ არის, რომ იმ თითო-ოროლა ეროვნული წერილობითი ცნობებისა თუ მცირეოდენი არქეოლოგიური ნივთების მეშვეობით, რომელიც მკვლევართა განკარგულებაშია, შეუძლებელია თბილისის უძველესი წარსულის მთლიანი და ნათელი სურათის აღდგენა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართველი ისტორიკოსები ადრეფეოდალური ხანის თბილისის ისტორიის უფრო სრულად შესწავლის მიზნით რიგ შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე სომხურ და უცხოურ წყაროებს, მათ შორის არაბულ წყაროებსაც, თუმცა არც ეს წყაროები იძლევა ისეთ მასალას, რომელიც ნათელ შუქს მოფენდა თბილისის ისტორიას ადრეული შუა საუკუნეების ხანაში.

მცირე წერილობითი მასალა მოგვეპოვება თბილისის ერთ-ერთი ძველი დასახლებული ნაწილის—ისნის (დღევანდელი ავლაბარი, 26 კომისრის სახელობის რაიონი) შესასწავლადაც. ჩვენთვის საინტერესო პერიოდით დათარიღებული ნივთიერი მონაპოვარი თითქმის არ არსებობს. მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ დაგეგმეს ქართველმა არქეოლოგებმა მეტეხის ზეგნის არქეოლოგიური შესწავლა[2], მაგრამ ეს გეგმა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ განხორციელდა.

ამდენად, ადრეფეოდალური ხანის ისნის ისტორიის შესასწავლად ერთადერთ და ძირითად წყაროს წარმოადგენს როგორც ქართულ-სომხურ, ასევე უცხოურ, კერძოდ, IX—X სს. არაბულ გეოგრაფიულ და ისტორიულ თხზულებებში არსებული ცნობები.

არაბულ წყაროებში მოპოვებული ცნობების საფუძველზე ამ ბოლო წლებში გაჩნდა აზრი ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში იმის შესახებ, რომ ისინი ადრინდელი სოღდებილი, ძველთაგანვე, უკვე VI—VII სს., იყო დასახლებუ-

---

[1] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, 1949, ტ. 1, გვ. 10.

[2] გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, 1960, გვ. 165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი[3]. აქ მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტერიტორიაზე სასანური ირანის შაჰინშაჰს ხოსრო ანუშირვანს (531—578 წწ.) სოღდის ტომი დაუსახლებია, აქედან მიუღია ქალაქის ამ ნაწილს თავისი უძველესი სახელწოდებაც— სოღდებილი[4].

მაგრამ არცერთ მკვლევარს არ უცდია, გაერკვია საკითხი, თუ რამდენად სარწმუნოა არაბული წყაროების ცნობები სოღდებილზე და შეესაბამებიან თუ არა ისინი ისტორიულ სინამდვილეს. ვ. მინორსკი, მაგალითად, თავის ნაშრომში „Transcaucasica" კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების აღნუსხვით და გადაწყვეტით არაფერს ამბობს არაბი და არაბულენოვანი ავტორების ცნობების სიზუსტის შესახებ სოღდებილზე. მ. ლორთქიფანიძის ზემოთ დასახელებულ წერილში კი ძირითადი მსჯელობის საგანია „საგოდებელი-სოღდებილის" ეტიმოლოგიისა და „სადილეგო—ციხის" ურთიერთკავშირის საკითხი. ამავე დროს, თუ მ. ლორთქიფანიძის აზრით, იოანე საბანისძის თხზულებაში „მარტვილობა აბო ტფილელისა" და სხვა ორ ქართულ წყაროში მოხსენიებული „საგოდებელი— საღოდებელი (საღუდებელი)" არაბული „სოღდებილიდან" უნდა იყოს წარმოშობილი[5], ვ. მინორსკი, პირიქით, აღნიშნავს, რომ „სოღდებილი" ქართული „საგოდებლიდან" არის მიღებულიო[6].

ვფიქრობთ, რომ იოანე საბანისძის თხზულების „მარტვილობა აბო ტფილელისა" და X ს. პირველი ნახევრის არაბულენოვანი მემატიანის ატ-ტაბარის კარგად ცნობილი, აგრეთვე სხვა ქართული თუ არაბული წყაროების ცნობებისა და სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე საკითხი ადრეული შუა საუკუნეების ისნის ისტორიული წარსულის შესახებ ხელახლად უნდა იქნეს განხილული. პირველ რიგში აუცილებელია გაირკვეს ის, თუ რამდენად სარწმუნოა ზოგი არაბული წყაროს ცნობა სოღდებილზე, იქ ხოსრო ანუშირვანის დროს მედინას აშენების, სოღდის ტომის დასახლების, საკითხი მედინას რაობის, საერთოდ, და, კერძოდ, თბილისის, ანუ სოღდებილის მედინას რაობისა და ქართულ წყაროებში მოხსენიებული ისნის ციხე-სიმაგრის აგების დროის შესახებ, თუმცა ამ უკანასკნელ საკითხზე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება როგორც ქართულ, ისე არაბულ წყაროებში.

* * *

სოღდებილს (სხვადასხვა დამწერლობით صغديل ან سغديل) იხსენიებენ IX—X სს. არაბი და არაბულენოვანი ავტორები: იბნ ხურდაზბეჰი, იბნ ალ-ფა-

---

[3] საკითხი სოღდებილის ადგილმდებარეობის შესახებ დღეს აღარ წარმოადგენს დავის საგანს. არაბული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ სოღდებილი, მართლაც, იმ ადგილას მდებარეობდა, რომელსაც მოგვიანო ხანის ქართული წყაროები ისანს უწოდებენ. საკითხის ისტორიასთან დაკავშირებით იხ. V. Minorsky, Transcaucasica, Journal Asiatique, Jullet—September, 1930, გვ. 58; მ. ლორთქიფანიძე, ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოღდებილი), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 159—160.

[4] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 31.

[5] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 163.

[6] V. Minorsky, დასახ. ნაშრ., გვ. 58—60: იხ. მისივე, A History of Sharvan and Darband in the 10 th—11 th centuries, Cambridge, 1958, გვ. 25, შენიშვნ. 1.

კიჰი, იბნ რუსთე, ატ-ტაბარი, ალ-მასუდი, ალ-ბალაზური და XII—XIII სს. არაბულენოვანი ავტორი იაკუთი.

აღნიშნულ ავტორებთან[7] არსებული მასალის გაცნობისას მკვლევართ თვალში ეცემა ის განსხვავებანი და წინააღმდეგობანი, სოღდებილზე არსებულ ცნობებთან დაკავშირებით, რომელნიც ეჰვს ქვეშ აყენებენ ისტორიულ სიმართლეს სოღდებილში სოღდის ტომის დასახლების თაობაზე, თუნდაც ყურადღება რომ არ მივაქციოთ იოანე საბანისძის კარგად ცნობილ მითითებას, არსებულს მის თხზულებაში „მარტვილობა აბო ტფილელისა“, სადაც ნათქვამია: „და ვითარცა გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა (აბო ტფილელისა, ო. ც.) მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების...“[8] (ამაზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

როგორც ირკვევა, ზოგ არაბ თუ არაბულენოვან ავტორს არ ჰქონია მთლად ნათელი წარმოდგენა არა მხოლოდ სოღდებილზე, არამედ საქართველოსა და თბილისზე საერთოდ. იბნ ხურდაზბეჰთან, მაგალითად, თბილისი მოთავსებულია პირველი არმენიის ოლქში, ხოლო ჯურზანი (ქართლი) და სოღდებილი—მეორე არმენიაში, მაშინ, როდესაც მისივე ცნობით „ხოსრო ანუშირვანმა... ააგო ჯურზანის მხარეში მედინა სოღდებილი და ააგო იქ (სოღდებილის მედინაში) აგრეთვე თავისი სასახლე (قصر), რომელსაც ბაბ ფაირუჯ კუბაზს უწოდებდნენ“[9]. იბნ ალ-ფაკიჰთან მეორე არმენიაშია მოთავსებული ჯურზანი, სოღდებილი და ბაბ ფაირუზ კუბაზი[10]. იმავე იბნ-ალ-ფაკიჰის ცნობით, „ხოსრო ანუშირვანმა ააგო ჯურზანის მხარეში მედინა სოღდებილი, იქ დაასახლა სოღდის ტომი და „ძენი სპარსელთანი“ და აქცია იგი სასაზღვრო პუნქტად (حصن)[11]“.

---

[7] ჩვენ არაფერს ვამბობთ X ს. ისეთ ავტორიტეტულ არაბულ თხზულებებზე, როგორიცაა ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალისა და ალ-მუკადასის გეოგრაფიული ნაშრომები, აგრეთვე ალ-იაკუბის გეოგრაფიულ თხზულებაზე, რომლის თითქმის ერთი მეოთხედი ნაწილი უკავია ბაღდადისა და სამარას აღწერას, მისივე ისტორიულ ნაშრომზე „تاريخ“ და კუდამა იბნ ჯაფარის ნაშრომზე “كتاب الخراج”, რომლის ნაწილი, გამოქვეყნებული De Goeje-ს, მიერ სერიაში „Bibliotheca Geographorum Arabicorum“, არსებითად წარმოადგენს გეოგრაფიულ თხზულებას და ერთგვარად განსხვავდება აბუ იუსუფ იაკუბისა (გარდ. 798 წ.) და იაჰია იბნ ადამის (გარდ. 818 წ.) იმავე სახელწოდების ნაშრომთაგან. მითითებულ თხზულებებში სოღდებილი საერთოდ არ არის მოხსენიებული. როგორც გვგონია, ეს გარემოება არ უნდა იყოს შემთხვევითი. არ არის გამორიცხული, რომ უკვე იმ ხანებში ავტორთა ერთი ნაწილი კრიტიკულად შეხვდა ცნობებს სოღდებილზე. კიდევ მეტიც, ალ-ისტახრი თბილისის აღწერისას ქალაქის მხოლოდ სამ კარს იხსენიებს (BGA, I, გვ. 185—186). ეს სამი კარი სწორედ საკუთრივ თბილისის, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, კალა-თბილისის კარებია. შეუძლებელია, რომ ალ-ისტახრის არ ჰქონოდა ცნობები სოღდებილზე, მაგრამ იგი არაფერს ამბობს მასზე (თბილისის კარებზე იხ. ქვემოთ).

[8] იოანე საბანისძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, პროფ. კ. კეკელიძის გამოცემა, ტფილისი, 1935, გვ. 74.

[9] BGA, ტ. VI, გვ. 122—123.

[10] BGA, ტ. V, გვ. 287. უეჭველია, რომ ეს ის ბაბ ფაირუზ კუბაზია, რომელსაც იბნ ხურდაზბეჰი იხსენიებს, მაგრამ იბნ ალ-ფაკიჰთან იგი ცალკე გეოგრაფიულ ერთეულად ჩანს და არა სოღდებილში აშენებულ ხოსრო ანუშირვანის სასახლედ.

[11] იქვე, გვ. 288.

სხვაგვარად აქვს იმავე ხასიათის ცნობა იბნ რუსთეს. ის ამბობს: „არმენიის ოლქებია (كور): არანი, ჯურზანი, ნაშავა, ხილატი, დაბილი, სირაჯი, სოღდებილი, ბაჯუნაისი, არჯიში, სისაჯანი და მედინა ბაბ ალ-აბვაბი“[12]. ალ-ბალაზურის ვადმოცემით, ხოსრო ანუშირვანმა „ააგო ჯურზანის ქვეყანაში მედინა, რომელსაც ჰქვია სოღდებილი, დაასახლა იქ სოღდის ტომი და „ძენი სპარსელთანი“ და აქცია იგი სასაზღვრო პუნქტად“[13]. ალ-მასუდი უბრალოდ აღნიშნავს, რომ „მედინა სოღდებილი ჯურზანის ქვეყანაშია“[14]. ატ-ტაბარი მხოლოდ იმას ამბობს, რომ „ის (სოღდებილი) მედინაა, რომელიც ააშენა ხოსრო ანუშირვანმა“[15], მაშინ როდესაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მას საკმაოდ კარგი წარმოდგენა ჰქონია IX ს. შუა წლების თბილისზე[16]. იაკუთი გვატყობინებს, რომ „სოღდებილი... მედინაა არმენიის მხარეში, მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე, თბილისის პირდაპირ. ააგო იგი ხოსრო ანუშირვანმა სამართლიანმა (العادل), როდესაც აშენდა ბაბ ალ-აბვაბი. დაასახლა იქ მან სპარსელთა მოდგმის სოღდის ხალხი და აქცია იგი სასაზღვრო პუნქტად[17].

ამრიგად, ის არაბი და არაბულენოვანი ავტორები, რომლებიც სოღდებილს იხსენიებენ, ან მასზე ლაპარაკობენ, შეიძლება პირობითად რამდენიმე ჯგუფად დაიყოს.

ავტორთა პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან იბნ ხურდაზბეჰი, იბნ ალ-ფაკიჰი და იბნ რუსთე. მათი წარმოდგენით, სოღდებილი მედინაცაა (იბნ ხურდაზბეჰი, იბნ ალ-ფაკიჰი) და ოლქიც (იბნ ხურდაზბეჰი, იბნ ალ-ფაკიჰი, იბნ რუსთე). ამავე დროს იბნ ხურდაზბეჰთან. თუ თბილისი პირველ არმენიაშია, ჯურზანი და სოღდებილი მეორე არმენიის შემადგენლობაშია.

ავტორთა მეორე ჯგუფს შეადგენენ იბნ ალ-ფაკიჰი, ალ-ბალაზური და იაკუთი. ესენი არიან ყველაზე თანამიმდევარნი თავიანთ მტკიცებაში იმის შესახებ, რომ სოღდებილის მედინა ხოსრო ანუშირვანმა ააგო და იქ სოღდის ტომი დაასახლაო, თუმცა ამ ჯგუფის ავტორთა შორისაც შეიმჩნევა ერთგვარი უზუსტობა. იბნ ალ-ფაკიჰისა და ალ-ბალაზურის განცხადებით ხოსრო ანუშირვანს სოღდებილში დაუსახლებია სოღდის ტომი და „ძენი სპარსელთანი“ (სპარსელები), ხოლო იაკუთის მიხედვით კი იქ მხოლოდ სპარსელთა მოდგმის სოღდის ხალხი ყოფილა დასახლებული ხოსრო ანუშირვანის მიერ.

ავტორთა მესამე ჯგუფია ატ-ტაბარი და ალ-მასუდი. ისინი მხოლოდ და მხოლოდ აცხადებენ, რომ მედინა სოღდებილი ხოსრო ანუშირვანმა ააშენაო ამდენად ალ-მასუდიცა და ატ-ტაბარიც, როგორც გვგონია, გარკვეულ სიფრთხილეს იჩენენ სოღდებილში სოღდის ტომის დასახლების თაობაზე[18], რაც არ

---

[12] BGA, ტ. VII, გვ. 106.

[13] ალ-ბალაზური، كتاب فتوح البلدان، Ed. De Goeje, გვ. 195.

[14] BGA, ტ. VIII, გვ. 62.

[15] ატ-ტაბარი، تاريخ الرسل و الملوك، Ed. De Goeje, ტ. III, გვ. 1416.

[16] იხ. გვ. 10 და შმდგ.

[17] იაკუთი، معجم البلدان، კაიროს გამოცემა, ტ. V—VI, 1906, გვ. 364.

[18] ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალ-მასუდი თავის მეორე ნაშრომში „كتاب مروج الذهب و معادن الجوهر“ საერთოდ არ იხსენიებს სოღდებილს იმ ნაწილშიც კი, სადაც მას ლაპარაკი აქვს გაკვრით ბუღა თურქის ლაშქრობაზე თბილისში ისპაკ იბნ ისმაილის წინააღმდეგ (იხ. C. Barbier de Meynard-ისა და Pavet de Courteille-ის გამოცემა, ტ. II, გვ. 66).

უნდა იყოს გასაკვირველი, განსაკუთრებით, ატ-ტაბარის მხრივ, ვისაც ასეთი ცნობები რიგ შემთხვევაში მოკლებული არ არის ისტორიულ სიზუსტეს[19].

მაშასადამე, დასახელებულ არაბ და არაბულენოვან ავტორთა შორის რჩება მხოლოდ სამი მემატიანე—იბნ ალ-ფაკიჰი, ალ-ბალაზური და იაკუთი, რომელნიც აცხადებენ, რომ მედინა სოღდებილი ხოსრო ანუშირვანმა ააშენა და იქ სოღდის ტომი და „ძენი სპარსელთანი“ (თუ სპარსელთა მოდგმის სოღდის ხალხი) დაასახლაო. მაგრამ იაკუთის (1179—1229 წწ.) ცნობა ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, სრულიად თამამად შეიძლება პირველწყაროდ არ მივიჩნიოთ, ვინაიდან მსგავსი ხასიათის ცნობა სოღდებილზე იაკუთთან გაცილებით უფრო ადრე მცხოვრებ სხვა არაბ ავტორებსაც აქვთ—იბნ ალ-ფაკიჰსა (გარდ. 897 თუ 905 წ.) და ალ-ბალაზურის (გარდ. 892 წ.).

შელახული ჩანს ავრეთვე იბნ ალ-ფაკიჰის ავტორიტეტი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას, მართალია, მოაქვს ცნობა სოღდებილში ხოსრო ანუშირვანის დროს მედინას აშენებისა და იქ სოღდის ტომის დასახლების შესახებ, მაგრამ მისივე წარმოდგენით სოღდებილი მედინაცაა და ოლქიც. ამდენად ჩვენ სრული უფლება გვაქვს იბნ ალ-ფაკიჰის ცნობას ეჭვის თვალით შევხედოთ.

დარჩა ალ-ბალაზური, რომლის ცნობაში სოღდებილზე არავითარი წინააღმდეგობა არ არის. თითქოს იგი ჩანს ერთადერთ სარწმუნო წყაროდ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. მაგრამ, როგორც ვფიქრობთ, არც მისი ცნობა უნდა შეესაბამებოდეს ისტორიულ სინამდვილეს. ისევე როგორც იბნ ალ-ფაკიჰი, ალ-ბალაზური, რომ არაფერი ვთქვათ იაკუთზე, ქრონოლოგიურად საკმაოდ შორს დგას ხოსრო ანუშირვანის დროის ისტორიული მოვლენებიდან. იბნ ალ-ფაკიჰი და ალ-ბალაზური საუკუნეებით არიან დაშორებული ხოსრო ანუშირვანის ეპოქას. ხოლო თაობიდან თაობაზე ზეპირად გადაცემულ ცნობებს საუკუნეების მანძილზე არ შეიძლებოდა გარკვეული ცვლილება არ განეცადა და მათ თავისებური ანარეკლი არ ეპოვათ არაბულ მწერლობაში. მით უმეტეს, რომ საამისოდ თითქოსდა სათანადო საფუძველიც უნდა არსებულიყო. მხედველობაში გვაქვს ქართული სიტყვა „საგოდებელი“, რომლისგანაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. მინორსკი, უნდა იყოს წარმოშობილი არაბული „სოღდებილი“. იმის გამო, რომ არაბულ ენას „განი“ ბგერა არ გააჩნია, ქართულ „საგოდებელში“ „განი“ „ღანით“ შეიცვალა და „საგოდებელმა“ არაბული ფონეტიკის ნორმების შესაბამისად სავსებით კანონზომიერად «صغديل—سغديل» ფორმა მიიღო. ჩანს, ამ გარემოებას უნდა მიეცა ბიძგი არაბი და არაბულენოვანი ავტორებისათვის შეეტანათ მათ თავიანთ თხზულებებში ცნობები სოღდებილში სოღდის ტომის დასახლების შესახებ, თანაც ტრადიციის თანახმად გადაეტანათ ეს მოვლენა წინამუსლიმანურ ხანაში, ვინაიდან მათ სხვა რეალური წყარო არ გააჩნდათ, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ფაქტის მუსლიმანურ ხანაში გადმოტანა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ დროისათვის, როდესაც

---

[19] ეს შესანიშნავად დაასაბუთა აკად. ი. კრაჩკოვსკიმ, როდესაც იგი ოცდაათიან წლებში შუა აზიაში მუღის მთაზე აღმოჩენილი უძველესი არაბული დოკუმენტის ამოკითხვისა და ჩატარებული ანალიზის შედეგად აღნიშნავდა, რომ ზოგი ისტორიული ფაქტი, მოტანილი ატ-ტაბარისთან, „ცალკეულ დეტალებშიც ბრწყინვალედ მართლდება და ლაპარაკობს არაბული ცნობების დიდ სიზუსტეზე“ (В. А. Крачковская и акад. И. Ю. Крачковский, Древнейший арабский документ из Средней Азии, Согдийский сборник, Ленинград, 1934, გვ. 72–73). ატ-ტაბარის ზოგი ცნობის სიზუსტე ერთხელ კიდევ დადასტურდება ჭვემოთ თბილისის აღწერასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქართლში VIII ს. 30-იანი წლების დასაწყისისათვის.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ „ბელ/ბილ“ ელემენტით დაბოლოებულ ადგილთა სახელწოდებები ხშირად გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთში. მაგალითად, არდებილი (اردبيل), დაბილი (دبيل), სანბილი (سنبيل), კანდაბილი (قندبيل)[20]. ამ ფაქტმაც, როგორც ჩანს, გარკვეულად შეუწყო ხელი იმ გარემოებას, რომ არაბ და არაბულენოვან ავტორებს არაბიზირებული ფორმა „سغدبيل — صغدبيل“ გაეაზრებინათ, როგორც სოღდის ტომით დასახლებული ადგილის სახელწოდება— بيل + (سغد) صغد.

ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სოღდებილი არასოდეს არ ყოფილა დასახლებული სოღდის ტომით და რომ სოღდებილი VIII ს. დასასრულისათვისაც თბილისის გარეუბანს წარმოადგენდა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ამაგრებს და უტყუარს ხდის VIII ს. ქართველი მწერლის იოანე საბანისძის „მარტვილობა აბო ტფილელისა“. თხზულებაში არსებული ცნობის მნიშვნელობა უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე მას დღემდე ანიჭებდნენ, თუმცა ავტორს ამ თხზულების დაწერისას სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა და არა მისი დროინდელი თბილისის აღწერა.

იოანე საბანისძეს დაწვრილებით აქვს აღწერილი აბო ტფილელის გვამის დაწვის ამბავი და აღნიშნავს: „და ვითარცა გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ, მუნ გარდამოიღეს იგი ურმისა მის-გან და დადვეს იგი ჭუეყანასა და მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს ჴორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსაც ჰრქჳან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდაჲ, კლდაჲ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავლით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი...“[21].

მოტანილი ცნობიდან ირკვევა, რომ იმ ადგილს, სადაც აბო ტფილელის გვამი წაუღიათ დასაწვავად, საგოდებელი რქმევია, ვინაიდან „მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ“[22]. ხოლო საგოდებელი კი ყოფილა „გარეშე ქა-

---

[20] V. Minorsky, Transcaucasica, გვ. 63.

[21] იოანე საბანისძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, პროფ. კ. კეკელიძის გამოცემა, ტფილისი, 1935, გვ. 74—75.

[22] მ. ლორთქიფანიძე. იოანე საბანისძის ამ განმარტებიდან გამომდინარე მიიჩნევს ადგილის ქართულ სახელწოდებას „საგოდებელი“ არაბული „სოღდებილიდან“ წარმოშობილად (იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 163). ჩვენი თვალსაზრისი სოღდებილის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ზემოთ უკვე გამოითქვა. ახლა კი შემდეგს დავუმატებთ. ასეთი განმარტების მოტანა იოანე საბანისძის თხზულებისათვის უცხო არ უნდა იყოს. ეს კარგად ჩანს ზემოთ მოტანილი ცნობიდანაც, სადაც აღნიშნულია, რომ სადილეგო მდებარეობდა „პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდაჲ, კლდაჲ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავლით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი...“ მიუხედავად იმისა, რომ როგორც ახლა, ისე წინათ თბილისში გარდა მტკვრისა სხვა დიდი მდინარე არ იყო, იოანე საბანისძე მაინც უსვამს ხაზს, განმარტავს, რომ ამ დიდ მდინარეს მტკვარი ჰქვიანო. ეს ხდება მაშინ, როდესაც სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად, „მტკვარი“ საკუთრივ ქართული წარმოშობის სახელწოდებაა. კიდევ მეტიც, აქედანაა წარმოშობილი სხვა ენებში არსებული მდინარე მტკვრის მეორე სახელწოდებაც „Кура“, (იხ. С. Джикия, „А. Ахундов. Эти-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქსა“. ამავე დროს გვამი დაუწვავთ „ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან სადილეგო“. საყურადღებოა ისიც, რომ იოანე საბანისძის ცნობით, სადილეგო იმყოფებოდა „პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდაჲ, კლდჲ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავლით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი...“ მაშასადამე, იოანე საბანისძის ვადმოცემით, მტკვარი ქალაქს შუაზე კი არ ჰყოფდა, არამედ მის აღმოსავლეთით მიედინებოდა. სხვა რამეს ნიშანდობლივს მტკვრის მარცხენა ნაპირისათვის იოანე საბანისძე ვერ ასახელებს. მისი დროისათვის სოღდებილი „გარეშე ქალაქსა“

мология слова „Кура“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ., №91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბილისი, 1960. გვ. 443—449). იმავე ქართული სიტყვიდან „მტკვარი“ უნდა იყოს წარმოშობილი არაბული „الكر“ — Кура — მტკვარი. ასეთი განმარტებები იოანე საბანისძის ერთ-ერთ ლიტერატურულ ხერხად ჩანს.

გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ იოანე საბანისძის დროინდელ თბილისში ისეთ ადგილს გარდა, „რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ“, იყო ავრეთვე წმინდანთა თუ წამებულთა სასაფლაო. შემთხვევით როდი უწოდებს პროფ. კ. კეკელიძე იოანე საბანისძის საგოდებელს საზოგადო სასაფლაოს (იხ. მისი ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935, გვ. 10). ამავე დროს ამ განმარტებით იოანე საბანისძეს სურდა, როგორც ჩანს, გამოეხატა თავისი განცვიფრება და, ალბათ, გულისწყრომა იმის გამო, რომ იმ აბო ტფილელის გვამი, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა, საზოგადო სასაფლაოზე დასაწვავად წაიღესო და ამით ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი იმ უსამართლობისათვის, რაც მის დროინდელ ქართლის ქრისტიანულ მოსახლეობას დაატყდა თავს აბო ტფილელის წამების გამო.

პარალელის გავლება, შესაძლებელია, მაინცადამაინც ბევრი არაფრის მთქმელი იყოს. მაგრამ აღვნიშნავთ, რომ აბასელთა დინასტიის (750—1258 წწ.) დროინდელ ბაღდადში, მაგალითად, რვა სხვადასხვა სახელწოდების სასაფლაო იყო და გარკვეული სასაფლაოები, როგორც სახელწოდებებიდან ჩანს, სხვადასხვა კატეგორიების მიცვალებულთათვის იყო განკუთვნილი. ბაღდადის რვა სასაფლაოდან ოთხი მათგანი ატარებდა სახელწოდებებს ადგილის სახელწოდებების მიხედვით, ერთს კი ერქვა „المقبرة القديمة“ (ძველი სასაფლაო). ეს ხუთი სასაფლაო, ჩანს, მუსლიმანური საზოგადო სასაფლაოები იყო. სხვა ორი სასაფლაოც თავიანთ სახელწოდებებს ადგილმდებარეობის მიხედვით ატარებდა, მაგრამ ისინი ქრისტიანული სასაფლაოები ყოფილა,— „مقبرة باب الدير“ (მონასტრის კარის სასაფლაო) და „مقبرة الكنيسة“ (ეკლესიის სასაფლაო), ხოლო ერთ სასაფლაოს ერქვა „مقبرة الشهداء“ [წამებულთა სასაფლაო] (იხ. G. le Strange, Baghdad during the Abbasid Caliphate, Oxford, 1900, გვ. 98—100, 130—131, 153, 155, 158, 160—165, 287—288).

დასაშვებია ისიც, რომ VIII ს. დასასრულისათვის ქართულ ენაში ფართო ხმარებისათვის აოარ ყოფილიყო შემორჩენილი სიტყვა „საგოდებელი“ სასაფლაოს აღმნიშვნელ ტერმინად. თუკი ამ დროისათვის ქართულში სიტყვა „საფლავი“ არსებობდა, შესაძლებელია აქედან წარმოებული სახელი „სასაფლაოც“ არსებულიყო. იოანე საბანისძის დროინდელ სასაფლაოს, როგორც ჩანს, ძველთაგანვე ეწოდება „საგოდებელი“ და დროთა ვითარებაში იგი საკუთარ სახელად იქცა, ალბათ, ამის გამო დასჭირდა იოანე საბანისძეს „საგოდებლის“ განმარტება. ჩვენ მიერ აღნიშნულ გარემოებას, ვფიქრობთ, ამტკიცებს აგრეთვე ის, რომ „საგოდებელი“ „საღოდებლის“ ფორმით მოგვიანო ხანის ქართულ მწერლობაში ძალზე იშვიათად გვხვდება. ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევა ვიცით (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 31; კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29, შენიშვნ. 1; შდრ., მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 162). „საგოდებელი“ ქართულ წყაროებში გვხვდება კიდევ ერთხელ, მაგრამ უკვე საკმაოდ დამახინჯებული ფორმით — „სახიუდაბელი“ (იხ. V. Minorsky, Transcaucasica, გვ. 58).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილა, სადაც მხოლოდ საზოგადო სასაფლაო და სადილეგო, ანუ სატუსალო —საპყრობილე მდებარეობდა.

როგორც იოანე საბანისძის თხზულებიდან ირკვევა, აღებული ხანისათვის თბილისის ამირის სასახლეც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ყოფილა, „იმ ადგილას, სადაც სომეხთა მთავარანგელოზის ეკლესია იყო ბოტანიკურ ბაღში გოგირდის აბანოებიდან ამყვან გზაზე“[23].

ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს არ ვერწმუნოთ ქართველი მწერლის ცნობას. უპირველესად ყოვლისა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რამდენადაც იოანე საბანისძე, აბო ტფილელის თანამედროვე, მისი ნაცნობი და მეგობარი, რომელიც თავის ნაწარმოებს ქმნის სამოელ კათალიკოსის დაკვეთით „ტრადიციული ამბის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, აბოს გარდაცვალების შემდეგ უმალ“[24], ცხოვრებაში ღრმად ჩახედული აკვირდება და ითვალისწინებს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ მოვლენას[25], ამდენად მას არ შეეძლო არ დაენახა და არ აღენიშნა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორიც, მაგალითად, სოღდებილის დასახლებაა. მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, რომ იოანე საბანისძის დროინდელი სოღდებილი VIII ს. დასასრულისათვის დაუსახლებელი ჩანს, იგი „გარეშე ქალაქსა“ იმყოფებოდა.

სულ სხვა ვითარებას ვხედავთ სოღდებილში IX ს. შუა ხანებში, თბილისში ბუღა თურქი უფროსის ლაშქრობის დროისათვის 852 წ. შემოდგომაზე[26]. ამ დროს სოღდებილი არა მხოლოდ დასახლებულია, მასში საკმაოდ განვითარებული საქალაქო ცხოვრება ჩანს, როგორც ეს ირკვევა არაბულენოვანი მემატიანის ატ-ტაბარის ცნობიდან.

მაგრამ ვიდრე ამ მეტად მნიშვნელოვან და ჯერჯერობით ერთადერთ შედარებით სრულ ცნობას მოვიტანდეთ IX ს. შუა წლების თბილისის შესახებ, არაბულ ორიგინალში ქართულ თარგმანთან ერთად, საჭირო იქნება გავარკვიოთ მოკლედ მაინც „მედინას“ რაობისა და მისი შინაარსის საკითხი, ვინაიდან ამ საკითხის გარკვევასთან, ჩვენი აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ არაბული ტექსტის სწორი გაგება და აქედან გამომდინარე აღებული ხანის თბილისის ისტორიულ-ტოპოგრაფიული მდგომარეობის დადგენა.

სპეციალურ ლიტერატურაში, მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით უცხოური ლიტერატურა, ხშირად ხდება ისე, რომ ტერმინ „მედინას“ დღევანდელი

---

[23] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[24] იქვე, გვ. 37.

[25] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), თბილისი, 1945, გვ. 69.

[26] ჩვენ 852 წ. თარიღს აღვნიშნავთ, ვინაიდან ატ-ტაბარის ცნობით ბუღას ზირაჭი, არაბი მხედართმთავარი, გამოუგზავნია თბილისს ჰიჯრით 238 წ. რაბი'-ულ ავვალის თვის 10 რიცხვს. შაბათ დღეს, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით 852 წ. 30 აგვისტოს, სამშაბათ დღეს ემთხვევა. როგორც ცნობილია, ატენის სიონში არსებული წარწერის თანახმად ბუღას თბილისი აუღია 853 წ. 5 აგვისტოს, შაბათ დღეს. მაგრამ არა გვგონია, რომ ეს თარიღი სწორი იყოს. ვ. მინორსკი ატ-ტაბარის ეყრდნობა და ყველგან 852 წ. შემოდგომაზე მიუთითებს (გარდა ზემოთ დასახელებული ნაშრომებისა იხ. აგრეთვე მისივე, „Studies in Caucasian History“, London, 1953, გვ. 118). ცნობილია, რომ ატ-ტაბარის თავისი ისტორიული თხრობა თარიღების მიხედვით აქვს გადმოცემული (ასე არა აქვს ეს, მაგალითად, ალ-ბალაზურის). ამდენად არაბულენოვანი მემატიანე ქრონოლოგიას ერთ-ერთ ძირითად ყურადღებას აქცევს და ამიტომ ძნელად დასაშვებია, რომ ჰიჯრით 239 წლის ამბები ბუღას ლაშქრობის შესახებ (ატენის სიონის წარწერის თანახმად) ატ-ტაბარის შეცდომით ჰიჯრით 238 წელს გადმოეტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგებით თარგმნიან და მასში იმავე შინაარსს სდებენ, რაც ფეოდალური ეპოქის აღმნიშვნელ ქალაქს შეეფარდება, მაშინ, როდესაც არაბული ტექსტის ზუსტად გაგების ინტერესები ხშირ შემთხვევაში მოითხოვს ტერმინ „მედინას“ შინაარსში უფრო ღრმად ჩაწვდომას. საქმე ისაა, რომ IX—X სს. არაბულ წყაროებში არსებული ტერმინი „მედინა“ ყოველთვის როდი ნიშნავს „ქალაქს“ იმ გაგებით, როგორც ეს უკანასკნელი დღეს ჩვენ გვესმის. „მედინა“ ყოველთვის არ ნიშნავს „ქალაქს“. პირველში ზოგჯერ სხვა შინაარსია ჩადებული. ეს გარემოება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ბაღდადის მედინას მაგალითზე. ალ-მანსურის (754—775 წწ.) მიერ აგებული ბაღდადის მედინა წარმოადგენდა საკმაოდ რთულ საფორტიფიკაციო ნაგებობას, სადაც თავმოყრილი იყო სახალიფოს სახელმწიფო-ადმინისტრაციული დაწესებულებები (დივანები). ამავე დროს ბაღდადის მედინა წარმოადგენდა აბასელთა დინასტიის ხალიფების რეზიდენციას. აქვე იყო განლაგებული ხალიფას გვარდიისა და შურტას, აგრეთვე ხალიფას ოჯახისა და სამეფო კართან დაახლოებულ პირთა, ამალას საცხოვრებელი შენობები. როგორც წესი, მედინას გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია ეკავა, ვიდრე ციხე-სიმაგრეს, რომლის გამომხატველი სპეციალური ტერმინები ცალკე არსებობს კლასიკურ არაბულში— حصن (ჰ̣ისნი), حصار (ჰ̣ისარი), قلعة (ქალ'ა), აგრეთვე كذهة (ქუჰენდიზი — ძველი ციხე). პირიქით, ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა ადრეული შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის (ირანი, ერაყი) მედინას ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.

მაგრამ ასეთი ციხის არსებობა არ იყო აუცილებელი ყოველი მედინასათვის. ციხე-სიმაგრე არ ჰქონდა, მაგალითად, ბაღდადის მედინას. საკუთრივ საქალაქო ცხოვრების განვითარება მიმდინარეობდა ციხე-მედინასთან. მასთან იყრიდნენ თავს ვაჭარ-ხელოსნები და იქ ყალიბდებოდა ძირითადად სავაჭრო-სახელოსნო გარეუბნები—რაბადები (ربض — მრ. რიცხ. ارباض). ისინი შემავალში მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ურთიერთობების მომწიფებასთან ერთად ფეოდალურ ქალაქებად გადაიქცნენ[27]. დროთა მსვლელობაში საქალაქო ცხოვრება იჭრება საკუთრივ მედინაშიც და ამდენად იგი ფეოდალური ქალაქის ნაწილი ხდება (მერვი), ხოლო დღეს ზოგი ამ მედინათაგანის კვალიც კი არ არის შემორჩენილი (ბაღდადი)[28].

სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ „მედინა“ არ ნიშნავს ყოველთვის „ქალაქს“, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება ერთი ფაქტის აღნიშვნა. ალ-ბალაზურის ცნობით, ხოსრო ანუშირვანს, შირვანსა და ალანთა კარს შორის მდებარე ტერიტორიაზე აგურის ჯებირი, ხოლო მის გასწვრივ 360 მედინა აუშენებია, რომელიც დანგრეულა კართა კარის (باب الابواب) აგების შემდეგ[29]. უეჭველია, რომ ხოსრო ანუშირვანი, რარიგ ხანგრძლივიც არ უნდა ყოფილიყო მისი მეფობა და რაოდენ საქველმოქმედო ინტერესებით არ

---

[27] მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობის საკითხზე იხ. ჩვენი ნაშრომი „ფეოდალური ქალაქის წარმოშობის საკითხისათვის მახლობელ აღმოსავლეთში“. იბეჭდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შრომებში.

[28] G. le Strange, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

[29] ალ-ბალაზური, გვ. 194.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ყოფილიყო გამსჭვალული იგი, თანაც დაპყრობილ მხარეში, ვერ შეძლებდა 360 ქალაქის აშენებას. აქ, ეჭვი არ არის, იგულისხმება არა ქალაქების აგება, არამედ სწორედ იმ საფორტიფიკაციო ნაგებობებისა, რომელთაც არაბული წყაროები ჩვეულებრივ „ჰისნისა“ და ა. შ. ტერმინებით იხსენიებენ. ასე რომ ამ შემთხვევაში ალ-ბალაზურის 360 მედინა იმ შინაარსის შემცველიც კი არ არის, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ IX—X სს. მახლობელი აღმოსავლეთი არსებითად შევიდა თავისი სოციალურ-ეკონომიური განვითარების ახალ პერიოდში—მომწიფებული ფეოდალიზმის ეპოქაში. ამ დროს დამთავრდა აგრეთვე ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბება. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური მოვლენა, როგორიც ფეოდალური ქალაქის აღმოცენება იყო, მოითხოვდა, რა თქმა უნდა, სათანადო შესაბამის ტერმინს ამ ახალი მოვლენის აღსანიშნავად. ასეთი ფეოდალური ქალაქის აღმნიშვნელი ტერმინი „მედინა“ ჩანს, ყოველ შემთხვევაში მომდევნო საუკუნეებში. ახლა კი ჩვენ გვიჭირს დაბეჯითებით იმის თქმა, გაჩნდა ეს ტერმინი არაბულ მწერლობაში IX—X სს., როდესაც პირველი არაბული ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულებები შეიქმნა, თუ იგი ადრეც არსებობდა არაბულში[30]. ერთი კი უეჭველია, რომ აღებული ხანისათვის ტერმინ „მედინას“ მნიშვნელობა არცთუ მაინცადამაინც მყარი ჩანს არაბულში და იგი ხშირად, როგორც ზემოთ დავინახეთ, სხვადასხვა ხასიათის ნაგებობების აღმნიშვნელი ტერმინია.

ამის შემდეგ, ვფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს ის გარემოება, თუ რატომ არის, რომ ტერმინ „მედინას“ მნიშვნელობის განსაზღვრა ვერაა ყოველთვის შესაძლებელი. არაბული ტექსტის გაცნობისას ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ტერმინ „მედინას“ არაბი ავტორი დღევანდელი ჩვენი გაგებით ყოველთვის „ქალაქის“ მნიშვნელობით ხმარობს. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს რიგ შემთხვევაში ატ-ტაბარის ისტორიული თხზულების ის ცნობა თბილისზე, რომელსაც ჩვენ ახლა მოვიტანთ არაბულ ორიგინალში ქართულ თარგმანთან ერთად[31].

ატ-ტაბარი تاريخ الرسل والملوك، ტ. III, გვ. 1414—1416[32].

---

[30] ფაქტია, მაგალითად, რომ მუსლიმანთა საღვთო ქალაქს ალ-მედინას წინამუსლიმანურ ხანაში იასრიბი ეწოდებოდა. ახალი სახელი ალ-მადაინი (თარგმანში „ქალაქები“) შეარქვეს აგრეთვე არაბებმა შუამდინარეთის ერთმანეთთან ახლო მდებარე ძველ ქალაქებს—სელევკიასა და კტესიფონს.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ აბუ იუსუფ იაკუბი, VIII ს. მეორე ნახევრის არაბი კანონთმცოდნე, ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდთან (786—809 წწ.) ერთ-ერთი დაახლოებული პირი, ბაღდადის მთავარი ყადი (قاضى القضاة) თავისი ნაშრომის „كتاب الخراج“-ის (წიგნი ხარაჯის შესახებ) იმ თავში, რომელიც ჯიზიას გადასახადს ეხება, ბაღდადს, ჭუფასა და ბასრას ამსარჯებს (مصر — მრ. რიც. امصار) უწოდებს (იხ. აბუ იუსუფ იაკუბი, ბულაკის გამოც., გვ. 70).

[31] ამ ცნობის უმეტესი ნაწილი ფრანგულ თარგმანში არაბული ორიგინალის გარეშე მოტანილი აქვს ვ. მინორსკის თავის „Transcaucasica“-ში, გვ. 61—62, ხოლო ცალკეული ნაწყვეტები ქართულ თარგმანთან ერთად—მ. ლორთქიფანიძეს ზემოთ მითითებულ ნაშრომში.

[32] ატ-ტაბარის ეს ცნობა მოთავსებული აქვს აკად. გ. წერეთელს თავის „არაბულ ქრესტომათიაში“, თბილისი, 1949, გვ. 64—66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 1414

ثم دخلت سنة ثمان و ثلثين و مائتين ذكر الخبر عما كان فيها من الاحداث فمن ذلك ما كان من ظفر بغا باسحاق بن اسماعيل مولى بنى امية بتفليس و احراقه مدينة تفليس ذكر الخبر عما كان من بغا فى ذلك

ذكر ان بغا لمّا صار الى دبيل بسبب قتل القاتلين من اهل ارمينية يوسف بن محمّد اقام بها شهرا فلمّا كان يوم السبت لعشر خلون من شهر ربيع الاوّل من سنة ٢٣٨ وجّه بغا زِيرَكَ التركىّ فجاوز الكُرّ وهو نهر عظيم مثل الصَّراة ببغداد واكبر وهو ما بين المدينة وتفليس فى الجانب الغربىّ وصُغْدِبيل فى الجانب الشرقىّ وكان معسكر بغا فى الشرقىّ فجاوز زيرك الكرّ الى ميدان تفليس ولتفليس خمسة ابواب باب الميدان وباب قريس وباب الصغير وباب البربض وباب صغديل والكرّ نهر يخدر مع المدينة

შემდეგ დადგა 238 წელი.

მოთხრობა იმ ამბებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ წელს. ამ ამბავთაგანია ბუღას გამარჯვება ისჰაკ იბნ ისმაილზე, ბანუ ომეიას მავლაზე, თბილისში და (ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ) დაწვა მან (ბუღამ) თბილისის მედინა.

მოთხრობა ამბისა იმის შესახებ, თუ როგორ იყო ეს ბუღას მხრივ.

გადმოსცემენ, რომ როდესაც ბუღა გაემგზავრა დაბილს იუსუფ იბნ მუჰამმედის მკვლელთა მოკვლის საბაბით, რომელნიც იყვნენ არმენიის მცხოვრებთაგან, გაჩერდა ის (ბუღა) იქ (დაბილს) ერთ თვეს. ხოლო 238 წ. რაბი‘-ულ-ავვალის თვის 10 რიცხვს, შაბათს, გაგზავნა ბუღამ ზირრაქ ათ-თურჭი, რომელმაც გადალახა მტკვარი. ის (მტკვარი), მსგავსად ასპარასი ბაღდადში, დიდი მდინარეა და უფრო დიდიც. ის (მტკვარი) არის მედინას შუა. თბილისი დასავლეთის ნაპირზეა, სოღდებილი — აღმოსავლეთის ნაპირზე. ბუღას სამხედრო ბანაკი (განლაგებული) იყო აღმოსავლეთით (ანუ აღმოსავლეთის ნაპირზე). ზირრაქმა გადალახა მტკვარი თბილისის მაიდანთან. თბილისს აქვს ხუთი კარი: მაიდნის კარი, კარის კარი, მცირე (პატარა) კარი, რაბადის კარი და სოღდებილის კარი. მდინარე მტკვარი მედინასთან იმყოფება.

გვ. 1415

ووجّه بغا ايضا ابا العبّاس الواثقىّ النصرانىّ الى اهل ارمينية عربها وعجمها فأتاهم زيرك مما يلى الميدان و ابو العبّاس مما يلى باب الربض فخرج اسحاق بن اسماعيل الى زيرك فناوشه القتال ووقف بغا على تلّ مطلّ على

გაგზავნა ბუღამ აგრეთვე აბუ-ლ-აბბას ალ-ვასი ან-ნასრანი არმენიის არაბ და არაარაბ მცხოვრებლებთან. მიიყვანა ზირრაქმა ისინი (იმ ადგილს), რომელიც მაიდანს ეკვრის, ხოლო აბულ-ლ-აბბასმა—(იმ ადგილს), რომელიც რაბადის კარს ეკვრის. გაემართა ისჰაკ იბნ ისმაილი ზირრაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ და გაუმართა მას ბრძოლა. ბუღა იდგა სოღდებილის მოსაზღვრე ბორცვზე, რომელიც დაჰყურებდა მედინას, იმისათვის, რომ ენახა, თუ რას გააკეთებდნენ ზირარაჭი და აბუ-ლ-აბბასი. გაგზავნა ბუღამ ცეცხლის წამკიდებლები (Naffaṭīna). წაუკიდეს მათ ცეცხლი მედინას. ის (მედინა აშენებული იყო) ფიჭვის ხისავან. დაუბერა ქარმა ფიჭვს. (მაშინ) მიუბრუნდა ისჰაკ იბნ ისმაილი მედინას, რომ ენახა (შექმნილი მდგომარეობა). და აი, ცეცხლი მოჰკიდებია მის სასახლესა და მხევლებს. ცეცხლმა გარემოიცვა (ავრეთვე თვით) იგი (ისჰაკ იბნ ისმაილი). შემდეგ მივიდნენ მასთან თურქები და მაღრიბელნი. დაატყვევეს ის, მისი ძე ომარი და მიჰგვარეს ორივენი ბუღას. ბუღამ მიუსაჯა მას (ისჰაკ იბნ ისმაილს) სიკვდილი. დააბრუნეს (ისჰაკ იბნ ისმაილი) باب الحسك -თან და მოჰკვეთეს მას იქ თავი ხელფეხშეკრულს. თავი მიუტანეს ბუღას. (ხოლო) გვამი ჯვარს აცვეს მტკვარზე. ის (ისჰაკ იბნ ისმაილი) იყო ზორბა მოხუცი, ტყლიპით შეღებილი ვეებერთელა თავით, მელოტი, ელამი. მისი თავი ჩამოაცვეს باب الحسك -ზე. მის მოკვლას განაგებდა ხალიფას მსახური ბუღა. მედინაში დაიწვა დაახლოებით 50000 კაცი. ცეცხლი ჩაქრა ერთ დღე-ღამეში, ვინაიდან

المدينة مما يلى صغديل لينظر ما يصنع زيرك وابو العبّاس فبعث بغا النفّاطين فضربوا المدينة بالنار وهى من خشب الصنوبر فهاجت الريح فى الصنوبر فاقبل اسحاق بن اسماعيل الى المدينة لينظر فاذا النار قد اخذت فى قصره وجواريه و احاطت به النار ثم اتاه الاتراك والمغاربة فاخذوه اسيراً واخذوا ابنه عمرا فاتوا بهما بغا فامر بغا به فرُدّ الى باب الحسك فضربت عنقه هناك صبرا وحمل رأسه الى بغا وصلب جيفته على الكرّ وكان شيخا محدورا ضخم الرأس يخضب بالوسمة آدم اصلع احول فنصب رأسه على باب الحسك وكان الذى تولّى قتله غامش خليفة بغا واحترق فى المدينة نحو من خمسين الف انسان فطفئت النار فى يوم وليلة لانه

გვ. 1416

ფიჭვის ცეცხლს არა აქვს ხანგრძლიობა. დილით თავს დაესხნენ მათ (იგულისხმება მედინას მცხოვრებლებს) მაღრიბელნი. დაატყვევეს, ვინც ცოცხალი გადარჩა, (ხოლო) მკვდრები გაძარცვეს. ისჰაკის ცოლი იმყოფებოდა სოღდებილში. ის (სოღდებილი) მდებარეობს თბილისის პირდაპირ,

نار الصنوبر لا بقاء لها وصبحّهم المغاربة فأسروا من كان حيّا وسلبوا الموتى وكانت امرأة اسحاق نازلة بصُغديل وهى حذاء تفليس فى الجانب الشرقىّ هى مدينة بناها كسرى انوشروان وكان اسحاق قد حصّنها

ეროვნული ბიბლიოთეკა

وحفر حندقها وجعل فيها مقاتلة من الخويثيّة وغيرهم واعطاهم بغا الامان على ان يضعوا اسلحتهم ويذهبوا حيث شاؤوا وكانت امرأة اسحاق ابنة صاحب السرير ثم وجّه...

აღმოსავლეთ ნაპირზე. ის (სოღდებილი) მედინაა, რომელიც ააგო ხოსრო ანუშირვანმა. ისჰაკმა გაამაგრა იგი, გათხარა თხრილი, ჩაასახლა იქ მეომრები ხუვაჲსელთაგან და სხვ. ბუღამ უბოძა მათ გარანტია (იმ პირობით), რომ ისინი დაჰყრიდნენ თავიანთ იარაღს და გაემართებოდნენ, საითკენაც მოისურვებდნენ. ისჰაკის ცოლი იყო სარირთა ბატონის ქალიშვილი. შემდეგ გაგზავნა...

თუ მოტანილ ცნობას ღრმად ჩავუკვირდებით და თანაც ჩვენს მიერ შემოთავაზებულ თარგმანს გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ატ-ტაბარი საკმაოდ კარგად იცნობს IX ს. 50-იანი წლების თბილისის ტოპოგრაფიას. აქ ატ-ტაბარის არაფერი არ ეშლება. ის მხოლოდ ორ შეცდომას უშვებს. კერძოდ, პირველად ატ-ტაბარი ცდება, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ სოღდებილის მედინა ხოსრო ანუშირვანმა ააშენაო, რაც ჩვენ, როგორც ვფიქრობთ, უკვე შევძელით უარგვეყო იოანე საბანისძის თხზულებაში არსებული ცნობის წყალობით. ამ შემთხვევაში ატ-ტაბარი, მართალია, ბოლომდე არ მიჰყვება არაბულ მწერლობაში, როგორც ჩანს, უკვე გაჩენილ აზრს სოღდებილზე, მაგრამ იგი ნაწილობრივ მაინც რჩება ამ ტრადიციის მიმდევარი. მეორედ ატ-ტაბარი ცდება მაშინ, როდესაც იგი ამტკიცებს, რომ სოღდებილის მედინაში 50000 კაცი დაიღუპაო. დახოცილ მცხოვრებთა რიცხვის ასეთი გაზვიადება არაბულ წყაროებში, თუნდაც ეს რიცხვი მთლიანად მთელ თბილისს ეხებოდეს, არ უნდა იყოს გასაკვირველი, ვინაიდან არცთუ მაინცადამაინც იშვიათია, რომ სახალიფოს სახელმწიფო სამსახურში მყოფი არაბი თუ არაბულენოვანი ავტორი აბასელთა დინასტიის საამებლად ცდილობს არაბთა ლაშქრის სამხედრო ექსპედიციები ძლევამოსილების შარავანდედით შემოსოს და ამით ერთხელ კიდევ გაუსვას ხაზი სახალიფოს სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას.

ატ-ტაბარის ცნობით, მტკვარი, მსგავსად ას-სარასი ბაღდადში, დიდი მდინარე ყოფილა და უფრო დიდიც. ის (მტკვარი) არ ჰყოფდა მედინას შუაზე[33]. პი-

---

[33] ვ. მინორსკი წინადადებას— وهوما بين المدينة (და ის მტკვარი) არაა მედინას შუა)—შეცდომად თვლის და თავისებურად ასწორებს. ის სიტყვა „მედინას“ მსაზღვრელ ნაწილაკს და „მედინას“ მომდევნო „وَ“ კავშირს აცილებს (იხ. **V. Minorsky, Transcaucasica**, გვ. 61, შენიშვნა. 1). ამის შემდეგ ვ. მინორსკის მიერ შემოთავაზებული წინადადება შემდეგ სახეს იღებს — وهوما بين مدينة تفليس (და ის (მტკვარი) ქალაქ თბილისის შუაზეა). აქ ვ. მინორსკი თვით უშვებს შეცდომას, რომლის ერთ-ერთი მიზეზი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის არის, რომ მას ვერ გაუგია სიტყვა „მედინას“ მნიშვნელობა. ვ. მინორსკი მას „ქალაქის“ მნიშვნელობით თარგმნის. აქ თითქოს ვ. მინორსკი არ უშვებს შეცდომას, ვინაიდან მტკვარი თბილისს დღესაც, მართლაც, შუაზე ჰყოფს და ამდენად მისი თარგმანი მართებული ჩანს. მაგრამ ატ-ტაბარის ცნობის მთელი კონტექსტი მოითხოვს სიტყვა „მედინას“ არა „ქალაქის“ მნიშვნელობით თარგმნას, არამედ მის დატოვებას უთარგმნელად, ვინაიდან სიტყვა „მედინას“ შესაბამისი ტერმინი ვერ გამოგვინახავს ქართულში (**G. le Strange** ბაღდადის მედი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიქით, მტკვარი მედინასთან იმყოფებოდა. სოღდებილის მედინა თბილისის პირდაპირ, მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობდა. საკუთრივ თბილისი მდინარე მტკვრის დასავლეთის ნაპირზე მდებარეობს, ხოლო სოღდებილი— აღმოსავლეთის ნაპირზე. თბილისს სოღდებილთან ერთად ხუთი კარი ჰქონია: ბაიდნის კარი, კარის კარი, მცირე (პატარა) კარი, რაბადის კარი და სოღდები-

---

ნის „burgh"-ს უწოდებს; იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 16; იგივე G. le Strange და სხვა უცხოელი მეცნიერები იმავე ბაღდადის მედინას „the Round City"-ს (მრგვალი ქალაქი) ეძახიან, რადგან ბაღდადის მედინა არაბი ავტორების მტკიცებით პირველად აღმოსავლეთში მრგვალი ფორმით იყო აშენებული, თუმცა ასეთი ფორმის ნაგებობები გაცილებით ადრეც არის ცნობილი აღმოსავლეთში).

გარდა ამისა, ჩვენს მიერ გაკეთებული თარგმანი, ვგონებ არ ვცდებით, სავსებით შეესაბამება არაბული ენის გრამატიკული ნორმების სწორ გაგებას. ცნობილია, რომ „ما"-ს გარდა ფორმაუცვლელი ნაცვალსახელისა და ა. შ. უარყოფითი მნიშვნელობაც აქვს. ამ საკითხთან დაკავშირებით შორს არ წავალთ და აკად. გ. წერეთლის „არაბულ-ქართულ ლექსიკონზე" (თბილისი, 1951, გვ. 236), მივუთითებთ, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „ما ... III, უარყ. ნაწ. 1) არა. არ. იხმარება უარყოფით ვერბალ წინადადებებში მომდევნო პერფექტივთან (უარყოფა წარსულში) ან იმპერფექტივთან (უარყოფა აწმყოში). 2). არაა. ნომინალ წინადადებებში, პრედიკატულ სახელობით ბრუნვასთან ან ب ნ-თან (შდრ. ...(لَيْسَ „წინადადება— وهو ما بين المدينة —ნომინალი წინადადებაა პრედიკატულ სახელობით ბრუნვასთან. ამდენად, ეს წინადადება არაბული ენის გრამატიკული ნორმების მიხედვით სავსებით გამართული წინადადებაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვ. მინორსკის შესწორების შედეგად მახინჯდება მომდევნო წინადადება. ყოველ შემთხვევაში ამ შესწორებას ორივე წინადადების მარტივ გაგებაში სირთულე შეაქვს. თუ ვ. მინორსკის შესწორებას გავყვებით, მაშინ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წინადადება ერთ წინადადებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან სიტყვა „تفليس"-ის შემდეგ წერტილის დასმა შეუძლებელია. ვ. მინორსკიც ასე იქცევა, რაც მისი ფრანგული თარგმანიდან ჩანს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ორივე წინადადება მინორსკისეული შესწორების შედეგად ასე გამოიყურება— وهو ما بين مدينة تفليس فى الجانب الغربى وصغديل فى الجانب الشرقى. ასეთი წინადადების გამართული თარგმნა ჩვენთვის შეუძლებელი ჩანს. კონტექსტი ამის საშუალებას არ იძლევა. თუ წინადადების პირველი ნაწილი ზემოთ მითითებული თარგმანით შეიძლება შესრულდეს შესწორების შემდეგ, ხოლო ბოლო ნაწილი ასე ითარგმნება: „და სოღდებილი აღმოსავლეთის ნაპირზეა" (وصغديل فب الجانب الشرقى), წინადადების შუა სიტყვები— فى الجانب الغربى (დასავლეთის ნაპირზეა)—ჰაერში გამოკიდებული რჩება. ისინი თავისუფლად ვერ პოულობენ თავიანთ ადგილს წინადადებაში. ვ. მინორსკი ამ გაერთიანებულ წინადადებას თარგმნის არა არაბული ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით, არამედ იმაზე დაყრდნობით, თუ რას მოითხოვს დღევანდელი თბილისის ტოპოგრაფია, გამომდინარე იქიდან, რომ მას მცდარად ესმის ტერმინ „მედინას" მნიშვნელობა.

ამ გარემოებით აიხსნება ვ. მინორსკის მეორე შესწორებაც ატ-ტაბარის ტექსტში. იგი ზმნას „ندخل" (იმყოფება) ცვლის „ينحدر" (ეშვება, ფრანგ. descend) ზმნით, ვინაიდან ვ. მინორსკის გაგებით შეუძლებელი იყო, რომ მტკვარი მედინასთან ყოფილიყო (იხ. V. Minorsky, დასახ. ნაშრ., გვ. 61, შენიშვნ. 4).

ლის კარი. ბუღას თავისი ჯარი ორ ნაწილად გაუყვია და თითოეულის ხელმძღვანელად მეთაურად არაბი სარდლები—ზირრაქ ათ-თურქი და აბუ-ლ-აბბას ალ-ვასი ანნასრანი დაუყენებია. ზირრაქს გადაულახავს მტკვარი მაიდნის კართან[34], ხოლო აბუ-ლ-აბბასი მტკვრის მარცხენა ნაპირზე დარჩენილა და მას რაბადის კართან მიუყვანია თავისი ლაშქარი.

თბილისის ამირი ისჰაკ იბნ ისმაილი ზირრაქს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაჰყოლია და იქ გაუმართავს მისთვის ბრძოლა, როგორც ჩანს, დარწმუნებული იმაში, რომ სოღდებილი მას საიმედოდ ჰქონდა გამაგრებული და სოღდებილის მედინას საფრთხე არ მოელოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს გამოამჟღავნა ბუღა თურქმა თავისი სამხედრო ოპერაციის ძირითადი გეგმა. ბუღამ, რომლის მთავარ მიზანს, ჩანს, შეადგენდა ისჰაკ იბნ ისმაილისათვის ლახვარი ჩაეცა საკუთრივ სოღდებილის მედინაში[35], ცეცხლის წამკიდებლები გაგზავნა და მათ ცეცხლს მისცეს სოღდებილის მედინა. ცეცხლი მოჰკიდებია სოღდებილის მედინაში მდებარე ისჰაკის სასახლესა და იქ მყოფ მხევლებს. სოღდებილშივე იმყოფებოდა ისჰაკის მეუღლე, სარირთა ბატონის ქალიშვილი. გაუთვალისწინებელი შექმნილი მდგომარეობის გამო ისჰაკი უკანვე დაბრუნებულა მედინაში. იქ ისჰაკი და მისე ძე ომარი შეიპყრეს და ისჰაკი ბუღას ბძრანებით სიკვდილით დასაჯეს.

ტექსტის დანარჩენი შინაარსის გადმოცემას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ იმ ძირითად მომენტებს, რომელთა ხაზგასმა შესაძლებელია ატ-ტაბარის ცნობის მიხედვით.

---

[34] ვ. მინორსკის გაგებით ზირრაქს მტკვარი ორჯერ გადაულახავს თბილისთან. ვერც ტექსტის ასეთ გაგებაში დავეთანხმებით მას, ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია, რომ იმდროინდელ ტექნიკის პირობებში ზირრაქს მიეცა ნება თავისი თავისთვის ორჯერ გადასულიყო მტკვარზე. ამას, როგორც გვგონია, თვით ტექსტის შინაარსიც გამორიცხავს. ატ-ტაბარი, მართალია, ორჯერ ხმარობს არაბულ ზმნას „جاوز"— „გადავიდა, გადალახა", მაგრამ კონტექსტი, ვფიქრობთ, ამ ზმნის ორჯერ გამოყენების მიზეზის ამოხსნის საშუალებასაც იძლევა. ატ-ტაბარი პირველად აღნიშნავს, რომ ბუღამ გაგზავნა ზირრაქი და მან მტკვარი გადალახაო. რომელ ადგილას ამჯერად ატ-ტაბარი არ უთითებს. ის მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით კმაყოფილდება. ამის შემდეგ ატ-ტაბარი უხვევს ძირითად ტექსტს, აღწერს თბილისს, აღნიშნავს იმას, თუ რად მდებარეობდა სოღდებილი, სად იყო განლაგებული ბუღას სამხედრო ბანაკი და ა. შ. მხოლოდ ასეთი გადახვევის დროს აკონკრეტებს ატ-ტაბარი, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზირრაქმა მტკვარი მაიდნის კართან გადალახაო. არც აქ წყდება ატ-ტაბარის მიერ ჩართული თხრობა. იგი ძირითად ტექსტს მხოლოდ მაშინ უბრუნდება, როდესაც ჩამოთვლის თბილისის ხუთ კარს, აღნიშნავს, რომ მტკვარი მედინასთან იმყოფება და რომ ბუღამ გაგზავნა აგრეთვე აბუ-ლ-აბბასი არმენიის არაბ და არაარაბ მცხოვრებლებთან, რომელთაც თბილისის წინააღმდეგ ბუღას ლაშქრობაში მიუღიათ მონაწილეობა.

[35] როგორც ჩანს, ბუღა თურქს პირადი ანგარიშებიც ჰქონდა ისჰაკ იბნ ისმაილთან. ალ-იაკუბის ცნობით თბილისის ამირსა და ბუღას შორის მიმოწერა გამართულა, როდესაც ეს უკანასკნელი ალ-ბაკს იმყოფებოდა. თავის წერილში ბუღა მოითხოვდა ისჰაკ იბნ ისმაილი, المتغلب (ალ-მუთაღალლიბ—მიმტაცებელი, დამპყრობი), როგორც სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან განმდგარ ოლქთა განმგებლებს ჩვეულებრივ უწოდებენ არაბული წყაროები, მასთან გამოცხადებულიყო. მაგრამ ისჰაკს უარი შეუთვლია, თუმცა კი დაჰპირებია სახსრებითა და ხალხით დახმარებას (ალ-იაკუბი, «تاريخ» Ed. M. Th. Houtsma, ტ. II, გვ. 598).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მოტანილი ცნობიდან არ ჩანს, რომ ბუღა თურქის ლაშქრობის დროს თბილისში მტკვრის მარცხენა ნაპირზე რაიმე ციხე-სიმაგრე, ისიც მოქმედი, ყოფილიყოს[36]. აქ მედინაა აშენებული. მასში მდებარეობს ამირის სასახლე (قصر).

2. სოღდებილის მედინა ისჰაკს გაუმაგრებია. მისთვის თხრილი შემოუვლია და შიგ მეომრები ხუვაჲსელთაგან და სხვ. ჩაუსახლებია.

3. თბილისის ხუთი კარიდან ორი სოღდებილის კარია—საკუთრივ სოღდებილის კარი და რაბადის კარი, ხოლო დანარჩენი სამი კარი საკუთრივ თბილისს, ანუ კალა-თბილისის კარებია. ამაზე ჩვენ ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი.

4. 852 წ. ტრაგედია ძირითადად სოღდებილში დატრიალებულა. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ იაკუთი ცნობას ბუღა თურქი უფროსის ლაშქრობის თაობაზე ათავსებს თავისი გეოგრაფიული ლექსიკონის არა იმ ნაწილში, რომელიც თბილისს ეხება, არამედ ეს ამბავი მოთხრობილი აქვს თავში სოღდებილზე[37].

5. IX ს. 50-იანი წლების სოღდებილი არა მარტო დასახლებული ყოფილა, არამედ იქ განვითარებული საქალაქო ცხოვრებაც ჩანს. ყურადღებას იპყრობს სოღდებილში რაბადის კარის არსებობა. თუ აღებული ხანის სოღდებილში რაბადის კარი იყო, მაშასადამე იქ ზღუდეშემოვლებული რაბადიც[38], სოღდებილს სავაჭრო-სახელოსნო გარეუბანიც უნდა ყოფილიყო.

ახლა ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, თუ რა იყო მტკვრის მარცხენა ნაპირის, იოანე საბანისძის დროინდელი საგოდებელ-სადილეგოს ტერიტორიის დასახლებისა და იქ მედინას გაშენების უტყუარი მიზეზი. ერთი ცხადია, რომ აბო ტფილელის გვამის დაწვას აღნიშნულ ადგილას ფართო გამოხმაურება ჰქონია თბილისის ქრისტიანულ მოსახლეობას შორის. იოანე საბანისძის გადმოცემით, აბო ტფილელის გვამის დაწვის პროცედურის დამთავრების შემდეგ „...იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტეანეთამან და განაგდეს შიში მძლავრთაჲ მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაცა დაწუნეს ჯორცნი იგი წმიდისა მოწამისანი, მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა

---

36 ვ. მინორსკისა და მ. ლორთქიფანიძეს იოანე საბანისძის დროინდელი სადილეგო მიაჩნიათ სოღდებილის ციხედ და მას მოქმედ ციხე-სიმაგრედ თვლიან IX ს. შუა წლებისათვის (იხ. **V. Minorsky, Transcaucasica**, გვ. 61—62; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164). არა გვგონია, რომ სადილეგო, ანუ სატუსაღო—საპყრობილე, კიდევ რომ ყოფილიყო იგი ადგილზე აღებული ხანისათვის, ციხე-სიმაგრის მაგივრობის შესრულებას შეძლებდა. საპყრობილესა და ციხე-სიმაგრეს შორის არსებით განსხვავებაზე თავის დროზე მიუთითებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი (იხ. „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929, გვ. 510—511).

37 იაკუთი, დასახ. ნაშრ., გვ. 364.

38 სავაჭრო-სახელოსნო გარეუბნები რომ უცხო არ იყო ქართული ქალაქებისათვის, ეს გასაგებია და საკმაოდ ცნობილი. ეროვნული წყაროები ადრეფეოდალური ხანის ქართულ ქალაქს „ციხე-ქალაქს“ უწოდებენ. ეს სახელწოდება კარგად გამოხატავს აღნიშნული ეპოქის ქალაქის რაობასა და შინაარსს. ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ქალაქს ციხეც ჰქონია და ქალაქიც, ანუ სავაჭრო-სახელოსნო გარეუბანი. მაგრამ თვით არაბული ტერმინის „რაბადის“ გამოყენების თითო შემთხვევასაც ვხვდებით ქართულ-ბიზანტიურ მწერლობაში ადრეფეოდალური ხანის ქართული საქალაქო დასახლებების—უჯარმისა და არტანუჯის—სავაჭრო სახელოსნო გარეუბნების აღსანიშნავად (იხ. ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 261; კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიოურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, გვ. 278).

თვისითა, მკელობელნი ვლდომით, ვითარცა ირემნი, ჰაბუკნი სრბოლისა ჟდომით ურთიერთას, დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქუნდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა; ნანდვლვე იყვნეს ესენიცა მსგავს მათა, რამეთუ რბიოდეს ცრემლითა და მიაქუნდა მათ თანა სანთლები და საკუმეველი ჴელითა თჳსითა. ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტჱსითა მივიდოდეს და აღიღებდეს მიწასაცა მის ადგილისასა, და მრავალნი სენთა-გან შეპყრობილნი მიჰყვანდეს და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს«[39].

საყურადღებო ცნობაა. მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია.

ძნელია აგრეთვე ზუსტად დადგენა იმისა, თუ რამ გამოიწვია თბილისის საამიროს კარის გადასვლა მტკვრის მარცხენა ნაპირზე (ისჰაკის სასახლე IX ს. 50-იანი წლებისათვის ხომ უკვე აქ მდებარეობს, აქვეა გაშენებული მედინა). იყო ამის მიზეზი ის, რომ თბილისის ამირმა საჭიროდ სცნო მტკვრის მარცხენა ნაპირზე დასახლებულ მოსახლეობას თან გადაჰყოლოდა, თუ იქ მედინას გაშენებით მისი მიზანი იყო შეეჩერებინა თბილისის ამ ნაწილის დასახლება ქრისტიანული მოსახლეობით, თუ აბო ტფილელის წამების შემდეგ შექმნილი მდგომარეობის გამო თვით შეიქნა იძულებული თბილისის ამირი მტკვრის მარჯვენა ნაპირი დაეტოვებინა, სოღდებილში მედინა აეგო და იქ დასახლებულიყო, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით.

ერთი ცხადია, რომ IX ს. შუა ხანისათვის სოღდებილში საქალაქო ცხოვრება ვერ განვითარდებოდა, საამისო სოციალური და ეკონომიური პირობები რომ არ ყოფილიყო აღებული დროის საქართველოში.

ვერც იმას ვუპასუხებთ დანამდვილებით, თუ როდის უნდა აშენებულიყო სოღდებილში მედინა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ატ-ტაბარის ცნობის თანახმად ისჰაკ იბნ ისმაილს სოღდებილის მედინა გაუმაგრებია, მისთვის მხოლოდ თხრილი შემოუვლია და იქ მეომრები ხუვაჲსელთაგან და სხვ. ჩაუსახლებია. საგარეო და საშინაო ვითარება ისჰაკს უკარნახებდა, როგორც ჩანს, საჲანადო ღონისძიებანი გაეტარებინა სოღდებილის მედინას გამაგრების მიზნით. მომავალი საგარეო საფრთხე ნათლად დადასტურდა თბილისში ბუღა თურქის ლაშქრობით. სოღდებილის მედინასთან განვითარებულ სავაჭრო-სახელოსნო გარეუბნებში კი ისჰაკს არ შეიძლებოდა არ დაენახა კლასობრივი მტერი ვაჭარ-ხელოსნების სახით, რომელთა წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღება მას აუცილებელ პირობად უნდა ჩაეთვალა. ყოველ შემთხვევაში, სოღდებილის მედინა აშენებული ჩანს VIII ს. დასასრულსა და 830 წ. შორის, ვიდრე ისჰაკ იბნ ისმაილი თბილისის ამირი გახდებოდა.

დაბოლოს ისნის საკითხი. როგორც ირკვევა, ბუღა თურქის ლაშქრობამდე თბილისში სოღდებილის ტერიტორიაზე ციხე-სიმაგრე არ ჩანს. ამ გარემოებას ამჟამად ჩვენ შემთხვევით არ აღვნიშნავთ საგანგებოდ. ციხე-სიმაგრის არსებობის საკითხი დღევანდელ მეტეხთან ახლოს, მტკვრის კლდოვან ნაპირზე, მჭიდროდ არის დაკავშირებული ისნის სახელწოდებასთან, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ტერმინი „ისნი-ისანი“ არაბული წარმოშობისაა, რაც ციხე-სიმაგრეს ნიშნავს (حصن — მრ. რიცხ. حصون), და XI ს. და მომდევნო ხანის ქარ-

[39] იოანე საბანისძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, ტფილისი, 1935, გვ. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული წყაროები ადრინდელ არაბულ სოღდებილს შხოლოდ ისნის სახელწოდებით იხსენიებენ. ამდენად მტკვრის მარცხენა ნაპირზე რომ ციხე-სიმაგრე არ ყოფილიყო, ცხადია ვერც სახელწოდება „ისანი“ გაჩნდებოდა ქართულ მწერლობაში და ვერც ფეხს მოიკიდებდა იგი ქართლის მოსახლეობას ძორის საუკუნეების მანძილზე[40].

მართლაც, მოგვიანო ხანის არა მარტო ქართული, არამედ უცხოური წყაროებიც არაერთხელ აღნიშნავენ ციხეს, რომელიც მტკვრის მარცხენა, კლდოვან ნაპირზე, ზედ მდინარის პირზე მდებარეობდა[41]. ამდენად ჩვენ თვით ციხე-სიმაგრის არსებობის საკითხი კი არ გვაინტერესებს. ჩვენი მიზანია ამ ციხე-სიმაგრის აშენების ქრონოლოგიური ჩარჩოებისა და აქედან თვით სახელწოდება „ისნის“ გაჩენის დადგენა.

ისანს პირველად XI ს. ქართული საისტორიო თხზულების „მატიანე ქართლისას“ ავტორი იხსენიებს. მისი ცნობით „თბილელ ბერთა“ მოწვევით თბილისში შემოსულ მეფე ბაგრატ IV წინააღმდეგობა გაუწევიათ „ისნელებს“, რომელთაც „ჩააგდეს ჯიდი და არა მოსცეს ისნი“[42], ანუ ისნის ციხე. მაშასადამე, XI ს. შუა წლებისათვის ისნის ციხე არა მარტო აშენებული ჩანს, არამედ სიტყვა „ისნი“ უკვე საკუთარ სახელად გვევლინება. ამასთანავე თვით ისნის ციხეში განლაგებულ მეომრებსა და, ალბათ, მის გარეთაც დასახლებულ მცხოვრებლებს ქართველი მემატიანე ისნელებს უწოდებს[43]. ჩანს, ისნის ციხე XI ს. შუა წლებამდე კარგა ხნით ადრე უნდა ყოფილიყო აშენებული, რომ სიტყვა „ისნი-ისანი“ საკუთარ სახელად ქცეულიყო[44]. საფიქრებელია, რომ, მიუხედავად იმ ძლიერი დარტყმისა, რომელიც თბილისის მოსახლეობამ განიცადა ბუღა თურქის

---

[40] ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი XVIII ს. პირველ ნახევარში უპირატესობას სახელწოდება „ისნს“ ანიჭებს და ჯერ კიდევ ამ ტერმინით იხსენიებს იგი ძველ სოღდებილს (იხ. მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 52, 53, 54).

[41] იხ. მაგ., Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение XIII в. на персидском языке, Ученые записки Института востоковедения, т. IX, М.—Л., 1954, გვ. 202; გიორგი ფუთურიძე, ევლია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ, საიუბილეო კრებული „თბილისი—1500“, თბილისი, 1958, გვ. 46.

[42] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 299—300.

[43] ამ დროისათვის სახელწოდება „ისნი“ იმდენად დამკვიდრებული ჩანს ქართულში, რომ იგივე ქართველი მემატიანე ისანთან მდებარე დაუსახლებელ ტერიტორიას „ისნის ველს“ უწოდებს (იხ. იქვე, გვ. 300).

[44] როგორც ჩანს, სიტყვა „ისნის“ დამკვიდრებასთან ერთად ჩნდება ქართულში სპარსელთა მიერ IV ს. 80-იან წლებში ვარაზ-ბაკურის დროს (379—394 წწ). აშენებული ისნის ციხის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მეორე ციხე-სიმაგრის სახელწოდება „კალა“. მართალია აკად. ა. შანიძე, როდესაც აღნიშნავს, რომ „კალა“ სახელწოდება გეოგრაფიული სახელწოდება არ უნდა იყოს და რომ IX—X სს. უკვე კალას უწოდებენ ამ ციხე-სიმაგრესო (იხ. აკაკი შანიძე, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის, საიუბილეო კრებული, თბილისი—1500, თბილისი, 1958, გვ. 19—20; გვ. 20, შენიშვნ. 1). არაბულია თუ არა „კალა“ სიტყვა (قلعة). ამჟამად დანამდვილებით ვერ ვიტყვით. აკად. გ. წერეთლის აზრით იგი უცხო წარმოშობისაა (იხ. გიორგი წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 203).

ლაშქრობის შედეგად, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ცხოვრება არ შეწყვეტილა. პირიქით, თბილისის საამიროს ახალი, შაიბანიანთა დინასტიის წარმომადგენლებმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს მათი წინამორბედი შუაბიანთა საგვარეულოს შეცდომა და ამჯერად იოანე საბანისძის დროინდელ საგოდებელ-სადილეგოს ადგილას მედინა და სასახლე კი არ ააგეს ფიჭვის ხისაგან, იქ პატარა, მაგრამ საიმედო ციხე-სიმაგრე აღმართეს. მისი აღება არც ისე იოლი ყოფილა[45].

აღნიშნული გარემოება მით უმეტეს საგულისხმოა, რომ, როგორც ირკვევა, ისნი—ციხეების აშენება დაპყრობილ ქვეყნებში არ ყოფილა უცხო არაბებისათვის. ამაზე, გვგონია, ნათლად უნდა მეტყველებდეს ალ-ისტახრისთან არსებული ერთი ცნობა, იგი ეხება ფარსის, ირანის ამ ერთ-ერთი დაწინაურებული და კულტურული ოლქის, ტოპოგრაფიას[47]. ირანის ტერიტორიაზე ხშირი იყო ე. წ. კუჰენდიზი—ციხეების არსებობა (კუჰენდიზი— قهندز —სპარსული შედგენილი სიტყვაა და ნიშნავს „ძველ ციხეს"; کهن —„ძველი", دز — „ციხე") ასეთი ციხეები მედინა—შაჰრისთანის (شهرستان —„მედინას" სპარსული სინონიმია) კომპლექსური ნაგებობის შემადგენელი ნაწილი იყო. მაგრამ ალ-ისტახრი ფარსის ქალაქების ჩამოთვლისას და მათ კომპლექსურ ნაგებობებში შემავალი ნაწილების აღნიშვნისას განასხვავებს ერთმანეთისაგან, როგორც ჩანს, სხვადასხვა დროს აშენებულ ციხეებს და მათ მიმართ სხვადასხვა ტერმინებს ხმარობს. თუ წინამუსლიმანურ ხანაში აგებულ ციხეს ალ-ისტახრი სავსებით ბუნებრივად კუჰენდიზს უწოდებს, არაბთა დროს აშენებული ციხის მიმართ იგი არაბულ სიტყვა „ისნს" (حصن) ხმარობს[48]. ალ-ისტახრის ეს ცნობა მით უფრო სარწმუნოა, რომ თვით იგი ფარსიდან იყო წარმოშობით და ამდენად შეუძლებელია მას კარგად არ ცოდნოდა მშობლიური მხარის ტოპოგრაფია.

ამრიგად, შაიბანიანთა გვარის ამირებმა, როდესაც მათ სახალიფოს ფეოდალური დაშლის შედეგად საბოლოოდ მოიპოვეს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა, IX ს. 80-იან წლებში, ანდა უფრო ადრეც, სავარაუდებელია, მიმართეს არაბებისათვის კარგად ცნობილ და ნაცად ხერხს და მტკვრის მარცხენა ნაპირზე თბილისში ციხე ააგეს. არაბულად მას „ისნი" ეწოდება. დროთა ჰსვლელობაში „ისნი" საკუთარ სახელად იქცა.

შემოკლებანი

1 BGA—Bibliotheca Geographorum Arabicorum.

2 JRAS—The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland.

---

[45] ხოლო გიორგი III და თამარ მეფის დროისათვის უკვე ისანში იყო სამეფო რეზიდენცია. ისანში შეიტყო თამარმა სამწუხარო ამბავი მამის, გიორგი III, გარდაცვალების შესახებ. ისანშივე იზეიმეს ქართველებმა ქართული ჯარის დაბრუნებისა სამშობლოში სპარსეთსა და ხორასანში ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ.

[46] ბაგრატ IV მთელი ზაფხული მოანდომა ისნის წინააღმდეგ ბრძოლას და მაინც ვერ აიღო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 143).

[47] BGA, ტ. I, გვ. 116.

[48] აღსანიშნავია, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ერაყიც საკმაოდ დაფარული იყო ისნი—ციხეებით. იხ., მაგალითად, G. le Strange, Description of Mesopotamia and Baghdad, written about the year 900 A. D. by Ibn Serapion. The Arabic Text edited from a Ms. in the British Museum Library, with Translation and Notes, JRAS, vol. 27, 1895: არაბული ტექსტი, გვ. 9—32; ინგლ. თარგმანი, გვ. 33—76, 255—315.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯიკის და მხედველობის კორექციის საკითხები ძველ ქართულ წყაროებში და ვახტანგ VI-ის „ოჯიკური პარაგრაფები“

მიხ. შენგელია

(წარმოადგინა აკად. პ. ქავთარაძემ)

ოფთალმოლოგიისა და მხედველობის ფიზიოლოგიის მეტად რთული საკითხები უაღრესად საინტერესოდ და იმდროისათვის მეცნიერების საერთო განვითარების დონეზე არის განხილული განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ქართულ წყაროებში. ეს საკითხები საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული ჩვენს მოხსენებულ შრომაში „ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში“, სადაც ძირითად და ცალკე თავად არის გამოყოფილი „ოფთალმოლოგია ძველ საქართველოში“[1].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანისა (XI—XVIII საუკ.) და გარდამავალი პერიოდის (XVIII—XIX საუკ. 40 წწ.) ქართულ მედიცინაში, რომელმაც ჩვენს ზემოხსენებულ შრომაში ვერ პოვა ასახვა, ოფთალმოლოგიის საკითხები და, კერძოდ, ფიზიკური და ფიზიოლოგიური ოპტიკის საკითხები საკმაო სიზუსტით არის ასახული.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ქართული სამედიცინო აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლების იოანე და დავით ბაგრატიონების შრომები. იოანე ბაგრატიონს თავის ცნობილ „კალმასობაში“[2] ცალკე თავები აქვს მიძღვნილი ამ საკითხებისადმი. ცალკე თავი ეძღვნება „მიკროსკოპს“, სადაც იოანე იძლევა მის საკმაოდ ვრცელ აღწერილობას, პრინციპებს, ნაირსახეობებს მოწყობილობათა თავისებურებებისა და გადიდების უნარის მიხედვით და სხვ. აქვე, მიკროსკოპის გამოყენებასთან დაკავშირებით, იოანე ამჟღავნებს რეფრაქციის ანომალიების ცოდნას: „ყოველი კაცთა ჭვრეტა არა არს ერთგუარ, ვინაჲდგან რომელნიმე არიან შორს მხედველნი და რომელნიმე არიან ახლო მხედველნი და რომელნიმე არიან ბეცნი და ესე არს შეწყობილებისა, გამო ორღანოჲსა მათსა“[2].

იოანე თვალის რეფრაქციის მდგომარეობისდა მიხედვით იძლევა მიკროსკოპის დაყენების წესს. ის არჩევს მიკროსკოპებს, რომლებიც საგანს ადიდებს: ჩუთასჯერ, ათასჯერ და ორიათასჯერ, მეცნიერული სიღრმით არის ცალკე, თავად განხილული და განმარტებული ოპტიკის ზოგადი საკითხები სათაურით

---

[1] მიხ. შენგელია, ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, 1959, თბილისი, „საქმედგამი.“

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის № 2170 ხელნაწერი.

„ოპტიკისათვის“. იოანეს განმარტებით ოპტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ „შემძლებელ არს“ თვალი, რომ დაინახოს საგანი და განმარტავს იმ ცვლილებებს, რომელსაც განიცდის სხივი (გარდატეხის სახით) სხეულიდან არეკვლის შემდეგ ჰაერსა და თვით თვალში, ვიდრე ის (სხეული) აღიქვებოდეს ჩვენს მიერ ჩვენს შემეცნებაში, ავტორი დაასკვნის, რომ ოპტიკა ნიშნავს „ჴელოვნებასა სახედველთათვის“, ოპტიკას იგი 3 ნაწილად ჰყოფს. კატოპტრიკად, დიოპტრიკად და პერესპექტივად. კატოპტრიკა, იოანეს განმარტებით, სწავლობს სხეულის, ნივთის, განათებისა და მათგან სხივების უკუქცევის საკითხებს, დიოპტრიკა—კი ამ სხივების „სხვათა და სხვათა სიზრქეებში“ გარდატეხის საკითხებს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ სხვადასხვა „სიზრქეებში“ იგულისხმება სარკეები: ბრტყელი, სწორი, შეზნექილი, გამოზნექილი, ცილინდრული, კონუსისებური. პერესპექტივა კი სწავლობს გვერდითი (პერიფერიულ) მხედველობის საკითხებს—მხედველობის ველს, სივრცით მხედველობას. მხედველობის აქტისათვის აუცილებელი პირობაა შუქგამტარი არეების გამჭვირვალობა („სიწმინდე“), მხედველობის ნერვის თავის ტვინთან კავშირი და სხვ.

კიდევ უფრო ვრცლად ეხება ამ საკითხებს იოანეს უფროსი ძმა, საქართველოს ტახტის მემკვიდრე, შემდეგში ცნობილი მეცნიერი და მოაზროვნე დავით ბაგრატიონი, თავის ერთ-ერთ ხელნაწერში[3], რომლის ასლი ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებაში ინახება.

ხელნაწერი „შემოკლებული ფისიკის“ სახელწოდებით ოპტიკური და საჭმედიცინო—ბიოლოგიური პარაგრაფების გარეშე, 1954 წელს გამოსცა „ტექნიკა და შრომამ“ ვ. პარკაძის გამოკვლევებითა და ინტერპრეტაციებით.

ავტორი ამ ხელნაწერში დიდი გონებამახვილობით იხილავს ოპტიკის მეტად რთულ საკითხებს: „სწავლა ხედვისა იწოდების ოპტიკად“, ამბობს ის. მისი აზრით, ყოველ ხილულს საგანს აქვს უამრავი წერტილი და ამ წერტილებიდან უკუფენილი სხივები, რომელნიც სინათლის წყაროდან გამოდიან, ქმნიან მხედველობისათვის პირობებს. რამდენადაც შორს დგას თვალისაგან საგანი, იმდენად პატარა ჩანს ან და იმდენად გაურკვევლად აისახება ის ჩვენს თვალში. მაგრამ შორს მყოფი მნათი საგანი პირიქით უფრო დიდი ჩანს, ვიდრე ახლო მყოფი, რადგან შორს მყოფი საგანი „განანათლებს“ რა გარემო ჰაერს „განათლება ჰაერისა აღგვიჩნდების სამთლისა შარავანდედისა სადიდედ“. თუ შორს მყოფ სხეულს გავხედავთ პატარა ხვრელიდან, მაშინ ეს სხეული პატარად გამოჩნდება, რადგან გახფენილობა ჰაერში სინათლისა „ვეღარა შეავლს თვალსა ჩვენსა“. XI საუკუნის არაბი მეცნიერის ალგაზენის მიხედვით, ჩვენი თვალებიდან კონუსისებურად გამოსული სხივები ეცემიან სხეულებს და მხოლოდ აქედან უკან დაბრუნების შემდეგ იწვევენ მხედველობით აღქმას, ამასვე იზიარებდა ნაწილობრივ დიდი მეცნიერი რენე დეკარტიც. საგანთა ხილვის მრავალრიცხოვან თეორიებს შორის დავით ბაგრატიონი სწორ თეორიას იძლევა თავის შრომაში[4] (§—81) ავტორი აღნიშნავს ბრტყელის, სწორის, შეზნექილის, გამოზნექილის, ცილინდრულისა და კონუსისებური მინების არსებობასა და მათში სხივების გარდატეხის თავისებურებებს, მიუთითებს, რომ ამ ლინზების

---

[3] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H-ფონდის № 2368 ხელნაწერები.

[4] ვ. პარკაძე, დავ. ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფიზიკა,“ 1954, გვ. 121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალისადმი. შეგუების" („შედგომის") საკითხებს სწავლობს დეოპტრიკა (§ 82). აღნიშნავს აგრეთვე ჰოგრისა და მიკროსკოპის არსს.

სხივების თვისება არის სწორხაზობრივი გავრცელება, მაგრამ როცა ის შევა „წყალსა ან ჭიქასა", მაშინ მისი სწორმავლობა „განიხრების", სხივი შესული „გამოდრეცილსა" ლინზაში გადატყდება და „შეკრბების ერთსა მცირესა ადგილსა", რომელსაც ეწოდება ფოკუსი, სხივები გასული „შედრეკილსა" ლინზაში განეფინების (§ 83).

მხედველობის საკითხების განხილვისას დავითი აშკარად ამჟღავნებს თავის მსოფლმხედველობას. ისე ემიჯნება, არ იზიარებს „ხედვის" საკითხების „მეტაფიზიკასა შინა" განხილვას; ხედვის ფუნქცია, დავითის აზრით, მიეწერება „ორღანოს ხედვისასა და არა სულსა" (§ 88). მხედველობის არსის ასეთი მატერიალისტური განსაზღვრა მას, როგორც ვხედავთ, მოცემული აქვს მოკლედ ცალკე პარაგრაფში, სადაც სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მის მატერიალისტურ მოსაზრებებს—ავტორს ხაზგასმული აქვს, რაც იმას მიუთითებს, რომ ის მეტად პრინციპული მატერიალისტი იყო და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მატერიალისტურისა და იდეალისტურის, დიალექტიკურისა და მეტაფიზიკურის გამიჯვნას ურთიერთისაგან.

მომდევნო (89) პარაგრაფში ავტორი აღწერს მხედველობის ორგანოს—თვალის ანატომიასა და მისი ცალკეული ორგანოების მოკლე ფუნქციას, ასახელებს ქუთუთოებს, წამწამებს, თვალის მამოძრავებელ 6 კუნთს, რომელთაგან „ოთხი მათგანი არს სწორე, ხოლო ორი ალმაცერ"; თითოეულ ამ კუნთთა ფუნქციები ავტორს სწორადა აქვს განმარტებული, მხოლოდ „ალმაცერად წოდებულ" კუნთებს „საამო ხედვისა" და „მრისხანე ხედვის" ფუნქციას ანიჭებს.

თვით თვალის კაკლის აღნაგობა (§ 90) საკმაო სიზუსტით არის აღწერილი. „გუგა[5] თვალსა შედგმულ არს სხვათა და სხვათა სინოტიეთაგან და გარსთაგან". გარსებს შორის ის ასახელებს: ზემო გარსი, რომელსაც „ღრაჭისა და ნახტენის" თვისება აქვს (სკლერა). რქოვანას თვლის ამ გარსის „გამობერილ" „გამჭვირვალე" ნაწილად. „შიგნითი გარსი" ანატომიაში ყურძნის გარსად იწოდებაო (სისხლძარღვოვანი გარსი), რომელსაც აქვს ხვრელი ბაიად (გუგა) წოდებული. გარშემო ამ ხვრელისა არის „ფეროვანი", ანატომიაში ირისედ სახელდებული, გარსი (ფერადი გარსი), ამის უკან „მოთეთრო სიმრგვალე ლიგამენტად წოდებული" (კოპარი); ჩანს სხივისებურ სხეულზეა ლაპარაკი. დანარჩენი ნაწილი „ხოროიდად" არის წოდებული.

გამჭვირვალე გარსთა შორის მოთავსებულია წმინდა წყლის მსგავსი ბროლი. მესამე ანუ „შინაგნითი" გარსი „იწოდების ბადედ", ლათინურად „რეტინად" (ბადურა გარსი). ყველა ეს ნაწილი შედგება „ნერვთაგან ანუ საგრძნობელთა ძარღვთაგან".

თვალი განიყოფების ორ ღრუდ, ნაწილად (კომარი, კელენი) წინა და უკანა, რომელნიც ავსებულნი არიან „წმინდითა ნოტიობითა". წინა ნაწილში ბროლს გულისხმობს თავისი წინა და უკანა კაფსულითა და შიგთავსით (ბროლის მასით) და უკანა ნაწილი კი ამოვსებულია „მინისა მსგავსისა სინოტიითა" (მინისებური სხეული). თვალში სხივების შესვლისა და გარდატეხის შემდეგ საგნის აღქმა ხდება („გამოიხატების") „თვალისა ძირსა რეტინასა ზედა".

---

[5] დავ. ბაგრატიონი გუგას არასწორად თვალის კაკლის აღმნიშვნელად ხმარობს და გუგას კი—ბაიას უწოდებს.

მაშასადამე, დავით ბაგრატიონი საკმაო სიზუსტით აღწერს თვალის ანატომიას, გასაკვირია ტერმინოლოგია, რომელსაც დავითი ხმარობს (ბროლი, ბაია, ფეროვანი გარსი, ბადე გარსი, მინისმსგავსი სინოტივე და სხვ.) და რომელიც პირველად მის მიერ არის ნახმარი[6], ესიტყვება დღეს მიღებულსა და დადგენილ ტერმინოლოგიას (ბროლი, ბაია, ფერადი გარსი, ბადისებური გარსი, მინისებური სხეული), მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტერმნიოლოგიის დამდგენელთ არა გვგონია ხელთ ჰქონოდეთ დავითის ხელნაწერი.

თანამედროვე ტერმინებისა და დავითის მიერ მიღებული ტერმინების ასეთი დამოუკიდებელი თანშეხვედრა დასახელებული ავტორის მაღალი კულტურისა და გემოვნების მაჩვენებელია.

91-ე პარაგრაფში თვალი განხილულია, როგორც ორმხრივი ამოზნექილი მინა (დამანი), როგორც ოპტიკური იარაღი. ავტორი სრული სიზუსტით ხსნის საგნიდან არეკლილი სხივის გავლასა და გარდატეხას თვალის ოპტიკურ სისტემაში. ფუ არა „გვქონდეს თვალთა წინა რაოდენნიმე სინოტიენი გარდამტეხელნი შეჩრავანდისანი“, მაშინ თვალის ფსკერამდის სხივები მივლენ გაფანტულად და საგანსაც ვეღარ დავინახავთ. თვალის „გარდამტეხელნი სინოტიენი“ კი იწვევენ სხივების გარდატეხასა და შეკრებას „ერთსა პუნქტსა“ (ყვითელ ხალზე — მ. შ.). ავტორისათვის ცნობილია, რომ საგნიდან წამოსული სხივები „იყირაზედ“ აისახებიან ბადურაზე „ზემო ქვედაღმა და ქვემო შეღმა მარჯვენა—მარცხნივ და მარცხენა—მარჯვნივ“ (ხელნაწერში მოცემულია ნახაზი „ფიგურა № 12“ სხივების გარდატეხის სქემატური ამსახველი). თითოეული თვალი ცალ-ცალკე აღიქვამს საგანს, მაგრამ ცნობიერებაში ერთი საგანი „დაეტვიფრების“ და არა ორი. ტვინისაკენ მიმავალი „საგრძნობელნი ნერვთა“ და თვით ტვინის მეოხებით გუგა „ბნელსა ადგილსა განგანიერდების და ნათელსა შეიმჭირშვის“.

ასაკობრივ პრესბიოპიას ასე ხსნის ავტორი: სიყრმისას ბროლი „გამობერილია“ და „ჟამსა მცხოვანებისასა უწყებენ განბრტყელებასა“. სწორედ ამისათვის ხმარობენ მოხუცებულები „სათვალესა მცირედ გამოდრეცილსა“. ბოლოს მოყვანილია სიბეცის მიზეზთა ფიზიკური ახსნა: „ოდეს ბროლებრი თვალთა სინოტიე იქმნების უმეტეს გამობერილი, ესე არს მიზეზი ბეცობისა“, რომლის დროსაც ხმარობენო „სათვალესა შედრეცილსა“.

მომდევნო პარაგრაფებში დავითი იხილავს მიკროსკოპს. ის არჩევს მარტივ მიკროსკოპსა და რთულ მიკროსკოპს, 5 სქემატური ნახაზი არკვევს მათში სხივების გავლისა და გარდატეხის გზებს.

იოანე და დავით ბაგრატიონების ხსენებული ხელნაწერები მათი პეტერბურგში ცხოვრების წლებს განეკუთვნება, სახელდობრ, 1801—1830 წლებს. მათ ძირითად წყაროებს წარმოადგენს იმდროინდელი ფრანგული, ლათინური, რუსული და სხვ. სამედიცინო ლიტერატურა. ჩვენ ამ ხელნაწერებიდან არ მოვიყვანეთ ციტატები და უფრო დაწვრილებითი ცნობები, დავჯერდით მხოლოდ მათ მოკლე ინტერპრეტაციებს, რადგან ყურადღების ცენტრი გვინდა გადავიტანოთ უფრო ადრინდელ წყაროებზე.

ცნობილია, რომ ადგილი და დრო სათვალების გამოგონებისა ჯერ კიდევ დაუდგენელია. არაზუსტი ცნობების მიხედვით ფიქრობენ, მხედველობის საკორექციო საშუალებანი პირველად XII საუკუნის ბოლოს გამოჩნდა ვენეციაში.

---

[6] ადრინდელ წყაროებში ეს ტერმინები არ გვხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვინ გამოიგონა პირველად სათვალე, ზუსტად მისი დადგენა ვერ ხერხდება. საფრანგეთში შემონახულია სასაფლაოს ქვა ნახევრად წაშლილი წარწერით: „აქ განისვენებს სალვინო არმატი ფლორენციიდან, სათვალეების გამომგონებელი, ღმერთი შეუნდობს მას თავის ცოდვებს". წარწერა დათარიღებულია 1317 წლით. არსებობს აგრეთვე გადმოცემა, თითქოს სათვალეები გამოეგონოს ოქსფორდელ მღვდელს ბეკონს, რომელმაც ფლორენციაში ყოფნისას (1285 წელს) თითქოს თავისი აღმოჩენის შესახებ აცნობა ფლორენციელ მღვდელებს. ეს აღმოჩენა შემთხვევით ხასიათს ატარებდა, რადგან თვალის ოპტიკური თვისებები იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ის საკმაოდ დაგვიანებით იქნა შესწავლილი ასტრონომ კეპლერის (1571 — 1630) მიერ[7].

პირველად გამოყენებაში იყო ორმხრივი ამოზნექილი მინები (კონვექსები) პრესბიოპიისათვის, კონკავები კი მხოლოდ შემდგომ პერიოდში (ე. ი. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში) გამოჩნდა ხმარებაში. სათვალეები ძალიან ნელა ვრცელდებოდა და ის უმთავრესად შეძლებული კლასისა და მაღალი არისტოკრატიის მეტად იშვიათ და ფუფუნების საგნად ითვლებოდა დიდხანს. სიახლენიც მასში ძალიან ნელა იკაფავდა გზას. XVIII საუკუნის დასაწყისამდე სფერული მინების მხოლოდ 3 დიოპტრია იყო გამოყენებული.

რუსეთში მხედველობის საკორექციო საშუალებათა (სათვალეების) ისტორია შეისწავლა ს. ლ. სობოლმა, მისი შრომა „Очки в России в XVII веке" დაიბეჭდა ჟურნალში „Проблемы физиологической оптики" (том. VII, 1949 г.) რომელიც აკადემიკოსების ლ. ა. ორბელის, ს. ი. ვავილოვის, ჰ. ი. ავერბახისა და სხვათა რედაქტორობით გამოდიოდა, ამ შრომიდან ირკვევა, რომ პირველად სათვალეები რუსულ წყაროებსა და დოკუმენტებში ჩანს 1636 წლიდან. სათვალეები, რომელიც ეკუთვნოდა თავად ო. ვ. პრიიმკოვ-როსტოვსკის, 1636 წელს მისი სიკვდილის შემდეგ გადადის მეფის განკარგულებაში. „ამით დადგინდა დღემდის ცნობილი ყველაზე უძველესი თარიღი სათვალეების არსებობისა რუსეთში"[8].

გარდაცვალებული თავადის ნაქონი სათვალის მეფეზე გადაცემა იმას ჰიუთითებს, რომ რუსეთში ის საკმაოდ იშვიათსა და უნიკალურ ნივთს წარმოადგენდა. ამ დროიდან (1639 წ.) შემონახული დოკუმენტით ირკვევა, რომ მოსკოვში ზოგიერთი მესაათე ოპტიკურ ხელსაწყოებს ფლობდა და სათვალეებზე განსაზღვრულ (ჩარჩოში ჩასმა და სხვ.) შეკეთებას აწარმოებდა. უკვე XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპიდან ვაჭრებს შემოაქვთ გასაყიდად სათვალეები. მაგალითად 1671 წელს არხანგელსკში შემოტანილია „491 დუჟინი სათვალე" (ე. ი. 5892 წყვილი). ხსენებულ შრომაში ს. ლ. სობოლი წერს, რომ „მე-17 საუკუნის I ნახევარში არავითარი თეორიული წარმოდგენები სათვალეებზე და მათ მოქმედებაზე არ არსებობდა", მხოლოდ მე-17 საუკუნის 70-იან წლებში შესაძლოა მცირეოდენი თეორიული წარმოდგენა ჰქონოდათ საკორექციო საშუალებათა შესახებ სამეფო კარის ვიწრო განათლებულ წრეებში, რადგან ამ ხანებში მეფის ალექსი მიხელის ძის ბრძანებით თარგმნილ იქნა ცნობილი ასტრონომის იოანე ჰეველის ტრაქტატი „Селенография" ანუ მთვარის აღწე-

[7] Л. А. Кацнельсон, Очки, Медгиз, 1961, стр. 3.

[8] С. Соболь, Очки в России в XVII веке, Проблемы физиологической оптики, т. VII, 1949, стр. 112.

რილობა. ამ ტრაქტატის პირველ ორ თავში მოცემულია „სხვადასხვა სახისა სებისა და ოპტიკური იარაღებისა და კერძოთ სათვალეების“ აღწერილობა, არის პირველი ხელნაწერი რუსულ წყაროებში, რომელიც შეიცავს ელემენტარულ ცნობებს ოპტიკის საკითხებზე.

ამ მხრივ საქართველოში შემდეგი მდგომარეობაა: ყველაზე ადრინდელი წყარო, რომელშიც შემონახულია ცნობა საკორექციო საშუალებათა შესახებ, ჯერჯერობით არის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. სულხან-საბას აქ განმარტებული აქვს ისეთი სიტყვები, რომელნიც ერთგვარ წარმოდგენას იძლევიან ოპტიკის საკითხებზე. მას განმარტებული აქვს სიტყვები: დურბინი, სათვალე, კონო, შორსათვალე, დამანი, ჭიქა, მინა, შუშა, ჭოგრი, ჭოგრიონი (თელესკოპი). საბა და, რასაკვირველია, იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობაც, იცნობს მთელ რიგ ოპტიკურ ხელსაწყოებს. დურბინს შემდეგ განმარტებას აძლევს საბა: „დურბინი—სხვათა ენაა, ქართულად შორსათვალე და ჭოგრი ჰქვიან“. შორსათვალე და ჭოგრი ავტორს ანბანის მიხედვით შეაქვს, თავ-თავის ადგილას კი ერთი და იგივე განმარტებას აძლევს; როგორც ჩანს, დურბინის შესატყვისი სიტყვები კარგა ხნის დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო ქართულ მეტყველებაში იმ დროისათვის, რადგან ის საკმაოდ გავრცელებული ჩანს ნამდვილი, ეროვნული წარმოშობის სინონიმური სიტყვებით (შორსათვალე, ჭოგრი). საბა იცნობს ისეთი რთული აღნაგობის ოპტიკურ ხელსაწყოს, როგორიც არის ტელესკოპი. აღსანიშნავია, რომ ამ ხელსაწყოსაც უკვე ქართული სახელწოდება აქვს ჭოგრიონი: „ჭოგრიონი—დიდი დურბინდია ვარსკვლავთა და პლანეტათა გასასინჯავი და შორსმხედველი, თელესკოპი“—წერს სულხან-საბა.

სულხან-საბას დროს საკმაოდ გავრცელებული და ქართული ტერმინით დამკვიდრებული ჩანს მხედველობის საკორექციო საშუალება—სათვალე. სულხან-საბა წერს თავის ლექსიკონში—„სათუალე—ბროლის არს თვალთა საფარი, წიგნთა კეთილად წასაკითხავად“. საბას ლექსიკონი, როგორც თვით საბა გადმოგვცემს მის ე. წ. „ანდერძნამაგში“, დაწერილია მის „ჭაბუკობის ჟამსა და სიყრძესა“. სულხან-საბა დაბადებულია 1658 წელს, მისივე განმარტებით ყრმა ეწოდება „ათ-ხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე“, ხოლო ჭაბუკი „ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე“, თუ მისი ყრმობისა და ჭაბუკობის ხანას შევაჯერებთ ლექსიკონის დაწერის დროსთან, ლექსიკონი დაწერილი უნდა იყოს 1673—1688 წწ. ზემოხსენებული ოპტიკური ხელსაწყოებისა და სათვალის განმარტებაც ამ ხანებშია შეტანილი მასში. ამგვარად ირკვევა, რომ XVII საუკუნის 70-იანი წლებისათვის საქართველოში არსებობდა გარკვეული წარმოდგენა ოპტიკის საკითხებზე, იცნობდნენ ოპტიკურ ხელსაწყოებსა და მხედველობის საკორექციო საშუალებას—სათვალეს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ ამ დროისათვის ისინი ქართული, ეროვნული ტერმინოლოგიით არიან ცნობილნი და გავრცელებულნი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს თარიღი გაცილებით ადრეული ხანისაკენ გადაინაცვლებს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ საბას ლექსიკონი უხვად შეიცავს ევროპულ ტერმინოლოგიას: ილაო (ილეუსი), დისპნოა (დისპნოე). არტერია, ფიზიონომია, ეპლასტრო, კატარა (კატარი), კოსმოგენია, ამვლიოპ, ოპობა (ამბლიოპია). იკტერონია (იკტერუს, სიყვითლე), იპოსტონი (იპოსტოტონუსი), აგრეთვე: დრამმატურგიაჲსა, კოსტანცია, კომენტარი და მრავალი სხვ., რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული სამეცნიერო აზროვნება (და მათ შორის ფიზიკური და ფი-

ზიოლოგიური ოპტიკის საკითხებზე წარმოდგენები) გაცილებით უფრო ადრე იყოფებოდა უშუალო კონტაქტში თანამედროვე ევროპულ მეცნიერებასთან, ვიდრე ეს მიღებულია ზოგიერთ ავტორთა მიერ.

ზემოხსენებული მასალები, როგორც ვნახეთ, მეტად მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა—სამედიცინო აზროვნების ისტორიისათვის საქართველოში, მაგრამ მათთან შედარებით სრულიად მოულოდნელი და იმ დროისათვის გასაკვირი იყო ისეთი ღრმააზროვანი, პრაქტიკული, ოპტიკური სახელმძღვანელოს არსებობა, როგორიც ვახტანგ VI ერთი ხელნაწერია[9]. ხელნაწერი დასათაურებულია ასე: „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნისა შეკრებული მეფის ვახტანგისაგან". ხელნაწერი გადაწერილია ვახუშტის მიერ, დათარიღებული არაა, მაგრამ ის 1716—1724 წლებში უნდა იყოს შესრულებული, რადგან ვახტანგი, „მეფის" (და არა „ჯანიშინის" ან „გამგებლის") ტიტულით მეფობდა ამ წლებში, და წიგნიც დაწერილია სწორედ „მეფის" ვახტანგისაგან და არა „ჯანიშინისა" ან „გამგებლისაგან", როგორც ვახტანგის ადრინდელ, „ჯანიშინობის" დროინდელ, ხელნაწერებშია ხოლმე აღნიშნული. წიგნი მთლიანად უაღრესად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს, ის ვახტანგის ორიგინალური ნაწარმოებია და მთელი რიგი ქიმიური ანალიზი და ცდა, რომელიც ამ ძეგლშია აღწერილი, როგორც თვით ვახტანგი წერს, მის მიერვე არის შემოწმებული და პრაქტიკულად გამოცდილი. მთელი ტექსტი 279 პარაგრაფისაგან შედგება და, მათ შორის 215-ე — საკმაოდ მოზრდილი პარაგრაფი—განკუთვნილია სათვალეებისა და სხვა ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების წესების აღწერისადმი.

ეტყობა ვახტანგს საგანგებო დაინტერესება გამოუჩენია ამ საკითხებისადმი. შესაძლოა, საჭიროების გამო გამოწვეული პრაქტიკული მოსაზრებებით, რადგან ხსენებულ პარაგრაფს, სათვალეებისა და ოპტიკური ხელსაწყოების დამზადების წესებს ძალიან ნაკლები კავშირი აქვს ტექსტის დანარჩენ ნაწილთან, სადაც ზეთებისა და სხვა ნივთიერებათა ქიმიაა გადმოცემული.

ტექსტის შინაარსობლივი ამოკითხვა და გაანალიზება პირველად ძალიან გაგვიჭირდა. ის დაწერილია, რასაკვირველია, ძველი ქართულით, შეკუმშული, ლაკონიური სტილით, როგორც ეს მოსალოდნელია სულხან-საბა ორბელიანის სკოლის წარმომადგენლისაგან. დღეისათვის უცნობი ტერმინოლოგია და გამოთქმები, საგანთა უცნობი სახელწოდებანი და თვით ტექნოლოგიური პროცესების სირთულე კიდევ უფრო აძნელებდა ტექსტის ამოკითხვას.

ტექსტის წაკითხვა და ანალიზი შესაძლებელი გახდა მხოლოდ თანამედროვე ოპტიკურ სახელოსნოში არსებულ ტექნოლოგიური პროცესების შესწავლით. გავეცანით რა მას, ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა; ვახტანგის მიერ აღწერილი ტექნოლოგიური პროცესები სათვალეების დამზადებისა, შეიძლება ითქვას, ზუსტად ემთხვევა თანამედროვე ოპტიკურ სახელოსნოში არსებულ პროცესებს, და სწორედ ამან უზრუნველყო ტექსტის გაგებაც.

ტექსტი იწყება სათვალის ყალიბის გაკეთების წესების აღწერით. ავტორი 4 სახის ყალიბს აღწერს: პირველი ყალიბი ორმხრივი ამოზნექილი მინების გასამზადებელია და თვითონ ჩაზნექილი უნდა იყოს. „ერთი კიდევ სხვა ყალიბია თუ ის ა. ბ. გ. დ. რამ აზის ის ღრმად არ ამოათლევინე და ამავე რიგად მგრგვალად ამოათლევინე ეს სათვალეს ამოსთლის" ე. ი. მეორე სახის

[9] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S-ფონდის 3721 ხელნაწერი.

ყალიბი უნდა იყოს მრგვალად მოთლილი, რომ სათვალე ამოსთალოს ე. ი. ჩაზნექილი მინები მივიღოთ. ავტორის მიხედვით „მოთლილი“ ყალიბი, ჩაზნექილი (კონკავების) მინების მისაღებად არის და „ამოთლილი“ ყალიბი—ამოზნექილი (კონვექსების) მინების მისაღებად. „თუ ორივე პირი სათვალისა ამოთალა, როგორც ორი პირი სათვალე სქლად გათლილი აჩვენებს, აგრევეს ოთხს იმდენს წვრილად აჩვენებს“ ე. ი. ორმხრივ ამოთლილი სათვალე (ჩაზნექილი) ოთხჯერ უფრო წვრილად აჩვენებს, ვიდრე ორმხრივ სქლად გათლილი (ამოზნექილი) სათვალე. ყოველივე ეს მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები იყოს, ასეთი მაგალითი მოჰყავს ავტორს: „თუ ცალი პირი ამოსთალე, ცალი პირი სათვალესავით მოსთალე, რომ ორსავ ზომა ერთი იყოს—ისე აჩვენებს“ ე. ი. მინის ცალი მხარე თუ ამოზნექილი გაკეთდა და მეორე მხარე იმავე ზომის ჩაზნექილი, ამით რასაკვირველია მინის დიოპტრიულობა 0 იქნება და ისევ. ისე აჩვენებს“ ე. ი. მხედველობას ვერ შეცვლის.

მესამე სახის ყალიბია „პირი ასეთი სწორე უნდა ჰქონდეს, რომ არაფერი სიმრუდე არ უნდა ჰქონდეს იმაზედ, რომ სათვალეს გასთლი, ვაკე გაითალოს, აგისთანა ყალიბზედ თუ ორივ პირი სათვალისა გასთალე, როგორც არის, ისე გამოაჩენს, არც მოუკლებს, არც მოუმატებს“. შემდეგ უფრო აზუსტებს და ამარტივებს ავტორი თავის ნათქვამს: „თუ ერთი პირი ვაკეა და ერთი სათვალესავით გათლილი (ამოზნექილი —მ. შ.), ის რასაც ზომის სათვალის ყალიბია, ერთს იმდონათ უშორესად აჩვენებს. თუ ორივე პირი ამოსთალე (ჩაზნექილი—მ. შ.), რასაც ზომის სიმსხოსია ორს იმდონს წმინდად აჩვენებს, თუ ცალი პირი სწორე აქვს და ცალი ამოსთალე რასაც ზომის სიმსხოს აჩვენებს, იმდონს წმინდათ წვრილად აჩვენებს“. მეოთხე ყალიბი სათვალის არშიის „გასათლელად“ არის განკუთვნილი. ყალიბი კეთდებოდა რკინისაგან ან „ზარბაზნის სინისაგან“. ზარბაზანი საბას განმარტებით დიდი თოფია, ხოლო სინი ანუ სინა „უშავეს და უდარეს“ არს რვალისა (ფოლადისა), ხოლო „რვალი არს უთეთრესი და კმაკეთილ მჟღერალე“. მაშასადამე ყალიბი მზადდებოდა რკინისაგან და ისეთი ფოლადისაგან, რისგანაც ზარბაზანი კეთდებოდა.

ავტორი გაფრთხილებას იძლევა ყალიბის „გათლისა“ და „ამოთლის“ სიზუსტეზე. თუ „სწორედ ვერ გააკეთებს, ცუდი სარჯელია“, ამბობს ის.

უკვე გაკეთებული ყალიბი უნდა ჩაისვას ხეში („ყალიბი ხეში ჩასვი“). „ან ასეთს ჩალხზედ დააკარ, წისქვილსავით ბრუნვევდეს“. თვით მინის ხეხვის, გათლის, თრაშვის პროცესი შემდეგნაირად არის აღწერილი:

„მოიტანე თუ კაი სათვალე გინდა, კაი წმინდა და თეთრი სარკის ნაჭერი და რამდონიც სიდიდით გინდოდეს ალმასის მრგვალად შემოხაზე და შემოამტვრიე, მერმე ის ჩიქა, წელან რომ ფისი ვთქვით ერთს ხეზედ იმითი დააკარ“.

სახეხი სასათვალე მინის ფიქსირება ხდება ხეზე შემდეგი შემადგენლობის ნაერთით: გამდნარი ფისი, ამ ფისის მესამედი კარპიუსი („კარპიუსი—ერთი ფისია ყვითელი, საფრანგეთიდამ მოვა“) და კარპიუსის წონა ნახშირი—„სათვალეს ამითი დააკრევინე“. თრაშვის დაწყების წინ სასურველი ზომის ყალიბში „ზუმფერა ან ქვიშა ჩაყარე“, მაგრამ ზუმფერამ რომ ყალიბი მალე არ გასცვითოს, ზუმფერას წყალი უნდა დაასხა, რომ „კარგა გათხელდეს“. ამის შემდეგ ხდება „ჩალხზე“ დაკრულ ყალიბში მინის თრაშვა: „ის ჩიქა იმ ყალიბში ლესე, ამდენი, რომ პირზედ ელვარობა აღარსად ჰქონდეს, მერმე მეორე პირი კიდევ ისე გალესე“.

ოპტიკური თრაშვის დასრულების შემდეგ მინა გადააქვთ „არშიის ყალიბში“, სადაც იწყებენ ლესვას „ორისავე პირისაკენ გინდოდეს არშია თუ ერთის პირისაკენ“; ან „თუ არშია არ გინდოდეს ნუ გალესავ“, იუწყება ტექსტი, ამით დასრულებულია თრაშვის (ხეხვის, გათლის, ჩარხვის) პროცესი. შემდეგი პროცესია გაპრიალება. ამ პროცესის ორი მეთოდია მოწოდებული: მარტივი— სახელდახელო, და რთული — საგულდაგულო.

მარტივ მეთოდს ტექსტი ასე აღწერს:

„თუ საჩქაროდ გინდოდეს, ერთს მოსქოს ფიცარზედ ლანდრა გარდააკარ. ზედ წყალი შეაფრქვიე, წაუსვი, იმაზედ უსვი კარგად, წყალი მიეცემა და სათვალე იქნება“ რთულ მეთოდს მაშინ უნდა მიმართო „თუ კარგა გინდა გააკეთო“. ამ შემთხვევაში ყალიბს გადააკრავენ „წმინდა ქაღალდს“ კარგის „თხელის წებოთი“ გაახმობენ, დააყრიან ამარულს (ამარული—წმინდად დანაყილი ქვიშა არის“—განმარტავს ვახტანგი) და კვლავ ქაღალდგადაკრულ ყალიბში ლესენ, მანამ „ჭიქა კარგად გაწმენდეს და დაფხაჭილი აღარ ეტყობოდეს“. ამის შემდეგ ამარულის მიწა უნდა გამოყარო ყალიბიდან, მინა გაწმინდო კარგად, მერე „ტრიფელი დაფხიკე და ყალიბში ჩაყარე, ახლა ამითი ლესე კარგათ ჭიქა... რა კარგა გაწმდეს, სათვალე იქნება“. ტრიფელი—ვახტანგისავე განმარტებით „ერთი თეთრი მიწა არის, თეთრ მიწას გავს მაგრამ უფრო მაგარია“.

ტექსტში არაა აღწერილი სათვალეების ჩარჩოს მომზადება, მაგრამ რადგან სასათვალე მინებზე მისთვის კეთდებოდა სპეციალური არშია, ცხადია ჩარჩოც საგულდაგულო და საკმაოდ მოხდენილი გაკეთდებოდა.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, საკმაო სიზუსტითა და თანმიმდევრობით არის აღწერილი სათვალეების ყალიბის მომზადების, სასათვალე მინების თრაშვისა და გაპრიალების პროცესები, იმ დროს ამ მიზნისათვის გამოყენებული ნაერთებისა და ნივთიერებების აღნიშვნით. დღევანდელ ოპტიკურ სახელოსნოშიც ზუსტად ასეთივე მანიპულაციები ხდება: არსებობს ფოლადისაგან გაკეთებული ყალიბები, როგორც ბრტყელი სფერული, ისე ცილინდრული მინებისათვის სხვადასხვა ზომისა (დიოპტრიებით), ყალიბების ფიქსირება ხდება აქაც მბრუნავ „ჩალხზე“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვახტანგის „ჩალხი“ ხელით სატრიალებელია, დღევანდელ სახელოსნოში კი მას ელექტროენერგია ატრიალებს. სათრაშავი მინის ფიქსირება ხდება ლუქით,—ვახტანგი კი ფიქსაციას აკეთებს გამდნარი ფისის, კარპიუსისა და ნახშირის ნარევით. თრაშვის. ლესვის დროს ამჟამად ყალიბში ისხმება ე. წ. „ნაჟდაკი“ წყალში ფაფასავით გახსნილი, ვახტანგი ხმარობს ე. წ. „ზუმფერას ან ქვიშას“ აგრეთვე წყალში ფაფასავით „გათხელებულს“. პირველადი თრაშვის დამთავრების შემდეგ სწმენდენ როგორც მინას, ისე ყალიბს და ლესვენ „ნაჟდაკზე“ უფრო წვრილი ფხვნილით, რომელსაც „მელკის“ ანუ „ტრიცატკას“ ეძახიან. თრაშვის დამთავრების მანიშნებლად დღეს თვლიან, რომ მინამ თანასწორად დაკარგოს ელვარება, როგორც პერიფერიებზე, ისე ცენტრშიც. ვახტანგიც ამასვე წერს: „ჭიქა იმ ყალიბში ლესე, ამდენი, რომ პირზე ელვარება აღარსად ჰქონდესო“. თრაშვის დამთავრების შემდეგ ამჟამად ოპტიკურ სახელოსნოში შემდეგნაირად იწყებენ გაპრიალების პროცესს: გაწმენდილ ყალიბზე წებოთი აკრავენ შალის ნაჭერს, მასზე ასხამენ ერთგვარ ქიმიურ ნაერთს, რომელსაც „კროპუსს“ ეძახიან, და კვლავ იწყებენ ყალიბის ტრიალს და მასზე ფიქსირებული მინა რამდენიმე წუთში გაპრიალდება

ვახტანგის მიერ აღწერილი გაპრიალების პროცესიც თითქმის ასეთივეა. მხოლოდ ვახტანგი შალის ნაცვლად ქაღალდს აკრავს ყალიბზე წებოში, და გასაპრიალებელ ნივთიერებებად „კროპუსის“ ნაცვლად ხმარობს—ჯერ „ამარუღსა“ და შემდეგ „ტრიფელს“ ე. ი. ორ გზის გაპრიალებას მიმართავს.

ვახტანგი მინაზე არშიას თრაშვის დამთავრების შემდეგ, გაპრიალებამდე აკეთებდა, სპეციალურ ყალიბებში. დღევანდელ სახელოსნოში ის ბოლო მანიპულაციაა და ყალიბებში კი არ კეთდება, არამედ სპეციალურ სალეს ქვებზე. ამგვარად, ვახტანგის მიერ აღწერილი საკორექციო მინების გამზადების მთელი ტექნოლოგიური პროცესი თითქმის ზუსტად იმეორებს დღევანდელ ოპტიკურ სახელოსნოში (კერძოდ თბილისის ოპტიკურ სახელოსნოში) არსებულ პროცესებს, განსხვავებებია მხოლოდ დამხმარე მოწყობილობათა და ნივთიერებათა სახელწოდებებში და ზოგიერთი პროცესის თანმიმდევრობის გადანაცვლებაში.

ვახტანგი, რასაკვირველია, არ იცნობდა ცილინდრულ მინებსა და არც მათ დამზადების წესებს; თვით სფერული მინებიც მხედველობის კორექციისათვის, XVII საუკუნის ბოლომდის 3 დიოპტრიაზე მეტი არც იყო გამოყენებაში[10], აღსანიშნავია, რომ ვახტანგის მიერ აღწერილი ყალიბები ოთხ დიოპტრიამდე უნდა ვიგულისხმოთ, რადგან მის მიერ უკანასკნელად აღწერილი ყალიბი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ოთხს იმდონს წვრილად აჩვენებსო“. ყოველ შემთხვევაში საწყისი ზომიდან რაღაც ოთხი განზომილება არსებობდა სათვალეების სიძლიერეთა სახეობებში.

მომდევნო პარაგრაფებში (216, 217, 118, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232) აღწერილია ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ზურმუხტის ფერი, ფირუზის ფერი და სხვა ფერად-ფერადი მინების („ჰიქების“) მომზადების წესები და მეთოდები.

პარაგრაფის ბოლოს მოცემულია დურბინის გაკეთების წესი, სადურბინე მინებისათვის („ჰიქებისათვის“) უნდა გაკეთდეს სპეციალური ყალიბები, გარჩეულია ერთთვალიანი და ორთვალიანი დურბინი, სადაც გათვალისწინებულია 4 „მრგვალი“ ე. ი. ორმხრივ ამოზნექილი „ჰიქები“—ურთიერთისაგან გარკვეული საფოკუსო მანძილით დაშორებულნი.

აქვე მოცემულია დურბინის სქემატური გამოსახულება წარწერებით „ფოკუსს“, „კონვექს“ და „ჰიქა აფექთ“.

მთლიან ტექსტს თუ დავაკვირდებით, ირკვევა, რომ წიგნში აღწერილი ყველა ქიმიური რეაქცია, მანიპულაციები, ვახტანგის მიერ გაკეთებულია თავისი ხელით. მაგალითად, როდესაც ვახტანგი აღწერს თალხის[11] (§ 79), ამბობს, რომ „იტყვიან, ვინც ამას (თალხის—მ. შ.) გააწყალებს, რომ გადნებოდეს ოქროს გააზეთებს... ბევრი ვეცადე და არ იქნა“. ე. ი. ვახტანგის ბევრი უცდია „თალხი“ გაედნო და წყლად ექცია, რომ ოქროს „გაზეთებისათვის“ გამოეყენებინა, მაგრამ ეს რეაქცია ჩანს ვერ გააკეთა, რეაქცია ვერ მიიღო. ასევე 18-ე პარაგრაფში წერს: „ვსცადე და არ იქნა“. ერთ ადგილას წერს ერთ-ერთ ქიმიურ რეაქციაზე (§ 119) „წამალი გარდმოიღე და ჩემის ძმის ნუსხის პირით გააკეთეო“. ამ ამონაწერებიდან აშკარად ირკვევა, რომ ვახტანგის ეს წიგნი

[10] С. Л. Соболь, დასახ წიგნი, გვ. 120.

[11] თალხის სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს „თალხი. ქვა რაიმე არს ჰიქასავით, თხელი, რომელი ქარტის სითხედ (ე. ი. ქაღალდის სისქედ—მ-შ.) დაიპება და სარკმლისა სანათურსა ზედა იჭმარებენ. ადვილად არ შეიმუსვრის და გვიანად დაიწვის“.

უშუალოდ პრაქტიკული მოსაზრებებით არის შედგენილი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვახტანგის დროს თბილისში ოპტიკური სახელოსნო არსებობდა და ხელნაწერში აღწერილი ოპტიკური-ტექნოლოგიური მანიპულაციები პრაქტიკულად სრულდებოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იმ დროისათვის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონია სხვადასხვა ქვეყნებთან. ტექსტში ძალიან ხშირად ვხვდებით ასეთ მითითებებს: ხარის ჩინია „ცოტა იშოება, ჩინეთიდამ მოიტანებენ“ (§ 167).

ნიშადური „სამარყანდიდამ, ქაშხარ(ი)დან, ხორასანს მოიტანებენ. იქიდან აქეთ წამოვა“ (§ 167).

თალხი „თეთრი რუსეთიდამ მოვა“ (§ 79) და სხვ.

ოპტიკური სახელოსნოსათვის საჭირო ნივთიერება „კარპიუსი“ კი საფრანგეთიდან უნდა მიეღოთ „კარპიუსი—ერთი ფისია ყვითელი, საფრანგეთიდამ მოვა“(§ 215).

ვახტანგის ეს „წიგნი“, როგორც ვთქვით, 1703—1722 წლებშია დაწერილი და იოანე და დავით ბაგრატიონების ზემოხსენებული შეხედულებანი ფიზიკური და ფიზიოლოგიური ოპტიკის საკითხების გარშემო სრულიად ბუნებრივი და ტრადიციული ჩანს ქართულ სამეცნიერო აზროვნებაში, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა და საუკუნოებრივი ტრადიციებით პირობადებული აგრეთვე ერეკლე II-ს დროს ოპტიკური სახელოსნოს არსებობა, რაც ერთი პატარა, მაგრამ მეტად ველი დოკუმენტით კიდევაც დასტურდება: 1788 წლის, „ერეკლე II-ს სალაროს, ოქროს შემოსავალ-გასავლის აღწერის ნუსხაში“ ერთი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჩანაწერია:

„ქ(ორონი)კ(ონ)სა უოვ (1788) ამა წლის ხარჯი ამის ქვემოთ დაიწერება... მარტის ბატონისათვის სათვალე გაუკეთებია გაბრიელ ოქრომჭედელს ნონია მოლარის ზედამდეგობით...“[12]. ჩანს „მეფის სალაროდან ოქრო გაუციათ მეფის „ბატონის“, სათვალის, ალბათ, ჩარჩოსათვის. ამ ჩანაწერით, ერთი მხრივ, მტკიცდება, რომ თბილისში 1788 წელს არსებობდა ოპტიკური სახელოსნო და მეორე მხრივ, მასში შემონახულია სათვალეების გამკეთებელ ოსტატის სახელი—გაბრიელ ოქრომჭედელის სახით.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ენუქიძის მოწმობით, თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა ერეკლეს ნაქონი სათვალე. ხელოვნების მუზეუმის გამოყოფასთან და მასზე ექსპონატების გადაცემასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ დაუმუშავებელ ფონდებშია მიმალული ეს სათვალე და, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მისი გამოძებნა, ამ სათვალის შესწავლას შეეძლო დაედგინა: მისი დიოპტრულობა, თბილისურია ის თუ შემოტანილი და სხვ.

ტექსტი

„სათვალის და დურბინის გაკეთება

215. სათვალის ყალიბის გაკეთება

მოიტანე ფარგალი და რამოდონისაც ცერის დადებაზე დასანახავად გინდოდეს, იმთონათ გაშალე. და ერთი კრკალი მოავლე. მერმე რაერთიც ყალიბი

[12] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—35—18.

გინდოდეს, იმდონათ ფარგალი გაშალე და იმ მოვლებულს კრკალზედ დასწერე, როგორც ჩვენ გვიქნია[13].

ა-ბ ყალიბის პირის სიგანეა. გ.-დ ყალიბის სიღრმეა. დ. ე. ყალიბის სისქეა. ეს სამი ცერია. რამდონსაც დიდზე გაშლი ფარგალს, შორს დაანახვებს, და რამდონსაც უფრო ახლოსზე გაშლი, ახლოს დაანახვებს და მსხვილად.

ერთი კიდევ სხვა ყალიბია თუ ის ა. ბ. გ. დ. რომ აზის ის ღრმად არ ამოათლევინე და ამავე რიგად მგრგვალად ამოათლევინე ეს სათვალეს ამოსთლის. და თუ ორივე პირი სათვალისა ამოთალა, როგორც ორი პირი სათვალე სქლად გათლილი აჩვენებს. აგრევეს ოთხს იმდონს წვრილად აჩვენებს და თუ ცალე პირი ამოსთალე, ცალი პირი სათვალესავით მოსთალე, რომ ორისავ ზომა ერთი იყოს, ისე აჩვენებს. ერთი ყალიბი კიდევ არის. რომ პირი ასეთი სწორე უნდა ჰქონდეს რომ არაფერი სიმრუდე არ უნდა ჰქონდეს. იმაზედ რომ სათვალეს გასთლი, ვაკე გაითალოს. ამისთანა ყალიბზედ თუ ორივე პირი სათვალისა გასთალე, როგორც არის, ისე გამოაჩენს, არც მოუკლებს, არც მოუმატებს[14]. თუ ერთი პირი ვაკეა და ერთი სათვალესავით გათლილი, ის რასაც ზომის სათვალის ყალიბია. ერთს იმდონათ უშორესად აჩვენებს. თუ ორივე პირი ამოსთალე, რასაც ზომის სიმსხოსია ორს იმდონს წვინდად აჩვენებს თუ ცალი პირი სწორე აქუს და ცალი ამოსთალე, რასაც ზომის სიმსხოს აჩვენებს, იმდონს წვინდათ წვრილად აჩვენებს.

ერთი ყალიბია კიდევ, არშიისათვის. რაზედაც სათვალეს გასთლი, იმისგან უფრო ღრმა უნდა, რომ როდესაც გასთლი, მერმე ამაში უნდა გასთალო გარეშამო არშია ექნება: ყალიბი, ან ზარბაზნის სინი[15] უნდა, ან რკინისა, მაგრამ ამოჭრა თუ რამდონ რიგიც ეს ყალიბი გვითქვამს, სწორ(ე)დ არ იცის, და სწორ(ე)დ ვერ გააკეთებს, ცუდი სარჯელია. მერე ეს ყალიბი ხეში ჩასვი ან ასეთს ჩალხზედ დააკარ წისქვილსავით ბრუნევდეს. ან თუ ჩალხი არა გქონდეს, ყალიბი მიწაზედ დასდევ ხელით ლესე. გათლა[16] ასე არის: მოიტანე ფისი, გაადნევ. მერმე ამას მესამედი კარპიუს მოიტანე და გაურიე, ამ კარპიუსის წონა ნახშირი გაურიე და სათვალეს ამითი დააკრევდე. თუ რაც დასაკრავად გინდოდეს.

კარპიუსი ერთი ფისია ყვითელი, საფრანგეთიდამ მოვა.

მოიტანე თუ კაი სათვალე გინდა, კაი წვინდა თეთრი სარკის ნაჭერი და რამდონიც სიდიდით გინდოდეს ალმასით მგრგვლად შემოხაზე და შემოამტვრიე. მერმე ის ჭიქა, წელან რომ ფისი ვთქვით, ერთს ხეზედ იმითი დააკარ. მოიტანე როგორიც ყალიბით გინდოდეს, იმ ყალიბში ან ზუმფერა, ან ქვიშა ჩაყარე. მაგრამ ზუმფერა ყალიბს მალე გასცვეთს. ზედ წყალი დაასხი, კარგა გათხელდეს. მერმე ის ჭიქა იმ ყალიბში ლესე. ამდენი რომ პირზედ ელვარება აღარსად ჰქონდეს. მერმე მეორე პირი კიდევ ისე გალესე. მერმე წელან რომ არშიის ყალიბი გითხარ, იმაზედ ლესე. ორისავ პირისაკენ გინდოდეს არშია, თუ ერთის პირისაკენ გინდოდეს. თუ არშია არ გინდოდეს ნუ გალესავ. და რა ასე გალესო, თუ საჭიროდ გინდოდეს, ერთს მოსქოს ფიცარზედ ლანდრა[17]

---

[13] ტექსტში სათანადო ჩანახაზებია.

[14] ამ სიტყვის შემდეგ ტექსტშია „ამორ“.

[15] ზარბაზნის სინი—საზარბაზნე ფოლადი, თეთრი ფოლადი სინი „სინა, რვალი არს უთეთრესი და ხმაკეთილ მჭედრალე ხოლო სინაჲ უშავეს და უდარეს ბისსა“ (საბა).

[16] ტექსტშია „გათალი“.

[17] ლანდრა—მსხვილი სკლატი, მაუდი, толстое сукно (ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდააკარ. ხედ წყალი შეაფრქვივე, წაუსვი. იმაზედ უსვი კარგად, წყალი მოუთოვებს ცემა და სათვალე იქნება.

დ ა თ უ კ ა რ გ ა გ ი ნ დ ა გ ა ა კ ე თ ო, რასაც ყალიბში გაგითლია, ან არშია გაგიკეთებია. ან ფოჩთის ქაღალდი, ან წმინდა ქაღალდი კარგის თხელის წებოთი გამოაკარი, გაახმე. მაგრამ ასე უნდა გამოაკრა ჭუჭყვნილი არ იყოს. და თუ მოხდეს ზღვის ქაფი წაუსვი და იმით გაასწორე. მერმე იმ ქაღალდზედ ამარული დააყარე და სათვალეს ორივ პირი და არშიები იმაზედ ამდონი ლესე, ჰიქა კარგად გაწმდეს. და დაფხაჭილი აღარ ეტყობოდეს. მერმე ეს ა მ ა რ თ უ ლ ი ს მიწა გამოყარე, ყალიბიც კარგა გამოსწმინდე. ჰიქაც კარგა გასწმინდე. აგრევ არშია ყალიბით ლესე. რა კარგა გაწმდეს, სათვალე იქნება, რასაც ზომაზედ გაგიკეთებია, იმ სიშორედ, იმ რიგად დაინახავს, როგორც გვითქვამს.

ა მ ა რ უ ლ ი წმინდად დანაყილი ქვიშა არის, თუ ზუმფარა ფქვილსავით რომ დაფხაჭნოს გარდასწმენდს. ტ რ ი ფ ე ლ[18] ერთი თეთრი მიწა არის. თეთრს მიწას გავს, მაგრამ უფრო მაგარია. თვალსაც წყ(ა)ლს იმითი მისცემენ.

დ უ რ ბ ი ნ დ ი ს გ ა კ ე თ ე ბ ა ა ს ე უ ნ დ ა: ერთისა თუ ორის თითის ზომა მეტი თუ ნაკლები. როგორც სათვალის ყალიბი გაგეკეთებინოს, ისე გააკეთებინე, მერმე რაც სიმსხო დურბინისა გინდოდეს, იმ სიმგრგუნლე სამი ჰიქა გასთალე. არშია არ უნდა. ესენი იმ დურბინში ასე ჩასხი, რასაც ზომის ჰიქები გაგეთალოს, ორი იმთონი სიშორე ერთმანეთზედ ჰქონდეს. რაერთიც სიგრძე მოვიდეს, იმ სიგრძე. სათვალის ყალიბსავით ყალიბი გააკეთებინე. წინა ჰიქა იმაში გასთალე. მოიტანე და რასაც ზომის ჰიქა გაგითლია, იმ სიგრძეთ მესამეს ჰიქაღამ და ერთი ზომაც იმ მესამე ჰიქისა დასდევ და ჩასვი.

და კარგი იქნება. თუ გინდოდეს ესეც იქნება: წინა ჰიქა რაერთიც ზომისა გინდოდეს გასთალე, რასაც ზომისა ეს იყოს და ან რასაც ზომისა მესამე ჰიქა იყოს. იმ სიგრძე ჩასვი და დურბინი იქნება.

თ უ ო რ თ ვ ა ლ ი ა ნ ი დ უ რ ბ ი ნ ი გ ი ნ დ ა, ასე ჰქენ: რამთონისაც თითისა დადება გინდოდეს, თავის ჰიქა იმთონს ყალიბზედ ამოსთალე. ცალი პირი ეკეს ყალიბზედ გასთალე მერმე წინა ჰიქა რამდონისაც სიგრძის დურბინი გინდოდეს, იმ სიგრძით გასთალე. წინა ჰიქა რამ სიგრძეც გაგეთალოს, იმდენი წინა ჰიქის სიგრძეს მოაკელ და რაც სიგრძე დარჩეს, იმ სიგრძეთ ჩასხი. დურბინი იქნება ამ სახიები[19].

ც ე ც ხ ლ ი ს მ ო ს ა კ ი დ ე ბ ე ლ ი[20] ჰ ი ქ ა. თუ ხელის სათვალე გინდოდეს, რამ სიგრძესად ცეცხლის მოკიდება გინდა, თუ დანახვა გინდა. ისიც სათვალებსავით გასთალე. უარშიოთ გინდოდეს თუ არშიით.

216. ფ ე რ ა დ ფ ე რ ა დ ი ს ჰ ი ქ ე ბ ი ს გ ა კ ე თ ე ბ ა

ჯერ მოიტანე სალტარტარი 4 მისხალი და ჩაყარე წყალში. გინა სალტარტარი 1 მისხალი და წყალი 2 მისხალი და რა გადნეს ეს წამალი, გაახურე ბროლი ქოთნით კარგად წითლად და მანამდე აწრთევ იმ წყალში, ხელი რომ მოუ-

---

[18] ტრიფელი, ტრიპელი—„Диатомовая земля“—იხმარები დინამიტისა და აგურის წარმოებაში. აგრეთვე გასაპრიალებლად.

[19] ხელნაწერში მოცემულია „ორთვალიან დურბინში“ სხივების გარდატეხის სქემატური გამოსახულება.

[20] ტექსტშია „მოსავდებელი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერო ბროლს დაიფშვნას, და თუ ეს წამალი არა გქონდეს უღონობისათვის ბროლი, გინა კაი ჭიქა იყოს. კარგა წმინდად დანაყე, ხელი რომ წაუსვა, ასე გალესე ფქვილსავით იყოს. ხელში არ მოგხუდეს და შეინახე.

სალტარტარი ქვევრს თუ ბოჭკას ღვინისაგან ქვასავით მიეკვრის. იმის მარილია.

წითლის იაგუნდის ფერად რომ ჭიქის გაკეთება გინდოდეს. მოიტანე გალესილი ჭიქა მისხალი 40, გვარჯილა 20 მ(ი)სხალი, ბორაკი 10 მისხალი, ოქრო თეზაბით დამდნარი მისხლის 1/6, ესეები ყველა ერთად გალესე, რომ კარგად გაერიოს. მერმე საოქრომჭედლოს ქოთანში ჩაყარე, პირი მაგრად მოგლისე. ქურაში ჩასდევ. საათნახევარს ადუღე...".

ამას მოსდევს სხვადასხვა ფერის მინების გაკეთების დეტალური აღწერილობანი, რეცეპტებისა და ტექნოლოგიური პროცესების ჩვენებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი ს. დოდაშვილის „რიტორიკაში“

შ. მიქაშავიძე

(წარმოადგინა აკად. ა. ბარამიძემ)

პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებულ დოდაშვილს დიდ განსწავლასთან ერთად თან მოჰქონდა საფუძვლიანად მოფიქრებული მომავალი მეცნიერული მუშაობის გეგმა, რომელშიაც „პიიტიკასა“ და „რიტორიკას“ განსაკუთრებული ადგილი ექნებოდა დათმობილი, და იგი შეუდგა ავტორის მიერ ქართულ ფილოსოფიის ვრცელ კურსში. საფიქრებელია, აღნიშნული გეგმები მის დიდ აღმზრდელთან იონა ხელაშვილთან იყო შეთანხმებული და შესაძლებელია მისი პირადი ხელმძღვანელობითაც ხორციელდებოდა. ამას გვაფიქრებინებს „სულიერი მამისა“ და „სულიერი შვილის“ პირადი მიმოწერა. დოდაშვილი ატყობინებს ხელაშვილს პეტერბურგში, რომ მას განზრახული აქვს რიტორიკის „სრულყოფა“ და აცნობს თავის გეგმას. აღფრთოვანებული ხელაშვილი, 1828 წლის 11 აპრილით დათარიღებულ საპასუხო ბარათში, აწოდებს ვრცელ გეგმას იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს აგებული რიტორიკა. ჯართლაც, როგორც თვით „რიტორიკის“ განხილვა დაგვანახვებს, დოდაშვილს გაუთვალისწინებია თავისი აღმზრდელის რჩევა-დარიგება და გამოუყენებია რიტორიკის შედგენის ხელაშვილისეული გეგმა.

1828 წლის 21 სექტემბერს დოდაშვილი ატყობინებს ხელაშვილს:

„...აჰა, ჰეშმარიტო ბრძენო მამაო... ქართული რიტორიკა სრულ ვჰყავ ქართულსა ენასა ზედა და ვჰსთარგმნი რუსულად. სისტემა მისი არს შემდგომი:

1. შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღვრება სიტყვიერებისა, განყოფა მისი, განსაზღვრება რიტორიკისა და მტკიცება, რომელ არს სწავლა და არა ხელოვნება, განსხვავება ძველისა და ახლისა რიტორიკისა, საგანი რიტორიკისა ანუ დასასრული საჭირონი თვისებანი ორატორისანი, შესაწევნელნი სწავლანი მისნი, განსხვავება რიტორიკისა და პიიტიკისა, სარგებლობა მისი, ისტორია მისი და განყოფა ამასთან წინადადებათათვის, განვრცელებისათვის მათისა პერიოდთა და ხრიათთათვის.

2. პირველი ნაწილი რიტორიკისა—პოვნისათვის, მეორე ნაწილი განკარგვისათვის და მესამე გამოღებისა ანუ ფრაზისათვის, ასე იგი თვისებისათვის ფრაზისა, ტროპთა და ფიღურათათვის, რომელთათვის, რომელთა შინაცა იპყრობიან საზოგადონი კანონნი პროზაიკებრი თხზულებათანი.

3. საკუთარნი კანონნი სხვადასხვათა თხზულებათანი: ავთრათოათვის. საუბრობათათვის, შესხმათათვის და სხვათა“.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, დოდაშვილი ყველაზე მთავარში ეჭვობს მეგობარსა და მასწავლებელს. ეს არის მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ რ ი ვ ი საკითხი, რომლის მიხედვითაც აგებულია ესთეტიკის კურსის ნაწილი—რიტორიკა. ხელაშვილი მოუწოდებს „უკეთუ ვთხზვიდე, მოვიხვამდი“ პლატონისა და დიადოხოსის მოძღვრებებსო ხელოვნებაზე, ანტონ კათალიკოსს (რომელმაც „ვეფხისტყაოსანს“ აუტოდაფე მოუწყო) და ამათ დავუპირისპირებდი ვეფხისტყაოსანსო, „პირისპირ ვეფხის ტყაოსანისასა“. დოდაშვილი არა თუ არ გაჰყვა „სულიერი მამის“ მითითებულ გზას, არამედ მის საპირისპიროდ არისტოტელის მატერიალისტური შეხედულებანი გაიზიარა („სამართლად ჰსთქვა არისტოტელემან“-ო), და ანტონ კათალიკოსთან გაჯიბრებით რუსთაველის გენიის აპოლოგეტად მოგვევლინა. მან რუსთაველიც „უკეთილესნი რიტორნი“-ს' პლეადაში შეიყვანა. „დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარვუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთველისანი „ვეფხისტყაოსანი“[2]—წერდა იგი.

რაც შეეხება თვით საგნის აგებას, აქ დოდაშვილი მიჰყვება ხელაშვილის მოცემულ გეგმას: „მტლისა მათისა აზმნობისა გამოვწნეხდი და ესრეთ სამნაწილედად შევადგენდი რიტორებასა მსგავსად იესტეტიკისა“. დოდაშვილიც ხომ თავის საპასუხო წერილში სამ ნაწილად ყოფს თავის რიტორიკას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს თვით რიტორიკის სრული ტექსტი, რომელიც უფრო დაგვარწმუნებდა ხელაშვილის გეგმასა და დოდაშვილის „რიტორიკის“ მსგავსება-განსხვავებაში. საერთოდ ხელაშვილის გეგმა მიჰყვება ტრადიციული რიტორიკის ერთიან ხაზს. დოდაშვილმა კი, მართალია, გაითვალისწინა ტრადიციული რიტორიკის განვლილი და მისი თანამედროვე პერიოდი, მაგრამ მაინც არ გაჰყვა ამ გზას და ბევრ საკითხში საკუთრივ რიტორიკისა და საერთოდ ხელოვნების მთელ რიგ პრობლემათა სრულიად ახალი, თავისებური ინტერპრეტაცია მოგვცა.

* * *

რა ძირითად პრობლემებს გამოყოფს დოდაშვილი „რიტორიკაში“? ამის გათვალისწინება დაგვეხმარება მისი ესთეტიკური კონცეფციის გასარკვევად „რიტორიკაში“ განხილულ პრობლემათა რიგს ეკუთვნის:

ა. რ ა ა რ ი ს ე ს თ ე ტ ი კ ი ს ს ა გ ა ნ ი?
1. რა არის საგანი რიტორიკისა.
2. რას სწავლობს პოეტიკა.
3. „განსხვავება რიტორიკისა და პიიტიკისა“.

ბ. მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს ბ უ ნ ე ბ ა ს ა ე რ თ ო დ:
1. როგორ არის მშვენიერება შესაძლებელი ხელოვნებაში.
2. როგორ არის მშვენიერება შესაძლებელი რიტორიკაში.
3. რიტორიკის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა („ანუ განყოფა რიტორიკისა“).

---

[1] ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, გვ. 165.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. რა სარგებლობა მოაქვს ესთეტიკას.

1. სარგებლობა აღმკობილისა ლიტერატურისა.
2. სარგებლობა მჭევრსიტყვაობისა.

ეს არის მთავარ საკითხთა რიგი, რომლის გადაწყვეტას დოდაშვილი ცდილობს „რიტორიკაში“. სხვა დანარჩენი საკითხები მხოლოდ ამ მთავარი დებულებებიდან გამომდინარეობს და მათ ახსნას, განმარტებას წარმოადგენს.

„რიტორიკის“ მიხედვით ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ მისი ავტორის მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის შესახებაც. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია „პიიტიკას“ (პოეტიკას), რომელიც გაგვიადვილებდა ამ საკითხზე მსჯელობას. მაგრამ „რიტორიკის“ მიხედვითაც ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დოდაშვილის ესთეტიკური შეხედულებანი რეალისტურია და იგი პროგრესულ-მატერიალისტური ტენდენციებით ხასიათდება.

„რიტორიკა“ ახლაც დიდ ყურადღებას იმსახურებს აზრის დალაგებითა და სიღრმით, ყოველი განსაზღვრების ამომწურავი და თანაც მარტივი და ზუსტი გადმოცემით სხვა მის შრომებთან შედარებით ენის სისადავითა და სინატიფით.

რიტორიკის დოდაშვილისეული განსაზღვრიდან ჩანს, რომ იგი არის მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ხელოვნების კანონების შესახებ. და კერძოდ, პროზის კანონების შესახებ. ესაა მეცნიერული თეორია „ჰაზრის შვენიერ სიტყვაობად, და გრძნობათა და საგანთა გამოსაღებად“. საკუთრივ რიტორიკა არ არის ხელოვნება, არამედ ის არის ჰსწავლა, მეცნიერება, ვინაიდან ემყარება მეცნიერულად ჩამოყალიბებულ კანონთა სისტემას და დაფუძნებულია შესაბამის თეორიაზე. შემოქმედი, რომელიც დაეუფლება ამ თეორიას, მიაღწევს „შვენიერ-სიტყვაობას“, მიაღწევს გადმოსაცემი საგნისა და მოვლენის მოკლედ, ცხადად „და შესაბამად სათქმელისა ანუ აღსაწერისა საგნისა“ შვენიერ სიტყვაობით გადმოცემას. „შვენიერ სიტყვაობა არს გამოღება ჰაზრთა და გრძნობათა ზეპირად, ანუ ქარტასა ზედა მოკლედ, ცხადად და შესაბამად სათქმელისა, ანუ აღსაწერისა საგნისა... რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება, ვინაიდან იგი იპყრობს თვის შორის თ ე ო რ ი ა ს ა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა. ხოლო ხელოვნებასა ქვეშე იგულისხმების მოყვანა რიტორიკასა შინა წარწერილთა კანონთასა აღსრულებასა ანუ მოქმედებასა შინა, ესრეთითა ხატითა რიტორი განსხვავდების ორატორისაგან“.

დოდაშვილის მიერ ფილოსოფიურ დისციპლინათა კლასიფიკაციის მიხედვით ესთეტიკა არის ფილოსოფიის განუყრელი ნაწილი, ხოლო ესთეტიკის განუყოფელი ნაწილებია საკუთრივ პოეტიკა და რიტორიკა, რომელთა შესწავლის ობიექტად—გემოვნება („ამოვნება“), მჭერმეტყველება და პოეზიაა მიჩნეული.

დოდაშვილის განმარტებით, რიტორიკა არის ესთეტიკურ მეცნიერებაზე დაქვემდებარებული ჰსწავლა და არა ხელოვნება. „რიტორიკა არს ჰსწავლა, რომელიცა იპყრობს თვის შორის კანონთა პროზაიკებრთა თხზულებათასა მიცთომისათვის შვენიერ სიტყვაობისა საზოგადოდ“. მეცნიერება, რომელიც იპყრობს თვის შორის კანონთა, არ შეიძლება თეორიის გარეშე, კანონთა სისტემის გარეშე. ამიტომ იმეორებს იქვე დოდაშვილი: „წიგნი რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება, ვინაიდგან იგი იპყრობს თვის შორის თ ე ო რ ი ა ს ა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა“. თეორიით გამაგრებული კანონთა სისტემა კი უნდა იყოს სრული მეცნიერება, რიტორიკა, ისევე როგორც პიიტიკა, დაქვემ-

დებარებულია მათთვის ზოგად მეცნიერებაზე—ესთეტიკაზე. ორი მეცნიერება ერთ საგანზე დაუშვებელია, ეს კარგად იცის დოდაშვილმა და ამიტომ რიტორიკის საგანს უქვემდებარებს ესთეტიკის საგანს, როგორც მასზე მცირეს და მისგან დავალებულს. რიტორიკის ვალია „მიიდრიკოს“ ესთეტიკისაკენ, „რომელიცა მოქმედებს ესტეტიკებრთა ზედა ძალთა არს ესე ოდენი, რაოდენსაცა ვალი მისი ითხოვს განსწავლად ანუ მიდრეკად“. ამრიგად, ესთეტიკა უფრო ზოგადია, იგი იკვლევს და ადგენს შეგრძნების კანონებს. რიტორიკა კი მხოლოდ ხელოვნების მრავალმხრივ მოვლენებს იკვლევს, მაგრამ იგი მაინც ცალმხრივია და შეზღუდული, ზოგადობის გარეშეა. ესთეტიკა მოიცავს შეგრძნების კანონებს, რომლის ობიექტებს წარმოადგენენ „გემოვნება, მჭერმეტყველება და პოეზია“. ხელოვნების ეს სამივე კომპონენტი არის საგანი ესთეტიკისა და იგი განმტკიცებულია შესაბამი თეორიით.

რიტორიკის მიხედვით, დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ ნაწარმოებში აზრისა და გრძნობის ურთიერთ კავშირს, რომლის გარკვევა მოგვცემდა პასუხს ხელოვნების მიზანსა და დანიშნულებაზე. ამ საკითხის სერიოზულობა კარგად ესმის დოდაშვილს და „რიტორიკის“ შესავალშივე გვამცნობს, რომ: „საგანი ანუ დასასრული პროზისა საზოგადოდ არს მიცემაი ანუ შეერთებაი ჰაზრისა თვისისა და გრძნობისა“. სამართლიანად შენიშნავს თამარ კუკავა, რომ „დოდაშვილი ამ შემთხვევაში შინაარსისა და ფორმის დიალექტიკური ერთიანობის მომხრეა“[3]. მართლაც, ლიტერატურული ქმნილების მხოლოდ იდეურობა შესაბამი ფორმის გარეშე ვერ მოგვცემს სრულყოფილ ნაწარმოებს, მას არ ექნება ემოციური ზემოქმედების უნარი, რაც აგრე რიგად მოეთხოვება „აღმკობილ ხელოვნებასა“, რომლის საბოლოო მიზანი, მისი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება, დასასრული, არის განსწავლა ჭეშმარიტებისა. „დასასრული აღმკობილისა (изящния) პროზისა არს განჰსწავლა ჭეშმარიტისა, აღძვრა კეთილისადმი, მაშასადამე დასასრული არს ანუ თეორეტიკებრი ანუ პრაქტიკებრი“.

აქ ორი მომენტი უკავშირდება ერთმანეთს, რომელიც ერთ განუყრელ მთლიანობაშია აღებული, ეს არის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება. თეორიული იმდენად, რამდენადაც მის უპირველეს მიზანს შეადგენს ჭეშმარიტების შესწავლა, ურომლისოდაც მიუღწეველი დაგვრჩება მისი მეორე მხარე—ხელოვნების პრაქტიკული დანიშნულება—„აღძვრა კეთილისადმი“, რათა აამაღლოს ადამიანები ამ კეთილშობილ გრძნობამდე, და ბოლოს, მისწვდეს მშვენიერს. „საფუძველი ესე მდგომარეობს შემდგომსა სამსა დანიშნულებასა ზედა კაცისასა—დაასკვნის „რიტორიკის“ შესავალში დოდაშვილი — გულისხმისყოფითა ეკვეთების იგი ჭეშმარიტსა, ნებითა კეთილითა, ესთეტიკებრითა გრძნობითა აღმკობილსა ანუ შვენიერსა“. ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ სოლომონ დოდაშვილისათვის რიტორიკის საგანი იგივეა, რაც საერთოდ ესთეტიკისა, რომლის შემავალ ნაწილს თვით რიტორიკა წარმოადგენს.

---

[3] თ. კუკავა, სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, 1955, გვ. 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) 1. რ ა ა რ ი ს ს ა გ ა ნ ი რ ი ტ ო რ ი კ ი ს ა?

მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა „რიტორიკა“ (1955 წ.), ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დავის საგნად გადაიქცა, თუ რას გულისხმობდა დოდაშვილი „რიტორიკის“ ცნობილი კურსის ქვეშ. სახელდობრ, თვით რიტორიკას ე. ი. ორატორობას, თუ რიტორიკას, როგორც მეცნიერებას ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ. მართალია, დოდაშვილი თავისი რიტორიკის შესავალში აღნიშნავს, რომ „წიგნი რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება, ვინაიდგან იგი იპყრობს თვის შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა“, მაგრამ სისტემაში მოყვანილი კანონები თავისი შესაბამი თეორიით აქვს ყოველგვარ ჰსწავლას, მეცნიერებას და მათ შორის რიტორებასაც. ე. ი. ორატორულ ხელოვნებასაც. ჩვენი აზრით, აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოს, სადაც განხილულია ხელოვნების მთელი რიგი აქტუალური პრობლემები და მათ შორის გაკვრით ორატორული ხელოვნებაც, როგორც შემავალი ნაწილი მჭევრსიტყვაობისა[4].

სწორედ ამ პრობლემას ეძღვნა ნაშრომის ერთი თავი—„მოკლე ისტორია რიტორიკისა“.

„რიტორიკის“ ეს თავი გვარწმუნებს იმაში, რომ დოდაშვილს საუკეთესოდ ესმოდა ეს განსხვავება და ის მიზანი, რასაც იგი მომავალი სახელმძღვანელოს შესადგენად ისახავდა.

დოდაშვილი „რიტორიკის“ შესავალშივე განმარტავს, თუ როგორ განსხვავდება „რიტორი“ (მეცნიერი) ორატორისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიტორიკა სწავლობს სისტემატიკებრ დაწყობილ კანონებს და იგი წარმოადგენს თეორიას, მეცნიერებას. ორატორობა კი ხელოვნებაა, რომელიც გამოიყენებს ამ თეორიას, მაგრამ თავისი სპეციფიკურობის გამო თვით არ შეიძლება იყოს მეცნიერება. „ხოლო ხელოვნებასა ქვეშე იგულისხმების მოყვანა რიტორიკასა შინა წარწერილთა კანონთასა აღსრულებას ანუ მოქმედებასა შინა“. და შემდეგ იქვე განმარტავს, რომ: „ესრეთითა ხატითა რიტორი განსხვავდების ორატორისაგან“.

არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს ორატორობა „პრაქტიკებრი“ მხარე იყოს რიტორიკისა, რადგან თვით „რიტორიკის“ მიხედვით აღმკობილი პროზაა რიტორიკის საგანი, ისევე როგორც პოეზიაა პოეტიკის საგანი.

დოდაშვილი ამავე აზრს ავითარებს თავის გრამატიკის სახელმძღვანელოში: „აღრჩევანი ლექსთანი, გამოღებისათვის აზრთა ჩვენთასა ეკუთვნიან რიტორიკასა“[5]. ხოლო თვით „რიტორიკის“ მიხედვით, „საგანი რიტორიკისა არს განხილუად პროზაიკებრისა ქმნილებისა“, სადაც „განიხილებიან თითოდ სხვადასხვანი გვარნი პროზაიკებრითა თხზულებათანი, რომელნიცა დაწერილ იქმნებიან ფრაზითა პროზაიკებრითა“. რა არის ფრაზა დოდაშვილის მიხედვით? „ხატი გამოღებისა ჰაზრთასა ქალალდ ზედა იწოდების ფრაზად“[6].

---

[4] თვით ტერმინი „მჭევრსიტყვაობა“, ისევე როგორც „მჭევრმეტყველობა“, მარტო ორატორულ ხელოვნებას არ ეხება.

[5] ს. დოდაშვილი, თხზ., გვ. 159.

[6] ხაზგასმა ყველგან ჩვენია, შ. მ.

ამრიგად, დოდაშვილის „რიტორიკა“ დაწერილია სახელდობრ პრაქტიკული ნორმების შესასწავლად, მისი თეორიის შესასწავლად და არა მარტო ორატორობის, მჭერმეტყველების ხელოვნების შესასწავლად. თუმცა ზოგად ფორმებში „რიტორიკა“ ხელოვნების ამ მხარესაც ეხება.

ს. დოდაშვილმა კარგად იცის, თუ რა ევოლუცია განიცადა რიტორიკის საგანმა თავისი ხანგრძლივი არსებობის პერიოდში. ამ საკითხში ისტორიული თვალსაზრისის გამოყენება ახალი არ იყო დოდაშვილისათვის და იგი მისწრამორბედ მოაზროვნეთა კონცეფციას ემყარებოდა. ჯერ კიდევ 1748 წელს მ. ვ. ლომონოსოვი წერდა: «Оттуда же произведено и речение рутор (ритор), которое, хотя на греческом языке значит витию, или красноречивого человека, и в российском языке в том же знаменовании принято, однако от новейших авторов почитается за именование писателя правил риторических»[7]. დოდაშვილმა უფრო დააკონკრეტა და მეცნიერული ახსნა მისცა რიტორიკის განვითარებისა და გარდაქმნის ისტორიას. ამ მხრივ ეს იყო ახალი სიტყვა მაშინდელი რუსეთის სინამდვილეში. „რიტორიკა განიყოფების ორთა უმთავრესთა ეპოხათა ზედა. პირველსა ეპოხასა შინა იგი იყო ხელოვნება, რომლისაცა საგანი იყო პოლიტიკებრი მჭერ-სიტყვაობა“. ეს იყო პირველი პერიოდი („პირველი ეპოხა“) რიტორიკისა, ხოლო „მეორეს ეპოხასა შინა რიტორიკა შეიქმნა ჰსწავლად და საგანი მისი არს განვითარება ბროზაიკებრისა მწერლისა“.

მიუხედავად იმისა, რომ დოდაშვილის რიტორიკა ბევრ რამეში ემთხვევა ლომონოსოვის სწავლებას რიტორიკაზე და ზოგ შემთხვევაში პირდაპირ თანამთხვევასაც აქვს ადგილი, ქართველი მოაზროვნის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო სრულიად ორიგინალური და დამოუკიდებელი ხასიათისაა, როგორც სტრუქტურის მხრივ, ასევე შინაარსითაც, ხოლო ზოგ შემთხვევაში პრინციპულ სხვაობასაც აქვს ადგილი. ხოლო ის, რაც საერთოა ლომონოსოვსა და დოდაშვილს შორის, საერთოა ავრეთვე რიტორიკის სხვა, მანამდე არსებული სახელმძღვანელოებისათვისაც.

ლომონოსოვის რიტორიკა განიყოფება ორ ნაწილად: ორატორობად და პოეზიად. და იგი თავის თავში შეიცავს ზოგად წესებს ხელოვნების ამ სხვადასხვა დარგთათვის, რომელთაც საერთო მხოლოდ მჭევრსიტყვაობაში დარჩენიათ. „Сии Три учения составляют три книги сего руководства: *риторику, ораторию и поэзию*“[8]. თავისი წიგნის შესავალშივე ლომონოსოვი გვეუბნება: „Риторика есть учение о красноречии вообще“[9]. ასევე აქვს გაგებული ეს საკითხი სომეხ ფილოსოფოს მხითარს, რომელმაც ლომონოსოვის რიტორიკა გადააკეთა (1761). ანტონ კათალიკოსს, რომლის რიტორიკა მხითარის წიგნის ადაპტაციას წარმოადგენს: „რაი არს რიტორიკა? რიტორიკა არს ხელოვნება კეთილად მეტყველებისა, რომელ გვასწავებს ჩვენ თქმასა“ . . . და სხვებს (დავით რექტორს, გიორგი ავალიშვილს, მამუკა ბარათაშვილს, იოანე ბატონიშვილს). დოდაშვილთან კი სრულიად ორიგინალურ მოსაზრებას ვხვდებით. მისთვის „რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება.“ ამავე დროს „რიტორიკა“ თავის თავში შეიცავს არა რიტორობასა და პოეზიის

[7] М. В. Ломоносов, Избранные фил. произв., 1950, გვ. 454.
[8] Там же, გვ. 454.
[9] Там же.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნებას, როგორც ეს ლომონოსოვთანაა, არამედ „კანონთა პროზაიკებრთა თხზულებათასა“. „ვინაიდგან იგი იპყრობს თავის შორის თეორიასა ანუ კანონთა“ და შემდეგ არკვევს რა რიტორსა და ორატორს შორის არსებულ განსხვავებას, რაც თითოეულისადმი სპეციფიკური საგნით არის გამოწვეული დაასკვნის, რომ „ესრეთითა ხატითა რიტორი განსხვავდების ორატორისაგან“.

გარდა ამისა, თუ ლომონოსოვს პოეზია რიტორიკის შემავალ ნაწილად აქვს გამოცხადებული, დოდაშვილთან პოეზია არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რიტორიკის დაქვემდებარებული, რადგანაც მას აქვს საკუთარი პოზიცია და „აქვსთ, ვითარცა განსხვავებული მარცვალი, ეგრეთვე განსხვავებულიცა საგანი“.

ა) 2. რას ჰსწავლობს პოეტიკა?

ს. დოდაშვილს სრულიად თავისებურად ესმის პოეტიკის დანიშნულება და საგანი. რას სწავლობს პოეტიკა და რითი განსხვავდება იგი რიტორიკისაგან? ამ პრობლემის გარკვევა აწუხებს დოდაშვილს და ვინ იცის, რა ურაცხელ მასალას მოგვცემდა შემდგომი კვლევისათვის მისი „პოეტიკა“, ულმობელ ჟამთა სვლას რომ არ დაეკარგა ქართული აზროვნებისათვის ესოდენ ძვირფასი ნაშრომი.

დოდაშვილს რომ პოეტიკა „სრულყოფილი“ (დასრულებული) ჰქონია, ეს ეჭვს არ ბადებს. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ „პოეტიკის“ არც ისეთი გეგმა შემოგვრჩა, როგორიც, მაგალითად, მისი „რიტორიკის“ შესახებ მოგვეპოვება ხელაშვილისადმი მიწერილ წერილში. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საკმაო საფუძველი გვაქვს ვიმსჯელოთ დოდაშვილის თვალსაზრისზე პოეტიკის შესახებ; ჯერ ერთი მისი კვლევიდან „მოკლე მიმოხილვა ქართულისა ლიტერატურისა“, თვით „რიტორიკიდან“ და პირადი მიმოწერიდან.

ს. დოდაშვილმა, როგორც რიტორიკის მასწავლებელმა და სპეციალურად ამ საგნისათვის კურსის შემდგენელმა, კარგად იცოდა მის წინამორბედ მოაზროვნეთა შეხედულებები რიტორიკასა და პოეტიკაზე. მან თავის წიგნში სპეციალური თავიც მიუძღვნა რიტორიკის ისტორიას „მოკლე ისტორია რიტორიკისა“. ამ თავში დოდაშვილი იძლევა რიტორიკის მოკლე ისტორიულ დახასიათებას და აღნიშნავს, რომ ისევე როგორც ყოველ მეცნიერებას, რიტორიკასაც აქვს თავისი განვითარების კანონზომიერი პერიოდები. რიტორიკის განვითარებას ჰქონდა ორი უმთავრესი პერიოდი: „რიტორიკა განიყოფების ორთა უმთავრესთა ეპოხათა ზედა“. პირველი პერიოდი რიტორიკისა იყო ადრინდელი საფეხური, როდესაც „იგი იყო ხელოვნება, რომლისაცა საგანი იყო პოლიტიკებრი მჭერ-სიტყვაობა“. შემდგომში თანდათან დაიხვეწა იგი და გახდა მეცნიერება „პროზაიკებრისა მწერლისა“. ეს მეორე პერიოდი რიტორიკის განვითარებისა წარმოადგენს მაღალ საფეხურს, რითაც იგი მისწვდა ჭეშმარიტებას, ამაღლდა ჭეშმარიტებად. „მეორეს ეპოხასა შინა რიტორიკა შეიქმნა ჰსწავლად“, რამაც ხელი შეუწყო მწერლობის განვითარებას, რადგანაც „საგანი მისი არს განვითარება“. ესთეტიკის ისტორიაში ისტორიზმისა და ზეაღმავალი განვითარების შეტანა ახალი სიტყვა იყო ხელოვნების თეორიის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, რაც შემდგომში უფრო გამოიკვეთა და მეცნიერულ სრულყოფას მიაღწია ჰეგელის პოეტიკურ მოძღვრებაში.

შემდეგ დოდაშვილი ასევე ისტორიული თანმიმდევრობით ეცნობა ყველა იმათ, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ მეცნიერების განვითარების საქმეში, რომელთა ნაშრომებს უეჭველია იცნობდა იგი და სათანადო კომენტარებით სარგებლობდა კიდეც თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს.

ასევე იცოდა დოდაშვილმა „პიიტიკის“ ისტორია და ამ დარგში მოღვაწე მეცნიერთა შეხედულებები პოეტიკაზე, რომელსაც თავის „რიტორიკაში“ სპეციალური თავი მიუძღვნა: „განსხვავება რიტორიკისა და პიიტიკისა“, სადაც პოეტიკა განსაზღვრა, როგორც მეცნიერება პოეზიაზე: „პიიტიკა ჰსწავლა სტიხთქმისა“. პოეზიას სრულიად განსხვავებული საგანი აქვს, გვეუბნება დოდაშვილი, იმიტომ რომ თვით თეორია მისი სულ სხვაა, ვიდრე რიტორიკის თეორია და საგანი.

დოდაშვილმა თავის რიტორიკის ისტორიაში არ მოიხსენია პლატონი. სავარაუდებელია, რომ ასევე მოიქცა იგი ალბათ პოეტიკაშიც. ვინაიდან პლატონის ცნობილი დებულებები პოეტიკაზე და საერთოდ ხელოვნებაზე სრულიად არ უდგება დოდაშვილის ესთეტიკურ კრედოს და ეს უკანასკნელი არისტოტელის მატერიალისტურ კონცეფციასთან პოულობს სიახლოვეს. როგორც ვიცით, პლატონს არარაობამდე დაჰყავდა ხელოვნების როლი შემეცნების სფეროში. აქედან იყო წარმომდგარი ის დიდი დავა მოწაფესა და მასწავლებელს შორის, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა გენიალური მოწაფის „პოეტიკაში“.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ლესინგის „ჰამბურგის დრამატურგიაში“ გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს ესთეტიკას არისტოტელის შემდეგ ახალი ნაბიჯი წინ არ გადაუდგამს, მაგრამ საფუძველი, რომელიც არისტოტელმა ჩაუყარა ხელოვნების თეორიას, ისეთი მყარი გამოდგა, რომ ოცდასამი საუკუნის განმავლობაში ზედნაშენთა მრავალსართულებს გაუძლო.

პლატონის თქმით, ხელოვნება ფილოსოფიაზე დაბლა დგას, ვინაიდან ფილოსოფიის საგანია ჭეშმარიტად არსებული იდეა, რომელიც მხოლოდ გონების საშუალებით შეიმეცნება, ხელოვნების საგანი კი ამ ჭეშმარიტად არსებული იდეის ყალბი მოჩვენებაა, რომელიც კიდევ უფრო გაყალბებულია ხელოვანის სუბიექტური ფანტაზიით და მას საქმე მხოლოდ გრძნობად სინამდვილესთან, ე. ი. იდეათა აჩრდილებთან აქვს. ხელოვნებას, როგორც დროითა და სივრცით შემოსაზღვრულს, ნაკლები რეალობა და სუბსტანციალობა ახასიათებს, იგი აჩრდილის აჩრდილია. ფილოსოფია არკვევს საგანთა ცნებებს. ხელოვნება კი აბუნდოვანებს ჩვენს წარმოდგენებს. პლატონი თავისი თხზულების, „სახელმწიფოს“ მეათე წიგნში, უმთავრესად ილაშქრებს პოეზიის წინააღმდეგ, რადგანაც პოეზია ანტიპოდია ფილოსოფიის, ეს კი პოეტური ხელოვნების უდიდესი ნაკლიაო.

შევადაროთ, თუ რა დიდი სიყვარულით ეკიდებოდა დოდაშვილი რუსთაველის პოეტურ გენიას, რომელმაც თავისი პოეზიით მიაღწია „მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა“ და როგორი იყო პლატონის დამოკიდებულება მისი დიდი თანამემამულის გენიალური ჰომეროსის მიმართ. პლატონის მიხედვით ჰომეროსის პოეზია ჭეშმარიტების ნაცვლად ჭორებით კვებავს საზოგადოებას და რყვნის მას ზნეობრივად. ჰომეროსი წერს ომზეო, ამბობს პლატონი,—მავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ უმჯობესი იყო თვითონ მიეღო მონაწილეობა ამ ომშიო. ჰომეროსი მხოლოდ მიმბაძველია იმ საქმისა, რასაც სინამდვილეში სხვები აკეთებენ, ეს კი ეწინააღმდეგება კეთილ ზნეობას. ჰომეროსი სინამდვილის ზედაპირულ მოვლენებს წვდება და არა მის არსებას, წვდომა არსებისა გაცილებით ძნელია და ეს კი პოეტს, ხელოვანს არ შეუძლია თავისი შეზღუდულობის გამოო.

აკრიტიკებდა რა ბერძნულ დრამატურგიას, რომელიც სინამდვილეში პოეზიის მწვერვალსა და საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა, პლატონი წერდა, რომ: დრამა არის მხოლოდ და მხოლოდ მიბაძვა და მას თავისთავადობა აკლია, მას აკლია თავისი საკუთარი ბუნებრივი არსება. ხელოვნებამ არ იცის იდეათა ცოდნა, ამიტომ იგი მხოლოდ გასართობ და მომწიფებული ბავშვების აღსაზრდელად შეიძლება გამოდგეს.

აქ, როგორც ვხედავთ, ხელოვნებას წართმეული აქვს ყოველგვარი მეცნიერული და თეორიული საფუძველი. დოდაშვილთან კი რიტორიკაც და პოეტიკაც გასაგნობრივებულია და წარმოადგენს ერთიან მოძღვრებას, თეორიას ხელოვნებაზე, რომელთაც სერიოზული მეცნიერული საფუძვლები გააჩნია. აი, ამიტომ არ დაუთმო ადგილი პლატონს და არც კი მოიხსენია იგი რიტორიკის „მოკლე ისტორიაში“.

პოეტური ხელოვნების გაგებაში დოდაშვილი მთლიანად რუსთაველის პოზიციებზე დგას, რომელსაც ის ასე ღრმად და შემოქმედებითად ასურათებს თავის ლიტერატურულ მიმოხილვაში. რუსთაველის ესთეტიკა სამართლიანად წარმოადგენდა მთელი აღორძინების ხანის შემდგომი პერიოდის პოეტური ხელოვნების გზის მაჩვენებელ შუქურას. ეს კარგად ესმოდა დოდაშვილს და ამიტომ ზუსტად იყო განათლებული მსოფლიოსათვის თამამად წარედგინა „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სწორუპოვარი ძეგლი ხელოვნებისა: „საკმაო არის წარვუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთაველისანი“-ო, რომლის პოეზიაზე არასოდეს არ იტყოდა იგი, რომ ეს ნაწარმოები „შეიცავს... თავით თვისით არა სასარგებლოსა“.

ხელოვნებაში გაბატონებულმა მისტიკამ, რომელსაც პლატონის შემდეგ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა პლოტინმა, თავისი აღსასრული რუსთაველის რეალისტურ ქმნილებაში პოვა, სადაც ხელოვნების შემეცნებითი და ესთეტიკური ფუნქცია გამოვლენის უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი. პოემის განთქმულ შესავალში ავტორი აშუქებს ხელოვნების თეორიის კარდინალურ საკითხებს. ეს მომენტი რუსთაველის ესთეტიკაში შენიშნული ჰქონდათ ქართველ მოაზროვნეებს. ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი თქმისა არ იყოს; „რუსთაველმა ... იცის აგრეთვე მშვენივრად ხელოვნების თეორია“. და რომ „ამ თეორიის ლექციას თანამედროვე პოეტებსაც უკითხავსო“. ასევე დოდაშვილმაც მშვენივრად ამოიკითხა ხელოვნების სრულიად ახალი, რუსთაველისებური თეორია და ამ პრინციპით მიუდგა იგი თავისი „სტიხთქმნის“ დამუშავებას. აქედან მოდის მისი „პიიტიკა“, როგორც „ჰსწავლა სტიხთქმისა“. რუსთაველთანაც ხომ პოეზია დიდ ოსტატობად, სიბრძნედ და ცოდნის ჭეშმარიტ წყაროდ არის გამოცხადებული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ (12).

რუსთაველთან პოეზია გონივრული ფაქტორია, შემეცნების საშუალებაა, რომელიც აძლევს მას სიმაღლესა და ოსტატობის ძალას, ამით ხდება იგი „მსმენელთათვის დიდი მარგი“. ასეთივე დებულებით გამოდის დოდაშვილი—„სარგებლობა მჭერსიტყვაობისა თვალით სახილველ არს თვითეულისათვის“. აქ, მართლაც, „თვალით სახილველ არს“ კავშირი რუსთაველის სენტენციასა და დოდაშვილის გამართულ ფრაზას შორის.

ამრიგად, რუსთაველთან პოეზიას მინიჭებული აქვს შემეცნებითი ღირსება: და იგი სიბრძნის ერთ-ერთ დარგადაა გამოცხადებული. ეს არისტოტელედან მომდინარე დებულება, ხელოვნების ფილოსოფიის დარგად გამოცხადების ყოველი რეალისტური ხელოვნების ამოსავალს წარმოადგენდა. ასე უდგება ამ საკითხს დოდაშვილიც თავის ხელოვნების თეორიაშიც: „არცა ერთსა სწავლასა არა აქვს ესოდენ დიდი მოქმედება სულიერთა ზედა ჩვენთა ძალთა, ვითარცა აღმკობილსა ხელოვნებასა“.

რუსთაველიდანვე მოდის დოდაშვილის მიერ ასე ხაზგასმით აღნიშნული მხატვრულობის ლაკონურობა, რომელიც აღმკობილი ხელოვნების პირველი ნიშანდობლივი თვისებაა. შემოქმედი არ არის სრულყოფილი ხელოვანი, სრულყოფილი სიტყვის ოსტატი, თუ მას ეს უნარი არ გააჩნია, — გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა. „მშვენიერ სიტყვაობა არს გამოღება ჰაზრთა და გრძნობათა.... მოკლედ, ცხადად და შესაბამისად“...

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ (12).

მაგრამ ყველა შემოქმედს არ შეუძლია ასე „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“ და სიტყვისა და აზრის დაკავშირებით მხატვრული აზროვნების რთულ გზაზე გადალახოს ყოველგვარი წინააღმდეგობა და ჭეშმარიტი ხელოვნების მისაღწევად „იხმაროს დიდი გმირობა“. ხოლო, რაც შეეხება დოდაშვილის მიერ ისეთი პოეზიის დახასიათებას, რომელიც, მართალია, შეიცავს მშვენიერს თავით თვისით, მაგრამ არა სასარგებლოსა, „არამედ მხოლოდ კმაყოფილებისათვის“, რუსთველმა, რანგის მხრივ, ასეთი პოეზია მესამე კატეგორიაში მოათავსა და აღნიშნა, რომ ასეთი ლექსი სიამოვნების გარდა არაფერის მომცემიაო: „ჩვენ მათიცა გვეამების“, (დოდაშვილთან გვაქვს „ამოვნების“). ასეთი ლექსი მხოლოდ გართობის საგანი შეიძლება იყოს, „ამხანაგთა სათრეველად“, ანდა სანადიმოდ და სამღერელად, სააშიკოდ და სალაღობოდ.—ასეთი 'შემოქმედი ვერას იტყვი', გრძელად, ვერ შექმნის მონუმენტურ ტილოს, „სარგებელშემკულს“, „რაოდენ საცა ვალი მისი ითხოვს განსწავლად ანუ მიდრეკად“.

„არს მესამე ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად.
სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად,
ჩვენ მათიცა გვეამების, საცა ოდენ თქვან ნათელად;
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ (17).

3. განსხვავება რიტორიკისა და პოეტიკისა

რა განსხვავებას ხედავს დოდაშვილი ამ ორ თანამსგავს დარგს: რიტორიკასა და პოეტიკას შორის? დოდაშვილმა კარგად იცის, რომ ორივე ეს მეცნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება თავისი ბუნებით სიტყვიერების თეორიაში ერთიანდებიან, ამიტომ ისინი თანამსგავსნი: „ორნი ესე ჰსწავლანი თანამსგავსებენ მას შინა, რომელ არიან სიტყვიერების ნაწილნი“; მაგრამ არ კმარა მარტო ამ საერთო ნიშნების ერთობლიობა, თუ მათ არ ექნათ საერთო თეორია და ასე საკუთარ თეორიაზე დაყრდნობილი „შესაწევნელი“ საგანი. მართალია, პოეტიკა არ განიხილება მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად (ქიმიასთან, ფიზიკასთან) და ამიტომ არც შეიძლება მათი დაპირისპირება, ისევე როგორც ამას ვაკეთებთ საკუთრივ პოეტიკისა და რიტორიკის მიმართ, მაგრამ პოეტიკას ვერ დავუპირისპირებთ აგრეთვე ისეთ მონათესავე დარგს ხელოვნებაში, როგორიცაა ვთქვათ ფერწერა ან ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება და არქიტექტურა, ვინაიდან მათ არა აქვთ „თანამსგავსება“ პოეტიკასთან. ამიტომ დოდაშვილმა, როგორც ლოგიკაში, ლოგიკური მეთოდით (დაპირისპირებულთა ერთიანობა და განსხვავება) გადაწყვიტა ესთეტიკის ერთ-ერთი სადავო საკითხი, პროზისა და პოეზიის ურთიერთობის საკითხი. „ორი საგანი, თანხმობადი მესამისა, თანხმობადია ურთიერთისაც“[10].

მაგრამ ამ ორ მეცნიერებას იმ საერთო ნიშანთან ერთად აქვთ განსხვავებული ნიშანიც და რაც მთავარია საგანიც. მათი განსხვავება გაპირობებულია სხვადასხვა თეორიებით. ე. ი. პროზას აქვს სხვა თეორია, სხვა საგანი და ეს საგანია რიტორიკა, ხოლო პოეზიას აქვს სხვა თეორია, სხვა საგანი — პოეტიკა. „რიტორიკა არს ჰსწავლა პროზისა, ხოლო პიიტიკა ჰსწავლა სტიხთქმისა და აქვსთ, ვითარცა განსხვავებული მარცვალი, ეგრეთვე განსხვავებულიცა საგანი“. კონკრეტულად მაინც რაში განსხვავდებიან ეს თეორიები? რას მოითხოვს პროზის თეორია და რას მოითხოვს პოეზიის თეორია? დოდაშვილის თვალსაზრისით პროზას „ჰსურს ჰსწავლებად“, ვინაიდან იგი ადამიანის გონებას მიაღწევინებს ჭეშმარიტებას, „ჭეშმარიტება შეარდგენს თვისებასა პროზისასა“, ჭეშმარიტების მიღწევა კი განავითარებს შემოქმედის გონებას და იმასაც, ვინც შემდგომში დაეუფლება ჭეშმარიტებით მიღწეულ ნიმუშს ხელოვნებისას. ამიტომ „რიტორიკა შეიქმნა ჰსწავლად და საგანი მისი არს განვითარება პროზაიკებრისა მწერლისა“.

სწორედ, ჭეშმარიტების წვდომაშია პროზის თვისება და მით გამოწვეული მშვენიერება „თვინიერ რომლისაცა მას არა ექმნების ფასი“. მშვენიერებას კი მაშინ გვაგრძნობინებს ხელოვანი, როდესაც ის მაღალმხატვრულ ფერებში, მაგრამ მეტად „მიმთხვევით“, ასახავს თავის საგანს. „შვენიერი იქმნების მას შინა მხოლოდ საშუალება მიმთხვევისათვის... საგნისა“. ეს დებულება კი მარტო მშვერსიტყვაობასა და მხატვრულ პროზაზე არ ვრცელდება, იგი ასევე მისასადაგებელია პოეზიისათვისაც, რომელსაც ისევე მოეთხოვება საგნისადმი „მიმთხვევა“, როგორც პროზას, რადგან ორივენი „აღმკობილ“ სიტყვიერებაში ერთიანდებიან.

განსხვავებით რიტორიკისა, პოეტიკა არის „ჰსწავლა სტიხთქმისა“, ე. ი. ის არის პოეზიის თეორია, რომლის უფლებებში მხოლოდ ლექსთწყობის საკითხები იგულისხმება. „პიიტიკა“ — პოეზიის თეორია გვასწავლის, თუ როგორ

---

[10] ს. დოდაშვილი, ლოგიკა, 1949,. გვ. 31.

უნდა მივანიჭოთ მსმენელს „ამოვნება“, „ხოლო სტიხთმოქმედსა ამოვნებად“ მიაჩნია ის, რაც „მისსა გამოუხრობელად წარმოადგენს შვენიერსა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი მომენტი დოდაშვილის რიტორიკის აღნიშნული თავისა „განსხვავება რიტორიკისა და პიიტიკისა“, კერძოდ, პოეტიკის განსაზღვრებისა, როგორც „თავით თვისით“ არსებულისა და „არა სასარგებლოსა“, არამედ მხოლოდ კმაყოფილებისათვის რაც საერთოდ ასე დიდ დავას იწვევს ჩვენს მკვლევართა შორის. ამით თითქოს დოდაშვილი უარყოფს პოეზიის შემეცნებით ღირებულებას და ასეთს მხოლოდ მხატვრული სიტყვის ერთ დარგს პროზას ანიჭებს.

ჩვენი აზრით, აქ შემდგომ გარემოებასთან გვაქვს საქმე: „რიტორიკა არს სწავლა პროზისა“, ხოლო „პიიტიკა სწავლა სტიხთქმისა“. აღნიშნულ პერიოდში ეს „ჰსწავლა პროზისა“-ში იგულისხმებოდა საერთოდ, თუ როგორ უნდა შეღგენილიყო წინადადებანი და „ჰაზრები“. და როგორ უნდა გადმოეცათ იგი ლაკონური და სხარტი ენით, ისე რომ ყველას შესძლებოდა რთული აზრების მარტივად გაგება. „მაშინ იგი შეეწევის განვრცელებასა ცნობათასა“—ამბობს დოდაშვილი და იქვე უმატებს, რომ იგი შეგვაძლებინებს „განხსნასა ახალთ ჭეშმარიტებათასა და ყოველთა საზოგადოთ ჰსწავლათა“. ამ მიზნით ჰქონდა რიტორიკას სარგებელი შემკული. ხოლო „პიიტიკაში“, რომელიც იყო „ჰსწავლა სტიხთქმისა“ უშუალოდ პოეტური ხელოვნება იყო ნაგულისხმევი, რომელიც მხოლოდ მშვენიერებას და მისგან გამოწვეულ სიამოვნებას („ამოვნებას“) ემსახურებოდა და ამით კმაყოფილებას იწვევდა ადამიანში.

საფიქრებელია, დოდაშვილს ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც რიტორიკა და პოეტიკა სხვა ნიშანთვისებებთან ერთად დაჰყო „სარგებელშემკულად“ და „არა სასარგებლოსა“-ს მიხედვით. რომ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში პრაქტიკულად რიტორიკის სწავლება უფრო სასარგებლო იყო და გამოსადეგი, ვიდრე ვთქვათ „სტიხთქმნა“.

* * *

გარდა იმისა, რომ მჭერმეტყველების ეს ორი დარგი, როგორც „სიტყვიერებისა ნაწილნი“ განიყოფებიან ერთმანეთისაგან „ვითარცა განსხვავებული მარცვალი“, ცალკე აღებული რიტორიკაც თავისთავად „განიყოფება ორთა ზედა ნაწილთა“ ისევე, როგორც სხვა მრავალი მეცნიერებანი: „მსგავსად მრავალთა სხვათა ჰსწავლათა“. დოდაშვილს ამ საკითხისათვის მიუძღვნია სპეციალური თავი: „განყოფა რიტორიკისა“. დოდაშვილი ამ შემთხვევაშიც ლოგიკურ ხერხს მიმართავს და ისევე როგორც გვარისა და სახის დამოკიდებულებას აქვს ერთი საერთო ზოგადი, ასევე რიტორიკას დაქვემდებარებულ სახეთა (ნაწილთა), შორის დაუშვებს ზოგადობის საყოველთაო ნიშანს, ვინაიდან რიტორიკაც და მასში შემავალი ნაწილებიც საერთოდ „არიან სიტყვიერებისა ნაწილნი“.

რას წარმოადგენს ის ორი ნაწილი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება გაიყოს ნაწილის ნაწილი? აქ ერთი შეხედვით სოფისტიკასთან გვაქვს საქმე. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა, პირიქით, ამ შემთხვევაში წმინდა დიალექტიკასთან გვაქვს საქმე. როგორც ზემოთ ვნახეთ, რიტორიკა პოეტიკასთან ერთად თვითონ წარმოადგენს ნაწილს სიტყვიერებისას („რომელ არიან სიტყვიერებისა ნაწილნი“) და ამავე დროს თვით რიტორიკაც „განიყოფების ორთა ზედა ნაწილთა“. ეს ნაწილები ყოფილა მჭვრეტელობითი ანუ, თეორიული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკული,—„ხედვითი და საქმითი“. თეორიული ეხება ხელოვნების ზოგად კანონებს, მის არსს და გამოვლენის ფორმებს. „საქმითი“, პრაქტიკული კი—ხელოვნების კერძო მოვლენებს, როგორც გვარის მხრივ, ასევე ცალკეულ „პროზაიკებრთა თხზულებათა“.

მოვიყვანოთ მთლიანად ეს ადგილი, რომელშიც ისე მკაფიოდ და ნათლადაა ვადმოცემული ავტორის თვალსაზრისი, რომ იგი დამატებით კომენტარებს აღარ საჭიროებს—„რიტორიკა მსგავსად მრავალთა ჰსწავლათა, განიყოფების ორთა ზედა ნაწილთა—ხედვითსა და საქმითსა ზედა, ანუ თეორეტიკებრსა და პრაქტიკებრსა ზედა. ვინაიდგან საგანი რიტორიკისა არს განხილულად პროზაიკებრისა ქმნილებისა, მაშა პირველსა ნაწილსა შინა მისსა, ვითარცა თეორეტიკებრსა, გარდმოიცემიან კანონნი, რომელნიცა განეფინებიან ყოველთა გვართა ზედა პროზაიკებრთა თხზულებათა გამოურიცხველად; მეორესა ნაწილსა შინა, ვითარცა პრაქტიკებრსა, განიხილვებიან თითოდ სხვა და სხვანი გვარნი პროზაიკებრთა თხზულებათანი, რომელნიცა დაწერილ იქმნებიან ფრაზითა პროზაიკებრითა“. ხელოვნების ზოგად თეორიული და კერძო (პრაქტიკებრი“) საკითხების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ ეს მოსაზრებანი, უაღრესად საინტერესოა. მაგრამ დოდაშვილი უფრო შორს მიდის და ლოგიკური თანმიმდევრობით აკონკრეტებს ზემოთ მოყვანილ დებულებებს რიტორიკის დაყოფის შესახებ. ამ საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით, იგი ცალკეულ ნაწილებად ყოფს, როგორც პირველს—თეორიულს, ისე მეორეს—პრაქტიკულს და „სიცხადისათვის“ ასაბუთებს კიდეც ამ დაყოფის მიზანსა და მიზეზს.

„...პირველი ნაწილი რიტორიკისა, ესე იგი თ ე ო რ ე ტ ი კ ე ბ რ ი. განიყოფების სამთა ზედა განყოფილებათა“. ვინაიდან „თვით საზოგადო ყოველთა თხზულებათათვის არს იგი, რ ა თ ა მ ც ა პ ი რ ვ ე ლ ა დ შ ე ვ კ რ ი ბ ო დ ყ ო ვ ე ლ ნ ი ჰ ა ზ რ ნ ი[11], რომელნიცა ეკუთვნიან აღსაწერსა საგანსა“ და ამ პირველ განყოფილებას დოდაშვილმა უწოდა „ა) პოვნისათვის ჰაზრთა“. „მეორედ, ვყოთ პოებულთა და გზათა მათ ჰაზრთადმი ფიცხელი და საჭირო განკარგვა სიცხადისათვის“, რათა პირველად ნაპოვნ აზრს, რომელიც საყოველთაოა ყველა სახის მხატვრული ნაწარმოებისათვის, („პოვნისათვის ჰაზრთა“) მივცეთ მკაცრი და აუცილებელი დალაგება („განკარგვა“) ნაწარმოებში გამოთქმული იდეის სიცხადისთვის. ამ მეორე განყოფილებას დოდაშვილმა უწოდა „განკარგვისათვის“. და მესამე დამაგვირგვინებელი დებულება თეორიის სამ ნაწილად განყოფაში არის შესაბამისი მოქცევა და გამოხატვა; გადმოცემა („გამოღებანი“) ხელოვანის მიერ შექმნილ ნაწარმოებში, „მესამედ, ვიხმაროთ მოქცევა და გამოღებანი, რომელნიც შეესაბამებიან საგანსა წინაგანზრახულისა თხზულებისა“. ამ მესამე განყოფილებას უწოდა: „შესაბამისა გამოღებისათვის ჰაზრთასა“.

სანამ შევეხებოდეთ „რიტორიკის“ მეორე ნაწილს: „პრაქტიკებრი“-ს, რომლის დაწვრილებით დაყოფას „თეორიულის“ მომდევნოდ განიხილავს, ჯერ დავახასიათოთ თვით თეორიული ნაწილის ის სამი განყოფილება „(ა) პოვნისათვის ჰაზრთა, ბ) განვითარებისათვის და გ) შესაბამისი გამოღებისათვის ჰაზრთასა“, რომელთა ანალიზს დოდაშვილი იძლევა შემდგომ მომდევნო თავში და მას რიტორიკის საზოგადო კანონად აღიარებს.

---

[11] ხაზგასმა ჩვენია, შ. მ.

ეს განყოფილება ს. დოდაშვილს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი:
„II ნაწილი—ა.
საზოგადოთა კანონთათვის რიტორიკისათა.

განყოფილება—ა.

პოვნისათვის ჰაზრთა".

რას გულისხმობს დოდაშვილი თეორიული ნაწილის პირველ განყოფილებაში „პოვნისათვის ჰაზრთა"? „პოვნასა ქვეშე იგულისხმების არა თუ ოდენ აღრჩევა უმთავრესისა საგნისა, არამედ ყოველთა მისდამი შასაბამთა ჰაზრთა, რომელნიცა მსახურობენ ცხადსა გარდმოცემასა მისსა". აქ დოდაშვილი დასმულ საკითხს უდგება ნამდვილი რეალისტური პოზიციებიდან და შემოქმედს მიუთითებს, რომ მთავარია არა მარტო თემის, არამედ შესაბამი აზრის შერჩევა. თუ როგორი კუთხითა და რა შესაბამი სიტყვებით, როგორი აზროვნივი მხარით გადმოსცემ შენს მიერ აღებულ თემას, რათა იგი უფრო ცხადი და გასაგები გახდეს მკითხველისათვის, ე. ი. ემსახუროს „ცხადსა გარდმოცემასა მისსა". წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც არ უნდა კარგი თემა აირჩიოს ხელოვანმა თავისი შემოქმედების საგნად, იგი ვერ მიაღწევს ვერც მსმენელამდე და ვერც მკითხველამდის. აქ სჭირდება შემოქმედს „მოძიება ჰაზრთა", რომელნიცა ეკუთვნიან უმთავრესსა საგანსა („თემასა"). ამ შემთხვევაში დოდაშვილი დიდ როლს ანიჭებს მოგონებას. მისი აზრით რიტორიკამ უნდა ასწავლოს მოგონება. „გარნა ესე არა ნიშნავს, რომელ რიტორიკამან უნდა ასწავლოს მოგონება". რომლის მეშვეობითაც ხელოვანი მზა აზრებს („მზათა უკვე ჰაზრთა") მისცემს მშვენიერ ფორმას. აქ გამომჟღავნდება ხელოვანის დიდი ერუდიცია და ცოდნა, რაც თავის მხრივ ხელოვნების ქმნილებას მისცემს დიდ შემეცნებითს ძალას („აჩვენებს დონესა მოძიებად შემეცნებასა").

რიტორიკა ყოფილა აგრეთვე მეცნიერება მხატვრული ფორმის შესახებ; „და არს ჰსწავლა ფორმითი" და იგი ამშვენიერებს იდეებს. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია დოდაშვილის შეხედულება მხატვრული სახეებით აზროვნების შესახებ, სადაც ხელოვანი პირველ რიგში ზრუნავს თემაში მოცემული იდეის რაც შეიძლება მაღალმხატვრულ სახეებით გადმოცემაზე. დოდაშვილის აზრით, ხელოვნების როლი მარტო ახალი იდეების ძიება კი არ არის, რომ ეს „პოვნისათვის ჰაზრთა" მხოლოდ „პოვნას" კი არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ საჭიროა ძველი იდეებისა და ძველი თემების ახალ ფორმებში გადმოცემა, რომელიც ისევე შეუწყობდა ხელს „შემეცნებას", როგორც ახალი თემა, ახალი საგანი. „აგრეთვე არა სათანადო არს გულისტყუად, რომელ პოვნა აღნიშნავდეს მოძიებასა მარად ახალთა ჰაზრთასა. ვინაიდგან ძველთაცა ეგრეთვე ძალუძსთ შვენიერ ყოფად".

ამ თვალსაზრისით უდგება იგი ძველი ქართული კულტურისა და ხელოვნების შესანიშნავი ძეგლების შეფასებას, ჩახრუხაძის, პეტრიწისა და რუსთაველის გენიალურ შემოქმედებას, რომელთა მხატვრულ ქმნილებებს, მიუხედავად საუკუნეობრივი სიშორისა „ეგრეთვე ძალუძსთ შვენიერ ყოფად".

„რიტორიკის" თეორიული ნაწილის მეორე განყოფილება არის „განკარგვისათვის". რას გვასწავლის ეს განყოფილება? განკარგვის დანიშნულება ყოფილა ნაწარმოებში აღებული სხვადასხვა თემის მკაცრ სიუჟეტად დალაგება და მთლიანი, ერთიანი ფაბულის მონახვა. თანაც ეს დალაგება ისე უნდა მოხდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გასაგები გახდეს ყველასათვის და ადვილი შესამეცნებელი. „განკარგვა ნაწარმოებისა შეკრებილთა ნივთიერებათა საცნაურსა წესსა შინა ანუ მოყვანა პლანისა შინა“. მაგრამ ლიტერატურის ეს უზოგადესი კანონი, შემოქმედის ნებასურვილს კი არ ემორჩილება, არამედ რიტორიკის კანონზომიერებითაა გაპირობებული, რომლის არ გათვალისწინება ნაწარმოებს დაუკარგავს მხატვრულ ღირსებას და შემეცნებითობას. ამიტომ ხელოვანმა უნდა შესძლოს ისე ააგოს თავისი თხზულება: „რათამცა არა რაი იყოს. მეტი, ხოლო ყოველივე უნდა იყოს განკარგულ ესრეთ, რათამცა უმსწრაფლეს და უსარწმუნოეს მივწვდეთ დასასრულს“.

ყველაზე საუკეთესო საშუალება ზემოთ ნათქვამის მისაღწევად თვით ხელოვანის „შეჩვეულება და საკუთარი განზრახვა“-ა.

შემდეგ დოდაშვილი იძლევა მართებულ დახასიათებას, თუ როგორი უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები და ყოველი თხზულება საზოგადოდ. მისი მიხედვით, ყოველ ნაწარმოებს აქვს სამი ნაწილი: დაწყება („ხელყოფა“), თხრობა („წინადადება“) და დასასრული („კიდურდგმოება“). შემდეგ დახასიათებულია თითოეული ნაწილის რაობა, თუ რას წარმოადგენს შესავალი, თვით თხზულება და ბოლოთქმა. „დაწყება არს ნაწილი, რომელსაცა შინა მთხზველი განაღვიძებს ჩვენსა სიხალისესა უთქმელად საგნისა“. ე. ი. შესავალ ნაწილში თვით თხზულების შინაარსი არ არის გადმოცემული, მაგრამ იგი გვახედებს და განგვაწყობს შემდგომი თხრობისათვის.

მეორე ნაწილს დოდაშვილი უწოდებს თხზულების ფუძეს, სადაც: „გარდმოიცემის უმთავრესი საგანი თხზულებისა და არს ფუძე“. ხოლო მესამე ნაწილში „კიდურდგმოება-ში“ „მთხზველი განიმეორებს მოკლედ ყოველსა მას, რაიცა ითქვა წინად და მსახურებს მისთვის, რათა უკეთესად გარდაბეჭდოს მსმენელსა წინასწართქმული საგანი ხსომასა შინა“. მართლაც, დოდაშვილის მიერ ჩამოყალიბებული ნაწარმოების აგების კომპოზიცია უზოგადესი კანონია ყოველი მხატვრული თხზულებისა, რომლის ნიმუშად მას შეეძლო მშობლიური ლიტერატურის ბრწყინვალე მარგალიტი, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ მოეყვანა.

შემდგომი, მესამე განყოფილება თეორიისა შეეხება წინადადების მნიშვნელობას ნაწარმოებში „გამოღებისათვის ფრაზისა“. განმარტავს რა ფრაზას, დოდაშვილი მიუთითებს, რომ ყოველ თხზულებაში ფრაზა აზრის გადმოცემას უნდა ემსახურებოდეს და ის უნდა იყოს ნათელი და გასაგები. იმისათვის, რომ ფრაზას ეს თვისებები ჰქონდეს, საჭიროა: „1. კანონიერება (ლტოლვა ანუ განშორება ბარბარიზმთა). 2. სიწმინდე (განშორება ლექსთა უხმოთა და უცხოთ ქვეყნისათა). 3. სიცხადე და განსაზღვრებულება. 4. წერა ჰაზრისა. 5. სიმხოლოე“. დოდაშვილი ფრაზის ამ თვისებებს გრამატიკულსა და ლოგიკურს უწოდებს. კანონიერება ე. ი. რიტორიკულ კანონებზე დამორჩილება და ბარბარიზმების უკუგდება, წარმოადგენს ნამდვილი შემოქმედის ლიტერატურულ ღირსებას. ამავე დროს ნაწარმოები უნდა იყოს ენობრივად და სტილისტურად წმინდა და არ უნდა შეინიშნებოდეს უცხო ქვეყნების ენობრივი და სტილისტური გავლენა. ნაწერი უნდა იყოს აზრიანი („წერა ჰაზრისა“) თავისი ღრმაშინაარსითა (თემით) და ასახვითაც. ეს კი მიიღწევა, თუ დავიცავთ სიცხადესა და განსაზღვრულობას. სიცხადე მიიღწევა უცნობი და ძნელად გასაგები წინადადებების

(„ფრაზების“) უკუგდებით და გამართული ფრაზის სიცხადით, სიმარტივით და სისადავით („სიმხოლოე“).

„ღრამატიკულთა და ლოღიკურთა ღირსებათა“ გარდა „ფრაზას“ (წინადადებას) უნდა ჰქონდეს ისეთი აუცილებელი თვისებები, „რომელნიცა მისცემენ ფრაზასა შვენიერებობასა“. ეს თვისებებია: კეთილხმოვანება, „კეთილგუაროვნება მარცვლისა“, „სიმოკლე, როდესაც იხმარების ესოდენი ლექსი, რაოდენიცა საჭირო არს“ ცხადი აზრის გამოსახატავად. და სიცხოველე ფრაზისა. (აქ არის საკვირველი დამთხვევა რუსთველის ესთეტიკასთან). აზრის გადმოცემისას „ფრაზის“ სიცხოველეს ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ ამით „ვმოქმედებთ გამოხატვასა და გრძნობილებასა ზედა“ და ამავე დროს „მოვიყვანთ მოქმედებასა შინა ყოველთა სულიერთა ძალთა“. თუ ეს თვისებები არ გააჩნია ნაწარმოებს, მაშინ, რუსთველის თქმისა არ იყოს: „ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“ (21).

ასეთი სიცხოველე „ფრაზისა“ მხოლოდ პოეზიას გააჩნია. ამიტომ კარგი პროზაული ნაწარმოები ყოველთვის დავალებულია პოეზიისაგან, საიდანაც ის იღებს მაგალითს და გამოიყენებს აზრისა და ფრაზის სიცხოველისათვის: „ამისათვის პროზა იგი იხმარებს საშუალებათა პოეზიის მყრობილობისაგან“-ო--- დასძენს დოდაშვილი.

„ფრაზის“ სიცხოველეს პროზასა და პოეზიაში ვაღწევთ ტროპებისა და ფიგურალური გამოთქმების საშუალებით: „საშუალებანი ესენი არიან ტროპნი და ფიგურანი“. ამიტომ დოდაშვილი შემდგომ თავში „ტროპთათვის“ მეცნიერული სიღრმით და შესანიშნავი მხატვრული მაგალითებით განიხილავს ტროპთა და ფიგურათა სხვადასხვა სახეებს: მეტაფორას, ალეგორიას, ირონიას, ჰიპერბოლას, სინეკდოხას, მეტონომიას და სხვ.

სამწუხაროდ, აქ წყდება ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი „რიტორიკისა“, რომლის აღმოუჩენელი თავები, ვინ იცის კიდევ რამდენ რამეს გვეტყოდა ამ საინტერესო მოაზროვნის ესთეტიკური თვალსაზრისის დასადგენად და ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიის გასაღრმავებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1960—61 წლების თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები

ო. ჯაფარიძე

(წარმოადგინა აკად. შ. ამირანაშვილმა)

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია წლების მანძილზე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებს თრიალეთის მაღალმთიან ზოლში[1]. როგორც ცნობილია, ოც წელზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც თრიალეთში განსვენებულ პროფ. ბ. კუფტინის მიერ გამოვლენილი იყო მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები, რომლებმაც სრულიად ახლებურად გააშუქეს ქართული კულტურის რიგი მეტად საყურადღებო საკითხები. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული კულტურის გამოვლენა. გაირკვა, რომ ამ დროს სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში არსებობდა დიდად დაწინაურებული კულტურა. მაგრამ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან მომდინარე მასალები ცალმხრივი იყო. ცნობილი გახდა ძირითადად დაწინაურებული ფენის სამარხები, ხოლო სრულიად უცნობი დარჩა ამ პერიოდის ნამოსახლარი ადგილები. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ სად და როგორ ცხოვრობდა ის საზოგადოება, რომელმაც თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ დაგვიტოვა. უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთში არქეოლოგიური სამუშაოების განახლების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად მიმდინარეობდა აგრეთვე ფართო სადაზვერვო სამუშაოები. ამ დაზვერვის ძირითადი მიზანი იყო გამოგვეკვლინა თრიალეთის ბრინჯაოს, კერძოდ კი შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია საკმაოდ ბეჯითად ეძებდა ძველ ნაბინადარ ადგილებს, მან მაინც ვერ მიაკვლია მის ნაკვალევს. შეიძლება ნაადრევი იყოს ჯერ კიდევ გადაწყვეტით რაიმეს თქმა, ვიდრე უფრო საფუძვლიანად არ იქნება შესწავლილი ამ თვალსაზრისით ეს რაიონი, მაგრამ შესაძლოა, რომ მაღალმთიან ზოლში არ უნდა ეარსებნა მყარი ტიპის სამოსახლო ადგილებს. საფიქრებელია, რომ თრიალეთის მაღალმთიან ზოლში დამჯდარი მოსახლეობა შუაბრინჯაოს ხანაშიც არ იყო. აქ ისევე, როგორც წინამორბედ ეპოქაში[2], ამ დროსაც არსებობდა მესაქონლეობასთან დაკავშირებული დროებითი, სეზონური სამოსახლოები. ძირითადი, მკვიდრი სამოსახლოები მთისძირა ზოლშია საგულისხმებელი. მართალია, შუაბრინჯაოს ხანაში ბარის მოსახლეობის ერთგვარი „ათხელება“ ხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,

---

[1] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957—1958 წწ., თბილისი, 1960.

[2] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961, გვ. 24.

რომ თითქოს ბარში ცხოვრება მთლიანად ქრება და ბარის მკვიდრების გადასვლა ხდება ბარიდან მთაში. ბარში კვლავაც გრძელდება ცხოვრება, მაგრამ არა ისეთი ინტენსიური, როგორც ეს, ვთქვათ, ენეოლითში იყო. რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ამ პერიოდში მესაქონლეობის მომძლავრებასთან ერთად მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მთას მიაშურა. მესაქონლეობის დაწინაურება მთის უფრო ინტენსიურ ათვისებას მოითხოვდა. ბარი მაინც, ვფიქრობთ, რჩება ძირითად სამიწათმოქმედო ბაზად, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს მთაში მიწათმოქმედება არ იყო. მთის მიწათმოქმედება ერთგვარად ლიმიტირებულია და რა თქმა უნდა, იგი ვერ აიტანდა გაზრდილ მოთხოვნილებებს. უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეულ ხანაში ბარში მოსახლეობის ერთგვარ „ათხელებას“ უფრო ღრმა საფუძველი უნდა ჰქონოდა. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა საყურადღებო მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ტყის ინტენსიურ ჩეხვას უნდა გამოეწვია ტყის ზოლის თანდათანობით უკან დახევა[3]. ამას კი, თავის მხრივ, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა კლიმატურ პირობებზე. ჰავის გამშრალება, გვალვები თანდათანობით აიძულებდა მოსახლეობას უფრო ზომიერი კლიმატის მქონე ადგილებში გადასულიყო, თანდათანობით ხდება მთის წინა რაიონის ათვისება. ბარის ხელახალი, ინტენსიური დასახლება უფრო გვიან ხდება, ალბათ საირიგაციო სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით.

სადღეისოდ არსებული მასალების საფუძველზე ჩანს, რომ შიდა ქართლში მთისძირა რაიონის ათვისება საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ხდება ჯერ დროებითი, სეზონური სამოსახლოების სახით, შემდეგში კი უფრო ინტენსიურად. შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის წინამთა ადრე და, განსაკუთრებით კი შუაბრინჯაოს ხანაში უკვე კარგად ათვისებული ჩანს. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი ძეგლები (ნულის და ქვასათალის სამაროვნები, ფრინევის და ავნევის ყორღანები და სხვ.). შუაბრინჯაოს ხანაში მთისძირა ზოლში ინტენსიური ცხოვრების დაწინაურებას—გაფურჩქვნას, შესაძლოა, მართლაც, ერთგვარად ხელი შეუწყო უკვე მიწის ხელოვნურ რწყვაზე გადასვლამაც[4].

სამწუხაროდ შიდა ქართლში მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მასალები თითქმის სრულიად არა გვაქვს. ამიტომ, ჯერჯერობით, ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს რაიონი ადრეულ პერიოდში ეკონომიურად უფრო ქვემო ქართლთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, თრიალეთის მაღალმთიან ზოლთან. შიდა ქართლში მტკვრის მარჯვენა ნაპირს, მარცხენასთან შედარებით, განსხვავებული მდებარეობა აქვს. აქ საკმაოდ ახლო ადგებიან მტკვარს თრიალეთის ქედის ტოტები, რომლებიც საკმაოდ ღრმა ხეობებადაა დანაწევრებული (ძამას, ტანას, თეძმის და სხვ.). გორსა და კასპს შორის იქმნება საკმაოდ მოზრდილი ვაკე[5]. ამ წინამთის ზოლში ბრინჯაოს ხანაში დასახლებისათვის უთუოდ ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო. აქ სათანადო პირობები იყო მიწათმოქმედებისათვის და აგრეთვე მესაქონლეობის წინსვლას ხელს შეუწყობდა კავშირი თრიალეთის მაღალმთიან საძოვრებთან. არ არის გამორიცხული, რომ თრიალეთის მაღალმთიან საძოვრების გარკვეული ნაწილი იმ ტომების მიერ იყო ათვისებული, რომლებიც მტკვრის მარჯვენა ნაპირის

---

[3] ი. კიკვიძე, რწყვა ძველ საქართველოში.

[4] იქვე.

[5] საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფია, თბილისი, 1961, გვ. 211, 217.

მთისძირა ზოლში ისხდნენ. შესაძლოა, რომ წალკის პლატოზე მდებარე ციხე-ქალაქების ღანთა ერთი ნაწილი ამ ტომებს ეკუთვნოდა.

ქვემო ქართლის, ჯავახეთის მთიანეთის აღმოსავლეთი ნაწილის მაღალმთიანი პლატოები (წალკის, გომარეთის, ბედენის და სხვ.), სადაც დღეს კარგადაა ცნობილი ყორღანები, საფიქრებელია, ათვისებული იყო იმ ტომების მიერ, რომლებიც ქვემო ქართლის წინამთის ზოლში მოსახლეობდნენ. სამწუხაროდ ამ თვალსაზრისით სათანადოდ არც ეს რაიონია შესწავლილი, მაგრამ ზოგი რამ, მართალია, მეტად მცირედ, მაინც ცნობილია აქედან. თეთრი-წყაროს რაიონში სოფ. არდასუბანში აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანის სამარხები; ამ სამარხებში გამოვლენილი ინვენტარი ბევრ საერთოს პოულობს თრიალეთის ყორღანულ კულტურასთან[6]. 1957 წ. თეთრი-წყაროს მახლობლად შესწავლილი იყო ერთი ყორღანი, რომელიც აგრეთვე ახლო დგას თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ ყორღანებთან[7]. ნიშანდობლივია, რომ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის მასალები აღმოჩნდა სომხეთში ქალ. კიროვაკანთან. ეს რაიონი ლორეს პლატოსათვის (ტაშირი), რომელიც ქვემო ქართლის მაღალმთიან პლატოთა გაგრძელებაა თითქოს, ერთგვარად წინამთის რაიონს წარმოადგენს და ჩანს „თრიალეთური" კულტურის სფეროში ექცეოდა.

ამრიგად, შუაბრინჯაოს ხანაშიც ისევე, როგორც წინამორბედ პერიოდში, თრიალეთის მაღალმთიანი ზოლი ძირითადად ისევ საზაფხულო საძოვრებისათვისაა გამოყენებული. მაგრამ ამ პერიოდში მესაქონლეობის დაწინაურებასთან დაკავშირებით მთა გაცილებით უფრო ინტენსიურადაა ათვისებული. რა თქმა უნდა, მესაქონლეობას საზაფხულო საძოვრების გვერდით, საზამთრო საძოვრებიც ესაჭიროებოდა. საფიქრებელია, რომ ქვემო ქართლში მოსახლე ტომების საზამთრო საძოვრები ქვემო ქართლის ვაკეზე მდებარეობდა (გარდაბნის სტეპი, მარნეულის და სოღანლუღის ვაკე და სხვ.). ეს ადგილები დღესაც გამოიყენება საზამთრო საძოვრებისათვის, საზაფხულო საძოვრები კი ჯავახეთის ზეგანზეა განლაგებული. საზაფხულო საძოვრებით სარგებლობა შეიძლება 4—5 თვის განმავლობაში. დღეს ამ საზაფხულო საძოვრებით ძირითადად იმ დროს სარგებლობენ, როდესაც საზამთრო საძოვრებზე ბალახი არ არის. საზამთრო და საზაფხულო საძოვრები აქ ერთმანეთს ავსებენ[8]. საფიქრებელია, რომ ადრეულ ხანაშიც აქ დაახლოებით ასეთივე სურათი უნდა ყოფილიყო. წინამთის ზოლში მოსახლე ტომებს საზაფხულო საძოვრებად ათვისებული ჰქონდათ წალკა, დმანისის ზეგანი. საზამთრო საძოვრები კი მდებარეობდა გარდაბან-მარნეულის ვაკეზე.

თრიალეთის მაღალმთიან პლატოებზე ძირითადად გვხვდება სხვადასხვა ტიპის ყორღანული სამარხები. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები, რომლებიც გამოირჩევიან დასაფლავების რთული წესით, ინვენტარის სიმდიდრით და სხვ. თავის დროზე ბ. კუფტინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ყორღანები ტომის დაწინაურებულ წევრებს ეკუთვნოდა. რიგით წევრთა სამარხები აქ ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. ის გარემოება, რომ ამ მაღალმთიან ზოლში ძირითადად შუაბრინჯაოს ხანის მდიდრული

---

[6] კ. თუშიშვილი. თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის არდასუბნის რაზმის 1962 წ. ანგარიში.

[7] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში.

[8] ვ. ჯაოშვილი, სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება ქვემო ქართლში ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, თბილისი, 1956, გვ. 171.

ყორღანები გვხვდება, ერთი მხრივ, შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ ახლა ტერიტორიის მის შიგნით მოწინავე მდგომარეობა იმ წევრებმა დაიკავეს, რომლებიც უპირატესად მესაქონლეები იყვენენ. ეგებ, მათვე ეკავათ საზაფხულო საძოვრების საუკეთესო ნაწილი. ნიშანდობლივია, რომ მდიდრული ყორღანები უპირატესად დღესაც საძოვრებად საუკეთესოდ მიჩნეულ ადგილებში გვხვდება, ზედ პლატოებზე. ტომის ბელადებს თუ დაწინაურებულ წევრებს, ეგებ, სწორედ იმ ადგილებში ასაფლავებდნენ, რომლებიც საუკეთესო საძოვრებს წარმოადგენდნენ.

მაგრამ თუ ჩვენმა ექსპედიციამ ვერ შეძლო თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ დროინდელი ნამოსახლარი ადგილების აღმოჩენა, სამაგიეროდ, 1958 წლის დაზვერვების დროს დმანისის რაიონში, გომარეთის პლატოზე მან მიაკვლია მეტად საინტერესო ჯგუფს ყორღანებისას.

გომარეთის პლატო ან, როგორც მას ვახუშტი ბატონიშვილი უწოდებს ზურტაკეტი[9], მდებარეობს მდინარე ხრამისა და მისი მარჯვენა შენაკადის მდ. ყარაბულაღის აუზში[10]. იგი წალკის სამხრეთითაა და როზენბერგის პლატოს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. ყორღანები აქ უპირატესად გვხვდება ადგილ „ორთაშუაზე“, რომელიც სოფ. ახას, ყარაბულაღსა და უსეანქს შორისაა მოქცეული. ეს ყორღანები გარეგნულად თითქმის არ განსხვავდებოდნენ თრიალეთის მაღალმთიან ზოლში, წალკის ქვაბულში ცნობილი ყორღანებისაგან. აქაც გვხვდება სხვადასხვა ზომის ქვაყრილიანი და ქვამიწაყრილიანი ყორღანები. ამ ჯგუფის ყორღანებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ზომის სამი ქვაყრილიანი ყორღანი, რომლის სიმაღლე 7—8 მ უდრის, მათი დიამეტრი კი დაახლოებით 100 მეტრია. 1960—1961 წწ. ექსპედიციამ შეისწავლა ერთი ამ დიდ ყორღანთაგანი[11].

ეს ყორღანი ამ მოზრდილ ყორღანთა შორის ყველაზე დიდია. მისი დიამეტრი 100 მ უდრის. მას დაახლოებით, ერთი ჰექტარი ფართობი უკავია. ქვაყრილის სიმაღლე 8 მ. შუაში ყორღანს ძაბრისებრი ჩაღრმავება ჰქონდა (ძაბრის დიამეტრი დაახლ. 30 მ, სიღრმე—4,20 მ), ყორღანს დაახლ. 3 მ სიმაღლის ქვამიწაყრილიანი ფუძე ჰქონდა, რომელზედაც ქვაყრილი იყო ამოყვანილი აღმოსავლეთის მხრიდან, თითქმის ყორღანის კიდიდან იწყებოდა შესასვლელი, დრომოსი, რომელიც ყორღანის ცენტრისაკენ თანდათანობით ვიწროვდებოდა. დრომოსის სიგრძე 40 მ აღწევს, სიგანე დასაწყისში დაახლ. 10 მ, ბოლოში კი—3,8 მ. დრომოსის ორივე კედელი თანდათანობით მაღლდება. მათი უდიდესი სიმაღლე 4,0 მ აღწევს (ტაბ. 1, 1). დრომოსის კედლის თავზე, იმ ადგილას, სადაც ყორღანის ქვაყრილი უკვე საკმაოდ მაღალია, ქვაყრილის გასამაგრებლად ამოყვანილია, ოდნავ დამრეცად რიყის ქვის საყრდენი კედელი (დამცველი კედლის უდიდესი სიმაღლე — 3,0 მ. მანძილი შესასვლელის კედლიდან საყრდენ კედლამდე დაახლ. 1,0 მ) (ტაბ. 1, 2).

---

[9] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 40.

[10] Л. И. Маруашвили, Геоморфология и палеогеография части Нижней Картли, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 8, თბილისი, 1957, გვ. 14, 28; დ. უკლება, ქვემო ქართლის ბუნებრივი პირობები და რესურსები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 9, თბილისი, 1956, გვ. 81.

[11] ო. ჯაფარიძე, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1960—1961 წწ. წინასწარი ანგარიში, საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 1961, გვ. 19.

ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა „დასაკრძალავი დარბაზი" (ტაბ. III). მისი სიმაღლე 6,0 მ უდრის. სიმაღლის ორ მესამედზე დარბაზის კედლებს 1,50 მ-დე სიგანის ტერასისებური საფეხური აქვს. დარბაზის გარეთა კედლების სიგრძე 24 მ უდრის (ტაბ. 2, 1). ეს კედლები საგრძნობლად სცილდება დარბაზის შიდა კედლებს და დრომოსის თავზე ამოყვანილ საყრდენ კედლამდე აღწევს. დრომოსი თითქოს დარბაზში იჭრება და ქმნის სამკუთხასებრი „ბურჯს" (ტაბ. 2, 2). გარეთა სიგანე დარბაზისა—13,10 მ. დარბაზის შიდა ზომებია: 14,50×10,50 მ. მისი ფართობი უდრის—150 კვ. მ (ტაბ. III). დარბაზის გარეთა ჩრდილო დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კუთხეები მომრგვალებულია. მომრგვალებულია აგრეთვე შიდა კედლებში ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეები, დანარჩენი ორი კუთხე კი სწორია.

დარბაზის და დრმოსის კედლები ნაგებია მშრალად, უხსნაროდ, უპირატესად ბრტყელი ქვებისაგან. მაგრამ წყობაში ზოგჯერ რიყის ქვაცაა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ დრომოსის ჩრდილო და სამხრეთი კედლები სხვადასხვა ქვებისაგანაა ნაგები. ჩრდილო კედელში მოზრდილი რიყის ქვა ჭარბობს, სამხრეთისაში კი ბრტყელი. აღსანიშნავია, რომ ამგვარივე შემთხვევა გვაქვს აგრეთვე კუშჩის თოფქარებზე, სადაც დარბაზის დასავლეთი კედელი ნაგებია რიყის ქვისაგან, დანარჩენი კი ბრტყელისაგან[12].

ყორღანი, როგორც ჩანს, მეტად რთული ხასიათის ნაგებობა ყოფილა, რომელზედაც ქვაყრილი უწესრიგოდ ნაყარი კი არ იყო, არამედ ქვები საგანგებოდ მყარად ერთმანეთში ჩაწყობილი. განსაკუთრებით ეს კარგად შეინიშნებოდა ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, დასაკრძალავი დარბაზის კედლების გარეთ. დრომოსის დასაწყისში ამოდიოდა დიდი ზომის ქვები. როგორც ჩანს, შემოსასვლელი საგანგებოდ მოზრდილი ქვებით იყო ამოქოლილი.

როგორ იყო გადახურული ყორღანი, გარკვევით თქმა ახლა ძნელია. საფიქრებელია, რომ მას ხის გადახურვა ჰქონდა, რომლის დალპობის შემდეგაც ქვაყრილი ჩაწვა და ყორღანის ცენტრში ძაბრისებრი ჩაღრმავება წარმოიქმნა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასაკრძალავი დარბაზი ხის სვეტებით სიგრძივ სამად იყო გაყოფილი, რომლებზედაც შემდეგ ხის ძელები იყო გადებული. შესაძლოა, რომ დარბაზის კედლების ტერასისებურ საფეხურებს კედლების სიმყარის გაზრდის გარდა, ეგებ ის დანიშნულებაც ჰქონდა, რომ გადახურვის ძელების ცალი ბოლოს საყრდენს წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ყორღანის ძირზე ჩნდებოდა ხოლმე ცუდად დაცული ხის ნაშთები და თითქოს ისე ჩანდა, რომ ზოგჯერ ისინი ერთ ხაზზე და თანაბარი მანძილით იყვნენ ერთმანეთისაგან დაცილებული (ოთხ-ოთხი მეტრით). ბ. კუფტინი თოფქარ №1 შესახებ აღნიშნავდა, რომ დასაკრძალავ დარბაზს ხის გადახურვა ჰქონდა სვეტებზე[13], თუმცა თოფქარ № 2 განხილვისას მან გადახურვის შესახებ მსჯელობისაგან თავი შეიკავა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ყორღანი განსაკუთრებით ახლო დგას კუშჩის თოფქარებთან. თუმცა ყრილი მათ გაცილებით უფრო პატარა ჰქონდათ. როგორც ჩანს, „დასაკრძალავი დარბაზი" თოფქარი №2 დაახლოებით იმავე ფართობის იყო, როგორც ჩვენი[14]. თოფქარი № 1 დარბაზი ჩანს უფრო მოზრდილი იყო. განსხვავება მხოლოდ დრომოსში იყო. თოფქარ №2 დრომოსი, ჩანს,

---

[12] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тбилиси. 1948, გვ. 14.

[13] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 83.

[14] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года... გვ. 13.

საერთოდ არ ჰქონდა, თოფქარ №1 კი ფართო კორიდორისებრი შესასვლელი ჰქონია[15].

„დასაკრძალავი დარბაზის“ ოთხივე კედლის გასწვრივ ელაგა მოზრდილი ზომის ქილები[16] (ტაბ. III). თიხის ჭურჭელი უპირატესად შავპრიალაა, შესანიშნავად ორნამენტირებული (ტაბ. IV). შავპრიალა თიხის ჭურჭელი როგორც ფორმით, ისე ორნამენტის ხასიათის მიხედვით, ახლო დგას თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანულ კერამიკასთან. აქაც გვხვდება ამოკაწრული ორნამენტი: რომბები, სამკუთხედები, გადამკვეთი ხაზები, რგოლები და სხვ.

აღსანიშნავია ერთი შავპრიალა ქილა, რომელსაც შუბლის ზედა ნაწილზე ვარდისფერი ლაქა აქვს და ამ ლაქას შეიოუყვება ორნამენტი ალბათ საგანგებოდ (ტაბ. IV). მაგრამ განსაკუთრებით ახლო ჩვენი ყორღანის კერამიკა დგას კუშჩის თოფქარების ჭურჭელთან. აქაც ისევე, როგორც თოფქარებში, ერთერთი გავრცელებული მოტივთაგანია „ისრისებრი“ ორნამენტი. აღსანიშნავია, რომ კუშჩის და ჩვენს ყორღანებში აღმოჩნდა რამდენიმე ჭურჭელი ნაცრისფერი თიხისა. ეს ჭურჭლები როგორც თიხით, ისე ორნამენტის ხასიათითაც და ფორმით განსხვავდებიან დანარჩენი ჭურჭლისაგან. განსაკუთრებით გამოირჩევა იგი ორნამენტის სირთულით (ტაბ. IV). ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან კუშჩისა და ჩვენს ყორღანებში აღმოჩენილი მოხატული ჭურჭელიც. აქაც თითქმის არავითარი განსხვავება არ ჩანს ფორმაში, თიხის ხარისხში, მოხატვაში (ტაბ. VI, 3, 4). საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ აქაც და იქაც მოხატული ჭურჭელი ყორღანებში თანაბარი რაოდენობით იყო ჩატანებული. გვხვდება აგრეთვე განსხვავებული ხასიათის ორნამენტიც (ტაბ. VI, 1).

განსაკუთრებით საყურადღებოა ჯამისებრი ფორმის პატარა ქვის ჭურჭლის ნატეხი, რომელსაც პირთან ორი ღარი შემოუყვება (ტაბ. VI, 2). იგი ნაკეთებია ბოლნისის რაიონის ტუფისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა ამ პერიოდის ძეგლებში ქვის ჭურჭლის აღმოჩენისა. ქვის ჭურჭელი ჩვენში საერთოდ მეტად იშვიათია. როგორც ცნობილია, ქვისაგან ნაკეთები ჭურჭელი საკმაოდ ხშირია ძველ აღმოსავლურ სამყაროში[17]. ნაპოვნი იყო აგრეთვე ერთი ნატეხი დამუშავებული ობსიდიანისა, რომელიც ალბათ პატარა ჭურჭლის ნატეხი უნდა ყოფილიყო (ტაბ. VII, 5). ობსიდიანის დამუშავების ტექნიკა, ჩანს, ჩვენში ამ პერიოდში საკმაოდ მაღალ საფეხურზეა ასული. ბ. კუფტინმა თრიალეთის ყორღანებში აღმოაჩინა ობსიდიანის დამუშავებული ფირფიტები, რომლებიც, როგორც ჩანს, ინკრუსტაციისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული[18]. როგორც ცნობილია, თრიალეთი საერთოდ მდიდარია ობსიდიანით და მისი დამუშავების ტრადიცია აქ, ჩანს, ადრიდანვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე ასულა.

მიცვალებული, ჩანს, დასაკრძალავი დარბაზის ცენტრალურ ნაწილში ესვენა, აქ, ოდნავ დასავლეთისაკენ, ერთმანეთის მახლობლად აღმოჩნდა ბრინჯაოს პატარა სატევრის პირი, ვერცხლისა და ბრინჯაოს ოთხწახნაგა სადგისები. (ტაბ. VII, 1, 2, 3); ობსიდიანის ფუძემოღარული ისრის პირები (ტაბ. VII, 4) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქვე ოქროს ტიხრები, სერდოლიკისა და მოთეთ-

---

[15] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 83.

[16] ყორღანი გაძარცვული იყო, მაგრამ მაინც აღმოჩნდა საყურადღებო მასალა.

[17] Robert z Braidwood and Linda S. Braidwood. Excavations in the plain of Antioch, Chicago, 1960, გვ. 122, 318, სურ. 96, 247.

[18] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года..., გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ქვის სამკუთხა და მოგრძო თვლები, რომლითაც, ჩანს, შემკული უნდა ყოფილიყო ხის პატარა ყუთი (ტაბ. VII, 1). აქვე აღმოჩნდა ამ ყუთის, შესანიშნავად ნაკეთები, ბრინჯაოს სახელური, ყუთის გვერდით იდო მოზრდილი, სფეროსებრი მოყვანილობის ფუტურო მძივი რელიეფური ბურცულებით შემკული. მსგავსი მძივი ოდონდ ფხური ორნამენტით შემკული, აღმოჩნდა დარბაზის შემოსასვლელთან. ერთი პატარა ოქროს მძივი, შინდის კურკის ფორმისა, იდო დარბაზის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში (ტაბ. VIII, 2). დარბაზის ცენტრალურ ნაწილში ჩნდებოდა ოქროს ფირფიტის ნატეხები. ხშირად გვხვდებოდა ცისფერი პასტის წვრილი მძივები, უპირატესად აგრეთვე დარბაზის დასავლეთ ნაწილში ნაპოვნი იყო ერთი სერდოლიკის მძივი და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თიხის ჭურჭლის ნატეხებში, აღმოჩნდა „დომინოს“ ტიპის ერთი მძივი (ტაბ. VII, 6).

ყორღანში აღმოჩენილი სატევრის პირი მომცრო ზომისაა, საკმაოდ მაღალი, ფართო და ბრტყელი ყურით, რომელსაც ბოლოში ერთი ნასვრეტი აქვა. პირი ფოთლისებრი მოყვანილობისაა შუაში არამკვეთრი ქედით. ქედიდან ორი ირიბი წიბური გადადის ყუნწზე (ტაბ. VII, 1). როგორც ცნობილია, თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში იარაღი საერთოდ იშვიათია. აქ, თუ არ ჩავთვლით ერთ შუბის პირს, იარაღიდან ძირითადად სატევრის პირები გვხვდება[19]. უნდა აღინიშნოს, რომ შუაბრინჯაოს ხანაში სატევრის პირი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული იარაღი ჩანს ჩვენში. ამ პერიოდის ძეგლებში გვხვდება სხვადასხვა ვარიანტები ამ ტიპის იარაღისა[20]. ამ დროიდან მოკიდებული სატევრის პირებს უკვე უჩნდება შუა ქედი. თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი ამ ტიპის იარაღებიდან ჩვენი სატევრის პირი ყველაზე უფრო უახლოვდება საბიდ-ახჩაზე 1958 წ. ეტლიან ყორღანში აღმოჩენილ სატევარს, ოდონდ ეს უკანასკნელი უფრო მოზრდილია. განსაკუთრებით აახლოვებს მათ სატარე ნაწილი. აღსანიშნავია, რომ აქაც და იქაც ორი ირიბი წიბური გადადის ყუნწთან[21]. ჩვენი სატევრის პირი რამდენადმე უახლოვდება ჩრდილო-კავკასიაში „ზემო რუთხას“ სამაროვანზე აღმოჩენილ მომცრო ზომის სატევრებს[22].

ყორღანში ნაპოვნი იყო ორი ოთხწახნაგა სადგისი, ერთი ვერცხლისა, მეორე კი ბრინჯაოსი (ტაბ. VII, 2, 3). ორივე სადგისი ფორმით დაახლოებით ერთნაირია. პირისა და ყუნწის შეყრის ადგილი გამსხვილებულია. შეფარდება პირსა და ყუნწს შორის უდრის 3:1. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ვერცხლის იარაღის აღმოჩენის ეს პირველი შემთხვევაა. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ შუაბრინჯაოს ხანაში, როგორც ჩანს, იარაღი ძვირფასი ლითონიდან მზადდებოდა თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ვერცხლის სატევრის პირი. რაც შეეხება ბრინჯაოს ოთხწახნაგა სადგისებს ამ პერიოდის მასალებში ივი საკმაოდ კარგადაა ცნობილი. ამგვარი იარაღი ნაპოვნია თრიალეთის ყორღანებში[23]. ცნო-

---

[19] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 100.

[20] О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии. КСИИМК, вып. 60, Москва, 1955, გვ. 24.

[21] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში 1957—1958 წწ., გვ. 28, ტაბ. XVII.

[22] Е. И. Крупов. Материалы по археологии докобанского периода. МИА, 23, М.—Л., 1941, გვ. 49, სურ. 14,6; В. И. Марковин, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.), გვ. 77, სურ. 34,5.

[23] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, ტაბ. CV.

ბილია იგი აფხაზეთის დოლმენებიდან, ნულის ერთ-ერთ კოლექტიურ სამარხი-დან, ერთი სავსებით ამგვარივე ოთხწახნაგა სადგისი ახლახან აღმოჩნდა ლილოს ყორღანში.

ოთხწახნაგა სადგისები გვხვდება აგრეთვე ამ დროს ჩრდილო კავკასიაშიც[24]. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი იარაღი კარგად იყო ცნობილი წინა აზიაში[25]. როგორც ჩანს, ამ ტიპის იარაღი ჩვენში გამოჩენას იწყებს ჯერ კიდევ წინამორბედ ეპოქაში. მსგავსი სადგისი[26] ნაპოვნი იყო თრიალეთის ერთ-ერთ ადრებრინჯაოს ხანის ყორღანში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხის ყუთის ნაშთი. სამწუხაროდ, ხის ნაწილები თითქმის არ შემორჩენილა. დამპალ ხის ნაშთებში შეგვხვდა ოქროს ტიხრები და ქვის თვლები (ტაბ. VII, 1). როგორც ჩანს, ყუთი მოჭედილი უნდა ყოფილიყო ოქროს ტიხრებში ჩასმული ქვებით. ტიხარი ოქროს მავთულისა იყო სპირალურად დახვეული თავებით. მავთულს გარეთა პირი გაბრტყელებული აქვს, შიდა პირი კი გაწვრილებული, ალბათ ხეში უკეთ ჩაჯდომის მიზნით. აქვე გვხვდებოდა ოქროს ფირფიტისაგან ნაკეთები ძაბრისებრი მოყვანილობის წვრილი მილაკები, რომლებიც, ალბათ აგრეთვე ხეში ჩასასმელად იყო განკუთვნილი. ამ მილაკების ფართო პირი აგრეთვე გაბრტყელებული იყო. ყუთი შემკული ყოფილა სერდოლიკისა და მოთეთრო ფერის ქვის თვლებით. თვლები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. თვლები უპირატესად სამკუთხა მოყვანილობისაა. გვხვდება აგრეთვე სწორკუთხა ფორმისა, რომელთაგან ზოგი ვიწროა. გარდა ამისა, ყუთს მიმაგრებული ჰქონია ობსიდიანის მრგვალი და ბრტყელი ღილაკი შუაში ნახვრეტით ბრინჯაოს ოქროს თავიანი ლურსმნით ხის ყუთს ბრინჯაოს სახელური ჰქონდა (ტაბ. VIII, 1). სახელურის ორივე ბოლო ბრტყელია; შუაში იგი რკალისებურადაა ამობურცული და ამოღარული ხაზებით შემკული. სახელური კარგადაა ნაკეთები. ხის ყუთის ნაშთები აღმოჩენილი იყო აგრეთვე კუშჩის თოფქარ № 2[27]. აღსანიშნავია, რომ აქვე აღმოჩენილია ობსიდიანის ფირფიტები და ოქროს წვრილი დაწახნაგებული მავთულები და სოლები, რომლებიც, ჩანს ამ ყუთების ინკრუსტირებულ სამკაულს შეადგენენ[28]. ნაპოვნი იყო აგრეთვე რამდენადმე განსხვავებული ფორმის ხის ყუთის ბრინჯაოს სახელური[29] და სხვ. თოფქარში აღმოჩენილი ხის ეს ნივთები, ჩანს, შემკული იყვნენ ოქროთი და ოქროს ტიხრებში ჩასმული ობსიდიანის დამუშავებული ფირფიტებით. როგორც ჩანს, ამ ნივთების და ჩვენი ყუთის ინკრუსტირების ტექნიკა ერთგვაროვანი უნდა ყოფილიყო. აქაც და იქაც გვხვდება მსგავსი ოქროს მავთულის ტიხრები. განსხვავება ის არის, რომ „ორთაშუას“ ყორღანში აღმოჩენილი ხის ყუთი ინკრუსტირებული იყო ფერადი ქვებით, მაგრამ აქვე უნდა შეე-

---

[24] В. И. Марковин დასახ. ნაშრომი, გვ. 32, სურ. 4,1 გვ. 52, სურ. 17; Hans Henningvon der Osten, The Alishar Hüyük. Pazt სურ. 197, 272, P. II, გვ. 264, სურ. 290, 293.

[25] E. F. Sshmidt, Excavations at Zepe Hissar Damghan, Philadelphia, 197, გვ. 57, ტაბ. XVI.

v. Christian, AItertumskunde der Zweistromlandes, Leipzig, 1940, გვ. 283, ტაბ. 321, 8,3.

[26] Б А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 102, სურ. 109

[27] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года... გვ. 15.

[28] ალ. ჯავახიშვილი, მხატვრული ხელოსნობა, საბჭოთა ხელოვნება, № 6, თბილისი, 1955, გვ. 14.

[29] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 16, ტაბ. XVI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნოთ, როგორც ეს თავის დროზე აღნიშნა ალ. ჯავახიშვილმა, თრიალეთის კრუსტირებული სამკაულების შესახებ[30], რომ ინკრუსტაციისათვის ისეთი ფერის ქვები იყო შერჩეული, რომლებიც ოქროსთან ერთად მეტად ნაზ ტონალობას იძლევიან. ამ მხრივ ჩვენი ყუთი შემკობის წესით თითქოს უახლოვდება მესოპოტამიურ ნაწარმს, სადაც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ურის გათხრებიდან, ფერადი ქვებით, ნიჟარით, პასტით და სხვ. ინკრუსტაციის ტექნიკა მეტად მაღალ საფეხურზე იყო ასული[31]. აღსანიშნავია, რომ ურის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ხის პატარა ინკრუსტირებული საპირფარეშო ყუთი[32]. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ ზოგჯერ თვით თვლის ფორმა ახლოსაა ურის ინკრუსტირებულ ნივთებთან[33]. ჯერ კიდევ ბ. კუფტინი თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი მასალების განხილვისას აღნიშნავდა, რომ სოპოტამიურ ნაწარმს, სადაც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ურის გათთან[34]. ყორღანში აღმოჩენილი მძივებიდან აღსანიშნავია ორი მოზრდილი სფეროსებრი, ფუტურო, თხელფირფიტოვანი, ორნაწილადი ოქროს მძივი (ტაბ. 7). ერთს ზურგიდან ამოყვანილი ამოზურგული წერტილების მწკრივები ამკობს, მეორეს კი ფხური ორნამენტი. როგორც ცნობილია, მოზრდილი, სფეროსებრი ფუტურო მძივები კარგადაა ცნობილი თრიალეთის ყორღანებიდან[35]. მსგავსი მძივი, მხოლოდ განსხვავებულად ორნამენტირებული, ახლახან აღმოჩნდა ლილოს ყორღანში საძგერებელ მახვილთან ერთად. რაც შეეხება მომცრო ზომის შინდის კურკის ფორმის ოქროს მძივს, მსგავსი მძივები აღმოჩენილი იყო 1959 წ. გათხრილ „ორთაწუას“ ველის ერთ-ერთ ყორღანში[36]. წვრილი პასტის მძივები საერთოდ ხშირად გვხვდება ამ პერიოდის სამარხებში. ისინი ცნობილია თრიალეთის ყორღანებიდან, ნულიდან, ქვასათალიდან და სხვ. ხშირია აგრეთვე ცისფერი პასტის მძივები სამი შვერილით. სერდოლიკის მძივი მხოლოდ ერთი ცალი აღმოჩნდა ჩვენს ყორღანში. ამ ტიპის მძივებიც კარგადაა ცნობილი ამ პერიოდში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „დასაკრძალავი დარბაზის“ ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თიხის ჭურჭლის ნატეხებში აღმოჩენილი თეთრი პასტის ე. წ. „დომინოს“ ტიპის მძივი (ტაბ. VIII, 6). მძივების ეს ტიპი კარგადაა ცნობილი უფრო მოგვიანო ხანაში, განსაკუთრებით თრიალეთიდან. ბ. კუფტინი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „დომინოს“ ტიპის მძივები მჭიდროდაა დაკავშირებული თრიალეთის რაიონთან[37].

თითქოს ეჭვს არ იწვევს ამ მძივის აღმოჩენის ვითარება, რომ იგი ყორღანის ძირზე, შიგ თიხის ჭურჭლის ნატეხებში აღმოჩნდა. არავითარი ნიშანი აქ რაიმე ჩაშვებული სამარხის არსებობისა არ შეინიშნებოდა. ამიტომაც ხომ არ

---

[30] ალ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

[31] A. Parrot, Sumer, 1960, გვ. 160.

[32] L. Woolley, Ur excavations, vol. II, 1934, გვ. 282, ტაბ. 103.

[33] L. Woolley, დასახ. ნაშრომი, გვ. 252 , ტაბ. 114. А. Вулл, Ур. халдеев Москва, 1961, გვ. 76.

[34] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 94.

[35] Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года.., გვ. 17; მისივე, Археологические раскопки в Триалети, გვ. 93; ალ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

[36] ო. ჯაფარიძე, 1959 წლის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში, გვ. 16.

[37] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მძივის ეს ტიპი უკვე ამ პერიოდში იწყებს თრიალეთის რაიონში ჩამოყალიბებას და მერმინდელ ხანაში ფართოდ ვრცელდება აქ. ამ მოსაზრებას თითქოს მხარს უჭერს აგრეთვე ბ. კუფტინის მიერ 1940 წ. თოფქარ № 1 აღმოჩენილი „დომინოს“ ტიპის მძივი. საველე დავთარში ამ მძივთან ერთად, ერთი ნომრით, გატარებულია ბრინჯაოს სამაჯურები და სერდოლიკის მძივები. დღიურიდან ისე ჩანს, რომ ეს ნივთები ცალ-ცალკე აღმოჩნდა, „დომინოს“ ტიპის მძივზე კი საერთოდ არაფერია ნათქვამი. ნიშანდობლივია, რომ აქ აღმოჩენილი სამაჯურები თითქმის საფასებით ისეთივეა, როგორიც „ორთაშუას“ ველზე 1959 წელს გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი სამაჯური. ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან აგრეთვე ზოგიერთი ფორმის სერდოლიკის მძივები. დასასრულ, გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ ტიპის მძივი თითქოს რაღაცნაირად უკავშირდება ქვასათალის სამარხებში აღმოჩენილ ბრტყელ მძივსაკიდებს, რომლებიც აგრეთვე შემკულია წრეებით შუაში წერტილით. ერთი მსგავსი მძივსაკიდი აღმოჩნდა აგრეთვე ქორეთის ყორღანში[38].

ყორღანში ობსიდიანის სამი ისრის პირი აღმოჩნდა (სურ. VII, 4). ორი მათგანი ფუძეამოღარულია. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი, მონაცრისფრო ობსიდიანის ისრის პირი, რომელსაც პირზე შუაში ორივე მხარეს საკმაოდ ფართო და ღრმა ღარი გაუყვება, ღარის დაახლოებით შუა ნაწილში ნახვრეტია. მსგავსი ამოღარული ისრის პირი ნახვრეტით. ჩვენთვის სხვა უცნობია. შესაძლოა, რომ ეს ისრის პირი საკიდი, ამულეტი იყო. როგორც ცნობილია, ობსიდიანის ფუძეამოღებული ისრის პირები ფართოდ იყო ჩვენში გავრცელებული, განსაკუთრებით შუაბრინჯაოს ხანაში[39]. მესამე ისრის პირი, ტლანქია და ნაკლული. რა ფორმისა უნდა ყოფილიყო, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ახლო იდგა 1959 წელს გათხრილ ყორღანებში აღმოჩენილ უხეშად ნაკეთებ სწორფუძიან ისრის პირებთან[40].

ზურტაკეტის პლატოზე შესწავლილი დიდი ზომის ყორღანი როგორც დასაფლავების წესით, ისე ინვენტარის ხასიათის მიხედვით განსაკუთრებით ახლო დგას ბ. კუფტინის მიერ სოფ. კუშჩის მახლობლად შესწავლილ ორივე თოფქართან. ამ ყორღანების ცენტრშიაც აღმოჩნდა „დასაკრძალავი დარბაზი“. აქაც დარბაზის კედლების გასწვრივ თიხის მოზრდილი ჭურჭლები ელაგა, სხვა ინვენტარი კი უპირატესად დარბაზის ცენტრალურ ნაწილში ჩნდებოდა. არც ჩვენს ყორღანში აღმოჩენილა მიცვალებულის ნაშთი. ეს გარემოება კიდევ ზედმეტად უსვამს ხაზს ბ. კუფტინის მიერ ადრევე გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ თრიალეთის ყორღანებში საქმე უნდა გვქონდეს მიცვალებულის დაწვასთან[41]. ისევე როგორც კუშჩის ყორღანებში, აქაც გვხვდებოდა მსხვილფეხა საქონლის ძვლები. ძვლები უპირატესად ჩნდებოდა დარბაზის შესასვლელთან და შიგ დრომოსში, შესასვლელის მახლობლად.

---


[38] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, გვ. 182, სურ. 37.

[39] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 года..., გვ. 18. О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии; გვ. 24.

[40] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, 1959 წლის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში, გვ. 17.

[41] Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки в Триалети, გვ. 81. Б. А. К у ф т и н, Археологические раекопки, 1947 года. გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა




1




2

ეროვნული ბიბლიოთეკა



1




2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა




ეროვნული
ბიბლიოთეკა













ეროვნული
ბიბლიოთეკა






ეროვნული ბიბლიოთეკა











ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ დრომოსისა და დარბაზის კედლების ზოგიერთ ქვაზე აღმოჩნდა ამოკაწრული ნიშნები. პირველი ნიშნიანი ქვა გვხვდება თითქმის დრომოსის დასაწყისში. არავითარი კანონზომიერება ამ ქვების განლაგებაში არ შეინიშნება. ისინი გვხვდებიან სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მანძილით დაცილებული და სხვ. რამდენიმე ნიშნიანი ქვა ჩანს აგრეთვე დარბაზის ზედა კედელზე. ყველაზე მეტი ნაკაწრი ქვა ჩატანებულია სამხრეთის კედელში. სულ 60-ზე მეტი ნიშნიანი ქვა აღმოჩნდა. ნიშნები სხვადასხვა სახისაა: ურთიერთგადამკვეთი ხაზები, სამკუთხედები, ბადეები (ტაბ. IX, X) და სხვა. ზოგი ნაკაწრი უფრო ღრმა და ფართოა, ზოგიც უფრო სუსტია. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე ამოკაწრული იყო სქემატური გამოსახულება ხარისა თუ ხარირემისა (ტაბ. III). ერთ შემთხვევაში შეიძლება ფრინველის მეტად სქემატური გამოსახულება დავინახოთ. რას უნდა წარმოადგენდეს ეს ნიშნიანი ქვები ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. აკად. შ. ამირანაშვილმა ამასთან დაკავშირებით გამოთქვა მოსაზრება, რომ აქ აზრის გადმოცემის ცდასთან უნდა გვქონდეს საქმე. ზოგიერთ ნიშანს იგი აღრიცხვით მნიშვნელობას მიაწერს და სხვ.[42]. შესაძლოა, რომ მათ რაიმე რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდეთ. ასეა თუ ისე, ერთი კია, რომ აქ ეს ნიშნები საგანგებოდ დაუტანებიათ „დასაკრძალავი დარბაზის“ კედელზე, რაღაც გარკვეული აზრით.

ამრიგად, ჩვენს მიერ შესწავლილი დიდი ზომის ყორღანი მიეკუთვნება შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურას“. ყორღანები „დასაკრძალავი დარბაზით“, როგორც უკვე ადრე აღვნიშნავდით, ჩანს, ამ კულტურის უფრო მოგვიანო საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამგვარ ყორღანებში გვხვდება ხოლმე ისეთი ნივთებიც, რომლებიც უკვე მომდევნო საფეხურისათვისაა დამახასიათებელი[43]. ამასვე მიუთითებს თითქოს ჩვენს ყორღანში აღმოჩენილი „დომინოს“ ტიპის მძივი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის ყორღანების თარიღი უნდა განისაზღვრებოდეს II ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლო საუკუნეებით.

---

[42] შ. ამირანაშვილი, საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები, კომუნისტი, 1961, 2 დეკემბერი.

[43] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, გვ. 34.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ლიახვის ხეობაში[1]

ი. მეგრელიძე

(წარმოადგინა აკად. ა. ბარამიძემ)

მდინარე პატარა ლიახვის ხეობა იწყება იქ, სადაც ეს მდინარე დიდ ლიახვს შეერთვის (აქ მდებარეობს ძევერის სასოფლო საბჭოს სოფელი შერთული) და მთავრდება პატარა ლიახვის სათავეებში გერმუღისა და ს. ერმანის მთების აღმოსავლეთ ფენებზე. მთელი ეს ხეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გორის მაზრაში შედიოდა. ახლა (1957 წ.) იგი ადმინისტრაციულად გორის რაიონსა და სამხრეთ-ოსეთში შედის.

გორის რაიონისაა პატარა ლიახვის ნაწილი ს. შერთულიდან მერეთის სასოფლო საბჭოს სოფლებითურთ სათიხარის სასოფლო საბჭოს საზღვრებამდე, ე. ი. აქაა გორის რაიონის სათიხარის, ძევერის, ტყვიავის, ტირძნისის, დიცისა და მერეთის სასოფლო საბჭოები მათში შემავალი სოფლებითურთ.

პატარა ლიახვის მეორე ნაწილი შედის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონში. აქ იგი იწყება ხსენებული სათიხარიდან და მთავრდება პატარა ლიახვის სათავეებში ს. ზემო ერმანის მთებზე (იხ. ერმანი ჩვენს წინანდელ აღწერილობაში). ამ ნაწილშია: არცევისა და გერის (გერის წყლის ხეობით[2]), სათიხარის, ფრისის, ვანათის და ფრისის სასოფლო საბჭოები.

ტყვიავი და ტირძნისი ჩვენ აღწერილი გვაქვს დიდი ლიახვის ხეობის საძველეების მიმოხილვაში. გერი აღწერილი გვაქვს ჯავა-ხვწე-კროზას ხაზზე. დანარჩენი სოფლების მიმოხილვას ტირძნის მეზობელი სოფლის დიცით ვიწყებთ.

დ ი ც ი

ტირძნისიდან დიცი 3 კმ-ზე მდებარეობს.

ს. არბო, ერგნეთი და ქორდი დიცის სასოფლო საბჭოში შედიან.

1865 წელს ს. დიცში 46 კომლი სახლებულა. ახლა მასში გაცილებით მეტი ცხოვრობს. აქაური გვარებია: მარკოზაშვილი, მძინარაშვილი, ლაფაჩი, სოსიაშვილი, ყორანაშვილი, მინდიაშვილი და სხვა.

სოფელში შვიდწლიანი სკოლაა. აქ სიძველეთაგან ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესიაა, რომლის კუთხის ქვები თლილია, სხვა კი—გაუთლელი. ნაგებობის აღმოსავლეთ კედელში ერთი სარკმელია, რომლის ჩარჩოსაც გარემხრივ კბილებრივი ჩუქურთმა აქვს. შენობას სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე ახლავს

---

[1] ამავე მიდამოების „წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში" იხ. წინამდებარე ჟურნალის 1963 წლის III ნომერში.

[2] ს. ვანათთან ერთვის პატარა ლიახვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაგები, კარიც აქედანაა და ამავე კედელში ორი სარკმელია მხატვრული ჩარჩოებით ქვაზევე.

შიგნით თაღი სარტყელსაც უჭირავს. დუღაბი ძველებურია.

ჯარიბჭესთან მხატვრულ ქვაზე იკითხება შემდეგი ეპიტაფია:

„შე უწყალო(,) სოფელო (,) რა უდრო(ო)თ მიგდე მახე,
მამაშორე წუთი სოფელს(,) შავს მიწაში დავიმარხე.
(სამხრ.)

კარგი ვერ ვნახე (,) დამრჩა დედ(-)მამა
მწუხარებითა (,) ასული ანტონა
შოშიაშვილისა[3] პელაგია(,) 22 წლისა
(ჩრდ.).

გარ. 1898 წ. 8 მარიამობისა.
წამკითხველო (,) შენდობას გკელი[4]“.

მეზობელ ქვაზე სამხრეთიდან წერია:

„აქა განისვენებს ანდროა ბოლა(-)
შვილის მეუღლე ნინა შობიდ[ვან]
21 წლისა.
(ჩრდ.).

გარდავიცვალე ამა სოფლიდვან
გაუხარელი (,) დამრჩა ქმარი(,) დედა (,)
მამა მწუხარე (.) 1898 წ.“

აქაური სხვა ეპიტაფიები კიდევ უფრო ახლებია

სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს დიცის მთავარანგელოზის ნანგრევი. ამას იქით საკულტო ადგილს ლომისას უწოდებენ. იქ ნაგებობა აღარ არის, დგას დიდი კაკლის ხე.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი ზოგჯერ ერთი საქმის ხარჯზე მეორეს აფუჭებს. მაგ., დიცის ღვთისმშობლის ეკლესია თუნუქით (ჟესტით) ყოფილა გადახურული. ვიღაცეებს მოუხღიათ იგი და მეღვრეკისის (იხ.) ეკლესია გადაუხარავთ. ასე დაგვავალესო!...

ქ ო რ დ ი

1865 წელს 31 კომლიანი ქორდი უკვე 300-მდე კომლს იტევს. გვარებია: ჯალაბაძე, ხაჩიური, ბადაშვილი, ქოქოშვილი, საღირაშვილი, ხმიადაშვილი, არჩვაძე, ლომოური, მეტრეველი, რაზმაძე, ტერაშვილი და სხვა.

სოფელში ძველი, შესანიშნავი, მაღალკედლებიანი ტაძრის, თუ ეკლესიის, ნანგრევია. მას სამხრეთიდან და დასავლეთიდან მთელ სიგრძეზე კარიბჭეები ჰქონია. ნაგებობას შიგნით თითქმის ისეთივე კედელი და სარტყელი (ჩრდილოეთით) აქვს, როგორიც კუსირეთის ეკლესიას (IX ს.), თუმცა, შეიძლება, ქორდის ეს ძეგლი საუკუნეებით გვიანდელიც იყოს, ვიდრე კუსირეთისა.

---

[3] ახლა სოსიაშვილებად იწერებიან. იქვე გვიდგას თენგიზ არჩილის ძე სოსიაშვილი (დაბ., 1938 წ.).

[4] ასეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი ნაგებობის სიგრძე — 12 მ, განი—9 მ-ა. ყურადღებას იქცევს კედელში ჩატანებული უზარმაზარი ლოდები. მაგ., ეკლესიის სამხრეთი კარის თავზე ქვა 1,90 მ სიგრძისაა (კარიც მაღალია, 1,80 მ და განიერი, 1,05) დასავლეთი კარის თავის ქვა 2 მ., სისქე 20 სმ. კუთხისა და კედლის ზემო ნაწილი ირგვლივ (სახურავს ქვეშ) თლილი ქვისაა, სხვა ყორე ქვისაა. ფიქლებით ყოფილა გადახურული.

უკანასკნელ ორ ნაგებობაზე წარწერა არაა. პირველზე — ღვთისმშობლისაზე კი შერჩენილია ერთი დაზიანებული წარწერა.

დასავლეთ კედელზე, კარს ზემოთ, წმიდა გიორგია გამოკვეთილი ღვინისფერ ქვაზე და იქვე წარწერაა მგლოვანი ასოებით. წარწერის მარცხენა ნაწილი ატკეცილია. ირჩევა:

„ქ ზ̃ე სი̃ბი.
... დბი ი გ
...? ? ? ?“

კუთხის ქვებში 1,5×1 მ ქვებიც ურევია.

დასავლეთ ფასადზე ჯვარიცაა გამოხატული.

აღმოსავლეთ სარკმლის ზემოთაც მხატვრული ჯვარია ქვაზე. სამხრეთ კარსა და აღმოსავლეთ სარკმელთან ჩატანებულია ჭრელი ქვა (მარმარილოა შედუღებული ქვაში, თითქოს ნიჟარები იყოს შედუღებული).

ჭორდის მეორე ეკლესიას წმინდა ბარბალეს უწოდებენ. იგი სოფლის გარეთ მდებარეობს. ამ ბაზილიკის (5,30×2,20 მ, სიმაღლე—2,23) სამხრეთი კარის დასავლეთით მხედრული ასოებით წერია:

„დ(იდო) ანგელოზ(ო)
ისა სსლი საგ
ზრი სმ“.

იქვე, კართან მიწაზე ძევს გატეხილი მხედრულ წარწერიანი 2 ქვაც; წარწერა დაზიანებულია.

აღმოსავლეთ სარკმელზე სამ ჯვარს ერთიანი მკლავი აქვთ ჰორიზონტალურად ისე, რომ განით დადებულ ფანჯრის ჩარჩოს ჰგავს.

სოფლის მესამე ეკლესია (7,62×5,65 მ) — მთავარანგელოზი სოფლის მოედანზეა. აქვს განიერი (3,05 მ) კარიბჭე. ბაზილიკა თლილი ქვითაა აგებული. აღმოსავლეთ ფასადის ვიწრო სარკმლის თავზე დიდი და პატარა (წრეში ჩასმული, ქართული) ჯვრები და კაცის ხელია (ალბათ ქტიტორი ეხატა) გამოკვეთილი.

დასავლეთ კედელზეც (სარკმელს ზევით) დიდი ჯვარია ორ ქვაზე გამოკვეთილი ისე, რომ ჯვრის ზედა ნაწილი და მკლავები ერთ ქვაზეა მოთავსებული და ფეხი მეორეზე გადადის.

ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს კოშკი, რომლის ჩრდილოეთი ფასადის მეორე სართული ნაწილი კარის ირგვლივ აგურითაა ნაგები და გაფორმებულია მხატვრულად. კოშკში გაჰყურებს პატარა ლიახვის ხეობას გრძელ მანძილზე.

ომარ გიორგის ძე ჯალაბაძეს (1938 წ. დაბად.) გაუგონია თქმულება, ლეკიანობის დროს მთელი სოფელი იმალებოდა ამ ციხეშიო (კოშკში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ ბ ო

გორიდან 34 კმ-ზე, ცხინვალიდან 8-ზე მდებარეობს ს. არბო, მას აქ ვერის ჯვრის უმცროს ძმას უწოდებენ და გერის გამო არბოც სახელგანთქმულია ქართლში (იხ. ჩვენი აღწერილობა გერისა).

არბოში 60 კომლი ცხოვრობს. აქედან იყო მწერალი ნიკო ლომოური და აქვე იყო ერთ-ერთი ლომოურის ოჯახში ჩამოსიძებული მეზობელ სოფელ (პატარა ლიახვს გაღმა) მერეთიდან (იხ.) ანტონ ფურცელაძე. ამის სასახლეში ახლა 6 წლიანი სკოლაა მოთავსებული. ნიკო ლომოურის სახლში კი ნიკოს მემკვიდრეები: ძე იულონი (პროფ.), ასული თამარ (ისტორიკოსი, ესენი ზაფხულობით) და სხვები ცხოვრობენ. აქვეა დიდი სახლი რევოლუციამდელი გენერლის მაკარაშვილისა, მაშინდელი არბოს დეკანოზის ანდრია ჟურულისა და სხვა.

ამავე სოფლის სხვა გვარებია: გვიმრაძე, ფიჩხანაშვილი, თითო-ოროლა ოჯახი დოკაძე, რაზმაძე, როინაშვილი და სხვა.

სოფელს ჩამოუდის აღმოსავლეთის მხრივ მდ. პატარა ლიახვი, ხოლო სოფელში გადის დიცის წყალი, ანუ, როგორც აქ მას უწოდებენ, დიცურა.

არბოს არქიტექტურულ ანსამბლს შეადგენს: 1. არბოს ეკლესია (ეს დიდი და მაღალი ტაძარია) წმინდა გიორგის სახელობისა (ე. წ. გერის უმცროსი ძმა).

2. პირველის სამხრეთი გვერდითვე მდებარე ბაზილიკა (X ს. 9,5×6 მ, სიმაღლე 5 მ),

3. ამასზე მინაგები მრგვალი კოშკი (XVII ს.)

და 4. მათთანავე აღმოსავლეთით, ღვთისმშობლის ბაზილიკა (XIX ს).

არბოში 1865 წელს მხოლოდ 21 კომლი სახლობდა. ასეთ პატარა სოფელში დროთა განმავლობაში რამდენიმე ძეგლის აგება და ბოლოს უზარმაზარი ეკლესიის აშენება იმით აიხსნება, რომ არბოში დიდი სიწმიდე ეგულებოდათ. ამისვე გამო გახდა ა რ ბ ო ო ბ ა დიდ სახალხო დღეობად (იხ. ქვემოთ).

როგორც ალექსანდრე გარსევანიშვილმა დაბეჭდა „ცისკარში“, ზოგიერთი ისტორიული ცნობისა და უფრო დაწვრილებით გადმოცემების მიხედვით, ფარსმან მეხუთემ (ბაკურის ძემ) 536 წელს შეირთო ცოლად აფხაზეთის დიდი თავადის თაქთარის ასული ხვარაზმშა. მას მოჰყვა მზითევში შეჭედილი ნაწილი წმიდა გიორგისი (ხატისა), რომელიც პატარძლის ოჯახში იყო მოტანილი საბერძნეთის კეისარ იუსტინესაგან. ფარსმანი უშვილო იყო; მან წმიდა ნაწილი თავის გერს, ხვარაზმშას შვილს უბოძა.

სპარსელებმა კვლავ აიკლეს ქართლი 541 წელს. ხალხი ბარში ვეღარ დგებოდა და ფარსმანმა თავის გერს აჩუქა ხეობა, რათა ხალხს თავი შეეფარებინა. ხეობის სათავის მთის წვერზე იმავე 541 წ. მანვე აღაშენა ეკლესია წმიდა გიორგის სახელობისა და სოფელს დიდი გერისა ეწოდაო. აქედან ეკლესიას გ ე რ ი ს თ ა ვ ი დაარქვა ფარსმანმაო. ხვარაზმშა და პირველის გერი, მეორეს შვილი ვ ა რ ა ს ა მ ა დ გარდაიცვალნენ, ადგილს სახელად დიდი გერი შერჩა, ხოლო ეკლესიას — გერის თავი, ხეობა საუფლისწულო ეწოდაო.

მეფეთ-მეფე თამარმა ქართლში მშვიდობა დაამყარა და აღაშენა ჯვრის 1186 წელსაო. თამარის ბრძანებით აქ ჩამოასვენეს წმიდა გიორგის ნაწილი იმავე წლის აგვისტოში და ხატი შემდეგ არბოში ესვენაო[5].

როგორც ჩანს, ი. კ.-სათვისაც ასეთივე ცნობები მიუწოდებიათ. იგი გერისობის აღწერისას (გვ. 19) შენიშნავს, რომ თამარის დროს ჩამოიტანეს გერიდან არბოში წმ. გიორგის ნაწილი (Мощь), რომელიც იბერიის მეფეს მოუტანიებია ბიზანტიიდანაო. არბოს ეკლესია შვიდი წელია, რაც დასრულდა (1896 წ. გამოცემა). მისი შენება დაიწყო 50 წლის წინ დეკანოზმა იაკობ ლომოურმა. გერისობას ფართოდ აღნიშნავენ, იგი სამ კვირას გრძელდება (გვ. 20). მას ბაზრობის ხასიათი აქვს და შემოსავალს ელიან, თუმცა მლოცველები უპირატესობას ძველ ეკლესიას აძლევენო.

არბოს დიდი ეკლესია წლების განმავლობაში უშენებიათ და შეწირულებებით აუგიათ. იგი 1892 წ. უკურთხებიათ, ე. ი. ამ წელს დასრულებულა მშენებლობა. ზემოხსენებული პირი (ფსევდონიმით— არბოელი) წერილში „ხმა პროვინციიდან“ წერს, რომ რამდენიმე თვის წინათ აკურთხეს ახალი ეკლესია, მაგრამ ძველიც განაგრძობს მოქმედებასაო[6]. იგივე შენიშნავს, პატარა ეკლესიიდან ძველი ხატები ახალში გადაიტანეს. კანკელი მაინც ძველში დარჩაო.

მეორე სახის გადმოცემა, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იყენებს, არბოს აბო თბილელის საფლავის ადგილად თვლის. ვახუშტი წერს: „შერთულს ზეით არს ეკლესია არბო — წმიდისა, სასწაულთმოქმედის“ და სქოლიოში შენიშნავს: „ვგონებ აქა ტფილის წამებულის აბოს ნაწილსა და სახელსა ზედა ამისსა აღშენებულსა, და სასწაულისაც მის მიერ“[7].

ამასვე იმეორებს ბროსე (1848 წ.) და ქვემოხსენებული არბოელი კორესპონდენტიც (1892 წ.), რომლებიც სახელწოდება არბოს აბოს-თან აიგივებენ და თვლიან, რომ წამებული აბო თბილელი არბოშია დაკრძალულიო.

აკად. კ. კეკელიძის სათანადო მითითებამდე, აბოს წამების დღედ 790 წლის 6 იანვარს აღიარებდნენ. კ. კეკელიძემ დააზუსტა, არაბმა აბომ რომ თავის რჯული უარყო და ქრისტიანობა მიიღო, არაბებმა მას უკანასკნელი ვეღარ უარაყოფინეს და ამიტომ იგი 785 წლის 27 დეკემბერს ციხეში ჩასვეს, 786 წლის 6 იანვარს (ნათლიღების, ანუ წყალკურთხევის დღეს) გამოიყვანეს, თავი მოკვეთეს გადაასხეს ნავთი და დაწვეს, ხოლო გამურული ძვლები ცხვრის ტყავში შეახვიეს და მტკვარში ჩაყარესო[8].

ეს მოხდა მეტეხის ციხესთანო. შემდეგ მორწმუნეები მტკვარში შევიდნენ, ამოიღეს აბოს გვამი, თითქოს წაიღეს და ქართლში დაასაფლავეს.

სახელების აბოსა და არბოს გაიგივება სწორი არ ჩანს. თუ მართლაც ისე მოხდა, როგორც ეს ზემოაღნიშნულ გადმოცემაშია თქმული, მაშინ აბოს საფლავი არა არბოშია საგულისხმებელი, არამედ აბო წმინდაში, რომელი ეკლესიაც, როგორც ეს ჩვენ აჩაბეთის აღწერაში გვაქვს აღნიშნული (იხ.), თირის მონასტრის მახლობლად მდებარეობს.

---

[5] ალ. გარსევანოვი. არბოს ანუ წმიდის გიორგის ეკლესიის აღშენებისათვის. — „ცისკარი“, 1866 წ., სექტემბერი.

[6] „მწყემსი“ № 18, 1892 წ., გვ. 3.

[7] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 75.

[8] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 113.

„მწყემსის“ არბოელი კორესპონდენტი წერს 1892 წელს, რომ არბოდან 10 კმ-ზე მდებარეობს ბელოთის ციხე. არბოს დეკანოზი ანდრია ჟურულს ციხეში აუყვანია ბატონიშვილთან და თბილისში დარეჯანთანაც დადიოდაო. ა. ჟურულს გასაქცევად შეუქმნა საქმე, იგი რუსეთს გაიპარა და თან არბოს ხატის ძვირფასი ნაწილი თუ ბელოთის ციხის მაცხოვრის ეკლესიაში იოსე ქრისტეს ხატის სიმდიდრე წაიღო, მოზდოკს შეეფარა, მაგრამ ვერც ამ დეკანოზმა და ვერც ერთმა სხვამ, ვისაც ამ საქმეში წილი ედვათ, ვერ გაიხარეს და ხატის ნაწილი ისევ არბოში ჩამოასვენეს[9]. ანდრიას შემდეგ დეკანოზობდა გიორგი გვიმრაძე, ნაწილის ჩამოტანას შეხვდა დეკანოზი იაკობ ლომოური და არბო კვლავ არბოდ დარჩაო.

იგივე არბოელი ასახელებს ხატს არბოს ეკლესიაში ასომთავრული წარწერით:

„ჩ ვ ე ნ გ ვ ი რ გ ვ ი ნ ო ს ა ნ მ ა ნ მ ე ფ ე თ-მ ე ფ ე მ ა ნ ლ უ ა რ ს ა ბ ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ძ ე მ ა ნ...“ და შენიშნავს სხვა აღარ იკითხებაო (გვ. 4).

მისივე სიტყვებით, მეორე წარწერა ამბობს: „ქ. ჩ ვ ე ნ, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ფ ე მ ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მ, შ ე მ ო გ წ ი რ ე თ შ ე ნ, ჩ ვ ე ნ ს ა ს ო წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ს ა რ ბ ო ს ა ს, ე ს ვ ე რ ც ხ ლ ი ს ბ ა რ ძ ი მ-ფ ე შ ხ უ მ-კ ა მ ა რ ა ჩ ვ ე ნ ი ს უ ლ ი ს ა დ ა ხ ო რ ც ი ს მ ტ ე რ ზ ე გ ა ს ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ლ ა დ. მ ი ს ხ ა ლ ი რ ვ ე, ქ ნ ს ა უ ო ვ“... (1786; იქვე, გვ. 4).

მარი ბროსე უფრო ადრე იყო აქ, მაგრამ იგი ხსენებულ მეორე წარწერას არ იხსენიებს. პირველის უფრო ზუსტი ტექსტი კი მ. ბროსემ შემოგვინახა:— ჩ ვ ე ნ ღ ვ თ ი ვ გ ვ რ გ ვ ნ ო ს ნ ი ს მ ე ფ ე თ მ ე ფ ი ს ა დ ა მ ო წ ა მ ი ს ა ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ძ ე-მ ა ნ ლ ე ვ ა ნ, გ ა მ ო ვ ა ჭ ე დ ი ნ ე ხ ა ტ ი ე ს ე, ს ა ლ ო ც ვ ე ლ ა დ დ ა მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ლ ა დ ს უ ლ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა დ ა ძ მ ი ს ა ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო დ“[10].

მარი ბროსე თავის იმავე „არქეოლოგიური მოგზაურობების“ მეექვსე რვეულში აქვეყნებს არბოს ვერცხლის ჯვრის ასეთ წარწერასაც:

„გ ა ვ ა კ ე თ ე თ ხ ა ტ ი ე ს ე ჩ ვ ე ნ ე რ თ ო ბ ი თ მ ი ნ დ ი ა შ ვ ი ლ ე ბ მ ა, დ ა ი ყ ვ ნ ე ს ა მ ი ს მ ო თ ა ვ ე ნ ი ბ ე ც ი ა, გ ო გ ი ა დ ა ბ ა ს ი ლ ა, ს უ ლ ი ს ა ჩ ვ ე ნ ი ს ა ს ა მ ე ო ხ ო დ, წ ე ლ ს ა ჩ ყ ი ზ“, ე. ი. 1 8 1 7 წ ე ლ ს.

საქართველოს საეკლესიო კალენდარი არბოობას ხალხურ დღესასწაულებში ათავსებს და წერს:

„ა რ ბ ო ბ ა — გიორგობა. მარიამობის (აგვისტოს 15) შემდეგ სამ კვირა დღეს, არბოში და გერში (ქართლი“) (1948 წ. გამოც. გვ. 67). ალ. გარსევანიშვილი წერს, არბოს დღეობაა 23 მარიამობისთვე, კვირაობით დღესასწაულობენ გერისთაობასა, „შეიკრიბებიან მრავალნი ხალხნი: ქართლიდამ, იმერეთიდამ, თბილისიდამ და კახეთიდამ“[11] და დღესასწაულობენო.

წინათ ამ დღეებში აქ ვაჭრობაც (იარმარკობა) იმართებოდა და გასართობებიც ფართოდ იყო გამოყენებული.

---

[9] „მწყემსი“ 18, 1892 წ., გვ. 67.

[10] **M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Gèorgie et dans l' Arménie, II, St.—Pét., 1851, გვ. 64.**

[11] ალ. გ ა რ ს ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. იხ. 1866 წლის სექტემბრის „ცისკარში“, გვ. 3—4.

1957 წლის 28 აგვისტოს ვიყავით ჩვენ არბოში. სიწყნარე სუფევდა ვიდრე 29 აგვისტოს მე და ვასილ კონსტანტინეს ძე დოკაძე (ს. არბოში დაბადებული და აქაური მცხოვრები) ვანათში ვიყავით. მანქანები, ცხენები, ურმები და ფეხოსნებიც მიდიოდნენ ზევით. გავიკითხე და გავიგე, რომ გერისთაობაა, გერში მიდიან სალოცავად.

საღამოს არბოში დავბრუნდით და სოფელში ეკლესიის ირგვლივ ხალხს მოეყარა თავი, ენთო მრავალი კერა, ჩუხჩუხებდა ქვაბები, იყო გამართული სმა-ჭამა და მოლხენა, ტაშ-ფანდურა და ცეკვა-თამაში.

ეკლესიის ჩრდილოეთითვე მდებარე ვ. დოკაძის სახლში გავიარდი; ეს არბოობა მთელი ღამე არ შეწყვეტილა. დილაადრიანად დავინახე, ერთ ჯგუფთან მისულიყო თეთრებში გამოწყობილი მონაზონი, დაელოცნა ისინი და ეუბნებოდა:—რა კი იჩქარით, თუ ამას მართლა თქვენი საქმე მოითხოვს, წადით, ოღონდ აქედან წადებული ხორცი (და საერთოდ პურ-ღვინოც) სახლში არ შეიტანოთ. აქვე ან გზაში შეჭამეთო. ლოცავდა მათ: რაც ხატს შესთხოვეთ აგსრულებოდეთო —, და ზოგიერთ მათგანს ფულსაც სთხოვდა.

მე დილაადრე წამოვედი არბოდან, მაგრამ მითხრეს: არბოელებს წყნარი ძილი მთელი კვირის განმავლობაში არ უწერიათ, ძველი მორწმუნეები ავლენ გერზე, იქიდან აქ ჩამოვლენ, ან პირდაპირ აქ მოვლენ. ბევრი უსაქმო საბაბს შოულობს და სხვის ხარჯზე მოილხენსო.

მერეთი

მერეთის სასოფლო საბჭოსია: ს. მერეთი, გუგუტიანთკარი, ზარდიანთკარი, ჯარბი და კოშკა.

აქაური გვარებია: გორგიშელი, ბათაძე, გუდაძე, ფურცელაძე, ტრამაკაძე, ჩალაური და სხვა.

მერეთში 300-მდე კომლი ცხოვრობს. არჩილ ალექსის ძე შერაზადიშვილმა (დაბ. 1907 წ.) დაუძახა თავის მეზობელ ვასილ კაკოს ძე გუდაძეს (68 წლის), რომელიც შესჩივის წარსულში მიწის სიმცირეს:

„ჩვენზე ნაკლები მამული არა სოფელში არ იყო. ისაია ფურცელაძემ გაგვახათლა, შექმნა (ვაშლის) ბაღი, მთელი ხაშილაური მისი იყო (სოფლის უბანია ჯარბისაკენ), უცოლშვილო კაცი იყო, ბაღში თორმეტ კაცს ამუშავებდა, ჩვენც გვირჩევდა, თქვენც შექმენით ბაღიო, ნერგს უფასოდ გვაძლევდა, თქვენც რომ გექნებათ, უკეთესად იცხოვრებთ და მეც მეტი შემრჩებაო; თუ კი ძირებს გავიჩენდით, მით უფრო, მუნას არ გვამადლიდა.

რო(მ) წამოვიზარდე, — დასძენს ვ. გუდაძე, — დავრგე ვაშლი. მამაჩემი თავს იკლავდა, ე(ს) რა ჰქენი, სადღა ვთესოთო“.

მართლაც შესანიშნავია ესაიას ყოფილი ვაშლის ბაღი, რომელიც ახლა კოლმეურნეობებისაა.

ახლა ვაშლის ბაღი აქ უკვე ბევრს აქვს, მისი შემოსავლით ზოგს კარგი სახლი აუგია და ავტომანქანაც შეუძენია.

მერეთში ახალი, მოზრდილი და მაღალკედლიანი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა.

ეკლესიის სამხრეთი კედლის კარს ზემოთ წარწერაა:

„მომიხსენიე (,) უფალო(,) საფლავსა ამასა
შინა მდებარე აღდგომელანთ რძალ(-)
ი ელისაფეთი (.) მიხილველნო (,) შენდო(-)
ბას ვითხოვ ჩყკთ“ (=1829 წ.).

ფორმა ე ლ ი ს ა ფ ე თ ი კილოური გამოთქმაა ისევე, როგორც ვარიანში (იხ. შენიშნული იაკოფ-ი, ნაცვლად იაკობ-ისა.

იმავე კედელში შემდეგ ქვაზე:

„გიორგი ნინიკ(ას ძე) გიორგი(-)
იშვილის ჩ(ა)გ(ო)ნებით განაშ(-)
უენიერა ტაძარი ესე 1898“ (9?) წ.

იქვე, ქვაზე ეპიტაფია: —

მომიხსენე(,) უფალო (,) ბაიაძე სოსიასშვ(-)
ილი ქიტესა (.) მხილველნო (,) შენდ —-
ობას გთხოვ (!) ჩყკ?“ (182?)

კიდევაა იქვე კედელში ჩაშენებული ერთი საფლავის ქვის ნატეხი, რომელზეც იკითხება:

„ქ. გორგიშ(ელი)
ესაია...“

ეკლესიის ეზოში მოთავსებულ საფლავის ქვებს შორის არის ანტონ ფურცელაძის ქვა. ანტონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეზობელ სოფელ არბოში იყო ჩასიძებული, მაგრამ არბოში მომაკვდავს დაებარებინა, მერეთში დამასაფლავებთო და ეს თხოვნა შეუსრულებია.

აქ დგას ნაცრისფერი შუბლწათლილი მარმარილოს ქვა-ბოძი, რომელსაც აწერია:

„მე წილათა მხვდა ხვედრი მწარე (,) ძნელად საამო (,)
ჩვენს იარებსა და წყლულებში ხელების რევა (.)
მით წყლულს ვამტკივნებ მე სნეულთა და ამის გამო
შევიძინევი მოძმეთაგან ლანძღვა და წყევა (.)
(გაგრძელება ქვის კედელზე:)

ანტონ ნიკოლოზის ძე

ფურცელაძე

1839—1913“.

იგი დაბადებულია აღნიშნული წლის 1 ნოემბერს და გარდაცვლილი 1913 წ. 3 ნოემბერს.

აღმართულ შავ გრანიტზე დასავლეთის მხრიდან ჯერ ჯვარი ხატია და შემდეგ წერია:

„გენერალ-მაიორი
მიხაილ ნიკოლოზის ძე
ფ/ურცელაძე (.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბ. 18 აპრილს 1834 წ.
გარდ. 10 აპრილს 1912 წ".
(სურათი ამოვარდნილა).
იმავე ქვას აღმოსავლეთ მხარეზე აწერია:

«Идеальному мужу и
отцу от жены и детей".

მიხეილის მეუღლე რუსი ქალი ყოფილა.
მიხეილ განჯაში მსახურობდა, შორს გარდაიცვალა და ჩამოასვენესო, — ამბობს ზემოხსენებული გუდაძე. ალექსანდრე, მიხეილი, კოტე (მეტსახელად - -შავბალახა) და ანტონი ძმები ყოფილან.
მერეთში ერთი კოშკი სოფელშია, მეორე — მინდორში. უკანასკნელი ქორდის კოშკს ჰგავს.

ქ ო რ დ ი

აქ ქვის უგუმბათო ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაა. კარი სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს.

კ ა რ ბ ი

ამ სოფელში 200 მეტი კომლი ცხოვრობს (1865 წ.—48 კომლი). ძირითადი გვარებია: გნოლიძე, გვიმრაძე, ციმაკურიძე და სხვები.
სოფელში ტირიფონის არხს გარდა ნიკრეულას წყალი ჩამოდის. ვაშლის კარგი ბაღებია. აქაა ესაია ფურცელაძის შესანიშნავი ბაღი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ახლა კოლმეურნეობისაა.
სოფელს სრული საშუალო სკოლა აქვს.
სიძველეთაგან აქ სამების სახელობის თლილი ქვის გუმბათიანი ეკლესიაა (9× 5 მ, სიმაღლე 7 მ-მდე). ჩრდილოეთ კედელში 2 მ მეტი სიგრძის (სისქე 6 სმ) ფიქალია. ეკლესიას ჩრდილოეთიდან უდგას დუღაბით აგებული ყორე-ქვის ძველი, პატარა თაღიანი ეკლესია (5×4 მ). ამ საყდარს გალავანიც ჰქონია. ეზოში სოფლის სასაფლაოა.
მ. ბროსე ამ ეკლესიაზე მგლოვანი ასოებით შესრულებულ წარწერას ასახელებს („არქ. მოგზ.", VI, გვ. 65), რომელიც ახლა აღარ ჩანს.
ეკლესიის სამხრეთ კარზე კუთხეში ჩასმული ძ ი რ ბ უ დ ა ჯვარია.
ეპიტაფიათაგან ეკლესიის აღმოსავლეთით ერთ-ერთი ქვის სამხრეთ მხარეზე ასე იკითხება:

„აქა მდებარე ვარ ქიტესა
რჩეული მეუღლე მაშო (.)
(ჩრდ.)
ვითხოვ შენდობასა (.) ჩყპე-ს (.) ლო(-)
დი დამდო მშობელმა ჩემა[12]
სალუმა[13] (.) (წელი=1875-ს).

---

[12] ასე წერია — ჩემმა.
[13] ასე წერია — ასულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ძევს ქვა, რომლის წარწერიდანაც ვიგებთ, რომ

„ლოდსა ამისა ქვეშე მდებარე
ვანო ბარნაბის ძე კაპანაძე აღსრულ. 1893 წ.“
16 მარიამობისთვეს, 27 წლისა.

სხვა ქვის წარწერა გვამცნობს:

„საფლავსა შინა მდებარის[14]
პელაგია მაქვს სახელი (.)
ყველა[15] მიბრალებს უბედურს(,)
ვინც კი არს ჩემი მნახველი (.)“

წარწერის შემდეგ აბნეული სტრიქონები იუწყება, ეს ქალი იოსებ გვიმრაძის მეუღლეაო, 1 წლის გათხოვილი გარდაიცვალა 16 წლისა 1889 წ. მარტის 15-ს.

სოფელშივე ერთი შესანიშნავი კოშკია (4×4 მ.) მაღალი, სქელკედლიანი (1,70 მ), შიგნით ასასვლელი კიბით, აგურის თაღიანი სახურავით; კედლებს აქვს სათოფურები, კოშკშივე ყოფილა ჭა, თორნე; კედელში თახჩებია და სხვა. მეორე სართულზე კარგი ბუხარიცაა.

კოშკიდან ჩრდილოეთით მაღალი ოთხკუთხედი ციხე (7×7 მ) დგას. კედლებს ბურჯები აქვთ.

ციხეს კარი პირველ სართულზე აღმოსავლეთიდან აქვს, შიგნითა კიბით მეორეზე აისვლება და დასავლეთის მხრივ აივანი აქვს.

ციხიდან დასავლეთით დგას ღვთისმშობლის სახელობის ქვის ეკლესია (8×4 მ, სიმაღლე—3 მ).

ამას ჰგავს ამ სოფლის მესამე მარინეს სახელობის ეკლესიაც, რომელიც სამების ეკლესიასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სოფელთან.

კ ო შ კ ა

ქ. გორიდან 28 კმ-ზე მდებარე სოფელია 50 კომლი მცხოვრებით. აქაური გვარებია: ტატიური, ხიზანიშვილი, სიმონიშვილი, ჩალაური, შავერდენიძე და სხვა. აქედან იყო ელისაბედ ჩერქეზიშვილი (წინაპრებით — კულბითელი).

სოფელს ჭარებულა და დისევრა რწყავს. ვენახების ბაღებს შორის საყურადღებოა სახელწოდება აბილახტაური.

სოფელში ჩერქეზიშვილების კოშკი ყოფილა; ახლა კი გადაკეთებულია საცხოვრებელ სახლად.

ჰქონიათ ეკლესიები ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის სახელობის (უკვე დანგრეულია).

დ ი ს ე ვ ი

სათიხარის სასოფლო საბჭო მრავალსოფლიანია და დიდი ტერიტორია უჭირავს. მისი სოფლებია: ქსუისი, სათიხარი, ბერიჯვარი, გოჯითა, დისევი, დმენისი,

[14] ასეა.
[15] წერია მეორე სტრიქონზე.
[16] წერია მესამე სტრიქონზე.

ზემო და ქვემო ქერე, ზემო და ქვემო კორკულა, კულბითი, ნანიაური, სნეკვი, ხელჩუა და ჭარები.

კოშკიდან დისევამდე გზასთან კულბითია. აქ გორაკზე ქვის ლამაზ გუმბათიანი ეკლესია დგას (XVIII ს., 9,75× 6 მ). კარები სამხრეთითა და დასავლეთით აქვს. მხატვრულ ქვებზე ადამიანისა და ცხოველის გამოსახულებებია.

დისეველი ვლად. იკ.-ძე ოქროპირიძე (4. VII. 1955 წ. 75 წლის) იმეორებს ხალხურ გადმოცემას, თამარ მეფე ბრძანდებოდა დისევში დავით მეფის მიერ აშენებული ეკლესიის სანახავად, მოეწონა კულბითის გორაკი და ბრძანა მასზე ეკლესიის აშენება.

საფლავის წარწერათაგან ერთ-ერთი ჩყიზ (1868) წელს გვიჩვენებს, მეორეზე წერია:

„მომიხსენე მე (.) უფალო (.) მიწა შენი იოსებ წიწას(-)
ძე ტატიური (.) აღვსრულდი უშვილო(-)უძეოთ
ჩყპე წელსა“
(= 1885-ს).

სხვა ქვაზე: —

„მომიხსენე მე (.) უფალო (.) მხევალი ელისაბედ (.) სოსე
ტატიურის მეუღლე (.) გარდავიცვალე ჩყოზ წელსა აპრილის ?
? დღესა“
(=1877-ს).

ყოფილი მღვდელთმთავარი (ბლაგოჩინი)ალექსანდრე ბესარიონის ძე ოქროპირიძე ამბობს, რომ მას ძალიან კარგად და უეჭველად ზუსტად ახსოვს, პაპამისი დეკანოზი გაბრიელ ოქროპირიძე წერდა კულბითის შესახებ: „Кубитская церковь построена при царевича Гоча, из тесанного камня“.

იგივე ამბობდაო: იულონ ბატონიშვილი (ერეკლე II-ს ძე) იყო ერთხანს კულბითშიო.

ზემოაღნიშნული თქმა, რომ დისევის ეკლესია დავითის დროსაა აგებულიო, სინამდვილეს არ შეეფერება.ეს ბაზილიკური ეკლესია დავით აღმაშენებლამდეა (1089—1125) აგებული. იგი X საუკუნის ძეგლია (12× 7 მ, კედლის სიმაღლე 10 მ-მდე, კედლის სისქე კარის წირთხლში—1 მ). ეკლესიას მთელ სიგრძეზე თაღიანი მინადგამი აქვს კარით აღმოსავლეთიდან, რომელსაც სამონაზნოს უწოდებენ. ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან კარიბჭეები ჰქონია.

მთავარ ეკლესიას კუთხეებში თლილი ქვა აქვს, კედლებში კი ყორე ქვა დუღაბით.

ამ ეკლესიას ადგილობრივები ძველიცხოველს უწოდებენ, რაც, ეჭველია, ხალხური გააზრიანებაა ნამდვილი სახელის ძელიცხოველის, (ძელიცხოველი ხეითში გრძელ ცხოვლად გაუაზრიანებიათ).

დისევის ძელიცხოვლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ ვაზის ლერწზე ყურძნის მტევნებია გამოკვეთილი. ამის მარჯვნივ, მტევანს ქვეშ ირემი და მის ქვეშ ლომია გამოსახული, რომელიც ირმისაკენ მიილტვის. ირემი კი ფოთლოვან-ხილოვან ტოტს უდგას. ამ ქვის მარჯვენა ქვაზე პროფილით მდგომარე კაცის თავები შეიმჩნევა; აქვე ვერტიკალურად ორ-სამ ასო-ასოდ ჩამოწერილი 6—7 სტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული (შიგ ლ ნუსხურია) წარწერის კვალია, რომელიც დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს.

ალ. ოქროპირიძე ამბობს: დეკანოზ გაბრიელს (ოქროპირიძეს) საფლავი ეკლესიაში გავუთხარეთ; ფეხების მხარე საკურთხეველში შევიდა, შიგ ოთახივით „სარდაფი“ აღმოჩნდა, რომელშიც მიცვალებულების ძვლები ვნახეთო.

ეკლესიის დასავლეთ კედელთან მართლაც არის აკლდამის ნიშანი.

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან საფლავის ქვაზე იკითხება:

„ს ა ხ ს ო ვ რ ა თ ე ს ე ა რ ს ა ფ ლ ა ვ ი მ ღ ვ დ ლ ი ს [ჯ ვ ა რ ი] ზ უ რ ა ბ ი ს ძ ე ბ ე ს ა რ ი ო ნ ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ი ს ა [.]

[ქვის სამხრეთ მხარეზე:]

გარდავიცვალე სამოცდა ხუთის წლისა (,)
დამტოებელი მეუღლისა (,) ორისა ასულისა და ორისა ძისა (.)
მაქვს იმედი ახლათ ნაკურთხისა ჩემის შვილის იროდიონისა“.

[ჩრდ.]

წავედი გულსავსეთ (,) რომ მაქვს იმედი მისგან მოხსენებისა (.)
გარდაიცვალა 1884 წელსა ღვინობისთვის 1-სა დღესა (.)“

დისევიდან აღმოსავლეთით, წყაროდან მარჯვნივაც აღმოჩენილა აკლდამა, რომელშიც 12 ქალა იყო. ამავე წყაროს ზემოთ, ნაცერცვალში (ასე ეწოდება ადგილს)აღმოჩენილა დიდი ქვევრები (ახლაც ჩანან). დისევის დასავლეთით კი სამარხი ჩანგრეულა და ლიახვის ჭალის ქვის კედელი იყო შიგ ამოყვანილიო, — ამბობს ალექსანდრე ოქროპირის-ძე (29. VIII. 1957 წ.).

წინათ, ნ. ლ. ოქროპირიძე, კ. დონაძე, ვლად. ნიკორაშვილი და მე დისევიდან აღმოსავლეთით წავედით 1 კმ. ნახევარზე (4. VII. 1955 წ.). მუხნარში ივანე ნათლისმცემლის (ხალხი ივანე მახარებელს უწოდებს) ეკლესიასთან (5× 4 ი) ვიყავით. ამისი დღეობა ძვ. სტ. 8 მაისს სცოდნიათ. დისევის ძელიცხოვლისა კი — აღდგომას. კულბითის ეკლესიის დღეობა აღდგომის ორშაბათს იმართებოდაო, ამბობს ნიკოლოზ ოქროპირიძე.

1. ბერიჯვარი სოფელია დისევის სამხრეთით, იქ არსებულ მონასტერში ბერებს უცხოვრიათ.

2. ფურთ სადგომს აქ საირმესაც უწოდებენ.

3. კვირაცხოვლის ნიში ახლაც არის კულბითის ზემოთ, ჯვრის ტყეა იქ.

სხვათა შორის შევნიშნავთ: ყოფილი მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე ამბობს, რომ კირიონი პაპაჩემის დისწული იყო; კირიონი სინოდალური კანტორის მდივანმა დავით დავიდოვმა (დავითაშვილმა) მოკლა იმიტომ, რომ დავიდოვი მექრთამე კაცი იყო. კირიონი გახდა რა კათალიკოსი, მოხსნა დავიდოვი...დავიდოვი იძახდა, კირიონს მოვსპობო და შეასრულა კიდეცაო... (კირიონის მკვლელობაზე სხვა, უფრო საფუძვლიანი აზრიც არსებობს).

ზემოხსენებულმა ა. ბ. ოქროპირიძემ დისევშივე გვიჩვენა ერთი გუჯრის ასლი, რომლის ღედანი მცხეთის სიონის არქივში ინახებოდა და ეს პირი დეკანოზ გაბ. ოქროპირიძემ გადაიღოო. აქვე მყოფი მოხუცი ექიმი ბესარიონ ოქროპირიძე ამბობს, ჩვენს წინაპრებს მუდამ საჩივარი ჰქონდათ, დისევი ჩვენ დავით აღმაშენებელმა გვიბოძა და ნურავინ გვერევა შიგო. ალექსანდრემ გვიჩვენა პაპამისის განცხადებების პირი, რომლებშიც ის მართლაც ჩივის: დისევი დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ჩვენი, ოქროპირიძეების, იყო და საქართველოს,

რუხეთთან შეერთების შემდეგაც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო; ამ განკარგულებას ხსენებული გუჯრის პირს ვურთავთ და გთხოვთ, ჩვენი ჩვენ მოგვახმარეთო.

ჩანს, რომ რაღაც ასეთი დოკუმენტი მართლაც არსებულა, რადგან სიგელი მეფეთ-მეფე აფხაზეთისას, ხელმწიფე დავითსა და მის ძეს დიმიტრის ახსენებს. შემდეგ ეს სიგელი განუახლებიათ და მას ხელს აწერს მეფე ირაკლი მეორის კათალიკოსი ანტონი

სიგელს ზემოდან აწერია „Кониа“ და შემდეგ მოდის ქვემოწარმოდგენილი ქართული ტექსტი:

„ქ. ნებითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ მეფემ აფხაზეთისათა აღმოსავალ(-) დასავლამდე მპყრობელ პატრონმა ჯელმწიფემან დავით და ძემან-ჩემან დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილებელი შემოწირულობისა სიგელი მოგახსენეთ თქვენ ცათა სწორსა სასოსა ჩვენსა სვეტიცხოველსა და მას შინა აღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა შემოგწირეთ სოფელი დისევი თავის სამართლიანის სამზღვრებით (.) ასე მოგვეხსენება და შემოგვიწირავს საქარე გზამდისინ, წურბელთ წყარომდისინ და სათიბის წვერამდისინ, ღრმა გზამდისინ, ბერიჯვრის წვერამდისინ და სათიბის წვერამდისინ, საოსო გასაყარ გზამდისინ, იქით საიკორთო გზამდისინ, გახვრეტილ ქვამდისინ, სასადილო წყლამდისინ, ფურთსადგომამდისინ, წითელ კოშკამდისინ, ნასერლები, ჩხოკურის წყლამდისინ (,) მრგვლივ ტყემდისინ და ტბამდისინ, კვირაცხოვლის გზამდისინ, და ნაცარყანა ხევამდისინ, ზეით გზამდისინ და ქვევით შარამდისინ ეს სოფელი დისევი მრგვლივ სამზღვრით შემოგვიწირამს ყოველის კაცის უცილებლად და ულაპარაკოდ და ჯელშეუშლელად მოგვირთმევია და კაცნი შემოგვიწირამს კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი მოსახლენი დავით და ნიკოლოზ და მალიაძე დემეტრე ესენი თავისის მთითა, ბარითა და აბილახტაური თავისი საწისქვილოთი, ეს ასრე მოგვიხსენებია და შემაგვიწირამს თქვენ სვეტიცხოველსა და კვართსა კათალიკოსსა დოსითეოსსა, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი, და ნაცვლად გვაგე დღესა მას განკითხვისასა, ხ[ოლო] დამამტკიცებელი და რომელმაც ამას შლად ჯელყოსს რისხამს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და სვეტიცხოველი და ჩვენთა ცოდვათა მიერ განკითხვისა დღესა მას განკითხვისასა, ხოლო დამტკიცებული ამისანი ღმერთმან აკურთხოს.

დაიწერა ჯელითა მღვდელმონაზნის ეგნატისათა თვესა აპრილსა იგ ქკნ[სს] სდ (,) ჯელჩართული ესე არს. დავით მეფე ვამტკიცებ (.). ნებითა ღვთისათა ჩვენ ყოველის საქართველოს პატრონმა ,მეფის ირაკლის შორის ძემან ანტონი დავით მკვდრისამან გარდავაწერინე წიგნი ესე წ(ინაშ)ე ჩვენისა სიონის დეკანოზის იოვანეს უმეტნაკლებოდ, რომელისაცა მკვიდრი ჩვენა გვაქვს (თარიღი 1516 წ?).

(შდრ. თ. ჟორდანია. „ქრონიკები“, II, 334, № 1516).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ოქროპირიძეები ჩიოდნენ, დისევში ნურავინ გვეცილებაო. სიგელი ამათ კეთილშობილ გვაროვანს უწოდებს, მიძღვნილთ მცხეთის სიონისადმი. ოქროპირიძეების უმრავლესობა სასულიერო პირები ყოფილან. კირიონის (გ. საძაგლიშვილის) შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე (1918—1921) დისევიდან იყო.

ბესოსა და ალექსანდრე ოქროპირიძეების ცნობა და დეკანოზ გაბრიელ ოქროპირიძის განცხადებების შემონახული ასლები რომ იუწყებიან ოქროპირიძეების პრეტენზიების შესახებ დისევზე, ეს შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ 1789 წლის 20 მაისს ანტონ II კათალიკოზს გაუცია წყალობის წიგნი სარდალ იოანე გედეონიშვილის დისევის მოურავად დანიშვნის შესახებ[17] და ამ გვარს ეს მემკვიდრეობით ჩაბარებია. ხოლო საკვირველი ისაა, რომ ამათაც დიდი თხოვნისა და ძიების შემდეგ მიუღიათ ეს მოურაობა და ამისათვის ხელი ჰქონიათ სიგელი, რომელსაც ისევ ის ანტონ კათალიკოსი აწერდა ხელს, რომელიც ოქროპირიძეებსაც უწერს ხელს სიგელზე.

მასში თქმულია: ეს წყალობის წიგნი გთხოვთ თქვენ „აზნაურთა გედეონის შვილს სარდალს იოანეს, ძმის წულსა შენსა ერასტის და გედეონს, შვლსა შენსა დავითს და ვახტანგს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; — ასე რომ მოხუცდით კარსა პალატისა ჩვენისასა და დისევის მოურაობას გვეაჯენიო და ჩუენ უწულილესის გამოძიებით და ჭ(ე)შმარე)ტის სიმართლის განსჰსჯით გამოვიძიეთ და განვიხილეთ ამისთჳს და ნეტარ ხსენებულის ბიძის ჩუენის კათოლიკოსის ანტონის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი და სიგელი ბეჭდით დამტკიცებული გჳონდათ ამ დისევის მოურავობისა და ჩუენც ვისმინეთ ვედრებითი თხოვა თქუენი და აწ მეორედ განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის უცილობლად და ჩამოუსარჩლელად, რომელიც სიგელი თჳნიერ ამისსა გამოჩნდეს ვისგანმე, სიგელმან ამან გააბათილოს“[18]..

ჭარები

მდებარეობს პატარა ლიახვის შენაკადის ჭარებულას (სოფელს სამხრეთიდან ჩამოუდის) ხეობის ლამაზ ზეგანზე, ორბოძალას ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფენზე. სოფლის ჩრდილოეთით სნეკურა (სნეკვის წყალი) ჩამოდის.

ქვემო ჭარებში 15 კომლი რაზმაძე ცხოვრობს, ხოლო ზემოში 60 კომლია. ბათგან სამი კომლი ისევ რაზმაძეა, დანარჩენი 57 გვარად ლაფაჩია. ამიტომ ქვემო ჭარებს რაზმაანთ კარსა და ზემოს ლაფაჩებს უწოდებენ.

ცხინვალიდან ზემო ჭარებამდე 12 კმ-ია, ქსუისამდე—4 კმ. ს. სნეკვი ჭარებს ზემოთ 3 კმ-ზეა.

ახლა ამ მაღლობ ადგილზე ვაზი არ ჩანს, წინათ კი ბევრი ყოფილა; გზის თხრის დროს მიწაში უზარმაზარი ქვევრები გამოჩენილა. ზემო ჭარებიდან აღმოსავლეთით მთაზე ციხე ჩანს. მეორე ციხეს ტყეში (მრგვალია, შიგ დიდი ხეა ამოსული) შამილეთს უწოდებენ. ეს ორი ციხე მთიდან მთაზე ერთმანეთს შეჰყურებენო, — ამბობენ აქაურები.

სოფელში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაა (ქვის გვიანდელი ნაგებობაა). ამისაგან ჩრდილო აღმოსავლეთით მთავარანგელოზის საყდარია, სამხრეთ-აღმოსავლეთით ტყეში კი წმიდა გიორგის ეკლესიის ნანგრევია.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ს. გოგიაანთ კარში (ჭარებულას პირზე) გამოქვაბულს ასახელებენ და იქვე ჭარებულას შენაკადს ქვაბთა ხევა ეწოდებაო. ეს სახელწოდება და ჭარების სამხრეთით მდებარე ს. ნაქალაქევი (აქაც ეკლესიაა) არქეოლოგიურ ინტერესს იწვევენ.

---

[17] დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, II, თბ., 1953., გვ. 146, დოკუმ. № 234.

[18] იქვე, გვ. 146.

უფრო ზევითაც, ორბოძალას მთაზე, ს. გოგიაანთ კართან, მიქელ-გაბრიელის და ს. გრომსა, წიფორსა, ზონკარსა და აწრის ხევშიცაა საკულტო ადგილები და ნაგებობების ნანგრევები ან ნასაყდრალები.

ჯერ-ჯერობით ყველა ამათზე უფრო თვალსაჩინო, მნიშვნელოვანი და საინტერესოა ქვემო ჭარების ბაზილიკური ეკლესიის (X—XI ს.) ნანგრევი, რომელსაც აქ მოკლედ ღვთისმშობელს ან რაზმაან კარის, ან კიდევ ჭალის ღვთისმშობელს უწოდებენ.

ეს ეკლესია აგებული ყოფილა ღვინისფერი კარგად გათლილი ქვებით, ჰქონია კარიბჭეებიცა და სხვა. აქაური მოხუცი ძმები ვასილ და ბესო რაზმაძეები გვიამბობენ, 5—6 წლის წინათ იყვნენ აქ 1 კაცი და 2 ქალი თბილისიდან, სამი კვირა დარჩნენ, ეკლესიის ირგვლივ გათხრები აწარმოეს, ყოველი გზა გაზომეს და გასინჯეს.

რა კი ძეგლი შესწავლილი ყოფილა, ჩვენ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. მით უფრო, რომ აქ წარწერის კვალიც არ ჩანს. ვიტყვით მოკლედ, ეკლესია სამნავიანი ჩანს, ყველაზე დიდი (შუა ტანი) შიგნით ოთხბოძიანი ყოფილა, რომლებიც შეიძლება შემდეგაც იყვნენ აღმართულნი სახურავის გასამაგრებლად.

ეკლესიის დასავლეთ ფასადზე სხვადასხვა ფორმის 3 ჯვარია გამოკვეთილი. ჩრდილოეთიდან კართან კარიბჭის ბოძი მოგვაგონებს ნიქოზის მთავარანგელოზის (ესეც X—XI ს. ძეგლია) ასეთსავე ბოძს (იხ. ნიქოზის ჩვენი აღწერილობა).

ეკლესიის აღმოსავლეთით ქვის გრძელი სახლის ნანგრევია. საყდრის დასავლეთით სასახლე ყოფილა. აქვე, ამბობს ვასილ რაზმაძე, იმოდენა ქვევრი ჩანდა, რომ შიგ კამეჩი მობრუნდებოდაო.

ეკლესიის სამხრეთით სახლივით აღმართული კლდეა; იქ წყარო ჩამოდის და იგი თიხის მილებით ამ ეკლესიაზეც ყოფილა გამოყვანილი. ამ მილის ორი მუხლი ვასილ რაზმაძის ოჯახში ძევს.

ბესო რაზმაძეცა და პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრები ზოგიერთი სხვა პირიც ირწმუნებიან (ეს მხოლოდ თქმულებაა), რომ ამ ეკლესიაზე იყო ქვა, რომელზეც ეწერაო:

„მე ვარ ბერი,
სტარშინელი (!).
ეს სობორო (!) იმ ფულით განაახლეთ, აქ რომ დამიფლავსო, და
ბევრიც კიდევ დაგრჩებათო“.

სათიხარი-ქსუისი-დმენისი

სათიხარი ჭარების დაბლა გორაკზე გაშენებული 85 კომლიანი სოფელია. დანგრეული პატარა ეკლესია სოფელშია, უფრო ძველის ნანგრევი (წმიდა გიორგი) სოფლის ჩრდილოეთითაა ტყეში. ერთ ნაშთს სოფლის აღმოსავლეთით ისევ ტყეში კვირაცხოველს უწოდებენ; აქ მოდის სოფელი და იკნაობას (7 ან 10 ოქტომბერს) დღესასწაულობსო, შენიშნავს აქაური კაცი.

სოფელში მოზრდილი ციხე ძალიან მოხერხებულ (სტრატეგიულ) ადგილზე დგას.

სოფლის სამხრეთით ორბოძალას მთაზე გვირაბს (ტუნელიაო) ასახელებენ ქსუისსა და დმენისში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიებია. მათგან უფრო ძველი შუა დმენისისა (თლილი ქვისა, 7,20 მ×4,70 მ). ამას სამხრეთიდან კარიბჭეც ჰქონია. აღმოსავლეთი სარკმლის თავზე ძველი ქართული ჯვარია გამოკვეთილი (XI—XII ს.). ყურადღებას იპყრობს დასავლეთ კარის თავის ქვაც.

სოფელს დმენისებს უწოდებენ იმიტომ, რომ არის ზედა, შუა და ქვემო დმენისი.

შუა დმენისის აღმოსავლეთით კუნძულისებრი ტყეა, რომელსაც „ყველა წმინდას“ (ყოვლად წმინდა) ეძახიან.

ვანათი

მდებარეობს ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 8—9 კმ-ზე. გზა ცნობილი არქიტექტურული ანსამბლის მქონე ს. ერედვზე (აქ 906 წლით დათარიღებული ისტორიული მნიშვნელობის საალმშენებლო წარწერაა).

ვანათის სასოფლო საბჭო მრავალსოფლიანია. მასში შედიან: ს. ვანათი, ღორტევი, გუჩმასთა, ჯოჯიანი, ძიყი, კოხათი, მარმაზეთი, ორტევი, ზემო და ქვემო სარაბუკი, საცხენეთი, დიდხევი, თლიაყანა და წყალწმინდა. ამათში სულ 625 კომლი ცხოვრობს.

ვანათის ეკლესიაში დასადგამ ქვაში ჩასმულ მარმარილოზე წერია:

„სიკვდილმან მამწყლა უჟამოდ(,)
უცოდავათ გებული ძე, მღვდლის კანდ(-)
ელაკოვისა კოსტანდინე სახელდებული(.)
დედ(-)მამა დავტოვე ამა სოფელს(,) ვწუხ მათი
მოშორებული (.) წამკითხველთა ვითხოვ შენდ
ობასა ამ ლოდსა ქვეშე დებული(.) ჩყდა წელ(-)
სა მარიამობის Ძ დღესა“.

სხვა ხელით:

„ლოდსა ამას ქვეშე ვართ მდებარენი
ორნ(ი) ძმანი(.) კონსტანტინე(,) გეახელი
შვიდის წლის ძმა (მრტ(?) ხნივს მიწევს,
ვართ ამა სოფლის განუხარელი(.)
ჩყდბ დეკენბ. ით დღეს“.
1862 წ. 17 დეკემბერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

НАДПИСИ И ДРУГИЕ ДРЕВНОСТИ УЩЕЛЬЯ МАЛОЙ ЛИАХВИ

И. В. МЕГРЕЛИДЗЕ

Резюме

Работа является вторым приложением к труду автора «Надписи и другие древности Лиахвского ущелья», шесть глав которого уже опубликованы (1952—1962 гг.) с первым приложением «Надписи и другие древности ущелий Паца и Джеджора».

В ущельи Малой Лиахви имеется ряд памятников грузинской материальной культуры с надписями, имеющими важное историческое и художественное значение.

В работе говорится о древностях с их надписями этого же ущелья сс. Дици, Корди (развалины церкви XI в.), Арбо (ансамбль памятников X, XVII, XIX вв., дом писателя Н. Ломоури, 1852—1915), Мерети (среди здешних надмогильных надписей — эпитафия в метких стихах известного грузинского писателя и общественного деятеля Антона Николаевича Пурцеладзе, 1839—1913, и его старшего брата генерал-майора Михаила ,1834—1912, Карби, Кошка, Дисеви (с церквями, в их числе — одна с лапидарной надписью X в., грамота рода Окропиридзевых), Сатихари-Ксуиси, Ванати (церкви X, XIX вв. и др.), названы села и проживающие в них фамилии, а также даны некоторые исторические сведения об упомянутых памятниках, в селах и отдельных лицах.

Об архитектурном ансамбле Икортского монастыря этого же края и находящегося в нем некрополе ксанских эристов феодальной Грузии см. кн. 3 с. г. настоящего органа[19].

[19] В нем на стр. 184,4 снизу, напечатано акрополь вм. некрополь; გვ. 177,7—ო. ე. იქსა დაცა უნდა იყოს ო-ისა სადაცა; ჩუ C. იგ. კვ. ქვაზე ასე წერია ჩუ იგ კვ).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ უ გ ლ ი კ ა ც ი ა

სერგეი მესხის გამოუქვეყნებელი წერილები ეკატერინე მელიქიშვილისადმი[1]

შ. გოზალიშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ. მეც. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის სერგეი მესხის ქვემოთ მოტანილი 27 წერილი ეკატერინე (კეკე) გრიგოლის ასულ მელიქიშვილთან (იმ პერიოდში ს. მესხის დანიშნული, ხოლო შემდეგ მისი ცხოვრების თანამგზავრი—მეუღლე) საზოგადოებრივი მნიშვნელობის წერილებია. სხვა გამოქვეყნებულ წერილებთან ერთად, ეს წერილები ეკუთვნის იმ პერიოდს, როცა ეკატერინე მელიქიშვილი საზღვარგარეთ, შვეიცარიაში—მონპელიეში და ჟენევაში სწავლობდა.

ეკატერინე მელიქიშვილი (1854—1928) ცნობილი ქართველი პროფესორის, ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის და გაზ. „დროების“ გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილის და იყო. იგი თავის ძმასთან —პეტრე მელიქიშვილთან ერთად განათლების მისაღებად საზღვარგარეთ 1873 წლის 18 თებერვალს გაემგზავრა (იხ. გაზ. „დროება“ № 8, 1873 წ.). სხვა ქართველ ქალებთან (ოლიმპიადა და კატო ნიკოლაძეებთან, ოლღა გურამიშვილთან, პელო ნაცვლიშვილთან და სხვ.) ერთად საექიმო ფაკულტეტზე სწავლობდა 1876 წლამდე. ამ წელს დაბრუნდა საქართველოში და იქორწინა ს. მესხზე. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით საბავშვო ჟურნ. „ჯეჯილში“. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობაში.

ამ წერილებში მოჩანს ორი ახალგაზრდის—სერგეი მესხისა და ეკატერინე მელიქიშვილის* გულწრფელი გატაცება, რომელთაც მთელი თავისი პირადი ცხოვრება დაუკავშირეს დაჩაგრული სამშობლოს სიყვარულს, მისი უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას.

წერილებში, პირადი ურთიერთობის ასახვის გარდა, მოცემულია საზოგადოებრივი ხასიათის მეტად საყურადღებო ცნობები და ფაქტები, რომლებიც ეხებიან ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებს: აკაკი წერეთელს, ჩიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, კირილე ლორთქიფანიძეს, დავით მიქელაძეს (მევალეს), ბესარიონ ჯაფარიძეს, პეტრე მელიქიშვილს, ივ. მესხს, პავლე იზმაილოვს, მიხ. ბეთანიშვილს და სხვებს.

მათში მოცემულია საერთოდ გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, ისტორიის, ლიტერატურის მთელი რიგი საკითხები; იმავე დროს ს. მესხი თავის წერილებში ეხება ყველა იმ პირს, რომლე-

---

* ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილის საპასუხო წერილები ს. მესხთან მთლიანად დაცულია საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში №№ 16945—16975.

ბიც მოღვაწეობდნენ საზოგადო და ლიტერატურულ ასპარეზზე და გარკვეული მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. თითქმის არ დარჩენილა იმ დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არც ერთი ღირშესანიშნავი მოვლენა, რომ სერგეი მესხს თავის წერილებში არ აღენიშნა: გაზეთ „დროების“ მუშაობის პროცესი, მისი მდგომარეობა და წარმატება, მეფის ცენზურის მიერ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მძიმე პირობებში ჩაყენება და სხვა. წერილები მოგვითხრობს იმ უკიდურეს მდგომრეობაზე, რომელშიაც იმყოფებოდა გაზ. „დროება“, როგორც ეკონომიურად, ისე ცენზურის მხრივ შევიწროებისაგან, ს. მესხის უმწვავლო სამსახურზე „დროების“ გამოცემისა და საზოგადო საქმეში. მის მდგომარეობას ზედმიწევნით ახასიათებს მისივე წერილები. „ჩვენი საქმეები,—სწერდა იგი საცოლეს,—როგორც ხედავ, ისევ ძველებურად მიდის. იგივე ცეხზურა, იგივე განმარტოებული შრომა, იგივე უფულობა და თითქმის მოუსვენარი შრომა“.

წერილებში კარგად მოჩანს ს. მესხის აზრი თავისი ქვეყნის სასარგებლო სამსახურზე, რომელიც მიაჩნია მას ყოველი კაცის იდეალად და ცხოვრების **დანიშნულებად**. იგი ერთგან სწერდა:—„ეს საქმე კეკე, ხომ შენც იცი, რა არის: ჩვენი საწყალი, დაჩაგრული და უბედური მამულის სამსახური. რამდენათაც ღონე და შეძლება ნებას მოგვცემს, იმის წყლულების განკურნება და მძიმე უღლის შემსუბუქება ჩვენი აუცილებელი ვალი იქნება!“. იგი საცოლესთან საუბარშიც არ ივიწყებდა საყვარელ სამშობლოს და მის წინაშე დიდი მოვალეობის პასუხისმგებლობითა და გატაცებით მუშაობდა.

—„მეც სხვებსავით უბრალო კაცი ვარ,—სწერდა სერგეი მეორეგან ეკატერინეს,—და თუ რამე ღირსება მაქვს, ეს ღირსება ჩემს სამშობლოსადმი მტკიცე და თავგანწირულ სიყვარულში მდგომარეობს.

—მე ეს კი შემიძლია გაბედვით ვსთქვა, რომ არავიზე ნაკლები სიყვარული და მტკიცე სურვილი არა მაქვს, რომ ჩვენს ქვეყანას რამე სარგებლობა მოუტანო“.

წერილები გარკვეულ დახმარებას გვიწევს, გავეცნოთ ქართველ სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ ქართული ბიბლიოთეკისა და საზოგადოება „უღელის“ დაარსების საქმეს და მათ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამასთან ერთად, ეს წერილები ეხება 1875 წელს თბილისში ქართული წიგნების გამომცემელი საზოგადოების დაარსებას, საუბარია ქართული ლიტერატურის საჭიროროტო საკითხებზე, მათს მნიშვნელობაზე.

ქართველი მკითხველისათვის ამ წერილების მიწოდებაც ერთგვარი სასარგებლო **წვლილი იქნება ს. მესხის პუბლიცისტურ-ლიტერატურული მოღვაწეობის** შესწავლის საქმეში.

პარიჟი, 19 ოქტომბერი, 1873.
Boulevard st Michel, 32

ჩემო კარგო!

უეჭველია, შენ ეხლა მე მომელი, რადგან ამას წინათ მოგწერე, რომ შაბათკვირას უთუოდ გამოვალ, მეთქი. მაგრამ, ჩემო კეკე, გარემოებანი ატრიალებენ ადამიანის ცხოვრებას. და ამ გარემოებათა წყალობით, დღეს მის მაგიერათ,

რომ მე მოვსულიყავ, ეს ჩემი [წერილი] მოგივა. ნუ გაწყრები და ნუ შეწუხდები ჩემო კეკე; ღმერთმანი, არავითარი საშუალება არ მქონდა, რომ ჩემი დაპირება ამესრულებინა და წამოვსულვიყავ (ეს შენზე ნაკლებ, არც ჩემთვისაა სანატრელი). ეს „არავითარი საშუალება“—ფულებია; ე. ი. ფულები არა მაქვს. ამ კვირაში მე აქ უსათუოთ უნდა ავიღო 300 ან 400 ფრანკი და მოვალ. დღეს კი არ დაგინიშნავ ჯერ, რადგან მეშინია—ვაი თუ კიდევ მოგატყუილონ. როდესაც წამოსვლას დავადგები, მაშინ მოგწერ დღეს და საათსაც, რომ რკინის გზაზე დამხვდეთ.

გუშინწინ შინიდამ წიგნი მომივიდა და სხვათა შორის მწერენ, რომ ნესტორი თფილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიუღიათ. ეს ძალიან კარგია, ერთი წელიწადი სულ ტყვილა მაინც არ დაეკარგება. მერე ვნახოთ.

შენი წიგნი რომ არ მომივიდა დღეს, უთუოთ იმის ბრალია, რომ ვეგონა, წამოვიდოდი და აქ არ ჩამომისწრებდა. მეც ამიტომ გწერ დღეს მოკლე წიგნს, რომ შენი წიგნი არ მომსვლია. გიგზავნი პატარა ამბავს Rappel[10]-დამ, წაიკითხე და მომწერე, როგორ მოგწონს შენ ამ ქალის მოქმედება... მომწერე, გენაცვალე კეკე, ხშირათ წიგნები, ეხლა ერთხელ კიდევ მოასწრებ წიგნის გამოგზავნას... უანგარიშოთ დაგკოცნი.

შენი სერგეი.

გვერდზე მიწაწერი:

ძლე მოკლე და უხეირო წიგნისათვის ნუ გამებუტები შენებურათ, თორემ იმ იცი!.. ეს შინიდამ გამოგზავნილი წიგნი გენაცვალე კეკე, ივანეს[2] გარდაეცა. პეტრესაგან[3] რა ამბავია, რატომ არაფერს იწერები? ფულები თუ მოუვიდეს ივანეს იმ ღმერთ-გაბწყრალი ნიკოლაძისაგან[4], მამაშველოს, თორემ საქმე ცუდათ არის. კიდევ დაგკოცნი მაგრა.

შენი სერგეი.

პარიჟი, 28 ოქტომბერი [1873 წ.]

2. კეკე!

ეხლა კი სწორეთ ვრწმუნდები, რომ შენ არათუ მარტო ანჩხლი ქალი, ავი გულისაც ყოფილხარ. არა გრცხვენია, რომ ამდენი ხანი წიგნს არა მწერ? მუდამ დილას გაფაციცებით შევჩერებივარ ბიჭს ხელში, იქნება შენი წიგნი მომიტანოს, მეთქი, მაგრამ სად არის! როგორც გეტყობა, შენ გინდა შენი ხასიათის სიმაგრე მიჩვენო და რადგან ერთხელ სთქვი, რომ სანამ მანდა ხარ, წიგნს არ მოგწერო, გინდა შეასრულო შენი სიტყვა. თუმცა ივანე მწერს, რომ შენ კარგათა ხარ, მაგრამ მე მაინც შენგან მინდა შევიტყო ყველაფერი, მინდა რომ შენი წიგნი წავიკითხო და შენი სულის მდგომარეობა გავიგო. შენი ჭირიმე, კეკე, ნუ მაწვალებ, რა უგუნებო რამა ხარ, ნუ თუ შენ არ მოგინდება ხოლმე ჩემთან ტიკტიკი კვირაში ორჯერ მაინც! მაშ ერთი წიგნი მაინც მომწერე უკანასკნელად. სანამ ჩამოვიდოდე და მერე რა საშუალებითაც იქნება, ვეცდები, რომ უთუოთ ჩამოვიდე და დაგილბილო მაგ შენი ავი, გაანჩხლებული გული.. ამის მეტის მოწერა მე დღეს არაფრის არ შემიძლია, რადგან შენგან წიგნის მოუსვლელობამ ძალიან ცუდს გუნებაზე დამაყენა...

ათასჯერ დაგკოცნი ჩვეულებრივად ჩემს საყვარელ თვალებში და ცხვირ-პირში... მაიმუნო, საძაგელო, კეკე.

შენი სერგეი.

გვერდზე მინაწერი:

გენაცვალე, კეკე, ტისჩენკოს ქალს გაახსენე დაპირება და უთხარი, რომ თუ რაიმე საშუალება ექნეს, ფულები გამომიგზავნოს, თორემ ერთი სანტიმი არ გამაჩნია, თქო.

პარიჟი 1873—28 ნოემ.
Boulevard st Michel, 32.

3 კეკე ჩემო!

საუბედუროთ მარტო ერთი საათი მრჩება დღეს შენთან წიგნის მოსაწერათ, რადგან ფოჩტა ხუთ საათზე მიდის და ეხლა კი ოთხ საათს თითქმის გადაცილებულია. ამიტომ, ჩემო კარგო, ნუ გამიწყრები, თუ ჩვეულებრივზე უფრო პატარა წიგნი მოგწერო.

ჩვენ წუხელი საათის ოთხზე ჩამოველით, მშვიდობით, კარგათ, ყოველის უვნებლად, როგორც მოგზაურობაში გამოცდილ კაცს ეკადრება, მაგრამ ამ მუდამ შენთან მოშორებამ გული წამიხდინა, ღმერთმანი. ამას წინათ რომ მოვდიოდი პარიჟში შენთან გაშორების დარდს ცოტათი მაინც ის გარემოება მიხელებდა, რომ მაშინ პირველად მოვდიოდი პარიჟში და ვინ იცის რამდენი ახალი რამეების ნახვას და გაცნობას მოველოდი; ამ აზრით გართული ვიყავი და დარდმა ისე ვეღარ დამძლია. ეხლა კი ცოტათი მაინც ვიცნობ პარიჟს, ვიცი, რაც მომელის, რას ვნახავ, რას გავიცნობ და ისე აღტაცებით აღარ მოვეშურებოდი აქეთ, როგორც პირველად. ამის გამო ჩემ კეკესთან მოშორებაც ისე ძალიან საგრძნობელი იყო ჩემთვის. მაგრამ ამის თქმა საჭირო არ არის, რადგან შენც კარგათ იცი, თუ რამდენათ მიმძიმს ხოლმე შენთან მოშორება (თუმცა ამას ცხადათ სახეზე, განშორების დროს, არასოდეს არ ვაცხადებ) და რამდენათაც ამ ნაირი ერთმანეთის მოშორებული ცხოვრება ჩვენ ორივესათვის აუცილებლად საჭიროა ჯერ-ჯერობით. აქ რომ ჩამოვედი, ჩემი ოთახი სულ ანგრეული და არეულ-დარეული დამხვდა და მთელი დილა მილაგებ-მოლაგებას მოუნდი, მერე აბანოში წაველი და იმიტომ დამაგვიანდა და დღეს ვერც შენთან ხეირიანი წიგნის მოწერას ვახერხებ და ვერც „რაპპელის“[10] გამოგზავნას. ხვალ კი უთუოთ წავალ რედაქციაში და შენს სახელობაზე სამი თვის ვადით გამოვიწერ და იმედი მექნება რომ შენც ყოველთვის იკითხავ. იმდენჯერ მითქვამს თქვენთვის და ცალკე შენთვის გაზეთების ყურის-გდების სარგებლობაზე, რომ გახელმეორებას ეხლა საჭიროთ აღარ ვრაცხ.

მინდოდა მომეწერა, თუ ან შენ ან საზოგადოთ ჩვენმა ქალებმა რა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, მაგრამ რადგან ეხლა დრო არა მაქვს და ეს საქმე ცოტათი შორს წამიყვანს, შემდეგისთვის იყოს. საზოგადოთ კი უნდა ვსთქვა, რომ მაგ ჩვენ ქალებზე მე ისეთის მსუბუქის აზრის აღარა ვარ, როგორც ადრე ვიყავი; ერთი სიტყვით, ჩემი აზრი საუკეთესოთ შეიცვალა.

ხვალ ან ზეგ ვერსალში წავალ და, სხვათა შორის, ჩემ შთაბეჭდილებას დაწვრილებით აგიწერ. ამ დღეებში „დროებისთვის“ კორესპონდენციების წერას დავიწყებ და ვეცდები, რომ ყოველ კვირას ვაგზავნო უთუოთ. ერთი სიტ-

უვით, ეხლა მოვკიდებ ბეჯითად ხელს ჩემს საქმეს და რაც შემეძლება, ვეცდები, რომ ეს წელიწადი რიგიანათ და სარგებლიანად გავატარო. თუ შენც მანდ კარგათ იქნები და კარგათ, გულს-მოდგინეთ სწავლის იმედს მომცემ, ჯერ-ჯერობით ჩემთვის სანატრელი და სანუგეშო მეტი არაფერი არ არის საჭირო. რადგანაც ეხლა რამდენიმე ფრანკი მაქვს ჯიბეში, იქნება ორიოდე შენთვის საჭირო ან ისე საკითხავი ფრანცუზული წიგნი ვიყიდო და გამოგიგზავნო. ჩემი ფულები თუ მოვიდეს მანდ, შენი ჭირიმე, მალე მომაწოდე. ჩვენ ქალებს ყველას თავი დაუკარი ჩემ მაგიერ; სპიჩკები თუ შემოელიათ, შემატყობინონ... ათასს დაგკოცნი.

შენი სერგეი.

გვერდზე მინაწერი:

ამ წიგნს გიგზავნი, მაგრამ ძალიან კი მეშინია: ვაი თუ გამიწყრე და ფეჩები დააბაკუნო, რომ ასე უხეირო და მოკლე წიგნია. მაგრამ ეხლა მაპატიე და შერე მე ვიცი.

პარიჟი, 21 დეკემბ. 1873
Boulevard st Michel, 32

4 ჩემო კეკე!

დღეს დილით შენი და ივანეს წიგნი მივიღე. ორივე უფულობას იწერებით და ამის გამო, ამბობთ, იქნება ვერ მოვიდეთო. ამას წინათ გწერდი, რომ ნიკოლაძისაგან აქ ტელეგრამმა მოვიდა, რომელშიაც გვატყობინებდა, რომ იზმაილოვის[5] სახელობით 200 მანეთი გამოუგზავნია. 100 ჩემთვის და 100 ჯაფარიძისთვის (არ ვიცი, ჯაფარიძის[6] ფულებს ის საიდამ გზავნის — იქნება ზარაფოვმა[7] გამოუგზავნა). ამ ფულებს ხვალ დილით ავიღებ; მაგრამ 670 ფრანკის მაგივრად, მარტო 637 ფრანკია. რაც უნდა იყოს ამ ფულებიდამ მე 300 ფრანკი მაინც მერგება და შენ გამოგიგზავნი ხვალვე ასს ფრანკს გზის ფულად, აქ ჩამოსასვლელად ამ დღესასწაულებში. აქ დიდი ამბები იქნება და ძალიან მინდა, რომ შენც აქ მყავდე და ერთად გავატაროთ დრო. შენ იწერები, რომ 150 ფრანკი მაინც დაგჭირდება. დაჭირებით, იქნება მეტიც გჭირდება, მაგრამ მეტის გამოგზავნა მე არასგზით არ შემიძლია, რადგან ისეთი კაცების ვალები მაქვს, რომ უთუოთ ეხლავე უნდა გადაუხადო. როგორ მოხერხდება, რომ მე მივსწერო ჯაფარიძეს[6], რომ მე მელიქოვის ქალს ფულები უშოვნე მეთქი. რას იტყვის? განა თვითონ არ შეეძლო პირდაპირ ეთქვაო? მართლაც, კეკე, ისე ეჭვობინება, რომ შენ სთხოვო ჯაფარიძეს[6] და ის გიშოვნის, ან ჯანდიერს[8] სთხოვე, იმასაც აქვს ფულები. დროებით, ერთი თვით ვთქვათ, გამოართვი და მანამ შენც მოგივა. ძალიან ცუდი გიქნია, რომ შენი შუბა ციურიხში გაგიგზავნია. მიკვირს, ციურიხში რომ არ გაგეგზავნა, თუ დაგირავება გინდოდა, მანდ ვერ დააგრავებდი. მართალია, ივანეს გამოდგომია, რადგან იმ ფულებს ლექციების სმენის სახსარი მიუცია იმისთვის, მაგრამ ეხლა რომ შენ უშუბოთ წამოსვლა და მგზავრობა ძალიან გაგიჭირდება. შენი ჭირიმე, კეკე, თუ მანდ ფულები იშოვნო, უთოუოთ იმწამსვე გაუგზავნე ივანეს რომ გამოგიხსნას და გამოგიზავნოს, თორემ გზაზე სიცივე იქნება. ივანესთვისაც ძალიან მინდოდა, რომ გაეგზავნა ფულები, მაგრამ მგონია, ვერ მოვახერხო. მივსწერ კი წიგნს, ჯერ ფულები მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღო და მერე ვნახოთ. ცოტაოდენი მეც უნდა დავიტოვო, თორემ ამ უქმად თუ შენც აქ იქნები, არც სულ უფულოდ გაძლება შეგვიძლია.

ისე არ წამოხვიდე მანდედამ, რომ ვექილობა არ დაუტოვო ჯაფარიძეს[6] ან სხვა ვისმეს, რომ ვინიცობაა შენი ფულები მოვიდეს პირდაპირ აქ გამოგზავნოს ჩემ სახელობაზე; ან ფოჩტაში დასტოვე შენი სახელი და გვარი და ჩემი ადრესი და სთხოვე, თუ შეიძლება, აქ გამოგიგზავნონ. ერთი სიტყვით, ფოჩტაში იკითხე და იქ გეტყვიან, როგორ უნდა მოიქცე.

ესრე, ჩემო კეკე; ეხლა მეტს არასა გწერ. რადგან მალე გნახავ და ყველაფერზე მაშინ მოვილაპარაკებთ უფრო დაწვრილებით. ბეთანიშვილის[7] წიგნი გაგზავნე „დროების“ რედაქციაში.

სამუდამოთ შენი სერგეი მესხი.

პარიჟი, 8 იანვარს 1874
Boulevard st Michel, 32

5 კეკე ჩემო!

ეს წიგნი ანგარიშში ჩასაგდები არ არის, ამიტომ მომიტევე, თუ მოკლე იქნეს. ჩემი უკანასკნელი ორი წერილის პასუხი რომ მომივა შენგან (ხვალ ან ზეგ), მაშინ უფრო დიდ წერილს მოგწერ. ამას კი მარტო იმიტომ გწერ, რომ არ მინდა ცარიელი შენი პროექტი მოგივიდეს კონვერტში გახვეული.

ვაი, შენ ჩემო თავო! განა იქამდი მივიდა საქმე, რომ ქალალდიც აღარა გაქვს, რომ მე წერილი მომწერო! ნუ თუ სრულიად გაკოტრდი? განა მასაჭეთ, რაც აქ იყავი, სრულიად არ მოგსვლია შინიდამ ფული? მართლა, ნიკოლაძისაგან მოელი, რომ ჩამოგიტანს. შენ იწერები, რომ მანდ მოვიდა ამბავი, რომ ერთ თვეზე ჩამოვაო; აქ კი ზედერს დეპეშა მოსვლია რომ ორ კვირაში უთუოთ პარიჟში ვიქნებიო! მიკვირს. ორ კვირაში მანდ ვიქნებიო. რომ მოეწერა და ერთ თვეზე პარიჟში, მაშინ კი გასაგები იქნებოდა...

აქ ჩამოსვლა იმიტომ მოგწერე, ჩემო კეკე, რომ შენც და ივანემაც, უეჭველია, კარგათ უნდა გაიცნოთ როდესმე პარიჟი, და მე მინდა, რომ სანამ მეც აქა ვარ, მანამ მოხვიდეთ, რადგან ამ გაცნობაში მე ცოტათი მაინც დაგეხმარებით იმის გარდა, რომ თქვენი აქ ყოფნა ჩემთვის სასიამოვნო იქნება. ნუ ამბობ, რომ სწავლას დამიშლის მანდ ჩამოსვლაო. მე და ივანე რომ ჩამოვალთ, უეჭველია შენი სწავლა ცოტათი მაშინაც შეჩერდება. ათასი რომ მითხრა, რომ შენს აქ ყოფნაში მე ვისწავლიო, დაგიმტკიცებო, რომ შენთან მე სწავლა შემიძლიაო, ეს სულ ტყვილი იქნება, ჩემო კარგო! ჯერ-ჯერობით, როცა ჩვენ მხოლოთ რამდენიმე დღის და კვირის განმავლობაში ვხედავთ ერთმანეთს. შეუძლებელია, რომ ჩვენ ერთმანეთის ჩვეულებრივ ცხოვრება არ შევცვალოთ. როცა სამუდამოთ ერთად ვიცხოვრებთ, ერთად დავდგებით, მაშინ სულ სხვა იქნება. თორემ ეხლა ორი დღით ვიქნებით ერთად და როგორ შეიძლება, რომ ამ ორ დღეს მე და შენ, ერთმანეთის ცქერის, სიყვარულის და დატკბობის მაგიერ, ორივემ წიგნში ჩავრგოთ ცხვირი და ვისწავლოთ! განა ეს საფიქრებელია! მაგრამ ჩვენი ერთად ყოფნა დარწმუნებული იყავი, ჩემო კეკე, ორივესთვის სასარგებლო ცხოველის მხრით: ყბედობაში, ლაპარაკში და ბაასში ჩვენ იმის გარდა რომ ერთ-

მანეთს უფრო დაახლოებით ვცნობილობთ, ისეთს საგნებზე ჩამოვაგდებთ ხელს ლაპარაკს, რომლის განსჯა ორივესთვის სასარგებლოა. ამას გარდა, ივანეს აქ ჩამოსვლას იმიტომ ვნატრულობ კიდევ, რომ მინდა აქაურ ექიმებს დაეკითხოს კარგათ თავის ავათმყოფობაზე და თუ დიდხანს დარჩება, ცოტათი ფრანცუზულ ენაშიც გაეწაფება.

„დროების“ პირველი ნომერი ჩვენ აქ ჯერ კიდევ არ მოგვსვლია. ეხლა იქ იანვარი თავდება თითქმის და ასე დაუგვიანებიათ! გიგზავნი იმ ნომერს „რაპპელისას“[10], სადაც ლოკკრუას სიტყვა არის[10]. მართლა, კეკე, №№ თუ არ დაგიკარგავს, რაშფორის[11] რომანი გარდაიკითხე, კარგი რამ არის. გიორგისაგან[12] წერილი არ მომსვლია, გაუხმეს მაგას გოგრა! მომწერე დაწვრილებით მანდაური ხმდომების და მოლაპარაკების ანგარიში „უღელის“[13] შესახებ. მშვიდობით ნახვამდი. თფილისიდამ არავის ამბავი არა მაქვს...

უანგარიშოთ დაგიკოცნი თვალებს და ტუჩებს.

შენი სერგეი მესხი.

პარიჟი, 15 იანვარს, 1874

6 კეკე ჩემო!

გიგზავნი ამ ბეთანოვის[9] წიგნს, რომელიც დაგრჩა; წაიკითხეთ და მერე ისევ ივანეს გაუგზავნეთ.

როგორი გზავრობა გქონდა? ხომ არაფერი უბედურება ან სხვა რამე უსიამოვნება შეგმთხვევია გზაში? ხვალ შენ წიგნს მოველი, რომელშიაც ამ შენ გზავრობას, დაპირებისა თანავე, დაწვრილებით ამიწერ.

შენი წასვლის შემდეგ თითქო რაღაც მაკლია, თითქო მთელს ქვეყანაში სრულიად მარტო ვარ, ასე მგონია, და ჯერ-ჯერობით ვერაფრისთვის გულით ხელი ვერ მომიკიდნია. მხოლოდ ერთი პატარა (უხეირო) კორრესპონდენციას ვაგზავნი დღეს.

გენაცვალე კეკე, თუ მოახერხო როგორმე ან თუ შენ მოგივიდეს ფულები, ცოტა მაინც გამომიგზავნე დროებით, თორემ საქმე ცუდათ არის. დღეს მიქელაძესაც[14] ვსწერ წიგნს და ვთხოვ, სხვათა შორის, რომ რადგან ეხლა იქ ახალი წელიწადია და ფულები ბლომათ შემოვა რედაქციაში, ცოტაოდენი გამომიგზავნოს და სტეფანესაც გაახსენოს და კოტეს საქმეც გაარიგოს. საქმე კარგათ წავა, შენ ნუ იდარდებ, კარგათ იყავი, ჩემი ჯავრი ნუ გაქვს...

ათასს დაგკოცნი თვალებში და ტუჩებში.

შენი სერ. მესხი.

პარიჟი, 2 მარტს 1874

Boulevard st Michel, 32

7 ჩემო კარგო!

ჩვენი მდგომარეობა სწორეთ კომიკურია: მე წერილის მოწერა დავაგვიანე, და შენი შემეშინდა, ვაი თუ მიწყრება, მეთქი, და დავეშურე ბოდიშის მოწერა...

შენც შენი მხრით სწორეთ ას ემოიქეცი და ბოდიშსა მთხოვ. მაშ ქვიბარსწერ: შენ გამიწყრები და მეც, ჩემის მხრით, იმდენი სულგრძელობა გამომიჩენია, რომ მიპატიებია შენი შეცოდება.

გუშინწინ პირველი ტომი გამოგიგზავნე ვიქტორ ჰიუგოს რომანისა, რომელიც ეხლა უეჭველია არა თუ მიღებული, წაკითხულიც გექნება. ეხლა ორ წიგნს გიგზავნი: **Quatre vingt treize-ის** მეორე ტომს და ამის გარდა კარნას —**რევოლუციის ისტორიას**. როგორც წინათ გწერდი, წაიკითხოთ თუ არა ვიქტორ ჰიუგოს რომანი, იმწამსვე გამომიგზავნე უკან, იზმაილოვს უნდა. მესამე ტომს ხვალ ან ზეგ გამოგიზავნი. ეს ორი ტომი გავათავე, შევადგინე ქართულად. მართალია, კეკე, ისეთ საგანს ეხება ეს რომანი, რომ ჩვენი მკითხველები კარგათ ვერ გაიგებენ, მაგრამ რასაც გაიგებენ, ჩემის აზრით, ისიც საკმაო იქნება ამხანად იმათთვის. მე სრულად ხომ არ ვთარგმნი. მხოლოდ რამდენიმე თავი გადავთარგმნე სიტყვა-სიტყვით, დანარჩენი რომანის შინაარსი ჩემი სიტყვით გადმოვიღე. ასე რომ მკითხველი ამის წაკითხვის შემდეგ კარგათ გაიგებს რომანის სიმშვენიერეს და ავტორის ნიჭს გაიცნობს. რომ დაიბეჭდება და წაიკითხავ, იმედი მაქვს, მაშინ დამეთანხმები, რომ ამგვარი სკელეტი რომანისა სასარგებლო იქნება ჩვენი მკითხველებისათვის[15]. მანამ მოთმინება იქონიე.

ეს პატარა ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლუციისა შვენიერი რამ ეარის. ის შედგენილია იმ კარნას შვილისაგან, რომელიც ისეთ დიდ როლს თამა[შობდა] რევოლუციის შემდგომ ახლო ხანებში (დირექტორიის ერთი წევრთაგან იყო). ამაზე უკეთესი მოკლე ისტორია რევოლუციისა მე არ ვიცი და მგონი, არც კი მოიძებნებოდეს საფრანგეთის ლიტერატურაში. ავტორს თითქმის ყველა საგნებზე ძლიერ სწორი, მიუდგომელი და ნათელი შეხედულება აქვს, წიგნით მოკლეთ არის დაწერილი და რევოლუციის პირები და იმათი მოქმედება ძალიან კარგათ არის გამოსახული. ამასთან მშვენიერი, გამტაცებელი ენა, ზოგან მჭევრმეტყველურიც. ერთის სიტყვით, ეს წიგნი ისე მიგიზიდავს, რომ, რომ დაიწყებ, დარწმუნებული ვარ გაუთავებლად არ დააგდებ. წაიკითხე და ნახამ, რომ არ ვტყუვი. რომ ჩამოვალ ლუი-ბლანის[16] რევოლუციის ისტორიას ჩამოვიტან თან და მაშინ ეს ვიკითხოთ ერთად. შენი ჭირიმე კეკე, ეს წიგნები არ დამიკარგო. გამოგზავნა საჭირო არ არის, მანდედამ რომ დავბრუნდები ნაღდად[ვიშებს], მაშინ წამოვიღებ, მანამდე ჩემ შრომას (რევოლუციის ისტორიის დაწერას) მაინც არ შე[ვ]უდგები.

შე დალოცვილო! მუდამ მარტო იმას მეუბნები, ჩემი სტატიების თაობაზე, რომ ენა მშვენიერი, ტკბილი გაქვსო! შევიტყვე ეს. რასაკვირველია, სასიამოვნოა, თუ ვისმეს, ნამეტურ ეხლა ჩვენში, როდესაც ყველას თავის ენა აქვს, თუ ვისმეს კარგი სწორი ენა აქვს, მაგრამ ხომ იცი, რომ მწერლისთვის კარგი ენა კიდევ პირველ და აუცილებელ ღირსებას და საკუთრებას არ შეადგენს. პირველი საქმე ის არის, თუ როგორ სწერს ავტორი, მოსაწონია თუ არა იმის წერის მანერა, კილო, იმის აზრები, რამე მნიშვნელობა და გავლენა ექნება მკითხველებზე იმის ნაწერებს თუ არა? აი, ამას გკითხავ და ამის მოწერას გეხვეწები მე, როდესაც ჩემ ნაწერებზე შენ აზრს ვთხოულობ. ენის მეტი განა არაფერია შენთვის ყურადღების ღირსი ჩემ სტატიებში?

შენი აზრი იმის თაობაზე, რომ ჟენევის თავის მოყრა უფრო წაგვკიდებს და წაგვჩხუბებს ერთმანეთში, შემცდარია, ჩემო კეკე, სულ თუ არა, სანახევროთ მაინცა. ახირებულია, მართლა თუ ასე იქნა ჩვენი საქმე: წავეჩხუბებით ერთმანეთს და ამიტომ არასოდეს არ უნდა მიველაროთ? თუ მუდამ განშორე-

ბული ვიქნებით ერთმანეთზე, რომელი საერთო საქმის დაწყება დაგვიწყია მოკიდება შეგვეძლება? ვაი ჩვენი ბრალი მართლა. იმის მაგივრად რომ ერთმანეთის დასაახლოებლად და კარგათ გასაცნობათ შევიყვაროთ და მოვილაპარაკოთ, ჩვენ გვეშინია ერთმანეთის დანახვა, ვფიქრობთ: ვაი, თუ უფრო გაცხარებული უთანხმოება მოხდეს ჩვენშიო. შეიძლება, ჩემო კეკე, მართლა, რომ რაიმე უთანხმოება და განაწილება მოხდეს. მაგრამ თუ როდესმე მოსახდენია ეს განაწილება, ისევ ეხლა მოხდეს, ის გვირჩევნია ღმერთმანი. მაინც გვეცოდინება, ვისთან გვაქვს საქმე, ვისი დახმარების იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ მომავალ ბრძოლაში, ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ მეგობარი. მე რომ ჩამოვალ, პირველი ჩემი სიტყვა და ყველა მოქმედება იმაში იქნება, რომ ეს უთანხმოება ჩვენ შორის როგორმე ავიცილოთ, რომ ყველაში მეგობრობა, თანხმობა და ერთი საქმის სამსახურის სურვილი ჩამოვაგდო. ვეცდები რაც შემიძლია, რომ პარტიობა მოისპოს და თუ არაფერი გაგვეწყობა, მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამ[17].

ფულები მოგვივიდა, შე მაიმუნო, თეატრებში დაიარებოდი და მე, რასაკვირველია, აღარ გაგახსენდებოდი. არ გახსოვს რა მოგწერე, როდესაც უკანასკნელი 20 ფრანკი გამოგიგზავნე? აღარ მრჩება და რომ მოგვივიდეს, რამდენიც შეიძლო, გამომიგზავნე, მეთქი. კარგი, მაცალე, მაგიერს მეც გადაგიხდი! რომ კვდებოდე შემდეგში, ერთ სანტიმს ნუ მოელი ჩემგან!.. მართლა არ მიიღო, გენაცვალე კეკე, ჩემი სიტყვები. ვიცი, რომ თუ მომეტებული გექნება და მე ძეჭირვება, შენ სულსაც არ დამიჭერ, განა, ჩემო ანგელოზო? მაგრამ რადგან შენ გჭირია, ეხლა ნუ გამომიგზავნი. რადგან გაცხარებულ შრომაში ვარ, სახლი და სადილები შინა მაქვს, ამის გამო გარეთ არ გავდივარ და ფულებს არ ვხარჯავ. ხუთიოდე ფრანკამდი კიდევ მაქვს ჯიბეში და ეს ამ ერთ კვირას კიდევ მეყოფა თამბაქოს ფულად; მერე ღმერთი მოწყალეა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ბესარიონს[18] ამდენი ხანი იმის წერილის პასუხი ვერ მოვსწერე. ხვალე ვერა (ხვალ ვიქტორ ჰიუგოს რომანის მესამე ტომი უნდა გადმოვიღო და კორრესპონდენცია უნდა დავწერო და დრო არ მექნება) და ზეგ კი უთუოთ მოვწერ წიგნს. თხოვე ჩემ მაგიერ, იმდენი სულგრძელობა იხმაროს, ნუ დამემდურება.

არც თფილისიდამ, არც შინიდამ არაფერი ამბავი! ღმერთო, რა ამბავია არ იცი. რა ღმერთი გაუწყრათ, ყველანი ხომ არ დაიხოცნენ! რატომ არაფერსა მწერ, შინიდამ რა ამბავი მოგვივიდა შენ? ფულებთან განა წერილი არ მოგსვლია? სტეფანეს[19] წიგნი თუ მოგვივიდეს, წამაკითხე, გენაცვალე. ჭორების მოწერა იცის და ხანდისხან საინტერესოა...

სააღდგომოთ ნაციონალური კრება ერთი თვით დაკეტილი იქნება, მგონია; ამაზე ეხლა მოლაპარაკება იქნება, ძალიან კი მიამება, მეც თავისუფალი ვიქნები და ამ თვეს სულ თუ არა, ნახევარს მაინც მანდ შენთან გავატარებ. კონგრესზე თქვენ ვინ გკითხავს თქვენ აზრს? განა ეს თქვენზე ჰკიდია? მე მგონია, უფრო იმათზედ ჰკიდია, ვინც ჟენევის გარეთ ცხოვრობენ და მანდ უნდა შეიყაროს თავი და არა თქვენზე.

ინგლისური ენის დაწყება მომილოცამს! მაგრამ ჩემ რჩევას ნუ დაივიწყებ: ცა და ქვეყანას ნუ მოედები, ოთხ კურდღელს ერთად ნუ გამოეკიდები, თორემ ვერც ერთს ვერ დაიჭერ. მაგრამ ეს შენი ფეხების სიმარჯვეზე ჰკიდია. შენ უკეთ იცი შენი ღონე და შეძლება. ღმერთმა ჰქნას, რომ ყველა შენი განზრახვა ისე შეგესრულებინოს, როგორც შენ გინდა; ეს ჩემთვის, შენზე ნაკლებად, სასიამოვნო არ იქნება, ხომ იცი, ჩემო კარგო.

მშვიდობით, ჩემო ნუგეშო, ნახვამდი. სწორეთ ერთი თვე დაგვრჩა ჯიდან და მერე ვეღირსები ჩემი საყვარელი კეკეს გარდახვევას და ტუჩებისა და ლამაზი თვალების ამოკოცნას...

შენი მუდამ სერგეი.

პარიჟი, 12 მარტს 1874
Boulevard st Michel, 32

8 კეკე ჩემო!

გაგიძვირე წიგნები, მაგრამ არა უშავს რა: მალე მნახავ და რაც დანაშაული მაქვს შენთან, ყველას ერთად გადამახდევინებ.

შენი ჭირიმე, კეკე, როდესაც მოახერხო სხვა და სხვა უცხო პირების მინდობილებისაგან განმათავისუფლე. მართალი გითხრა, არაფერი არ მეზარება ისე, როგორც ამ ათასნაირი მინდობილებების ასრულება. გუშინწინ იმ ოხერი ბაქრაძისაგან წიგნი მომივიდა და ვინ იცის, რას არა მთხოვს: აქ ჩემ პარტნიორთან წადი, ჩემ ფრაკს საყელო გაუცვთა და მაუდი გამოართვიო, აქ ფოტოგრაფთან ჩემი პორტრეთი არის და გამომიგზავნეო, იქ ვიღაც ოხერი სანონე არის, იმის ბოდიში მომთხოვე, რომ ამდენი ხანი ვალი ვერ გარდუხადეო და სხვა და სხვა. ასე გგონია, იმის ყმა ვიყო, ან ამხანაგი და მეგობარი. გიჟია ოხერი!... ყველა ამას შენთვის გწერ, რომ შემდეგში განმათავისუფლო, თუ შემთხვევა გექნეს, ამგვარ მინდობილებისაგან, თორემ ოზეროვს კი გარდაეცი **извинение, что, не тотчас же выполнил его поручение и благодарность, что доставил мне возможность оказать ему хоть маленькую любезность.**

ეს არის ეხლა ვგზავნი რკინის გზით ოზეროვის პალტოს, რომელიც 9 Фр. და 75 სანტ. ღირს, 25 სანტიმიც გამოსახვევად მივეცი. გზის ფული მანდ უნდა მისცეს. მგონი ამ წიგნთან ერთად მოვიდეს მანდ **grande vitsse** -ით გამოვგზავნე. თუ მანდაც ისეთი თოვლი და სიცივეებია, როგორც აქ, სწორეთ კარგათ გამოადგება. კუდიანივით იწინასწარმეტყველა სანკლერ-დევილმა: ამ ორი კვირის წინათ გამოაცხადა, რომ მარტის ცხრიდამ ცამეტამდი სიცივეები, თოვლი და ავდარი იქნებაო. მართლაც 9-ს რომ გავიხედე გარეთ, დილით, მიწა გარდათეთრებული იყო თოვლით და ბიჭები და გოგოები შიგ კოტრიალობდნენ. დღეს რომ თორმეტია ეს თვე, გამოდარება დაიწყო და უეჭველია, ხვალ კარგი დღე იქნება. მოდი ამის შემდეგ და მეცნიერებს ნუ დაუჯერებ!?

გერასიმე კალანდარაშვილის[20] სიკვდილი სწორეთ რომ მეტად დასაკლისია. იმისთანა ერთგული ჩვენი ქვეყნის საქმისა, იმისთანა თავგამომეტებული ყოველი კეთილშობილური დაწყებისა და პატიოსანი ჩვენში ეხლა ძნელად მოიპოებოდა. უბედურება არ არის, რომ ახალგაზდა, პატიოსანი და მშრომელი კაცები გვეხოცება და ჩაღჩუებული ბებრები, ქვეყნის მოღალატენი, მუქთამჭამელნი ოხრები ცოცხალი რჩებიან?!...

ხუთმეტი ფრანკის გამოგზავნისათვის გმადლობ, სწორეთ სულზე მომისწრო, რომ იტყვიან, ის იყო. ამ თვის დამლევამდი თუ სადმე უკანასკნელი 300 ფრანკი მაინც არ ვიშოვნე, ჩემი საქმე ცუდათ იქნება. ჩემ სახლის პატრონს წავეკიდე და ჩემი **congé** გამოუცხადე. ფულები თუ ვიშოვნე ამ თვის დამლევამდი, იმის ვალი (ორას ფრანკზე მეტი) უნდა გავისტუმრო, ცოტა რამ ტანისამოსი უნდა ვიყიდო და მანდეთ უნდა წამოვიდე ორი კვირის ვადით. რომ დავბრუნდები, მერე სხვა სახლს დავიჭერ. ფული თუ არსად გამიჩნდა მანამდი, საქმე

კუდათ იქნება და მგონია, არც ჟენევაში მოსვლა მომიხდეს. მაგრამ ძალიან იმედი მაქვს, რომ ნიკოლაძე თუ ჩამოვიდა, ჩამომიტანს. მე მგონია, რომ ის ასი მანეთი, რომელიც ამას წინათ მომივიდა, იმისაგან გამოგზავნილი კი არა, ზარაფოვისაგან იყო, რადგან იმ ას მანეთთან ბესარიონისაც იყო. მაშასადამე, სხვა არა იყოს რა, ჩემი მოვალე იქნება და უნდა გადამიხადოს. ზარაფოვისაგან კი იმედი არა მაქვს, რომ იმდროისთვის მომივიდეს.

თუ ჟენევაში კრება გვექნება, ნუ გეშინიანთ, იმდენ თავისუფალ დროს კიდევ იშოვნით, რომ ამ კრებებზე იაროთ. ნუთუ ასე გაცხარებულ სწავლაში ხართ, რომ საღამობითაც თავისუფალ რამდენიმე საათს ვერ მონახავთ? არა გგონია! კეკე ჩემო, იმედი ნუ გაქვს, რომ მე შენ გვერდით დავდგე. ეს გარდაწყვეტილი საქმეა, რომ მე იმავე ოტელში ჩამოვხტები, რომელშიაც ამას წინათ ვიყავი. უფრო მოხერხებულია, უფრო მეტი თავისუფლებაა და უფრო მოშორებული ვიქნები სხვა და სხვა განსაცდელისაგან... ხომ ნახე, რომ მუდამ, ვანუშორებლივ ერთად ყოფნა ორთავეს გვწყენს და გვნებს. გ. წერეთელს ზნეობის მაგალითი უჩვენოთ...

ხომ გითხარი, რომ ვიქტორ ჰიუგოს[15] რომანი აღტაცებაში მოგიყვანს, მეთქი? მადლობა ღმერთს, ჩემი სიტყვა შესრულდა. პირველი ტომი თუ ჯერ არ გამოგიგზავნია, სანამ ჩემი მეორე წერილი არ მოგივიდეს, მოიცადე, ნუ გამოგზავნი. იზმაილოვს[5] ვნახავ და ვკითხავ: თარგმნის თუ არა სომხურად. თუ არ თარგმნის, ჩემ მანდ ჩამოსვლამდი ,ისევ მანდ იყოს; ტყუილა სამ ფრანკს ნუ დაზარჯავ გამოგზავნაში.

რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნოა, რომ მანდ უნივერსიტეტი გაუხსნიათ და მედიკური განყოფილება მოუმატებიათ. ნუ თუ შენ გადაწყვეტილი გაქვს, კეკე, რომ მედიცინა არ უნდა ისწავლო? თუ ჯანმრთელობა და დრო ნებას მოგცემს—რატომ საფუძვლიანად არ ისწავლი ამ საგანს? ჩემის აზრით, შენ სრულებით იმას არ უნდა ათხოვო ყურადღება, რომ ეხლა მმართებლობისაგან გზა შეკრული აქვს ყველა სამზღვარ გარეთ ნასწავლ ქალებს. რაც უნდა იყოს, აუცილებლად საჭიროა, რომ რაიმე დიპლომი მაინც გქონდეს. რასაკვირველია, დიპლომი სისულელეა, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელიც ამ სისულელეს ყურადღებას აქცევს, საჭიროა, უნდა დასამტკიცებელი რამე გქონდეს ხელში; უნდა თვალით უჩვენო, რომ ჩვენი ქალები ტყუილა არ მიდიან სამზღვარ გარეთ. აი, მხოლოთ ამისთვის და არა სხვისთვის. მაგრამ ამაზე შემდეგ, როცა გნახავ, უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ და ერთად გადავწყვეტთ. ეხლა კი ნახვამდის, ჩემო ანგელოზო. უანგარიშოთ დაგკოცნი, კარგო.

შენი სერგეი.

[1874 წ. მარტის მეორე ნახევარი]

9. [თავნაკლული]

გიორგის წინადადება გაყინაო, განა? ეგ არის! წინათვე ვიცოდი იმის საქმეს ამისთანა დასასრული ექნებოდა. უბედურება ის იქნება, თუ ამ ახალი პროექტების სიკვდილთან, ჩვენი „უღელის“ ძველ განსაზღვრულ გზასაც რამე ზიანი დაემართა, თუ „უღელი“ თავის ძველ კალაპოტში ვერ ჩადგა[17]. ეს მარტო გიორგის უთავბოლობის ბრალი იქნება. ივანე საუბედუროთ, არაფერს არ მწერს თავის უკანასკნელ წერილში, თუ როგორ მიდის „უღელის“ სხდომები, ან რას

აკეთებენ იმის წევრები ამ სხდომებზე. ვთხოვე კია რომ შემატყობინოს, მაგრამ ეხლა წერა არ შეუძლია (ექიმს დაუშლია) და აბა რას შემატყობინებს? შენ თუ რამ იცი, მომწერე, ნუ დაიზარებ.

ძალიან კარგი აზრი მოგსვლია, კარგო, რომ ლექციების წერილებს ადგენ; მაგრამ მაგ წერილები მაშინ უფრო მომეტებულ სარგებლობას მოგიტანენ, თუ ფრანცუზულ ენაზე ადგენ. ამისით, საგანი მართალია გეცოდინება, მაგრამ ეგზამენის დროს შენი აზრის გამოთქმა, პასუხის გება პროფესორისთვის, ფრანცუზულ ენაზე მაინც გაგიჭირდება, ნუ სჩივი, ნუ სწუხარ, გენაცვალე, რომ ბევრი საშრომი გაქვს. ხომ იცი, რომ უშრომელად არაფერი არ გაკეთდება. შენ განსაკუთრებით (როგორც სხვა ჩვენ ახალგაზდა ქალებსა და ვაჟებსაც) ახალგაზდობა თითქმის უთავბოლო, გამოუდეგარ სწავლისათვის მოგინდომებიათ და ეხლა უნდა ეცადოთ, რომ დაკარგული დრო როგორმე მოიგოთ. ამას, რასაკვირველია, შრომა, ჯაფა უნდა და ამ შრომას არ უნდა შეუშინდე. ეხლა, თუ შეუშინდი შრომას, როდესაც ახალგაზდა ხარ, როდესაც ენერგია ბლომათ უნდა გქონდეს, მერე, როდესაც წლოვანებაში შეხვალ, რაღა დაგემართება. აქედამვე უნდა შეეჩვიო ბევრ შრომას, ჩემო კარგო, თორემ ცხოვრებაში რომ ფეხს შედგამ, ჩვენში რომ დაბრუნდები, ხომ იცი რამდენი საქმე გექნება, რამდენი შრომა დაგჭირდება! იმ მომავალი შენი ცხოვრების და შრომის გაადვილებისათვის, მომავალი შენი განზრახვების და მიზნის აღსასრულებლათ. ეხლა უნდა იშრომო, ბევრი უნდა იშრომო. ყველა ესენი, ჩემო კარგო, შენც ხომ ძალიან კარგათ გესმის და ამაზე ჩემი ლაპარაკი, იმედია შენთვის საჭიროც არ არის.

ბარაქალა ჩაჩა! არ შეგვარცხვინო, თორემ იცოდე, თავში ჩაგიჩაჩანებ, თქო, ასე უთხარი სარაჯოვს[21] ჩემ მაგიერ. იხეთი სიტყვა სთქვას, როგორც ივერიას ეკადრება, როგორც წვალებულ და ტანჯულ ხალხს და იმის მგრძნობიარე შვილის გულს ეკადრება!

ჩამოდიო, მწერ. მაიმუნო, ხომ იცი, რომ სულითა და გულით შენთან ვარ, მაგრამ ეს ოხერი სხეული ვერ პოულობს საშვალებას, რომ ადგილიდამ დაინძრეს! პირველი დაბრკოლება ის არის, როგორც მოგეხსენება, რომ ჩვენი ფინანსები ძალიან სუსტ მდგომარეობაშია, და ამ მოკლე ხანში თუ საიდამვე ფულები არ გამიჩნდა, სწორეთ ცუდათაა საქმე. კიდეც რომ მომივიდეს, ამოსვლას ვაიწც გარდაწყვეტით ვერ დაგპირდები, რადგან ვალები მაწუხებს და ყველა ამ ვალებში გამივა, მაგრამ ამაზე შემდგომისთვის იყოს... ეხლა ათასს დაგკოცნი ტუჩებში და თვალებში და გამოგეთხოვები.

შენი სერ. მესხი.

პარიჟი ,19 მარტს 1874
Boulevard st Michel, 3

10. ჩემო კარგო!

წინანდელი წერილის მოწერის დროს თუ ცუდ გუნებაზე ვიყავი, იცოდე, რომ ეხლა უფრო ცუდ გუნებაზედა ვარ; და ამიტომ დღეს ჩემგან ნურც დიდსა და ნურც მხიარულ წიგნს ნუ მოელი.

გუშინ წინ ზედი-ზედ ორი ერთმანეთის უარესი წიგნი მომივიდა, ერთი შინიდამ და მეორეც თფილისიდამ. შინიდამ მწერენ, რომ ჩემი უფროსი ძმა ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავათ არისო. წიგნის კილოდამ ჩნდა, რომ ის ამ ავათმყოფობას ვერ გადატანდა. ბოდა და, ვინ იცის, ეხლა იქნება ცოცხალიც აღარ იყოს საწყალი!... მაგრამ კიდევ უფრო საწყალი იმის ახალგაზდა ცოლი და სამი შვილი, რომელნიც თითქმის უპატრონოდ დარჩებიან.—თფილისიდამ მიქელაძე მწერს, რომ ზარაფოვმა შენ ძმას, კოტეს[22] ფულები ვერ მისცაო და არ ვიცით, რა ვქნათო.

ადვილად შეგიძლია წარმოიდგინო, თუ ამ ორ საძაგელ ამბავს როგორ უნდა დავეფიქრებინე. ის ჩემი ძმა რომ მოკვდეს, იმის ცოლ-შვილი ჩვენს უიმისოთაც ღარიბ ოჯახს დააწვება. კოტეს სწავლის გაგრძელების საშუალება ესპობა, ჯერ-ჯერობით მაინცა. სასიამოვნო არც ერთი არ არის. რას იქ კაცი ამისთანა საძაგელ მდგომარეობაში!... ჯერ-ჯერობით იმის მეტი ვერაფერი ვერ მოვახერხე, რომ სტეფანეს (შენ ძმას) წიგნი მივწერე გუშინ და ვთხოვე, რომ რამე რიგათ ეშოვნა 120 მანეთი და კოტესთვის მიეცა გზის ფასად. ძალიან ვთხოვე და თუ ამისრულა, სწორეთ კარგ მეგობრობას მიზამს და ვეცდები სამაგიერო ოდესმე გადაუხადო. შინიდამ დღიდამ-დღეზე მოველი ცუდ ამბავს; მაგრამ ამას რა ეშველება, რაც მოხდება, მოხდება. ამის თაობაზე გუშინ ივანეს[23] დიდი წიგნი მივსწერე და აუხსენი. თუ რა მოვალეობა გვმართებს ჩვენ და როგორ უნდა წავიყვანოთ საქმე, რომ როგორმე ოჯახს დავეხმაროთ და უანგარიშო ძმა-დანი გამოუზრდელი არ დაგვრჩეს. მივსწერე, რომ ისეთი საქმის ხელის მოკიდება ჩვმართებს, რომ ცოტაოდენი ღონის-ძიების მოპოება შევიძლოთ-მეთქი. და მართლაც რომ დავბრუნდები, ვეცდები რამე საქმე ავიჩინო, ისეთი რომ „დროების“ წაყვანა არ დამიშალოს და ფული მომაგებინოს. ივანემაც ეჭიმობას არ უნდა დაანებოს თავი. ამნაირად იქნება როგორმე დავეხმაროთ ჩვენც ოჯახს.

თუ სტეფანესაგან[10] არა გამოვიდა რა, მეტი რა გზა იქნება, კოტე[22] ჩემს დაბრუნებამდი იქ უნდა დარჩეს და მე რომ ჩავალ, როგორმე გამოვისტუმრებ აქეთ, ივანესაკენ[23].

როგორც ზედავ ჩემო კეკე, სასიამოვნო მდგომარეობაში არა ვარ. შენმა უკანასკნელმა წიგნმა კიდევ სულ მომათავა, საშინლად ცივად არის, უგულოდ დაწერილი. „შეუთვისებელი კაცი ყოფილხარო, აქ თუ არ დადგები, ჟენევაში ბევრი ალაგი არის, საცა გინდა, იქ დადექიო“ და სხვა ამისთანა ცივი სიტყვები შენგან სწორეთ, ჩემო ანგელოზო, ჩემო ნუგეშო, არ მომწონს და გენაცვალე, ნუ მომწერ.

დღეს ვერსალში ვიყავი, მინდოდა ლეპერის, გამბეტტას და სხვ. ანტერპელაციაზე დავსწრებოდი, ძალიან საინტერესო სხდომა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, საუბედუროთ, ვერც ბილეთი ვერ ვიშოვნეთ შესასვლელი (მე და დადიანი[24] ვიყავით).

...ეხლა ისეთს გუნებაზე ვარ, რომ მართალი გითხრა, ჟენევაში მოსვლა რაღაც სულ არ მეხალისება. მაგრამ ჯერ ბევრი დროა, ვნახოთ. შენი ნახვა ყოველთვის გამამხნევებს.

დღეს დადიანს[24] ჯაფარიძისაგან[6] წიგნი მოუვიდა, იწერება ნიკოლაძეს დღეს მოელიან აქო. მართლა ჩამოვიდა? თუ მართლა მანდ არის, ფულები გამოართვი, ან შემომითვალე: როდის მოდის აქეთკენ.

ათასჯერ, უანგარიშოთ დაგკოცნი თვალებში და ტუჩებში,

ჩემო ანგელოზო, შენი სერგეი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიჟი, 22 მარტს 187[illegible]
Boulevard st Michel, 32

11. ჩემო კარგო!

რა დაგემართა, ქალო? რათა ხარ ასე დაღონებული? შენი უკანასკნელი წიგნი სწორეთ გულს მიკლავს. ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში შენი მწუხარება და ცრემლი ჩანს. მართალი გითხრა, მე მეგონა, რომ შენ ცოტათი მაინც შეეჩვიე ამ ჩვენ ერთმანეთის განშორებას და უფრო გულ-მაგრათ მოთმენას; მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე ადვილი არ ყოფილა შენთვის.

მადლობა ღმერთს, ნიკოლაძე როგორც არის ჩამოვიდა დღეს დილას, მაგრამ ვაი ამისთანა ჩამოსვლას! ვერაფერი სანუგეშებელი ვერ ჩამომიტანა, ყველაზე ცუდი ის არის, რომა მისაგან ფულებს მოველოდი და 20 ფრანკის მეტი კი არ ჩამოჰყოლია. იმედები კი არ მომაკლო, როგორც მოგეხსენება. ამბობს, რომ ფულებს მალე ვიშოვნიო. თუ ამ თვის დამლევამდი საიდამვე მართლა ვერ ვიშოვნე უკანასკნელი 300 ფრანკი, სწორეთ რომ ჩემი მდგომარეობა კარგი არ იქნება. მაგრამ ღმერთმა სხვა და სხვა იმედები და ნუგეშები ნუ მოგვაკლოს! ამას გარდა ნიკოლაძემ „დროების“ ცუდი ამბები მოიტანა; ამბობს, რომ ვერც მიქელაძე და ვერც კირილე ვერ ახერხებენ ხეირიანად გაზეთის წაყვანასაო. საზოგადოება ემდურისო და სხვა. ამიტომაც ამბობს ის, რომ შენი თფილისში დაბრუნება აუცილებლად საჭირო არისო; მაგრამ მე გადაწყვეტილი მაქვს, რომ ამ წლის დამლევამდი ამაზე უარესადაც რომ წაიყვანოს გაზეთი, მაინც არ დავბრუნდები. რაც უნდა გაუფუჭონ გაზეთს რეპუტაცია და სახელი, მომავალი წლიდამ თუ რიგიანად წავიყვანეთ, გაზეთს ისევ თავის პატივი და სახელი მიეცემა. ერთი სიტყვით ამ წლის ოქტომბრამდი ან ნოემბრამდი მე სამზღვარგარეთ დავრჩები და ხშირად მექნება შემთხვევა, რომ ჩემი საყვარელი ანგელოზი ვნახო: ეს გადაწყვეტილი საქმეა, თუ სხვა რაიმე მოულოდნელი შემოხვევა არ ვადამეხიბა გზაზე და არ დამირღვია ჩემი განზრახვები.

ჩემი სული მუდამ შენთან არის. სააღდგომოთ მანდ ამოსვლას, რასაკვირველია, მოუთმენლად მოველი, მაგრამ ეს, როგორც საზოგადოთ ყველაფერი ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე, ფულებზეა დამოკიდებული. თუ ნიკოლაძემ რამე რიგათ მიშოვნა ან თუ ქალაქიდამ მომივიდა, იცოდე იმ წამსვე სახლის პატრონს გავისტუმრებ და შენსკენ გამოვიქცევი. იმას არ დავსდევ: იქნება მანდ კონგრესი, თუ არა. თუ იქნება, კარგი, და თუ არა, ჩემთვის ისიც ბედნიერება იქნება, რომ ჩემ მაიმუნს ვნახავ და ყელზე მოვეხვევი. გთხოვ კი, ჩემო კეკე, წინათვე, რომ თუ ვინიცობაა, ვერაფერი გზით ვერ მოვახერხო ამ ახლო ხანში შენი ნახვა, ნუ დაღონდები, ნუ დაიწყებ ჯავრობას. ხომ იცი, რომ შენი შეწუხება მეც შეგაწუხებს და გულს მომიკლავს. ამას გარდა, ხომ იცი, რომ მე აქა ვარ, შენ გვერდითა ვარ ორ ნაბიჯზე და ეხლა თუ არა, ამ ზაფხულ უკანასკნელი ერთი თვით ან ორი თვითაც ერთათ ვიქნებით განუშორებლივ, წასვლის წინათაც განახავ ერთი სიტყვით, სამწუხარო არა გაქვს რა და ტყუილა-უბრალოდ გულს ნუ დაიჩაგრავ, ჩემო საყვარელო ნუგეშო...

ილაპარაკებდა მანდ, რასაკვირველია, ნიკოლაძე, სტეფანესა[19] და თულაშვილის[25] გაყრაზე და იმაზე თუ როგორ 12000 მანეთი მოპარული უნახეს თულაშვილს სტამბის ანგარიშში. ღმერთმანი, ქრისტეს დაბადება არ გამხარებია ისე, როგორც ის ამბავი. აჰა, როგორი არიან ის კაცები, რომელნიც მუდამ ჩემს ეპატიოსნობაზე და უსინდისობაზე ლაპარაკობენ! დღეის შემდეგ ეს კაცები და

იმათი მსგავსები კიდევ გაბედავენ სხვების პატიოსნებაზე და სინიდისზე ლაპარაკს? სადაა სამართალი!

ჟენევაში ჩვენები შევარიგეო, ეხლა ისინი თანხმობით ცხოვრებენ და აღარ ენდურიან ერთმანეთსაო, ამბობს ნიკოლაძე. მართალია ეს ამბავი, თუ ტყუილი —მომწერე—როგორ მოხდა ეს მორიგება, როგორ გაწმინდეთ ერთმანეთში ანგარიში? ნეტავი ეს ამბავი მართალი გამოვიდოდეს და თქვენ ერთმანეთში ამ უთანხმოებას და სიძულვილს მოსპობდეთ და მეტი არა მინდა რა. დაანებეთ, თუ ღმერთი გწამთ, თავი ამ ჯიბრს ერთმანეთში ენის მიტან-მოტანის გაგონებას და დავიდარაბას, კმარა...

საბატიეს პატარა ბროშურა—„ქალების გავლენა საფრანგეთის ლიტერატურაზე"—წავიკითხე; კარგი, ლამაზი რამ არის; მაგრამ ქართველი მკითხველებისათვის არამგონია, რომ მნიშვნელობა ექნეს. ერთობ საზოგადოთ ლაპარაკია, ისეთ საგნებზე და ისეთ პირებზე, რომელთაც ჩვენი უმეცარი მკითხველისათვის ინტერესი არ ექნება. ამიტომ მე არ გირჩევ, ჩემის მხრით, იმის გადმოთარგმნას.

დღეს ივანესაგან ჩემი უკანასკნელი წერილის პასუხი მომივიდა. როგორც ეტყობა, ძალიან შეწუხებულა და მე ეხლა თითქმის ვნანობ, რომ ავათმყოფს იმისთი არა სანუგეშო ამბები შევატყობინე. ის ჯერ კიდევ საავათმყოფოშია, მწერს, რომ ამთვის დამლევამდი, მგონი, ვერ გამოვიდეო და როგორც გამოვალ, ვეცადოთ, რომ ჟენევაში შევიყაროთ და როგორც ჩვენ საზოგადო საქმეებზე, ისე კერძო ოჯახის საქმეებზედაც მოვილაპარაკოთო. ამ დღეებში კიდევ მივსწერ, ვეცდები ვანუგეშო და ვთხოვ, თუ მოახერხოს, როცა შევატყობინებ, მანდ ჩამოვიდეს. ასე რომ, იქნება, შენი სურვილი, რომ ჩვენ ორივე გვნახო მანდ, შესრულდეს ღვთის მადლით, ეს ჩემი სურვილიც არის.

შენგან მოწერილი სიტყვა ვასილიევს გარდავეცი, პაპოვის პირით, რადგან მე თვითონ არ მინახავს. არ ვიცი, რა თქვა, ან სარაჯევისაგან[21] მოუვიდა ის პროგრამები, რომელზედაც შენ იწერები, თუ არა.

რად მკითხავ: „უღელის" თაობაზე მივსწერე მე ქალაქში ვისმეს რამე, თუ არაო? რად გინდა, არ მახსოვს, ღმერთმანი, ნამდვილად: მივსწერე კირილეს ან სხვას რამე ამ საქმის თაობაზე, თუ არა? მგონია კი, რომ არავისთვის არაფერი არ მიმიწერია. მითხარი რად მკითხავ და თუ საჭიროა ჩემი კოპიის წიგნი აქა შაქვს, გარდავხედავ ჩემ წერილებს და შეგატყობინებ ნამდვილად. უთუოთ რამე ჭორია კიდევ განა?...

ეს ერთი კვირაა, რაღაც გულით ვერ ვმუშაობ; ძველებური სიერთგულით და მოთმინებით ვერ მიუჯექი წიგნებს. შინიდამ მოსულმა ცუდ ამბებმა სწორეთ რომ ერთობ საძაგელ გუნებაზე დამაყენა და ძალიან დამაფიქრა. ამას თუ კიდევ იმისთანა შენი გულმოსაკლავი წერილები დაემატა, როგორიც ეს უკანასკნელია, სწორეთ სულ გამათავებს და ყველა სწავლის და შრომის მადას დამიკარგავს. შენგან სიმხნევეს, სიმაგრეს, ხასიათის სიმარჯვეს მოველი, შენი მტკიცე, ერთგული შრომის ამბებს და სიცხოველეს მოველი და არა ამისთანა დანაღვლიანებულ და მწუხარე სიტყვებს, ჩემო კარგო! შენ მე გამამხნევე ხოლმე, მე შენ განუგეშებ და ამნაირად ორნივე მარჯვეთ ვიქნებით, ორივე ადვილათ ავიტანთ ყველა შრომას, წვალებასა და უბედურებას, რომლითაც ჩვენი ცხოვრება სავსე იქნება. მშვიდობით, ათას დაგკოცნი, ჩემო ნუგეშო, ჩემო კარგო...

შენი ერთგული საყვარელი სერგეი.

ლიონი, 1874 30 აპრილი

12. ჩემო კარგო!

პირობისა და გვარად, ლიონიდამ გწერ წერილს. მაგრამ ისეთს მდგომარეობაში ვარ, რომ როგორღაც სრულიად ვერ მეხერხება ხეირიანი წერილის მოწერა. პირველი მიზეზი ამის არის, რომ იმ გულ-მოსაკლავ სცენის შემდეგ, რომელიც ჩვენ გამოთხოვების დროს მოხდა ჟენევაში, მე ისეთს გუნებაზე ვარ, რომ ჩემს გონზე ჯერაც ვერ მოვსულვარ. ჩემ დღეში არ დამავიწყდება ის წამი, შენ რომ გამოვარდი გარეთ, გეგონა, მე მივდიოდი და ყელზე მომეხვიე—„სერგეი, სად მიდიხარო!“ ტირილით რომ მითხარი. ეს ურთი შენი გულის ღელვა მიმტკიცებს რამდენად გიყვარვარ. ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი!

ამაზე, ამ უკანასკნელ ჩვენ გამოთხოვებაზე, ჩემ პირველ წიგნში, რომელსაც პარიჟიდამ მოგწერ, იმაში მოგელაპარაკები.

ამ წიგნს სასტუმროდამ გწერ, ჩემო კარგო, და სხვათა შორის ის არის იმის მიზეზი, რომ ეს ასე უხეიროთ და უთავბოლოთ იქნება დაწერილი. მთელი გზა ვიჟივით გაშტერებული ვიყავი და სულ შენზე ვფიქრობდი; ბოლოს ლიონში მოვაწიეთ და ერთად დავიჭირეთ სასტუმროში ნომერი. წუხელი ლაზათიანად კვეძინა. ეხლა ამ წიგნს კაფედამ გწერ; საღამომდი აქ ვეხეტიალებით ქალაქის დასახედავათ და საღამოს პარიჟში წავალთ პირდაპირ, საიდამაც ხვალ თუ არა, ზეგ დილას უთუოთ მოგწერ დიდ წერილს, ივანესაც აქიდამ მივწერ და კარგათ გამოვლანძღამ ჩვენდა უნახავად წასვლისათვის. შენც მომწერე, გენაცვალე წიგნი. პარიჟში რომ ჩავალ ხვალ, იმედი მაქვს, რომ შენი წერილი იქ დამხვდება. ჯერ-ჯერობით ძველი ადრესით მიგზავნე წერილები და მერე რომ გამოვიცვლი სადგომს, რასაკვირველია, შეგატყობინებ. მალ-მალ მომწერე, შენი თვალების ჭირიმე, კეკე, წიგნები. უკანასკნელად კვირაში ორჯერ მაინც, თუ გინდა; რომ ჩემგანაც ხშირად მოგივიდეს. შენი სიმხნევის და გულის სიმაგრის იმედი მაქვს, რომ არ იდარდებ ჩვენს ერთმანეთის დროებით განშორებას. თუმცა როცა ამას შენ გეუბნები, თვით მეც მიჭირის შენთან მოშორება, მაგრამ უნდა ვითმინოთ კიდევ რამდენიმე ხანი. ამას ხომ, ჩემო კარგო, შენც კარგათ გრძნობ.

ლიონში ჯერ დამტვრეული ნაპოლეონის[26] ძეგლისა და რამდენიმე ქუჩის და მოედნების მეტი, თითქმის არა მინახავს რა! მაგრამ როგორც ერთი თვალის გადავლებით ეტყობა კარგი ქალაქი კი უნდა იყოს. რასაც აქ ვნახავ, პარიჟიდამ მოგწერ, როგორც საზოგადოთ ჩემს მოგზაურობას.

სხვას ეხლა მეტს არას გწერ. კარგათ იყავი, ჩემო ანგელოზო, ნუ იდარდებ, ისწავლე გულმოდგინეთ. შენი კარგათ ყოფნა ხომ ჩემი კარგათ ყოფნაა, შენი ბედნიერება—ჩემი ბედნიერება, ნახვამდის ჩემო კარგო, ათასს, უანგარიშოთ დაგკოცნი—ნეტავი ჩემთან იყო ეხლა, ერთი მაგრათ მოგეხვიო და თვალები ამოგიკოცნო, შენი ჭირიმე, ჩემო, ჩემო—

მშვიდობით პარიჟამდი

შენი სერგეი.

პარიჟი, 11 მაისს 1874

Boulevard st Michel, 32

13. კეკე ჩემო!

რა ამბავია არ ვიცი, ღმერთმანი, რომ ასე მიგვიანებ წერილებს! გუშინ დილას უნდა მომსვლოდა, ჩემი ანგარიშით, უკანასკნელი ჩემი წიგნის პასუხი შენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან და დღეს საღამოსაც არ მომდის. ასე უნდა პირობის ასრულება? თუ გინდა, რომ ჩემგან ხშირად მოგივიდეს წერილები, იცოდე შენც ხშირად მომწერე, თორემ მეც გავძუნწდები.

გუშინ მეორე № Revu politique et literaire გამოგიგზავნე, სადაც დასასრულია ინგლისის ქალებზე სტატიისა. როგორ მოგეწონა ეს სტატია? როგორ მოგწონს ინგლისელი ქალების წინდახედული და გონიერი მოქმედება თავიანთ საქმეში. არა გვანან იმ... ნიგილისტკებს, რომელთაც ერთი დღის განმავლობაში უნდათ მთელი ქვეყანა გარდააბრუნონ, რომელთაც არც რიგიანი გაგება აქვთ რომელიმე საქმისა და არც შესრულება იციან. ეს ინგლისელი ქალები ნელ-ნელა, მაგრამ ბეჯითად მიდიან; მთელ დედა-მიწას, ხე-ტყეს არ ედებიან. ისეთ საქმეებს, ისეთის მხრით ჰკიდებენ ხელს, რომ შესრულება აღვილად შეუძლიანთ. მერე რა შესანიშნავია იმათი ენერგია, იმათი გულ-მოდგინება და გამტანობა თავიანთი საქმისა და განზრახვის აღსასრულებლად! აი, ნეტავი ჩვენ ქალებს მისცა ღმერთმა მეათედი ნაწილი იმათი ხასიათისა და გონიერებისა, მაშინ ჩვენ არა გაგვიჭირდებოდა რა.

შენს წერილში, რომელსაც, უეჭველია, ხვალ მოველი, იმედი მაქვს აწერილი იქნება, როგორ მიდის ჟენეველი ჩვენი ახლად დაბადებული საზოგადოების საქმე, ან სხდომა თუ იყო, ან როგორ წავიდა ეს სხდომა, ვინ რა წარმოადგინა, რა წაიკითხეთ, რაზედ ილაპარაკეთ და სხვ. და სხვ[13]. შემდეგი წიგნი Revue des deur Mondes 15 ამ თვისას გამოვა და, როგორც დაგპირდით, ორ-სამი დღის შემდეგ გამოგიგზავნით. ნიკოლაძემ მანდ თითქმის ყველა ქვეყნების თანამედროვე ისტორიები დატოვა და, როგორც მითხრა, აქედამაც გამოუგზავნია ზოგიერთი წიგნები. ყველას ხომ ერთად არ იკითხავენ ჩვენი ქალები, გამოართვი რომელიმე და ისარგებლე. შენც, შენის მხრით, ათხოვე რაც გთხოვონ. სხვაში თუ არა, ამაში მაინც უნდა გამოჩნდეს თქვენი ამხანაგობა (მეგობრობას არ ვამბობ). ერთი სიტყვით, შრომასა და მეცადინეობას თუ არ დააკლებ, ჩემო კეკე, სხვა არა გინდა რა, საკითხავი წიგნები, გაზეთები და სხვ. ბლომათ გექნება.

გუშინ სან-კლუში ვიყავი, იქ დღესასწაულობა იყო; ერთ ორ ალაგას სახლიც ვიკითხე, მაგრამ იმწამსვე შევატყვე, რომ იქ საჩვენო არ არის; ძალიან სიძვირეა.


ივანეს გუშინწინ წერილი მივწერე, მაგრამ პასუხი ჯერ არ მომსვლია. ხვალ ან ზეგ მოველი; ვნახოთ: გამწყრალი იქნება, თუ არა. ამ წერილს, შენ ბაიყუშო მხოლოთ იმიტომა გწერ, რომ გულმა არ მომისვენა, სანამ არ გეყბედე და მინდა როგორმე ხშირ-ხშირად წერილები გამოგტყუილო. ნიკოლაძეს ფულები მოუვიდა და მანდ გამოუგზავნა ქალებს აქ ჩამოსასვლელად. სახლიც დაუქირავა. მაშასადამე, როგორც ის ამბობს, ამ ორ-სამ დღეში აქ ჩამოვლენ. შენც მალე ჩამოხვალ, ნუ გეშინია, გული ნუ დაგწყდება. მანამ ის უნდა განუგეშებდეს, რომ შენ მანდ კარგათა და სინიდისიანად იშრომებ. ეს საუკეთესო ნუგეშია ყოველი კაცისათვის. თუ რამე ამბავი მოგივიდა ან თფილისიდამ და სხვაგან საიდამვე, მომწერე. კარგს, დალაგებით წერილს მოველი შენგან, ჩემი ანგელოზისაგან, რომელსაც მოვეხვევი და ათასს გადავკოცნი თვალებსა და ტუჩებს. მშვიდობით, ჩემო კარგო ნუგეშო, ჩემო საყვარელო

სიკვდილამდი შენი. სერგეი მესხი.

პარიჟი, 22 მაისს 1874
Boulevard st Michel, 107

კეკელო ჩემო, ამ ორიოდე სიტყვას მხოლოთ იმიტომა გწერ, რომ ჩემი ახალი ადრესი შეგატყობინო. როგორც ჰხედავ, მე ჩემ სან-მიშელის ბულვარს ვერ მოვშორდი, მხოლოთ სახლი გამოვიცვალე, ეხლა ცოტათი უფრო ზევით ვდგევარ, ლიუქსენბურღის ბაღის პირდაპირ, № 107. მადლობა ღმერთს, ჩემ ძველ სახლის პატრონებს მოვშორდი, გადავრჩი მუდამ იმათთან ჩხუბს და დავიდარაბას! ცოტა რომ კიდევ მომეცადა, ღმერთმანი, მგონი, იქამდი მიმიყვანდნენ, რომ რამე საძაგელ საქმეს მომახდენინებდნენ და შეიძლებოდა „ფიგაროსთვის“ სალაპარაკო საგანი მიმეცა. ამნაირი ვსთქვათ, რომ „ერთი აღმოსავლეთური რედაქტორი, რომელიც ჭკუის სასწავლად ჩამოვიდა პარიჟში, თვითონ ჩვენ გვიპირებს ჭკუის სწავლებას მუშტი-კრივის საშუალებითაო“. ეხლა, მადლობა ღმერთს, ამას ვედარ იტყვის, რადგან ნახევარი თვის მომეტებული მივეცი სახლის პატრონს და მოვშორდი.

ჩემი ახალი სადგომი, თუმცა ცოტათი ძვირია (თვეში მოსამსახურიანათ 55 ფრ.), მაგრამ მშვენიერი რამ არის და მე ძალიან მომწონს. ღირსებები: ერთი რომ მეორე ეტაჟშია, მეორე—ფანჯარა ერთს ჩინებულ ბაღში გადის (მუნჯების სკოლაა), რომელიც ეხლა გულის-დასატკბობელად ამწვანებულია. მესამე—ისეთი მყუდროება და სიჩუმე, რომ სწორეთ სოფელს მოგაგონებს... მეოთხე—ჩინებული სახლის პატრონები მყავს, ორი მოხუცებული დედაკაცი, ერთს იმათგანს ახალგაზდა ვარსკვლავზე უმშვენიერესი და მზეზე უბრწყინვალესი ქალი ჰყავს, რომელიც საუბედუროთ ჯერ არ გამიცვნია!.. თვითონ ოთახი ჩემ ძველ ოთახზე უფრო სრულიც და მოხერხებულიც არის, ცოტა სკამებია შემოძველებული, თორემ სხვებ კარგათ არის მოწყობილი. აი, იმის პლანი:



კარგია ხომ? მდივანია, კარგი კამოდი, კრესლო, უჯრები და სხვა ყველაფერი.

სოფელში რატომ არ წახველიო—მკითხავ განა? იმიტომ, ჩემო კარგო, ერთი რომ ფულები შემომაკლდა, სახლის პატრონს რომ გაუსწორდი, ოცი ფრანკი დამრჩა ჯიბეში და ამით სოფელში გადასახლება ძნელი საქმე იყო. მეორე იმიტომ, რომ ექიმთან ვიყავი, ჩემი თავის ტკივილისა და მუწუკების ამბავი აუხსენი და ისეთი ექიმობა მირჩია, რომ სოფელში არ მოხერხდებოდა. კვირაში რამდენჯერმე გოგირდის აბანო უნდა მივიღო და სხვა სასმელი და თავზე წასასმელი წამლები მომცა. მადლობა ღმერთს, მითხრა, რომ შენ ჯანმთელი ხარ, მაგ სულ უბრალო ავათმყოფობა არისო. გული დამიმშვიდა.

ეხლა, ჩემო ანგელოზო, ამ ნაირად შევცვალე ჩემი პლანები: ამ ერთ თვეს კიდევ აქ დავრჩები და ვიაქიმებ. მანამ შენც მორჩები მანდ ლექციებს, ჩამოხვალ და ორივემ ერთად დავიაროთ ახლო-მახლო სოფლები და სადაც მოგვეწონება, იქ დავიჭიროთ სახლი. მანამ მეც მომივა ფულები და შენც. და თუ ერთ თვეზე ადრე ჩამოხვალ, აქ ჩემ სახლშიც არის პატარა ოთახები და რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღით დაიჭერ. განა, ჩემო კარგო? ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგათ ვსდება, ოღონდ შენ კარგათ მყავდე!

მართლა ერთი ღირსება დამავიწყდა ჩემი ახალი ოთახის: ბაღს იქით, ერთი რაღაც კოშკია ამართული და იმ კოშკზე უშველებელი საათია, ასე რომ, ფარდა თუ არა მაქვს ჩამოფარებული, ჩემი ლოგინიდამ, როცა ვწევარ, ჩინებულად ვხედავ ამ საათს. ამ გაჭირებაში, როცა საათები ჯიბეში არ ძლებენ, დამეთანხმე, რომ ესეც ღირსებად ჩაითვლება! ერთი სიტყვით, შენ, ჩემი ანგელოზი, რომ აქ მყავდე ეხლა მეტი არა მაკლია რა; მაგრამ ამასაც მალე მოვესწრები. ესეც მაისი თავდება, ივნისიც ასე მალე გაირბენს და მერე გამოსწევ ხომ? დღეს მეტს არასა გწერ, რადგან ჩემ ახალ სასახლეს მილაგ-მოლაგება უნდა...

უანგარიშოთ დაგკოცნი, ჩემო კარგო, ჩემ საყვარელს თვალებსა, ტუჩებს, ერთს ლოყაზე ხალს, მეორეზე ის საშინელი ორმო რომ გაქვს და ყველაფერს...
სიკვდილამდი შენი საყვარელი მეგობარი სერგეი.

პარიჟი, 17 ივნისს 1874.
107 Boulevard st Michel

15. ჩემო კარგო!

შენ მიწყრები წერილის დაგვიანებისათვის, მაგრამ ჯერ ის ჩემი უკანასკნელი წერილი წაიკითხე, რომლისთვისაც 50 სანტიმის მიცემა ასე გასჭირვებია შენ სახლის პატრონს (შეარცხვინა ღმერთმა) და მერე ნახავ—როგორ უნდა გაწყრომა და ან ვის უფრო საფუძველი აქვს გაწყრომისა.

მომავალ შაბათ-კვირას აქ იქნები განა? მაშ თერთმეტი თუ თორმეტი დარჩა კიდევ! მოუთმენელად მოველი იმ დროს, როდესაც აქ ჩამოხვალ და მაგრა ჩაგიკრავ გულში. ხანდისხან ერთი ახირებული ფიქრი გამივლის თავში: ამ ომერ და თან საყვარელ პარიჟში რომ არ ვიდგე, სწორეთ შენს აქ ჩამოსვლას, ის ემჯობინებოდა, რომ მე ჩამოვსულიყავ მანდ, სექტემბრამდი დავრჩენვილიყავ და მერე შინისაკენ გამეწია. სხვა არა იყოს რა, ეკონომიური მხრით (და ეხლა, ამ ფულების კრიზისის დროს, ეკონომიური მხარე არ უნდა დაივიწყოს კაცმა) ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა: შენ აქ ჩამოსვლა დაბრუნებაში უკანასკნელი ასი-ასოცი ფრანკი მაინც დაგეხარჯება და მე რომ მანდ ჩამოვსულიყავ, ამ ფულებს სხვა რასმეში მოვიხმარდით. ამას გარდა აქ ცხოვრება, რასაკვირველია, უფრო მეტად დაგვიჯდება, ვიდრე მანდ. მაგრამ ყველა ამ მოსაზრებას ის გარემოება არღვევს, რომ მე პარიჟში ვარ, სადაც ეხლა ამდენნაირი სხვა და სხვა ამბები ხდება. მე მაინც ჯერ არ გარდამიწყვეტია საბოლოოდ, შევიტყობ, როდის დაიწყება ნაციონალური კრების კანიკულები, გაზეთებიდამ გამოჩნდება თუ ამ კანიკულების დროს აქ რამე შესანიშნავს უნდა მოელოდეს კაცი; და თუ მალე დაიკეტა და ოქტომბრამდი არ გაიხსნა, ამას გარდა, თუ ფულები საკმაოთ მომივიდა ქალაქიდამ, მაშინ, მგონია, მე წამოვიდე მანდეთკენ, ის ემჯობინება. გარდაწყვეტით ამაზე ეხლა არასა გწერ. თუ შენ მოგიხდეს წამოსვლა, რადგან მარტო იქნები, რასაკვირველია, ის ემჯობინება, რომ დირექტით წამოხვიდე, რომ მალე და ჩქარა ჩამოხვიდე აქ. რა დროსაც უნდა იყოს, შემატყობინე და უსათუოთ დაგიხვდები რკინის გზის სტანციაზე.

სახელმძღვანელოებს გარდა სხვა წიგნებს ნურას წამოიღებ. საკითხავ ნებს, თუ შენ მოგიხდა აქ მოსვლა, ნუ გეშინია ბევრს ვიშოვნი; მაგრამ თუხდაც წარმოიდგინე, რომ სულ გაწყდა დედა-მიწაზე წიგნები. განა მე და შენ მარტო ერთად ყოფნით მოგვწყინდება? თუ წამოსვლა მოგიხდეს, შენი სახლი მიატოვე და რაც წიგნები თუ სხვა რამე დაგრჩება, ვისმე მიაბარე. აქედამ რომ ერთად დავბრუნდებით, მაშინ ვიშოვნით კარგ ოთახს უნივერსიტეტთან და დადგები. ძალიან მინდა, რომ მე დაგაბინავო; დარწმუნებული და დაიმედებული ვიქნები, რომ კარგ სახლში იდგომები და არაფერი გაგიჭირდება. ეს ნუგეში მაინც წამყვება, შინ რომ წავალ...

ძნელად დასაჯერებელია, რომ დარვინს მართლა თავის თეორია უარეყოს; თუმცა ძალიან გასაკვირვებელი მაინც არა იქნება რა, რადგან ზოგიერთებს სჩვევიათ მოხუცებულებაში იმ რწმუნებებისა და თეორიების უარყოფა, რომელსაც სიყმაწვილეში აღიარებდნენ. (ასე ქნა ნიუტონმა, რომელმანც მოხუცებულებაში უარჰყო თავის უკვდავი კანონი მიწის მიმზიდველობისა). ჩამოიტანე ის სტატია, რომელიც ამ საგანს შეეხება. ძალიან საინტერესო იქნება.

კარგა საგრძნობელი სიცივეებისა და საძაგელი წვიმების შემდეგ, დღეს მშვენიერი დღე დადგა და მინდა ცოტა გავიარო ქალაქში. ამიტომ დღეს მეტს არასა გწერ. Revue politique et literair გიგზავნი.

სიკვდილამდე შენი სერგეი.

კომენტარები და შენიშვნები

1. ს. მესხის 27 წერილი ეკ. მელიქიშვილთან დაცულია საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში (იხ. №№163, 166, 172, 173, 187, 189, 191, 193, 199, 203, 210, 210ა, 211, 223, 231, 232, 235, 238, 239, 243, 260, 261, 262, 263, 265, 266).

2. იგულისხმება ივანე მესხი—სერგეის ძმა, რომელიც იმ დროს ციურიხში სწავლობდა. სერგეის მიერ ეკატერინესთან მიწერილ წერილში ივანე ხშირად იხსენიება.

3. იგულისხმება პეტრე მელიქიშვილი (1850—1927), ეკატერინეს ძმა, ცნობილი მეცნიერი, რომელიც იმ დროს საზღვარგარეთ სწავლობდა. სერგეი წერილებში ხშირად იხსენიებს პეტრეს.

4. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. წერილებში იგი ხშირად იხსენიება.

5. იზმაილოვი პალე (1852—1905)—თბილისელი სომეხი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ახლო მეგობარი ნ. ნიკოლაძის, დ. მიქელაძის, სერგეი მესხის და გიორგი წერეთლისა; აქტიური მონაწილეობა მიიღო 1873 წელს საზღვარგარეთ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ დაარსებული წრის—„უღელის“ მუშაობაში. მისი მონაწილეობით ნ. ნიკოლაძემ და დავით მიქელაძემ 1873 წელს გამოსცეს გექტოგრაფზე დაბეჭდილი არალეგალური, სოციალისტური მიმართულების ქართული გაზეთი „დროშა“ (სულ გამოვიდა ათი ნომერი).

პ. იზმაილოვი 1893 წლიდან იყო თბილისის ქალაქის თავი (მოურავი).

6. ბესარიონ ჯაფარიძე (1850—1877), ს. მესხის ახლო მეგობარი, გაზეთ „დროების“ თანამშრომელი, ბ. ჯ-ს ინიციალებით აქვეყნებდა წერილებს. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც 1868—1869 წლებში სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, იჯდა პეტრე-პავლეს ციხეში. 1869 წელს ჟანდარმერიის განკარგულებით იგი გაგაზვნილ იქნა სოფელში, რაჭაში და პოლიციის სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. 1870-ანი წლების დასაწყისში მოახერხა ჟენევაში წასვლა და სწავლის გაგრძელება. იქ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველ ახალგაზრდების მიერ

დაარსებულ საზოგადოება „უღელის“ მუშაობაში. იგი მეტად ნიჭიერი და საიმედო ახალგაზრდა იყო. გ. წერეთელი 1873 წლის ბოლოს ციურიხიდან გამოგზავნილ წერილში ნიკო ნიკოლაძეს ბ. ჯაფარიძის შესახებ სწერდა: „ყმაწვილებზე რა გითხრა, ისინი არიან ორი წრისანი: ჟენევაშია ჯაფარიძე, მეტად მოსაწონი ყმაწვილია, მტკიცე და მაგრათ შეთვისებული აზრებითა. ის თავის გონების ძალით დგას მბოლოდ მაგრათ, ის აზრში და მოქმედებაში დამოუკიდებელი ახალგაზრდა კაცია, ის სხვისი ტვინით და აზრებით არ დადის, მაგრამ არ ვიცი, საქმეში როგორი მხნე გამოდგება“ (იხ. ს. ხუნდაძის „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, 1949, გვ. 114).

სამწუხაროდ, ბ. ჯაფარიძე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1877 წელს (იხ. მას შესახებ ივ. მესხის წერილი, „ივერია“, № 44, 1877 წ.).

7. ზარაფიშვილი სტეფანე, შეძლებული ქართველი მრეწველის მემკვიდრე, ქველმოქმედი, ქართული მწერლობის დიდი მოყვარული. იგი დიდ ეკონომიურ დახმარებას უწევდა ქართულ მწიგნობრობას, კერძოდ გაზ. „დროებას“. თავისი ხარჯით გამოსცა ქართული სახელმძღვანელო წიგნები, ი. გოგებაშვილის „კონა“ და სხვ. 1873 წელს გაზ. „დროება“ წერდა: „ის [ს. ზარაფიშვილი] კისრულობს დააბეჭდინოს თავის ხარჯით ქართული სახელმძღვანელო წიგნები პირველი დაწყებითი მეცნიერებისა და ამასთანავე მისცეს მათ დამწერებს შრომის ფასი ორას-ორასი მანეთი თითო თითო სახელმძღვანელოში... დიდ ნივთიერ დახმარებას უწევს „დროებასაც“ (იხ. „დროება“ № 400, 1873 წ.). იხ. ს. მესხის და ს. ზარაფიშვილის მიწერ-მოწერა (ხელნაწერთა ინსტიტუტის ს. მესხის ფონდი).

8. რომელი ჯანდიერი იგულისხმება? მაშინ ჟენევაში უმაღლესი აგრონომიული განათლების მისაღებად ძმები ჯანდიერები—ვლადიმერ და ალექსანდრე (სანდრო) იმყოფებოდნენ. საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას თავის მამულში, კახეთში, სოფ. ვაჩნაძიანში. ვლადიმერი გარდაიცვალა 1915 წელს, ალექსანდრე 1917 წელს.

9. მიხეილ ბეთანიშვილი იყო გაზ. „დროების“ თანამშრომელი და ახლო მეგობარი ს. მესხისა. 1868 წლიდან კ. ლორთქიფანიძესთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა პეტერბურგში „კაცია-ადამიანისა“ და სხვა ქართული წიგნების გამოცემაში — იხ. მისი წერილები სერგეი მესხთან. 1869 წლის 14 ივლისს იგი ერთ წერილში ს. მესხს სწერდა: „თქვენ იცით, რომ პეტერბურგში დაფუძნდა შარშან პატარა ამხანაგობა, რომლის მიზანი და მოქმედება მდგომარეობს სხვადასხვა ორიგინალურ და ნათარგმნ წიგნების გამოცემაში, სახელმძღვან[ელო]ების შედგენაში და გამოცემაში შკოლებისათვის და სხვ. როგორ აასრულებს თავის მოქმედებას ეს ამხანაგობა,—ეს დამოკიდებულია დროს გარდა, მატერიალურ ღონისძიებაში, რომელიც არა აქვს ამხანაგობას. წიგნები გამოიცემის ან ნასესხ ფულებიდამ ან შემოწირული საზოგადოების ფონდში. „კაცია-ადამიანის“ გამოცემისათვის შემოჰსწირა ფული მიხეილ ჭავჭავაძემ—გეცნობება აქ, რომელმაც ცოლი შეირთო და ჰსცხოვრობს კალუგის გუბერნიაში, თავის სოფელში“.

„კაცია-ადამიანის“ გამოცემის გამო მიხ. ბეთანიშვილი 1896 წლის 20 აგვისტოს პეტერბურგიდან ს. მესხს სწერდა: „...მე მინდოდა ერთის მხრით მეჩვენებინა როგორც მკითხველთათვის, აგრეთვე გამომცემლობისათვის, რომ შეიძლება კაცმა შნოიანათ გამოჰსცეს წიგნი და ამასთან იაფი ფასიც ედვას წიგნს; მეორეს მხრით მე ილია ჭავჭავაძის ტალანტის პატივისმცემელი ვარ და მინდოდა, რომ იმისთანა შესანიშნავი თხზულება როგორც „კაც.-ადამ“. შნონიანათ და კარგათ გამოცემულიყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ „კაც. ადამ.“ თავის შინაგანი ღირსებით უდრის გოგოლის „Мёртв. луш“-ისა და საზოგადოდ ილია ჭავჭავაძე დაიჭერს ჩვენს ახლად ჩასახებულ ლიტერატურაში იმისთანა ადგილსა, როგორიც უჭირავს გოგოლს და ნეკრასოვს (როგორც პოეტს) რუსულს ლიტერატურაში. შეიძლება, რომ სხვისი აზრით, მე ვსცდებოდე, მაგრამ მე ამაზედ ვარ დარწმუნებული და ძლიერ ვსწუხ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ვერ გაიგო ილია ჭავჭავაძის თხზულებების აზრი და ჩვენი ახალგაზრდობაც ჯეროვანად ვერ აფასებს იმას, აქ რომ ჩემი სიტყვების დამტკიცებას შეუდგე, ძლიერ შორს მოვა და დიდ ადგილა დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერს; სიტყვაზედ მოვიდა და ვსთქვი. მომავალში საჭიროა, რომ გონიერმა კრიტიკოსმა გაჩხრიკოს ჭავჭავაძის თხზულებანი და უჩვენოს მკითხველთ იმისი ღირსება. სამწუხაროდ ახლა არ მოიპოვება ჩვენში იმისთანა კრიტიკოსი; ამასთანავე დიდი მომზადება უნდა ამ საქმის ასასრულებლად. ერთის სიტყვით, ჩვენი გოგოლი ელის თავის ბელინსკის (ვინ იცის, რა პარადოქსათ მიიღე შენ ჩემი უკანასკნელი სიტყვები!)“ (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ს. მესხის ფონდის № 39).

10. „რაპპელი“—ფრანგული გაზეთი პარიჟში, რომელშიაც ლოკრუას (1840—1919) სიტყვა ქოფილა დაბეჭდილი. მის წაკითხვას ურჩევს სერგეი ეკატერინეს. ლოკრუა იყო საფრანგეთის იმ დროის ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, რესპუბლიკელი.

11. ჰანრი როშფორი (1830—1913)—გრაფი, ცნობილი ფრანგი რადიკალური პუბლიცისტი, შემდეგში გამემარჯვენებული. გაზ. „დროებამ“ 1874 წელს № 429-ში ჰანრი როშფორს უძღვნა წერილი სათაურით—„განთავისუფლებული როფშორი“. (იხ. ნ. სკანდელის (ნ. ნიკოლაძე) „თანამედროვე მწერლობა. ანრი როშფორი“, „კრებული“, 1873 წ., წიგნი VIII, გვ. 191—267).

12. იგულისხმება გიორგი წერეთელი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

13. „უღელი“, საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტების საზოგადოება ციურიხში, დაარსდა 1873 წელს მარტში. მისი მიზანი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაჩაღება: თვითგანვითარება, ურთიერთ დახმარება, ლიტერატურის თარგმნა ქართულ ენაზე და სხვ. მასში გაერთიანებული იყვნენ: ოლღა გურამიშვილი, ოლიმპიადა და ეკატერინე ნიკოლაძე, ბ. ზემიანსკაია, პ. იზმაილოვი, ვლ. ინანიშვილი, დ. ქადაგიძე, ალ. სუმბათაშვილი, პელო ნაცვლიშვილი, ივანე მესხი (მდივანი), ეკ. მელიქიშვილი. „უღელის“ საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გ. წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ და სერ. მესხმა.

14. დავით მიქელაძე (მეველე), „დროების“ უახლოესი თანამშრომელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე (1844—1918).

15. ვიქტორ-ჰიუგო (1802—1885), ცნობილი ფრანგი პოეტი, ნაპოლეონ III-ის დროს ემიგრანტი, დემოკრატი. საფრანგეთში დაბრუნდა 1871 წელს. მისი რომანი „93 წელი“ ს. მესხმა გადმოთარგმნა შემოკლებით და დაიბეჭდა „დროებაში“ (იხ. 1874 წლის №№ 420—423). თარგმანს ს. მესხის შენიშვნა უძღვის: „ეს ახალი რომანი უწარჩინებულესი ევროპის მწერლისა საფრანგეთის პირველი რევოლუციის დროინდელი ცხოვრებას შეეხება.

საუბედუროთ, ღონისძიება არა გვაქვს, რომ სულ გადმოგვეთარგმნა ეს მშვენიერი რომანი, რომელზედაც მთელი ევროპა ლაპარაკობს, რომელიც თითქმის ყველა ევროპულ ენებზე გადათარგმნილია. მაგრამ ამ ზოგიერთი ადგილების წაკითხვაც დაარწმუნებს მკითხველს ამ რომანის ჩინშენიერეში და იმის ავტორის ნიჭის სიღრმეში“.

16. ლუი-ბლანი (1811—1882) ცნობილი ფრანგი წვრილ-ბურჟუაზიული მწერალი, 1848 წლის რევოლუციის დროს დროებითი მთავრობის წევრი. ინგლისში ემიგრაციაში იყო, საიდანაც 1870 წ. დაბრუნდა. ქართველ მოღვაწეებიდან მას იცნობდა ნ. ნიკოლაძე და მასთან მიმოწერა ჰქონდა.

17. საზოგადოება „უღელის“ წევრთა შორის 1873 წლის ბოლოს უთანხმოებამ იჩინა თავი, რის შესახებაც საუბარია წერილში. 1874 წლის 6 თებერვალს გიორგი წერეთელი ჟენევიდან ს. მესხს სწერდა: „ჩვენ აქ „უღელის“ გადაკეთების პროექტი შევადგინეთ და იმის მოლაპარაკებაზე და განსჯაზე გვაქვს კრებები. როცა სულ გათავდება ბაასი, რასაკვირველია პირს გამოგიგზავნი“.

18. ბესარიონ ჯაფარიძე, იხ. ზემოთ.

19. აქ იგულისხმება ეკატერინეს (კეკეს) ძმა—სტეფანე მელიქიშვილი (1841—1886), გაზ. „დროების“ გამომცემელი. მან 1864 წელს ნ. ღოღობერიძესთან, ვახ. თულაშვილთან და დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად დააარსა სტამბა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა „დროება“. ის იყო ცნობილი ქართველი მეცნიერისა და ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორის—პეტრე მელიქიშვილის ძმა და სერგეი მესხის ცოლის ძმა. იგი იყო „დროების“ გამომცემელი და მას დიდ მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. პ. უმიკაშვილის გადმოცემით, „ს. მელიქიშვილი დიდად ეხმარებოდა „დროების“ გამოცემის საქმეს. უმელიქიშვილოდ „დროებას“ იქნებ დიდი განსაცდელი დასდგომოდა“ (იხ. „ივერია“, 1883, №8).

20. გერასიმე კალანდარიშვილი (1836—1874), ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, განათლებული, მოწინავე და მაღალი ზნეობის მოღვაწე. დიდი გავლენით სარგებლობდა ახალგაზრდობაში. იგი განიცდიდა დევნას მეფის მთავრობისაგან თავისი მოწინავე იდეებისა და მოღვაწეობის გამო. ქართული სკოლებისათვის მან პირველმა შეადგინა რუსული ენის პირველი სახელმძღვანელო, რომელიც გამოდიოდა 1856 წლიდან.

გ. კალანდარიშვილი თანამშრომლობდა „დროებაში“, ეხმარებოდა და ხელს უწყობდა სერ. მესხს გაზეთის გავრცელებაში ხელის მოწერის ჩატარებით ქუთაისში. (იხ. „ხელის-მოწერა „დროებაზე“, გაზ. „დროება“, 1870, №№ 47, 48, 49, გვ. 1 და სხვ.). იგი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ქ. ქუთაისში.

21. იგულისხმება ალ. სარაჯიშვილი (1851—1914), ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელიც 1873 წლიდან ციურიხში იმყოფებოდა უმაღლესი განათლების მისაღებად და „უნიონის“ მუშაობაში მონაწილეობას იღებდა. მას ზედმეტ სახელს ჩაჩას უწოდებდნენ.

22. იგულისხმება კოტე მესხი (1853—1914), სერგეის ძმა, ცნობილი მსახიობი და დრამატურგი.

23. ივანე მესხი, სერგეის ძმა, რომელიც იმ დროს ციურიხში სწავლობდა, იხ. ზემოთ.

24. დ. დადიანი, გაზ. „დროების“ თანამშრომელი, იმ პერიოდში სასწავლებლად საზღვარგარეთ იმყოფებოდა. შემდეგში ქუთაისში სცემდა გაზ. „შრომას“.

25. ვახტანგ თულაშვილი (1834—1910), საზოგადო მოღვაწე ,პედაგოგი. 1864 წელს სტეფანე მელიქიშვილთან, დიმ. ბაქრაძესთან ერთად დააარსა ქართული სტამბა, რომელშიაც იბეჭდებოდა გაზ. „დროება“ და სხვა ქართული გამოცემები. შემდეგ ხანებში იგი სტამბის გამგე იყო.

26. იგულისხმება ნაპოლეონ III (1808—1873), საფრანგეთის იმპერატორი 1852—1870 წწ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

ისევ ლეონტი მროველის ავტორობის შესახებ

კ. გრიგოლია

პრობლემა ლეონტი მროველის, როგორც მემატიანე-ისტორიკოსის შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი არ არის. დიდი ხანია მეცნიერები ამ პრობლემაზე მუშაობენ და ზოგი რამ დღეისათვის უკვე გარკვეულია, ასე მაგალითად, ცნობილია: მისი სადაურობა-მედასეობა, დადგენილია მისი მოღვაწეობის ხანა, მოხაზულია ლეონტი მროველის სამწერლო მოღვაწეობის ხასიათი და სხვა. საგულისხმოა ისიც, რომ XI საუკუნის მწერლები მათ მიერ გადანუსხულ ხელნაწერთა კიდეებზე, არა ერთგან „დიდებასა“ და „დღეგრძელობას“ შესთხოვენ ღმერთს ლეონტი მროველისათვის, ასევე „ქართლის ცხოვრების“ გადამწერ-რედაქტორებს საჭიროდ დაუნახავთ საგანგებო ანდერძით აღენიშნათ ლეონტის ღვაწლი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი ამ ძვირფასი საუნჯის შექმნა-ჩამოყალიბების საქმეში. ეს ანდერძი, „ქართლის ცხოვრების“ დღესდღეობით, ცნობილ ნუსხებში ცალკე აბზაცით, წითურით მისდევს „ვახტანგის ცხოვრების“ ტექსტს და ასე იკითხება:

„ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმა აღწერა“[1].

ამ ანდერძის მიხედვით, დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი ლეონტი მროველს მიაკუთვნებდა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაკვეთის სამი თხზულების: „მეფეთა ცხოვრების“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ და „არჩილ მეფის წამების“ შეთხზვა-აღწერას.

გარდა ამისა, აკად. კ. კეკელიძემ გაარკვია ლეონტი მროველის ძირითადი ლიტერატურული წყაროებიც. მისივე დაკვირვებით ლეონტის უთარგმნია ასურულიდან ყალბი ეფრემის ფსევდოეპიგრაფიკული ძეგლი „განძთა ქვაბის“ სახელწოდებით და შეუტანია კიდეც „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც შესავალი საქართველოს ისტორიის დასაკავშირებლად მსოფლიო ისტორიასთან — (დაბადებასთან).

ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში, ჯერ

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 244.

შენიშვნა: ამ ნაშრომში, ყველგან, სადაც კი მითითებულია „ქართლის ცხოვრება“, სწორედ ეს გამოცემა იგულისხმება—კ. გ.

ისევ სადავოა და მოითხოვს სათანადო გაშუქებას. ამ ბოლო ხანებში, განსაკუთრებით საკამათოდ იქცა მისი ავტორობის საკითხი. სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა ახალგაზრდა მკვლევრის შოთა ბადრიძის სტატია „ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის“, რომელიც დაიბეჭდა 1962 წლის ჟურნალ „მნათობის“ მეშვიდე ნომერში, ხსენებული ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ცხადია ლეონტი მროველი ავტორი არაა, ამიტომ არქაული ნაწილი (იგულისხმება „ქართლის ცხოვრების დასაწყისი ნაკვეთი — კ. გ.) ანონიმური იქნება; თუ ვიხმართ ლეონტის სახელს, უნდა ვუწოდოთ „ფსევდოლეონტი“ (გვ. 179. ხაზი ჩვენია — კ. გ.)[2]. როგორც ვხედავთ, შოთა ბადრიძის დაკვირვებით, ლეონტი მროველი არ არის „ქართლის ცხოვრების“ არც ერთი თხზულების ავტორი და არავითარი ღვაწლი ამ ძეგლის მიმართ მას არ მიუძღვის. მკვლევრის ასეთი განწყობილების გამო არც გასაკვირია, მას იერიში, უპირველესად ყოვლისა, ლეონტის ღვაწლის მაუწყებელი იმ ანდერძის წინააღმდეგ მიაქვს, რომელიც ჩვენ ზემოთ მთლიანად მოტანილი გვაქვს. მკვლევარი ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ეს ანდერძი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში XIII საუკუნის დამდეგიდან შეინიშნება. მაგრამ ის იმასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ აღნიშნული ანდერძი „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში, რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებულად ითვლება, არ მოიპოვება. ხოლო ეს გარემოება მას თითქოს აძლევს საფუძველს ხსენებული ანდერძი გვიანდელ მოვლენად მიიჩნიოს და ის XIII საუკუნეში წარმოქმნილად გამოაცხადოს. ამასთან დაკავშირებით ის ხმამაღლა კითხულობს: „...რატომ გაჩნდა მემენტო (ხსენებული ანდერძი-მინაწერი იგულისხმება—კ. გ.) პირველად XIII საუკუნის დამდეგს რედაქტირებულ ანა დედოფლისეული ნუსხის დედანში?“ (გვ. 178). აშკარაა, თუ ეს ანდერძი „ქართლის ცხოვრებაში“ XIII საუკუნის დამდეგს გაჩნდა, მას არ შეიძლება მიეცეს დიდი მნიშვნელობა უფრო ადრინდელი ვითარების გასათვალისწინებლად. ხოლო, ამ ანდერძის უარყოფით, ცხადია, თეორია ლეონტი მროველის ავტორობის შესახებ, ძირგამორღვეული დარჩება,

ჩვენი დაკვირვებით, შოთა ბადრიძის მსჯელობა ამ ანდერძთან დაკავშირებით მართალი არ არის. მარტო ის გარემოება, რომ ეს ანდერძი „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში არ მოიპოვება, ოდნავადაც კი, საკმარისი არ არის მისი მნიშვნელობის უარსაყოფად. ობიექტურ მკვლევარს უთუოდ უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთი დიდი ძეგლის თარგმანთან, როგორც „ქართლის ცხოვრებაა“, და რაც მთავარია, მის შემოკლებულ თარგმანთან. პროფ. ილ. აბულაძის სიტყვით: „მკვლევართა უმრავლესობას ის ქართულიდან შესრულებულ შემოკლებულ თარგმანად მიაჩნია“[3] ასეთ პირობებში საკითხავია: საიდან იცის შოთა ბადრიძემ, რომ ეს ანდერძი ძველ სომეხ მთარგმნელს არ გამორჩებოდა, ან განზრახ არ გამოტოვებდა მას და უეჭველად თარგმნიდა სომხურად, რომ ის მაშინ „ქართლის ცხოვრებაში“ ყოფილიყო? ამის ნიშან-ყვალი, რასაკვირველია, არ არსებობს.

---

[2] გვერდების მითითება მრგვალ ფრჩხილებში, რომელიც ამ ნაშრომის ტექსტში ძოიპოვება, გულისხმობს შოთა ბადრიძის დასახელებული სტატიის ზემოაღნიშნულ პუბლიკაციას — კ. გ.

[3] ილ. აბულაძე, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ურთიერთობა წყაროსთან, მთარგმნელის ვინაობა და თარგმანის შესრულების დრო. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, თბილისი, 1953, გვ. 015.

მაშასადამე, ძველი სომხური თარგმანი XII საუკუნისათვის „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ანდერძის არარსებობის დასამტკიცებლად არ გამოდგება. ამ საკითხისათვის მხოლოდ ქართული ორიგინალის ჩვენებას ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ამასთან ერთად, მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს ამ ანდერძში ნახმარ ზმნას — აღწერას და კითხულობს: „ნიშნავს თუ არა ძველ ქართულში ზმნა — „აღწერა“ მხოლოდ შეთხზვას“ და თვითონვე უპასუხებს: „არა, არ ნიშნავს“ (გვ. 174).

ამის შემდეგ, შოთა ბადრიძეს მოაქვს მთელი წყება მაგალითებისა ძველ ქართულ მწერლობიდან, სადაც ეს ზმნა ნახმარია გადაწერის მნიშვნელობით და საბოლოოდ ასკვნის: „ამგვარად, ნათელია, რომ ზმნა „აღწერა“ გადაწერასაც ნიშნავდა“ (გვ. 175) ,ხოლო ყველაფერი ეს მკითხველის გაოცებასთან ერთად, ერო კითხვასაც ბადებს: რატომ ფიქრობს ავტორი, რომ ჩვენ მეცნიერებს: ივ. ჯავახიშვილს ექ. თაყაიშვილს, კ. კეკელიძეს, ნ. ბერძენიშვილს, ს. ყაუხჩიშვილს და სხვებს არ ესმოდათ, ან არ ესმით ახლაც დასახელებული ზმნის ორგვარი მნიშვნელობა? ნუთუ ცხადი არ არის, რომ ისინი ლეონტი მროველის ავტორობის საკითხს მის სახელთან დაკავშირებული ძეგლების ობიექტური მონაცემების მიხედვით წყვეტენ და არა მხოლოდ აღწერა—ზმნის ორმაგი მნიშვნელობის გამო.

ასე რომ, შოთა ბადრიძის ცდა დაადგინოს აღნიშნული ზმნის ორგვარი მნიშვნელობა, ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, ჯერ ერთი, ხსენებული ზმნის ასეთ გაგებას თავისთავად, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ლეონტი მროველის ავტორობის გასარკვევად. გარდა ამისა, აღნიშნული ზმნის ასეთი მნიშვნელობა დიდიხანია დადგენილია მეცნიერებაში — და მისი ხელახლა გარკვევის საჭიროება, რასაკვირველია, არ არსებობს.

ამის შემდეგ, შოთა ბადრიძე განიხილავს „ქართლის ცხოვრების“ მეორე ანდერძსაც, რომელიც არჩილ მეფის წამების ტექსტს უმეშვეოდ მისდევს და ღელისათვის ასე იკითხება:

„ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანთან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან. მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწეროთ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“[4].

როგორც ვხედავთ, ამ ანდერძში საუბარია „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაკვეთის „ჟამითი-ჟამად“ ე. ი. დრო და დრო აღწერა-შეთხზვის შესახებ. მკვლევარი აქ გარკვეულად ხედავს ერთგვარ წინააღმდეგობას „ქართლის ცხოვრების“ ამ ორ ანდერძს შორის: პირველ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, ეს ნაკვეთი, ლეონტი მროველის მიერ აღწერილად არის გამოცხადებული. აქ კი, მეორე ანდერძში, იგივე ნაკვეთი „ჟამითი-ჟამად“ აღწერილი გამოდის. წინააღმდეგობა აქ, რასაკვირველია, არის. მაგრამ ჩვენი მკვლევარი მართალი მაინც არ არის. საქმე ის არის, რომ შოთა ბადრიძე „ქართლის ცხოვრების“ პირველ ანდერძს კრიტიკულად უდგება და მას გვიანდელ მინაწერად აცხადებს კიდეც-

---

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 248.

მაგრამ ის ასეთივე მიდგომას არ ამჟღავნებს ამ ძეგლის მეორე ანდერძისადმი და ამ უკანასკნელს ღებულობს, როგორც თავდაპირველს და ხელუხლებელს. ეს მაშინ, როდესაც სწორედ ამ მეორე ანდერძში ბევრი რამ ბუნდოვანი და გასარკვევია. ხომ ცნობილია, აკად. კ. კეკელიძის კრიტიკული შენიშვნები სწორედ ამ ანდერძის შესახებ. მისი სიტყვით: ეს ანდერძი „ეკუთვნის ისეთ რედაქტორს, რომელსაც მეტად ყალბი შეხედულება ჰქონია ჩვენი ისტორიისა და ისტორიკოსების შესახებ, ჩაკერებულია ის ამ რედაქტორის მიერ უადგილო ადგილას, ხოლო ფრაზები ვახტანგისამდე და ვახტანგისითგან იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველია, რომ იმათგან რაიმე გადამწყვეტი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია“[5]. სრულიად დაუჯერებელია, იმავე მეცნიერის მიხედვით ანდერძის მითითება იმის შესახებ, თითქოს, ჯუანშერი არჩილ მეფის ძმისწულის ქმარი ყოფილიყო და სხვა. ასე რომ, აღნიშნული ანდერძის მითითებათა შეწყნარება წინასწარი კრიტიკული შეჯერების გარეშე, ჩვენ სახიფათოდ მიგვაჩნია, მით უფრო სამძიმოა გაზიარება იმ ცნობისა, რომელიც „მეფეთა ცხოვრების“ ჟამითი-ჟამად შეთხზვას შეეხება. ჯერ ერთი, ამ თხზულებაში საკმარისად იგრძნობა ერთიანი სტილი და შინაგანი კომპოზიციური მთლიანობა. გარდა ამისა, უთუოდ საგულისხმოა ხსენებული ძეგლის თავებად დაყოფის ის ნაკვალევი, რომელიც იქ დიდი ხანია შემჩნეულია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ[6]. თუ „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელი ყაუხჩიშვილისეული გამოცემის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს იქნება: „თავი მესამე“[7], „თავი მეოთხე“[8] და აგრეთვე ერთი ადგილი „მეფეთა ცხოვრებისა“ სადაც ავტორი თვითონ იმოწმებს თავის თხზულებას და ამბობს: „რომელი ზემო თავსა ვაჯსენეთ მიცემულად მირიანისგან, და იყო იგი მუნ ერისთავად“[9]. „მეფეთა ცხოვრების“ ეს ოდინდელი თავებად დაყოფის ნაკვალევი, რომელიც იქ დღემდე შემორჩენილია, თავის მხრივ, მეტყველებს ამ თხზულების სწორედ ერთიანი გეგმით დაწერის შესახებ. აშკარაა, „მეფეთა ცხოვრება“ იმ სახით, როგორც ის „ქართლის ცხოვრებაშია“ წარმოდგენილი: ერთი ავტორის თხზულებას წარმოადგენს და არავითარ დროდა დრო აღწერას იქ ადგილი არ ჰქონია. ამ მხრივ, უაღრესად მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიც, სადაც ეს ანდერძი თუმცა მთლიანად თარგმნილია, მაგრამ იქ სრულიად არაფერია ნათქვამი ამ კრებულის დასაწყისი ნაკვეთის „ჟამითი-ჟამად“ აღწერის შესახებ[10].

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ ორივე ანდერძის ობიექტურად შესწავლისა და კრიტიკულად შეფასების შემთხვევაში ადვილად ირკვევა, რომ შოთა ბადრიძის მსჯელობა, ამ ანდერძებთან დაკავშირებით, რაზედაც მას, არსებითად, ლეონტი მროველის ავტორობის უარყოფა დამყარებული აქვს, კრიტიკას ვერ უძლებს და მისი შემდგომი დასკვნებიც დამაჯერებლობას მოკლებულია. მაგალითისათვის, მივყვეთ ჩვენ კვალდაკვალ ავტორს და დავაკვირდეთ მის მიერ ლეონტის ავტორობის უარყოფის კონკრეტულ დასაბუთებას:

---

[5] კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 217.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1921, გვ. 171.

[7] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 17.

[8] იქვე, გვ. 60.

[9] იქვე, გვ. 71.

[10] „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953, გვ. 208.

„მეფეთა ცხოვრება“ არის „ქართლის ცხოვრების“ პირველი თხზულება, რომლითაც ეს კრებული, ჩვეულებრივ იწყება. მასში გაშუქებულია ქართველი ხალხის უძველესი ისტორია (წარმოქმნა, დამკვიდრება ამიერკავკასიაში და პირველ მეფეთა მოღვაწეობა; ქრონოლოგიურად ის მოიცავს პერიოდს უხსოვარ დროიდან—V საუკუნემდე ახ. წ.) „ქართლის ცხოვრების ამ თხზულების ავტორობა, როგორც ვნახეთ ლეონტი მროველს მიეწერება. შოთა ბადრიძის დაკვირვებით კი, ეს თხზულება უავტორო ძეგლია. ჩვენ გვინდოდა შეგვეჯერებინა კონკრეტულად ის არგუმენტები, რომელთა მიხედვით, ლეონტი მროველის ავტორობის უარყოფა „მეფეთა ცხოვრების“ მიმართ, მართლაც, მოსახერხებელი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით ჩვენ არა ერთხელ გადავიკითხეთ შოთა ბადრიძის ხსენებული ნაშრომი და სამწუხაროდ, არც ერთი ასეთი საბუთი ჩვენ იქ ვერ აღმოვაჩინეთ. გამოირკვა, რომ მკვლევარი დაკმაყოფილებულა იმით, რაც მას „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნულ ანდერძებთან დაკავშირებით ნათქვამი აქვს — და ამ უკანასკნელის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, საბოლოოდ, ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ამგვარი ფაქტები, საერთოდ, დამაჯერებლად უნდა უარყოფდეს იმ აზრს, თითქოს, მემენტოს ლეონტი არის ავტორი. ამ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილი ანონიმურ ნაწარმოებთა კრებულად იქნებოდა წარმოდგენილი და შემთხზველებიდან ჩვენ მხოლოდ ჯუანშერის სახელი გვეცოდინებოდა“ (გვ. 78) ერთადერთი, რასაც შოთა ბადრიძე ამას უმატებს შემდეგია: „რომ ლეონტი პირველ მემენტოში ავტორად არაა ცნობილი მიმწერთა მიერ, ამას ისიც მოწმობს, რომ ლეონტი მროველი არაა წმ. ნინოს ცხოვრების ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ აქ წერია: „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“-ო (გვ. 176) უცნაური მსჯელობაა! ირკვევა, რომ ლეონტი თუ „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ ავტორი არ აღმოჩნდა, ის არც „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი შეიძლება იყოს. ასეთი მსჯელობა, ჩვენი აზრით, მოკლებულია საფუძველს. აბა ერთი ვიკითხოთ: რით არის გამორიცხული ლეონტი მროველის ავტორობა „მეფეთა ცხოვრებაში“ მაშინ, როდესაც ის შეიძლება „ნინოს ცხოვრების“ ავტორი არ აღმოჩნდეს. სრულიად არაფერით. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ცოტა ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ლეონტი მროველი „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ ავტორი თუ არა, გადმომკეთებელი მაინც არის; ხოლო ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მის ავტორობას „მეფეთა ცხოვრებაშიც“ თვითონ შოთა ბადრიძის „თეორიის“ თანახმად, სრულიად არაფერი დაუდგება წინ!

ამასთან ერთად, მკვლევარი „მეფეთა ცხოვრების“ შესახებ, ერთგვარ პოზიტიურ დაკვირვებასაც იძლევა. ის უარყოფს რა საბოლოოდ, ლეონტი მროველის ავტორობას ამ თხზულებაში, იქვე სქოლიოში საგანგებოდ შენიშნავს: „საკითხის ამგვარი დასმით კიდევ უფრო ნათელი ხდება ის ხაზი კვლევისა, რომ უძველესი ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“ არ შეიძლება დაწერილი იყოს VIII საუკუნის შემდეგ. ეს ნიშნები ასეთი თარიღისათვის შემდეგია. არაა ასახული ის სიძულვილი, რომელიც სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ დამყარდა. ტექსტში არაა ცნობილი გეოგრაფიული სახელი „აფხაზეთი“ და მის მაგიერ ყველგან „ეგრისი“ არის ხმარებული“ (გვ. 178) აქ აღნიშნულ მოსაზრებათა შესახებ საჭიროა ითქვას შემდეგი: დებულება „მეფეთა ცხოვრების“ VIII საუკუნეში დაწერის შესახებ ახალი არ არის. პირველად ეს აზრი

ნიკო მარმა გამოთქვა[11]. ამის შემდეგ, ის გაიმეორა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ და მის დასაბუთებას შეეცადა[12]. აქ რომ შოთა ბადრიძეს ეს გარემოებაც გაეხსენებინა, რასაკვირველია, არ იქნებოდა ურიგო; მაგრამ ეს სხვათა შორის, არსებითად კი, ვერც ნიკო მარმა, თავის დროზე და, ვერც მ. თარხნიშვილმა და პ. ინგოროყვამ ვერ შეძლეს ამ დებულების საკმარისად დასაბუთება და ის არასოდეს არ ყოფილა შეწყნარებული სპეციალურ ლიტერატურაში. სამწუხაროა, რომ შოთა ბადრიძე ამ დებულებას კვლავ იმეორებს, მაგრამ იმასაც არავითარი დამაჯერებელი საბუთი არ მოეპოვება მის დასამტკიცებლად.

მართალი არ არის მკვლევარი, როდესაც ფიქრობს, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ სომეხ-ქართველთა სიძულვილის არარსებობის ფაქტი (მხედველობაში აქვს სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგი პერიოდი) თითქოს, ამ თხზულების ადრინდელობის მაჩვენებელი იყოს. ამ შემთხვევაში, დავიწყებულია ის გარემოება, რომ **„ქართლის ცხოვრება“ პრინციპულად,** არ იყო ხალხთა შორის სიძულვილის მქადაგებელი და ამ ხაზისათვის მას, არც სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ უღალატნია. მის შემდეგ, რაც სომეხთა და ქართველთა გზები გაიყო და ისინი ეკლესიურად დაშორდნენ ერთი მეორეს (VII ს.) „ქართლის ცხოვრებაში“ შესაძლებელია, ადამიანი შეხვდეს პრინციპულ დავას, კამათს საეკლესიო საკითხებზე (თუ ვის უჭირავს ჭეშმარიტი სარწმუნოება), მაგრამ სიძულვილს არასოდეს. პირიქით, განხეთქილების შემდეგაც „ქართლის ცხოვრების“ ავტორები შეუნელებელი ყურადღებით აშუქებენ სომეხ-ქართველთა ტრადიციულ მეგობრობას, მათ სახელმწიფოებრივ თანამშრომლობას თუ იარაღით ხელში ერთად ბრძოლას, საერთო მტრის წინააღმდეგ. რაც შეეხება, საეკლესიო-დოგმატიკურ წინააღმდეგობას და ამ ნიადაგზე აღმოცენებულ დაპირისპირებას, მკვეთრად არის წარმოდგენილი „მეფეთა ცხოვრებაშიც“. ასე მაგალითად, თუ ადრე კირიონ კათალიკოზი (VII ს.) „ქართული ეკლესიის მხნე დარაჯი“, როგორც მას ივ. ჯავახიშვილი უწოდებს, ქართლის განმანათლებლადაც გრიგოლ პართელს მიიჩნევდა და სომეხ-ქართველთა საერთო, საეკლესიო საწყისებს გახაზავდა, „ქართლის ცხოვრებაში“, ამ მხრივ სულ სხვა სურათია წარმოდგენილი. საქართველოსათვის იქ გამოძებნილია თავისი საკუთარი განმანათლებელი: ქართლისათვის (აღმოსავლეთი საქართველო)—მოციქულთა სწორი ნინო კაბადოკიელი, ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის ანდრია მოციქული, პირველწოდებული.

აღნიშნული მოვლენის გასაშუქებლად „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის მიერ გადადგმულია ორი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი. ჯერ ერთი, მას „მეფეთა ცხოვრებაში“ ქრონოლოგიურად შესატყვის ადგილას („აღერკი მეფის ცხოვრება“) შეუტანია საკმაოდ ვრცელი თხრობა დასავლეთ საქართველოში ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელის საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ. გარდა ამისა, მასვე ნინო მოციქულთა სწორის მოღვაწეობის გასაშუქებლად მოუთავსებია სპეციალურად გადმოკეთებული თხზულება სათაურით: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარი-

[11] Кавказский вестник, 1902, № 3.

[12] პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, 1941, გვ. 103.

სა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ". ამგვარად, „ქართლის ცხოვრებაში" წარხოცილია ყოველგვარი ნიშან-კვალი ქართველ-სომეხთა ეკლესიების საერთო საწყისების შესახებ, და იქ ეროვნული მიმართულებაა აღიარებული. ანდრია პირველწოდებულისა და ნინო მოციქულთა სწორის საქართველოს განმანათლებლად აღიარებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ივანე ჯავახიშვილი[13]. მისი დაკვირვებით, ეს იყო გარკვეული ლოგიკურ-ისტორიული პასუხი, რომელიც გასცა ქართველმა საზოგადოებამ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ფაქტს. მისი აზრით, ნინო მოციქულის ცხოვრება, რომელშიც გაშუქებულია მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა საქართველოში, შეთხზული უნდა იყოს არა უადრეს IX საუკუნისა[14], ხოლო მისი გადაკეთება და „ქართლის ცხოვრებაში" შეტანა კიდევ უფრო გვიან, — XI საუკუნეში უნდა იყოს მომხდარი. რაც შეეხება თქმულებას ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, იმავე, XI საუკუნეს განეკუთვნება (მანამდის ის მხოლოდ სკვითეთის განმანათლებლად ითვლებოდა), ხოლო ის გარემოება, რომ ეს თქმულება (ანდრია მოციქულის შესახებ). უკვე „მეფეთა ცხოვრებაშია" შეტანილი, ივანე ჯავახიშვილს აძლევდა საფუძველს გადაჭრით ეთქვა: „ამის გამო, შეუძლებელია ლეონტი მროველს XI საუკ. ადრე ეცხოვრა"[15]. მაშასადამე, არც „მეფეთა ცხოვრება", რომელიც ხსენებულ მწერალს მიეკუთვნება იმავე ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, არ შეიძლებოდა ამაზე უწინარეს ყოფილიყო დაწერილი. გარდა ამისა, დიდი მკვლევარი ყურადღებას მიაქცევდა ხსენებული ძეგლის ენობრივ მხარესაც, რომ „მეფეთა ცხოვრების" ენა უფრო ახალ ქართულია, ვიდრე ძველი, რაც აგრეთვე XI საუკუნისაკენ ეწევა ამ ძეგლს.

ვერც ის გარემოება, რომ ლეონტი მროველი არ იცნობს „აფხაზეთს" დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით და „მეფეთა ცხოვრებაში", ამ მიზნით ყველგან ადრინდელი სახელი „ეგრისია" ნახმარი, ჯერჯერობით, ვერაფერს შეცვლის. ზემოაღნიშნულ კონცეფციაში. „მეფეთა ცხოვრებაში" დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად ეგრისის ხმარება შესაძლებელია მისი ავტორის მეთოდოლოგიური პრინციპებითაც აიხსნას. ვინაიდან ავტორს, ამ შემთხვევაში. საქმე ჰქონდა ეგროსის ნათესაობის მიერ დასახლებულ ქვეყანასთან, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის აღსანიშნავად მას მხოლოდ ეგრისი ეხმარა — მისივე თეორიით ყოველი ქვეყანა, თუ ცალკე აღგილი, სახელწოდებას თავისივე მოსახლეობის მამამთავრისაგან დებულობდა. ასე მაგალითად: ქართლოსი—ქართლი; კახოსი—კახეთი; ჰეროსი—ჰერეთი; მცხეთოსი — მცხეთა; ოძრჯოსი—ოძრჯე და სხვა ამის მსგავსად. ასე რომ, ამ თეორიის მიხედვით, ეგროსის ნათესაობის საყოფელ ქვეყანას სხვა არაფერი შეიძლებოდა რქმეოდა, თუ არა ეგრისი. ამგვარად, „მეფეთა ცხოვრებაში" ეგრისის ხმარება დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით, ჩვენ კანონზომიერ მოვლენადაც მიგვაჩნია. გარდა ამისა, საფიქრებელია, ჩვენ აქ ავტორის ისტორიულ პერსპექტივასთანაც

---

[13] ეს მოვლენა ი. ჯავახიშვილმა სპეციალურად შეისწავლა და მას ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა: „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში" (იხ. „მოამბე", 1900, №№ V, VI).

[14] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1921, გვ. 83.

[15] იქვე, გვ. 170.

გვქონდეს საქმე, რადგანაც ლეონტი მროველი თავის თხზულებაში დასავლეთ საქართველოს ეხებოდა დასაბამიდან V საუკუნემდე (ახ. წ.). შესაძლებელია ამ მხარის აღსანიშნავად ის იმ სახელს ხმარობდა, რომლითაც ის ძველად (VIII საკ-მდე) იყო ცნობილი და არა აფხაზეთს, რომელიც მის თანამედროვე ხანაში (XI ს.) ჩვეულებრივ იყო ხმარებული. ასევე გამორიცხული არ არის ლეონტი მროველთან ჩვენ საქმე გვქონდეს მისი წყაროების ღირსება-ნაკლოვანებათა გამოვლინებასთან. „მეფეთა ცხოვრებაში“ ასეთ გამოვლინებად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ერთი წყება ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებისა, რომელიც უფრო ადრინდელ ვითარებას შეესატყვისება, ვიდრე ამას ლეონტის ხანაში (XI ს.) ჰქონდა ადგილი. ასეთია ის პირდაპირი, თუ არაპირდაპირი მონაცემები, რომელიც ისტორიულ მეცნიერებას „მეფეთა ცხოვრებასთან“ დაკავშირებით დღეს-დღეობით გააჩნია.

მეორე თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“, აგრეთვე ლეონტი მროველს განეკუთვნება „ნ ი ნ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ა“. მასში ვრცლად მოთხრობილია, როგორც ქართველთა განმანათლებლის, საკუთრივ, ნინოს ცხოვრება, ისე ქართლის მოქცევა-გაქრისტიანების ამბავიც.

მკვლევარი შოთა ბადრიძე უარყოფს ამ შემთხვევაშიც, ლეონტი მროველის ავტორობას და მკვეთრად ილაშქრებს ასეთი ანდერძმინაწერის „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნუსხებში, საერთოდ, არსებობის წინააღმდეგ. მისი სიტყვით, ნათელია, ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ იმ დედანს, რომელიც სომეხ მთარგმნელს ჰქონდა ხელთ, საერთოდ, წარმოუდგენელია ჰქონებოდა ისეთი ანდერძმინაწერი, სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ ლეონტი მროველმა შეთხზა, ან გადააკეთა ეს თხზულება, ვინაიდან ნინოს ცხოვრება, როგორც ეს კარგად აქვს ნაჩვენები ივ. ჯავახიშვილს, თავისთავად წარმოადგენს ფსევდოეპიგრაფიკულ ძეგლს“. (გვ. 176). აქ, ჩვენ ყურადღებას ძალაუნებურად ავტორისეული ორი დებულება იპყრობს: ლეონტი მროველი „ნინოს ცხოვრების“ არც შემთხზველია და არც გადამკეთებელი და რაც მთავარია, აღნიშნულის საფუძველი ის ყოფილა თურმე, რომ ივ. ჯავახიშვილს დაუმტკიცებია „ნინოს ცხოვრების“ ფსევდოეპიგრაფიკული ხასიათი. საკმაოდ უცნაური მსჯელობაა! ნუთუ შესაძლებელი არ არის ფსევდოეპიგრაფიკული ძეგლი დროთა განმავლობაში ვინმემ გადააკეთოს, გადაამუშაოს და ასეთი უავტორო თხზულება, თავის მხრივ, გახდეს წყარო ახალი ავტორის ანალოგიური შემოქმედებისა?, ვფიქრობთ ასეთი რამ არამცთუ გამორიცხული არ არის, პირიქით, ამის დამადასტურებელი მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას არაერთი მოეპოვება. მაგრამ კიდევ უფრო საკვირველი ის გარემოებაა, რომ მკვლევარს თავისი დებულების დასადასტურებლად მოტანილი აქვს და გაუხაზავს კიდეც აკად. ივ. ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები. „შეუძლებელიც არის, რომ ავტორი დასახელებულ ყოფილიყო, რადგან თვით თხზულება წ-ა ნინოს ანდერძია... მისივე ნაამბობი სიტყვა-სიტყვითაა ჩაწერილი“ (გვ. 177). ასეთი რამ ივ. ჯავახიშვილს მართლაც აქვს ნათქვამი, მაგრამ შოთა ბადრიძე მართალი მაინც არ არის. ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული შეფასება ეხება „ნინოს ცხოვრების“ მხოლოდ უძველეს, შატბერდისეულ ვარიანტს, რომელიც მისივე დაკვირვებით შემუშავებული უნდა იყოს არა უადრეს IX საუკუნისა და არავითარ შემთხვევაში ის არ გულისხმობს იმ თხზულებას, რომლის სათაურია: „მოქცევა მირიან მეფისა და

მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინოს ციქულისა მიერ“, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი[16]. ეს უკანასკნელი, ივ. ჯავახიშვილს უავტორო თხზულებად როდი მიაჩნია. პირიქით, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაკვეთის თავებად დაყოფასთან დაკავშირებით, ის აღნიშნავდა: „რაკი ლეონტი მროველის თხზულების მეორე ნაწილი — სწორედ ეს ძეგლი იგულისხმება, ბოლო ფურცლებს გარდა, თითქმის, მთლად შატბერდისეულ წ[ა] ნინოს ცხ[ო]ვ[რ]ებ[ი]ს-განარის ნასესხები, ამიტომ აქ მოთხრობა განსაკუთრებულ თავებად დაყოფილი არ არის, არამედ აქა-იქ შერჩენილია იგივე სათვალავები და სათაურები, რომლებიც შატბერდისეულ წ[ა] ნინოს ცხ[ო]ვ[რ]ებ[ა]ში მოიპოვება“[17]. ამგვარად, შოთა ბადრიძის მიერ მოხმობილი დამოწმება აქ მიზანშეწონილად გაკეთებული არ ჩანს. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ირკვევა, რომ ლეონტი მროველს სწორედ შატბერდისეული „ნინოს ცხოვრების“ კვალობაზე შეუთხზავს (გადმოუკეთებია) მის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი ვრცელი თხრობა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ. ასე, რომ, „ქართლის ცხოვრების“ ანდერძმინაწერის მითითება ლეონტი მროველის მიერ „ნინოს ცხოვრების“ აღწერის შესახებ, მხოლოდ ამ უკანასკნელს გულისხმობს და არა „ნინოს ცხოვრებას “საზოგადოდ. რაც შეეხება ლეონტი მროველის ღვაწლს ამ დიდ მატიანეში შეტანილი თხზულების მიმართ, რომლის სათაურია: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა...“ და სხვა, შოთა ბადრიძეს თავის სტატიაში განხილულიც არ აქვს.

მესამე თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“, ლეონტი მროველს სახელს უკავშირდება — „არჩილ მეფის წამებაა“. დღეისათვის არსებობს აღნიშნული წამების ორი რედაქცია. მოკლე და ვრცელი (მეტაფრასული). აკად. კ. კეკელიძის დაკვირვებით, პირველი, თითქოს, უცვლელად განმეორებულია მეორეში. „არჩილის წამების“ სწორედ ეს მოკლე რედაქცია „ქართლის ცხოვრებაშია“ მოთავსებული, შოთა ბადრიძე თავის სტატიაში, ეხება „არჩილის წამებასაც“ და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი თხზულებაა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომელთან დაკავშირებით ის აღიარებს, ლეონტი მროველის ავტორობას, მაგრამ „არჩილის წამებისა“ კი არა, არამედ „რომელიღაც საეკლესიო მატიანესი, რომლიდანაც შემდგომში არჩილის წამება ქართლის ცხოვრებაში შეუტანიათ“ (გვ. 179). ზუსტად სამოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ საკითხის შესახებ ასეთივე დასკვნა გააკეთა ისტორიკოსმა თ. ჟორდანიამ. ოღონდ აღნიშნული თეორია მაშინ არაფრით დასაბუთებული არ ყოფილა, ამიტომ ვერც მოიპოვა სათანადო შეწყნარება ქართულ საისტორიო მწერლობაში. სამწუხაროა, მხოლოდ, რომ შოთა ბადრიძემ ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ამ ხნის განმავლობაში, უკეთესი ვერაფერი ნახა და იძულებული გამხდარა სხვისი, ისიც დაუსაბუთებელი მოსაზრება გაიმეორებინა. თავისი მსჯელობის საფუძვლად მას გამოყენებული აქვს ის ანდერძისმაგვარი ჩანაწერი, რომელიც გააჩნია „არჩილის წამების“ როგორც მოკლე, ისე მეტაფრასულ რედაქციებს. „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ძეგლს ახლავს ასეთი შენიშვნა: „წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რო-

[16] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წინათ და ახლა, წიგ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1921, გვ. 170.

[17] იქვე, გვ. 171.

მელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა“[18]. როგორც ვხედავთ, ეს ანდერძის მაგვარი ჩანაწერი იმდენად დამახინჯებულია, რომ დიდიხანია მას დაუკარგავს ქვემდებარე და დღეს უკვე არა ჩანს, თუ ვინ იპოვა ეს ძეგლი „ესრეთ სულ მცირედ აღწერილი“. აშკარაა, რომ ამ ანდერძს ჩვენ დრომდე თავდაპირველი სახით არ მოუღწევია. მიუხედავად ამისა, შოთა ბადრიძეს ის ზედმიწევნით სანდო წყაროდ ეჩვენება და ამის მიხედვით ასეთ მსჯელობას გვთავაზობს: „ამრიგად, ამ მინაწერში ნათქვამია — ეს ნაწარმოები ვიპოვეთ და არაფერი არ შეგვიცვლია ,ისევე შევიტანეთ „ქართლის ცხოვრებაშიო“... (გვ. 177). როგორც ვხედავთ, ეს ადგილი ავტორს ნებისმიერად აქვს კომენტირებული. სინამდვილეში კი, ნათქვამია: ეს „არჩილის წამება“ იპოვა (!) ასე ძალიან მოკლედ აღწერილი, რომელიც არეულობის („ჟამთა შლილობის“) გამო, როგორც საჭირო იყო ისე ვერავის დაეწერაო. სხვაობა, როგორც ვხედავთ, არსებითია.

გარდა ამისა, შოთა ბადრიძე უმართებულოდ გვეკამათება ჩვენ „არჩილის წამების“ მეტაფრასტული რედაქციის ანდერძმაგვარის გაგებაში. ერთ ჩემ ნაშრომში ლეონტი მროველის შესახებ მე ყურადღებას მივაქცევდი იმ გარემოებას, რომ ხსენებულ მეტაფრასტში არჩილის წამების ავტორად ლეონტი მროველია დასახელებული და ამისათვის იქ „ქართველთა ცხოვრება“ ან „ქართლის ცხოვრება“ იყო დამოწმებული. ამას მე თავის მხრივ დავსძენდი: „ქართლის ცხოვრებაში“ კი, გარეშე ამ ანდერძისა (მხედველობაში მქონდა „ქართლის ცხოვრების ზემოაღნიშნული, პირველი ანდერძი) როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის მიერ არჩილის წამების აღწერის შესახებ არსად არაფერია ნათქვამი“[19]. ამით მე მინდოდა „ქართლის ცხოვრების“ ამ ანდერძის სინამდვილე კიდევ ერთხელ გამეხაზა. შოთა ბადრიძის განცხადებით: „არჩილის ცხოვრების მეტაფრასტული რედაქციის ეს ადგილი სათანადოდ არაა გაგებული და მას სხვაგვარი ახსნა ესაჭიროება“ (გვ. 178). თუ როგორია ამ ადგილის მისებური გაგება და ეს „სხვაგვარი ახსნა“ ამას მკვლევარი ცოტა ქვემოთ გვაუწყებს: ის განიხილავს აღნიშნული მეტაფრასის ანდერძმაგვარის მითითებას, და ამბობს: „აქ როგორც ვხედავთ, სულ სხვა რამაა ნათქვამი; კერძოდ: არჩილის მარტვილობა თავის დროს მისივე თანამედროვის ლეონტი მროველის მიერ იყო აღწერილი და ეს ამბავი ჩვენ ვიცით „მატიანე ქართველთა ცხოვრებიდან“, მაგრამ დასძენს მემეტაფრასტე, ლეონტის მიერ აღწერილი ვრცელი ცხოვრება... ჩემს დროს „ჟამთა მომყოვრებითა“ დაკარგულია, ჩვენამდე ვეღარ მოუღწევია და მეც არა მინახავსო“ (გვ. 179) აქ, უთუოდ გაუგებრობას აქვს ადგილი: ჩემ ნაშრომში მე, ხსენებული ანდერძის კომენტირების მიზანი არ მქონდა და არც მიცდია. მე მახსოვდა დიდი ქართველი მეცნიერის აკად. კ. კეკელიძის მითითება, რომელიც მას სწორედ ამ ანდერძმაგვარის შესახებ დიდი ხანია ნათქვამი აქვს: „...როგორც ის არაა მართალი, რომ ლეონტის არჩილის ცხოვრება ..ვრცლად აღუწერია“, ისე არც ისაა მართალი, ვითომც ის ლეონტი „მის ჟამისა“, ესე იგი არჩილის დროის, მაშასადამე, მერვე საუკუნის მწერალია“[20]. აშკარაა, არჩილის მეტაფრასტული წამების ამ ანდერძს საგანგებო შეჯერება და

---

[18] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 248.

[19] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ლეონტი მროველი XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. თბილისის სახუნივერსიტეტის შრომები, ტ. 87, 1960, გვ. 223.

[20] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი 1951, გვ. 213.

კრიტიკული შესწავლა ესაჭიროება. მით უფრო, თუ ხსენებული მეტაფრასის, მაშასადამე, ეს ანდერძიც, როგორც ამას თვითონ შოთა ბადრიძე აღნიშნავს (გვ. 179) XVIII საუკუნეშია დაწერილი, მეტი სიფრთხილეა საჭირო. ყოველ შემთხვევაში, ის, რასაც შოთა ბადრიძე აღნიშნულ ანდერძთან დაკავშირებით ამბობს, მე არ მეხება და ჩემი ნათქვამის გასწორებას არ წარმოადგენს.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ განმარტებასაც, რომელიც წარმოდგენილია შოთა ბადრიძის მიერ, არჩილის მეტაფრასში დამოწმებული „მატიანე ქართველთა ცხოვრებასთან“ დაკავშირებით. მისი სიტყვით: „ნათელია, რომ საერთოდ შეუძლებელია იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს არჩილის მეტაფრასტული ცხოვრების ავტორის მიერ დასახელებული „მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“ იგივე „ქართლის ცხოვრებაა“—გვ. 179). ჩვენი დაკვირვებით, არავითარი საფუძველი აღნიშნული იგივეობის გამოსარიცხად სინამდვილეში არ არსებობს. პირიქით, „ქართველთა ცხოვრების“ და „ქართლის ცხოვრების“ იგივეობა სპეციალურ ლიტერატურაში საკამათო არასოდეს არ ყოფილა. ხოლო მატიანე, როგორც ეს დიდი ხანია გარკვეულია ივ. ჯავახიშვილის მიერ, იგივე ისტორიაა. ასე რომ „მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“ სხვა არაფერია, თუ არა: ისტორია ქართველთა ცხოვრების, ან „ქართლის ცხოვრების“. ამგვარად, აშკარაა, „ქართველთა ცხოვრების“ წინ ზედმეტად ნახმარი მ ა ტ ი ა ნ ე აქ სრულიად არაფერს ცვლის, პირიქით, აძლიერებს კიდეც, „ქართველთა ცხოვრების“, როგორც საქართველოს ისტორიის მნიშვნელობას. რომ „მატიანე ქართველთა ცხოვრებას“ შეუძლებელია სხვაგვარი ახსნა მოეძებნოს, მშვენივრად დასტურდება თვითონ შოთა ბადრიძის სიტყვებითაც. აღნიშნული ცნების გასამარტავად მას სხვა ვერაფერი მოუხერხებია გარდა იმისა, რომ ეთქვა: „სინამდვილეში, როგორც ვიცით, არჩილის ამ მეტაფრასტული ცხოვრების ჩვენებით, „ქართლის ცხოვრება“ არის არა „მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“, არამედ „ქართველთა ცხოვრების“ წიგნი, სადაც მოთავსებული ყოფილა არჩილის ის ცხოვრება, რომელიც, „სულ მცირედაღწერილ არს“ (გვ. 179) ამის თქმას, რასაკვირველია, უთქმელობა ჯობდა. არსებითად აქ არავითარი განმარტება წარმოდგენილი არ არის. მკვლევრის სიტყვით: „ქართლის ცხოვრება“ „ქართველთა ცხოვრების“ წიგნი ყოფილა, მაგრამ რა არის „მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“ ის სრულიად არაფერს გვეუბნება. დასასრულ, გაოცებას იწვევს ისიც, რომ შოთა ბადრიძე ჩვენ გვისაყვედურებს არჩილის წამების მეტაფრასტული ანდერძით სარგებლობას და ამის გამო აღნიშნავს კიდეც: „გასაგებია, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი რედაქციების კრიტიკისათვის XVIII საუკუნეში შექმნილ ამგვარ მასალას არ შეიძლება სერიოზული ღირებულება გამოუცხადოთ“; (გვ. 179) მაგრამ მკვლევარი ამას ამბობს მაშინ, როდესაც თვითონ, სწორედ ამ „მასალით“ საკმაო გრძელ მსჯელობას ეწევა, ხოლო ერთგან (გვ. 179) ის ხსენებული ანდერძის მითითებას, „მშვენიერ ჩვენებასაც“ კი უწოდებს და ამის მიხედვით, გაბედული დასკვნების გაკეთებასაც არ ერიდება!.

ასეთია მკვლევარ შოთა ბადრიძის მსჯელობა და მისი საფუძვლიანობაც ლეონტი მროველის ავტორობასთან დაკავშირებით. სარეცენზიო ნაშრომი უთუოდ ტენდენციურია. ავტორი მეტისმეტად დაჯერებულია თავისი არგუმენტების სისწორეში, ამიტომ მისი დასკვნებიც, ხშირად, კატეგორიულია. მიუხედავად ხსენებული ნაშრომის ასეთი ნაკლოვანი მხარეებისა, ის საკმარისად ამჟღავნებს

მისი ავტორის მოსაწონ ზოგადსა და სპეციალურ განათლებას და რაც მთავარია, ასეთ პრობლემებზე შეუპოვარი მეცნიერული-მუშაობის უნარს! ასეთ გზაზე მკვლევარს ძალიან რთული პრობლემისათვის მოუკიდია ხელი, შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ლეონტი მროველის ავტორობის პრობლემა, ერთ-ერთი ურთულესია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

განსაკუთრებულ სირთულეს, ამ შემთხვევაში, ის გარემოება ქმნის, რომ ლეონტის სახელით ცნობილი თხზულებები გარეშე „ქართლის ცხოვრებისა" შემონახული არ არის, ხოლო „ქართლის ცხოვრების" ადრინდელი ნუსხებიც (XV საუკუნეზე წინარე ხანისა) ჩვენ არ მოგვეპოვება. ასე რომ, მეცნიერება მოკლებულია საშუალებას იქონიოს სათანადო წარმოდგენა ლეონტი მროველის სახელთან დაკავშირებული ძეგლების უფრო ადრინდელი ვითარების შესახებ. მაგრამ როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს პრობლემა, თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა წყალობით, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ლეონტი მროველი არ არის შემთხვევით მოხვედრილი პიროვნება „ქართლის ცხოვრებაში" და მისი ღვაწლი ამ კრებულის მიმართ საკმარისად თვალსაჩინოა. დამოუკიდებლივ იმისა, თუ როგორ იქნება გაგებული „ქართლის ცხოვრების" პირველ ანდერძში ნახმარი ზმნა აღწერა (ე. ი. არის თუ არა ის: „მეფეთა ცხოვრების", „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის" და „არჩილის წამების" დამწერი, თუ მათი გადამწერ-გადამკეთებელია მხოლოდ) სულერთია, სამივე თხზულებას ლეონტის ხელთ გამოუვლია და თითოეულს მისი მეშვეობით დაუკავებია „ქართლის ცხოვრებაში" თავისი კუთვნილი ადგილი. ამასთან ერთად, თუ ჩვენ იმასაც გავიხსენებთ, რომ ლეონტის უთარგმნია, როგორც შესავალი ამ კრებულისათვის, ფსევდოეფრემის „განძთაქვაბი" და მასვე შეუტანია ამ კრებულში „ვახტანგის ცხოვრებაც", ცხადი იქნება, რომ მისი სახით ჩვენ „ქართლის ცხოვრების" ნამდვილ ფუძემდებელთან გვაქვს საქმე. მომავალში, შესაძლებელია, რამე ახალი მასალა აღმოჩნდეს, დაზუსტდეს, შესწორდეს, ან სრულიად შეიცვალოს დღემდე შეწყნარებული რომელიმე დებულება ლეონტი მროველის შესახებ, მაგრამ, ჯერჯერობით, მისი ღვაწლი (ავტორობის) უარყოფას „ქართლის ცხოვრებაში" არ გააჩნია არავითარი საფუძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან

ვ. საბახტარაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ვ. ი. ქარჩავამ თავისი მეცნიერული გამოკვლევა — „საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან დასავლეთ საქართველოში 1918 წელს“ — მიუძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

საზეიმო ვითარებაში ბევრმა ქართველმა ისტორიკოსმა თავისი სიხარული და მშობლიური ქვეყნის ისტორიის უსაზღვრო სიყვარული ჩააქსოვა ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნაში. ბევრი მონოგრაფია მიეძღვნა ჩვენი სამშობლოს წარსულს, მშრომელთა თავდადებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას მუშათა კლასის და უღარიბესი გლეხობის დასარაზმავად დიადი მიზნის მიღწევისათვის.

ვ. ქარჩავამ სპეციალური კვლევის ობიექტად გაიხადა დასავლეთ საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, წარმოადგინა მეტად საინტერესო მასალები, ბრძოლის ბევრი გმირული ეპიზოდი, გამოჩენილ რევოლუციონერთა მოღვაწეობის ამსახველი ფურცლები. ავტორმა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე შეძლო სწორი ანალიზის გაკეთება ცალკეული რთული მოვლენებისათვის და, უდავოა, ამით ერთგვარი წვლილი შეიტანა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის უკეთ შესწავლის საქმეში. ავტორმა ამ გამოკვლევაში პირველად განიხილა ერთ მთლიანობაში სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის გლეხთა აჯანყება, გააშუქა რაჭის მშრომელთა მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, რაზეც მანამდე სპეციალური გამოკვლევა არ დაწერილა. მდიდარი საარქივო მასალების დამუშავების საფუძველზე მან გადმოსცა დასავლეთ საქართველოს წითელ რაზმელთა რევოლუციური მოღვაწეობის ცალკეული მომენტები ჩრდილოეთ კავკასიაში 1918 წელს.

საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის გაშუქებული აქვთ ისტ. მეცნ. დოქტორს ი. მელქაძეს („ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამეგრელოში“, „ს. გეგეჭკორი და სამეგრელოს გლეხთა აჯანყება“), ისტ. მეცნ. დოქტორს ნ. ჩახვაშვილს („ლეჩხუმის გლეხთა აჯანყება 1918 წელს“) და გ. ყურაშვილს („ლეჩხუმის გლეხთა აჯანყების ზოგიერთი მომენტი“), მაგრამ დასახელებულ ისტორიკოსებისაგან განსხვავებით სარეცენზიო შრომის ავტორი ერთ მთლიანობაში იხილავს სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ავტორი მოკლედ გადმოგვცემს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელების მონაწილეობას ამ ბრძოლაში, მოგვითხრობს, თუ როგორ ედგნენ ისინი მხარში ქართველ ხალხს მენშევიკური ხელისუფლების დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში.

ვ. ქარჩავა მარჯვედ იყენებს ვ. ი. ლენინის შესანიშნავ დახასიათებას, რომ უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ, რომელმაც მთელი სიძლიერით თავი იჩინა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისთანავე, წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავის სიმრავლით, არამედ იდეურადაც, გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე[1]. ვ. ი. ლენინის მიერ იმ პერიოდის ვითარების შეფასება საქართველოს სინამდვილესაც შეეხებოდა, რადგან თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ სათანადო განვითარება ვერ პოვა ამ მხარეში. მას ფაქტიურად არ შეუცვლია საქართველოს მშრომელების მდგომარეობა, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გავლენა იქონია მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაზე და მეფის რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეების მშრომელთა რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა.

რსდმპ კავკასიის კომიტეტის ხელმძღვანელობით იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი აკავშირებდა მშრომელთა დიად კავშირს, რაზმავდა მათ დიადი მიზნის პრაქტიკულად განხორციელებისათვის — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში. ეს ის პერიოდი იყო, როცა მენშევიკებმა საქართველოს წაუბრძგეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ჩააგდეს იგი იმ გაშლილ ბადეში, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმს ხელში ეჭირა. მენშევიკური მთავრობის მეთაური ჟორდანია ფიცს აძლევდა გერმანელებსა და ინგლისელებს და აშკარად ამბობდა: „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო“[2].

წიგნის ავტორს საქართველოში მენშევიკების ბატონობის მძიმე უღელი კარგად აქვს დახასიათებული. იგი ააშკარავებს მენშევიკური მთავრობის თვალთმაქცობას „საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ“.

საქართველოში მაშინ შექმნილი მდგომარეობის გადმოსაცემად სარეცენზიო წიგნის ავტორს მოჰყავს ვ. ი. ლენინის დახასიათება კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ,—წერდა მაშინ ვ. ი. ლენინი,—კავკასიაში ჩვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან ირგვლივ მათ ღალატობდნენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს ჰკრავდნენ დაცვის საბაბით. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარად მოტყუებად იქცა, სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია, და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანელი ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

ვ. ქარჩავა გადმოგვცემს საქართველოს მშრომელი ხალხის მდგომარეობას და მკითხველი მიჰყავს იმის გაგებამდე, თუ რა იყო მიზეზი გლეხთა მღელვარებისა, მათი აჯანყებისა და მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მათი ბრძოლისა. ავტორს სააშკარაოზე გამოაქვს ბოროტი ზრახვები მენშევიკებისა, რომლებიც „საქართველოს დამოუკიდებლობის“ შენარჩუნების საბაბით თანხმობის კვერს ურტყამდნენ უცხოეთის იმპერიალისტებს, საქართველოს ოკუპანტებს.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 53.

[2] იხ. სარეცენზიო წიგნი გვ. 7,

წიგნის პირველ თავში — „ზუგდიდისა და სენაკის მაზრების მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის 1918 წელს“, — ავტორი სათანადო ადგილს უთმობს ქართველი ბოლშევიკების იმ ენერგიულ მუშაობას, რომელიც მათ გასწიეს ბრესტის ზავის სასარგებლოდ. როგორც ცნობილია, ბრესტის ზავის პირობები მენშევიკებმა არ მიიღეს და ისინი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალ-ახალ პროვოკაციებს თითხნიდნენ; ისინი გაჰყვიროდნენ: „ბოლშევიკებმა გაყიდეს საქართველო ბრესტში“ და საქართველოს „დახსნის“ საბაბით გამოაცხადეს მობილიზაცია თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად[3]. ამით მენშევიკები აშკარად დაადგნენ ინგლისის, საფრანგეთისა და აშშ იმპერიალისტების გზას და მხარი დაუჭირეს ომის შემდგომ გაგრძელებას.

საქართველოს ბოლშევიკების მედგარმა მუშაობამ, მათმა უსაზღვრო ერთგულებამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ნაყოფი გამოიღო; ქართველი ხალხი არ გაჰყვა მენშევიკებს თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც მენშევიკები სინანულით აღიარებდნენ: „ამ თავდაცვითი წმინდა ომის დროს ხალხი არ დაიძრაო“. ავტორი, ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დებულებათა მომარჯვებული გამოყენებით, აშიშვლებს მენშევიკური მთავრობის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას, მის დიდ მარცხს. წიგნში ვრცლადაა გაშუქებული ქართველი ბოლშევიკების საქმიანობა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. დამაჯერებლადაა გადმოცემული გამოჩენილი ბოლშევიკის ა. გეგეჭკორის წამყვანი როლი, რომელიც მგზნებარე გამოსვლებით მენშევიკებისა და სხვა ჯურის ოპორტუნისტების პოლიტიკას ამხილებდა ხალხმრავალ მიტინგებზე. როგორც ცნობილია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკებმა დიდი სიყვარული და ნდობა დაიმსახურეს. ამის დამადასტურებლად ავტორს მოყავს მრავალი ფაქტი. მაგალითად, 1918 წლის 4 მარტს წალენჯიხაში მოწყობილ მიტინგზე ხალხმა ერთხმად მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: ვიმაღლებთ ხმას და ვუერთდებით რუსეთის რევოლუციური მუშებისა და გლეხების მთავრობას, რომლებთანაც ერთად შეგვიძლია დავიცვათ რევოლუციური სამშობლო. ჩვენ რევოლუციის მხარეზე გაბოვალთ არა 25 წლის ასაკისა, არამედ 18-დან 60 წლამდე. ანალოგიური ხასიათის რეზოლუციებს ღებულობდნენ არა მარტო სამეგრელოს სოფლებსა და დაბებში, არამედ რაჭის და ლეჩხუმის ხალხმრავალ მიტინგებზე[4]. მარტო მიტინგებითა და რეზოლუციების მიღებით როდი იფარგლებოდა მშრომელთა საქმიანობა. ისინი იარაღით ხელში გამოდიოდნენ მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ. ავტორი დიდ ადგილს უთმობს სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ და მოყავს სათანადო საბუთები მშრომელთა ერთობლივი ბრძოლის დასადასტურებლად. წიგნში ავტორი მოგვითხრობს სამეგრელოს გლეხთა მოძრაობის სახალხო ხასიათზე, გადმოგვცემს, რომ აჯანყებულებს უშუალო კავშირი ჰქონდათ აფხაზეთის, რაჭის, ლეჩხუმის მშრომელებთან და ხელისუფლებისათვის საერთო ბრძოლას ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების პარტია, რომელმაც დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა მშრომელ ხალხთა შორის.

---

[3] საქ. ცსსა, ფონდი 11, საქმე 212 დამფ. კრების, 1919 წ. 4 იანვრის სტენოგ.

[4] გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“ 1928 წ. № 5.

ვ. ქარჩავა იმავე თავში კარგად და დამაჯერებლად აანალიზებს აფხაზეთის მშრომელთა ბრძოლის სურათებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, განიხილავს აფხაზეთსა და სამურზაყანოში (გალი) რევოლუციური კომიტეტის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, სათანადო საარქივო დოკუმენტების მომარჯვებით ნათელყოფს იმ დიად ბრძოლას, რაც აქ იყო გაჩაღებული ბოლშევიკების მეთაურობით საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის განხილულია დასავლეთ საქართველოს მშრომელების რევოლუციურ ბრძოლასთან მტკიცე კონტაქტში.

მეორე თავში ავტორი ეხება რაჭა-ლეჩხუმის მაზრების მშრომელთა მონაწილეობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. იგი გადმოგვცემს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რაჭაში შექმნილი პარტიზანული რაზმის საქმიანობას, პარტიული უჯრედების მიერ ჩატარებული ორგანიზაციული მუშაობის ცალკეულ დეტალებს, მათს განუზომელ როლს გლეხთა რევოლუციურად დარაზმვის საქმეში, წიგნის ავტორი გარკვეულ ადგილს უთმობს 1918 წლის იანვარში ლეჩხუმის მაზრის სოფელ დეხვირში შემდგარ ბოლშევიკ ფრონტელ ჯარისკაცთა და გლეხთა არალეგალური კრების გადაწყვეტილებას შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ და თანმიმდევრობით აგვიწერს აჯანყების მსვლელობას, რომელიც დაიწყო 1918 წლის 23 თებერვალს ცაგერის გასათავისუფლებლად. ავტორს კარგად მიუკვლევია იმ მასალებისათვის, რომლებიც დამაჯერებლად ამტკიცებენ ლეჩხუმში აჯანყებულ გლეხებისა და ტყიბულის გაფიცულ მუშათა მტკიცე კავშირს. განსაკუთრებით კარგად არის გადმოცემული ა. გეგეჭკორის მეთაურობით 1700 კაცისაგან შემდგარი რაზმის ჩასვლა ცაგერში აჯანყებულთა დასახმარებლად, 1918 წლის 17 მაისს „სამეგრელო-რაჭა-ლეჩხუმის რევოლუციური სამხედრო შტაბის“ შექმნის მომენტი, გლეხობის ის თავგანწირული ბრძოლები ცაგერში, რომლებიც მენშევიკური მთავრობის დასამხობად წარმართა სამეგრელო-რაჭა-ლეჩხუმის რევოლუციურმა სამხედრო შტაბმა.

ინტერესით იკითხება სარეცენზიო წიგნის ის ადგილი, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს წითელ რაზმელების რევოლუციურ მოღვაწეობას ჩრდილოეთ კავკასიაში.

1918 წელს ქართველმა წითელრაზმელებმა მოიგერიეს მენშევიკების შეტაკებანი, მენშევიკთა ცდა — განეიარაღებინათ ისინი და უკან დაებრუნებინათ, — მარცხით დამთავრდა. წითელრაზმელები წარმატებით გადავიდნენ მამისონის უღელტეხილზე, ბრძოლებით ჩავიდნენ ალაგირში და გვერდში ამოუდგნენ კავკასიის ბოლშევიკებს. რაზმელები, რომელთაც ა. გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა, მოქმედებდნენ სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისრის ს. ორჯონიკიძის მითითებით.

ს. კიროვი და ნ. ბუაჩიძე დამსახურებულად აფასებდნენ ქართველ წითელრაზმელთა საქმიანობას კავკავში. აღსანიშნავია, რომ ქართველი წითელრაზმელები დაკისრებულ დავალებებს პირნათლად ახორციელებდნენ; ისინი ხან კავკავს იცავდნენ კონტრრევოლუციონერებისაგან, ებრძოდნენ და იგერიებდნენ ბიჩერახოვის ბანდებს, ხან დახმარებას უწევდნენ და გვერდში ედგნენ სუჯის ხაზზე მოქმედ რევოლუციურ ძალებს, მუსრს ავლებდნენ კაზაკთა ბანდებს. ამგვარად, 1918 წელს ვლადიკავკავში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველ მებრძოლებს. წითელრაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა მეთაური საშა გეგეჭკორი რუსეთის სამხედრო-რევოლუციურმა ჭომ წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. და კავკავის რევოლუციური წესრიგის დაცვის პოსტზე დანიშნა.

სარეცენზიო წიგნში ავტორმა წინა პლანზე წამოსწია ერთი მეტად საინტერესო საკითხი. კერძოდ, თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ბუაჩიძის ინიციატივით ჩრდილოეთ კავკასიაში გადმოსული ჩინელი მუშებისაგან შეიქმნა მებრძოლი რაზმი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1918 წელს კონტრრევოლუციისაგან ვლადიკავკავის დაცვის საქმეში.

შრომა მაინც არ არის დაზღვეული ცალკეული ნაკლოვანებებისაგან. ამათგან მთავარია:

1. წიგნში წინასიტყვაობასა და შესავალს 28 გვერდი აქვს დათმობილი, შესავალი თავის დანიშნულებას სცილდება.

2. წიგნში არ არის ისეთი გვერდი, რომ არ იყოს ლაპარაკი ა. გეგეჭკორის დამსახურებაზე, მის მიერ გაწეულ დიდ ორგანიზაციულ მუშაობაზე. ეს ბუნებრივია, ასე უნდა იყოს, რადგან ისტორიული ფაქტები ასე მოგვითხრობენ, მაგრამ არაფერია ნათქვამი მის ბიოგრაფიაზე, მაშინ როცა ავტორი დიდ ადგილს უთმობს გ. როგავას, ე. ეშბას, ნ. ლაკობას, პ. ძიგუას, ა. თოლორდიას და სხვათა ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემას.

3. ჩვენი აზრით გარკვევით არაა წარმოდგენილი ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველი რაზმეულების გადასვლის მიზეზი (გვ. 109 — 110), ავტორი წერს: „1918 წლის მაისში ა. გეგეჭკორი სათავეში ჩაუდგა სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის აჯანყებულთა ნაწილს, უაღრესად მძიმე პირობებში გადალახა მამისონის უღელტეხილი, ბრძოლით ჩავიდა კავკავში და გვერდში ამოუდგა მშრომელ მოსახლეობას. საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში“ (გვ. 109). იბადება კითხვა: რისთვის იყვნენ აჯანყებული სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის მშრომელები 1918 წ. მაისში? განა იმისათვის, რომ კავკავში ჩასულიყვნენ და იქ ებრძოლათ? არ არის ნაჩვენები, აგრეთვე, ვინ უწევდა ხელმძღვანელობას ადგილზე ჯარჩენილ აჯანყებულებს და რა ბედი ეწიათ მათ?

4. შრომაში ვხვდებით გამეორებებსა და არაზუსტ გამოთქმებს (გვ. 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 და სხვ.). მაგრამ ეს უმნიშვნელო შენიშვნები ჩრდილს არ აყენებს ნაშრომს და ის სასარგებლო ნარკვევს წარმოადგენს.

СОДЕРЖАНИЕ

Р. Шенгелиа, Попытки объяснения специфического содержания искусства своеобразным функционированием сознания 3

В. Джикиа, Отголоски Ленских событий в Грузии 23

Л. Чиковани, К истории газеты «Тифлисский вестник» 41

М. Думбадзе, Из истории борьбы грузинского народа против колониальной политики царизма 68

А. А. Барамидзе, Вопросы исторической географии Колхиды в грузинской историографии первой половины XIX века 88

Ил. Авазашвили, К вопросу о крестьянском восстании в Кизики 1873 г. . 112

Г. Акопашвили, Экономическое положение крестьян Восточной Грузии во второй половине XVIII в. 124

О. Цкитишвили, Из истории древнего Тбилиси 142

М. Шенгелиа, Вопросы оптики и коррекция зрения в древних грузинских источниках и «Оптические параграфы» Вахтанга VI 161

Ш. Микашавидзе, Некоторые вопросы эстетики в «Риторике» С. Додашвили . 175

О. Джапаридзе, Результаты работ триалетской археологической экспедиции за 1960 — 1961 гг. 191

И. Мегрелидзе, Надписи и другие древности ущелья малой Лиахви . . . 202

Публикация

Ш. Гозалишвили, Неопубликованные письма С. Месхи к Е. Меликишвили . 219

Критика и библиография

К. Григолиа, Еще раз об авторстве Леонтия Мровели 242

В. Сабахтарашвили, Книга из истории революционного движения . . . 254

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

რ. შენგელია, ცნობიერების თავისებური მოღვაწეობით ხელოვნების სპეციფიკური შინაარსის ახსნის ცდები 3

ვ. ჯიქია, ლენის ამბების გამოძახილი საქართველოში 23

ლ. ჩიქოვანი, გაზეთ „თბილისის მოამბის“ ისტორიისათვის 41

მ. დუმბაძე, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან 58

ა. ბარამიძე, კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში 88

ილ. ავაზაშვილი, 1873 წლის ქიზიყის გლეხთა აჯანყების საკითხისათვის . . . 112

გ. აკოფაშვილი, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში 124

ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან 142

მიხ. შენგელია, ოპტიკისა და მხედველობის კორექციის საკითხები ძველ ქართულ წყაროებში და ვახტანგ VI-ის „ოპტიკური პარაგრაფები“ 161

შ. მიქაშავიძე, ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი ს. დოდაშვილის „რიტორიკაში“ . . . 175

ო. ჯაფარიძე, 1960—61 წლების თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები 191

ი. მეგრელიძე, წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ლიახვის ხეობაში 202

პუბლიკაცია

შ. გოზალიშვილი, სერგეი მესხის გამოუქვეყნებელი წერილები ეკატერინე მელიქიშვილისადმი 219

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კ. გრიგოლია, ისევ ლეონტი მროველის ავტორობის შესახებ 242

ვ. საბახტარაშვილი, წიგნი რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან 254

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
ტელეფონი: 9-87-03

შეკვ. 1179 უე 03810 ტირაჟი 1000

გადაეცა წარმოებას 12.9.1963; ანაწყობის ზომა 7×12; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.1963;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდის ფურცელი 8,46; საბეჭდი ფურცელი 23.18;
საავტორო ფურცელი 20,58; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 21.05
ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, გ. ტაბიძის ქ. № 3/5.
Типография Издательства Академии наук Грузинской ССР, ул. Г. Табидзе, 3/5.

ფასი 1 მან.

/17.

ეროვნული ბიბლიოთეკა